

ქართული დიალექტოლოგია

I

კახური დიალექტი

Грузинская диалектология

I

Кахетинский диалект

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Институт языкознания

А. Г. Мартirosов и Г. М. Имнайшвили

Кахетинский диалект
грузинского языка

Исследование и тексты со словарем

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ТБИЛИСИ — 1956

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი

ქართული ენის კახური დიალექტი

გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ

რექტორი ვ. თოფურია

შინაარსი

შინასიტყვაობა	83- VII
შისავალი	3—28
1. ქართული ენის დიალექტთა შესწავლის მნიშვნელობისათვის	3
2. ქართული ენის დიალექტების მეცნიერული შესწავლა	5
3. კახური დიალექტის შესწავლის მდგომარეობა	7
4. კახეთის მოსახლეობის შემადგენლობა	12
5. კახურის მიმართება ქართულთან და სხვა აღმოსავლურ დიალექტებთან	15
6. კახური დიალექტური მოვლენები XV—XVIII სს. ისტორიულ საბუთებში	18
7. კახური დიალექტური მოვლენები მწერალთა ენაში	20
ბგავითი უმჯგვინლობა	29—34
8. შემორჩენილი ბგერები	29
ფონეტიკური პროცესები	34—67
9. ასიმილაცია	34
10. ხმოვანთა ასიმილაცია	35
11. თანხმოვანთა ასიმილაცია	37
12. თანხმოვანთა კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია	37
13. დისტანციური რეგრესული ასიმილაცია	39
14. თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია	40
15. დისიმილაცია	40
16. მეტათეზისი	41
17. სუბსტიტუცია	43
18. თანხმოვანთა სუბსტიტუცია	43
19. აფრიკატიზაცია	47
20. დეზაფრიკატიზაცია	48
21. ხმოვანთა სუბსტიტუცია	48
22. უ-სა და თ-ს დავიწროება	48
23. კომპლექსთა შენაცვლება	49
24. ვა კომპლექსის თ-დ ცვლა	50
25. თანხმოვანთა დაყრუება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში	52
26. ბგერის დაკარგვა	53
27. თანხმოვანთა დაკარგვა	53
28. ხმოვანთა დაკარგვა	61
29. ხმოვანთა რედუქცია	62
30. ბგერათა შერწყმა	63
31. ბგერის ჩართვა	64
32. მახვილი	65
33. სიტყვის ბოლო მარცვლის მოკვეცა	66
გორფოლოგიური ანალიზი	68—122
34. სახელი	69
35. ემფატიკური ხმოვანი	73
36. მრავლობითი რიცხვი	74
37. რიცხვითი სახელი	75

38. ნაცვალსახელები	76
39. თანდებულები	79
40. ზმნიზედა	82
41. ნაწილაკები	85
42. თემა	86
43. ზმნისწინი	89
44. I სერია	92
45. თხოვნითი ბრძანებითი	93
46. II სერია	94
47. ხოლმეობითი	96
48. III სერია	98
49. თავისებური ზმნები	102
50. პირის ნიშნები	104
51. ქცევისა და ვნებითის ფორმები	110
52. კაუხატივის წარმოების შესახებ	111
53. აღწერითი ფორმები	112
54. სიტყვაწარმოება	112
სინტაქსური თავისებურებანი	123—135
55. მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა	123
56. შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან	126
57. ობიექტის მიერ ზმნის შეთანხმება	127
58. ზოგიერთი ზმნის მიერ ობიექტის თავისებური მართვა	130
59. ქვემდებარე გარდაუვალ ზმნებთან	131
60. სახელის მართვა სახელისა, ზმნისა და თანდებულის მიერ	132
61. ნაწილაკი -მცა	132
62. კავშირი	133
63. რთული წინადადების თავისებურებანი	134
64. წინადადების წვერთა თანამიმდევრობა	135
65. ორმაგი უარყოფა	135
ლემსიკა	136
Резюме	138
ტექსტები	3—172
ლექსიკონი	175
საძიებელი	187
შემოკლებათა განმარტება	193

წინასიტყვაობა

კახური ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დიალექტია ქართული ენისა. იგი ქართულთან ერთად საფუძვლად უძევს თანამედროვე სალიტერატურო ენას და მისი მასაზრდოებელი წყაროთაგანია.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს კახური დიალექტის მონოგრაფიულ მიმოხილვას, რომელშიც მოცემულია ენობრივ თავისებურებათა ვრცელი ანალიზი. დაწვრილებით განხილულია ბგერითი შედგენილობა, ფონეტიკური პროცესები, მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენები და აგრეთვე ლექსიკა. ყველა ეს მოვლენა საჭიროების შემთხვევაში შედარებულია ქართული ენის სხვა დიალექტების, პირველ რიგში კი ქართურის, მონაცემებთან მსგავსება-განსხვავების დასადგენად და მათ შორის კახურის ადგილის გასარკვევად. ამავე დროს გამოვლენილია და აღწერილი ყველა ის სპეციფიკური მოვლენა, რომლებიც კახურის დამახასიათებელია.

სისრულის თვალსაზრისით, სადაც ეს საჭიროა, ერთი და იგივე მოვლენა ფონეტიკაშიც და მორფოლოგიაშიც განხილულია თავ-თავის ადგილას.

ძირითად მასალასთან ერთად შრომაში ფართოდ არის დამოწმებული აგრეთვე XV—XVIII სს. კახეთის ისტორიულ საბუთებსა და ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში შენიშნული დიალექტური ხასიათის ფონეტიკური და გრამატიკული მოვლენები, რომლებიც ცოცხალია დღევანდელ კახურში.

კახური დიალექტის ენობრივი მიმოხილვა ემყარება ცოცხალ მეტყველებაზე ავტორთა უშუალო დაკვირვებებს, ენათმეცნიერულად სანდო ტექსტებს, რომლებიც შეკრებილია წლების მანძილზე კახეთის სხვადასხვა სოფელში დიალექტოლოგიური ექსპედიციებისა და სამეცნიერო მივლინებების საშუალებით, და აგრეთვე კახურისადმი მიძღვნილ მნიშვნელოვან გამოკვლევებს.

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო სასტამბოდ გამოადებული ტექსტების მხოლოდ მცირე ნაწილი დაიბეჭდა. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა დაახლოებით მინც თანაბარი რაოდენობით ყოფილიყო კახეთის ყველა რაიონიდან წარმოდგენილი სათანადო მასალა. მიუხედავად ამისა, მოცემული ტექსტებიც საკმარისად სრულ წარმოდგენას იძლევა კახური დიალექტის ენობრივ თავისებურებებზე.

ტექსტები შინაარსობრივად მრავალფეროვანია. მასში ასახულია სათავე-გადასავლო ამბები, გადმოცემანი და თქმულებანი, სასოფლო-სამეურნეო და საოჯახო საქმიანობა, ხალხური გართობა-თამაშობანი, ძველი ადათ-ჩვეულებანი, ახალი ყოფის ამბები, ზღაპრები, ბუნებრივი საუბრის დროს ჩაწერილი ცალკეული ფრაზები და სხვა. ეს მასალა პირველ რიგში დიალექტოლოგიური და ნიშნულებისაა, მაგრამ ამავე დროს გარკვეულ მასალას შეიცავს და სათანადო

ინტერესს იწვევს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის თვალსაზრისითაც.

ტექსტებში ყველგან ერთგვარობა არაა დაცული. ეს გამოწვეულია იმით, რომ ფონეტიკურ თუ გრამატიკულ მოვლენებში ერთგვარი სხვაობა შეინიშნება არა მარტო სოფლებისა და მთქმელთა მიხედვით, არამედ თვით ერთისა და იმავე პირის შეტყვევებაშიც ზოგჯერ სხვადასხვა ვარიანტით წარმოგვიდგება ხოლმე ესა თუ ის მოვლენა. ხშირია შემთხვევები, როცა დიალექტური ფორმების პარალელურად ტექსტებში გვხვდება წმინდა ლიტერატურულიც, რომლებიც დამახასიათებელია უმთავრესად ახალი თაობის შეტყვევებისათვის.

XV—XVIII საუკუნეთა მანძილზე კახეთში შედგენილია მრავალი ისტორიული დოკუმენტი, რომლებშიც ასახულია კახურის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებანი. ამის საილუსტრაციოდ ტექსტებს წამძღვარებული აქვს რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი, რომლებიც გამოქვეყნებულია ნ. ბერძენიშვილის მიერ: „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII ს.ს.)“, თბილისი 1940, II, 1953.

ტექსტებს დაერთვის მცირე ლექსიკონი, მასში შევიდა უმთავრესად ის სიტყვები, რომლებიც სხვა ლექსიკონებში არ არის წარმოდგენილი.

ზრომა ქართული ენის სპეციალისტ-მკვლევართა გარდა ერთგვარ დახმარებას გაუწევს აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს, რომლებიც ქართული დიალექტოლოგიის კურსს სწავლობენ.

ავტორები

15.XII.1956.

ენობრივი მიმოხილვა

შესავალი

1. ქართული ენის დიალექტთა შესწავლის მნიშვნელობისათვის. მრავალსაუკუნოვანი მწერლობის მქონე ქართული ენა მდიდარია ადგილობრივი დიალექტებით. მათი შესწავლა იძლევა მეტად საყურადღებო მასალას თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ფონეტიკური სისტემის, გრამატიკული წყობისა და ლექსიკური შემადგენლობის რიგი საკითხების ისტორიულ ასპექტში განხილვისა და გაშუქებისათვის.

დიალექტთა მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქართული ენის განვითარების ზოგადი კანონზომიერების დასადგენად და ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ანსახველი ენობრივი ფაქტების სწორად გაგებისათვის.

ქართული ენის ისტორიის შესწავლისათვის გარკვეული ღირებულება ენიჭება რიგ დიალექტებში დღემდე შემონახულ ძველი ქართული ენის ნიშანდობლივ მოვლენებს, სახელდობრ არქაიზმებს, რომლებიც სალიტერატურო ენაში კარგა ხანია აღარ იხმარება. ამგვარი მონაცემების მიხედვით შესაძლებელი ხდება გაგება და გამოწველილვა ზოგი ისეთი თვისებისა, რომლებიც ქართული ენის უძველეს ძეგლებში დასტურდება. ასე მაგალითად, რაობა და ბუნება ძველ ქართულში ხმარებული რამდენიმე ნიშნისა (ჭ, ჟ, უმარცვლო უ...), რომლებიც დროთა ვითარებაში სალიტერატურო ენამ დაკარგა, გაუგებარი იქნებოდა, რომ მათი საშუალებით გადმოცემული სათანადო ბგერები ცოცხალი არ ყოფილიყო ქართულ დიალექტებში, კერძოდ მთის კილოებში, რომელთაც საერთოდ ნაკლებ განუცდიათ სალიტერატურო ენის გავლენა და შედარებით უკეთ დაუცავთ არქაიზმები. განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთი არქაული მოვლენების შესახებ, რომლებიც სამწერლობო ენაში არ დასტურდება უძველესი პერიოდიდან მოყოლებული დღემდე.

თანამედროვე სალიტერატურო ენის თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე ნეოლოგიზმები, რომელთაც ადგილი აქვთ ცალკეული დიალექტების ლექსიკასა თუ გრამატიკულ წყობაში.

დიალექტების, ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა განსაკუთრებით საშურო საქმედ ითვლება ქართული ენის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როდესაც სალიტერატურო ენის გავლენა დიალექტებზე გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მძლავრი აღმავლობა, საკომუნურნო წყობილების განვითარება და ახალი ტექნიკური მიღწევების დაწერგვა სოფლის მეურნეობაში, საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელება, ჟურნალ-გაზეთების, წიგნის, რადიოსა და სხვა კულტურულ საშუა-

ლებათა გავრცელება სოფლის ყველა კუთხეში ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის სოფლის მოსახლეობის ყველა შემადგენლობის კულტურული დონის ამოღლებითაა.

ასეთ ვითარებაში ძირფესვიანად იცვლება სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთდამოკიდებულება. სალიტერატურო ენა სწრაფად და დაუბრკოლებლად ვრცელდება და ინერგება მოსახლეობის ფართო ფენებში, ხოლო დიალექტები სალიტერატურო ენის ძლიერი გავლენის შედეგად თანდათანობით კარგავენ თავისთავადობას და ისრუტებიან მასში.

სალიტერატურო ენის ეს დიდი გავლენა დიალექტებზე უპირველეს ყოვლისა თავს იჩენს ლექსიკაში, რადგანაც საერთოდ ენის ლექსიკური მხარე უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე გრამატიკული წყობა. ნაწილობრივ ხმარებიდან გამოდის მოძველებული სიტყვები, მივიწყებას ეძლევა ტერმინები, რომლებიც ასახავენ ძველ, ჩამორჩენილ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. ხმარებიდან გამოდის აგრეთვე ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის გამომხატველი სიტყვები და გამოთქმები. მაგალითად, სახენელი იარაღის ძველი სახელწოდებანი კავწერა, საწერა, ჩივთი, ჩუთკავი, არვანაი და სხვა¹ ამჟამად საქართველოს ზოგიერთ კუთხეში თითქმის სრულიად აღარ გვხვდება, ან კიდევ იშვიათად იხმარება, რადგან თვით პრიმიტიული იარაღი კარგა ხანია შეცვალა გაუმჯობესებულმა იარაღმა თუ მანქანამ.

სამაგიეროდ დიალექტებში დიდი რაოდენობით მკვიდრდება თანამედროვე განვითარებული ტექნიკისა და ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გადმომცემი ლექსიკური ერთეულები და გამოთქმები.

ლექსიკასთან ერთად ცვლას განიცდის დიალექტების გრამატიკული სისტემაც. სალიტერატურო ენის ნორმათა ფართო მასებში დამკვიდრება თანდათან იწვევს არქაიზმების მოსპობასა და დიალექტების გრამატიკულ თავისებურებათა ნიველირებას. შედარებით გამძლეობას იჩენს ფონეტიკური თავისებურებები, მაგრამ დროთა ვითარებაში ამ მხრივაც იშლება განსხვავება სალიტერატურო ენასა და დიალექტებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული დიალექტები მიემართებიან სალიტერატურო ენასთან შერწყმისაკენ, ისინი ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად ინარჩუნებენ თავისებურებებს და თავის მხრივ გავლენას ახდენენ სალიტერატურო ენაზე. უკანასკნელი ითვისებს, ისისხლხორცებს დიალექტებიდან შემოსულ საჭირო ლექსიკურ ერთეულებს და მით ივსებს და იმდიდრებს თავის სიტყვობრივ შემადგენლობას.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და გამდიდრებაში მეტ-ნაკლებად მონაწილეობას იღებს ყველა დიალექტი, მაგრამ მის საფუძველს და მასაზრდოებელ წყაროს თავიდანვე აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ცოცხალი მეტყველება, კერძოდ ქართლური და კახური წარმოადგენდა.

ამჟამად ქართული დიალექტოლოგიის აქტუალური ამოცანაა როგორც თითოეული დიალექტის საფუძვლიანი შესწავლა, ისე მოპოვებული შედეგების თეორიული განზოგადება ქართული ენის ისტორიისა და ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე ძველი ქართული ენის დიალექტობრივი შედგენილობის გამოკვლევა. ქართული სამწერ-

¹ გ. ჩიტიანის მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით.

ლობო ენის უძველესი ძეგლები და წარწერები საშუალებას იძლევა უკვე V საუკუნიდან მოკიდებული თვალყური მივადევნოთ სალიტერატურო ენის განვითარებას და ამ თვალსაზრისით შევაფაოთ ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს ქართული დიალექტების მონაწილეობას ძველი სალიტერატურო ენის ფორმირებისა და განვითარების საქმეში. ამ მხრივ თვალსაჩინო ჩვენებებს იძლევიან აგრეთვე თანამედროვე დიალექტები.

მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხს ადრევე მიექცა ყურადღება, მაგრამ ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გამოვლენილი ძველი ქართული სამწერლობო ენის დიალექტობრივი შედგენილობა: „იშის მიხედვით, რაც უკვე გარკვეულია, შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ, რომ ძველ ქართულ სამწერლო ენაში წარმოდგენილი დიალექტები ზოგ რაშაშე არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ ძირითადად ენობრივ ნიშან-თვისებათა მიხედვით ერთმანეთთან ასლოს იდგნენ“¹.

დიალექტობრივი განსხვავებანი დალექილია ძველი ქართული ენის როგორც გრამატიკულ წყობაში, ისე ლექსიკურ შემადგენლობაში. საილუსტრაციოდ შეიძლებოდა დაგვემოწმებინა რამდენიმე ისეთი ლექსიკური განსხვავება ჯრუჟ-პარხლისა და აღიშის ოთხთავის მიხედვით, როგორცაა: ტარიგი და კრავი, ჯურღუმული და ჭნარც, გლახაკი და ქირვეული, მუშაკი და მოქმედი, ქაბუკი და ყრმაჟ, ბოროტი და უკეთური, შფოთი და ამბოხი, არდაგი და მჩუარი, სახუეველი და რეზი, სავსებელი და სარწყული, მესათხეველ და მონადირე, ყური-მალი და ლაწკ და სხვა მრავალი².

ესაა იმ რიგის ლექსიკური განსხვავებები, რომლებიც ამჟამად გვხვდება ქართულ დიალექტებში, როცა ერთი და იმავე საგნის აღსანიშნავად სხვადასხვა დიალექტი სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულს მიმართავს; მაგ.: პაპა და ბაბუა, დიდედა და ბებია, ბატკანი და კრავი, იხვი და კვატი, ზაქი და ლოლო, კრუხი და მოკვა, მურყანი და თხმელა, იფანი და კოპიტი, ბეოლა და ფურცელი, გოგრა და კვახი, სეტყვა და ხოშკაკალი, ქვეერი და ქური, ლოქო და ლღავი და სხვა მრავალი.³

სპეციალურ ლიტერატურაში უფრო ხელშესახებადაა ნაჩვენები დიალექტობრივ ფენათა არსებობა ძველი ქართული ენის მორფოლოგიაში.

ძველი ქართული დიალექტობრივი შედგენილობის გასარკვევად საჭიროა ძველი ძეგლების ენის საფუძვლიანი შესწავლა თანამედროვე ცოცხალი დიალექტებისა და ქართულის მონათესავე ენების ჩვენებათა გათვალისწინებით.

2. ქართული ენის დიალექტების მეცნიერული შესწავლა XX საუკუნის დასაბამიდან იწყება.

¹ არნ. ჩიქობავა, ქართველური ენები, მათი ისტორიული შედგენილობა და დამახასიათებელი ძველი ნიშან-თვისებები: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სამეცნიერო სესიის თეზისები, 1946 წ.; მისივე, Карпелеские языки, их исторический состав и древний литературный состав: иберийско-кавказский енашмეცნიერება, II, თბილისი 1948, გვ. 273.

² ივ. იმნაიშვილი, აღიშას ოთხთავი რედაქციულად: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX I — XXXI b, თბილისი 1947, გვ. 183—236.

³ ივ. გიგინეიშვილი, ი. ბ. სტალინის მოძღვრება საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, III, თბილისი 1952, გვ. 496 — 497.

სადიალექტოლოგიო კვლევა-ძიება განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მუშაობას სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრა (გამგე პროფ. ა. შანიძე), ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება, რომელიც დაარსდა 1923 წელს, და ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

მუშაობა იმთავითვე ოთხი მიმართულებით წარიმართა: 1. ამოცანად იქნა დასახული დიალექტთა ყოველმხრივი და ამომწურავი შესწავლა (ტექსტების შეკრება-გამოცემა, ცალკეული დიალექტის ფონეტიკურ-გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებათა სრული დახასიათება); 2. დიალექტური ლექსიკონების შედგენა; 3. ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხების კვლევა; 4. დიალექტთა საერთო მოვლენების წარმოშობა-განვითარების ძიება და მოპოვებული შედეგების განზოგადება ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით.

ოთხივე მიმართულებით ქართულ დიალექტოლოგიაში დღემდე ჩატარებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები, მოპოვებული შედეგებიც ხელშესახებია. დაბეჭდილია ვრცელი და საფუძვლიანი გამოკვლევები რიგი დიალექტების ფონეტიკურ-გრამატიკულ თავისებურებათა შესახებ. სპეციალურად შესწავლილია რამდენიმე დიალექტის ლექსიკა და გამოქვეყნებულია ლექსიკონები. ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით გარკვეულია წყება საკითხებისა ძველი ქართული ენის დიალექტობრივი შედგენილობის მხრივ. შესწავლილია აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შედგენილი ისტორიული საბუთების ენა, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს ცოცხალი მეტყველებიდან მომდინარე ენობრივ თავისებურებებს. ქართულ დიალექტთა მასალის ანალიზის საფუძველზე გამოქვეყნებულია ზოგადენათმეცნიერული ხასიათის მნიშვნელოვანი გამოკვლევები. ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა დიალექტური მასალების შეკრებასა და პუბლიკაციას. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების განკარგულებაში მოიპოვება დიდი რაოდენობით ენათმეცნიერულად სანდო, შინაარსით საინტერესო და ჟანრობრივად მრავალფეროვანი დიალექტური ტექსტები, რომლებიც გამოქვეყნებას ელის. ეს მასალა შეკრებილია წლების განმავლობაში საენათმეცნიერო ექსპედიციებისა და სამეცნიერო მივლინებების მოწყობის გზით. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მოეწყო მრავალრიცხოვანი ექსპედიცია ქართული ენის დიალექტების, პირველ რიგში კი ქართლურისა და კახურის შესასწავლად და სათანადო მასალების შესაკრებად. საკმაო რაოდენობითაა შეგროვილი აგრეთვე მასალები ხევსურულისა, ფშაურისა, თუშურისა, მოხეურისა, მთიულურ-გუდამაყრულისა, ინგილოურისა, მესხურ-ჯავახურისა, იმერულისა, გურულისა და ლეჩხუმურისა.

შეიძლება ითქვას, რომ ჩატარებული ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგად დამაკმაყოფილებლადაა შესწავლილი ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტი. მაგრამ მიუხედავად ამისა, დიალექტების შემდგომი კვლევა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ენათმეცნიერებისათვის გადაუდებელ საქმედ ითვლება. მთელი სისრულით ჯერ კიდევ არაა გამოვლენილი და თეორიულად არაა განზოგადებული ის მეტად საინტერესო მოვლენები, რომელთაც ადგილი აქვთ ცალკეული დიალექტების გრამატიკულ წყობასა და ლექსიკაში და რომელთაც შეუძლიათ შექვი მოპოვონ დიალექტების ისტორიული განვითარებისა და სალიტერატურო ენასთან მათი მიმართების ზოგად საკითხებს.

3. კახური დიალექტის შესწავლის მდგომარეობა. კახურ დიალექტზე ენათმეცნიერულ დაკვირვებათა შედეგები პირველად, 1920 წელს, მოცემულია ა. შანიძის ცნობილ მონოგრაფიულ გამოკვლევაში: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. ავტორს აღნიშნული აქვს, რომ კახურ დიალექტში შემორჩენილია როგორც ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა, ისე სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა, რის გამოც თხრობითი კილო და ბრძანებითი ჩვეულებრივ გარჩეულია ხოლმე თანხმონითი დაწყებულ ზმნებში. ამ პრეფიქსების ხმარების წესი კახურშიც იგივეა, რაც ქართლურში¹.

აღმოსავლური კილოების ზოგადი დახასიათებისას ავტორს დადგენილი აქვს S_2 -ისა და O_2 -ის ფონეტიკური სახე კახურსა, ქიზიყურსა, ქართლურსა და ფშაურში და შენიშნულია, რომ ამ დიალექტებში პრეფიქსი ჰ გადავარდნის გზაზეა დამდგარი და მისი ადგილი უჭირავს ჰ-ს . ხანის მდგომარეობა, ჰაესთან შედარებით, უფრო მკვიდრია, ნაგრამ ხშირად მასაც ცვლის ჰ^2 .

აქვე ცალკეა დახასიათებული პრეფიქსების ვითარება ქიზიყურში. ნაჩვენებია, რომ მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი ქიზიყურში იმგვარადვე იხმარება, როგორადაც კახურში, ხოლო მესამე ობიექტური პრეფიქსის ხმარების საკითხში ამ მეტყველებას საერთო აქვს, ერთი მხრით, კახურთან და, მეორე მხრით, ქართლურთან³.

როგორც კახურის მორფოლოგიურ თავისებურებათა ანალიზიდან დავინახავთ, ზმნაში პრეფიქსების ხმარების ის წესები, რომლებიც ზემოაღნიშნულ მონოგრაფიაშია დადგენილი, ამჟამად კახურში ყველგან ერთნაირად არ არის დაცული. ჩანს, ამ ორმოციოდე წლის განმავლობაში ამ მხრივ ერთგვარი ცვლილებები მომხდარა ცოცხალ მეტყველებაში. ისტორიული თვალსაზრისით პრეფიქსთა ასეთი ცვლა განსაკუთრებული ღირებულებისაა.

უაღრესად მნიშვნელოვანი გრამატიკული მოვლენა — ყუ ნაწილაკის ხმარება და მისი ფუნქციები — გარეკახურში ფერეიდნულთან მიმართებით განხილული აქვს არნ. ჩიქობავას გამოკვლევაში: „ყუ ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“⁴.

შრომაში პირველადაა შენიშნული და ყურადღებაც საგანგებოდ გამახვილებული იმაზე, რომ -თ სუფიქსი გარეკახურში ობიექტის მრავლობითობას გამოხატავს. იგი იხმარება არა მარტო იქ, სადაც მას ვხვდებით სალიტერატურო ენაში (ე. ი. როცა ლოგიკური სუბიექტი, ხოლო გრამატიკულად ობიექტი მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვით არის გადმოცემული), არამედ იქაც, სადაც გრამატიკულადაც და ლოგიკურადაც ობიექტი მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვითაა წარმოდგენილი. მხედველობაშია მიღებული ისეთი მაგალითები, როგორიცაა: ეუბნებათ მათ, უთხრათ, ჰკითხათ, დაუძახათ, დაუხვდათ, გაუამხანაგდათ მათ და სხვა⁵.

დადგენილია, რომ ასეთ შემთხვევაში -თ სუფიქსი ყუ ნაწილაკის მაგივრობას ეწევა. ავტორს ეს მოვლენა იმ ტენდენციის განვითარებად მიაჩნია, რომელ-

¹ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი 1920, § 66, გვ. 150.

² იქვე, § 64, გვ. 146.

³ იქვე, § 67, გვ. 152.

⁴ ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადული, I—II, ტფილისი 1925.

⁵ იქვე, გვ. 54.

საც სალიტერატურო ქართულშიც ვხვდებით სპორადულად, და დასძენს, რომ „გარეკახურისათვის ამ მოვლენის ახსნა აღვილია, თუ მოვიგონებთ, რომ -ყენაწილაკი იქ ცოცხალია და იხმარება, თუმცა იშვიათად, მაგრამ კანონზომიერად. მას მნიშვნელობა შეუენახავს, ხმარება კი იშვიათი გამხდარა“¹.

1925 წელს კრებულ „არილში“ დაიბეჭდა არნ. ჩიქობავას გამოკვლევა „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად (უშუალო დაკვირვებანი)“. ესაა პირველი ვრცელი და საფუძვლიანი შრომა, რომელშიც დეტალურად მოცემულია გარეკახურის ფონეტიკურ და მორფოლოგიურ-სინტაქსურ თავისებურებათა ღრმა ანალიზი. ამ გამოკვლევის საშუალებით ასევე პირველად ვიცნობით მეცნიერულად ჩაწერილ კახურ დიალექტურ მასალებს, რომლებიც თვით ავტორის მიერ მოპოვებულია გარე კახეთში 1923 წელს.

დაკვირვების ძირითადი ობიექტია სოფ. გორგინწმინდასა, ანთოკსა და მარიამჯვარში მცხოვრებთა მეტყველება, ხოლო ამ სოფლებში შეკრებილი მასალა ავტორს შემოწმებული აქვს ნინოწმინდასა, პატარძეთულსა, ხაშმსა და თხლიაურში.

შრომაში გარეკახურის ბგერითი შედგენილობის განხილვასთან ერთად ღრმად გაანალიზებულია და გაშუქებული ფონეტიკური პროცესები და გრამატიკული თავისებურებები. გამახვილებულია ყურადღება ზმნაში სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის პრეფიქსთა ხმარების თავისებურებაზე. აღნიშნულია, რომ გარეკახურში ასეთ პრეფიქსად გამოყენებულია **ჟ**, რომელსაც ხშირად ჰაეს ელფერი გადაჰკრავს, ხან კიდევ მეზობელი თანხმოვნის ზეგავლენით ხანისაკენ გადახრის აკუსტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ზმნის თავისებურებებთან ერთად დახასიათებულია მრავლობითი რიცხვის საწარმოებელი **თ** სუფიქსის ხმარება -ყენაწილაკის ფუნქციით და თვით ამ ნაწილაკის გამოყენების შემთხვევები.

ამ გამოკვლევით საფუძველი ჩაეყარა საერთოდ კახური დიალექტის მეცნიერულ შესწავლას. საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ მასში დასმულია და გაშუქებული დიალექტურ მოვლენათა განხილვისა და კვალიფიკაციის პრინციპული საკითხები.

ქიზიყურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა განხილულია ამავე ავტორის შრომაში: „ს- ბგერის დასუსტება ქიზიყურში“². გამოკვლევაში მიღებული ძირითადი დასკვნები ასეთია: ქიზიყურში **ს** დასუსტდება და **ჟ**-თი იცვლება, ანდა სრულიად იკარგება: **ჟ** ენაცვლება ბოლოკიდურ -ს-ს ხმოვნების შემდეგ (აგრეთვე ფუძისეული **თ** და **ტ**-ს წინ); ბოლოკიდურ პოზიციაში -ს იკარგება თანხმოვნების შემდეგ, ზოგჯერ ხმოვნების შემდეგაც. **ხ** ბგერის დასუსტება-დაკარგვის პროცესი უფრო ადრე დაიწყო და ამიტომ გაცილებით უფრო შორს არის წასული ქიზიყურში, ვიდრე გარეკახურში. „ს- ბგერის დასუსტება გარეკახურს გარდა ქართლურშიც იჩენს თავს; პროცესის კერა კი აღმოსავლეთით — ქაზიყში — უნდა ვივარაუდოთ“³.

გამოკვლევას დართული აქვს ქიზიყური მეტყველების ნიმუშები.

1943 წელს გამოქვეყნდა სტეფ. მენტეშაშვილის „ქიზიყური ლექსიკონი“ (ვ. თოფურის ასრედაქციით), რომელშიც შესულია ქიზიყურში ხმარებული მხოლოდ ის სიტყვები, ტექნიკური ტერმინები და იდიომატური

¹ იქვე, გვ. 55 — 56.

² ენიმკის მოამბე, I, ტფილისი 1937.

³ იქვე, გვ. 69.

თქმები (სულ 6260-მდე), რომლებიც მანამდე გამოქვეყნებულ ლექსიკონებში ან სრულიად არ გვხვდება, ან კიდევ ავსებენ ლექსიკონებში მოცემულ განმარტებებს დამატებითი, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით. დანიშნულებით ეს ლექსიკონი, უწინარეს ყოვლისა, დიალექტურია. მასში წარმოდგენილია თვით ავტორის მიერ ქიზიყში შეკრებილი მდიდარი ლექსიკა, რომელიც დანაკლებულია ცოცხალი მეტყველებიდან აღებული ფრაზეოლოგიით, ანდაზებითა ა.უ. თქმებით. ყველა ეს საკმაო მასალას იძლევა ქიზიყურის თავისებურებათა გაათვალისწინებლად.

ქიზიყური ლექსიკა განხილულია ამავე ავტორის სადისერტაციო შრომაში: „ქიზიყური ლექსიკის ზოგადი დახასიათება“ (1945 წ.).

გ. შალამბერიძის შრომაში „კახური დიალექტის თავისებურებანი ყვარლის მეტყველების მიხედვით“¹ გაანალიზებულია ყვარლის მეტყველების ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები. გარკვეულია, რომ საერთოდ ყვარლის მეტყველება კახური დიალექტის თავისებურებებს იმეორებს, თუმცა დასტურდება თითო-ორი ისეთი ენობრივი ფაქტიც, რომლებიც ამ კუთხისთვისაა დამახასიათებელი.

შიგნიკახურის ზოგიერთ მოვლენას ესება პ. ხუბუტიას საანგარიშო ხასიათის ნაშრომი: „მოკლე ანგარიში თელავის რაიონში ჩატარებული სალექსიკოლოგიო მუშაობის შესახებ“². მიმოხილვას დართული აქვს მცირე მოცულობით კახური მეტყველების ნიმუშები.

კახურის თავისებურებათა საფუძვლზეა აგებული აგრეთვე წერილები: დავ. ჭანტურიასი — „სიტყვათა და წინადადებათა შემოკლების შემთხვევები გარეკახურში“³, ნ. ჯოხაძისა — „მევენახეობის ტერმინები შიგნი კახეთში“⁴, გ. მაქავარიანისა — „მასალები პურეულის ლექსიკისათვის შიგნი კახეთში“⁵.

ცალკე რაიონებისა და სოფლების მეტყველების მონაცემთა მიხედვით წაკითხულია კახურის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ-სინტაქსურ და ლექსიკურ თავისებურებათა შესახებ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე რამდენიმე მოხსენება, რომელთა თეზისები დაბეჭდილია. ესენია: ნათ. რაჭიშვილის — „კახურის ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებანი“⁶, გრ. ბერიძის — „სოფ. მარტყოფის მეტყველების თავისებურებანი“⁷, ე. მახარობლიშვილის — „კახური დიალექტის თავისებურებანი გურჯაანის რაიონის სოფ. ვაზისუბანში და თელავის რაიონის სოფ. ვანთაში შეკრებილი მასალების მიხედვით“⁸, ნ. გოგუაძის — „კახურის თავისებურებანი თელავის რაიონის სოფ. ნაფარეულის მეტყველების მი-

¹ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, თბილისი 1955.

² ენიმკის მოამბე, IV, ტფილისი 1939.

³ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, თბილისი 1941.

⁴ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, III, თბილისი 1948.

⁵ იგივე, V, თბილისი 1950.

⁶ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა XII სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი 1950.

⁷ სტუდენტთა XIII სამეცნიერო კონფერენცია, 1951.

⁸ სტუდენტთა XIV სამეცნიერო კონფერენცია, 1952.

ხედვით“¹, დ. ჩ ხ უ ბ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს — „კახურის მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი თელავის რაიონის მეტყველების მიხედვით“², გულნ. კ ი კ ა - დ ი ს — „კახურის მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი ილია ქავჭავაძის ნაწერებში“³, მ. ბ ა ქ ო ლ ი შ ვ ი ლ ი ს — „ფონეტიკური მოვლენები ქიზიყურში“⁴, ე. ა ფ ც ი ა უ რ ი ს — „შიგნიკახურის შილდური მეტყველების ლექსიკა“⁵, მ. გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი ს — „პურეულის კულტურასთან დაკავშირებული ტერმინები ზემო გურჯაანში შეკრებილი მასალების მიხედვით“⁶, რ. გ ო გ ი - ბ ე რ ი ძ ი ს — „მევენახეობა-მელვინეობის ლექსიკა ზემო გურჯაანში შეკრებილი მასალების მიხედვით“⁷, ნ. ს ა ა მ ი შ ვ ი ლ ი ს — „კახური კილოს ბაკურციხული მეტყველების თავისებურებანი“⁸, გ. კ ა რ ტ ო ზ ი ა ს — „კახური კილოს თავისებურებანი სოფ. გავაზის მეტყველების მიხედვით“⁹, ც. მ ი ქ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს — „მესაქონლეობის ლექსიკა შიგნიკახურში“¹⁰, მ. შ ა ი შ მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს — „საქმელ-სასმელის ლექსიკა კახურში“¹¹.

გამოქვეყნებულია კახეთში შეკრებილი საკმაო რაოდენობის ხალხური ლექსები, ანდაზები და ზღაპრები ზ. ბ ი ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს¹², თ. რ ა ზ ი კ ა - შ ვ ი ლ ი ს¹³, ვ ა ქ ი რ ე ლ ი ქ ა ლ ი ს¹⁴, ს. ე ბ რ ა ლ ი ძ ი ს ა და შ. ლ ლ ო ნ - ტ ი ს¹⁵ მიერ.

კახურის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ თავისებურებათა შესახებ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა გ. დათუკიშვილმა 1941 წელს (ხელმძღვ. პროფ. კარბ. დონდუა), ხოლო ლექსიკის შესახებ ნ. საყვარელიძემ 1954 წელს — „ილია ქავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ ლექსიკა“ (ხელმძღვ. პროფ. არნ. ჩიქობავა).

როგორც ვხედავთ, გამოკვლევები და მასალა საკმაოდ ბევრია, მაგრამ კახური დიალექტის მთლიანი მიმოხილვა ყველა კუთხის მონაცემთა საფუძველზე არა გვექონდა და არც სათანადო ტექსტები ყოფილა საკმაო რაოდენობით გამოქვეყნებული. ამ დიალექტის თანამიმდევრული შესწავლა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა 1949 წლიდან. ამ წელს მოეწყო (პროფ. ვ. თოფურიას საერთო ხელმძღვანელობით)

¹ სტუდენტთა XV სამეცნ. კონფერენცია, 1953.

² სტუდენტთა XVI სამეცნ. კონფერენცია, 1954.

³ სტუდენტთა XVI სამეცნ. კონფერენცია, 1954.

⁴ სტუდენტთა XVIII სამეცნ. კონფერენცია, 1956.

⁵ საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა IV სამეცნ. კონფერენცია, სტალინირი 1952.

⁶ იქვე.

⁷ იქვე.

⁸ ნ. ბაჩათაშვილის სახ. გორის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის სტუდენტთა VI სამეცნ. კონფერენცია, გორი 1953.

⁹ საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა VI სამეცნ. კონფერენცია, თელავი 1954.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

¹² 1883—1887 წლებში კახეთის სოფ. პატარძელში ჩაწერილი ხალხური ლექსები და ანდაზები: ძველი საქართველო, II, ტფილისი 1911 — 1913.

¹³ კახეთში შეკრებილი ხალხური ლექსები: ძველი საქართველო, III, ტფილისი 1913 — 1914. თ. რაზიკაშვილსავე აქვს შეკრებილი და გამოქვეყნებული კახური ზღაპრები: ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, ტფილისი 1909.

¹⁴ სოფ. ვაქირში შეკრებილი ზღაპრები: ძველი საქართველო, IV, ტფილისი 1914 — 1915.

¹⁵ ქიზიყის პოეტური ფოლკლორი, შეადგინეს და წინათქმა, განმარტებანი, ლექსიკონი-დაურთეს ს. ე ბ რ ა ლ ი ძ ე მ და შ. ლ ლ ო ნ ტ მ ა, თბილისი 1940.

დიალექტოლოგიური ექსპედიცია ახმეტის რაიონში. ინსტიტუტის თანამშრომლების გ. შალამბერიძის, ნ. აბესაძის, ა. მარტიროსოვისა და გრ. იმნაიშვილის გარდა ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები ნ. გიგაური, ც. კალაძე, თ. ზურაბიშვილი, ნ. რამიშვილი, მ. გუგუშვილი და ლ. ასლანიკაშვილი. დიალექტოლოგიური თვალსაზრისით სათუძღვლიანად შესწავლილ იქნა რაიონის შემდეგი სოფლები: მატანი, ქისტაური, ზემო ხოდაშენი, ოჟიო, ჩაბინაანი და რაიონის ცენტრი ახმეტა. ერთი თვის ინტენსიური მუშაობის შედეგად ექსპედიციამ შეკრიბა სხვადასხვა ხასიათის დიალექტური მასალები 60 თაბახის რაოდენობით.

უფრო ადრე, 1940 წელს, ახმეტასა და მატანში მუშაობდა და სათანადო ტექსტებიც ჩაწერა ივ. გიგინეიშვილმა.

1951 წელს გრ. იმნაიშვილი სწავლობდა კაპრეთის რაიონის მახარაძის, არაშენდასა და კაპრეთის სასოფლო საბჭოებში შემავალი სოფლების მეტყველებას. ამავე წელს ნ. აბესაძემ ანალოგიური მუშაობა ჩაატარა გურჯაანის რაიონის სოფ. ახაშენსა, ველისციხესა, ჩუმლაყსა და ზეგაანში, აგრეთვე თელავის რაიონის სოფ. იყალთოში, ხოლო ე. მახარობლიშვილმა სოფ. ვახისუბანსა (გურჯაანის რაიონი) და ვანთაში (თელავის რაიონი).

სოფ. კარდანახსა და ვეჯინში (გურჯაანის რაიონი) მასალები ჩაწერილია სტეფ. მენთეშაშვილის მიერ 1935 წელს.

1952 წელს გრძელდებოდა წინა წლებში დაწყებული მუშაობა კახურის შესასწავლად. ამჯერად ა. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი მუშაობდნენ თელავისა და ყვარლის რაიონების შემდეგ სოფლებში: შალაურსა, კისისხევსა, ქვემო ხოდაშენსა, ბუშეთსა (თელავის რაიონი), შილდასა, საბუესა, ალბატსა, ენისელსა და გრემში (ყვარლის რაიონი).

ყვარლის მცხოვრებთა მეტყველებას სწავლობდა გ. შალამბერიძე.

ამავე წელს მეორე დიალექტოლოგიური ექსპედიცია საგარეჯოსა და თბილისის გარეუბნის რაიონების შეუსწავლელ სოფლებში მოაწყო სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტმა. მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტები: ლ. ნოზაძე (სოფ. ხაშში), ც. კალაძე, მ. გუგუშვილი (სოფ. უჯარმა), ქ. შარაშენიძე, ლ. ასლანიკაშვილი (სოფ. დიდი ლილო და პატარა ლილო), გ. ბერიძე (სოფ. მარტყოფი).

1953 წელს თელავისა და ყვარლის რაიონებში მუშაობდნენ აგრეთვე უნივერსიტეტისავე სტუდენტები: მ. ძიძიშვილი — სოფ. ნაფარეულში, გულნ. კიკნაძე — სოფ. იყალთოსა, თალაურსა და შალაურში, დ. ჩხუბიანი — შვილი — ახატელსა, რუისპირსა და იყალთოში, ნ. ინასარიძე და ჟ. პოლოლიკაშვილი — სოფ. ვანთაში (თელავის რაიონი), ელ. კოშორიძე და მ. გოგიჩაიშვილი — ახალსოფელში, თ. ლომაძე — სოფ. ჭიკაანსა და კუქატანში (ყვარლის რაიონი), ივ. მჭედლიშვილი — სოფ. ანაგაში (სიღნაღის რაიონი).

ექსპედიციებს საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ახალი ქართული ენის კათედრა (გამგე პროფ. ვ. თოფურიძე), ხოლო ადგილობრივ — კათედრის დოცენტი პ. ხუბუტია, ლაბორანტი ლ. ჭეიშვილი და იაკ. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ალ. გვენცაძე.

ქიზიყურისათვის სათანადო მასალები მოპოვებულ იქნა უფრო ადრე. ქიზიყური ლექსიკის შესწავლასთან დაკავშირებით 1935 წელს სტეფ. მენთე-შაშვილს დიალექტური ტექსტები ჩაწერილი აქვს სიღნაღის რაიონის შემდეგ სოფლებში: ნუკრიანსა, ჭოტორსა, ქვემო ბოდბესა, ბოდბისხევსა, ქვემო მაჩხანსა, ტიბაანსა, ანაგასა და ვაქირში.

1947 წელს სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში დიალექტოლოგიურ დაკვირვებას აწარმოებდა გრ. იმნაიშვილი. ქიზიყური ტექსტები მის მიერ შეკრებილია სოფ. ჯაფარიძეში, ქვემო მალაროსა, წნორსა, ზემო მაჩხანსა, ქვემო მაჩხანსა, ბოდბისხევსა და ტიბაანში.

ამგვარად, მოწყობილი ექსპედიციებისა და მივლინებების შედეგად დაგროვდა დიდძალი მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც სრულ წარმოდგენას იძლევა კახური დიალექტის თავისებურებათა შესახებ.

ამ მასალების საფუძველზე დაიწერა წინამდებარე მიმოხილვა კახური დიალექტისა.

4. კახეთის მოსახლეობის შემადგენლობა. კახურ დიალექტზე მეტყველებს კახეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი. ისინი დასახლებული არიან ახმეტის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, კაჭრეთის, საგარეჯოსა და თბილისის გარეუბნის რაიონებში. საკმაო რაოდენობით სახლობენ კახელები აგრეთვე თიანეთის რაიონში. ისტორიულად მკვიდრ კახელებს წარმოადგენენ ფერეიდანში მცხოვრები ქართველებიც, რომლებიც XVII საუკუნის დასაწყისში კახეთიდან შაჰ-აბასის მიერ არიან გადასახლებული.

ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით კახური მოსახლეობა ლაგოდეხის რაიონში მცირეა. ისინი სახლობენ სულ რამდენიმე სოფელში; ეს სოფლებია: ცოდნა, ვაშლოვანი, შრომა, მშვიდობიანი, საქობო, ცოდნისკარი, ვარდისუბანი (იმერლებთან ერთად), ჩადუნია და ერეთისკარი (რუსებთან ერთად).

ლაგოდეხის რაიონში დიდი რაოდენობით დასახლებული არიან იმერლები და აგრეთვე რაჭველები, ოსები და რუსები. ამ რაიონის მცხოვრებთა მეტყველების შესწავლა სხვა მხრივაც, კერძოდ დიალექტთა ურთიერთგავლენის თვალსაზრისით, ამჟამად მიმდინარეობს.

ძირითად კახურ მოსახლეობასთან ერთად კახეთში ვხვდებით აგრეთვე ქართული ენის სხვა დიალექტების წარმომადგენლებს, რომლებიც აქ მოსულან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (ფშავ-ხევსურეთიდან, მთიულეთიდან, იმერეთიდან, რაჭვიდან და სხვ.) უმთავრესად ბატონყმობის დროს.

ხევსურები დასახლებული არიან თელავის რაიონის ბევრ სოფელში, როგორიცაა: საღებელი, ნადიკვარი, კობაძე, სეროდანი, პანტიანი და ახმეტის რაიონის სოფ. ბაკანა, ვაშლოვანი, ნაკალოვარი, ქორუბანი, საკევრე, ჩაჩხრიალა და ახშაანი.

ფშავლები საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ სოფლებში, რომელთა სახელია: ლაფაწყური, ლჩხური (თელავის რაიონი), შახვეტილა, ვეძები, ილდაკანი, ხევისკალა, ყვარელწყალი, კუწახტა, საკობიანი, ბაყილოვანი, ზემო ხალაწანი, ხორბალო (ახმეტის რაიონი) და მექნისცერი (ყვარლის რაიონი).

ხევსურები და ფშავლები ერთად სახლობენ ახმეტის რაიონის რამდენიმე სოფელში, როგორიცაა: ქართალა, ბულაანი, ინგეთი, იფნისგორა და

თელავის რაიონის სოფ. თეთრი წყლები (გუდამაყრელებთან და მთიულებთან ერთად, სულ 120-მდე კომლია).

წითელწყაროს რაიონის სოფ. ქვემო ქედის მცხოვრებთა უმრავლესობას დუშეთისა და თიანეთის რაიონებიდან გადმოსული ფშავლები წარმოადგენენ, რომელთა აქ დასახლება დაიწყო 1900 წლიდან ვაჟა-ფშაველას ინიციატივით. 1952 — 53 წლებში ამ სოფელში დასახლდნენ აგრეთვე ხევსურები.

ფშავლები და ხევსურები ცხოვრობენ აგრეთვე ამავე რაიონის სოფ. არხილოსკალოსა და ზემო ქედში.

საერთოდ ქედის ზონის მოსახლეობა (სოფ. ქვემო ქედი, ზემო ქედი, არხილოსკალო) მეტად ნარევიანია. ფშავლებისა და ხევსურების გარდა აქ ვხვდებით დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებიდან გადმოსულ მთიულებსა და მოხვევებს, არიან აგრეთვე გადმოსახლებულნი ქსნის ხეობიდან. ნარევი ხასიათისა ამის გამო აქაურ მცხოვრებთა მეტყველებაც. ქვემო ქედში წამყვანი მაინც ფშაური კილო ჩანს, ხოლო არხილოსკალოში მთიულური ქაბობს.

საგარეჯოს რაიონის სოფ. თარეჯის მოსახლეობა შედგება მთიელ-გუდამაყრელთა და ფშაველთაგან, რომლებიც გადმოსახლებულან მთიდან¹.

კახეთში თუშური სოფლებია: ომალო (მთათუშეთში), ქვემო ალვანი, ბირკიანი (ახმეტის რაიონში) და ლალისყური (თელავის რაიონში).

იმერლები კომპაქტურად დასახლებული არიან ლაგოდეხის რაიონის სოფლებში, რომელთა სახელებია: კავშირი, გურგენიანი, გელათი, ბაისუბანი, ქვემო და ზემო მსხალგორი, პატარა გორი, თელა, აფენი, გვიმრიანი, ფოდაანი, ჭაბუკიანი, ლელიანი, ბებურიანი, ქალქვა, ნაშესრალი, ცოდნისკარი, ვარდის-უბანი, თამარიანი, ყარსუბანი, ნაწისქვილარი, ნენდროვალი და ყვარლის რაიონის სოფ. ბაღლოჯიანი.

რაჭველები სახლობენ სხვადასხვა რაიონის სოფლებში, როგორცაა: რაჭისუბანი, გელათი, ორჯონიკიძე (ლაგოდეხის რაიონში), ვარდისუბანი (თელავის რაიონში), ახშანი და საჩალე (ახმეტის რაიონში).

ინგილოები არიან სოფ. სამთაწყაროში (წითელწყაროს რაიონი), ჯავახელები — სოფ. ხიზაში (ლაგოდეხის რაიონი), მთისძირსა და სანავარდოში (ყვარლის რაიონი), ხოლო ლეჩხუმლები — კონდოლში, ოუისპირსა და ართანაში.

კახეთში ქართველებთან ერთად შიგადაშიგ სახლობენ აგრეთვე არაქართული ენის წარმომადგენლები: რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, ბერძნები, უდები, ქისტები და წოვათუშები (ბაცებები).

რუსულ მოსახლეობას ვხვდებით წითელწყაროში, ასევე ლაგოდეხის რაიონის რამდენიმე სოფელში. ეს სოფლებია: ჩაღუნიათი, ერეთისკარი, კალინოვკა, ულიანოვკა, ბუდიონოვკა, სეობოდნოე, სიღნაღის რაიონში სოფ. ულიანოვკა და თბილისის გარეუბნის რაიონში სოფ. კალინოვკა.

იმერლებთან ერთად რუსებთან დასახლებული ლაგოდეხის რაიონის ორი სოფელი: თამარიანი და ნენდროვალი.

სომხები ნაწილობრივ სახლობენ რაიონის ცენტრებში: თელავში, ყვარელსა, სიღნაღსა, ლაგოდეხსა და წითელწყაროში. მათი აქ დასახლების ისტორია საკმაოდ ძველია. ადათ-ჩვეულებითა და რიგ შემთხვევებში სარწმუნო-

¹ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, ტფილისი 1925, 83. 58.

ნოებთაც კი აქაური სომხები არ განსხვავდებიან ქართველებისაგან. ისინი ჩვეულებრივ ქართულ ენაზე (კახურ დიალექტზე) მეტყველებენ, რადგანაც უმრავლესობას დროთა ვითარებაში დავიწყებული აქვს მშობლიური ენა.

აზერბაიჯანელები ცხოვრობენ კახეთის ორ სოფელში: ყარაჯალასა (თელავის რაიონი) და კაბალში (ლაგოდეხის რაიონი).

ოსური მოსახლეობა ცალკეც გვხვდება და ქართველებთან ერთადაც. ოსებით დასახლებულია ახმეტის რაიონის შემდეგი სოფლები: ახალდაბა, ოსიაური, ახშისველები, ჩაბინაანი, არაშენდა, ნადუქნარი, საბუე, ქორეთი, დუმასტური, ქვემო ხალაწანი, ფიხხოვანი, არგოხი, ახშაანი (რაჭველებთან და ხევსურებთან ერთად), ნაკალოვარი (ხევსურებთან ერთად), ჩაჩხრიალა (ხევსურებთან ერთად), ლაგოდეხის რაიონში სოფ. განათლება, ფონა, ქვემო ხეჩილი, დონა, ფიჩხისბოგირი, ლაფნიანი, გუჯარეთი, ვერხვისმინდორი, არეშფერანი, ბოლქვი, ხოშატიანი, ქალქვა, ნანესრალი თელავის რაიონის სოფ. ჯულაანი, გურჯაანის რაიონის სოფ. ყიტაანი და ყვარლის რაიონის სოფ. წიწკანაანთსერი.

ბერძნები სახლობენ წითელწყაროს რაიონის სოფ. ქვემო ქედში (ფშაველებთან ერთად). ისინი აქ გადმოსული არიან წალკისა და დმანისის რაიონებიდან. მათ დავიწყებული აქვთ მშობლიური ენა და მეტყველებენ უმთავრესად თურქულ ენაზე, იციან ქართულიც.

სვანები (8 კომლამდე) დიდი ხანი არ არის, რაც დასახლდნენ სოფ. კახიფარში, გურჯაანის რაიონში. ისინი გადმოვიდნენ მესტიის რაიონიდან. სვანეთიდან გადმოსვლის აღსანიშნავად სოფლისათვის დაურქმევიათ **კახიფარი**, რომელიც შედგება **კახეთისა** და **სვანეთის სოფელ იფარი** სსხელწოდებათაგან.

უღების სოფელია ოქტომბერი (ყვარლის რაიონში), ქისტებისა — დუისი, ჯოყოლო, ომალო და შუა ხალაწანი, ხოლო წოვათუშებისა — ზემო ალვანი (ახმეტის რაიონში).

ასეთია არაამომწურავი ცნობები სხვა ქართული დიალექტებისა და არაქართული ენების წარმომადგენელთა განლაგების შესახებ კახეთში¹. აქედან ჩანს, რომ ამჟამად კახეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ენობრივი თუ დიალექტური თვალსაზრისით საკმაოდ ნარევია. გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი სიჭრელე მოსახლეობისა საგრძნობი იყო კახეთის ისტორიის ადრინდელ პერიოდშიც, XVII საუკუნეში, როდესაც განსაკუთრებით ხშირად ჰქონდა ადგილი მოსახლეობის ერთი ადგილიდან აყრასა და მეორეგან დასახლებას.

ისტორიიდან ცნობილია, რომ საქართველოში შაჰ-აბასის მეორე შემოსევისას, 1616 წელს, კახეთმა მთელი თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა. ას ათასამდე კაცი მტერს შეაკვდა, ამდენივე ტყვედ წაიყვანეს ყიზილბაშებმა და შიდა ირანის სხვადასხვა კუთხეში დაასახლეს. მტერმა დაწვა, დაანგრია და გაანადგურა, რასაც კი მისწვდა. ნანგრევებად იქცა ქალაქები, სასახლეები, ფერფლად იქცა სოფლები. აოხრებულ და დაცარიელებულ ქვეყანაში შაჰმა თურქმან მომთაბარეთა ჩასახლება ბრძანა. სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში განჯის ხანმა აღარბადაგანიდან თურქმანთა დიდი ურდოები ჩამოასახლა კახეთში. მათ დაიქირეს ბახტრიონი, ალავერდი და სხვა მნიშვნელოვანი ადგილები. ამოწყვეტილი ან ირანში გაძევებული კახური მოსახ-

¹ ერთი ნაწილი ამ ცნობებისა მოგვაწოდეს დოცენტებმა ალ. გვენცაძემ და გრ. გაბედავამ.

ლეობის ადგილს დაღესტნიდან გადმოსახლებულნიც იჭერდნენ, რომლებიც სისტემატურად არბევდნენ კახეთის სოფლებს¹.

მიუხედავად ამგვარი ბედუკულმართი ისტორიული პირობებისა, მკვიდრი კახური მოსახლეობა მაინც მთლიანობას არასოდეს კარგავდა, ამის გამო დროთა ვითარებაში დიალექტურ მთლიანობას მტკიცედ ინარჩუნებდა კახური კილოც. შეიძლება ითქვას, რომ მას არსებითად თითქმის არავითარი გავლენა არ განუცდია არც არაქართული ენებისა, რომლებიც ამჟამად კახეთში გვხვდება, და არც სხვა ქართული დიალექტებისა, პირიქით, ირკვევა, რომ თვითონ იყო მათ მიმართ ძლიერი ზემოქმედების წყარო. კახურის გავლენის შედეგად კახეთში მცხოვრები იმერლებისა და რაჭველების მეტყველებაში თითქმის წაწლილია ამ დიალექტთა თავისებურებანი. კახურშია გათქვეფილი აგრეთვე ზოგი სხვა კილოს დამახასიათებელი მოვლენებიც. ამას ადასტურებს როგორც XV—XVIII სს. ისტორიული საბუთების ენა, ისე აქ გავრცელებული დიალექტების მონაცემები.

5. კახურის მიმართება ქართლურთან და სხვა აღმოსავლურ დიალექტებთან. ქართული ენის სხვა დიალექტთა შორის კახურს, ქართლურთან ერთად, მთავარი ადგილი უჭირავს. მნიშვნელოვანია მისი როლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. იგი ქართლურთან ერთად საფუძველს შეადგენს თანამედროვე სალიტერატურო ენისას და მისი ერთ-ერთი მასაზრდოვებელი წყაროთაგანია.

კახური დიალექტი აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი. ქართლურის შემდეგ იგი ყველაზე მსხვილი დიალექტური ერთეულია ქართული ენისა.

მიუხედავად ფართო გავრცელებულობისა, კახური ძირითადად თითქმის ყველგან ერთნაირია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცალკეულ მოვლენებს, რომელთაც მეტ-ნაკლებად ავლენს ზოგიერთი კუთხის მეტყველება. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია სიღნაღისა და ნაწილობრივ წითელწყაროს რაიონების მოსახლეობის მეტყველება, რომელიც საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულადაც კი არის მიჩნეული ქიზიყურის სახელწოდებით.

მართლაც, ქიზიყურ მეტყველებას ახასიათებს კახურისაგან განსხვავებული ზოგი თავისებურება, უმთავრესად არქაიზმები (ჭ ბგერის შემონახვა, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესის უფრო მეტად განვითარება, ნამყო წყვეტილის ხოლმეობითის ხმარება და სხვ.). მაგრამ ეს გარემოება გადამწყვეტი მნიშვნელობისა ვერ იქნება კახურისაგან ქიზიყურის გამოსაყოფად, რადგანაც ეს არქაიზმები, რომლებიც უფრო ადრე ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული, ამჟამად შემონახულია უმთავრესად ქიზიყის მთიან ადგილებში ან ამ ადგილებიდან ბარში გადმოსახლებულთა მეტყველებაში, სხვაგან კი სალიტერატურო ენის ძლიერი გავლენით თუ სხვა მიზეზით თითქმის აღარ გვხვდება. დაეძინო, რომ ზემოდასახელებული მოვლენები თავის დროზე შიგნი- და გარეკახურის დამახასიათებელიც იყო, რამდენადაც საამისო ფაქტები აქა-იქ, კახეთის ზოგი კუთხის მეტყველებაში დღესაც დასტურდება.

¹ 6. ბერძენი შვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედაქციით, მეორე, შესწორებულ-შეესებული, გამოცემა, თბილისი 1946, გვ. 335, 348.

აღმოსავლურ კილოთაგან კახური ყველაზე ახლოს ქართლურთან დგას და ეს ბუნებრივიცაა მათი ტერიტორიული სიახლოვისა და ისტორიულად პოლიტიკურ-ეკონომიური ერთიანობის გამო. ორივე ეს დიალექტი საფუძვლად დაედო ახალ ქართულ სალიტერატურო ენას.

კახურთან ბევრი საერთო მოეპოვება აგრეთვე არაქართულ გარემოში მოქცეულ ინგილოურსა და ფერეიდნულს, რომლებიც ისტორიულად კახურ-ქიზიყურის ადრინდელ სახეს წარმოადგენენ.

კახურისა და ქართლურის ურთიერთმიმართებაზე შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენის არც ერთი დიალექტი არ არის ისე ახლოს ერთიმეორესთან, როგორც კახურია ქართლურთან. ბგერითი შედგენილობით კახური, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჯ ბგერას, არ განსხვავდება ქართლურისაგან, ხოლო ფონეტიკურ-გრამატიკული მოვლენებისა და ლექსიკის მხრივ კახურს უფრო მეტი საერთო მოეპოვება ქართლურთან, ვიდრე ერთად აღებულ ყველა სხვა აღმოსავლურ კილოსთან, თუმცა კახურში არსებულ ბევრ მოვლენას მეტ-ნაკლებად ვხვდებით რიგ სხვა აღმოსავლურ დიალექტებშიც.

ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია ის, რომ ორსავე კილოში ერთნაირად ხდება გარკვეულ კომპლექსებთან დაკავშირებული დისიმილაციური ხასიათის სუბსტიტუცია: **ოა || ოვა → უა, ოე || ოვე → უე, ეა → ია.**

ხმოვანთა და თანხმოვანთა ასიმილაციის საკითხშიც კახური გვერდით უდგას ქართლურს. ორივეგან ასიმილაციის ყველა სახეს ვხვდებით, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ისე ფართოდ გავრცელებული, როგორც ეს გვაქვს სხვა აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებში. ამ მხრივაც კახური და ქართლური ძალიან ახლოს დგას სალიტერატურო ქართულთან და უპირისპირდება ისეთ კილოებს, როგორიცაა: გურული, იმერული, აქარული, რაქული, მესხურ-ჯავახური, ფერეიდნული, ინგილოური და სხვა. კახურში, ისევე როგორც ქართლურში, მაასიმილირებელ ძალას იჩენს ვენებითისა თუ ფუძისეული **ე**, რომელიც ხშირად ავიწროებს და სრულიად იმსგავსებს მის წინამავალ ზმნისწინისეულ **ა** და **ო** ხმოვნებს, მაგრამ პროცესი ჩვეულებრივ ასიმილაციას არ სცილდება. თითქმის არ გვხვდება ასიმილაციის შემდეგ დისიმილაციის შემთხვევები, თუ არ მივიღებთ ზოგიერთ იშვიათ გამონაკლისს, რომელიც არ არის დამახასიათებელი ამ კილოებისათვის.

კახურსა და ქართლურში ერთფეროვანია აგრეთვე თანხმოვანთა მეტათეზისი და სუბსტიტუცია (ქრმის ← ქმრის, ხლმით ← ხმლით, გახხნა ← გახსნა... სამთელი ← სანთელი, სამსე ← სავსე, რამთენი, რამტენი, რამტელი ← რამდენი...).

ბგერათა კომპლექსების განარტივება, თანხმოვანთა შორის **რ-სა** და **ლ-ს** მერყეობა და დაკარგვა, თავიიდური თუ ბოლოკიდური **მ-ს** მოკვეცა და ბგერათა დაკარგვის ბევრი სხვა შემთხვევა თითქმის სულ ერთნაირია.

ორივე დიალექტში თითქმის სულ ერთსა და იმავე მაგალითებში ვხვდებით სიტყვის თავში **მ-ს** დართვისა და ხშულ-მსკდომთა წინ **მ** და **ნ** ნაზალების ფიზიოლოგიურ საფუძველზე განვითარების შენახვევებს (მცა, მბალი, მღევი, მძვალი... ბრუნდე, შეკამანდი, სუმბუქი...) და სხვ.

მორფოლოგიიდან საერთო მოვლენები საკმაოზე მეტია. ნათესაობითი ბრუნვის **-ს** ელემენტი პრეპოზიციულ მსაზღვრელებს ხშირად ეკვეცება კახურსა და ქართლურში (დაჯდა წყლი პირსა). ეგვევ ითქმის მიცემითი ბრუნვის **-ს** ნიშნის მოკვეცის შესახებაც ბოლოთანხმოვნიან სახელებთან, როცა ისინი

წინ უსწრებენ შემასმენელს. ნათესაობით ბრუნვაში დაკენებული მსაზღვრელი თითქმის ყოველთვის დაირთავს ემფატიკურ ა ხმოვანს, თუ ის საზღვრულის შემდეგ გვევლინება. მოთხრობითში ბოლოხმოვნიანი სახელებიც ზოგჯერ -მა დაბოლოებას იყენებენ (მამიდაშა თქვა). თითქმის თანაბრად ენაცვლება მოქმედებითს ან ვითარებითს მოქმედებითს არქაული სახეობა -ივ საწარმოებლით (გალმივ, უეცრივ).

კახურში, ისევე როგორც ქართლურსა და აგრეთვე ზოგიერთ სხვა აღმოსავლურ დიალექტში, -თვის და -მდე || -მდის თანდებულები ხშირად იხმარება -თვინ, -თვი, -ტვინ და -მდინ, -მდისინ || -მდისი სახითაც.

საერთოა ისეთი ნაცვალსახელები და ზმინისართები, როგორცა: ეგე, აგე, ეგეთი, აგეთი, იგეთი, ესემე, ისემე, ენდე, ინდე, ემდე, აჰანდე და სხვ. დაახლოებით ერთნაირად შეინიშნება აწმყოს თემის (-აგ, -ეგ, -ოგ, -ობ) სუფიქსთა თანხმოვნითი ელემენტების შიდრეკილება გაერთფეროვნებისაკენ (გამონაკლისია ამ მხრივ ყვარლის რაიონის მეტყველება). ამ ტენდენციის შედეგია, რომ აწმყოს თემის სუფიქსთა შორის გაბატონებულია ამ (← -აგ). იგი დაერთვის მარტივფუძიან, -ო თემისნიშნიან და ფუძედრეკად ზმნებსაც (ტეხამს, გლიჯამს...). მასდარში კი ყველგან გ გვევლინება (ტეხვა, წერვა).

თურმეობით პირველში -ი-ა გვხვდება -აგ და -ამ თემის ნიშანთა ადგილას. ამ მხრივ უნიფიკაცია შეიმჩნევა სხვა დიალექტებშიც.

ორსავე კილოში უნიფორმაციის ტენდენცია ჩანს თურმეობითი მეორისა და კავშირებითი მესამის წარმოებაშიც. აბსოლუტური ვნებითების მსგავსად რელატიურ ვნებითებთანაც გავრცელებულია -იყო მეშველი ზმნა ოდა სუფიქსის ნაცვლად (ჰქონიყო, ჰქონიყოს, დახმარებოყო, დახმარებოყოს). ხშირად ერთნაირად გვევლინება -ნ სუფიქსი თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში (დაუწერნია, უყიდნია... დეცახნა, გველუნა...).

ნამყო წყვეტილის პირველსა და მეორე პირში -გ სუფიქსის ნაცვლად -ე-გ-ო (|| → -ე-ი) დაბოლოება დამახასიათებელია უმთავრესად კახურისა და ქართლურისათვის (ვიყიდვევი, ვკითხვევი, გავაკეთევი...). ორივე დიალექტის სპეციფიკაა აგრეთვე ნამყო წყვეტილში გარდაუვალ ზმნებთან და ნამყო უწყვეტელში ყველა ზმნასთან მრავლობითი რიცხვის მესამე პირში -ნენ სუფიქსის გამოყენება, რაც ამ კილოების მეშვეობით დამკვიდრებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც.

საკირთა აღინიშნოს, რომ კახურს მოეპოვება ისეთი ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებანი, რომლებიც რიგ კილოებში, მათ შორის ქართლურშიც, ან სრულებით არ გვხვდება, ან მხოლოდ ნაწილობრივ იჩენს თავს. ნაგ., კახურში (განსაკუთრებით თელავისა და ახმეტის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაში) შეინიშნება თავისებური ინტონაცია, რაც თვალსაჩინოდ განსხვავებულია ქართლურსა და სხვა კილოებში არსებულისაგან. ნაწილობრივი განსხვავება მახვილშიც იგრძნობა.

მთის კილოებში შემონახული ჯ ბგერა, რომელიც დღესაც ცოცხალია ქიზიყურში და აგრეთვე აქა-იქ გვხვდება ყვარლისა და კაჭრეთის რაიონების სოფლებშიც, სრულიად არა გვაქვს ქართლურში, თუ ზედელოებაში არ მივიღებთ ქსნისა და არაგვის ხეობის ზოგიერთი ქართლური სოფლის მოხუცთა მეტყველებას. ს-ს იოტიზაცია მეტ-ნაკლებად ქართული ენის ბევრი დიალექტისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ არც ერთ კილოში ეს პრო-

ცესი ისე შორს. არ არის წასული, როგორც კახურში, განსაკუთრებით ქიზიურში. ა აქ ლამობს ფონემის უფლების მოპოვებას.

სასხვისო ქცევისა თუ ფუძისეული უ კახურში ჩვეულებრივ იმსგავსებს მხოლოდ ზმნისწინისეულ ი-ს, თუ ეს უკანასკნელი მას უშუალოდ წინ უსწრებს, ქართლურში კი ეს მოვლენა არ შეინიშნება.

ოვი კომპლექსში ვ-ს დაკარგვა, ფუძისეულია იგი თუ პრეფიქსისეული, მოდებულია მთელ კახურში, ქართლურში კი მხოლოდ არაგვისა და ფრონის ხეობაში დასტურდება და ისიც სპორადულად. ეს მოვლენა ხშირია აგრეთვე ფერეიდნულში, ინგილოურსა და მთიულურში.

-დამ თანდებული, რომელიც მეტად იშვიათად იხმარება ქართლურში, ამჟამადაც ხშირად გვხვდება კახურში, გვაქვს მთიულურსა და სხვა აღმოსავლურ დიალექტებშიც.

ზმნისწინებიდან კახურში თითქმის დამკვიდრებულია წესი, რომ პირველ ობიექტურ და აგრეთვე მეორე და მესამე სუბიექტურ პირთან (თუ ზმნა ხმოვნით იწყება) გექონდეს მა- ნაცვლად მო- პრევერბისა (მამცა, მაიყვან, მაიყვანს...), ხოლო პირველ სუბიექტურ და მეორე ობიექტურ პირთან იყოს მო- (შე მოიყვან, მოგცა...). ასეთი ვითარება ქართლურში მხოლოდ ნაწილობრივ შეიმჩნევა.

ნამყო წყვეტილის ხოლმეობითის ფორმები კახურში აქა-იქ შემონახულია, ხოლო კახეთის ერთ კუთხეში (ქიზიურში) ამჟამადაც ცოცხალია. იგი სრულიად არ გვხვდება ქართლურში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ არაგვის ხეობის ზოგიერთი ქართლური მოსახლეობის მეტყველებას, სადაც მთიულურის გავლენით ზოგჯერ გამოვლინდება ხოლმე.

კახურის დამახასიათებელ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ -ეგ სუფიქსიან ფუძედრეკად ზმნათა ნამყო წყვეტილში ვ-ს შემონახვა (დალივა, დახივა, შეეჩვივა, წავეპცივე...). ამ დიალექტისათვის თავისებურია აგრეთვე მესამე პირის პირდაპირი და ირიბი ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა ზმნაში -ყე II -კე ნაწილაკით ან -თ სუფიქსით (წავასხამდიყე მონადირეფეს, დააშველეფკე იმათ, ბიქმა ნათესავები წაიყვანაყე, ვეზირმა უთხრათ მხლებლებს...), მეორე ობიექტურ პირთან ამ სუფიქსების ერთდროულად გამოყენების შემთხვევები (მე თქვენ გაგასამართლეფთყე II გაგასამართლეფთყე) და -ყე II -კე-ს თანდათანობით შეცვლა მრავლობითობის -თ სუფიქსით (მან მისწერათ მშობლეფს; ის ეუბნებათ ამხანაგეფს).

კახური განსაკუთრებით განსხვავდება ქართლურისა და სხვა აღმოსავლური კილოებისაგან ლექსიკით.

ამგვარად, კახურს მოეპოვება რიგი საკუთარი მოვლენები ფონეტიკასა, გრამატიკასა და ლექსიკაში, რაც მას სხვა თავისებურებებთან ერთად ანიჭებს ცალკე დიალექტად არსებობის უფლებას. ამავდ დროს ბევრი საერთო მოვლენა უდავოს ხდის მის სიახლოვეს ქართლურთან.

6. კახური დიალექტური მოვლენები XV—XVIII სს. ისტორიულ საბუთებში. XV—XVIII საუკუნეთა მანძილზე კახეთში შედგენილია მრავალი ისტორიული დოკუმენტი, რომლებშიც ასახულია მაშინდელი საქართველოს ამ კუთხის სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების მრავალი დარგი. შინაარსის მიხედვით ეს დოკუმენტები წარმოგვიდგენენ ბატონისა და ყმა გლეხის ურთიერთობას, სამართალს, მიწისმფლობელობის წესებს, ეკონო-

შიური ისტორიის ისეთ დარგებს, როგორცაა: ხელფასი, ქირა, ფასები, ქონება, ვალი, ვაქრობა, სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი და სხვ.

საზოგადოდ საბუთების ენას თუმცა ერთგვარი შაბლონურობა ახასიათებს, მაგრამ იგი მაინც თავისუფალია სალიტერატურო ენის მტკიცე ნორმებისაგან და ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას მისდევს. ზეპირი მეტყველების ფორმათა სიხშირე გამოწვეულია აგრეთვე საბუთების შედგენის სპეციფიკურობით: ბევრი მათგანი დაწერილია არამდივან-მწიგნობრის მიერ და ამიტომ ენა უმეტესად არალიტერატურულია. ამით აიხსნება, რომ კახეთის ისტორიულ საბუთებში მდიდრადაა წარმოდგენილი კახურის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებანი, რაც საშუალებას იძლევა ქრონოლოგიურად თვალყური ვადევნოთ დიალექტურ მოვლენათა განვითარებას XV—XVIII საუკუნეთა მანძილზე. ამ რიგის მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ქართული ენის ისტორიისა და კერძოდ ისტორიული დიალექტოლოგიისათვის.

საბუთებია ენის შესწავლით ირკვევა, რომ ამჟამად კახურში შენიშნულ დიალექტურ მოვლენებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვთ. მათი ხმარება დოკუმენტურად დასტურდება უკვე XV—XVIII საუკუნეებში. ამ მოვლენათაგან აღვნიშნავთ ზოგიერთს; სახელდობრ ფონეტიკიდან:

ზმნაში პრეფერბისეული ხმოვნის ასიმილაცია გვაქვს ფუძისეულ ე-სთან; მაგ.: გეელო, გეევიდნა (1749 წ., დოკ. 423), დეეწერნა (1782 წ., საეკლ. საბუთ. 145) და სხვ.

ფუძისეულ და პრეფიქსისეულ ს-ს ასიმილაცია მოსდის მოძღვენო მქლერ თანხმოვანთან; მაგ.: მზგავსა (1627 წ., სიძვ. III, 538)... წამოზდაეებოდა (1707 წ., საბუთ. V, 9) და სხვ.

დისიმილაციის შემთხვევებია, მაგ.: ბევრჯელ (1751 წ., სიძვ. III, 462), ორჯელ (1809 წ., მასალ. 271)... ანბავი (1748 წ., დოკ. 421), უანბევით (1725 წ., საეკლ. საბუთ. 89), ბანბის (1797 წ., მასალ. 144) და სხვ.

გავრცელებულია ეა კომპლექსის ცვლა ია-დ და ია-ს გადასვლა უა-დ; მაგ.: თან იახელ (1740 წ., სიძვ. III, 455), თელავს გი იახელით (1785 წ., გუჯ. 163)... მუახლე (1716 წ., დოკ. 388), გამუაჩინეს (1757 წ., საეკლ. საბუთ. 260), გიუა (1746 წ., საბუთ. V, 65), პაპუა (1744 წ., დოკ. 411), ბერუა (1724 წ., საბუთ. V, 37) და სხვ.

ვა კომპლექსის ო-დ შერწყმის ნიმუშებია: გამოვართო (1750 წ., დოკ. 423), ვააო და ვაქამო (1725 წ., იქვე, 394), გაუშონ (1750 წ., სიძვ. III, 135), ცხორსა (1643 წ., საეკლ. საბუთ. 266) და სხვ.

საყურადღებოა მეტათეზისისა და ბგერათა შენაცვლების ასეთი შემთხვევები: ხლმით (1738 წ., დოკ. 401)... ნეფე ერეკლეს (1744 წ., იქვე, 411), მარიანობის თვეს (1737 წ., იქვე, 400)... კიდემ (1700 წ., დოკ. 375)... ამთენი (1711 წ., საეკლ. საბუთ. 39), რამთენი (1810 წ., მასალ. 295)... სამძღვარი (1700 წ., დოკ. 374) და სხვ.

აქაც გვხვდება თანხმოვანთა კომპლექსების გამარტივება; მაგ.: სადლე-გძელოთ (1738 წ., დოკ. 401), ბძანება (1710 წ., სიძვ. III, 194), საზდელი (1597 წ., ქრონიკ. II, 430), გაზდილმან (1704 წ., დოკ. 376) და სხვა მრავალი.

იშორია ს და ვ თანხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები; მაგ.: დავიწარით (1749 წ., დოკ. 423), ასათაშვილებისათვი (1696 წ., იქვე, 374), შემომიწირავ (1742 წ., იქვე, 480)... წარუალსა (1733 წ., საბუთ. V, 46), დააშაოს (1750 წ.,

სიძე. III, 136), იშობოდა (1748 წ., დოკ. 419), მაქს (1742 წ., იქვე, 408) და სხვ.

სპეციფიკურია ხმოვნის კუმშვა და კვეცა ისეთ ფუძეებში, რომელთაც სალიტერატურო ენაში ხმოვნის რედუქცია ჩვეულებრივ არ მოსდით; მაგ.: ალავერდლის (1700 წ., დოკ. 375), ბოდბლის (1746 წ., იქვე, 416), საბოდბლოში (1777 წ., გუჯ. 87)... ონოფრის ყმა (1724 წ., საბუთ. V, 37) და სხვ.

მორფოლოგიურ მოვლენათაგან აღსანიშნავია ხმოვანზე დამთავრებულ საკუთარ სახელთათვის წოდებითში ბრუნვის ნიშნის დართვა; მაგ., წინამძღვარო თომაგ (1782 წ., საეკლ. საბუთ. 139).

საბუთებში ხშირადაა გამოყენებული -დამ თანდებული, რომელიც ამჟამად კახურში ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს; მაგ.: სოფლიდამ (1789 წ., საეკლ. საბუთ. 269), ციხიდამ (1704 წ., დოკ. 378), კარიდამ (1747 წ., იქვე, 417) და სხვ.

ფუძედრეკადი ზმნის ნამყო წყვეტილსა და კავშირებით მეორეში -ეგ-ის მონაცვლე -ივ სუფიქსისა შემონახული; მაგ.: აძლივა (1781 წ., საბუთ. V, 98), მოვაწივე (1776 წ., საბუთ. V, 86), ამოარჩივეთ (1789 წ., საეკლ. საბუთ. 269) და სხვ.

-ე სუფიქსიან ზმნებს ნამყო წყვეტილის პირველსა და მეორე პირში -ე-ვ-ი დაბოლოება აქვს; მაგ.: ავიღევით (1746 წ., საბუთ. V, 65), დააგდევით (1736 წ., დოკ. 397), ჩაგვიგდევით (1747 წ., იქვე, 417) და სხვ.

ინ-ენიანი ვნებითი გვარის ზმნებს მეორე სერიის მრავლობითის ფორმებში რიცხვის ნიშნის წინ -ენ სუფიქსი მოეპოვებათ: შემოგახვეწენით (1722 წ., საბუთ. V, 35), თქვენ გეყმენით (1773 წ., იქვე, 84), შევეწირენით (1750 წ., დოკ. 423), ვერწმუნენით (1780 წ., საბუთ. V, 96), ემსახურენით (1746 წ., დოკ. 416) და სხვ.

თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში რელატიურ ვნებით ზმნებთან -იყო მეშველი ზმნაა გამოყენებული, ნაცვლად -ოდა სუფიქსისა; მაგ.: დაგვევიყო (1748 წ., დოკ. 421), სჭერიყოხ (1704 წ., იქვე, 377), ჰქონიყოხ (იქვე) და სხვ.¹

ისტორიულ საბუთებში შენიშნული ესა და ყველა სხვა დიალექტური ხასიათის ფონეტიკური თუ მორფოლოგიური მოვლენა სავსებით დასტურდება დღევანდელ კახურში. ეკვი არაა, რომ მეტი წილი დიალექტიზმებისა ამ დოკუმენტებში უშუალოდ კახურის გავლენის შედეგია.

7. კახური დიალექტური მოვლენები მწერალთა ენაში. კასეთიდან გამოსული გამოჩენილი მწერლები თეიმურაზ პირველი, არჩილი, თეიმურაზ მეორე, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი, იროდიონ ევდოშვილი და სხვები, ხოლო თანამედროვეთაგან გიორგი ლეონიძე, სანდრო შანშიაშვილი, მიხეილ მრეველიშვილი და სხვები თავიანთ ნაწერებში არცთუ იშვიათად მიმართავენ და მიმართავენ კახურ სასაუბრო მეტყველებას. ისინი ოსტატურად არჩვენ და ზოგიერად იყენებენ სათანადო დიალექტურ მასალას სალიტერატურო ენის განვითარების საერთო ტენდენციის შესაბამისად და ლექსიკური ერ-

¹ დაწვრილებით განხილულია ა. მარტიროსოვის შრომაში „დიალექტიზმები. XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში“. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV: თბილისი 1952, გვ. 239 — 270.

თულებით თუ გრამატიკული ფორმებით ამდიდრებენ ერთიან სალიტერატურო ენას.

აღორძინების ხანის მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლებს თეიმურაზ პირველს, არჩილს, თეიმურაზ მეორეს სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა მოუხდათ ქართული ლიტერატურული ენის განვითარების მეტად მნიშვნელოვან ხანაში. ამ პერიოდის სალიტერატურო ენაში, როგორც ცნობილია, მძლავრად იჭრება აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლურისა და კახურის ცოცხალი მეტყველების ნაკადი, რაც თანდათანობით ცვლის ძველი ქართული ენის დამახასიათებელ ფორმებს. საერო ლიტერატურის განვითარებისა და სამწერლობო ენის საერთო-სახალხო სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოების წყალობით ლიტერატურული ენა თანდათანობით ახალი ქართულის სახეს იღებს.

ამ ეხრივ განსაკუთრებით პროგრესული იყო დავით გურამიშვილი, რომელმაც ფართოდ გაუქაფა გზა ქართულ ლიტერატურაში ხალხურ ენას.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, სხვა მწერლებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ლიტერატურული მოძრაობის მეთაურის არჩილისა და მის მიმდევართა საქმიანობას. არჩილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სასაუბრო მეტყველებასთან სალიტერატურო ენის დაახლოებას და თანამიმდევრულად იბრძოდა მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის. არჩილს, თეიმურაზ პირველსა და თეიმურაზ მეორეს პოეტური შემოქმედების მეოხებით გაბედულად შემოჰქონდათ და სალიტერატურო ენაში ამკვიდრებდნენ ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმებს. მათ თხზულებათა ენაში ფართოდ გასაქანნი პოემა ისეთმა დიალექტურმა მოვლენებმა, რომლებიც ამჟამადაც დასტურდება კახურ დიალექტში.

საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს მხოლოდ ფონეტიკური მოვლენებიდან. ესენია: ასინილაციისა და დისინილაციის ცნობილი ფაქტები: რას ნახვენ, რეებსო! (თეიმ. II, 57); აზგაგასა (არჩ. II, 3), ბახჩასა (თეიმ. I, 60)... ვანბობ (არჩ. I, 61), ბუნბულ-საბნად (თეიმ. I, 69), ორჯელა (თეიმ. II, 64) და სხვ. მეტათეზისისა და სუბსტიტუციის შემთხვევები: ხლმით (თეიმ. II, 88), მადრიელნი (არჩ. II, 31)... საგძალი (იქვე, 77), სარჯელი (თეიმ. I, 44), ამთენი (იქვე, 112), რამთენია (არჩ. I, 145) და სხვ.

თანხმოვანთა შერწყმა და ვა კომპლექსის ო-დ ცვლა: ჩემაგიერად (არჩ. I, 127), მე რალა მართებს? (იქვე, 142); ამა ომა (არჩ. II, 54)... გაუშო (იქვე, 84), დაისო (თეიმ. I, 26), ამოართოს (არჩ. I, 7), ასოს (არჩ. II, 40), გორსა (← გვარსა: იქვე, 56) და სხვ.

თანხმოვანთა დაკარგვის ხშირი შემთხვევები: ბძანა (თეიმ. II, 2), გაზდილს (იქვე, 93), გამთელდეს (თეიმ. I, 58), ფთა (არჩ. I, 138)... თორე (იქვე, 19)... ძოასა (თეიმ. I, 34), ვინ აუაო (იქვე, 12), მოსლოდეს (არჩ. II, 37)... ნურვისთვიმცა (არჩ. I, 75), ამაჲ ზამთარ (არჩ. II, 127), გინახავ (იქვე, I, 69), ეს არი (თეიმ. I, 58), აქვ (არჩ. I, 238) და სხვა მრავალი¹.

ამგვარი დიალექტიზმები მეტ-ნაკლებად გვხვდება საერო მწერლობის

¹ დაწერილებით ა. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი 1954.

სხვა ძეგლებშიც და წარმოადგენენ XVII—XVIII სს. სალიტერატურო ენის საერთო კუთვნილებას.

ქართული ლიტერატურული ენა მდიდრდება, იხვეწება და უფრო სრულყოფილი ხდება განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოდიან ქართული ლიტერატურის კლასიკოსები და ახალი სალიტერატურო ენის ფუძემდებლები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

სამოციან წლებში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დაწყებული ბრძოლა ერთიანი ქართული სალიტერატურო ენისათვის გამარჯვებით დასრულდა¹. ქართული ენის განვითარების საფუძვლად აღიარებულ იქნა ცოცხალი ხალხური მეტყველება. ილია ჭავჭავაძეს ღრმად სწამდა, რომ ენის სიმდიდრე ხალხშია და მისი მასაზრდოვებელი წყაროც ხალხის მეტყველებაა. „ნიქიერი მწერალიც იმისთვის არის სასარგებლო ენისათვის, — წერდა ილია, — რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხოლმე“². ილიას კარგად ესმოდა, რომ „სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა“³, აზრი კი მკაფიოდ და ნათლად უნდა იქნეს გამოთქმული. ამისათვის ენა უნდა იყოს სადა, მდიდარი და გასაგები ყველასათვის. ამ მხრივ სანიმუშოა თვით ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, რაფიელ ერისთავის, იროდიონ ევდოშვილის, ნიკოლოზოშვილის, შიო არაგვისპირელისა და სხვათა ნაწერები. ეს მწერლები მოხერხებულად იყენებდნენ თავიანთ შემოქმედებაში დიალექტთა მონაცემებს და ამით ამდიდრებდნენ ქართულ სალიტერატურო ენას. მართალია, მათ მიერ შემოტანილი ყველა სიტყვა თუ ფორმა არ გამხდარა სალიტერატურო ენის კუთვნილება, ზოგი მათგანი ისევ დიალექტიზმად დარჩა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ანელებს მათ დამსახურებას ქართული ენის გამდიდრებისა და განვითარების საქმეში.

ბავშვობიდან შეთვისებული მშობლიური კახური დიალექტისა და აგრეთვე ქართლის. ღრმა ცოდნა ილია ჭავჭავაძეს საშუალებას აძლევდა კანონზომიერად გამოეყენებინა დიალექტური მოვლენები როგორც პერსონაჟთა საუბარში, ისე საკუთარ ენაშიც. ამას ილია მიმართავდა არა იმიტომ, რომ იგი ამ დიალექტების ძლიერ გავლენას განიცდიდა, არამედ მას სწამდა, რომ ქართლისა და კახურის ფორმები მიუღებელი არ უნდა ყოფილიყო ქართული სალიტერატურო ენისათვის. ეს დიალექტიზმები იმ დროის სალიტერატურო ქართულის განვითარებისათვის საჭირო და სასარგებლო იყო.

რაფიელ ერისთავი და იროდიონ ევდოშვილიც ხშირად მიმართავდნენ კახური დიალექტის მონაცემებს, თუმცა მათ თავიანთ შემოქმედებაში თავიდან ვერ აიცილეს ზოგი რამ ისეთიც, რაც სალიტერატურო

¹ ა. შანიძე, ილია ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის: ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბილისი 1939; არნ. ჩიქოვაძე, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ: ენიმკის მოამბე, II, თბილისი 1937; მისივე, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბილისი 1950.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, IV, თბილისი 1927, გვ. 47.

³ იქვე, გვ. 37.

ქართულში არ შეიძლებოდა დამკვიდრებულყო. ეს შეეხება როგორც ფონეტიკურ-გრამატიკულ მხარეს, ისე ლექსიკასაც.

ჩვენ აქ მოკლედ შევეხებით კახეთიდან გამოსული მწერლების ი. ჭავჭავაძის, რ. ერისთავის, ი. ევდოშვილის, ნ. მელანიას (ნ. ნათიძის), დ. მაჩხანელის (დ. ნადირაშვილის), გ. ლეონიძის, ს. შანშიაშვილის, მიხ. მრეველიშვილისა და სხვათა თხზულებებში გამოყენებულ მთავარ დიალექტურ მოვლენებს, რომლებიც ამჟამად კახურში გვხვდება¹, სხვები კი კახურის თავისებურებათა პარალელურადაა მოყვანილი.

ფონეტიკური მოვლენებიდან დავასახელებთ რამდენიმე შემთხვევას. ბგერათა დამსგავსება, თუ ის ჩვეულებრივია კახურში, გვხვდება კახეთიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებშიც, უმთავრესად პერსონაჟთა საუბარში და იშვიათად ავტორის ენაშიც. მაგ., პრევერისეული ო და ა ხმოვნები სრულადაა დამსგავსებული ვნებითის ე-სთან: მეეწერა (გმ ილია, III, 239)², მეეჩენა (ხელნაწ., გამოცემაშია „მოეჩენა“: იქვე, 55), დეემართა (ხელნაწ., გამოცემაშია „დამართა“: რ. ერისთ. III, 144)³, ეეშალნა და გეერეკნა (გმ. მელ. 11)⁴ და სხვ.

ხმოვანთა ასიმილაციის სხვა შემთხვევები ასეთია: რეები (გმ. ილია, II, 109; გმ. ევდ. III, 198)⁵, ემეებში (გმ. დ. მაჩხ. 89)⁶, სიმღერებს (ხელნაწ., გამოცემაშია „სიმღერებს“: რ. ერისთ. IV, 165)⁷, მაგითანეების (გმ. იქვე, 426), რეერთი (გმ. მელ. 7) და სხვ.

საყურადღებოა თანხმოვანთა ასიმილაციაც. იგი უფრო მრავალფეროვანია და ავტორთა ენაში ხშირად გვხვდება; მაგ.: ბტყელი (ილია, II, 227), შეშქამდა (რ. ერისთ. III, 21), გაუშინჯოთ (დ. მაჩხ. 129), მგზავს (გმ. ილია, III, 136) და სხვ.

ასიმილაციის შემთხვევები გვაქვს მეტათეზისის შემდეგაც; მაგ.: ბლარტი (ილია, III, 283), ჩამოებლერტა (იქვე, II, 257) და სხვ.

დისიმილაციის მოვლენებიდან შეიძლება დავასახელოთ ასეთი მაგალითები: ანბავი (რ. ერისთ. III, 36), ეუანბე (ა. ჭავჭ. 186)⁸, წრეულობით (ილია, VI, 54)... რ. ერისთავის ხელნაწერებში დასტურდება ბ ე ვ რ ჯ ე ლ და სხვა მსგავსი ფორმები.

¹ ქართულურ-კახური ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი ილია ჭავჭავაძის ენაში მიმოხილულია ქ. ძოწენიძის მიერ: ალ. წულუკიძას სახ. ქუთაისის სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, ქუთაისი 1955.

² მაგალითები ამოღებულია პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშვილის რედაქციით გამოცემული თხზულებებიდან. ილიასა და სხვა მწერალთა I, II, III და IV ტომებიდან მოყვანილ მაგალითებს მიწერილი აქვს გმ. (= გმირი), თუ იგი პერსონაჟის მეტყველებიდანაა აღებული, სხვა მაგალითები კი მხოლოდ ავტორებს ეკუთვნიან.

³ რ. ერისთავის ხელნაწერებიდან მაგალითები მოყვანილია ნ. გიგაურის ნაშრომის მიხედვით — კახურის თავისებურებანი რ. ერისთავის ნაწერებში: სტუდენტთა სამეცნ. შრომების კრებული, V, თბილისი 1950.

⁴ ნ. მელანია, ბნელო, მეორე გამოცემა, ტფილისი 1920.

⁵ ი. ევდოშვილი, თხზულებანი, ტ. I—IV, შ. რადიანის რედაქციით, ტფილისი 1935 — 1938.

⁶ დ. მაჩხანელი, ძმური სიტყვა, გამოცემული ალექსანდრე როინაშვილისაგან, ტფილისი 1891.

⁷ რ. ერისთავი, თხზულებანი, ტ. I—IV, შ. რადიანის რედაქციით, ტფილისი 1935 — 1938.

⁸ ა. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბილისი 1940.

მწერალთა ნაწერებში ასახულია კახურისათვის დამახასიათებელი ბგერათა გადასმის შემთხვევები; მაგ.: ძრიელ (გმ. ევლ. III, 231), დაგვინიეია (გმ. ილია, III, 252), ანიეიანებს (დ. მაჩხ. 35) და სხვ.

ბგერათა სუბსტიტუციიდან აღსანიშნავია ასეთი შემთხვევები: მითომ (ილია, VI, 370), გამსილა (გმ. რ. ერისთ. ხელნაწ.), სამსეგმა (გმ. მელ. 24), მასკვლავი (გმ. რ. ერისთ. ხელნაწ.)... ნეფე (გმ. ს. შანშ. აზბ. 76)¹... კიდენაც (ილია, II, 167), კიდენ (რ. ერისთ. III, 179)... იმთენს (იქვე, 23; დ. მაჩხ. 35), იმრტელა (გმ. ევლ. III, 63)... ათი ნ ი ტ რ ა (დ. მაჩხ. 92)... სამძღვარი (ილია, VI, 106), უმძრახათ (მიხ. მრევლ. 48)²... შეამცნია (ილია, III, 81), ეცნევა (გმ. ევლ. III, 274)...

ბგერათა შერწყმიდან საყურადღებოა ვა → თ. ეს მოვლენა გვხვდება კახეთიდან გამოსული ყველა მწერლის ენაში. ამ მხრივ თითქმის არ განსხვავდება ავტორის ენა პერსონაჟთა მეტყველებისაგან; მაგ.: მეთქო (ილია, IV, 53), ჩამოართო (იქვე, II, 253), წაართო (ს. შანშ. აზბ. 99), ეცო (რ. ერისთ. III, 6), ნათქომი (რ. ერისთ. III, 172), გოლვები (ევლ. III, 272), გოლვისაგან (ილია, III, 142)...

გვაქვა ვი კომპლექსის უ-ში გადასვლის შემთხვევაც; მაგ., ცეცხლი გააღუოს (ილია, V, 133). რ. ერისთავი, როგორც ეს ხელნაწერებიდან ჩანს, ხმარობს რასაკურველია-ს, რაც ჩვეულებრივია კახურისათვის.

ბგერათა დაკარგვის მოვლენები მწერალთა ნაწერებში თითქმის ისევე ხშირია, როგორც თვით კახურში; მაგ.: ბძანდებოდა (ილია, II, 151), ბძანებაა (დ. მაჩხ. 33), ფჩხილი (ილია, V, 25), ზდიდა (რ. ერისთ. III, 19)... კლომაა (გმ. ილია, III, 109), ძუძუს წოება (ილია, VIII, 283), ჩემო თაო (თარგმ. რ. ერისთ. I, 274), პირი ვაქნეინე (რ. ერისთ. ხელნაწ.), იწოდა (← იწვოდა: ს. შანშ. აზბ. 154)... რო იხჩობოდეს (ილია, IV, 32), რო გეზარდნა (დ. მაჩხ. 14), რატო (ევლ. III, 23), ხო ... მიეციოთ (გმ. მელ. 12)... შა (← მაჲ ← მაშ) რა ეშმაკია (ილია, V, 184)... მოკვეცილია III პირის ნიშანიც: არ არი (ილია, VIII, 85), მზად არი (დ. მაჩხ. 34), არა ჰყავ (იქვე, 35), კარგა გვაქ (გმ. მელ. 29) და სხვ.

რ. ერისთავის ხელნაწერებში დაცულია კახურის დამახასიათებელი ბგერათა დაკარგვის შემთხვევები ისეთ სიტყვებში, როგორცაა: ურცხოზა, ვათხოებ, მეტიაქ, კათათვე, მოგძო, ფთხილათ, შეფთხა, სუ, რატო და სხვ.

სიტყვის ბოლო მარცვლის კვეცას, რაც ხშირად გვხვდება კახურში და გამოწვეულია მახვილის გავლენით, სათანადო ასახვა უპოვია მწერალთა ნაწერებშიც; მაგ.: პასუხი არ მივე (გმ. ილია, II, 39); აქ მო (იქვე, III, 89); გა აქედანა! (გმ. რ. ერისთ. I, 98); შესე, დედილო (გმ. ილია, I, 155); აცა, ვინ ვის აჯობებს (ილია, III, 30); რა იყო, ქა? (გმ. რ. ერისთ. III, 100); ქა, როგორ მოხდა? (გმ. მიხ. მრევლ. 88) და სხვ.

კახურში, როგორც ცნობილია, ს ხშირ შემთხვევაში სუსტდება და ჯდ იქცევა. ანალოგიური ვითარება შეინიშნება კახეთიდან გამოსულ მწერლებთანაც, ოღონდ ჯ გრაფიკულად გამოხატულია ჰ ან ჰს ნიშნებით. ჰს ნიშანს რამდენიმე მწერალი ხმარობს ზმნებში პრეფიქსად, სახელებში კი გვხვდება მხოლოდ ჰ (← ს) და ისიც მარტო ქიზიყიდან გამოსული მწერლების პერსო-

¹ ს. შანშიაშვილი, ამბოკარი, ტფილისი 1924.

² მ. მრევლიშვილი, ხარატანთ კრა, თბილისი 1948.

ნაჟთა საუბარში; მაგ.: დიაკვნიჰ ცოლი (გმ. მელ. 38), იმიჰ გვერდზედ (იქვე, 31), ბიჰიჰთინა (43), იმაჰ შემდეგ (28), სხვაჰთან (54), გაჰტუმრებაზე (34), მუჰტი (← მუჰატი ← მუჰტი: 55), გაჰდილი (← გასდილი ← გაზდილი ← გაზრდილი: 66), პრიჰტაეთანაც (გმ. ევლ. III, 276), ფოჰტი ფული (დ. მაჩხ. 128) და სხვა შემთხვევები, რომელთა დასახელება შორს წაგვიყვანს.

მორფოლოგიიდან კახურის დამახასიათებელი მთავარი მოვლენები მეტნაკლებად ასახულია კახეთიდან გამოსული მწერლებისა და პერსონაჟთა მეტყველებაში. ზოგი მათგანი დამკვიდრებულია სალიტერატურო ქართულში, ზოგი კი ისევ დიალექტიზმად ითვლება.

ბოლოზმოვნიან სახელებს (უმთავრესად ერთმარცვლიანებს) ზოგჯერ მოეპოვებათ სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი. იგი დართული აქვს საკუთარ არსებით სახელსაც; მაგ.: რუი იყო გაქრილი (ილია, III, 41)... ნიკოი ... დაიარება (გმ. ევლ. III, 259), სოფოი ... დადის (გმ. მელ. 43) და სხვ.

მოთხრობით ბრუნვაში ბოლოზმოვნიანებთანაც ბრუნვის ნიშნად ხშირად -მა გვაქვს; მაგ.: იმისმა მოდგმაჰა ... პანლური იწენია (გმ. რ. ერისთ. I, 185), ნატომა სცადა (მხ. მრევლ. 30)...

ხშირად არის გამოყენებული ემფატიკური -ა მიცემითსა, ნათესაობითსა, მოქმედებითსა და ვითარებითს ბრუნვებში. ეს ან -ა ელემენტი შეიძლება ახლდეს ნაცვალსახელებსაც, ზმნისართებსაც და -თვის || -თვინ, -გან, -კენ, -მდინ || -მდისინ თანდებულებსაც; მაგ.: ჯაფაჰა სწევენ (ილია, IV, 70); ოფლსა ჰღვრიან (დ. მაჩხ. 63)... ძირი სიტყვისა (ილია, V, 23), ერთი ნაწილი ჩოხის კალთისა (ს. შანშ. ამბ. 15)... ფულითა ცხოვრობდა (რ. ერისთ. III, 25)... ნუგე-შადა ჰქონდათ (ილია, IV, 39); კარგადა ბრძანებდი (გმ. ევლ. II, 239)... იმისთვისა (ილია, II, 152), ხალხისაგანა სწავლობს (იქვე, IV, 295)... ჩვენა ვთქვით (იქვე, VIII, 244); არაეინა მყავს (გმ. შანშ. ამბ. 127)... კიდევა ჰქონდა (მელ. 14) და სხვ.

საერთოდ ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში ეს მოვლენა დამკვიდრებულია ქართურისა და კახურის მეშვეობით.

-გან თანდებულის პარალელურად იხმარება -დამ თანდებული, რომელიც სრულიად უცხოა დასავლური კილოებისათვის. იგი XIX საუკუნის სალიტერატურო ქართულში გაავრცელეს ძირითადად კახეთიდან და აგრეთვე ქართლიდან გამოსულმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა; მაგ.: გული-დამ (ილია, VI, 154), თვალიდამ (იქვე, V, 64), თავი-დამ (რ. ერისთ. III, 6), ხელი-დამ (დ. მაჩხ. 66) და სხვ.

-თვის და -მდე || -მდის თანდებულთა პარალელურად ნახმარია თვინა! და -მდინა!, -მდისინა!, -მდისი, -მდი, -მდენ ვარიანტებიც; მაგ.: ჯიბრის-თვისა (გმ. ილია, I, 7), გაქნილისათვის (დ. მაჩხ. 31)... ათ ურამდინ (ილია, II, 149), აქამდისინაც (ილია, IV, 297); ბოლომდისინ (გმ. ევლ. II, 244) და სხვ.

მააზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელები ეგ, ეს, ის, იმ პერსონაჟთა საუბარში ხშირად წარმოდგენილია თანზმოვნის გარეშე. ანალოგიურ ვითარებას შეიძლება წავაწყდეთ ზოგიერთი ავტორის ენაშიც; მაგ.: ე კამეჩები (გმ. ილია, III, 53), ე როგორ არი? (გმ. ერისთ. I, 178); ი რა ვნახე, ქა! (გმ. დ. მაჩხ. 99); ი გონება (დ. მაჩხ. 74) და სხვ.

შე- და მო- ზმნისწინები ხშირად შა- და შა-ს სახით გვევლინება, თუ ამას ხელს არ უშლის ფონეტიკური მიზეზი და ზმნაში პირთა ცვლა ან სემასიოლოგიური მხარე; მაგ.: შავხედე ცასა (ილია, I, 339); შამოდის ხმარებაში

(იქვე, IV, 294); შამოდინ (რ. ერისთ. III, 176), შაბას (გმ. მელ. 12), შამომ-
კრა (გმ. დ. მაჩხ. 89)... ვერ შაითმენდა (ილია, II, 115), შაიხადეს (მელ. 7)...

ვხვდებით აწმყოს თემის საწარმოებელ სუფიქსთა მონაცვლეობას. ფეხ-
მოკიდებულია -ამ (← -ავ), -ემ (← -ევ), -ომ (← -ოვ). ამათგან გაბატონებუ-
ლია -ამ. -ომ სუფიქსიც ზოგჯერ ენაცვლება -ებ-ს; მაგ.: ჰკითხამდა (ილია, III,
182)¹, წაიკითხამთ (რ. ერისთ. III, 165), შაგრთამს (გმ. ევდ. III, 64), გვი-
ნამ (დ. მაჩხ. 31), უქირამ (გმ. მელ. 50)... გახსომდა (გმ. რ. ერისთ. IV, 344),
გახსომს მამა (გმ. მელ. 50)... დასწრობოდა (ილია, VIII, 7), გაასწრობს (ევდ.
III, 18), ასწრობდა (ს. შანშ. 88)², გამოვადლობდი (გმ. რ. ერისთ. III, 136)...

ანალოგიით -ავ (|| -ამ) სუფიქსი უჩნდებათ მარტივფუძიან, ფუძედრეკად
და -ი სუფიქსიან ზმნებსაც: სახელს უტეხავს (ილია, IX, 188), ავიტეხავდით
(დ. მაჩხ. 59), გაუხეთქავს (ილია, IV, 15), უღერავს (ევდ. II, 238), გასრესავს
(ს. შანშ. აზბ. 105), უგლეჯავდა (მელ. 72) და სხვ.

-ევ სუფიქსიან ფუძედრეკად ზმნებს სუფიქსიეული ვ ხშირად შენახული
აქვთ დროთა მეორე სერიაში — წყვეტილში (ზოგჯერ მესამეშიც); მაგ.: ირ-
ჩივა (ილია, VIII, 6), გაუქნივა (ილია, II, 238), ჩაერივა (დ. მაჩხ. 95), აე-
რივათ (ევდ. III, 17), შეზომიტივა (გმ. რ. ერისთ. III, 127) და სხვ.

ნამყო წყვეტილის პირველსა და მეორე პირში -ე სუფიქსის ნაცვლად
აქაც თავს იჩენს -ე-ვ-ი დაბოლოება; მაგ.: ანდერძი აუგუგვით (ილია, IX, 229);
ყური დამიგდევით (გმ. რ. ერისთ. IV, 415); მიშოვევი (გმ. ევდ. II, 219),
ჩაურივევით (დ. მაჩხ. 135) და სხვ.

დროთა მეორე სერიაში ინ-ენიან ვნებითებთან მრავლობით რიცხვში
შემონახულია ძველი ქართულისებრ -ენ სუფიქსი. კახურისა და ქართლურის
გარდა, ეს მოვლენა გვხვდება სხვა აღმოსავლურ კილოებშიც, მაგრამ ახალ
სალიტერატურო ქართულ ენაში იგი, თუ ძველი ქართულიდან არ მომდინა-
რეობს, შესაძლებელია დამკვიდრებული იყოს კახურისა და ქართლურის მე-
შეეობით. მას ჩვეულებრივ ხმარობენ ი. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი,
ი. ევდოშვილი და სხვები როგორც თავიანთ, ისე პერსონაჟთა მეტყველე-
ბაში; მაგ.: მივეშველენით (ილია, VI, 20), გამოვესალმენით (ილია, IV, 157),
დამეკარგენით (გმ. ერისთ. IV, 421), შევიპარგენით (გმ. ევდ. II, 220), და-
იშალენით (გმ. ს. შანშ. აზბ. 20, 144) და სხვ.

კავშირებითი მეორის ამავე ფორმებში ნარის მომდევნოდ კავშირებითის
ნიშნად ჩვეულებრივ გვევლინება -ე. ანალოგიური ვითარება გვაქვს ძველ
ქართულშიც, მაგრამ ამ შემთხვევაში კახეთიდან გამოსული მწერლები ასეთ
წარმოებას იღებენ კახური ცოცხალი მეტყველებიდან და არა ძველი ქართუ-
ლიდან; მაგ.: უნდა ვეცადნეთ! (ილია, IX, 252); რო ეთქო, დაღისტანში გადა-
ვიკარგნეთო (რ. ერისთ. III, 6); გავისარჯნეთ და გვექნება (დ. მაჩხ. 110);
რომ ... დავიხოცნეთ (გმ. ევდ. III, 8)...

თურმეობით პირველში -ი-ა დაბოლოებაა -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებ-
თანაც. იგი თავს იჩენს მეშველი ზმნის დართვის შემთხვევაშიც; მაგ.: მიგვი-
ლოცნია (ილია, IV, 32), უთესნია (იქვე, 207), არ წაუკითხია (გმ. ევდ. II, 247),

¹ საყურადღებოა, რომ ილია ზოგჯერ -ავ და -ამ სუფიქსებს იყენებს ომონიმურ სი-
ტყვეში და ამით განსხვავებულ შინაარსს განსხვავებული ფორმით გამოხატავს: ნიშნამენ
(отмечает) და ნიშნავს (замечает); მაგ.: იმაში ნიშნამენ კანონიერად (III, 263); უკანო-
ნოდ — იმასა ნიშნავს, რომ... არ ყოფილან ქორწინებით შეუღლებულნი: იქვე.

² ს. შანშიაშვილი, შოთას ბეჭედი, ტფილისი 1927.

ვერ გაძიებდნია (გმ. რ. ერისთ. IV, 257); აუხედია (ს. შანშ. ამბ. 54)... მი-
ნახეიხარ (ილია, I, 54), დამინახნიხარ (გმ. ევლ. III, 29)...

ხშირად გვხვდება -ნ (← -ენ) სუფიქსი თურმეობით პირველსა და მე-
ორეში. როგორც ცნობილია, იგი არ გვქონდა ძველ ქართულში. ახალ ქარ-
თულში მან ფეხი მოიკიდა კახური და ქართლური ცოცხალი მეტყველების
მეშვეობით. ი. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი და სხვები ამგვარ ფორმებს
ჩვეულებრივ იყენებენ როგორც პერსონაჟთა საუბარში, ისე საკუთარ ენაში;
მაგ.: არ უღალატნიათ (ევლ. III, 24), მიუტყეპნიათ (დ. მაჩხ. 115), აუტეხნია
(გმ. მელ. 24), უბაასნიათ (მთხ. მრეველ. 140)... უნდა გეკითხნა (ილია, IX, 275),
დეეკუწნათ (გმ. რ. ერისთ. III, 41), რომ არ მოესაზრნა, არ დაეყვირნა
(ს. შანშ. ამბ. 14) და სხვ.

-ნ შეიძლება მოგვევლინოს კავშირებით მესამეშიც, მაგრამ ძალზე იშვი-
ათად; მაგ., ვერ გამებედნოს (ილია, I, 32)...

ზოგიერთ ზმნაში, რომელთათვისაც დროთა მესამე სერიაში ამოსავა-
ლია აწმყოს (გაერცობილი) ფუძე, -ნ სუფიქსი ხშირ შემთხვევაში გამოდის
-ებ თემატური ნიშნის მონაცვლედ; მაგ.: ვერ მოგვიფიქრნია (ილია, VI, 34),
გაუტაცნია (ილია, V, 26), მოუმარჯუნიათ (გმ. ს. შანშ. ამბ. 103), ჩაეკიდნათ
(ილია, VI, 79), გადაეკიდნა (ილია, III, 121), დაეტყუვნა (იქვე, 50) და სხვ.

თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში იყო დამხმარე ზმნა
მოშველებული ორპირიან გარდაუვალ ზმნებთანაც; მაგ.: შეპხებოყო (ილია, V,
32), რომ ... შეგვძლებოყო (ილია, IX, 50); რომ ... წინა სდგომოყო (ილია, II,
165); არ გაპხმაურებოყო (ილია, IV, 246)...

წყვეტილის ხოლმეობითის ფორმებს ზოგჯერ იყენებს რ. ერისთავი.
და იშვიათად ზოგიერთი სხვა მწერალიც. მოსალოდნელი არაა, რომ ისინი
ამ ფორმებს ხმარობდნენ მთის კილოების ან ძველი ქართულის გავლენით.
ამაში „ბრალი“ კახურს უნდა მიუძღოდეს. როგორც ამჟამად მოხუცთა მე-
ტყველებიდან ჩანს, ილიასა და რ. ერისთავის დროს ეს ფორმა უფრო
მეტად უნდა ყოფილიყო ხმარებაში, ვიდრე ამჟამად არის.

ხოლმეობითობის გამოსახატავი ფუნქცია აქვს დაკისრებული -ყუ ნაწი-
ლაკს; მაგ.: აგრე იტყოდაყუ (გმ. მელ. 27); მისცივდებიაყუ (იქვე, 47), მოპ-
ყვებოყო (იქვე, 64)...

კახურისა და აგრეთვე ქართლურის მეშვეობითაა დამკვიდრებული თანა-
მედროვე სალიტერატურო ქართულში მოქმედებითი გვარის სასხვისო და სა-
თავისო ქცევის ზმნებსა და ენიან ენებითებში კაუზატივის წარმოება, რაც არ
იციის დასავლურმა კილოებმა და არც ძველ ქართულში შეინიშნება. მართალია,
მას ვხვდებით ზოგიერთ სხვა აღმოსავლურ კილოშიც (ფშაურში, მოხეურში
და სხვ.), მაგრამ ი. ჭავჭავაძემ, რ. ერისთავმა და სხვა მწერლებმა
კახური მეტყველებიდან აიღეს და გამოიყენეს როგორც თავიანთ ენაში, ისე
პერსონაჟთა დიალოგებში; მაგ.: არავის დამიჩაგვრინო, არავის არ შე-
მინატვრინო! (გმ. ილია, III, 46); შეგინახვინებდიო (გმ. რ. ერისთ.
III, 21), არ დაეძღვევინება (ილია, VIII, 243); არ დაეჭერინება
(იქვე, V, 187); ეკვლევინებოდა (დ. მაჩხ. 106), რისთვის დაეჩაგვ-
რინოს? (ს. შანშ. შოთას ბეჭედი, 89) და სხვ.

ყურადღებას იქცევს ვნებითის წარმოებაც. ზოგჯერ სუფიქსური წარმო-
ების ნაცვლად გვხვდება პრეფიქსული წარმოება და პიროქით; მაგ.: თავისე-

ბურად გაემკლავა პაპს (ილია, X, 98); თავგამომეტებით გაემკლავებოდა (იქვე, 281)... დაჩაგრდა გული (გმ. ილია, I, 165)...

სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირის პრეფიქსების ხმარებაში კახეთიდან გამოსული მწერლები ჩვეულებრივ იცავენ კახური დიალექტის წესებს. მეტ-ნაკლებად გატარებულია სუბიექტური მეორე პირისა და III პირის ირიბი ობიექტის გამოხატვის წესი¹. ირიბი ობიექტის ანალოგიით პრეფიქსს მიცემითში დასმული პირდაპირი ობიექტიც აჩენს ზმნაში და ეს პრეფიქსი გადაჰყვება აგრეთვე დროთა მეორე სერიაში. სამპირიანი და ორპირიანი ზმნების ანალოგიით პრეფიქსი ჩნდება ერთპირიან ზმნებშიც.

წინაენისმიერებისა და აფრიკატების წინ ს-ს პარალელურად ხშირად გვევლინება ჰ-ც; მაგ.: დაჰდულდა (ილია, III, 92), ამოჰდის (დ. მაჩხ. 116), მიჰდევდა (გმ. მელ. 45), ჰთაილობს (ილია, IV, 238), ჰჩივის (იქვე, X, 46), მიჰცეს (გმ. მელ. 19) და სხვ

ამავე ვითარებაში პრეფიქსად გვხვდება აგრეთვე ჰს კომპლექსი; მაგ.: წუნსა ჰსდებს (გმ. ილია, III, 140), კვერცხსა ჰსდებო (გმ. დ. მაჩხ. 96), წარმოჰსთქვა (ილია, III, 128), გადმოჰსძახა (იქვე, 165), ჰსჩანდა (რ. ერისთ. III, 22), შეჰსჯამენ (გმ. რ. ერისთ. IV, 14) და სხვა მრავალი.

ხომ არ შეიძლება ეს გარემოება ავსნათ ანტონის სკოლის გავლენით? ასეთი გავლენაც არ არის გამორიცხული, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ეს შენიშნულია², მწერლები ამოდიან ცოცხალი კახური მეტყველებიდან. კახურში წინა ენისმიერებისა და აფრიკატების წინ ხშირად ისმის **ჰ**, **ჰჰ** და **ჰს**, რომლებიც ენაცვლებიან ჰ-სა და ს-ს. ცხადია, ილიამ და სხვა მწერლებმა ცოცხალ მეტყველებაში არსებული ეს პრეფიქსები გრაფიკულად ჰ და ჰს ნიშნებით გადმოსცეს, რადგანაც **ჰ**, როგორც ორთოგრაფიული ნიშანი, ხმარებიდან ამოღებული იყო.

ცნობილია, რომ ჰს პრეფიქსი გვხვდება ძველ ქართულშიც. იქ ეს პრეფიქსი მიჩნეულია ჰს-ს განვითარების შემდგომ საფეხურად: „განააკურთებით ხშირია მერმინდელ (IX—XI საუკ.) ძეგლებში დედის ბგერათა წინ გარდამავალ საფეხურზე (სრულს ასიმილაციამდე) მდგომი მოვლენები, როდესაც ჰაეს მთლად არ უნდა ჰქონოდა დაკარგული თავისი ბგერითი სახე, მაგრამ იმდენად უნდა ყოფილიყო დაახლოებული გამოთქმის მხრით სანთან, რომ ახალი ბგერის გამოსახატავად ერთი საგანგებო ნიშნის მაგივრად ორი უხმარიათ (ჰს). სწორედ ასე უნდა გავიგოთ ახლა ჰს ჯგუფის წარმოშობა დედის ბგერებით დაწყებულ ზმნებში“³. ეს რთული ბგერა ცოცხალია დღესაც ქართულურსა და კახურში და ამდენად ძველ ქართულში „ჰს კომპლექსის პრეფიქსად გამოყენება არ ყოფილა, ასე ვთქვათ, ორთოგრაფიული ჩუქურთმა, როგორც ეს ანტონ I კათალიკოსის გრამატიკაში ვახლავთ, არამედ მისი გამოთქმა რეალური უნდა ყოფილიყო ენაში“⁴.

¹ ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ი. ჰაეკვაძის მხატვრული ნაწერების მიხედვით შესწავლილია ც. კალაძის მიერ: სტალინის სახ. თბილ. სახელმწ. უნივერს. სტუდენტთა სამეცნ. შრომების კრებული, V, თბილისი 1950.

² ც. კალაძე, დასახ. შრომა, გვ. 188.

³ ა. შანიძე, ჰემეტობა ადიშის სახარებაში: ტფ. უნივ. მოამბე, II, ტფილისი 1922 — 1923, გვ. 420.

⁴ ვ. თოფურია, ქართული: არილი, გვ. 148.

ბგერითი შეღბენილობა

8. განსხვავებული ბგერები. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენი-საგან განსხვავებით კახურს შემორჩა ზოგიერთი სოფლის მეტყველებაში ძველი ქართულის ფარინგალური ყრუ ფშვინვიერი ჳ და უმარცვლო უ, განუვითარ-და წინაენისმიერი ჟ, წყვილბაგისმიერი ხშულ-მსკდომი ც და კბილბაგისმი-ერი ყრუ ფშვინვიერი სპირანტი ფ. ჳარისა და ზოგჯერ უმარცვლო უ-ს გამო-კლებით ეს ბგერები გარდამავალი ხასიათისაა და მიიღება პოზიციურად ფო-ნეტიკურ ნიადაგზე.

ა) ჳ ბგერა დამახასიათებელია ქიზიყურისათვის. იგი შედარებით მტკი-ცედ არის შემონახული ქიზიყის მთიან ადგილებში (სოფ. ზემო ბოდბე, კო-ტორი, ზემო მალარო, ზემო მაჩხაანი...) და ბარის ზოგიერთ სოფელში (ქვემო ბოდბე, ქვემო მალარო, ჯაფარიძე...), რომელთა მოსახლეობა მთიდან არის ჩამოსახლებული. ჳარი აქ დაცულია ისეთ სიტყვებში, როგორიცაა ჳელი (აქე-დან: ჳელადა, ჳელცაქოცი ← ჳელსაჯოცი, ჳელმეორეთ), მუჳლი, მჳარი, ვენაჳი, ჳმა, ჳარი (აქედან: მჳერე), ჳმალი, ჳმელი და სხვა. ეს ბგერა ნაკლებ მკვიდრია, ან თითქმის სრულიად აღარ იხმარება რაიონის ცენტრთან ან რკინიგზას-თან ახლო მდებარე სოფლებში (ნუკრიანი, წნორი, ანაგა, ვაქირი და სხვ.).

ჳარის გამოყენების მხრივ დიდი განსხვავებაა აგრეთვე თაობათა შორის. სალიტერატურო ენის გავლენის შედეგად ეს ბგერა იშვიათად გვხვდება ახალი თაობის მეტყველებაში, ძველი თაობა კი ჯერ კიდევ კარგად იცავს მას; მა-გალითად, სოფ. ჯაფარიძის მცხოვრები ს. ბენაშვილი (35 წლისა) ჳ-ს სრულიად არ ხმარობს, ხოლო ამავე სოფლის მცხოვრები გ. ყოჩიაშვილი (115 წლისა) ლაპარაკში ამ ბგერას სისტემატურად მიმართავს. ორივე ამ რამდენიმე წლის წინათ ჩამოსახლდა სოფ. ზემო მაჩხაანიდან, რომელიც მთიან ადგილას მდებ-არეობს.

ჳარი აქა-იქ შერჩენილია აგრეთვე შიგნი და გარე კახეთში, კერძოდ ყვარლისა და კაჭრეთის რაიონების ზოგიერთი სოფლის (ალმატი, გრემი, ენი-სელი, საბუე, შილდა, ჭიკიანი... მახარაძე, დარბა, ნანიანი)¹ მოხუცთა მეტყვე-ლებაში; მაგ.: ჳერაჳი მაიჳმარა; მუჳლზე ჳელი დაიკრა; ვენაჳედი ჳარებით; ჳე-ლობა; ჳევში დაიჯოცნენ და სხვ.

მოხუცთა მეტყველებაში აქაც ჳ ყოველთვის მტკიცედ არ არის დაცუ-ლი. ხშირია შემთხვევები, როცა ერთისა და იმავე პირის საუბარში ერთი და იგივე სიტყვა ჳარითაც ისმის და ჳანითაც, ზოგიერთის მეტყველებაში კი ჳ-ს გამოყენება ერთგვარად შეზღუდულია; მაგალითად, სოფ. შილდაში ჳ ჩვენ მიერ დადასტურებულია 80 წლის პ. ცეცხლაშვილისა და 63 წლის მ. ზუბიტაშვილის

¹ ყვარლის რაიონის ზოგიერთი სოფლის (გრემი, საბუე, ენისელი) ძველი თაობის სა-უბარში ჳ ადრევე შენიშნული აქვს ა. შ ა ნ ი ძ ე ს: ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი 1953, § 18, გვ. 19.

მეტყველებაში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ორივე ამ ბგერას ხმარობდა უმთავრესად ბატონყმობისა და პირველი მსოფლიო ომის თემაზე ძველად შეთხზული ლექსების თქმის დროს; მაგ.: ბევრმა დაკარგა კარგი ძმა, ბევრმა — კამეჩი, წარია; კემწიფევე, მეგვექსნება... მე როგო გავიხარებდი ჩვენი ბატონი ჯელშია და სხვ.

წარის შემონახვის მხრივ კახური ამჟამად ვერ შეედრება ქართული ენის მთის კილოებს (ხევსურულს, ფშაურს, მთიულურ-გუდამაყრულს, მოხეურს, თუშურს) და ბარის კილოთაგან ინგილოურს, მაგრამ ადრე იგი მთელი კახურისათვის დამახასიათებელი ბგერა უნდა ყოფილიყო, რაც აშკარადდება იმითაც, რომ XVII საუკუნის დასაწყისში კახეთიდან ფერეიდანში შაჰ-აბასის მიერ გადასახლებულ ქართველთა მეტყველებაში ეს ბგერა დღემდის შემონახულა¹. იგი დაცულია აგრეთვე XV—XVIII საუკუნეების კახეთის ისტორიული საბუთების ენაში².

ჩანს, რომ კახურში ამ ბგერის პოზიციის შერყევა ადრევე დაწყებულია იგი თანდათანობით შეუცვლია უკანაენისმიერ სპირანტ ხ-ს და, როგორც ზემოთ ვნახეთ, მხოლოდ აქა-იქ შემონახულა. ამ ბგერას ეგვევ მოსდის ზოგ სხვა დიალექტშიც; მაგალითად, მთიულურის მიმართ შენიშნულია, რომ ზოგი მთიულის მეტყველებაში მისი გარჩევა ხ-საგან ჰირს³.

ბ) ხშულ-მსკდომი ც ფონემა არაა. იგი შედგება ანლაუტში ზოგიერთი ხმოვნის მაგარი შემართვისა. ასეთი შემართვა მოუდის უმთავრესად შორისდებულთა თავკიდურ ხმოვნებს, რომელთაც უკან გადაწეული არტიკულაცია ახასიათებთ. საილუსტრაციოდ რამდენიმე ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება: ცე ძმაო! შენ ცე, რასა-ჯამ? ჰაი, სიკო, ცაუ-მეთქი! ცუჰ, რამდენი შძინებიაო!

მაგარი შემართვით წარმოითქმის აგრეთვე ხმოვნით დაწყებული ზოგიერთი ჩვენებითი ნაცყალსახელი და რიცხვითი სახელი; მაგ.: ცემას რო მიიტანო; ცემით გაიმარჯვა; ცემ დედინაცვალ არ უყვარდა... ცერთი ცხვარი იყიდა და სხვ.

გ) ფონემას არ წარმოადგენს აგრეთვე კბილბაგისმიერი ყრუ სპირანტი ჭ. იგი ვ-ს გაფშვინიერებული რეფლექსია, მიიღება პოზიციურად ყრუ თანხმოვნების წინ ნაწილობრივი ასიმილაციის გამო. გამოითქმის ისევე, როგორც რუსული ჭ; მაგ.: მოჭკვეთო, ჭსხლეტამთ, ჭტირი, გაჭფინო, ჭფიქრობ, ჭცემე, ჭწურავდი, გაჭწიე, ჭჭამდით, მოჭკერით, მოჭხარშამთ, ჭწნამდით და სხვ. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ იგი მკვეთრი თანხმოვნების (კ, ტ, წ) წინაც ისმის.

ეს რეფლექსი კახურში მაინცდამაინც ისე ხშირი არ არის, როგორც გურულსა და ინგილოურშია. იგი შესაფერის პოზიციაში დაყრუებული ვ-ს ნაცვლად ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმაშიც ისმის⁴.

¹ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, გვ. 62; მისივე, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: ტფილისის უნივერსიტეტის მოაზმე, VII, ტფილისი 1927, გვ. 199 — 200.

² ა. მარტიროსთვი, დიალექტიზმები XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, გვ. 246.

³ არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი: ენიმის მოაზმე, II, ტფილისი 1937, გვ. 43.

⁴ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი 1949, გვ. 88.

დ) ზოგან გვხვდება აგრეთვე უმარცვლო უ. იგი დასტურდება უმათვრესად თ, კ, ხ, ქ, შ, ყ, ხ თანხმოვნების შემდეგ და მიიღება კბილბაგის-მიერი ვ-ს გაწყვილბაგისმიერების შედეგად, ვიტყვით, რომ ყურადღებას არ იქცევდეს მისი ხმარება ისეთ სიტყვებში, სადაც ოდითვე უმარცვლო უ იყო; მაგ.: მასკულაფი, შტიდი, კტყავ, სტამდა, მაქჟ (აქჟ), დაქუხუდა, შევხუდით, მოხუდა, ჩახუტავს და სხვ.

უმარცვლო უ უ-სა და ვ-ს მონაცვლეა ასეთ შემთხვევებში: მთუარე, უთელ დღე (← ყველდღე ← ყოველ დღე)... ბავუტი, ბაუტს, მაუტე (← მაშე ← მაშინვე), ჰუტანდა, ასტლა და სხვ.

ზოგჯერ უმარცვლო უ სრულხმოვნობასაც იძენს; მაგ.: კარქათ დაწურთ-ნე (საწურთნია, გაწურთნული) და სხვ.

ვ-ს ნაცვლად უმარცვლო უ იშვიათად გვხვდება ა, ე, ო ხმოვნების შემდეგაც. ასეთ შემთხვევაში იგი წინა ხმოვნებთან ერთად დიფთონგებს ქმნის; მაგ.: ბაუშევი, ყაული შამისრულდა, ბეჭრი, ვცხოტრომდი და სხვ.

ძველი ქართულის უი ჯგუფი უ-ს სახით აქაც გვევლინება სიტყვაში საკვირველი; მაგ.: საკურველი კაცი, რასაკურველია, საკურველება და სხვ.

ამ სახით ეს სიტყვა საშუალ საუკუნეთა მთელ რიგ ძეგლებშიც დასტურდება; მაგ.: საკურველი რამე კაცი იყო (ამირანდარეჯ. 24); რა საკურველი იყო (რუსუდ.); დამცა ცოდვამ საკურველად (ვახტანგ VI, 42) და სხვ.¹ სხვა მაგალითებშიც ეს მოვლენა არც ძველი ქართულისათვის იყო უცხო, სახელდობრ, იგი ხშირად გვხვდება ადიშის ოთხთავსა და ჭილ-ეტრატის იადგარში (მაგ.: წუმა, მკუდრი, შუდი, მშუდობისა, დაუკურდა და სხვ.).

ასეთი შემთხვევები როგორც ძველი, ისე საშუალ საუკუნეთა სალიტერატურო ენისათვის დიალექტზნად მიიჩნევა. ძნელია იმის თქმა, თუ სალიტერატურო ენაში იგი რომელი დიალექტიდან არის შესული, ოღონდ ეს კია, რომ დღევანდლამდის ასეთი ფორმები შემჩნეულია შიგნი კახეთის მკვიდრთა მეტყველებაში, ქართლურსა (ლიახვის ხეობაში)², მესხურ-ჯავახურსა³ და გურულში⁴. სისტემატური ხასიათი აქვს ამ მოვლენას ფერეიდნულში⁵, მაგრამ აქ მეორეული წარმოშობისაა.

ე) ნახევარხმოვანი ჯ ყრუ პალატალური ბგერაა, რომელიც ენის შუა წელის მაგარ სასასთან მიახლოებით იწარმოება. იგი უმარცვლოა და წინა ხმოვანთან ერთად დიფთონგს ქმნის. ეს ბგერა ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ არც ერთ კილოში იგი ისე ფეხმოკიდებული არაა, როგორც კახურში

¹ ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, გვ. 93.

² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში: ჩვენი მეცნიერება, № 2—3, ტფილისი 1923, გვ. 75 — 76.

³ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი: ენიშკის მოამბე, X, თბილისი 1941, გვ. 243; ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის: ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, თბილისი 1950, გვ. 291.

⁴ ს. ჟ ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, ტფილისი 1936, გვ. 57.

⁵ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. შრომა, გვ. 81.

ფუძემოყენიან სახელთა სახელობითის ნიშნად **ჟ** დადასტურებულია გარე-კახურში (ფარჩაჲ, ლვინოჲ, რუჲ)¹, შიგნიკახურსა და ქიზიყურში კი ამ შემთხვევაში -**ი** უფრო გვაქვს, ვიდრე **ჟ**. **ჟ**-ს ხმარების არე შემოფარგლულია იმ მხრივ, რომ იგი გვევლინება მხოლოდ რედუცირებული **ს**-სა და იშვიათად **ჰ**-ს ნაცვლად. ასეთ შემთხვევაში **ჟ** ხშირად ჰაესა და ხანს შორის გარდამავალი ბგერის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს გარდამავალი ელფერი განსაკუთრებით შეათიოდ აღიქმება მაშინ, როცა **ჟ** ზმნებში სუბიექტური მეორისა და ობიექტური მესამე პირის პრეფიქსების ხანისა და ზოგჯერ ჰაეს მონაცვლედ გვევლინება. ამ პოზიციაში ცხრა თანხმოვნის წინ **ჟ**-ს ხშირად **ს**-ს ელფერი დაჰყრავს, სხვა მეზობელი თანხმოვნების ზეგავლენით კი მას ახლავს ჰაესათვის შესაფერისი ფშვინიერი დამართვა². აქუსტიკურად იგი რთული ბგერის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელიც იწყება **ჟ**-თი და თავდება ხანით ან ჰაეთი³. ესაა **ს**-სა და **ჰ**-ს დასუსტების პირველი საფეხური, როცა ამ ბგერებს ჯერ კიდევ მთლად არა აქვთ დაკარგული თავიანთი ბგერითი სახე. გრაფიკულად ეს გარდამავალი ბგერა ტექსტებში გადმოცემული გვაქვს **ჟს** და **ჟჰ** ნიშნებით⁴; მაგ.: დაჟსცხეფს, გადაჟსცდეს, მიჟსწერა, გამოჟსწერა, ნოჟსწერა, დაჟსწვებითო, გაჟსწრა, დაჟსქირდებოდა... გამოჟსქარ, დაჟსქივლა, აჟსქილა, დაჟსქრა, შამოჟსქრამდა, მოჟსქლამს, მოჟსქპარა, შამჟსქპარვია, გაჟსყვა, შამჟსყვლა, დაჟსჰვევიყო და სხვ.

მომდევნო თანხმოვანთან ასიმილაციის ნიადაგზე **ჟს** ნაცვლად ზოგჯერ ისმის **ჟჰ**; მაგ.: დაჟსქრა, აჟსქრა და სხვა.

გარდამავალი **ჟს**, **ჟჰ** ბგერა დასუსტების შემდგომ საფეხურზე ქცეულია **ჟ**-დ. ეს უკანასკნელი, როგორც პრეფიქსი, **ს**-სა და **ჰ**-ს ნაცვლად გვევლინება თითქმის ყველა თანხმოვნის წინ; მაგ.: აჟლერტამს, მიჟგვარა, მიჟდევს, ჩამოჟვარდებო, დაჟთხარა, აჟითხა, მოჟკედლებო, ჩამოჟკიდა, დაჟლაპარაკებოდა, არ დაჟმარცხდო; შამჟირდა, დაჟრჩება, დაჟსუნამს, მოჟტყდა, დაჟფარცხანს, მოჟქონდათ, შამლუის, შამყეება, აჟშორდება, გაჟჩნოდა, მიჟცა, გაჟცდები, მოჟძერა, გაჟწი, დაჟწოდა, დაჟქრის, შამხვდა, დაჟოცამს და სხვ.

თუ ზმნას პრეფერბი არ გააჩნია და წინა სიტყვა ხმოვნით თავდება, **ს** ან **ჰ** პრეფიქსის მონაცვლე **ჟ** ზოგჯერ წინა ხმოვანს ეკედლება და მასთან ერთად ქმნის დიფთონგს. ამის შედეგად ორი სიტყვა ფონეტიკურად ერთ მთლიან ერთეულად წარმოგვიდგება⁵; მაგ.: ფურსაჟწველის, კაცსაჟქონდა, დეღამაჟკითხა, ამასაჟყვანდეს, ისაჟქვამდა, არაჟცალიანო, არაჟქონიყო, აღარაჟძოვს, ვერაჟჯობნის, რათაჟცემო? და სხვ.⁶

გარდა ზმნის პრეფიქსისა, **ჟ** სისტემატურად გვევლინება ხმოვნების შემდეგ მიცემითის -**ს**-ს დასუსტების შედეგად; მაგ.: მაჟმჟა ეხვეწებიან; ქედო-

¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, გვ. 62.

² იქვე, გვ. 75.

³ ვ. თ ო ფ უ რ ი ა. ქართლური: არილი, გვ. 144.

⁴ ამ საბით იოტინებული დიფთონგები კახურის გარდა შენიშნულია ქართლურსა, ფერეიდნულსა და ფშაურში: ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური: არილი, გვ. 130, 144; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, VII, გვ. 200; აღ. ლეკი აშვილი, ივრის-ხეური ფშაური: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, თბილისი 1941, გვ. 166.

⁵ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 63.

⁶ ტექსტების ბეჭდვისას ვამჯობინეთ ასეთ შემთხვევაში წინა სიტყვა ზმნისაგან დეფისით გამოგვეყო; მაგ.: არა-ჟქონდა, იმსა-ჟკითხა და მისთ.

ლა და დაჯალმდა; მაგაა ხმა და რაა გავცემთო... საჩალეა ვეძახით; მე-ჯინიბეა მიაცა; მეორე დღეა წავიდა... შაქროა დაუდექ; დროა გაატარებდნენ... ვიღა გაუგონიაო და სხე.

ამავე პირობებში და განსაკუთრებით ხშირია -თან თანდებულის დართვისას; მაგ.: დედათან, ნათლიმამათან, იმამთან, მეცხვარეთან, ნეფეთან, წყაროთან, ქიგოთან და სხე.

ნათესაობითში დასმული პრეპოზიციული მსაზღვრელის -ს ელემენტი სუსტდება და და-ს გვაძლევს; მაგ.: ქალია ხმა, სკოლია დარაჯი, ფეტვია გაფენა, იმიო იმელი, ერბოა ქილები, ეზოა წინ... ასევეა თანდებულებთან: მეზობლივან, სიმამრიეთვინ და სხე.

და თავს იჩენს და-ს მონაცვლედ ეს და ის ჩვენებით ნაცვალსახელებშიც; მაგ.: ეა პური... ია ბიჭი, ია სოფელი, ია დლით იზდება და სხე.

ა, ე, ი, თ ხმოვნების შემდეგ და-ს სახეს იღებს ზმნაში სუბიექტური III პირის ნიშანი -ს და მრავლობითის -ებს სუფიქსის -ს ელემენტი; მაგ.:

აწმყოში: უდგაა, აწველია, ეკუთვნია, უშველია, ეტყვიდა...

კავშირებით I-ში: აშენებდეს, აკეთებდეს, მუშაობდეს, ხნამდეს, მკიდეს...

კავშირებით II-ში: დარჩება, დააყვება, მოიღება... შეითვისოა, გააკეთოა, აკითხოა, იყოა, გაიგოა... დეეკრება, წაართება, მაიხნაა...

წყვეტილის მრ. რიცხვში: გამააცხება, ქამება, გაუყვება, დაინახება, დაიწყება, უთხრება, ჩაიცივება და დაიხურება...

ასეთ პოზიციაში და-ს დასუსტების შედეგად მიღებული და გვხვდება ხმოვნის წინა ცილნალის რაიონის სოფ. ქვემო ბოდბესა და ქვემო მაჩხაანში; მაგ.: სუ ჩემი იყოა; ჩქარა წავიდეთ და სხე.

სპეციალურ ლიტერატურაში ასეთი შემთხვევები დადასტურებულია ქიზიყის სხვა სოფლებში¹.

ორშემასმენლიან წინადადებაში ზოგჯერ მხოლოდ პირველი ზმნის და სუსტდება და და-ს გვაძლევს, მეორისა კი უცვლელადაა; მაგ.: აიღება და გააძევეს; გამააცხება და მიაყუდეს; წაიყვანება და მიაბარეს; არ გაიბეროა და არ დაიხრჩოს და სხე.

და-ს ბედი იგივეა ძირისეულ მასალაშიც, კერძოდ და და სწ კომპლექსებში. ენაკბილისმიერი მკვეთრების წინ და გადადის და-ში უმთავრესად მაშინ, როცა მას წინ უსწრებს ხმოვანი; მაგ.: დაატური, ლაატი, დაატები, მეატრი, ფო-ატა, ბოატანი, კომბოატო, ჩუატები, ქრიატიანები... სააწორზე, მააწავლა, გავააწორებდით, დავააწარ, მევეაწარ და სხე.

ამავე კომპლექსებში და (← და) იკარგვის კიდევ, თუ მას წინ ხმოვანი არ უსწრებს; მაგ.: ტაქანი, ტუმრები... წორეთ, მომწრე, წავლა და სხე.

ამგვარად, და და სწ კომპლექსებთან დაკავშირებით გვაქვს ასეთი მოვლენები: და შეიძლება ან უცვლელად შემოგვენახოს, ან და-დ იქცეს, ან კიდევ მთლიანად დაიკარგოს. საინტერესო ისაა, რომ მაგალითები სტუმარი, სტვირი, სტეფანე... სწორი, სწავლა და სხვა ზოგჯერ ერთსა და იმავე პირის მეტყველებაში შეიძლება სამივე სახით შეგვხვდეს: სტუმარი, ატუმარი, ტუმარი... სწავლა, აწავლა, წავლა და სხე.

¹ არნ. ჩიქობავა, და ბგერის დასუსტება ქიზიყურში: ენიმკის მოამბე, I, გვ. 69.
3*. კახური დიალექტი.

• დასტურდება შტ კომპლექსშიც; მაგ.: მუჲტი, (მუჲტი ტოლა), მუჲ-ტარი, ტაჲტი და სხვ.

ამ შემთხვევაში • უშუალოდ შინისაგან კი არაა მიღებული, არამედ ხანისაგან (შ → ს → ჯ): „შინი ხანით იყო შეცვლილი მაშინ, როცა ამ უკანასკნელმა მოგვცა კანონზომიერი რეფლექსი“¹. ამგვარ ახსნას მხარს უჭერს შ-სა და ს-ს მონაცვლეობის ასეთი შემთხვევები: მუსტი, გასტერდა და სხვ.

• ამგვარი წარმოშობისა ჩანს აგრეთვე მაშ მტკიცებით ნაწილაკში; მაგ.: ქართული იყო, მაჲ! მაჲ ქა, რას ამოფ? ბალახიც არი, მაჲ! და სხვ.

შეიმჩნევა აგრეთვე ხმოვნის შემდეგ -ც ნაწილაკის დასუსტება და •-დ ქცევა ასეთ შემთხვევებში: დედ-მამას გაუხარდათ და ძმებსაჲ; რომელ ტოტ-საჲ ქრის, იმ ტოტზე დგა; ამლელ-ჩამლელსაც აქამე და შინაჲ მაიტანეო; ხუთ დღესაჲ ვერ დაეამთაერებო; რასაჲ გეტყვის, ჰო უთხარიო და სხვ.

შედგენილ რიცხვით სახელებში ოც სიტყვის -ც ასიმინაციის შედეგად იძლევა •-ს; მაგ.: ოდღაერთი (← ოზღაერთი ← ოძღაერთი ← ოცღაერთი), ოდღახუთი, ოდღაათი, ორმოდღაათი და სხვ.

• მიღებული ჩანს ჴ-საგან აგრეთვე ჴ არ დ ფუძის შემცველ სახელსა და ჴმნაში; მაგ. ადღილი, გადღილი, დადღილები, ახალგაჲდა, გავაჲდევინე, იდღე-ბოდა, ადღილიყო და სხვ.

არაა საფიქრებელი, რომ ამ შემთხვევაში • რეფლექსი იყოს ხანისა ჴ რ კომპლექსში მისი ჴ-სთან ან რ-სთან შენაცვლების შემდეგ: ჴ → ს → ჯ... რ → ს → ჯ (გაზრდილი → გაზდილი → გასდილი → გადდილი... ან: გაზრდილი → გარდილი → გასდილი → გადდილი). ეს კია, რომ კახურში თითქმის ერთნაირად გვხვდება როგორც გაზდილი, ისე გარდილი, მაგრამ არა გვაქვს გასდილი, რომელიც დადასტურებულია საშუალ საუკუნეთა ჴოგიერთ ლიტერატურულ ძეგლში.

ფონეტიკური წრცისვაბი

კახურ დიალექტს ახასიათებს მრავალფეროვანი და საინტერესო ფონეტიკური მოვლენები, რომელთაგან ჴოგი ძველ ქართულშიც დასტურდება, ძირითადი პროცესები კი საზოგადოდ დამახასიათებელია ახალი ქართული-სათვის, კერძოდ ხალხური სასაუბრო მეტყველებისათვის. სხვა დიალექტებთან საერთო მოვლენების გარდა კახურში გვხვდება აგრეთვე თავისებური ფონეტიკური პროცესები, რომლებიც ასახულია ისტორიულ დოკუმენტებსა და კახეთიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებშიც.

9. ასიმინაცია. ქართულ სალიტერატურო ენაში ასიმინაციური მოვლენები, როგორც ცნობილია, შედარებით იშვიათია: „ქართულის ერთი ფონეტიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია ერთად მდგომი სხვადასხვა რიგის ბგერები ისე გამოთქვას, რომ მათ შორის ასიმინაცია არ მოახდინოს“². მიუხედავად ამისა, მისი გამოვლენის არა ერთი და ორი შემთხვევა გვაქვს როგორც ახალ, ისე ძველ სამწერლობო ენაში. ასიმინაცია მეტად გავრცელებული მოვლენაა ქართული ენის კილო-თქმებში. ამ მხრივ კახური სხვა დიალექტებს არ ემიჯნება, მაგრამ მაინცდამაინც ისე არაა ფეხმოკიდებული, როგორც ჴოგიერთ კილოში (მაგალითად, ინგილოურ-ში, ფერეიდნულსა, გურულში და სხვაგან).

¹ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 67.

² ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 26, გვ. 23.

ასიმილაციას ადგილი აქვს როგორც ხმოვნებსა, ისე თანხმოვნებს შორის. ორივე შემთხვევაში ბგერათა დამსგავსება ჩვეულებრივ რეგრესულია, პროგრესული ასიმილაციის მოვლენები კი, რაც ტიპობრივია გურულისათვის, ძალზე იშვიათად გვხვდება.

10. ხმოვანთა ასიმილაცია. კახურში, ისე როგორც სხვა აღმოსავლურ დიალექტებში, შედარებით ფართოდ არის მოდებული ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია. განსაკუთრებით ხშირია ზმნაში ფუძისეული ხმოვნის ზიერ პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსების შემთხვევები. ამ პოზიციაში ხმოვანთა მხოლოდ ერთი გარკვეული სახის ასიმილაცია გვხვდება: მაასიმილირებელ ძალას იჩენს ვნებითის ე თავსართთან.

ა) ფუძისეული ე ავიწროებს პრევერბისეულ ა, ო ხმოვნებს და სრულად იმსგავსებს მათ. ამ მხრივ კახური გვერდით უდგას ისეთ დიალექტებს, როგორცაა ქართლური, ფერჯიდნული, ინგილოური და სხვ. ნიმუშები:

აე → ეე: ეელო, ეეშეებოდა, ეეხადნა, ეენტო, ეეტანა, ეეფარა...

გეელვიძა, გეეყვანა, გეემსო, გეეგო, გეეშო, გეეპარა, გეეცა, გეეებება... გეეყიდნა (1749 წ., დოკ. 423)...

დეესაბლა, დეეკარგა, დეეკიოხა, დეეებადა, დეედგა...

წეეჩხუბა, წეეყვანა, წეელოთ...

ჩეეშეა, ჩეეთვალა, ჩეეტევა, ჩეეყარა... ჩეეკენჭა (გმ. მელ. 11) და სხვ.

ოე → ეე: მეეკიდა, მეეწონა, მეერეოდა, მეემატება, მეეშეა, მეელის, მეედო, მეეკლა... მეეთრია (გმ. ილია, III, 244) და სხვ.

იშვიათად ფუძისეული ე იმსგავსებს პრევერბისეულ ი ხმოვანსაც: იე → ეე; მაგ.: საჩექმე უნდა მეეცა; ხალხსა ნორმა მეეცათ; ჩუმათ მეეპარება.

მაასიმილირებელი ე თავსართის გავლენა ვრცელდება პრევერბისეულ ხმოვანზე, თუნდაც მათ შორის იყოს სუბიექტური თუ ობიექტური პირის ნიშანი; მაგ.: დეეეჩვიე... მეეეწონე, მეეეელი... წეეეთრევი... გეეეპარა, გეეესხნება, გეეეხედნა... დეეელაპარაკები, დეეეხმარები, დეეეეკარგება... წეეეელო... მეეეეშორებიანა... მეემედო (გმ. მელ. 41), მეეესწრობით (იქვე, 29) და სხვ.

ამ მოვლენას ადგილი აქვს განსაკუთრებით მაშინ, როცა ზმნას რთული პრევერბი გააჩნია. ფუძისეული ე იმსგავსებს აშო-, გადშო-, გამშო-, წამშო-, ჩამშო-, გადა- პრევერბთა ო-ს ან ა-ს, ნაასიმილაციარი ე კი თავის მხრივ რთული პრევერბის პირველ ხმოვანს. ამ მხრივ კახური ნაწილობრივ განსხვავდება ქართლურისაგან, რომელშიც ვნებითის ე ასე ფართო მასშტაბით ვერ ახდენს გავლენას თანხმოვნით დაშორებულ ხმოვანზე, და ახლოს დგას ინგილოურთან და ფერჯიდნულთან; მაგ.: ემეეელოთ, ემეეეჩინათ...

გემეეშეა, გემეეკიდა, გემეეცხადა, გემეეღვიძა, გემეემეთრია... გემეეცვლევინა (ხელნაწ., გამოცემაშია გამოეცვლევინა: ილია, III, 106), გემეეცხადებინათ (გმ. მელ. 70)...

წემეეეცმება, წემეეეელო, წემეეეელოთ...

ჩემეეეელო, ჩემეეერთოთ, ჩემეეეგდოთ, ჩემეეეშეა, ჩემეეეყვანათ, ჩემეეეეყალიბებინა... ჩემეეეკიდა (გმ. მელ. 17), ჩემეეეეეგებნენ (იქვე, 29) და სხვ.

ამავე პოზიციაში დასტურდება ასიმილაციის ისეთი საფეხურიც, როცა ე იმსგავსებს ზემოდსახელებულ პრევერბთა მხოლოდ ო-ს, წინა ა ხმოვანი კი უცვლელად რჩება; მაგ.: ვადეეელოცა, ვადმეეეშეა, ვამეეეგზავრენენ, ჩამეეეპნა და სხვ.

ამგვარად, ასიმილაციის შედეგად პრევერბები ა-, გა-, ღა-, ჩა-, წა-, მო-, ამო-, გამო-, შემო-, ჩამო-, გადა-, გადმო- კახურში ასეთ სახეს იღებს: ე-, გე-, დე-, ჩე-, წე-, მე-, ემე-, გემე-, შემე-, ჩემე-, გელე-, გელმე-.

ბ) გვხვდება ფუძისეულ ხმოვანთა ასიმილაციაც. ფუძისეული და აფიქსისეული ხმოვნების შეხვედრისას ადგილი აქვს ასეთ პროცესებს:

მრავლობით რიცხვში -ებ სუფიქსის ე ხმოვანი სრულიად იმსგავსებს რალაცა, ამა, მაგა, იმა და რა ნაცვალსახელთა ბოლოკიდურ ა ხმოვანს; მაგ.: რალაცებო... ამეების გაკეთებაში... ემეებში მოხერხებულები არიან (გმ. დ. მაჩხ. 89)... მაგებზე ჭეიფობენ... მაგების დამტკიცება არა ვკისრულობ (თარგმ. რ. ერისთ. I, 96)... ლხინსა რას ნახვენ, რეებსო! (თეიმ. II, 57); ეგ რეები ჩაგიდენია, ჰა? (გმ. ილია, II, 109); იციო, მერეები იცი? (გმ. ევდ. III, 198) და სხვ.

ქიზიურში ამავე მოვლენას ადგილი აქვს აგრეთვე სხვა შემთხვევებში; მაგ.: ნათესები (← ნათესავეები), ნათესებზე უთხრე... დიდ ღორატყებდნენ (← ატყაებდნენ)... ექვს წლამდინ იმუშეებს (← იმუშაებს)...

აღსანიშნავია, რომ ასიმილაციას არათუ ხელს არ უშლის ხმოვანთა შორის მოქცეული ვ, არამედ ასიმილაციის შემდეგ თვითონ იკარგება.

ზოგიერთ სახელს მრავლობითში -ებ სუფიქსის დართვისას არ ეკვეცება ბოლოკიდური ა ხმოვანი. იგი ემსგავსება მომდევნო -ე-ს და მასთან ერთად ზოგჯერ იძლევა პოზიციურ გრძელ ხმოვანს (აე → ეე → ე); მაგ.: მივიდნენ დეიდები (← დეიდაები); ყველის გუდეები (← გუდაები), ქეეები (← ქვაები)... შენი თანეები (← შენითანაები)...

ანალოგიური ფაქტები გვხვდება კახეთიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში და აგრეთვე ქართლურში¹; მაგ.: ჟლარუნეები (გმ. რ. ერისთ. IV, 385), სიმღერებს (ხელნაწ., გამოცემაშია სიმღერებს: რ. ერისთ. IV, 165), გარემოებებიც (იქვე, 401), მურაბეებს (იქვე, 351), მაგითანეების (იქვე, 426) და სხვ.

წინამავალ ფუძისეულ ან ე ხმოვანს ზოგჯერ -ობ სუფიქსის -ც იმსგავსებს; მაგ.: ამოობაში დროც გავიდა; კარქათ მუშოოფს... მონაწილოოფს...

ასიმილაციას ადგილი აქვს მაშინაც, როცა -ა მავრცობიანი მიცემითის ფორმას ერთის -ებ II -ეფ (← -ებრ) თანდებული; მაგ.: დასეეფ, მთასეეფ, ფუინასეეფ და სხვ.

რატოთი ნიშნავს 'რამდენს' და ხმოვანთა დამსგავსებით ჩვეულებრივ იძლევა რეერთს; მაგ.: რეერთი გინდოდა? რეერთი მოქცე? რეერთი გვალდინე? (გმ. მელ. 7) და სხვ.

ამავე სიტყვაში ასიმილაციასა და რ-ს დაკარგვას ზოგჯერ მოსდევს იდენტურ ხმოვანთა შერწყმა; მაგ.: რეთი (← რეთი ← რეერთი ← რატოთი), საათის რეთია? და სხვ.

ო-ს გადასმისა და მისი ე-სთან დამსგავსების გამო ყოველ ნაცვალსახელი ყველ სახეს იღებს. ასიმილაციის შემდეგ აქაც თავს იჩენს ბგერათა შერწყმა (ოე → ეე → ე); მაგ.: ყველდღე, ყველთვინ; შღრ. ყველდღე, ყველთვინ და სხვ.

¹ ა. მარტიროსოვი, ანგარიში საზოგადოებრივი მივლინების ფორმის ხეობაში: ვნიშვის მოამბე, IV, თბილისი 1938, გვ. 212; ოტ. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, თბილისი 1953, გვ. 280.

ასევე ნეტათეზისისა და ასიმილაციის შედეგად მიღებული ჩანს მეენთი (← მანეთი); ზაგ.: ხუმმეტი მეენთი, თორმეტ მეენთ ვიხდიდი; შდრ. ოზდახუთი მანათი.

გ) კახურში ი და უ ვიწრო ხმოვნები ვერ ახდენენ გავლენას წინამავალ ა, ე, ო ფართო ხმოვნებზე. ჩვეულებრივ უცვლელადაა დაცული აი, ოი, აუ კომპლექსები. კახურისათვის სრულიად უცხოა დასავლური კილოების დამახასიათებელი რეგრესული ასიმილაციის ისეთი შემთხვევები, როგორცაა: დინახა, გეიგო, წუჟლო და სხვა. უკანა რიგის ვიწრო ხმოვანი უ იმსგავსებს მხოლოდ წინა რიგის ვიწრო ხმოვან ი-ს, თუ იგი მასთან უშუალო მეზობლობაშია. ამ ტიპის ასიმილაციის გავრცელების არე უფრო ფართოა შიგნი კახეთის რაიონებში, შედარებით ნაკლებია ქიზიყურში; მაგ.: მუჟს-მოუსვა, მუჟტანა ამბავი; მუჟცია საცხოვრისი; მუჟყვანეა როსტომს; წინ მუჟღვის; მუჟჯდა გვერდზე; მაქაქალს მუჟგზავნიდენ; ცხვარი მუჟღის; მიწა მუჟზომა; მუჟლოცა და სხვ.

ამგვარად, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თითო-ოროლა გამონაკლის შემთხვევას, კახურისათვის ტიპობრივია მხოლოდ ხმოვანთა ერთი სახის ასიმილაცია, ესაა სრული რეგრესული ასიმილაცია. მას იწვევს მხოლოდ ე და უ ხმოვანი. ამათგან ე ავიწროებს წინამავალ ფართო ა ხმოვანს, უ კი იმსგავსებს მხოლოდ ვიწრო ი ხმოვანს. უფრო აქტიურია პირველი პროცესი.

11. თანხმოვანთა ასიმილაცია. კახურში უფრო მეტად მოქმედი პროცესია ნაწილობრივი კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია, რაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია დეცესიური კომპლექსებისათვის¹. დისტანციური ასიმილაცია, როგორც სრული, ისე ნაწილობრივი, თითქმის საერთოდ ქართულში ცნობილი შემთხვევებით ამოიწურება. დამსგავსება ხდება ბგერის ორივე ძირითადი ნიშნის მიხედვით, სახელდობრ, წარმოების ადგილისა და სახმო სიმების მოქმედების დამსგავსების მიხედვით. უფრო ხშირი მოვლენაა ყრუ თანხმოვნების მიერ წინა მჟღერთა დაყრუება. ადგილი აქვს აგრეთვე ყრუ სპირანტების რეგრესულ გამჟღერებას, ფშინივიერთა ასიმილაციას მკვეთრებთან და შიშინა თანხმოვანთა მიერ სისინა თანხმოვანთა დამსგავსების შემთხვევებს.

აღსანიშნავია, რომ ზოგი სახის ასიმილაცია არასისტემატური ხასიათისაა: ერთნაირ პოზიციაში ამ პროცესს შეიძლება ადგილი ჰქონდეს და შეიძლება არა.

12. თანხმოვანთა კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია. მჟღერთა დაყრუების შემთხვევები გვხვდება, როცა:

ა) მჟღერ ხშულ ბ, დ-ს მოსდევს ყრუ ხშული თ, ტ ან სპირანტი შ და ს. ამათგან ს და თ ბრუნვისა ან პირისა და მრავლობითი რიცხვის ფომანტებია, შ კი თანდებულისაა; მაგ.:

ბტ → პტ: პტყელი (← ბტყელი ← ბრტყელი), აქედან: სიპტყე, მოპტყო... პტყელი ჩახსაკრავი... შემოეკრა (ილია, II, 227); რა პტყელ-პტყელ ლაპარაკს მოვყვებოდით (გმ. ილია, III, 113); გაპტყელებული (იქვე, V, 197) და სხვ.

¹ ბ. ახვლედიანი, თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების საკითხისათვის ქართულში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXI/ბ, თბილისი 1947, გვ. 358.

დს → თს: ამათგან დ ფუძისეულია -ს კი მიცემითის ნიშანი: ქუთს, მესამეთს.

ბს → ფს: ს მიცემითი ბრუნვის ან მესამე სუბიექტური პირის ნიშანია, ბ კი ფუძისეული: მწყემსეფს, ძმეფს, სურათეფს, ამეფს... იწყეფს, ეძეფს, ბძანეფს, დააბრუნეფს... ცდილოფს, ფიქროფს, ცსოვროფს, გამოიწროფს და სხვ.

ბთ → ფთ: თ პირველი და მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანია, ხოლო ბ თემატური ელემენტი: გაგიწვეფთ, გაეაკეთეთ, მოვაცილეთ და სხვ.

ბშ → ფშ: შ თანდებულისეულია: ქვაფში, ჯამეფში, სახლეფში და სხვ.

ბ) მჟღერ სპირანტ ვ, ფ, ლ-ს მოსდევს ყრუ სპირანტი ხ, შ ან ყრუ ხშული თ, კ, ჩ; მაგ.:

ვს → ფს: მზითეფს, დავიფსე, ამეფსო...

ფკ → შკ: ვაშკაცი (აქედან: ვაშკაცობა, ივაშკაცა და სხვ.)...

ლს → ხს, ლშ → ხშ, ლჩ → ჩჩ, ლთ → სთ: ახსარება... ბახში... ბოხჩა, ბახჩა... აბთქმა, სამხთო (← სამლთო ← სალმთო ← სალმრთო) და სხვ.

გ) ობიექტური პრეფიქსი მეორე პირისა გ- მომდევნო ყრუ ფშვინვიერებთან უმეტეს შემთხვევაში ქ-დ იქცევა, მკვეთრებთან კი კ-დ ან იშვიათად ქ-დ; მაგ.: ქთხოვს, ქსურს, მოქსვლიათ, მოქშივა, ქშორდება, დაქჩება, მოქცემ, შაქხდება, ქხურამ, მოქხედამენ... კტაცონ, კყავთ, მოკყამთ, მოკწყინდა, შაკჰანს, დაკჰრით... ან კიდევ: ქყოლია, ქწადიან, მოქჰრი და სხვ.

ადგილი აქვს დისტანციურ ასიმილაციას, როცა გ-ს უშუალოდ სონორი რ თანხმოვანი მოსდევს; მაგ.: დაქრჩა, შაქრთო, ქრცხეწიან და სხვ.

ქ, კ თანხმოვნებთან გ-ს სრული ასიმილაციის შემდეგ ხოგჯერ ადგილი აქვს იდენტურ თანხმოვანთა შერწყმას: გქ → ქქ → ქ, გკ → კკ → კ; მაგ.: შენ ქონ დეს კოშკიო; ტანისამოსი ხო ქონ და შენ? თქვი, თორე მოკლამო და სხვ.

ასიმილაცია მოსდის აგრეთვე ობიექტური პირველი პირის გვ-პრეფიქსის გ- ელემენტს ანალოგიურ პირობებში: დაქესხეს, მოქვეცემენ, დაქჩა, შექჰამს, დაქვატკოსო... კყავ, კყალოდა, მოკყავ; შდრ. პირობა ქვონ-დაო; ქორწილი ქვონდის.

დ) სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ხ- მომდევნო შიშინა ხშულ აფრიკატებთან ასიმილაციის გამო შ-დ იქცევა, როგორც ეს ძველ ქართულში იყო და ამჟამად თითქმის ყველა დიალექტშია; მაგ.: დაშქერი, დაშქირდები, შქამდა... შეშქამდა (რ. ერისთ. III, 21)... მოშჰრა, ამოშჰრა, დაშქნობია... შეშჩივლა, შეშჩერებოდა და სხვ.

სუბიექტური თუ ობიექტური პრეფიქსი ხ- მომდევნო მჟღერ თანხმოვნებთან ხშირად ჴ-სა და ჳ-ს სახით გვევლინება; მაგ.: მიზღიხარ, გაზღიხარ, ჴდგამს, ვზღიე, მოზღომნია, ჴძინამ, შემოზძერათ... ჟჯობია, ჟჯობდეს და სხვ.

ე) ყ-ს ზეგავლენით დ და თ ჩვეულებრივ მკვეთრდება და ვიღებთ ქართლისათვის ჩვეულებრივ ტყ კომპლექსს; მაგ.: შინატყენ, იქიტყენ და სხვ. აქვე შემოდის ავანტყოფი, სადაც ასიმილაციამდე სხვა ფონეტიკური პროცესი იჩენს თავს, სახელდობრ მეტათეზისი და სუბსტიტუცია; მაგ.: ავანტყოფი (← ავამტყოფი ← ავამდყოფი ← ავადყოფი), ავანტყოფობს, დაავანტყოფდა, საავანტყოფო¹. ასევეა ქართლურში².

¹ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 71; ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II, ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, ტფილისი 1930, გვ. 293.

² ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 131.

გვხვდება აგრეთვე სპირანტ ჰ-ს ასიმილაცია ყ-სთან ზ-ს სახით მთის ზოგიერთი კილოს მსგავსად; მაგ.: დახყვანდა, დახყვებოდა, დახყაბულდა და სხვ.

ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად არის მიღებული ფ შ ვ ე ლ ი (← მშველი): ფ შ ვ ე ლ ზ ე ნადირობა, ფ შ ვ ე ლ ი ს ხორცი და სხვ. ამ სახითაა ეს სიტყვა მთიულურშიც¹.

ვ) კონტაქტურ მდგომარეობაში ადგილი აქვს აგრეთვე ყრუ თანხმოვანთა რეგრესულ გამქდერებას; მაგალითად, მომღვენო -გან თანდებულის გ-ს გავლენით ფორმანტიკული ყრუ სპირანტი ხ განიცდის ნაწილობრივ ასიმილაციას, სგ → ზგ: ძმიზგან, სიხარულიზგან, სიმწვავეზგან, იმიზგან, ყველაზგან და სხვ.

ასეთ პოზიციაში ეგვევ მოსდის ფუძისეულ ხ-ს სიტყვაში: მ ზ გ ა ვ ს ი, აქედან: დეენზგავსა და სხვ. მაგრამ უფრო ხშირად ზგ ქართულისათვის ჩვეულებრივი გზ კომპლექსით იცვლება; მაგ.: მგზავსი, ემგზავსება, დაამგზავსა და სხვ.

ერთი და მეორეც ხშირად გვხვდება ისტორიულ დოკუმენტებსა და კახეთიდან გამოსული მწერლების ნაწერებში; მაგ.: მზავსა (1627 წ., სიძვ. III, 538), მგზავსად (1736 წ., იქვე, 239), ამზავსა (არჩ. II, 3), მაგრამ: მგზავსი (თეიმ. I, 103), მამის მგზავს კაცს (გმ. ილია, III, 136) და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ ცოცხალ მეტყველებაში ამჟამად ამ სიტყვაში ხ ყოველთვის ზ-დ წარმოითქმის, „ძველს ქართულში არა გვაქვს შემთხვევა სანის ასიმილაციისა განთან“².

მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის თ ე ლ ე მ ე ნ ტ ი -გან თანდებულის დართვისას მქდერდება, მასიმილებელი გ კ ი ზოგჯერ შენარჩუნებულია; მაგ.: ოთახიდგან, შკოლიდგან, ტყიდგან, ხიდგან, ჯიბიდგან, თავიდგან, გარედგან, საიდგან, იქიდგან და სხვ.

ასევე იშვიათად მომღვენო გ-ს ზეგავლენით ფუძისეული თ ი ქ ც ვ ა დ -დ ე რ თ გ ა ნ და ე რ თ გ უ ლ -ში; მაგ.: მივიდა ე რ დ გ ა ნ; ე რ დ გ უ ლ ი მეგობარი და სხვ.

ზ) რეგრესულ ასიმილაციას ადგილი აქვს ორი სიტყვის შეხვედრის ნიადაგზედაც. ზოგჯერ სიტყვის ბოლოკიდური ყრუ თანხმოვანი მქდერდება, ხოლო მქდერი ყრუვდება, თუკი მომღვენო სიტყვა მქდერი ან ყრუ თანხმოვნით იწყება; მაგ.: წავიდა ე ზ ბ ი ჭ ი; ე ზ გ ლ ე ს ი გამდიდრდა; ქ ა ლ ი ზ დედამ უთხრა... შ ი ქ ჩ ა ყ ა რ ა; შ ი ქ ჩ ა ვ ა რ დ ა და სხვ.

13. დისტანციური რეგრესული ასიმილაცია. კახურსაც ახასიათებს საერთოდ ქართულში ცნობილი შორეული, ანუ დისტანციური რეგრესული ასიმილაციის მოვლენები. გვხვდება როგორც სრული, ისე ნაწილობრივი დამსგავსების შემთხვევები.

სრული ასიმილაციის მაგალიტებია: შაშუალო, შიმშურნე, შამშობლო, ყმაყოფილი (დაყმაყოფილდა), ყმაყოფა.. ლელა (← ნელა) და სხვ.

ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის შემთხვევები უფრო ხშირია, მაგრამ იგი სხვაგანაც გავრცელებულია; მაგ.: შაჟენი, შინჯვა (გაშინჯვა) და სხვ.

¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 48.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, ტფილისი 1922—1923, გვ. 275, შნშ. 1.

14. თანხმოდანთა პროგრესული ასიმილაცია. სხვა აღმოსავლური კილოების მსგავსად კახურში ძალზე იშვიათად ვხვდებით პროგრესული ასიმილაციის შემთხვევებს აქცესიურ კომპლექსებში. შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი ორიოდ სოფლის (წინანდალი, კურდღელაური, მატანი) მცხოვრებთა მეტყველებიდან.

სღ → ხთ: მოხთა (გავხთი, გამხთარა), დამიხვთა, ვხთილობდით, შაღწუხთები.

ხღ → სთ: დამიტერესთა, გაუარესთა.

ფღ → ფთ: გაცოფთა, დააფანტკოკთა.

კღ → კტ დისტანციურ მდგომარეობაში: დააკლტა, მოკვტა.

თითო-ორთა ამგვარი შემთხვევა აღმოსავლურ კილოთაგან დადასტურებულია ტყვიანის მიდამოებსა და ატენისა და წედისის ხეობის ქართლურშიც¹.

15. დისიმილაცია. ბგერათა გადამსგავსების მოვლენები კახურში არ არის მაინცდამაინც გავრცელებული. ეს ითქმის განსაკუთრებით ხმოვანთა დისიმილაციის შესახებ.

ბგერათა გარკვეულ კომპლექსებთან დაკავშირებული დისიმილაციის გარდა, რასაც სუბსტიტუციის საკითხთან ერთად განვიხილავთ, გვხვდება ხმოვანთა გადამსგავსების ერთეული შემთხვევები; მაგ.: ნეკი მოვწუოთ (← მოვწოოთ ← მოვწოვოთ); უნდა ვაწუოთ და მისთ. საფიქრებელია, რომ ეს ანალოგია იყოს ფორმისა ვაწუე და შემდეგ ვაწუო.

კახურში სისტემატურად იხმარება ზმნისართი ეხლა, მაგრამ იგი დისიმილაციის შედეგი არა ჩანს (ეხლა ← ახლა)², რადგანაც ამ ტიპის ზმნისართებსა და ნაცვალსახელებში საერთოდ ენიანი ფორმებია გაბატონებული და პირთან სიახლოვის მაჩვენებელია; მაგ.: ექ, ემანდ, ენდე, ეგრე, ემაა, ემაგას...

დადგენილია, რომ დისიმილაცია საერთოდ ქართულში უმთავრესად სონორ რ ბგერას მოსდის. ერთ სიტყვაში ორი რ ჩვეულებრივ არ წარმოითქმის და ერთი მათგანი, უფრო ხშირად მეორე, ლ-დ გადაიქცევა ხოლმე³. კახურშიც შეინიშნება ეს მოვლენა უმეტესად ისეთი ტიპის რთულ სიტყვებში, როგორცაა: ორ-ოლი, პირჯვალი, ორჯელ, არაფელი (ალარაფელი), ვერაფელი და სხვ., ხოლო ორჯელის ანალოგიით გვაქვს სამჯელ, ზოგჯელ და სხვა მსგავსი მაგალითები.

ორი რ დისიმილაციას განიცდის ლიტერატურული გზით შემოსულ ზოგიერთ არაქართულ სიტყვაშიც; მაგ.: ბრიგადელი, ორდელი, კალიდორი, დილექტორი და სხვ.

ზოგჯერ დისიმილაციას ადგილი აქვს სინტაგმაში ან ნაწილაკიან სიტყვაში: როგორ-ალი, არ-ალი, აღარ-ალი და მისთ.

ზოგ სიტყვაში დასტურდება რეგრესული დისიმილაციური გამჟღერება; მაგ.: ბატარა, ბატარძალი... მსგავსი მოვლენა ჩვეულებრივია ხვესურულსა⁴, მთიულურსა⁵ და მთის სხვა კილოებში.

¹ ე. თ. ფ. უ რ ი ა, ქართლური, გვ. 131; ოტ. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური, გვ. 280.

² შდო. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 200.

³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 27, გვ. 24; ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში: ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, I, გვ. 8

⁴ ა. შანიძე, ხვესურული მასალების ლექსიკონი: წელიწადული, I-II, გვ. 263.

⁵ არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 48.

შ-ს დისიმილაციური დაკარგვა გვაქვს მაგალითში: შ ა რ ა ნ დ ე ლ ი . ამ ნიადაგზე ზოგჯერ იკარგება მთელი მარცვალიც; მაგ.: ფ ე ხ შ ე ე ლ ა (← ფეხში შველა)¹ და სხვ.

გვხვდება აგრეთვე კონტაქტური დისიმილაციის მოვლენები წარმოებისადგილის მიხედვით მსგავს თანხმოვანთა შორის: წყვილბაგისმიერი ბ-ს წინ ამავე რიგის შ იქცევა ხოლმე ნ-დ, მნ → ნზ; მაგ.: ანბავი, ბანბა, ბუნბული და სხვ.

ასეთი შემთხვევები ხშირად გვხვდება ისტორიულ საბუთებსა და კახეთიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში; მაგ.: ანბავი (1748 წ., დოკ. 421); ეს ანბავი არავინ იცოდა (რ. ერისთ. III, 36); ასე უანბვევით (1725 წ., საეკლ. საბუთ. 89); ანბობდა (1752 წ., სიძვ. III, 424); მართალს ვანბობ (არჩ. I, 61); ვუანბე (ა. ქ. 186)... ბანბის ფასი (1797 წ., მასალ. 144); ბანბის შულები (თეიმ. I, 69)... ბუნბულ-საბნად (თეიმ I, 134) და სხვ.

16 მეტათეზისი. მეტათეზისი მეტწილად სონორულ და ნაზალურ თანხმოვნებს მოუდის. ამ მხრივ კახურში იგივე წესები მოქმედებს, რაც ქართული ენის სხვა დიალექტებში. გვხვდება კონტაქტური, დისტანციური და აგრეთვე მარტივი და საურთიერთო მეტათეზისის შენთხვევები.

ა) ლ-სა და რ-ს დისტანციური გადასმა ხდება სიტყვებში: სურიელი (აქედან: მაასურიელა, გასურიელეზულია)... ცარიელი (აქედან: ცარიელა, ცარელა; ცარელები, ცარიელ-ტარიელი, დააცარიელა)... მადრიელი... ათვარიელებს (ვათვარიელე, დაათვარიელა, გადაათვარიელა) და სხვ.

მთელ კახურში სისტემატურად ხდება ამავე თანხმოვანთა მეტათეზისი ძლიერ-სა და მისგან ნაწარმოებ სახელებსა და ზმნებში, რომლებიც თავისებურებას იჩენენ სხვა მხრივაც; მაგ.: ძრიელ, ძრიელი, ძრიალი, გაძრიელეზული, გაძრიელდება, გააძრიელეს; შდრ. ძრიან, ძიენ, ძიენა, ძაან და სხვ.

ამ სიტყვის ფუძეში ლ და რ გადასმული სახით პირველად გვხვდება მეთათე საუკუნის ძეგლებში: უძრულ და ვიყვენით (Onuc. 83, X ს-ის ხელნაწ.); ძრილება (იქვე, 153, X ს-ის ხელნაწ.).

მსგავსი ფორმები ხშირია აგრეთვე კილ-ეტრატის ხელნაწერში და 968 წლით დათარიღებულ იოანე ოქროპირის ცხოვრებაში². ძრიელი დაცულია ატენის ეკლესიის XI საუკუნის წარწერაშიც³.

ბ) მეტათეზისი ზოგჯერ დაკავშირებულია ხმოვნის რედუქციასთან: ფუძის შეკუმშვის შედეგად გადასმა ხდება უშუალო მეზობლობაში მოხვედრილი მლ და მრ თანხმოვნებისა. ამ ტიპის მეტათეზისს ადგილი აქვს შემდეგ სიტყვებში: ხლმის, ხლმით, ხლმები... ქრმის, ქრმათ, საქრმო... ძრმის, ძრმიანი... სიზრმათ და სხვ.

ზემოდასახელებული თითქმის ყველა შემთხვევა ასახულია კახეთის ისტორიულ საბუთებსა და ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში; მაგ.: მოსურელი და (არჩ. II, 31), ცარიელი ვარ (არჩ. I, 38), ცარიელი მწვანელი (გმ. რ. ერისთ. IV, 172)... მადრიელი (თეიმ. II, 67), მადრიელნი (არჩ. II, 31)... ძრიელ მუყაითად (გმ. ევდ. III, 231)... ხლმით (1738., დოკ. 401), ხლმით ... შეერევის (თეიმ. II, 88); სიზრმა დცა (არჩ. II, 101) და სხვ.

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 201.

² არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 71, 76შ.

³ ივ. ჯავახიშვილი, К вопросу о времени построения грузинского храма в Атене: ХВ, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 286.

გ) მეტათეზის ადგილი აქვს ბაგისმიერ ბ-სა და მ-სთან; მაგ.: დამბა, დამბული, მიმბული, გადამბული და სხვ. აქედანაა მ გადაყოლილი ზმნის ფორმებშიც: ამბია, მოამბა, მოემბა, გამომბა; შდრ. შაამბამენ. მაგრამ ეს შემთხვევები დადასტურებულია მხოლოდ ასმეტის რაიონში.

დ) ზ და მ თანხმოვანთა გადასმა დამკვიდრებულია შეკაზმა ზმნაში; მაგ.: ცხენი შეკმაზა; შაიკმაზა, შაკმაზულობით და სხვ. ამავე სიტყვაში ზ-სა და მ-ს შუა ზოგჯერ ნარიც ჩაერთვის ხოლმე; მაგ.: შაუკმანზა, დაკმანზეს, საკმანზი და სხვ.

ე) მეტათეზისი მოსდის ვ-ს, როცა იგი მოსდევს ნარნარა რ, ლ ბგერებს¹; მაგ.: გაქივრება (აქედან: გაქივრებული), იქავრებს... ა ვ ლ ი ს ხ ე და ს ხ ვ. ზოგიერთ თანხმოვანთა კომპლექსში რ-სა და ლ-სთან ვ-ს გადასმა არ ხდება და იშვიათად ძველქართულისებური სახე აქვს შერჩენილი კ რ ვ ა და კ ლ ვ ა ფუძის შემცველ სიტყვებს; მაგ.: ერთი შეკრვა, ნალები და აკრვეინა... მომკლველები და სხვ.

ვ) ჩვეულებრივია ხს თანხმოვანთა გადასმა; მაგ.: სხნა (აქედან: გასხნა, გამოსხნა, მოსხნა, სხნის, მაისხნა, დავესხნათ და სხვ.), მესხიერება; შდრ. ხს → ხს: მემახსრები, მახსრობდნენ...

ხს კომპლექსის გადასვლა ხხ-დ ცნობილია სხვა კილოებშიც და მოცემულია მისი ახსნა ისტორიულ ასპექტში².

ზ) მეტათეზისისა და ასიმილაციის შეერთებული მოქმედებით მიღებულია ბ ლ ა რ ტ ი (← ბყარტი ← ბარტყი) და ბ ლ ე რ ტ ა (← ბყერტა ← ბერტყა)³; მაგ.: ბ ლ ა რ ტ ი ძყოლია; ბ ლ ა რ ტ ე ბ ი ხო არა ვართ!.. ტანისამოსი და უ ბ ლ ე რ ტ ა; კაკალი და ბ ლ ე რ ტ ა და სხვ.

ეს სიტყვები მხოლოდ ამ სახითაა ნახმარი ილია ჭავჭავაძის ნაწერებში — როგორც პერსონაჟთა საუბარში, ისე ავტორის ენაში; მაგ.: ბ ლ ა რ ტ ი გადაფრენილიყო (III, 283); ბ ლ ა რ ტ ი ვ ი თ გარს ვეხვივნით (გმ. III, 27); სარგებელი აილოს, ი ბ ლ ა რ ტ ო ს (IX, 320)... ის პატიოსანი ფაშვი ჩამოე ბ ლ ე რ ტ ა (II, 257); თავისი უხვი კალთა და უ ბ ლ ე რ ტ ი ა (იქვე, 35) და სხვ.

მეტათეზისისა და დისიმილაციის საფუძველზე ჩანს მიღებული დ გ მ ო ი ა რ ო ბ ა (← დგომიარობა ← დგომეარობა ← დგომარობა ← მდგომარეობა); მაგ.: ამ დ გ მ ო ი ა რ ო ბ ა შ ი ა; ცუდ დ გ მ ო ი ა რ ო ბ ა შ ი იყვნენ და სხვ.

ზოგჯერ უ-ს წინ ადგილს ინაცვლებს ქ და ხ თანხმოვნები სუნთქვა და ფურთხვა მასდარებსა და მათგან ნაწარმოებ ზმნებში თითქოს ბუნებრივი სქ და ფხ კომპლექსების მისაღებად; მაგ.: სქუნთვა (აქედან: ამოსქუნთვა, სქუნთავს, ისქუნთავს)... ფხურთვა (ფხურთავ, გააფხურთა).

ბგერთა გადასმის ცალკეული შემთხვევები ასეთია:

რღმა (რ ღ მ ა ძილში იყო), სირღმე... გაიტურნა... კორტიალობს (გადაკორტიალდნენ)... რცხილით გავრცხილამთ... ბახში არსეინებდა... ბლენა... წინ გ შ ი წამიკითხამ... მასკვან (← მას უკან: მასკვან წაველი)... ლურბელი (ლურბლიანი, მაილურბლა), ნიმუტი და სხვ.

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძველები, გვ. 358.

² ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, III, ქ და ხ სიბილანტ-აფორიკატებთან მეზობლობაში: საქართველოს არქივი, II, ტფილისი 1927, გვ. 174—186.

³ ახსნა ლიტერატურიდან ცნობილია: არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 71; ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II, ბგერთ-შოვლენათა თანამიმდევრობა, გვ. 293.

ზოგ სიტყვაში გადასმა ხდება მთელი მარცვლისაც; მაგ.: დანიეება (← დაიენება), განიეება... დ ა ნ ი ე ბ უ ლ ი ე ქ ი მ ბ ა შ ი (ილია, VI, 73), დაგვი-ნიეა (გმ. ილია, III, 252), ა ნ ი ე ი ა ნ ე ბ ს ყ მ ა წ ვ ი ლ ს (დ. მაჩხ. 35) და სხვ.

დაჩეხა 'დააპოს' მნიშვნელობით კახურში იხმარება დაჩეჩა და აქედან — დაჩეჩილი, მაგრამ აქ ზ-სა და ჩ-ს მეტათეზისთან არ უნდა გვკონდეს საქმე. იგი საერთო ძირს უნდა ავლენდეს ხლეჩა-სთან, მით უფრო, რომ ეს სიტყვა ამ სახით იხმარება ხევსურულსა, ფშაურსა, ინგილოურში და სხვაგანაც და აქ ყველგან დატულია ძირეული წარი.

გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა - შ ი პ რ ე ვ ე რ ბ ი ს ე უ ლ ი ნ ფ უ ძ ი ს ე უ ლ ა დ არ ი ს გ ა გ ე ბ უ ლ ი და სისტენატურად 'იხმარება: გაანთავისუფლა (|| გაამთავისუფლა). გავანთავისუფლე, გაგანთავისუფლა და სხვა, რაც ჩვეულებრივია სხვა დიალექტებშიც და კინალამ ლიტერატურულ ენაშიც.

17. სუბსტიტუცია. ბგერათშენაცვლება კახურში ფართოდ მოდებული ფონეტიკური მოვლენაა. შენაცვლება ჩვეულებრივ ხდება წარმოებისა და რაგვარობის მხრივ მეტ-ნაკლებად მსგავსი ბგერებისა, მაგრამ იშვიათად ადგილი აქვს ფიზიოლოგიურად და აკუსტიკურად არამონათესავე ბგერათსუბსტიტუციის მოვლენებსაც სიტყვათა ანალოგიისა და ორი სიტყვის კონტამინაციის ნიადაგზე.

ბგერათშენაცვლების შემთხვევათა მეტი წილი ქართული ენის როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კილოების საერთო კუთვნილებაა, ზოგი კი დამახასიათებელია მხოლოდ აღმოსავლური დიალექტებისათვის. გამოიყოფა აგრეთვე კახურისათვის ნიშანდობლივი ცალკეული მოვლენები.

18. თანხმოვანთა სუბსტიტუცია. ფართოდ გავრცელებულია კბილბაგისმიერი ვინის შენაცვლება წყვილბაგისმიერი მანით ან იშვიათად ბანით, რაც გამოწვეულია იმით, რომ ვ წყვილბაგისმიერობისაკენ გადახრილი ბგერაა¹. ნიშუშები: სამსე, გაიმსება... გამსილა (გმ. რ. ერისთ. ხელნაწ.), ჩემი ცოდვით სამსეებმა (გმ. მელ. 24), მასკელავი, ხემსურები, ამქაში (← ავქაში), მიწრო, მანნე, მამნებელი, გაამკელებს, ხსომა (← ხსონა), კიდეშ, მითამ... შ ი თ ო მ რ ა წ ა ხ ლ ე ბ ა ? (ილია, VI, 370); შ ი თ ო მ რ ა გ ა კ ი რ ე ბ ა ა ? (გმ. ილია, III, 74); შინც² (← ვინც)... პარასკები, შხითები (შდრ. მზითევი, მზითი) და სხვ. მრ.

ამ ტიპის სუბსტიტუცია ჩვეულებრივია აგრეთვე ინგილოურში, ქართლურსა, მთიულურსა, მესხურ-ჯავახურსა, გურულსა, იმერულსა, ლეჩხუმურსა და აჭარულში, მაგრამ ისე მასობრივად, როგორც ეს კახურშია, სხვაგან არ დასტურდება.

ვ-ს მ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა ზ მ ნ ის თ ე მ ა ტ უ რ ს უ ფ ი ქ ს ე ბ შ ი ც. ლიტერატურულ ენასთან შედარება ასეთ სურათს იძლევა:

-ავ → -ამ: ყამს, ძინამს, კერამს, არა უ შ ა მ ს, გიგამს, დავინახამ, წაიკითხამს, შაინახამს, უნახამ, ხედამენ და სხვ.

-ევ → -ემ: წემს, აძლემს, მისდემს, ზდემდა, ამწემს, აქმემდა, დაძლემდა, დაამტვრემდა და სხვ.

¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, მთიულურის¹ თავისებურებანი, გვ. 47; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 137.

² ამ სახით (შინ, შინაც, არმინ, არმის) ეს ნაცვალსახელი დადასტურებულია ფერეიდნულსა და ინგილოურში (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 178; მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო, გვ. 226); გვხვდება იმერულშიც (შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, გვ. 155).

-ოგ → -ომ: მახსომს, ჟქსომდნენ, თხომდა და სხვ.

თემის ნიშანთა თანხმოვანი ელემენტების გაერთიანების ტენდენცია არ არის ერთნაირად გავრცელებული კახეთის ყველა კუთხეში; მაგალითად, ყვარლის რაიონში რომ -აგ და -ეგ სუფიქსები უმთავრესად დაცულია, სხვა რაიონებში გაბატონებულია მათი მონაცვლე -ამ და -ემ, ხოლო -ოგ ბევრგან უცვლელად გვევლინება.

საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა მ-ს ენაცვლება ვ; მაგ.: მევრე (← მემრე): მევრე გააკეთეს; მევრე მითხრა და სხვ.

ვ-ს ადგილას ნ-ც გვხვდება, ოღონდ არა უშუალო გადასვლით, არამედ მ-ს შენაცვლების მეშვეობით (ვ → მ → ნ); მაგ.: მოსაქსონ მოვქსონ; კიდენ, კიდენა... თუნდ ყოფილიყო კიდენაც (ილია, II, 167); მერე კიდენ (რ. ერისთ. III, 179) და სხვ.

ბაგისმიერთა სუბსტიტუციის სხვა შემთხვევები ასეთია:

ბ — პ: აპრიალება, გაპნევა, დაპნეული...

ბ — ფ: მეჯინიფე, გვირაფი...

ბ — მ, მ — ბ: კმენა, მკმენარი, მიკმენენ, ჯიმგირი... ბრუდე...

პ — მ: ემყრობა (ემყრობოდა) და მისტ.

ბ-სთან მ-ს შენაცვლების ნიადაგზე ზმნის თემატური სუფიქსები -ებ და -ომ გვხვდება -ემ და -ომ სახით; მაგალითები:

-ებ → -ემ: დაკყურემს, რა გატირემს? გილალატემო, უყურემდა, გა-უქეთემდა...

-ომ, -ოფ → -ომ: საუბრომს, დარდომს, უწყომს, ამკომს, იცნომს, ცხოვრომდა, დაომდნენ... უყომს, გავყომთ...

ბ-სთან ვ-ს შენაცვლება უნდა გვქონდეს და არა დისიმილაცია ზმნაში ეუბნევა ო ებნევა (← ეუბნება); მაგ.: მეუბნევა, ეუბნევა, ან კიდევ: მებნევა, გებნევი, ებნევიან... შდრ. ისმევა, იქმევა... ინგილოური: ვამბოვ, ამბოვ, ამბოვს, ან: ვანბოვ, ანბოვ და ა. შ.¹

ყვარლის რაიონში ზოგან ამ ზმნის პირველ ბ-ს ენაცვლება ვ, ხოლო მეორე ბ უცვლელად რჩება; მაგ.: ეუგნება (სოფ. კუქატანი), ეუგნებოდა (სოფ. გრემი), ეუგნებოდნენ (სოფ. საბუე); შდრ. ბუფეტი და გუფეტი, ბულვარი და გულვარდი. ამავე ზმნაში ზოგჯერ ადგილი აქვს ბ-ს დაკარგვას; დასტურდება ასეთი პარალელური ფორმები: ეუნება, ეუნევა.

ბ) ხშირია ნაზალურ თანხმოვანთა მონაცვლეობაც; მაგ., მ — ნ: ხენწიფე, სახენწიფო, ნეფის ქალი... ნეფე ერეკლე (1744 წ., დოკ. 411), ნეფეს (ს. შანშ. ამბ. 76), უნკროსი... უნკროსი ყოფილა (ილია, III, 131), მარიანობა², მარიანობისთვის (1645 წ., დოკ. 366), გენდურება, ანტერევედა, თორენ, მარან, რატონ, მითონ, ვითანდა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა ფრიად გავრცელებულია, მანის ნართ შენაცვლების თითქმის არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს ზმნის თემატურ სუფიქსებში, რითაც კახური ნაწილობრივ განსხვავდება ქართლისაგან, კერძოდ, ქართლის დასავლეთი რაიონების მეტყველებისაგან და მკვეთრად ემიჯნება მესხურ-ჯავახურს.

რიგ სიტყვებში ნარის ადგილს მანი იჭერს; მაგ.: იმტერესი,° საიმტერესო, აიმტერესებს, გაამთავისუფლა, გამთავისუფლებული, შენარჩუმება,

¹ მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 225, 234.

² ასეა-მთიულურშიც: არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 47.

შენარჩუმებთ, გამთქმული, სამთელი... სამთლის (1797 წ., მასალ. 141); სამთელი გიძღვენ მცირეო (რ. ერისთ. I, 56); მაიმდომო... მოვიმდომე (1773 წ., საბუთ. V, 84), მძრევა, ბალკომი, თამხა, რახამ იცოდა და სხვ.

ამ უკანასკნელ სიტყვაში ზოგჯერ ნართაა შეცვლილი თავიკიდური რ-ც; მაგ.: ნახამ მკლამო; შდრ. ნახა ფიცი გავატეხინეო და სხვ.

გ) ერთმანეთს ენაცვლებიან ნარნარა ბგერები; მაგ.:

ლ და ნ: ნიტრა ფქვილი, ნიტრა წყალი... ათი ნიტრა ქერი (დ. მაჩხ. 92), სრონა, ესრონა, შოუნობდა, რომენიც, პინწი (← პილწი ← ბილწი), ფენიკი (← ფელიკი) და სხვ. რაც შეეხება შვინდისარს, აქ პირველი ნაწილი სიტყვა შვინდის გააზრებით შეიძლება იყოს მიღებული, ხოლო სირბინ-ში ადრინდელი სახეა დაცული (შდრ. ირბინა).

ნ და ლ: ძან მამდის სულიო¹; ფშველმა სული ძალიან იცის... ამტელი, იმტელი, იმტელა, ამოტელა, მაგოტელა, იმოტელა, იმოტელა, რამტელი, რამოტელა, რამტოლა, რამტველიმე... რამოტელა შეჰკივლა (გმ. ევდ. III, 179); იმოტელა ცხოვრება (გმ. მელ. 34) და სხვ.

რამდენსამე სიტყვაში რ-ს ადგილას გვევლინება ლ, ზოგჯერ კი პირიქით: ლ-ს ენაცვლება რ; მაგ.: გაალხივა ტოტები; შილხია, ჩალხია... რამის გაგიჟდეს; მუსურმანი, ფირტვი... ფირტვიპარია კატასავით მიმიტყუა (დ. მაჩხ. 82)... დასტურდება რ-ს ს-სთან შენაცვლების შემთხვევებიც; მაგ.: მრჯელოფს, სარჯელი, დაგრჯიო და სხვ.

დ) წინაენისმიერ ხშულმსკდომ მელერ დ-ს ხშირად ენაცვლება ამავე წარმოების ყრუ ფშვინვიერი თ ან მკვეთრი ტ, რასაც მეტ-ნაკლებად ადგილი აქვს სხვა კილო-თქმებშიც; მაგ.: ამთენი, ემთენი, იმთენი, იმთენი, რამთენი, რამთონი... ამტენი, მატენი, იმტენი, იმტენი, რამტენი, რამტენი, რამტონი, რამტენჯერმე, ამოტენა, ემოტენა, მაგოტენა, იმოტენა...

ეს მოვლენა ასახულია კახეთის ისტორიულ საბუთებსა და მწერალთა ნაწერებშიც; მაგ.: ამთენი თეთრი (1764 წ., საეკლ. საბუთ. 113), რამთენი (1810 წ., მასალ. 295); წყალობა გიყავთ ამთენი (თეიმ. I, 112); რამთენია (არჩ. I, 145); იმთენს აწოვებენ (დ. მაჩხ. 35)... რამოტელი (გმ. რ. ერისთ. III, 5); იმოტელა (გმ. ევდ. III, 63)...

სონორებისა და სხვა მელერი თანხმოვნების მეზობლობაში დ-ს ყრუ რეფლექსით შენაცვლებისას უთუოდ ერთგვარ როლს თამაშობს ანალოგია (ჩემი ტოლი → ჩემოტოლა, ამოტოლა; იმოტელა...), რაც ხშირად თავს იჩენს სხვა მსგავს შემთხვევებშიც.

-თვინ თანდებული ანმეცისა და ყვარლის რაიონებისა და გარე კახეთის ზოგიერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველებაში ხშირად -ტვინ სახით გვხვდება². უნდა ვიფიქროთ, რომ ეს -თ-ს ასიმილაციის შედეგია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ხ ელემენტთან, რომელიც შემდეგ დაიკარგა მიღებულ სტკომპლექსში: იმიტვინ ← იმისთვინ; მაგ.: იმიტვინ არღეკითხა (კისისხვევი); იმიტვინ იღებს (შილდა); იმიტვინ რო... (საბუე, ზემო ხოდაშენი); იმი-

¹ სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ სუნს სულ-ის სემასიოლოგიური დიფერენციაკია კერძოვლია, თავდაპირველად მათ ერთი და იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ: არნ. ჩი.ჰობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი 1942, § 13, გვ. 43, შნშ. 1.

² ამგვარად წარმოგვიდგება იგი აქა-იქ ქართლურშიც: აღ. ლლონტი, ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, თბილისი 1948, გვ. IX.

ტვინ არ ვრწყამთ (ახმეტა); ემიტვინ არ მივეცი (ნანიანი); რიეტვინ გაგზავნე (საბუე).

ე) სპირანტთა და აფრიკატთა შენაცვლების შემთხვევები ასეთია:

ს — ზ: ზოკო¹, ალბათ ეს სიტყვა ადრინდელი ძოკო ← ღოკო ფორმისაგან მომდინარეობს (არნ. ჩიქობავა), „ზემიჩქა“.

ჰ — ხ: ხოდა, ამას მეუბნევა; ხაერში მოაფინა... ხკითხა, არ დახკითხები აკი ასიმლაციის შედეგია, რაც ხშირი მოვლენაა გურულსა და აჭარულში².

ჯ — ძ: ფაშქუნძი, ძიხვები.

ც — ჩ, ჩ — ც: სუ გამაბეჩა; დერჩიკმა შეკერა... ქალი შაამცნივია... რაკი შეამცნია (ილია, III, 81); განა ზედ არ ეცნევა (გმ. ევლ. III, 274) და სხვ.

ძ — ც: ვერ გამცარცვეს³ და მისთ.

წ — ც: გააცი (← გასწი), გააცი აქადამო და მისთ.

აქ ჩამოთვლილ მაგალითთაგან ზოგი მიღებული ჩანს ასიმლაციის ნიადაგზე (გაცი ← გასწი, ცარცვაეს ← ძარცვაეს), ზოგი კი ანალოგიით; მაგ., ამცნეეს, შდრ. ცნ-ობ-ს.

ვ) გვხვდება უკანაენისმიერ ხშულთა მონაცვლეობის ცნობილი შემთხვევები; მაგ.:

გ — ქ: კარქი, კარქა ხანი, კარქათ შაწვა... წაულ და დავიკარქებიო; არ დამიკარქამსო...

ასეთი შენაცვლება, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია შენიშნული, შედეგია ანალოგიისა: კარგს → კარქს, კარგთან → კარქთან, კარგში → კარქში, ხოლო აქედან ქ-ს ხმარების განზოგადება მოხდა სხვა პოზიციაშიც: კარქი, კარქა...⁴

გ — კ: ამხანაკი, ამხანაკები ვართ; ეშმაკის ბუნაკი.

ქ — კ: წუწურაკი, ლაშკარი... ლაშკარს დაუძახოს (1750 — 60 წ., სიძვ. III, 135); გაილაშკროს (იქვე).

კ და ყ ერთიმეორეს ენაცვლება ასეთ შემთხვევებში: ყუნქული, სახლის ყუნქულიდან, მიყუნქულ ალაგას, შირაქისაყენ⁵, ივრისყენ, ჩვენყენ... ძალიან კოჩალია... ყე ნაწილაკი → -კე: დაგკამკე, ჰკითხაკე... შდრ. ყველაყა, სუყველაყაკაცი... ეტყობოდა ყველაყასა (თეიმ. II, 41; შდრ. ყველაკას გაიგებდო: იქვე, 92)...

ზოგან ადრინდელი ფორმითაა დაცული ყურდგელი; მაგ., ყურდგელი შეეკლა... ამ სახითაა შემონახული ინგილოურშიც⁶.

¹ გვხვდება არაგვის ხეობის ქართლურშიც: გრ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქართლურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, გვ. 315.

² ქ. ლომთათიძე, ნაშთები შესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, თბილისი 1938, გვ. 130—131; მ. ხუბუა, ზემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა, ბათომი 1932, გვ. 9; ჯ. ნოლაიდილი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათომი 1936, გვ. 9, 19.

³ ცარცვაეს ← ძარცვაეს. ამ უკანასკნელი ზმნის ძირეული ცვ შეესატყვისება ზანურის ჩგ-ს: ჰან. გო-ჩ(ვ)-უმ, მეგრ. გო-რ-ჩ(ვ)-უ; რაც შეეხება ძა-ს, გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ფუძეს შეხორცებული პრეფიქსი უნდა იყოს: არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი 1938, გვ. 372.

⁴ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 227.

⁵ -კენ თანდებული ინგილოურშიც -ყენ სახითაა წარმოდგენილი: მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 226.

⁶ მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 228.

გეოგრაფიული სახელი ქიზიყი შიგნიკახურში ზოგან ხიზიყისა და ჯიზიყის სახითაც გვხვდება; მაგ.: ხიზიყი (სოფ. ენისელი), ხიზიყური ქალი (სოფ. საბუე), ჯიზიყში (სოფ. გრემი).

საყურადღებოა, რომ ეს სახელი ამ პარალელური ფორმით დასტურდება კახეთის ისტორიულ საბუთებშიც; მაგ.: ხიზიყს (1711—16 წ., დოკ. 384), ჯიზიყის მოურაო (1737 წ., იქვე).

19. აფრიკატიზაცია. კახურში ადგილი აქვს სპირანტთა სპონტანური აფრიკატიზაციის მოვლენებს. ამ ნიადაგზე ა) ზ იქცევა ძ-დ; მაგ.: საგძალი: ჩაიდო საგძალი... საგძალი არ შეიტანეს (არჩ. II, 77); ცხენი შექმანდა; შექმანძული, ცხენი საკმანძავი; სიძმარი: სიძმარივით მახსომს; არძა, ბენძიმი, განძრახა მაქ; ფხიძელი, მძვარეულები, სამძვარი (1700 წ., დოკ. 374), საძღვრით (1751 წ., სიძვ. III, 462), დაენიშნა სამძღვარი (ილია, VI, 106) და სხვ.

ანალოგიური მაგალითები დასტურდება აგრეთვე ქართლურსა და გურულში¹.

ბ) ჟ იძლევა ჯ-ს: დაჯპატიჯე², შეიპატიჯა... დაუპატიჯებლად (1702 წ., საეკლეს. საბუთ. 14), მიიპატიჯა (არჩ. II, 41)... მეფის ჯანდარმები, ჯანგი (← ჟანგი)³... ჯანგიანი სა რკინისა (თეიმ. I, 102) და სხვ.

გ) ს წარმოგვიდგება ც-ს სახით: მეეპარცა, ხელცახოცი, ცხვირცახოცი (ორივეგან შეიძლება ასიმილაცია იყოს), პენცია, პენციონერი და სხვ.

დ) თანდებულში შ გადადის ჩ-ში, მაგრამ ისე ხშირად არაა, როგორც ხევსურულსა, ფშაურსა, მოხეურსა, ფერეიდნულსა, მთიულურსა, რაჭულსა და გურულში⁴; მაგ.: დღეჩი, ეზოჩი, ბაღჩი და სხვ.

უკანაენისმიერი ხშულის აფრიკატიზაციის ცნობილი მაგალითია: კინალამ → წინალამ⁵; მაგ., წინალამ არ მოგვყავს...

სხვა იშვიათი შემთხვევები არ მოგვყავს.

სპორადულად გვხვდება აგრეთვე კომბინატორული აფრიკატიზაციის მოვლენები; მაგ., ფუძისეულ დ-სთან -ზე თანდებულის ზ თანხმოვნის შერწყმით ვიღებთ წინაენისმიერ ხშულ ძ-ს; გვერძე (← გვერდზე): გვერძე მოუღეჭიო; გვერძე ოთახია და სხვ.

¹ ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 137; გრ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქათლური, გვ. 314; ს. ჟღენტრი, გურული კილო, გვ. 49.

² ამ სახითაა აგრეთვე მთიულურსა, ქართლურსა და გურულში (არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 47; გრ. იმნაიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 314; ს. ჟღენტრი, დასახ. შრომა, გვ. 49); შდრ. ქვემოიმერული: დამპაიჯა, დაპაიჯებული (ქ. ძოწენიძე, ქვემოიმერულის უბუთური მეტყველება: აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრომები, VIII, ქუთაისი 1948, გვ. 46).

³ სპარსულში ამ სიტყვას თავიანთი თანხმოვნების მხრივ სამი სხვადასხვა ფორმა აქვს: ჯანგ — ჟანგ — ხანგ. ჯანგი დადასტურებულია მთიულურსა, გურულსა და აქარულშიც (არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 47; ს. ჟღენტრი, გურული კილო, გვ. 49; მ. ხუბუა, ზემო აქარის ენობრივი მიმოხილვა, გვ. 8).

⁴ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 214; მისივე, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 59; შ. ძიძიგური, ქართული ენის მთარაქული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი: ენიმკის მოამბე, II, ტფილისი 1938, გვ. 77; ს. ჟღენტრი, დასახ. შრომა, გვ. 50.

⁵ გ. ახვლედიანი, ფონეტიკური შენიშვნები, 4, რთულია თუ არა ყველა „აფრიკატი“ ქართულში? ენიმკის მოამბე, I, გვ. 117.

ასე გვხვდება ეს სიტყვა ქართლურსა¹, იმერულსა² და ლეჩხუმურშიც³.
კახეთის ისტორიულ საბუთებსა და თეიმურაზ პირველისა და არჩილის ნაწერებში სწორედ ეს სიტყვა შემცველია ყრუ ფშვინვიერი ცაფრიკატისა, რაც მიღებულია ფუძესეული დ-ს მიცემითი ბრუნვის -ხ ნიშანთან ასიმილაციით და შერწყმით: გვერდს → გვერთს → გვერც; მაგ.: გვერც მიუღეჭი (1703 წ. დოკ. 376); გუერც მოღგომისა (1577 წ., იქვე, 359); გვერც მოუწვინეს (თეიმ. I, 54); გვერც ვიახლო (არჩ. I, 38) და სხვ.
კახურში იშვიათად გვხვდება ამავე გზით თშ-სა და თხ-ს შერწყმაც; მაგ.: თ+შ → ჩ: ემ სააჩი, იმ სააჩივე... თ+ხ → ც: ქალიანცა (← ქალიანთსა), ნეფიანცა⁴ და სხვ.

20. დეზაფრიკატიზაცია. შედარებით იშვიათად დასტურდება აფრიკატიზაციის საწინააღმდეგო პროცესი დეზაფრიკატიზაცია ანუ აფრიკატთა სპირანტიზაცია; მაგ.: მყლერი ხშული ძ რიგ სიტყვებში იძლევა ამავე რიგის მყლერ სპირანტ ზ-ს: ზღვენი (ზღვენითა), ამით შავიზენთ, შეზინებული, სანაზლეო აქონდათ; ზნები და სხვ.

ეს მოვლენა უფრო ხშირია ინგილოურსა⁵ და მესხურში⁶.

ც → ძ → ზ რიცხვით სახელებში: ოზდახუთი, ოზდარვა, ოზდაათი...

21. ხმოვანთა სუბსტიტუცია. ხმოვანთა შენაცვლება კახურში, ისევე როგორც სხვა კილოებში, არ არის ნაირფეროვანი და ხშირი მოვლენა. შეიძლება მხოლოდ რამდენიმე მაგალითის დასახელება.

ა — ე: გეხარ (← გეეხარ ← გაეხარ): იმაე გეეხარო; მანეთი ეკლდა...

ე — ა: აგების დეგეხმაროსო; მამრე მილაპარაკეე; ჯვარადინ გზაზე; ლაგოდახს არი...

ე — ი: ტყიმალი, დააბიზღეს, „აპიკუნი“...

ა — ი: ტყვიო-წამალი, ზარბაზნის ტყვიო...

უ — ი: საობარი, ახლოხი, თავთოხი, დიდი დოხჭირობით იარეს; ვარაოდ უწევყე...

უ — ი: იფრო (იფრო ბევრი), არგინა...

ი — უ: მუშააწავლეე შენთან; თურემა, ოჯახჭური, „მახრუკა“ (← მახურკა ← მახორკა)...

ი — უ: უხეურო ადამიანია; უხეურობა.

22. უ-სა და ი-ს დავიწროება. ადგილი აქვს ა-ს წინ უ-ს დავიწროებას ბაგისმიერ გ-დ; მაგ.: იმათ შვა, მუხლებ-შვა, შეადლე, თვარ (← თუ არ) გააკეთეო; თვარადა (← თუ არა და) კედარი ვიქნებო; თვარამ ქარი მოგიტაცემსო...

უ ჩვეულებრივ წყვილბაგისმიერობას კარგავს და იქცევა კბილბაგისმიერ გ-დ სიტყვაში ქკუა; მაგ.: ქკვაში დაუჯდა; ქკვიანმა თქო და სხვ. უარ-

¹ ალ. ლლონტი, ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, გვ. IX.

² პ. ჯაჯანიძე, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი: ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრომები, VIII, გვ. 67.

³ მ. ალავიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი: იქვე, II, 1941, გვ. 231.

⁴ შდრ. რაჭულში: ღმერც, მასლააც (შ. ძიძიგური, მთარაქული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, გვ. 73).

⁵ მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 226.

⁶ შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი, გვ. 243.

ყოფით ფორმებში ვ-ც იკარგება ო-ს წინ; მაგ.: უქკო კაცი არ არი... ეს მოვლენა ასახულია მწერალთა ნაწერებშიც; მაგ.: ქკვა ც — თუ გნებავთ — ეს არის (ილია, V, 178); მაშინ გინდა ქკვა და ფიქრი (რ. ერისთ. 1893, 123); გულის გატეხა ქკვას უშრობს (ილია, VIII, 316); ქკვითა და ბეჯითად მოეჭიდება (დ. მაჩხ. 10); ქკვაში მოსდიოდა (ევდ. III, 234); კკვადამჯდარი (ილია, IX, 317) და სხვ.

ო-ს დავიწროების მაგალითი ასეთია: ხვარაფერია (← ხო არაფერია)...

წოდებითის -ო ნიშანი ფუძისეული ხმოვნის შემდეგ იშვიათად იცვლება ფ-თი; მაგ.: ჩემო. დე და აჟ (← დედაო)! გოგოჟი!..

22. კომპლექსთა შენაცვლება. თანხმოვანთა კომპლექსებიდან ერთმანეთს ენაცვლება:

სტ და შტ: დაუმტენია... ენამ პირში იშტენიოს (ილია, IV, 155); ფიშტონები, ფოშტა, ფოშტალიონი, თუ აქ რუსული უ-ს ღეზაფრიკატიზაცია არაა.

სკ და შკ: ქვეშენელი, ქვეშენით, ფაშკუნჯი...

რუსული ჩკ შეცვლილია ბუნებრივი ჰკ კომპლექსით: ბოქკა, ტაქკა, სპიქკა, ზემიქკა...

ხმოვანთა გარკვეულ კომპლექსებთან დაკავშირებით გვაქვს დისიმილაციური ხასიათის სუბსტიტუცია.

ა) ოე კომპლექსი. გვაძლევს უე-ს; მაგ.: პალუები, ეზუები, ორზუები, ოქრუები, ქოცუები, გოგუები, კალუები, მეკალუე, საკალუე, საცალუები, უშვილუები, პუეტი, სიახლუეს, ღრუება, დააჯილღუებენ, გავაფართუეთ და სხვ.

ოე კომპლექსი უე-დ იქცევა აგრეთვე ორი სიტყვის შეხვედრისას, როცა წინამავალი სიტყვა მთავრდება ო-ზე, ხოლო მომდევნო იწყება ე ხმოვნით; იგულისხმება ასეთი შემთხვევა: მარტუეს (← მარტო ეს): დაუღვეით მარტუეს და მისთ.

ბ) ოფე კომპლექსიც იცვლება უე-დ როგორც სიტყვის თავში მო-, გამო-, შემო-, წამო-, ჩამო- პრეფერებებთან, ისე სიტყვის ბოლოში, ოლონდ ოფე კომპლექსში ჯერ ვ იკარგება ო-სთან, შემდეგ კი დისიმილაციის გამო ო ვიწროვდება უ-დ: ოე → უე; მაგ.: მუელი მატანში; გამუელ კარში; შამუელით ოჯახში; წამუელ იქიდან; ჩამუელით აქ... იპუე, გათხუება, ათხუებდნენ, დეთხუებინა, სათხუებლათ, აძუებს, აწუებს, ნაწუებინებს, დაიტუეს, დატუებული, იშუებოდა, დავასაზღუებ და სხვა მრავალი.

გ) სიტყვის ბოლოს ოა კომპლექსი იქცევა უა-დ, როცა ო-ზე დასრულებულ სიტყვას კნინობითობის -ა სუფიქსი ან მეშველი ზმნის -ა ერთვის; მაგ.: შაქრუა, ვანუა, გიგუა, ნინუა, საქუაშვილი, ძალუა, ბებუა, ლებუა... საქორწილუა, როგუა, საჭირუა, საშუალუა, რუა...

ამგვარივე პროცესი გვაქვს ორი სიტყვის შეხვედრის პირობებშიც, როცა წინამავალი სიტყვის ბოლოკიდური ო მომდევნო სიტყვის თავკიდური ანის უშუალო მეზობლობაშია; მაგ.: ხარფეს რუაბამ (← რო აბამ); ხუარ (← ხო არ) გეწყინაო; რატუარ (← რატო არ) და სხვ.

დ) სიტყვის ბოლოს ოფა კომპლექსი გადადის უა-ში. აქაც კომპლექსთა ცვლის პირველი საფეხურია ვინის დაკარგვა, რასაც შემდგომ ხმოვანთა დი-

სიმილაცია მოსდევს: **ოვა** → **ოა** → **უა**; მაგ.: გაათხუა, გასათხუარი, ათხუა, შე-სთხუა, დაითხუა, მათხუარა, წუა, მაწუა, იშუა, დატუა, იპუა...

ამავე მოვლენას ადგილი აქვს აგრეთვე **შო-** და მის შემცველ რთულ პრე-ვერბებთან; მაგ.: მე მუაბრუნე, მეც მუალ, მუახვედრებდი, მუაგებინე, მუამზადეთ, მუაწუეთ, ამუაცლით, შამუა სიმინდი, ხელი წამუავლე, მეც წამუალ, ჩაუაგდეთ და სხვა მრავალი.

უა-ს ვიღებთ მაშინაც, როცა ხმოვანთა შორის ვინი არ ივარაუდება; მაგ.: მუაშენა, მუახლოდა, მუაგონდა, ამუაშენეს, გამუახვენეს, შამუაკვდა, ჩამუართვა... მუამბე, მუახლე და სხვ.

ამ მოვლენას სათანადო ასახვა უპოვია კახეთის ისტორიულ საბუთებში; მაგ.: გამუაჩინეს (1757 წ., საეკლ. საბუთ. 260), მუახლე (1716 — 50 წ., დოკ. 388), მელქუა (1750 წ., იქვე, 426), გიუა (1746 წ., საბუთ. V, 65), ბერუა (1724 წ., იქვე, 37)...

ხმოვანთა კომპლექსების ეს მონაცვლეობა საერთოდ ცნობილია ქართული ენის სხვა დიალექტებიდანაც. **ოე** → **უე** ახასიათებს აღმოსავლურ კილოებს, აქა-იქ თავს იჩენს დასავლურ კილოებშიც (ქვემოიმერული, ლეჩხუმური, აქა-რული)¹, **ოა** კომპლექსის **უა-**დ ქცევა კი მეტ-ნაკლებად გავრცელებულია როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში².

ე) ხმოვანთა **ეა** ჯგუფი ხშირად იძლევა **ია-**ს. ეს პროცესიც დისიმილა-ციური ხასიათისაა და საერთოა აღმოსავლური და დასავლური კილოებისათვის³, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას დასავლურში თანაბრად ადგილი აქვს სიტყვის ბოლოშიც და **შე-**პრევერბთანაც, აღმოსავლურში კი **შე-**პრე-ვერბთან შედარებით ნაკლებად გვხვდება, რამდენადაც უკანასკნელი ჩვეულებ-რივ **შა-**ს სახით გვევლინება.

ეა → **ია** თავს იჩენს უმთავრესად სიტყვის ბოლოს მაშინ, როცა სახე-ლისა თუ ზმნის ფუძე მთავრდება **ე-**ზე და მას მეშველი ზმნის -ა ან პროსო-დიული -ა ერთვის, იშვიათად დასტურდება სხვა შემთხვევებშიც; მაგ.: ღამია, საქმია, ადრია, დღია, ხია, ხემწიფია, იგრია, მაგრია, უარზია, დირია...გიახ-ლები, მიათე, იალერსება, შიამჩნევს, შიასრულეს და სხვ.

ეა კომპლექსის **ია-**დ ქცევა დამახასიათებელია სალიტერატურო ენისათვისაც. საამერო ფაქტები ხშირია კახეთის ისტორიულ საბუთებსა და მწე-რალთა ნაწერებში; მაგ.: თქვენ გიახლებით (1780 წ., საბუთ. V, 97); თან იახელ (1740 წ., სიძვ. III, 455); გიახლებით (გმ. ილია, III, 70); ლუარსაბს იამა (ილია, II, 200); ძალიან იამა (რ. ერისთ. III, 32) და სხვ.

24. ეა კომპლექსის ო-დ ცვლა. თუმცა არასისტემატურად, მაგრამ მაინც საკმაოდ ხშირია **ეა** კომპლექსის **ო-**ში გადასვლა. ამ მხრივ კახური

¹ ე. თ. ოფური, ქართლური, გვ. 138; ქ. ძოწენიძე, ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება, გვ. 46; მ. ალავიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, გვ. 232; ჯ. ნოღაიდე-ლი, აქარა დიალექტოლოგიურად, გვ. 10.

² არნ. ჩიქობავა, ფეოვიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 202; მისივე, მთი-ულურის თავისებურებანი, გვ. 47; შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პრო-ცესთა საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი 1946, გვ. 25; ს. ქლენტი, გურული კილო, გვ. 57; ქ. ძოწენიძე, ხელოვნური კილოკავი, გვ. 75.

³ ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში: „კრებული“, ტფილისი 1915, გვ. 193; მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 35, გვ. 28; შ. ძიძიგური, დასახ. შრომა, გვ. 26.

ერთგვარად განსხვავდება ქართლისაგან, სადაც ეს მოვლენა უფრო სუსტად არის წარმოდგენილი¹. როგორც ცნობილია, ვა-ს განსაკუთრებით გავრცელებულია მთის კილოებსა² და ინგილოურში³. ეს მოვლენა თითქმის თავიდან ბოლომდეა გატარებული ფერეიდნულში⁴. ამ დიალექტისათვის დამახასიათებელი მტკიცე ნორმები კახურს არ მოეპოვება. კახური ამ მხრივ მთიულურსაც ჩამოუვარდება, რომელიც თავის მხრივ აგრეთვე შორს არის ფერეიდნულის მკვიდრი კანონზომიერებისაგან⁵.

ცნობილია, რომ ქართული ენის დიალექტებში ვა კომპლექსის ო-დ ქცევისათვის წინაპირობას ვ ბგერის ფონეტიკური ბუნება წარმოადგენს: თანხმოვანსა და ხმოვანს შორის მოქცეული ვ არსებითად წყვილბაგისმიერია⁶, იგი ალაბიალებს მომდევნო ა ხმოვანს, თვითვე შეერწყმის მას და ამის შედეგად ვიღებთ ლაბიალურ ო-ს. კახურში ვა-ს ქცევას ო-დ ჩვეულებრივ ადგილი აქვს ისეთ სიტყვებში, რომელთაც ფუძის ბოლოს ძველ ქართულში უმარცვლო უ მოეპოვებოდათ.

ა) ვა კომპლექსი ო-ს გვაძლევს ნამყო წყვეტილის III პირსა და კავშირებით ბეორეში; მაგ.: თქო, გაუშო, გამოუშო, ამოუშო, დეეშო, დაასო ამოსო, წაუაო, მოუსო, წაართო, მიართო, გამაართო, ჩემეერთოთ, ჩააცო ვადაიციო, საწო, დეეწო, დეერქო, დაურქო... გამოუშოთ, გამოართოს, წაუუსოს, დაწონ, ჩააცოს, წაართოს და სხვა მრავალი.

ბ) ვა კომპლექსი ო-დ იცვლება აგრეთვე სახელისა და ზმნის ფუძეში; მაგ.: ქობი, ხოვი, გოლვა, ქიგო, შალაოთი, კომლი დაღვა, სოვები, ყოვები, ზოვათ, გამოქობილი, ნათქომი... ვწომთ, სომს, წაუსომდნენ, დაახოვებენ და სხვა. ასევე ავ → ო: ბოშეფს (ბოშვი ← ბავშვი).

პროცესმა თავისი ასახვა პოვა კახეთის ისტორიულ საბუთებშიც. იგი მეტ-ნაკლებად გვხვდება აგრეთვე კახეთიდან გამოსული თითქმის ყველა მწერლის ნაწერებში. ამ მხრივ ავტორის ენა არ განსხვავდება პერსონაჟთა მეტყველებისაგან; მაგ.: ცხორსა (1643 წ., საეკლ. საბუთ. 266); მოგვართოს (1696 წ., დოკ. 374); სახსარი გამოგვართო (1750 წ., იქვე, 423); გაუშონ (1750—60 წ., სიძვ. III, 135)... ნუ შეიხიზნავ შენს გორსა (არჩ. II, 56); ვარდივით აუყოვებდი (თეიმ. II, 62); მეც უნდა მეთქო (ილია, IV, 53); მკითხავს ეთქო (გმ. ილია, II, 183); ნათქომი სიტყვები (რ. ერისთ. III, 172); დარეჯანმა ჩამოართო ქიქა (ილია, II, 253); ხანჯალი წაართო (ს. შანშ. აშბ. 99); ტანთ ჩაიციო (რ. ერისთ. III, 37); ცოდო (გმ. მელ. 10); გოლვიანი (ილია, I, 54); გოლვები (ეედ. III, 272); უკაცრაოდ (დ. მაჩხ. 83) და სხვა მრავალი.

გ) ო-ს გვაძლევს ვე (ვე) კომპლექსიც, ოღონდ ეს მოვლენა კახურშიც ისევე იშვიათია, როგორც ქართლურში. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

¹ ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 138.

² ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, გვ. 192; არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 44; ივ. ქავთარაძე, მოხუერი კილო ყაზბეგის ენაში: სტალინის სახელმძღვანელო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXV b, თბილისი 1949, გვ. 88.

³ მ. ჯანაშვილი, სინგილო, გვ. 227.

⁴ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 202; მისივე, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, გვ. 77.

⁵ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 64.

⁶ არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 45.

გაუშოფ, გავაშობინე, გამოკყობი, იკობება, საკობი, ნაკორჩხალი, დაჩოული, მიჩოული, ჩოულებრივ... კილო...

დ) არის იშვიათი შემთხვევები, როცა **ო**, პირიქით, იშლება **ვა** (შა) კომპლექსად; მაგ.: ხეარბალი, საბანავათ... ასევე: იმღვენი, იმთვენი, მაგთვენი, რამთვენი, რამტვენი. მიღებულია კახურ ნიადაგზე ფორმებისაგან: იმღონი, მაგღონი, რამღონი.

25. თანხმოვანთა დაყრუება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში. სიტყვის ბოლოკიდური მქლერი თანხმოვნები ჩვეულებრივ ყრუვდება ისევე, როგორც სხვა კილოებში. მქლერი სპირანტი **ღ** იძლევა ყრუ ფშვინვიერ **ხ** ვარიანტს; მაგ.: დიახ, დიახ, შაიძლება; ბაირახ დაჯრა ხელი და მისთ. შესაძლებელია ასეთივე მოვლენა გვექონდეს გავძეხ ზმნაში, თუ აქ **ხ** პირველადი არაა¹; მაგ., მეც გავძეხ და ჩემი ძტუმრებიცო; შდრ. გავძეხი.

ჩვეულებრივ გაფშვინვიერებული სახით გვხვდება ვითარებითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვანი -დ ელემენტი; მაგ.: სამათ, ცოლათ, მოსატანათ, მოჯამაგირეთ, კაცურათ, რათ მიდინარ? და სხვა.

გარეკახურის მიმართ შენიშნულია, რომ „მოიპოვება „ყრუ ღონის“ ორიოდე შემთხვევა; მაგალ.: „რად დაუსხია თეთრი თმა შენთვის... რად გაუშვი ის თევზიო“... აქ თან ბგერა არ არის, ხოლო ღონი იმღენად თავისებურია, რომ მისი განსხვავება აუცილებელი ხდება...“²

შიგნიკახურში რად ნაცვალსახელის ბოლოს, როგორც წესი, ყოველთვის ყრუ ფშვინვიერი **თ** ბგერა ისმის და არა „ყრუ ღონი“³.

ვითარებითის ღონი დაყრუებულია აგრეთვე ხმოვნების წინ და იშვიათად მანდ ზმნიზედაში, სადაც მოსალოდნელი იყო მქლერობის შენარჩუნება⁴; მაგ.: კოხტათა ქედამს; დადის სანადიროთაო... მანთ გამეფებულიყო და სხვ.

ზედ თანდებულსა და ზმნიზედაშიც ბოლოკიდური ღონი დაყრუებულია და ისმის **თ**; მაგ.: მალლა ხეზეთ; მოიყვანეს ბინაზეთ; კარებზეთ, შუაზეთ... ზეთ ბინა. აქ; ზეთ ავიდეთ; თავილა დარჩა ზეთ...

დავდექ, დავდექ ზმნათა ანალოგიით, სადაც ბოლოკიდური ძირისეული **ჯ** ქცეულია **ქ**-დ, დავჯედ, დავწევ ზმნებშიც ნამყო წყვეტილის პირველსა და მეორე პირში ფუძისეული **დ**-სა და **ვ**-ს ადგილას წარმოდგენილია **ქ**⁵; მაგ.: ჩავჯექ, დავწექ, დაწექ... არის შემთხვევები, რომ ეს **ქ**-ც მოკვეცილია: დავჯე, დაწე და სხვ.

-ებ → -ეფ: დავებარეფ, გაგიკეთეფ, დავეძეფ, დაუძახეფ, ავიღეფ, დავიქირავეფ; მაგრამ ხმოვნის ან მქლერი თანხმოვნის წინ **ბ** შემონახულია: გამოვასწორებო, შავატყობინებო, გააკეთებო, აკეთებდა...

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 574, გვ. 580.

² არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 63.

³ გ. ახვლედიანი, ყრუ mediae ქართულში: „განათლება“, № 4 — 5, ტფილისი 1920.

⁴ ს. ქლენჯი, ქართული ლიტერატურული წარმოქმნის ძირითადი თავისებურებანი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 51, თბილისი 1953, გვ. 224.

⁵ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 231; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 557, გვ. 541.

-ობ → -ოფ: რასა-ათხოვლოფ? რათა სწუნოფ? ტყავ ააძროფ; ნადი-როფ, მუშაოფ. აქაც ხმოვნის ან მჟღერი თანხმოვნის წინ -ობ დატულია: ნუ დამახრობო, შენ დაგიტმოზო, ნადირობდა...

ეგვე ემართება მრავლობითი რიცხვის -ებ სუფიქსის თანხმოვანს; მაგ.: სანამ ღორეფ არ იპოვინო; ახლა სხვეფ მოურიგდინო...

ბ-სა და გ-ს დაყრუების სხვა მაგალითები: ფეხი გამოყო უცეფ; უცეფ გეღვიძა... ხუთი ღლის შემდექ...

26. ბგერის დაკარგვა. ბგერის დაკარგვა განსაკუთრებით გავრცელებული მოვლენაა კახურში. ხშირად რომელიმე ბგერა იკარგება მაშინ, როცა სიტყვაში რაღდენიმე თანხმოვანია თავმოყრილი. ბგერის დაკარგვას ადგილი აქვს როგორც სიტყვის ძირში, ისე საწარმოებელ ელემენტებში. იკარგვის თანხმოვანიცა და ხმოვანიც, თანხმოვანთაგან უმთავრესად წინაენისმიერი სპირანტები, ბაგისმიერი და უკანაენისმიერი თანხმოვნები, განსაკუთრებით კი სონორი რ, ლ, მ, ნ, ვ თანხმოვნები.

27. თანხმოვანთა დაკარგვა. ა) თავმოყრილ თანხმოვანთა გამოთქმის გასაადვილებლად ბრძ, გრძ, ფრთ, ხრჩ, ზრდ კომპლექსები ჩვეულებრივ მარტივდება რ-ს დაკარგვით, რაც ხშირი მოვლენაა სხვა დიალექტებშიც. ცნობილია, რომ რ (სონორ ლ, მ, ნ თანხმოვნებთან ერთად) თავისი ღიაობითა და მჟღერობით ხმოვანს უახლოვდება¹, ამდენად ასეთ პოზიციაში, უმთავრესად სპირანტებთან, მისი რედუცირება ბუნებრივია; მაგ.:

ბრძ → ბძ: ბძანება, მობძანდება, წაბძანდა, ბძოლა, ვებძვით...

გრძ → გძ: გძელი, სიგძე, გაგძელდა, გააგძელეს, განაგძობს, აღდეგძელოს...

ფრთ → ფთ, ფრთხ → ფთხ: ფთა... ფთხილი, საფთხე, აფთხილებს, გაფთხება...

ხრჩ → ხჩ: ახჩოფს, ჩამომხჩვალყო, დაიხჩო, სახჩობელა...

ზრდ → ზდ: იზდება, გაზდა, გაზდილი, ამზდელი, ახალგაზდა...

მრთ → მთ: მთელი, სიმთელე, გამთელდა, გაამთელეს...

ანალოგიური ვითარება გვაქვს კახეთის ისტორიულ საბუთებსა და მწერალთა ნაწერებშიც; მაგ.: ბძანება (1710 წ., სიძვ. III, 194), გადმობძანდით (1777 წ., გუჯ. 87), საღდეგძელთ (1738 წ., დოკ. 401), გაზდილმან (1704 წ., იქვე, 376), შეზდილნი (1740 წ., სიძვ. III, 455)... გამობძანდეს (არჩ. II, 5), ბძანა (თეიმ. II, 2), იხანგძლებ (არჩ. I, 219), ფთა (იქვე, 138)... ბძანდებოდა (ილია, II, 151), ბძანდება (გმ. რ. ერისთ. I, 119), გააგძელა (ილია, III, 224), გძელს სკამზე (მელ. 69), ახჩობს (ილია, X, 152), ზდიდა (რ. ერისთ. III, 19)...

რ ხშირად იკარგება რჩ ძირის შემცველი ზმნის პირიან ფორმებში, როცა თავს იყრის თანხმოვნები: ვრჩ, მრჩ, გრჩ და გვრჩ; მაგ.: დავჩი, მოჩჩები, დამჩა, შამჩა, დავჩა, დავჩჩება...

რ იკარგება აგრეთვე სიტყვის აბსოლუტურ ბოლოს ზმნიზედებში; მაგ.: როგო² არი? როგო შაიძლებაო? როგო ხარ? როგო მილალატებენო?... დაიყმულია სამჯე... აგე, აქ არიო... მე ველა მოალო...

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 61.

² ამ სახით ეს ზმნიზედა გარდა ინგილოურისა სხვა დიალექტებში არ დასტურდება: შ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 230.

რ-ს დაკარგვის სხვა შემთხვევები: პტყელი, დავაპტყლებთ, შემცხვა...
 თონე, პიჯვარი, ღმა, რაჟ შვები?..

ვაზის ყლორტს, რომელიც ამოდის ტოტსა და ფოთოლს შუა, შიგნ-
 კახეთის ზოგიერთ სოფელში (ქიკაანსა და სხვაგან) ეწოდება ქირქა, რომე-
 ლიც წარმომდგარი ჩანს რქი რქა-საგან რ-ს დისიმილაციური დაკარგვის
 გამო: რქის რქა → რქი რქა → ქირქა. რქის რქა-ს სახით ეს ტერმინი და-
 ცულია სოფ. კუჭატანში.

ბ) თავმოყრილ თანხმოვანთა გამარტივების ტენდენციით აიხსნება რიგ
 სიტყვებში აგრეთვე ლ-ს დაკარგვის შემთხვევები; მაგალითად, სახლ-ში ფუ-
 ძისეული ლ იკარგება, როცა მას დაერთვის მიცემითში ბრუნვის ნიშანი -ს.
 ან თანდებული -ში ან კიდევ, როცა იგი კომპოზიტის ნაწილია; მაგ.: სახს...
 სახში... სახ-კარი და სხვ.

ამავე პოზიციაში მთელ კახურში ფუძისეული ლ ხშირად იკარგვის შემ-
 დეგ სიტყვებში: ოფს, ვერცხსა, შუბზე, შუბსაფენი, სისხში, მუხში, გუთ-
 მისანი, დაცოცხდნენ ორივე.

იკარგება ბოლოკიდური ლ-ც ზმნიზედაში სულ; მაგ.: სუ დაამტკრისჲ;
 სუ ეგრეა... სუ იმას ცდილობს (გმ. მელ. 42); სუმთელი...

ლ ზოგჯერ არ ისმის ხოლმე ნაწილაკში; მაგ.: სწონამდნენ ხომე;
 იტყოდა ხომე და მისთ.

გ) ახალი ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით თავკიდური
 მ- ხშულებისა და ზოგიერთი სპირანტის წინ სისტემატურად იკარგება არ-
 სებითსა და ზედსართავ სახელებში, აგრეთვე ზმნიზედებში. ბევრი მათგანი
 მწერალთა ენაშიც შემოსულია; მაგ.: თა, თავრობა, თელი, თლათ, დიდარი,
 დიდრულათ, ტერი, ტევანი, ტრედი... ტრედივით (გმ. ილია, III, 28), ტრე-
 დისფრად (იქვე, I, 166), გზავრი, გელი, კლავი, კათათვე, წყენსი, წყესავლა,
 წვანე, ზეთუნახავი, ზითევი... ზითვის (თეიმ. II, 64), ზითვად (არჩ. II, 38).
 სხვილი... ისარ-სხვილი (არჩ. I, 6), ხრები, ცალ ხარეზე, ხოლოთ, რგვა-
 ლია, შვიდობით, შვენეირი... შვენება (ილია, I, 213) და სხვ.

აქ ჩამოთვლილ სიტყვათაგან ზოგს მანი ისტორიულად არც ჰქონია (მაგ.
 ტრედი, შუენეირი...), იგი ახალ ქართულში მოგვევლინა როგორც ფონეტი-
 კური დანართი. შესაძლებელია, რომ კახურს ამ მხრივ ძველი ვითარება ჰქონ-
 დეს შემონახული, მაგრამ მანის დაკარგვის საერთო ტენდენცია კახურსა და
 სხვა დიალექტებში უფრო მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ იგი ასეთ სახე-
 ლებს ჯერ დართული ჰქონდა და შემდეგ დაეკარგა¹.

თავსართი მ- იკარგება მიმლეობასა და მისგან ნაწარმოებ სხვა ს
 ტყვებში; მაგ.: გლოვიარე, გალობელი, თვრალი, თქმელი, თხოვნელი, კვდარი,
 კითხავი, კმენარი, შობლები, წყურვალი, წუხარე, ქედელი, ხდალი, ჯდომარე...
 გალობლიშვილი, დგომარეობა, კურნალობა, კვლევლობა, ხიარულება და სხვა.
 მრავალი.

ხშირია აგრეთვე ბოლოკიდური მ-ს დაკარგვის შემთხვევები კავშირებსა,
 ნაწილაკებსა და ნაცვალსახელებში; მაგ.: ეძებეს, მაგრა ვერ იპოვნეს... რო-
 გეღვიძა, მე რო ვერა ვნახო... თორე ინანებო... რატო არ მელაპარაკე-
 ბიო? იმიტო არ გეუბნები... ხო ხედამო? შვილი ხო არ კყოლიაო?...
 მითა ძინამს (შდრ. მითო მომღვეს)...

¹ გ. თ. ფურია, ქართლური, გვ. 134.

ანალოგიური ფაქტები არცთუ იშვიათადაა გამოყენებული კახეთიდან გამოსულ მწერალთა მიერ; მაგ.: მაგრა არ ღირსხარ (თემ. I, 8); მაგრა... არ გაება (არჩ. II, 50)... თორე სტყუით (იქვე, I, 19)... რო იხობოდეს (ილია, IV, 32); რო მაგონდება (გმ. ილია, I, 173); რო სიტყვა გაგძელდეს (დ. მაჩხ. 23)... რატო... არ იღებდა (ვედ. III, 23); იმიტო, რომ (დ. მაჩხ. 39)... ხო... მიეცით (გმ. მელ. 12)...

დ) თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენასთან შედარებით ზოგიერთ სიტყვაში დ-ს წინ არა ჩანს ნ; მაგ.: მადა ხარო... წმიდა შუშას ფქვამენ; შაიწმიდე ხელები... მინდვრები გაჩდა; ბევრი გამოჩდესო; გაუჩდათ შეილები და სხვ.

ივარაუდება, რომ წმიდა, გაჩდა და მსგავს ფორმებში ისტორიულად ნ კი არაა დაკარგული, არამედ ან შემდეგაა განვითარებული სალიტერატურო ენაში, ან კიდევ იგი სუფიქსისეულია (გაუჩ-ან-და → გაუჩნდა), ხოლო კახურს არქაული ფორმა აქვს შემონახული¹.

-კენ (→ -ყენ) და -გან თანდებულთა ბოლოკიდური -ნ ზოგჯერ სონორობას ვერ ინარჩუნებს და იკარგება; მაგ.: კოდალისყე, შირაქისყე... წამოილა წყაროდა...

ამავე პოზიციაში ეგვე ემართება -ნ-ს შენ და თქვენ პირთა ნაცვალსახელებში; მაგ.: შე რათ გინდა? შე რა უნდა პატივი მცეო?... თქვე ეს გააკეთეთო; თქვე რო სიმღერა იცითო...

ადგილი აქვს ხმოვნებს შუა კაუზატივის -ინ- სუფიქსის -ნ-ს დაკარგვას; მაგ.: დაბაინებს, მიარბეინებენ, მუატაინოთ, აწყეინებდა... მიმაყუაინოს (ილია, II, 1950, 397), მივაყუაინეთ (იქვე, 400), შეგატაინებთ (იქვე, 399)² და სხვ.

ნ-ს დაკარგვის თითო-ოროლა შემთხვევა სხვაც არის: ჩამოსიერეს, დასეირობდა, გუშილამ, დაღონდა მაიც...

ე) სხვა აღმოსავლური კილოების მსგავსად კახურში განსაკუთრებით ხშირია ვ-ს დაკარგვის შემთხვევები.

სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსი ვ- არ გვხვდება უ ხმოვნის წინ, ამის გამო პირველსა და მეორე პირს შორის ფორმალური განსხვავება წაშლილია. ვ- იკარგება აგრეთვე ამავე თანხმოვნით დაწყებულ ზმნებში. ასე იყო ეს ძველ ქართულში და ასეა ყველა კილოში და საერთოდ ცოცხალ მეტყველებაში; მაგ.: მე უთხარი; მე ფული დაუთვალე; ჩვენ რა უყოთ ამასო? უკან გამოუდექით... მე შავედი შიგ; წავიდე და გადავარდე...

პირველი პირის ნიშანი ვ- იშვიათად იკარგება ბაგისმიერი მ-სა და ნაზალური ნ-ს წინაც; მაგ.: მე ვენახში მუშაობდი; ჩვენ ყანაჲ მკიდით; წავედით და მომკეთ... ჩვენ ნახოთ...

ოვი კომპლექსში პირველი პირის ნიშნისა და ფუძისეული ვ-ს დაკარგვა მოდებულია მთელ კახურში. მართალია, ასეთ პირობებში იშვიათად ვ დაცულია, მაგრამ ეს სალიტერატურო ენის გავლენას უფრო მიეწერება; მაგ.: ავდექ და გამოიხედე; მე მოელ და ურები მოიტანე; მოიქნე და გადაეყარე; მოიტანდით და დავდგამდით; ჩვენ წამოიზარდენით... სეტყვა მოიდა; აქ ჩამოიდა; გათხოილია და სხვ.

¹ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 69.

² ეს მაგალითები მოყვანილია ილია ჭავჭავაძის „მაჰანკლიდან“, რომელიც ძველ გამოცემებში არ არის შეტანილი.

ამ პროცესს ადგილი აქვს სხვა აღმოსავლურ კილოებშიც, როგორცაა ფერეიდნული¹, მთიულური² და ინგილოური. იგი დასტურდება არაგვისა და ფრონის ხეობის ქართლურშიც.

იკარგვის ფუძისეული ვ თანხმოვანი ო და უ ხმოვნების შემდეგ; მაგ.: მოა, გამოა, გამოარდა, მოარდება, იზონა, დამტოებენო, უტოებს, ესიამონა, იპონა... ჩაუარდა, აუსებდნენ, მოულის, უციო...

ვ არ გვხვდება ა — ე, ა — ი, ი — ე, ე — ე ხმოვნებს შორისაც; მაგ.: ედაება, ნათესაები, საფლაები... წაიდა, ყვაილი (ყვაის), ყვაის ბუდე, ჩამოფრინდა სვაი, სიმწვანებან, ნეტაი იცოდნენ (შდრ. ნეტა რა იქნა?)... სიციე... ნანგრეებში და სხვა.

ამავე პირობებში იკარგვის კაუზატივის საწარმოებელი -ევ სუფიქსის ვინი; მაგ.: ხეები მა აქ რეინა; ძნები. და ა დ გ მეინა; მერე ა თ ქ მეინეს; ქობსალარ მა ა შ ლ ეინებს; უნდოდა მე ე კ ლ ეინებინა; შიგნით გა ა შ ლ ეინა; ას თუმან ა ძ ლ ეინეფს; ღვინო და ა ლ ეინეთო...

ეგვე ემართება ზოგიერთ ზმნაში სხვათა სიტყვის -ო-ს წინ -ავ ან -ევ სუფიქსის ვ-ს; მაგ.: ხო არ გინახაო? მაგითვინ ვზრუნაო; მანდა ზძინაო (შდრ. აგრეთვე: მყო, კყყო, ვიყო); ბედსა კწეო; დახმარებას გა გიწეო; რათა-აწეხარო? უჯრაში ძეო...

ვ არა გვაქვს აგრეთვე სმოვან-თანხმოვანთა მეზობლობაში; მაგ.: გაგზანა, გამოგზანილი... ბაშვი (შდრ. ბავში)... ცოდისაგან, ცოდიანი... დამლუპელია...

საკმაოდ ხშირად არ ჩანს ვ თანხმოვნებს შორის, უმთავრესად ლ, ნ, რ-ს მეზობლად. ასეთ პოზიციაში ჩვეულებრივ ისეთი ვ იკარგება, რომელიც ძველ ქართულში უმარცვლო უ იყო. ამ მხრივ კახური მოგვაგონებს ფერეიდნულს³ და ნაწილობრივ მესხურ-ჯავახურსა და გურულს⁴; მაგ.: სამოყროთ, მოყრობა (აქ ო-ს შეიძლება მიუძღოდეს ბრალი), მოჰკდომოდით, უკდავება... გეკუთნის... სანაცლოთ, მომლელი, ამლელი, ჩამლელი, გამლელგამომლელი და სხვ.

ვ დაყრუების ნიადაგზე ჩვეულებრივ იკარგვის აქვს და მაქვს ზმნებში; მაგ.: ქვაბი მაქს, ტყავი აქს, ახლო აქს, მიაქს და სხვ. ამ პროცესს შემდეგ მოსდევს III პირის ნიშნის დაკარგვაც; მაგ.: მაქ, გაქ, აქ... მააქ, მიგაქ, დააქ, ჩააქ, გააქ, შეაქთ, მოაქთ...

ბევრათა დაკარგვის შედეგად დამოწმებული ზმნები აწმყოს სამსავე პირში ასეთი სახით გვევლინება:

I მაქ	გვაქ	მიმაქ	მიგვაქ
II გაქ	გაქთ	მიგაქ	მიგაქთ
III აქ	აქთ	მიაქ	მიაქთ

იკარგება ბოლოკიდური ვ ნეტავ და კიდევ ზმნიზედებში; მაგ.: ნეტა რა იქნა!.. კიდევ უთხრა და სხვ.

¹ არნ. ჩიქობავა. ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 202.

² არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 47.

³ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 205; მისივე, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, გვ. 73.

⁴ შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი, გვ. 243; ს. ქლენტი, გურული კილო, გვ. 54.

კახური და საერთოდ ცოცხალი მეტყველება იმის ჩვენებას იძლევა, რომ ვინი საზოგადოდ ქართულში არ არის მყარი ბგერა. იგი დაუდგარი და თავისებური ბუნების ბგერაა, რომელიც ხშირად იკარგება თითქმის ყველა კილო თქმაში როგორც ბაგისმიერთა მეზობლობაში, ისე სხვა ფონეტიკურ გარემოში.

ე) საკმაოდ შერყეულია აგრეთვე ს ბგერის პოზიცია. ნისი დასუსტება-და-კარგვის პროცესები გარეკახურისა და ქიზიყურის მიხედვით ამომწურავად დახასიათებულია არნ. ჩი ქობ ა ე ა ს გაზოკვლევენში¹. ამ მოვლენის ყველა ის სახე, რაც შენიშნულია გარეკახურში, ძირითადად მეორდება აგრეთვე შიგნი-კახურში. აქ წარმოვადგენთ მხოლოდ სანის დაკარგვის შემთხვევებს.

იგი იკარგვის ფუძისეული ტ, წ, ჰ თანმოვნების წინ; მაგ.: ტუმარი, ტუმარ-მასპინძელი, ტაქანი, ტაფილო, კვირიტაფი... წრაფი, წორეთ, წორ-ამხანაგი, წავლა, წავლომს, მომაწრო... პილენძი, თუ ეს უკანასკნელი პირ-ვანდელი სახით არაა შემონახული.

ს უფრო ხშირად იკარგვის თ-ს წინ -თანა, -თვინ თანდებულთა დართვისას; მაგ.: შენითანა მაგითანა, იმითანა, იმითვინა, თავითვინ, რითვინ, ჩვენი გულითვინ, ხილითვინა...

ასევე ხშირად ს არ ახლავს საზღვრულის წინ ნათესაობით ბრუნვაში დასმულ მსაზღვრელ სიტყვას; მაგ.: დოლი პური, კვერცხი გული, პური ლუკმა, რკინი კიბე, სახლი პატრონი, ბუზი ტოლა, წყლი პირას, თავი თავ, თავი დღეში...

წინადადებაში ასეთი მსაზღვრელი თუ ორია, პირველს ჩვეულებრივ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ახლავს, მომდევნოს კი ეკვეცება. ზოგჯერ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა იკარგება ორივე მსაზღვრელის ფორმანტიკული -ს; მაგ.: მუხისა და თრიმლი წნელს მოგრეხამდნენ; ჩემი ბედისა და იღბლი გაგება მინდაო, მაგრამ: ფრინველი და ვაშლი პატრონი ხარო...

სანის დაკარგვა ჩვეულებრივი მოვლენაა კომპოზიტებში; მაგ.: პატივიცემა, დედიძმა, მაზლიშვილი, ცოლიძმა, ცოლიდა, ძმიშვილი, სახლიკაცი, გუთნი-დედა, გედისწრა, შიშიზარი და სხვ.

ს იკარგება მსაზღვრელად ხმარებული ეს და ის ჩვენებით ნაცვალსახელებში; მაგ.: წავიდა ე ბიჭი; ე რა მამსელიაო! ე რა მაფაველეო?.. • ბიჭი, • სახლი, • ფიჩხი...

ეს ნაცვალსახელები ოდენ ხმოვნითაა წარმოდგენილი არა მარტო სახელობითში, არამედ მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში, ოღონდ აქ მოკვეცილია შ; მაგ.: ე კაცმა თქვა; ე ბიჭ მეწონა... მივიდა ი ბებერთან...

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სანის დაკარგვამდე იგულისხმება გარდამავალი საფეხური, ესაა სანის დასუსტება, ნისი იოტიზაცია, რაც კახურისათვის ასევე ჩვეულებრივი მოვლენაა (იხ. გვ. 32).

მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს იკარგება ბოლოთანხმოვნიან სახელებთან, განურჩევლად იმისა, სახელი ამ ბრუნვაში პირდაპირი დამატებაა თუ ირიბი, ქვემდებარეა თუ გარემოება; მაგ.: ტოტ დათლიან, ბიჭ დაძინეფს; ნაბად დავხურამთ... შვილებ გაუყო, ცოლ უთხრა... დათვ შეეკამნა, ბიჭ გეღვიძა... თელავ წავიდა, ძლივ დადიოდა, შორ მიდიოდა და სხვა მრავალი.

¹ გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად; ს- ბგერის დასუსტება ქიზიყურში.

აღსანიშნავია, რომ მიცემითში დასმული დამატება, ქვემდებარე ან გარემოება ჩვეულებრივ წინ უსწრებს შემასმენელს, მაგრამ შეიძლება მას მოსდევდეს კიდევ; მაგ.: წაიღებდა ყველაფერ; გაატანდა წერილ... გაყვანი ბებერ; დაანება თავი სახ-კარ, ვენახ... ქუჩათ უნდა გვევლო კაცებ, ძროხებ, ძაღლებ; ხალიჩა აქ იმ ქალ... გაიხედა შორ, დარჩა დიდხან...

მას და ვის ნაცვალსახელებიც -ში და -ზე თანდებულის დართვისას კარგავენ მიცემითის -ს ნიშანს; მაგ.: მაში ჩარკობილია... მაზე შებეზულია... ვიზე რა იყო, ვიზე და ცეგულებოდა და სხვ.

სანის დაკარგვას ისეთი ფართო ხასიათი აქვს მიღებული, რომ იგი ხშირად ზმნაშიც არ ჩანს როგორც მორფოლოგიური დანიშნულების აფიქსი. უკვალოდ იკარგება სუბიექტური III პირის სუფიქსი -ს ზოგიერთ. ერთპირიან ზმნაში; მაგ.: არი, აღარ არი... გამოცდილი არ არი (ილია, VIII, 85); მზად არი (დ. მაჩხ. 34)... ბროწეული დგა; წყალში დგა... ქვა დევ...

არცთუ იშვიათია აგრეთვე თანხმონის შემდეგ სუბიექტური III პირის -ს სუფიქსის დაკარგვის შემთხვევები საშუალი და მოქმედებითი გვარის ზმნათა აწმყოსა და თურმობით პირველში და ინვერსიულ ზმნათა კი — აწმყოში; მაგ.: ღორი მოუკლამ; საცალო აურწყამ; არც კი მინახამ; შიგ ჩაუდგამ; ცხენი დაუბამ... ხელში უჭირამ; მეხრე უდგა; ჩემ შვილს მიგვიგავ თვალებით; წელზე უდევ; ფასი აღარ გძევო; არა უშავ რა; ძძინამ, ჯიბეში მაქ; რაში მიგაქ? სამი მყამ; ხარი მყავ; შინ მიმყავ... არა მყავ (დ. მაჩხ. 35); კარგა გვაქ (გმ. მელ. 29); ჰგავ (იქვე, 26) და სხვა.

ს. ბგერასთან დაკავშირებული მოვლენები ერთნაირად არ ახასიათებს კახეთის ყველა კუთხის მეტყველებას. სანის დასუსტება-დაკარგვა უფრო ხშირი მოვლენაა ახმეტისა და გურჯაანის რაიონებში, მაგრამ ეს პროცესი ერთგვარად შენელებულია თელავსა და ყვარლის რაიონებში: აქ ჩვეულებრივ შ-ში გადადის და იკარგება შედარებით იშვიათად. საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ შიგნიკახურისა და გარეკახურის ვითარება დაახლოებით ერთნაირია, სამაგიეროდ ს-ს დასუსტება-დაკარგვის პროცესი გაცილებით უფრო შორს არის წასული ქიზიყურში¹.

როგორც ცნობილია, ს სუსტდება და იკარგება კიდევ ბევრ კილო-თქმაში, მაგრამ ეს მოვლენა ისე ფართო მასშტაბით, როგორც კახურშია, ქართული ენის არც ერთ დიალექტს არ ახასიათებს. სალიტერატურო ენის ძლიერი გავლენა კახურზე თანდათანობით გზას უხშავს ამ მოვლენის შემდგომ განვითარებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ჯერ კიდევ აქტიურად მოქმედი ფონეტიკური პროცესია.

რა თანამიმდევრობით უნდა წარმოვიდგინოთ სანის დასუსტება-დაკარგვის ზოგადი პროცესი კახურში? არნ. ჩიქობავა ვარაუდობს, რომ ამ ბგერის დასუსტებისა და დაკარგვის ყველაზე ხელსაყრელი ფონეტიკური გარემო სტ და სთ კომპლექსი უნდა იქნეს მიჩნეული. ნათესაობითსა და მიცემითშიც -ს-ს დასუსტების პროცესის დაწყებისათვის თავდაპირველი უნდა ყოფილიყო ის შემთხვევები, როცა -თვის, -თან თანდებულები ემატებოდა სიტყვას და აქაც ვიღებდით სათანადო სთ კომპლექსს². სხვა ვითარებაში ნათესაობითი ბრუნ-

¹ არნ. ჩიქობავა, ს- ბგერის დასუსტება ქიზიყურში, გვ. 69.

² არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 67.

ვის -ხ ელემენტის დაკარგვისათვის „ხელისშემწყობი უნდა ყოფილიყო ის შემთხვევები, როცა ნათესაობითს ბრუნვაში დასმული სიტყვა რომელიმე სიტყვის მუდმივ განმსაზღვრელად გამოდიოდა“¹. მხედველობაში აქვთ ისეთი კომპოზიტების შეხამება, როგორიცაა მამიდა ← მამის და, დეიდა ← დედის და, რომლებშიც უკვე დამოუკიდებლად აღარ შეიგრძნობოდა კომპონენტი სიტყვები და ფსიქოლოგიურად სავსებით შემზადებული იყო ნიადაგი მორფოლოგიური ელემენტის დაკარგვისათვის². პრინციპულად ასეთივე მდგომარეობა უნდა გვქონოდა ისეთ შესიტყვებაშიც, როგორიცაა: კვერცხი გული, პური ქამა, თოფი სროლა და სხვ. ამასთან შედარებით უფრო გვიანდელი ჩანს მიცემითის -ს-ს დაკარგვა და ისეთი ფორმების არსებობა, როგორიცაა: ჰყავ, აქე, გავ, უთქვამ და სხვ. ასეთი რამ მას შემდეგდა იყო შესაძლებელი, როცა სანის დასუსტებამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო და ერთნაირად მოედო მთელს მეტყველებას. არნ. ჩიქობავას სანის მომავალი ვითარებისათვის გაცილებით უფრო დამახასიათებლად მიაჩნია რამდენიმე საგულისხმო შემთხვევა ხმოვნების შემდეგ მისი დაკარგვისა ზმნებში: აძობდე (← აძობედეს), გაათუქე (← გაათუქეს), გადაუწყვიტე (← გადაუწყვიტეს) და მასში ხედავს პროცესის ყველაზე შორს წასვლას, თუმცა, მისი აზრით, მოსალოდნელი იყო, რომ ეს პროცესი დაწყებულიყო უფრო ხელსაყრელ პირობებში, თანხმოვნებთან, ხმოვნების შემდეგ მისი დასუსტება კი შემდეგშილა იჩენდა თავს³.

ბ) დ ხშირად იკარგვის სად კითხვითს ზმნიზედაში⁴, ხოლო სადაც და. ოლონდ (ოლონდაც) ზმნიზედები ჩვეულებრივ საცა, ოლონ (ოლონც) სახით გვხვდება; მაგ.: სა წავიდა? სა წავიყვანა?... საცა ცხოვრობდა; საცა გინდა; საცა მუშაობდა... ოლონ (← ოლონთ ← ოლონდ) გამიშვით; ოლონც (← ოლონდც ← ოლონდაც) მითხარო...

დასტურდება ხმოვნებს შორის, დონის ჩავარდნის ორიოდ შემთხვევა: წაი და მალე მოდი! მოით, თქვით! აქ მოით!⁵

უნდა ზმნა ხშირად უნა-ს სახით იხმარება. დონის გარეშე გვხვდება აგრეთვე ამ ზმნის მეორე პირის ფორმები როგორც მხოლოდობითში, ისე მრავლობითში; მაგ.: ფეხი უნა დეედგა; უნა წავიდე; უნათ გაუძღვეს... რა გინა? გინა თუ არა? ვის გინათ ესაო? (შდრ. ინგილოური მინ, გინ, უნ)⁶.

არ არის გამორიცხული, რომ კახურში ამ ზმნის ძველი ფორმები გვქონდეს შემონახული. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში იყო უნა, გინა, მინა და უნდა, გინდა, მინდა. პირველი სამი აწმყოს გამოხატავდა ფორმითაც და შინაარსითაც, უკანასკნელი სამი კი ნამყო უწყვეტელს. ახალ სალიტერატურო ქართულში ამ ზმნის აწმყოს ფორმა დაიკარგა და ნამყო უწყვეტლის ფორმამ იკისრა აწმყოს შინაარსის გამოხატვა, კახურმა, ქართლურთან და მესხურ-ჯავახურთან ერთად, აწმყოს ძველი ფორმაც შემოგვინახა მეორე და მესამე პირში.

¹ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 67.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 68 — 69.

⁴ ეს ზმნიზედა ჩვეულებრივ ამ სახით გვევლინება დასავლურ კილოებში: ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 96; მისივე, ქვემოიმერულის უზუთური მეტყველება, გვ. 44.

⁵ ეს მოვლენა დამახასიათებელია განსაკუთრებით გურულისათვის: ს. ქლენტი, გურული კილო, გვ. 55.

⁶ მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 229.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ უნა შეკვეცილი ნა-ს სახითაც გვევლინება. ასეთ შემთხვევაში გაბმულ საუბრისას ნა ნაწილაკი წინა სიტყვასთანაა შერწყმული; მაგ.: ისნა (← ის უნდა) შეერთო; ისნა მამაწაელოო; მეცნა (← მეც უნდა) წავიდეო და სხვ. კახურის ეს იშვიათი მოვლენა ჩვეულებრივია აჭარულსა და მესხურ-ჯავახურში¹.

სოფ. ახალსოფელში (ყვარლის რაიონი) ზოგჯერ იკვეცება ამ ზმნის და ნაწილაკი, თუ მომდევნო ზმნა და პრევერბით იწყება; მაგ.: სითბო უნ დატრიალდეს; უნ დაფარული იყოს...

თ) მსაზღვრელად ხმარებისას რაოდენობითი რიცხვითი სახელი ერთი მიცემით ბრუნვაში -ხ სუფიქსთან ერთად ფუძისეულ თ-საც კარგავს უმთავრესად მაშინ, როცა საზღვრული სიტყვა თანით ან სხვა ყრუ თანხმოვნით იწყება; მაგ.: ერთვეს გაგძელდა; ერთუმნიან მოქცემო... ერ ხევში ჩავიდნენ; ერ სიტყვას გეტყვით; ერ შამადგომაზე (შდრ. ერ დროზე, ერ დროში, ერ დღეჲ, ერ დედაკაცთაჲ). ასეა სხვაგანაც, მაგ., ინგილოურსა, იმერულსა, გურულსა და აჭარულში².

ი) ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ რ-ს დაკარგვით ხშირად მარტივდება ზრდ კომპლექსი (გაზდა, ზდის და სხვ.). მაგრამ ამავე სიტყვებში შეიძლება შერჩენილი იყოს და ზ დაკარგული; მაგ.: გარდა, ირღება, გაირღება, წამაირღება, მორღილი, დარღილი, სარღო, სარღოობდნენ... ქიზიყურში კი ზოგჯერ ზ-სთან ერთად რ-ც იკარგება; მაგ.: ვლი, ღის, ვლიდით, გაიდება, გაიდებოდა... გამღელი კი ლიტერატურულ ქართულშიც გაბატონებულია.

გვაქვს ხმოვნებს შორის ზ-სა და ჳ-ს ჩავარდნის ორიოდ შემთხვევა: ლამაათ (← ლამაზად) და კარქათ, ლამაათ უთხრა... რაჲ შერები, ბიო! (← ბიქო!).

კ) მთელ კახურში თითქმის ერთნაირად ბაგისმიერი მ-ს მეზობლად ამავე რიგის ზ დისიმილაციის ნიადაგზე სისტემატურად იკარგება ამ ბოზს ზმნაში (მბ → მ); მაგ.: რას ამოფ? ამობს, ამობენ და სხვ.

ზ-ს დისიმილაციური დაკარგვით ე უზნება ზმნისაგან მიღებულია ეუნება, ხოლო ეს უკანასკნელი უ ხმოვნის დავიწროებით იძლევა ევნება-ს; მაგ.: ბეჟანს ეუნება; უარს ეუნებათ; არაფერ ეუნებოდა... რატო არ ევნები? დედას ევნება (შდრ. ებნება, გებნები და სხვ.). გეუნეოდი ფორმაში კი ორივე ზ თანხმოვანია დაკარგული.

იშვიათად იკარგება მრავლობითი რიცხვის -ებ სუფიქსის ზ მოთხრობითი ბრუნვის -მ-სთან შეხვედრისას; მაგ.: ლეკემა გაირაცეს; ქალემა დაუძახეს.

ლ) შეინიშნება უკანანისმიერ თანხმოვანთა დაკარგვაც. თითო-ორ-ოლა შემთხვევაში ასიმილაციის ნიადაგზე იკარგება II ობიექტური პირის ნიშანი გ-, როცა ზმნის ფუძე იწყება უკანანისმიერი თანხმოვნით; მაგ.: თუ კითხოს (← კითხოს ← გკითხოს), როცა მოკითხოს (← მოკითხოს ← მოგკითხოს)...

¹ მ. ხუბუა, ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა, გვ. 17; ჯ. ნოლაიდი, აჭარა დიალექტოლოგიურად, გვ. 23, 24; ილ. მაისურაძე, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში: გორის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი 1942, გვ. 145.

² მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 230; ქ. ძოწენიძე, ქვემოიმერული უხუთური მეტყველება, გვ. 44; მ. ხუბუა, დასახ. შრომა, გვ. 17; ჯ. ნოლაიდი, დასახ. შრომა, გვ. 12.

იშვიათად გ არ ისმის მა გ ნაცვალსახელსა და მა გ რამ კავშირში; მაგ.: ახვალ მა მთასა... არ იციან გზა, მარამ უნა წავიდნენ...

მა გ რამ-ში გ-სთან ერთად ზოგჯერ იკვეცება ბოლოკიდური მანიც; მაგ.: ქურქლები კი მაქს, მარა წყალი რო არ-ალიო... მარა შენი სიღარიბე არ დაგავიწყდესო...

რაცთან ერთად გ ქრება სიტყვაში კარგი, მაგრამ შედარებით უფრო იშვიათად, ვიდრე დასავლურ კილოებში; მაგ.: კაი კაცი, კაი დრო, კაათ შამინახამსო...

მ) სუბიექტური პრეფიქსი II პირისა და ობიექტური პრეფიქსი III პირისა მ- ზოგჯერ არა ჩანს კ, ყ, ქ ხშულებისა, შ, ხ სპირანტებისა და სონორ რ-ს წინ; მაგ.: რატო კითხულობ? როგორა ყლაპამ? რას შვრებო?... გონური ქონია; კრა ხელი; კითხეს; შვილიცა ყვანდა; ახადა ყუთს თავი; შეხვდათ მეველე; იმახ ბაღლი დარჩომოდა...

ასევე იშვიათად იკარგება პრეფიქსი ს ქვესი (დ, თ, ტ, ც, წ, ჯ) თანხმონის წინ; მაგ.: რათ მიდევ? მითამ ტირიო; მებალებს თხოვეს; ტაცა ხელი; მიცა ხელსახოცი; ბიჭებს წყინდათ; ჯერა მინც...

ნ) ზოგჯერ არ ახლავს ც(ა) ნაწილაკი მიმართებით ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს; მაგ.: ისხდნენ როგორ მეძროხეები; ეგდო როგორ კვდარი; ორმოცი მაინ ჩეეტევა; ვინ წლით იზდებოდა, ის დლით იზდებოდა...

ო) იკარგება ფუძისეული ძ შეიძლება ზმნაში; მაგ.: როგო შაილევაო; არ შაილებოდა...

28. ხმოვანთა დაკარგვა. რიგ სიტყვებში შეინიშნება ხმოვნის ჩავარდნა. ფუძისეული ა არა გვაქვს ქალმან-ში, მაგ., ქალმანი გამძვრაო...

ქიზიყურსა და იშვიათად შიგნიკახურშიც ზედსართავი პატარა ა-ს ამოღებით იხმარება. ამ სახით ეს სიტყვა ქართული ენის სხვა დიალექტებში თითქოს არ გვხვდება, გარდა ინგილოურისა¹ და წედისის ხეობის ქართლურისა²; მაგ.: პატრა ფრინველი, პატრა ბიჭი... კიდევ მეტი, პატარა სიტყვას -რა მარცვალი შეიძლება მოკვეცონ; მაგ.: პატა მანძილი, პატა მატყლი, პატა ხანს და სხვ.

ხმოვნის ელიზიას ადგილი აქვს გაბმულ მეტყველებაში, როცა ერთი სიტყვის ბოლოკიდური და მეორის თავკიდური ხმოვანი ერთმანეთს ხედება. ამ პირობებში აი ჩვენებითი ნაწილაკი იკვეცს ი ხმოვანს და ა შეერწყმის ეს, ეგ, ის ჩვენებით ნაცვალსახელებსა და ესე, ეგრე, იქ ზმნიზედებს; მაგ.: აეს მინდვრები, აეს სახ-კარი, აემ გზით წახვალ; აემას ვენაცვალე... აეგ ფული მიჩუქებია; აეგენი რო გავიდნენ... აიმ მოხუც კითხეო... აესე ვიყავით... აეგრე დაღერღეტობს... აიქ ჰქონდა... აეგეთი დრო იყო და სხვ. ასეთი ელიზია ცნობილია და ფართოდ მოდებული ხევსურულში³.

-ვე ნაწილაკი გვხვდება ხმოვანმოკვეცილი სახითაც; მაგ.: ორიე თვალები, ხუთნიე წამოალთო; შიგავე ჩავარდა; იგრევე შინავე მაიტანა იგრევე ჩავდამთ; აქავე გექნება; იქავე გაუშვეს...

-იერ სუფიქსის ი იკარგება ცარიელში; მაგ.: ცარელა წავედით; ცარელე ბი მოდიოდნენ...

¹ მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 229.

² ოტ. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური, გვ. 279.

³ ა. შანიძე ხევსურული მასალების ლექსიკონი: წელიწდეული, I—II, გვ. 259.

ზოგჯერ ამოღებულია ან მოკვეცილია მთელი მარცვალცი; მაგ.: ძა ან მე-
წონა; ძა ან ბერი... თერთმე (← თერთმეტი), თორმე (← თორმეტი), ცამე
(← ცამეტი)¹... აზნაუ შვილები იყვნენ... ვაჰმევთ ნახევი გირვანქას...

29. ხმოვანთა რედუქცია. სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ხმოვანთა რედუქცია უფრო გავრცელებული და ძლიერი უნდა ყოფილიყო ძველად, ქართველური ენების ერთობის ხანაში, ახალ ქართულში კი ეს მოვლენა საკმაოდ შენელებულია². ამჟამად რედუქცია ერთნაირი ძალისა და ერთნაირად გავრცელებული არ არის ქართული ენის დიალექტებშიც: „ცოცხალ კილოებში რედუქცია უფრო ცხოველია აღმოსავლურ ჯგუფში, ხოლო დასავლურში უფრო მეტად არის შესუსტებული. ქართლსა და კახეთში ჯერ კიდევ შეიძლება გაიგონოს კაცმა ისეთი ფორმა, როგორცაა ქართველის, მაშინ, როდესაც ლიხთ გადაღმა მხოლოდ ქართველის იხმარება“³.

ამ მხრივ კახურში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ისეთი რედუქციანი ფორმები, რომლებიც სალიტერატურო ქართულში ჩვეულებრივ ურედუქციოა; მაგ.: ზერი ბოლოში, წვრიმლის დუქანი, მანქნითა, მანქნები, მეჯვრეთ, ერთსაპნიანი (← საპალნე) ქვევრი, გამოუტნებია ურემი... გვლის ქერქი, პური საქმლათ, მჰადი კვრები, სხენიდან, აბლისეული (← აბელისეული) დანა... ყალივნის, საფწვრები, ფაიტვნის, მეფაიტვნე და სხვ.

როგორც ცნობილია, -იერ (← -ივ-ერ) სუფიქსიან ზედსართავთაგან და მათგან ნაწარმოებ ზმნათაგან სალიტერატურო ქართულში მხოლოდ ზოგი იკუმშება⁴, კახურში კი ასეთი სიტყვები საზოგადოდ შეკუმშულად გვევლინება, როცა მათ ხმოვნით დაწყებული სუფიქსი ერთვის; მაგ.: ბედნიერათ, ბედნიერები, უდიერათ, ზოლონიერდა და სხვ.

ზოგჯერ პრეფიქსისეული ხმოვანიც იწვევს ფუძის შეკუმშვას; მაგალითად, სარცხი (← სა-რცხი)⁵ მთელ კახურში ჩვეულებრივ რედუქციანი ფორმით გვევლინება; მაგ.: სარცხი ვათხოვი; სარცხით ასუფთავებენ...

სხვათა შორის, საერო მწერლობის ზოგიერთ ძეგლში, როგორცაა ვისრამიანი, რუსუდანიანი და სხვა, რცხ ფუძის შემცველი ზმნა სისტემატურად შეკუმშული სახით გვხვდება; მაგ.: ცრემლითა ჩამოვკრცხი (ვისრ. 225); ოფლი ღვარულად ჩამორცხი და (რუსუდ.); ცრემლი წვერთა ჩამორცხოდა (შაჰნ. I, 3286); რაში გარცხოს? (გურამ. 50)...

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ბევრგან ქალამანი შუა ა-ს ამოღებით იხმარება⁶. ასეა ეს კახურშიც (ქალმანი, იხ. გვ. 61), მაგრამ ამავე დროს ეს სახელი შეკუმშული სახითაც გვხვდება; მაგ.: ქალმნის, ქალმნით, ქალმნები. თავმოყრილ თანხმოვანთაგან ზოგჯერ იკარგება ნ-ც; მაგ.: ქალმის, ქალმათ, ქალმები...

¹ ეს რიცხვითი სახელები ასე იხმარება ინგილოურშიც: მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 230.

² ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: წელიწდული, I—II, გვ. 8.

³ იქვე, გვ. 11.

⁴ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 70, გვ. 57.

⁵ ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათშეცნიერება, I, გვ. 83.

⁶ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 137, გვ. 96.

ზოგი სახელის ფუძე, რომელიც სალიტერატურო ქართულში შეკუმშულია, კახურში შეიძლება უკუმშველად წარმოგვიდგეს, თუმცა იშვიათად; მაგ.: ქმარის, ცხენოსანის, ცისკარის, ხმალის, უხმალო, ქვეერ-მარანით, მოწამეთ... ბებერისა, პეპელები, ნაჭერები... სასაპონეში.

ზოგიერთი ე-ზე დამთავრებული საზოგადო სახელი ნათესაობითში იშვიათად ბოლოკიდურ ე-ს ინარჩუნებს; მაგ.: ხემწიფეს შეილი, ნადირობდა ხემწიფესთვის; ერთიმეორესთვის...

ზოგადი შთაბეჭდილება ისეთია, რომ კახურში ყველგან ერთნაირად არ არის დაცული ხმოვანთა რედუქციის კანონზომიერება. არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე სიტყვა ხან ექვემდებარება რედუქციას და ხან არა; შდრ. მაგ.: ასტმით, ასტმიანი — ასტამით, კურდღლები — კურდღელები, მეჯვრეთ — მეჯვარეთ, მეჯვარეები და სხვ.

კახურში რედუქცია, მართალია, ცრცხალი, მოქმედი ფონეტიკური მოვლენაა, მაგრამ სალიტერატურო ენის გავლენით ეს პროცესი ამჟამად ერთგვარად შენელებულია.

პი. ბგერათა შერწყმა. განსაზღვრულ პოზიციაში ორი ერთნაირი მარტივი თანხმოვნის შერწყმით ვიღებთ თავისებურ გრძელ თანხმოვანს, რომელიც ჩვეულებრივ გემინირებულ თანხმოვანს წარმოადგენს. გემინაციის დროს, მართალია, აკუსტიკურად ერთი ბგერა ისმის, მაგრამ მისი დაყოვნების მომენტი ჩვეულებრივზე უფრო ხანგრძლივია¹. ამ მოვლენას ადგილი აქვს როგორც ცალკეულ სიტყვებში, ისე წინადადებაში, როცა წინამავალი სიტყვა მთავრდება, ხოლო მომდევნო იწყება ერთი და იმავე თანხმოვნით.

ხშირია სპირანტთა, წყვილბაგისმიერთა და წინაენისმიერ და უკანაენისმიერ თანხმოვანთა შერწყმა.

ს + ს → ს. ამას ადგილი აქვს ზოგიერთ კომპოზიტსა და ს-ზე დასრულებული სახელის მიცემითში; მაგ.: ტ ა ნ ი ს ა მ ო ს ინახამდა; ფ ა ს მოქცემო; თავს აწონებს მწყემსსა; მოუარა წყლისათავეს და სხვ.

ხ + ხ → ხ. ფუძისეული ხ-სა და II პირის სუბიექტური ხ თავსართის შეხვედრისას ერთი ხ რჩება: ნუ სწუხარ, რათ სწუხარ?...

ჯ + ჯ → ჯ. სწორ ხ ა ზ ე, ერთ ა ბ ა ზ ე...

მ + მ → მ. ამ მოვლენას ვხვდებით მ-ზე დასრულებული სახელის მოთხრობითში, ჩემ ნაცვალსახელთან მაგიერ თანდებულის ხმარებისას და მ-ანით დაწყებული ზმნის ობიექტურ I პირში; მაგ.: ექიმა, როსტომა, აქლემა, ირემაც, ჩემა ბიძაშვილმა, მამაჩემა... ჩემა გივრათ უთხრა... ესეთი სიტყვებით მამართა და სხვ.

ასეთივე მდგომარეობაა, როცა ამ და იმ ნაცვალსახელს მოსდევს მანით დაწყებული სახელი. ასეთ შემთხვევაში ორივე სიტყვა შეერთებულად გამოითქმის; მაგ.: ი მ უ ხ ა ს ეცა; გაიყვანა ა მ დ ი ნ ა რ ე შ ი...

განით დაწყებულ ზმნაში II პირის ობიექტური ნიშნის დართვისას გ + გ → გ: შენა გონია; შენ ტირილი გონიაო; შკოლაში უნა გა-გზავნო...

დონიან ვნებითებში, როცა ზმნის საწარმოებლად გამოყენებული სახელის ფუძე დ-ზეა დასრულებული: დ + დ → დ: გამოცხადა, დაბინდა, შამზა-დება ხომე...

¹ ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 135.

თანინი მრავლობითის ფორმებზე -თან და -თვინ თანდებულის დართვისას თ + თ → თ: მაგათან, იმათან, იმათვინ, თავიანთვინ... ასევე: ერთალია (← ერთ თალია 'ერთხანს, ერთხელ')...

ბგერათა შერწყმის მსგავსი მოვლენები ასახულია კახეთის ისტორიულ საბუთებსა და მწერალთა ნაწერებშიც; მაგ.: თვესა მაისა (1733 წ., საბუთ. V, 48); დაიწერა იენის (1713 წ., იქვე, 26); სახლით უხუცეს მავაქრებდენ (1707 წ., დოკ. 134)... მერას ვიტყვი უკეთესა (არჩ. II, 73); გულისადები (1568 წ., დოკ. 358)... ძმამა ჩემა (1703—36 წ., იქვე, 376); ჩემა შვილმა (1646 წ., იქვე, 366); მახალისა ამა ომა (არჩ. II, 54); ჩემაგერად (იქვე, I, 127)... ცოლშვილით მყიდენ (1707 წ., დოკ. 134)...

მ1. ბგერის ჩართვა. კახურში შეინიშნება უმთავრესად სონორ მ, ნ, რ ბგერათა განვითარება. რიგ სიტყვებში ბაგისმიერ ხშულთა წინ მ გვევლინება როგორც ფონეტიკური დანართი, რომელიც დისიმილაციით ზოგჯერ იქცევა ნ-დ; მაგ.: მბალი, ალუმბალი (შდრ. ალუნბლის)... სუმბუქი (შდრ. სუნბუქი)... კარქათ ემპყრობოდა; კარქათ მოგვემპყრენ... ამ უკანასკნელის ფუძეში მ-ს გაჩენის შემდეგ იკარგება პ: ემყრობა (← ემპყრობა ← ეპყრობა), დაიმყრეს, სამყრობილე და მისთ.

უმცროს-ის ანალოგიით მ ვითარდება უფროს-სა და უფროს-ში, რაც სხვა დიალექტებშიც ჩვეულებრივია; მაგ.: უმფრო იმტერესობა გააწია... უმფროსი შვილი, უმფროს დასთან... უმფროს-უმცროსის პატივი (1757 წ., საეკლ. საბუთ. 260)...

სიტყვის თავში მ ვითარდება აგრეთვე სხვა ხშული თანხმოვნებისა და იშვიათად ზოგიერთი სპირანტის მეზობლად. ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ მ ჩნდება მანინი სახელების ანალოგიით; მაგ.: მღვევი, მცა, მცხვარი, მცხვარში, მემცხვარე, მემცხვარეობა, სამცხოვრებლათ, მძვალი, მძვირი, მძლივ, მქედილა, მშნობა, ამქდრიალებს, სამყოფია და სხვა, რაც მეტ-ნაკლებად დამკვიდრებულია სხვა კილო-თქმებშიც.

პარალელურად იხმარება უმძრახი და უმძრახი, სადაც ჯერ მანია გაჩენილი და შემდეგ სუბსტიტუციაა მომხდარი; შდრ. უმზრახად ბძანდება (ილია, IX, 282); უმძრახათ იყო რძალთან (მიხ. მრევლ. 154).

ხშვის გადალახვის გასაადვილებლად ნაზალური ნ ვითარდება ხშულ თანხმოვანთა წინ¹; მაგ.: ჭანდარი, ბრუნდე, პამინდორი, შექამანდი... ძირ უნჩვილებდა; ნელ-ნელა მომქანჩეო... მოანგროეფ, უნდა ვინგლოვოო; ენგრე, ინგრეა...

ნ-ს განვითარების სხვა შენთხვევები ასეთია: იმათვინ არი-მეთქინ; დაიქი-მეთქინ (ასეა გურულშიც); მკა განაგრძნო; ცხენები დაკმანხეს...

მაატყუა ზმნის პარალელურად იხმარება მაატყუანა (მტყუანის ანალოგიით), რაც სხვა კილოებში თითქოს არ დასტურდება.

ხშულ თანხმოვანთა და ზოგჯერ სპირანტთა მეზობლობაში ვითარდება რ; მაგ.: ხმელერთი, ღვირძლი, გულ-ღვირძლი, დრინჯი, დადრინჯებულღი, ფერსო, ფერსოზე, მარჯაყალი; შდრ. მარჯეყალი (ვაჟა, V, 25).

გვაქვს გ-ს ჩართვის მაგალითებიც. ხშირად იგი ვითარდება ერთად თავმოყრილ ხმოვანთა გასაყარად; მაგ.: საუცხოვოა; ცოდოვებაა; აბა, რა გიყოვო? სხვისა იყოვო; კიდევ გავიგონოვო; უნა ვიაროვო; რა გინდა,

¹ ს. ჟღენტო, ბგერათა განვითარების საფუძველი მეგრულ-ქანურში ხშულ-მსკდომთა წინ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, X, № 7, თბილისი 1949, გვ. 453; მისივე, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი 1949, გვ. 188.

შვილოვო?.. გამოგზავნას აპირებდა ვო (1810 წ., მასალ. 296); დაუსაბამოვო (1717 წ., საბუთ. 28); რალაცას მიაგნოვო (ილია, III, 68); გავატაროვო (გმ. რ. ერისთ. III, 22); ხბო მაიგოვო (გმ. მელ. 22) და სხვ.

ზოგჯერ ვ საწყისიდან გადმოჰყვება ხლმე ზმნის პირიან ფორმებს, ზოგიერთ ზმნაში კი იგი გამოჩნდება ისეთ შემთხვევაშიც, როცა ვ არც საწყისშია მოსალოდნელი; მაგ.: დაინახეა, მენახეაო... უბოძეა, დაფთხეა, ფთხევიანი...

ვ-ს გაჩენის შემთხვევაში ზოგჯერ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ანალოგიის ფაქტორი. ანალოგიის წყალობით ვ თავს იჩენს, მაგალითად, საწყისში: წერვა და კითხვა მაჟწავლეს; დაიწყო წერვა; ხმას ამაილებს ქექვითა; სროლვა აქ ისმოდა...

ზოგიერთ სიტყვაში ი. ჩართული ჩანს თანხმოვანთა გასაყარად; მაგ.: ზიმარტლი (შდრ. ინგილოური სიმარტლ¹), ოქროს „კალიცო“...

ხმოენითურთ შემონახულია გურგვალი² და ჩირდილი; მაგ.: გურგვალი ხეა, კოდი გურგვალია... ჩირდილში დაისვენა; ჩირდილოეთიდან...

შ2. მახვილი. სპეციალურ კვლევას მოითხოვს მახვილისა და ინტონაციის საკითხი საზოგადოდ ქართულ კილოებსა და კერძოდ კახურში. რამდენადაც აკუსტიკური შთაბეჭდილებით შეიძლება ამის გამორკვევა, ზოგადად უნდა ითქვას, რომ კახურში მახვილი თავისი ადგილითა და ინტენსივობით ყველგან ერთნაირი არ არის.

კახურს ჩვეულებრივ ახასიათებს დინამიკური მახვილი, რომელიც უფრო მეტად ფრაზის მახვილია, ვიდრე სიტყვისა. იგი წინადადებაში შემავალ ყველა სიტყვას კი არ მოუდის, არამედ რომელიმე სიტყვის გარკვეულ მარცვალს თხრობითი წინადადების წარმარცვლიან სიტყვებში მახვილი მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალს, სამ-და მეტმარცვლიანებში კი ჩვეულებრივ მახვილიანია ბოლოდან მესამე, იშვიათად კი მეორე მარცვალი.

მიგებით თხრობით წინადადებაში მახვილი თავიდან პირველ მარცვალზეა; მაგ.: ვერ გაყიდა? — გაყიდა; წყალი მაიტანა? — მაიტანა...

გეოგრაფიულ სახელებში, როგორცაა მაჩხანანი, ტიბანანი, მირზანანი, ოზანანი, მელანანი, გურჯანანი და სხვა, მახვილის მატარებელია ბოლოდან მესამე მარცვალი, ოღონდ წარმოთქმაში ერთიანდება მესამე და მეორე მარცვლის იდენტური ხმოვნები და მახვილს ორივე ერთად იღებს³, რის გამოც ინტონაცია შესამჩნევად ხანგრძლივდება. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს აგრეთვე ა-ზე დასრულებულ სახელებზე -იან სუფიქსის დართვისას: მამიდანანი, დეიდანანი, ბასანანი, ქიტანანი, თავანთი (← თავიანთი); შდრ. ნეფიანთსა, ქალიანთსა...

მახვილის შედეგია უთუოდ, რომ თხრობისას აქვს და ჰყავს ზმნებში ზოგჯერ აკუსტიკურად უფრო ორი ხმოვანი ისმის; მაგ.: გული გამოღებული

¹ მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 226.

² ამ სახითაა დატული ეს სიტყვა მთის კილოებსა და ინგილოურში: ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, გვ. 192; მ. ჯანაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 229.

³ ს. ქლენტი, ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციის ძირითადი საკითხები (ექსპერიმენტული გამოკვლევა): იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბილისი 1953, გვ. 136.

ა აქ; ორივეს გძელი ტარი ა აქს; ხაში გვა აქ... დედოფალ ვაჟი აყ ა-
ვო; სამი შვილი მყ ა ამს და სხვ.

მსგავსი მოვლენა შენიშნულია იმერულშიც¹, ხოლო სათანადო ახსნა მო-
ცემულია ქ. ლომთათიძის შრომაში: „დამოკიდებული წინადადების ერთი
თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში“².

დინამიკური მახვილი კითხვით წინადადებაში უფრო საგრძნობია, ვიდრე
თხრობითში. როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენაში კითხვითი წინა-
დადებისათვის, რომელშიც კითხვითი სიტყვა არ მონაწილეობს, დამახასია-
თებელია აღმავალი ინტონაცია და კითხვა გამოიხატება უკანასკნელი სიტყ-
ვის ბოლო მარცვალზე აწეული ხმით. კახურშიც ზოგჯერ ეს წესი დაცულია:
მახვილი უკანასკნელი სიტყვის პირველ მარცვალს მოუდის ბოლოდან და სა-
თანადო ხმოვანი გაგრძელებულად გამოითქმის; მაგ.: ქვევით წავიდა? ხარი
ვერ გაუყიდინა? მაგას უნდა მოერიგდე? ეგ საქმელი კარკი იყო? და სხვა
მსგავსი წინადადებები.

მაგრამ კახურისათვის უფრო ჩვეულებრივია ასეთ შემთხვევაში მახვილი
ბოლოდან მეორე მარცვალზე; მაგ.: არ მორდა? არ გახსოვს? შენ არ
ქცალრან? ეხლა დააწერამთ?..

კითხვის მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის აგრეთვე შედ-
გენილ შემასმენელს, რომელსაც დამხმარე ზმნა ახლავს; მაგ.: თელაველრ
ხარ? ერთი ოთახრა?..

როდესაც კითხვით წინადადებაში კითხვითი სიტყვა ურევია, ჩვეულებ-
რივ მახვილი მას დაესმის; მაგ.: დედი, სადა ხარ? სადა წავიდა? რა
გითხრა?..

თელავისა და ახმეტის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაში შეინიშნება
მთიულურისათვის დამახასიათებელი ტონური მახვილის ნაშთი³. იგი დინამი-
კურ-ტონური ბუნებისაა, მას დინამიკურთან ერთად ახლავს ტონური ელფე-
რიც და გვხვდება კითხვით წინადადებაში სპეციფიკური კითხვითი ინტონაციის
სახით. ასეთი მახვილი მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალს.

ხმოვნის სიგრძესა და ტონის ამალგებას იწვევს ლოგიკური მახვილი. ამ
მახვილის მქონე სიტყვა წინადადების ბოლოს ექცევა ხოლმე; მაგ.: მამ ქა,

სიმინდს გაათოხნის, სწმინდს! არავის ეკითხება, მწმინდს!..

სოფ. კისისხევში (თელავის რაიონი) დასტურდება კითხვითი ნაწილაკი -ა
(← ჰა), რომელიც ძველ ქართულში იხმარებოდა; მაგ.: პურზე წავიდეა? ხო
და იქირეა?

მშ. სიტყვის ბოლო მარცვლის მოკვეცა. წინა მარცვალზე ინტენსიური
მახვილის გამო ხშირია შემთხვევა, როდესაც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში
არა მარტო ხმოვანი იკვეცება, არამედ მასთან ერთად თანხმოვანიც იკარ-

¹ ქ. ძღწენიძე, ქვემოიმერულის უზუთური მეტყველება, გვ. 40; პ. ჯაჯანიძე, ვა-
ხანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი, გვ. 65.

² იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, გვ. 342, №56. 3.

³ არნ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამ-
ბე, IV, ტფილისი 1924, გვ. 339; მისივე, მთიულურის თავისებურებანი: ენიმკის მოამბე, II,
გვ. 44.

გება¹. ეს მოვლენა დასტურდება როგორც ზმნებსა, ისე სახელებში. ბრძანებითი კილოს II პირის ფორმებში იკვეცება ბოლო მარცვლები ცი, ვი, რი, დე, ლე, ნე, რე; მაგ.: ხელში მამე! პასუხი გამე! გაიქე მალე! კარქა მაიქე!.. დაჯე თავი დამ! აბა, მოჯე! მიჯე ი კაცსა! თან წამამყე!.. დაჯა! გაჯა მალე!.. მაიცა, ბიჟო! დამიცა, დედი! დახე მაგას!.. იქით გემეცა! წყალი მაიტა! იმას მუუტა! ნატეხი გამოუტა! ნადირი გაიყვა!.. დაიქი! და სხვა მრავალი.

ეს მოვლენა ისე შორს მიდის, რომ ზოგიერთ ზმნათაგან ხშირად პრევერბებია რჩება; მაგ.: აქ მო ჩემთან! წამო სახში! წამო, გამამყე! გარეთ გა, ბიჟო!..

ზმნათა შეკვეცა ხდება თხრობით კილოშიც; მაგ.: დას მივე, წავიქე, გავიქე, გამოვიქე, დავიქე, რა ვი, დაჯე სოფელს, მიჯე კვალს, მოჯე მეც და სხვ.

მახვილის წყალობით ადგილი აქვს სახელთა ბოლო ნაწილის მოკვეცას მიმართვის ფორმებში; მაგ.: ხო ვერ წახვალ, ქა (=ქალო)? ვინა ყოფილა, ქა! მაშ, ქა!.. გო (=გოგო) თინავ! კარქია, გო!.. არა, გენა (=გენაცვალე)! შენ გენე! სუ, გენი, ნუ ძტირი!..

სიტყვათა ასეთი შემოკლება ცნობილია სხვა აღმოსავლურ კილოებსა და სალიტერატურო ენაშიც. სათანადო შემთხვევები ბლომად გვხვდება აგრეთვე კახეთიდან გამოსული მწერლების ნაწერებში; მაგ.: ერთი ხმა გამე (გმ. ილია, III, 102); მიე შენს მოვალეებს (გმ. რ. ერისთ. IV, 294)... შეხე, დედილო (გმ. ილია, I, 155); აცა, ვინ ვის აჯობებს (ილია, III, 90)... მიმიყე, შეილო! (გმ. ილია, I, 154); მაიტა! (გმ. მელ.)... რას ამბობთ, ქა! (დ. მაჩხ. 96); მაშ, ქა (გმ. ილია, II, 203); რალა ვქნა, ქა! (გმ. მელ. 15); უი, ქა, რას ბძანებ? (გმ. ევლ. III, 273) და სხვა მრავალი.

¹ ეს საკითხი გარეკახურში სპეციალურად შესწავლილი აქვს დ. ქანტურიას — სიტყვათა და წინადადებათა შემოკლების შემთხვევები გარეკახურში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I.

მორფოლოგიური ანალიზი

34. სახელი. სახელობითში ბოლოხმოენიანი სახელები ზოგჯერ -ი სუფიქსს დაირთავენ; მაგ.: დაიწყეს ცხოვრებაი, გათხარა მიწაი, წავიდა ბიჭი მარტოკანაი, გაგზავნა მოსამსახურეი, სალა მაქვს დროი და სხვ. სახელობითში -ი დაერთვის პიროვნების სახელებსაც; მაგ.: გიგაი იქ არი, უფლისაი ჰქვიოდა, ნახა ელენეი, საუბრობს ცირიკიძეი და სხვ. უ-ზე დასრულებული ერთმარცვლიანი სახელები ზოგან ბოლოთანხმოვნინებადაა გაგებული უ-ს მომდევნოდ ვ-ს არსებობის გამო: ბუვი, ცრუვი, ყრუვი, რუვი და სხვა. მაგრამ ხშირია შემთხვევა -ის უშუალოდ დაართვისა; მაგ.: ყრუი კაცი, წყლის რუი, ღრუი ხე, ის ბიჭი ცრუი ა.

ასეთი სახელები ზოგჯერ ნათესაობითსა და მოქმედებითშიც ინარჩუნებენ ბრუნვის ნიშნის -ი ელემენტს; მაგ.: რუი პირზე, ამ რუით მორწყა...

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ს ელემენტი ეკვეცება პრეპოზიციულად ხმარებულ ბოლოთანხმოვნიან და ბოლოკვეცილ მსაზღვრელ სახელებს; მაგ.: ირმი რქა, წყლი მოტანა, ყანი მკა, პური ჭამა, პირი ბანა, რკინიკარი, მოჯამაგირი ცოლი და სხვ.

ზოგჯერ ამავე ვითარებაში ნათესაობითი ბრუნვის -ს იქცევა ჯად; მაგ.: ჩვენებია ნახვა, მდევებია სახლი, მამია გზა, გზია პირას, ემია გოგრია მეტი არაფერი იყო, მეღორია ცოლი, ოქროა ყუთი, ერბოა დაღოა ქილები...

საზღვრულის მომდევნო ნანათესაობითარი მსაზღვრელი კისრული ნიშნით გვევლინება; მაგ.: გზა იცოდა კახეთისა, მოქონდათ ლაფანი თელისა და თელამუშისა და სხვ. მაგრამ, როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე კახურშიც ასეთი წყობა იშვიათია, იგი გვხვდება უმთავრესად ლექსებში.

ნათესაობით ბრუნვაში -ა-ს პარალელურად ზოგჯერ ემფატიკური -ოც. არის გამოყენებული¹; მაგ.: ჰყამდა ორი ვაჟიშვილი, უმფროსი რვა წლისი; ეჯოხი რისი არიო?.. გარდა გაზაფხულის დიკასი, ნაცარქათამასი...

კვეცადი სახელი ზოგჯერ უკვეცლად არის წარმოდგენილი; მაგ.: შარცხვათ ერთიმეორესი...

მაგრამ ზოგჯერ ვხვდებით ამის საწინააღმდეგო მოვლენასაც; მაგ.: მეფე, ერეკლის დროსა; ცისარტყელის ნახვა გეხარდათ.

სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული „მზეთუნახავ“-ის ნაცვლად კახურშიც და ქართლურშიც გავრცელებულია „მზითუნახავი“. აქ საქმე გვაქვს მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან და წარმოადგენს ისეთი გამოთქმის

¹ არნ. ჩიქობავა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში: . სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXIII, 1942, გვ. 93.

ანალოგიას, როგორცაა: თვალით უნახავი და სხვ.; მაგ.: მ ზ ი თ უ ნ ა ხ ა ვ ი ქ ა -
ლიაო...

კომპოზიტთა პირველი შემადგენელი ნაწილიც, მეორესთან ერთად, ჩვე-
ულებრივ იბრუნვის ნათესაობით ბრუნვაში და ბრუნვის ნიშნის ო ელემენტით
არის წარმოდგენილი ისეთ სიტყვებში, როგორცაა: მამაჩემი, დედაჩემი, ბიძა-
ჩემი და სხვა; მაგ.: მამიჩემის იარალი, მამითქვენი საგან, დედი-
შენის ყუთი, ბიძიჩემითვინ; ჩონგურო, ჩემო ჩონგურო, შორით მოქ-
რილო მსხლისაო, პაპიჩემისა ნაქონო, ბებიჩემის ხნისაო და სხვ.¹

ზოგჯერ მიცემით ბრუნვაში დასმულ ბოლოთანხმოვნიან სახელებს ეკვე-
ცება ბრუნვის ნიშანი -ხ, ბოლოხმოვნიანებთან კი -ხ გადადის -ში; მაგ.:
ბიჭ შეეშინდა, თავი ქალ უთხრა, ძალი მგელ კბილ აღარ უშვებდა, და-
ურჩინეა როსტომ... უთხრა დიდ ძმამ, ჩვენ მაგამ ხმამ რამ გავცემ-
დითო! მეველე დეეჭირნა, სადმე ვიპოვნი ბუდეა, იმ გოგოა უთხრა,
დროა გაატარებდნენ...

მაგრამ -ხ უცვლელადაა შემონახული, თუ მას ემფატიკური -ა ხმოვანი
ახლავს; მაგ.: თქვენ იადონსა და ბულბულ მაიყვანთო! კრამიტსა და
აგურს კრიდა, კაბასა იკერამდნენ...

არის შემთხვევა, რომ მასლარი მიცემით ბრუნვაში ასრულებს მყოფადის
პიმღობის როლს მიზნის გარემოების გამოსახატავად; მაგ.: წავიდნენ ნადი-
რობას, შენადირობას ვიყავ.

ანალოგიურ ვითარებას იშვიათად სხვა შემთხვევაშიც ვხვდებით; მაგ.:
შენ იოლას წახვალო...

მ თანხმოვანზე დასრულებული სახელები მოთხრობითში ზოგჯერ წარ-
მოდგენილია ერთი მანით ბრუნვის ნიშნისეული და ფუძისეული თანხმოვნის
შერწყმის გამო; მაგ.: მაიყვანა მამაჩემა, ჩემა ძმებმა გააკეთეს, აქლემა
თქვა...

მოთხრობითში ზოგჯერ დაცულია ბრუნვის ნიშნისეული ა ელემენტი
ბოლოხმოვნიანებთანაც; მაგ.: გაატანა ბრძოლამა, ამ წიწილამა შა-
ქამა, ნეფემა თქვა, სიბერემა დამჩაგრა...

ასევეა სალიტერატურო ქართულშიც: უთხრა ძმამა (ილია, III, 99),
დასაქცევა სეტყვამა კარს მომაცენა შიმშილი (ლექსშია: გმ. რ. ერისთ.
I, 162)...

სრული სახით -მან მხოლოდ იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს; მაგ.: გამო-
იარა დედაკაცმან, უთხრა მეზობელმან.

მოთხრობით ბრუნვაში არქაული სუფიქსი -მან ისევე იშვიათად გვევ-
ლინება ილიასთან, როგორც კახურში. მაგრამ იგი უფრო მწიგნობრული ჩანს,
ვიდრე დიალექტური: აგერ ოთახსაც ჩრდილმან გადაჰკრა (I, 5); რომ
ჩემს საფლაგზედ დაყუდე ბულმან ქართველმა, ჩემგან შეყვარებულ-
მან, გულწრფელობითა ... მე ჩამომძახოს (I, 29) და სხვ.

მოთხრობით ბრუნვაშივე უმთავრესად ძველ ლექსებში შემორჩენილია
ბოლოთანხმოვნიანი საკუთარი სახელები (ზოგჯერ საზოგადო სახელიც) წმინ-
და (გაუფორმებელი) ფუძით; მაგ.: ბევრი იარა ზურაბ; ამ როსტომ ტყა-
პანი მაადინა; ღმერთ მაგიმართოს ხელია...

¹ ანალოგიურ მაგალითებში მსაზღვრელი მხოლოდ იშვიათად შეიძლება წინ უსწარებდეს
საზღვრულს; მაგ.: ჩემი ბებიას მახლიშვილი.

ვითარებითი ბრუნვის ნიშნის -დ ელემენტი ხშირად წარმოდგენილია დაყრუებული -თ-ს სახით ისევე, როგორც ბევრ სხვა კილოში; მაგ.: ცოლათ, მარტოხელათ, სამათ, მოსატანათ, მოჯამაგირეთ და სხვ.

-თ გვაქვს ემფატიკურ ხმოვანთანაც; მაგ.: გავხდი ავათა, გაუყო ოთხათა, დადგამენ ზვინებათა, გავზავნა ჩუმათა და სხვ.

ვითარებით ბრუნვაში -ათ || -თ ხშირია მწერალთა ენაშიც: ავათ შეიქნა (რ. ერისთ. III, 33), იქნება ბევრი ურიგოთ ვსთქვი, ბევრი უადგილოთ (იქვე, 179), დაიძრა მძიმეთ (ილია, I, 209)...

აქა-იქ ვითარებითი ბრუნვის ნიშნად მხოლოდ ა გვევლინება, რაც ჩვეულებრივია ზოგ კილოში¹; მაგ.: ცოცხლა ქიანქველა მეხვევა, ტყულია იქნევ. სახლიანა წაიყვანა, ადგილობრივა კვება ქარქა...

გაუფორმებელ ვითარებით ბრუნვას იშვიათად შეიძლება წავაწყდეთ: დაალურჯა სულ ერთიან.

ვითარებითი ბრუნვა ადგილის გარემოებასაც გადმოსცემს მიცემითის ან თანდებულის მიცემითის პარალელურად; მაგ.: მთათ წავიდა, უნდა წავიდე ჩემ ქვეყნათ, მიდის გზათ.

ძველ ქართულშიცა და სისტემატურად ზოგ კილოში მასდარი ვითარებით ბრუნვაში გამოხატავს მიზნის გარემოებას. ეგვევ მოვლენა, თუმცა მეტად იშვიათად, დასტურდება კახურშიც; მაგ.: წავიდა ნადირობად (=რომ ინადიროს), დაჯდა კითხვად (=რომ იკითხოს) და სხვ.

ასევე ხმარობს ილიაც: სკრის სხვის ხედვად (გმ. III 108), სონღული მუმლის შეპყრობად ფრთებსა არ გაშლის ზომითა (I, 112).

ვითარებითი ბრუნვის ფორმას შეიძლება მეტად იშვიათად დაერთოს ემფატიკური -ო²: დაიჭირა მაგრათი.

მხოლოდ გადმონაშთის სახით გვხვდება უთანდებულო მოქმედებითი კითხვაზე საიდან? მაგ.: წისქვილით მოველ, ჩამოვა მალლით, ხალხი მოდენილან მინდვრით, დაღისტნით გადმოსულია...

ეს ფორმა ამავე ფუნქციით ჩვეულებრივია მთის კილოებში.

ზოგჯერ მოქმედებითი ბრუნვის ფორმა ეწვევა თანდებულის მიცემითის მაგიერობას: ნახა სიზმრით ნანახი, თავით მოუჯდა, თავით ზარი უდგა...

ემფატიკური -ა-ს პარალელურად -ი არის გამოყენებული მოქმედებით ბრუნვაშიც; მაგ.: ქონდა იჯარითი აღებული, ამარაგებდა ნადირითი, რითი დავლიოთო? დამითი აძუებდნენ, თხოვნითი თხოვა, წინათი ეგრე იყო, იმითი გავახურემთ...

მოქმედებითს ან ვითარებითს ენაცვლება -ივ სუფიქსიანი მოქმედებითი; მაგ.: შეინგნივ ცთებაო, გაღმივ-გამოღმივ ტბა ყოფილა, ოთხივ კუთხივ ლომი ება, ჩააკრამენ ლავაშეფს სიგრძივ, რაფრივ იბერებაო, მივეცით უჩუმრივ, ხმამალღივ დაიწყო ლაპარაკი, უეცრივ შადი, გვერდივ დაადებენ...

-ივ გაგებულია სიტყვის ფუძისეულ ნაწილად და ამიტომ მას ზოგჯერ დაერთვის ვითარებითი ბრუნვის -ად ნიშანი; მაგ.: დაკვრა შეიძლება განივადაც, განივათ მიმაგრებულია, სიზმარში ვართუ ცხადღივიაო.

¹ არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიკი-ს მოამბე, I, 1937, გვ. 18.

² ძველ ქართულში ვითარებით ბრუნვას არც ემფატიკური -ა დაერთოდა.

-**ივ** სუფიქსიანი მოქმედებითი ხშირადა გამოყენებული მწერლობაში: შვილს ცხადლივ არა უთხრა რა (ილია, III, 52); სამივე უსუნთქებლივ გადახუხა (ს. შანშ. ამბ. 115)... სისწვრივად გადაჰხედა (ილია, III, 102); ერთხმივად უჩივიან (ილია, VIII, 218)...

ძლივთ ფორმა, რომელიც ლიტერატურული ძლივს ზნისართის პარალელურად გვხვდება აქა-იქ კახურში, მიღებული ჩანს ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან ა ხმოვნის ამოვარდნის შედეგად (ძლივთ ← ძლივად). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ძლივა და ძლივათ ფორმების არსებობა დიალექტებში; მაგ.: ძლივთ ამოვიდა, ძლივთ წამოვიღე.

-**დ** (→ **თ**) მოკვეცილი აქვს ზნისართებს, როგორცაა ძალიანა, ცხადივა და მისთანები, რომლებიც მწერლობაში შემოტანილია: ძალიანა, ციოდა (ილია, III, 120), ცხადივა ჰფიქრობს (დ. მაჩხ. 37)... მაგრამ ძლივა მიღებული უნდა იყოს ძლივას ფორმისაგან -ს-ს მოკვეცივით; მაგ.: ძლივა ჰყოფნის (ილია, VIII, 236)...

-**ევ** ნიშნიან მოქმედებითს ვითარებითის -ავ სუფიქსი ახლავს გაღმივავე ზნისადაში; მაგ., ცხვარი მყვანდა გაღმივავე...

გვერთ ფორმა, რომელიც გვხვდება კახურში, თითქოს მიღებული ჩანს მრავლობითობის -თ-ს დართვისა და ფუძისეული -დ-ს დაკარგვით; მაგ.: გვერთ უდგა, გვერთ მოუსვი, გვერთა გყავ... გვერთ ეყოლებათ (გმ. მელ. 50)... ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ი. ჭავჭავაძესა და სხვებს ნახმარი აქვთ გვერდთ, ზურგთ, ყელთ, გულთა და მისთანა; მაგ.: მობანე კლდენი გვერდთ არ ახლავს (ილია, II, 6), გვერდთ დაიყენა (ილია, III, 89), თავთ უჯდა შვილს (იქვე, 55), იგი იყო გულთა-სრული კაცი (ილია, VII, 107), ძალის ზურგთ უკან მკვდარი დაინახა (ილია, III, 121), ტირილი ყელთ მომეზინა (გმ. იქვე, 105), ჯვართ ვაცვამდით (გმ. იქვე, 113), გულთა მკბენს (გმ. იქვე, 62)¹.

მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ -დ-ს დაყრუება მიცემითი ბრუნვის ნიშანთან ასიმილაციით იყოს გამოწვეული და შემდეგ -ს-ს მოკვეცასთან გვეკონდეს საქმე. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს საშუალო საუკუნეთა ძეგლებში დადასტურებული ფორმები; მაგალითად, რუსუდანიანში ეგ სიტყვა ამ სახით გვევლინება: გვერთს ახლდენ, გვერთსა უსხდეს, გვერთსა მოისვა და სხვ. შემდეგ **დ**→**თ**-სა და მიცემითი ბრუნვის ს ნიშნის შერწყმით მიღებულია აფრიკატი **ც**, რაც დასტურდება ამავე ძეგლში და სხვაგანაც: გვერცა იახლა, ცხენი გვერცა დაიბა და სხვ. აქვე ნახმარია ისეთი ფორმებიც, რომლებიც კახურში გვაქვს: გვერთ დაუჯა, გვერთა... უჯდა და სხვ.

ამგვარად, გვერთ შედეგი უნდა იყოს ასეთი ფონეტიკური პროცესისა: გვერდს → გვერთს → გვერთ.

პირთა სახელებში (გიორგი, აკაკი) ფუძისეული ი ზოგჯერ გაგებულია სახელობითი ბრუნვის ნიშნად და ამიტომ მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში ხშირია ასეთი ფორმები: ჩემა ძმამ აკაკმა იქეიფა, გიორგმა უთხრა, გიორგს უთხრეს, წავიდა გიორგთან...

შეინიშნება ამის საწინააღმდეგო ტენდენციაც სახელობითის -**თ** ნიშნის ფუძისთან შეხორცება: წამაიძახა ბეჟანიმ, გურგენის უთხრა ბეჟანიმ.

¹ ზოგი მათგანი მიღებული ჩანს თანინი მრავლობითის ანალოგიით (შეად. თვალთ დაუბნელდა, ფეხთ ჩაიცვა, ხელთ ეპყრა და მისთ.).

წოდებითში ზოგიერთი ბოლოთანხმოვნაინი საზოგადო სახელი ბრუნვის ნიშანს არ იღებს, -ა-ზე დასრულებული ზოგი საზოგადო და საკუთარი სახელი კი ხშირად იკვეცს ფუძის ბოლო ხმოვანს, რადგანაც ამ სახელებში -ა ხმოვანი ზოგჯერ გაგებულა კნინობითის საწარმოებლად; მაგ.: აბა, კოლოთ! დეიდ, ყუთი მომეცი! რაჲ ჩადი, ნაცარქექი! ტასი (=ტასია), ნახე! კომბლი (=კომბლია), რით ააშენე ეს სახლიო? წადი, ალიოშ! ზაქარ, ვალოდ, ეენი, ქსენი, ნათელ და სხვა. მწერლობაში დასტურდება მხოლოდ პერსონაჟების მეტყველებაში: ნათელი დედ, დაუშალეთ ე ბიჭს! (ევდ. III, 272).

ბოლოხმოვნაინ ზოგად არსებით სახელებს, ხმოვნის მოუკვეცილობის შემთხვევაში, წოდებითში ჩვეულებრივ დაერთვის ვ (← ო); მაგ.: მამავ, წავიდეთ; დედავ, დედავ, თხოვარა არი აქ! მზევე, მომიცაო!

წოდებითში ზოგჯერ ადამიანის სახელებსაც დაერთვის ბრუნვის ნიშანი ო ან მისი მონაცვლე ვ (← ო); მაგ.: ივანევე, გამოდი! რა გინდა, თინავ? ასევეა მწერლობაშიც: ისმინეთ და გაიგევით, ქართველობავ! (ილია, VI, 20), თევდორევე, თვალაც დააგვევინე! (გმ. ილია, III, 241), გიორგივი! (გმ. რ. ერისთ. III, 128)...

დედილო, მამილო ფორმებს ხშირად ბოლო მარცვალი ეკვეცება და რჩება დედი და მამი; მაგ.: დედი, სუნი მოგვდისო! ერთმა უთხრა: მამი, მამიო, აი ეს არიო!

ასევე ბოლო მარცვლის მოკვეციტაა მიღებული ბები ფორმა ბებია ან ბებიკოსაგან; მაგ.: ბები, ამაღამ აქ შემინახეო!

წოდებითში ბებო ფორმაც იხმარება: ჩემო ბებო; ბებო, ამაღამა შამინახეო!

ფუძის თვალსაზრისით საინტერესოა მელა და მელია-ს პარალელურად წაითი ადრინდელი მელ სახის შემონახვა. მისგან ნაწარმოებია მელა, მელია; მაგ.: შეხევეწა მელი, მელის ტყავი...

ზოგიერთი სახელი, რომელიც სალიტერატურო ქართულის მიხედვით თანხმოვანფუძიანია, კახურსა და ქართლურში შეიძლება -ა ხმოვნით მოგვევლინოს და კნინობითის გაგებას არ შეიცავდეს¹. ამიტომ პარალელური ფორმებით გვევლინებიან აგრეთვე სხვა სიტყვებიც: ზოგიერთა || ზოგიერთი, ცარიელა || ცარიელი და სხვ. ეგვე დასტურდება მწერლობაშიც: ზოგიერთა ცრუპენტელა კაცისათვის (ილია, VI, 119).

არქაული ფორმა ფრთე გვხვდება ფრთა სიტყვის პარალელურად, ოღონდ რ დაკარგულია თანხმოვანთა შორის ჩვეულებრივ; მაგ.: ყორნი ფთე, ფთე-ექონდა.

დაცულია აქა-იქ კახეთში მეტად გავრცელებული სიტყვის ქიგოს ძველი სახელი ქიგვა²; მაგ.: ქიგვა მაიტანა.

ჭიგვა ნახმარი აქვს ი. ჭავჭავაძესაც: ჩვენებურს გლესს ვენახი აქვს და სარი თუ ქიგვა უნდა (VI, 184).

საზოგადო სახელი ხბო მხოლოდობით რიცხვშიც ავლენს ადრინდელ ხბორ ფუძეს; მაგ.: ხბორი შეეჩია, ხბორმა ნახა, თვალეზი შეუბლრიალა ხბორს.

¹ ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 139.

² შდრ. ბეწვა → ბეწო.

ზოგიერთი ბოლოხმოვნიანი სახელი (კენწერო, ლერო) შეიძლება იყოს ბოლოკიდური ხმოვნის გარეშეც; მაგ.: კენწერს აკმევენ, წვრილი ლერები და სხვ.

ყვედებით პირიქით შემთხვევასაც: ზოგი თანხმოვანფუძიანი სახელი (ბელტ-ი, წვერ-ი) კახურში ზოგჯერ წარმოდგენილია ხმოვანფუძიანად (ბელტო, წვერო); მაგ.: ბელტოებსა-აყლაპამს, ხის წვერო...

ზოგჯერ სახელთან -ე-ს ნაცვლად -ო გვაქვს ბოლოკიდურ ხმოვანად; მაგ.: დასავლეთი მხაროზე; გადმოსწევენ ცალ ხაროზე; რამსიდილო შვილი მეყოლება!

სახელთა თავისებურება, რაც დადასტურებულია კახურში, თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად გვხვდება კახეთიდან გამოსულ მწერალთა ნაწარმოებებში. ზოგი ამ მოვლენათაგანი დამახასიათებელია ავტორის მეტყველებისათვის, ზოგიც მხოლოდ დიალოგებშია გამოყენებული და ავტორის ენაში ან სულ არ არის, ან მხოლოდ იშვიათად იჩენს თავს. ასე, მაგალითად, ბოლოხმოვნიანი სახელები სახელობითში -ი ნიშნითაა ნახმარი როგორც ლექსში, ისე პროზაშიც, გმირთა საუბარს წარმოადგენს აგი თუ ავტორის მეტყველებას სულ ერთია; მაგ.: ყველა ყრუი, ყველა ცრუი (ილია, I, 83), ბოსტანში პატარა რუი იყო გაქრილი (ილია, III, 41), იგია ჩემი სიცოცხლე და სიხარული (გმ. ილია, I, 151)... სახელობითის ნიშანი -ი დაერთვის საკუთარ სახელებსაც: მღერის ჩენი შიოლაი (გმ. ევდ. III, 263) და სხვ.

შს. ემფატიკური ხმოვანი. კახურში ემფატიკური -ა ხშირად ახლავს მიცემითი, ნათესაობითი, მოკმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმებს; მაგ.: პურსა ქვეით აქ; წყვილ წინდასა მიაცემდნენ; ამ ფულსაო გაუვიდა ყავლიო; ნიშნობის დროსა; შეშასა აქუჩებს; შემეეტარებინათ გარსა, თიბამენ ცელითა; მოხნამენ შამოღგომითა; ესე წავლენ ავტოთა და სხვ.

ანალოგიური ვითარებაა ქართლურშიც და მწერლობაშიც. კახეთიდან და ქართლიდან გამოსული მწერლები თითქმის სრულად ასახავენ კახურისა და ქართლურის ვითარებას; მაგ.: დაიწყებდა ზრუნვასა (ილია, II 189), წინ გაუძღვა მუშა მუხასა (ევდ. II, 234), იესება ახლის ნაყოფითა, ახლის იდეებებითა და აზრებითა (ილია, IV, 75), ცეცხლითა მუშაობსო (გმ. მელ. 45), სხვა საგანი არ მიუცია სალაპარაკოდა (ილია, IV, 53), ვაძუებ ფრთხილად (გმ. რ. ერისთ. I, 197), ქირვეულობისაგან ძილი არ ეკარება (დ. მაჩხ. 35) და სხვ.

ემფატიკურ -ა-ს ხმარებას გარკვეული კანონზომიერება ახასიათებს. უმეტეს შემთხვევაში იგი თანხვდება პაუზას ან და კავშირს და მახვილიანია, რაც სწორადაა აღნიშნული ლიტერატურაში¹.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს -ა-ს ხშირი გამოყენება სხვადასხვა მეტყველების ნაწილთან, როგორცაა: ნაცვალსახელი, ზმნისართი, კავშირი, თანდებული და სხვ.; მაგ.: ჩვენა ვმუშაობდით, ესა და ესა ცალკე არიან, იმანა თქო, არავინა თხოულობდა, თითონა მაიტანეს, გაბრუნდა იგრევა, იცქირებიან აქათ-იქითა, შორსა ჯდება; უთხრა, რომაო რომ

¹ თ. ზურაბიშვილი, ემფატიკური -ა ახალ ქართულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, ვ. თოფურიას რედაქციით, 1956, გვ. 228, 231, 232.

გორა ხარო? ჩაიცო ისევა, კიდევა ძალიან მორბედი იყო, ამაღამა შამინახეო, ამივილიდნენ ზვრიდანა, წავიდნენ სახლიდანა, უთქომ ჩემი მამამთილითვინა, რითვინა ამობო?.. ასევეა მწერალთა ენაშიც: ჩვენა ვთქვით (ილია, VIII, 244), შენა გქონდეს (ილია, II, 7), თქვენა ბძანეთ (დ. მაჩხ. 34), არავინა მყავს (გმ. ს. შანშ. ამბ. 127), ვერავინა ნახავდა (მელ. 8), როგორა ჰგონათ (გმ. დ. მაჩხ. 88), ერთხელა ... ავად გახდა (გმ. ევლ. III, 267), კიდევა ჰქონდა (მელ. 14), თავისი თავი დიდი რამა ჰგონია (ილია IV, 30)... ბედნიერები [არიაან] იმისთვისა (ილია, II, 152), არ არსებობს იმისთვისა (ევლ. II, 213), ჩაგორდა ძირამდინა (ილია, II, 240), იქამდინა სძინამ (დ. მაჩხ. 23), ერთი ხალხი მეორე ხალხისაგანა სწავლობს (ილია, IV, 295), უნდა გადავარდნილიყო ხმარებიდგანა (იქვე, 237), პირისახე კესოსაკენა ჰქონდა (ილია, III, 99), ზღვისკენა ჰშლის (ევლ. II, 250)...

აქ -ა ნაცვალსახელებთან (შენა, ჩვენა, არავინა და სხვ.), თანდებულებთან (-განა, -კენა...) ემფატიკური კი არ არის, არამედ დეტერმინანტისეულია, ხოლო ზმნიზედებთან (შორსა, იქამდინა...) წარმოშობით ემფატიკურია.

მნ. მრავლობითი რიცხვი. კახურში გაბატონებულია -ებ-იანი მრავლობითი რიცხვი, მაგრამ ხშირად ვხვდებით ნარ-თანთანსაც; მაგ.: გაიქენენ მონადირენი, კირისუფალნი მოდღევენ, გადაყო ვაცმა რქანია, შაწუხდნენ ჩვენი მოყმენი... სხვათა საყდარში წაველ, ნარინდუაანთ ქალი ვიყავ, ოდოჯაანთ პატარძალი, მქედლიანთას აველი, წაველენ ნეფიანთას, მივიდნენ ქალიანთსა...

მრავლობითის თ აქაც ვხვდება გაქვავებულ გამოთქმებში მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებთან ისე, როგორც ზოგიერთ დიალექტსა და ძველ ქართულში¹; მაგ.: ყელთამდე ჩაქსომ ოქროშიო, ყელთამდინ აგავსებ... წამოუდგა ფეხთით, დავიწვინოთ ფეხთით; ფეხთით რომელიც უდევ, ის თავთით დაუდღე²... შდრ. თავთ მელო ქუდი ნაბდისა, ფეხთ მეცო ტყავი ხარისა.

კახურში, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, წარიანი მრავლობითი იბრუნვის, თუმცა იშვიათად; მაგ.: ამ ძმებმა ორივენმა ვერ აპწიეს, ორივენმა მოკლეს...

ქართლურშიც ადგილი აქვს წარიანი მრავლობითი რიცხვის ხმარებას ირიბ ბრუნვებში.

როგორც ჩანს, ეს შედარებით ახალი მოვლენაა და ხდება -ებ-იანი მრავლობითის ანალოგიით.

სპორადულად ჩნდება მრავლობითობის ორმაგი წარმოებაც; მაგ.: წავიდნენ სამნივენი საძებნელათ, წავიდნენ შევიდნივენი... ორთავენი ეუბნებიან, სამთავენი უნდა მიეცა³...

¹ თ. შარაძენიძე, -თა სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითა და ვითარებითს ბრუნვებში: სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXIV, 1942, გვ. 129-144.

² ანალოგიურ მაგალითებს ვხვდებით ფშაურსა და სხვაგან, მაგ., ფეხთით დაუბი ლურჯაი (წითელწყაროს რაიონის სოფ. ქვემო ქედში ჩაწერილი ფშაური ტექსტებიდან).

³ სოფ. ივალთოში დადასტურებულია ძმანნი (ყოფილიყვენ ორნი ძმანნი). აქ საეჭვოა საქმე გქონდეს ფუძისეული თანხმონის აღდგენასთან (შდრ. გურ. ძმანები, დანები; მეგრ. ჯიმა--

მრავლობითის ორმაგი წარმოება არ არის უცხო არც სამწერლო ქართული ენისათვის¹.

ა ბოლოხმოვნიან სახელებსა და ზმნიზედებსაც -ებ სუფიქსით წარმოებისას ზოგჯერ არ ეკვეცება ბოლოხმოვანი -ა და -ებ სუფიქსთან სრული ასიმილაციის შედეგად ვიღებთ ისეთ ფორმებს, როგორიცაა: პაპეები, ოთხეები, სადეები და სხვა; მაგ.: მამა-პაპეები ხოდაშენში იყვნენ, ოთხეები შავედითო და სამფეხეები გამოვედითო, სადეები იყო...

ფუძეკუმშვადი სახელები შეიძლება ზოგჯერ არ შეიკუმშოს -ებ სუფიქსის გავლენით; მაგ.: პურზე ნაქერები დეეწყო.

ფორმები — ნაქრები, წლები — ალბათ, ანალოგიითაა მიღებული დლები, თვეები და მისთანებისა.

ზოგჯერ ხდება -ებ სუფიქსისეული ელემენტისა და ფუძისეული ე-ს შერწყმა; მაგ.: მონადირები არიან, მეცხვარები დაუხვდნენ, ნედაირები იყვნენ, დეეკრა სახრები, მიველი მეურმეფთან, ზოგი ხაზინადარ მოებარა, ზოგი — მოლარებს².

-ებ სუფიქსი შეიძლება შეიცვალოს -ემ სახითაც, მაგ., აგურემ ვაწოდებდი.

კრებითობის -ობა სუფიქსი იხმარება მრავლობითობის გამოსახატავად; მაგ.: ბალობა სახში ტირიან, ვიმყოფებოდი კამეჩობაში, დაუძახა მეზობლობას, ბიკობა შაყრილან, ტუმრეულობა მყვანდა...

ანალოგიური ვითარება დასტურდება სხვა კილოშიც (მაგალითად, ჯავახურსა და სხვ.).

მრავლობითშია ნახმარი ზოგიერთი ისეთი სახელი, რომელიც სალიტერატურო ენაში ჩვეულებრივ -ებ სუფიქსს არ დაირთავს; მაგ.: იმ დროს ნავთები არ იყო, ცეცხლები ენთო.

ანალოგიური მაგალითები დადასტურებულია ქართულშიც.

კახეთიდან გამოსული მწერლები იცავენ კახურის წესს: -თ სუფიქსიან მრავლობითს ზოგჯერ ურთავენ ბრუნვის ნიშანს; მაგ.: ფეხთით ვეჯექი (გმ. ილია, II, 197), მეზობლიანთას გახლდი (გმ. იქვე, 170), დედაანთას წავალ (გმ. რ. ერისთ, IV, 75) და სხვ.

მ7. რიცხვითი სახელი. თვლა აქა-იქ კახურშიც, როგორც მთიულურსა

და ზოგიერთ სხვა კილოში, ასის ზევითაც ოცობითია: ექვსოცი, შვიდოცი, რვაოცი, ცხრაოცი, ათოცი (|| ორასი), თერთმეტოცი (ორასოცი), თორმეტოცი, ცამეტოცი, თექვსმეტოცი, ჩვიდმეტოცი, თვრამეტოცი, ცხრამეტოცი, ოთხასი; მაგ.: რვაოცი უღელი კამეჩი; ერთი თუ ცუდია, ათოცი და ათასეული კარგია; თორმეტოცი ღორი მყვანდა, უნდა მრგებიყო ექვსოცი.

აქა-იქ შეიძლება შეეხვდეთ ასობით თვლასაც ათასის შემდეგ; მაგ.: თორმეტასი კვადრატი არის დღიური, ჩვენი მამული იყო ოცდაოთხასი...

ლფი, დალფი; ჰან. ჯუმალფი); არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება. ქართველურ ენებში, 1942, გვ. 8—9.

¹ იქვე, გვ. 8.

² რა თქმა უნდა, უფრო ხშირია ფორმები: სახრები, მოლარეები და სხვ. ან კიდევ: გრძელი ე: სახრები... (ნ. ფონეტიკური პროცესები, გვ. 36).

რიცხვითი სახელი თ ხ უ თ მ ე ტ ი ჩვეულებრივ იხმარება თავკიდური თ-ს გარეშე (გამარტივებული სახით); მაგ.: ხ უ თ მ ე ტ ი წლისა ვიყავ, ხ უ თ მ ე ტ ი მანეთი ჰქონდა¹... მაგრამ გვხვდება თ ხ უ თ მ ე ტ ი ც.

მწ. ნაცვალსახელები. პირველი პირის ნაცვალსახელი მენ, მენა სახით წარმოგვიდგება მხოლოდ ახმეტის რაიონის მეტყველებაში; მაგ.: მენ არ მოვკლამდი, მენც დავლევ, მენც მოიტან; მაშაჩემს მენა ეგრე დევენისნე, რომ მენა არ ვიცოდდი; მენა მყავს ოთხი ბიჭი...

ანალოგიური ვითარებაა მთიულურში, ინგილოურში, არაგვის ხეობის ქართლურსა და სხვაგან.

შედარებით იშვიათად ახმეტისა და ყვარლის რაიონების მეტყველებაში ის ნაცვალსახელი ისი სახით გვევლინება; მაგ.: მომირჩინე ძმა ისი; ბიჭმა უთხრა: მე ვარ ისიო.

ისი ფორმა შემონახულია ხევსურულში, ინგილოურსა და ზემომიერულში. ამ უკანასკნელში ის გაცილებით უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე კახურსა და რომელსამე სხვა კილოში. ამავე ფორმას ხმარობს შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“². როგორც ჩანს, ისი ფორმის ხმარება დამახასიათებელი ყოფილა აღმოსავლური კილოებისათვისაც, სადაც ამჟამად მას მხოლოდ ვადმონაშთის სახით ვხვდებით.

მსაზღვრელად ხმარებულ ეს და ის ჩვენებით ნაცვალსახელთა -ს ელემენტი ზოგჯერ ჟ-დ იქცევა და გვაქვს ეჟ, იჟ ფორმები. ხშირად ეს ჟ-ც იკარგება და მხოლოდ ხმოვანი ელემენტი ასრულებს სიახლოვე-სიშორის განმსაზღვრელის ფუნქციას; მაგ.: ეჟ პური იმანა ჰამოსო, გაგზანა იჟ ბიჭი, იჟ დლით იზდება... წავიდა ე ბიჭი, ი ბიჭი გაიქცა, დაკლა ი ძროხა...

ზოგჯერ იკვეცება მსაზღვრელად გამოყენებულ ემ, იმ ნაცვალსახელთა ბოლო თანხმოვანი მ-ც სხვადასხვა ბრუნვაში; მაგ.: ე ბიჭმა მავლო ხელი, ი ამხანაგმა უთხრა, დაუძახეს ი ბიჭსა, ი სახში იყო...

II პირთან ჩვენებითი ნაცვალსახელი ჩვეულებრივ ე ხმოვნით გვევლინება; მაგ.: ემ საათში აქ მოიტანეო, ემ წუთში აქ მამიყვანეთ; მოდი, ე მასაც ეჭიდეო; ე მას ექეთაო შენ ჰამეო... მე აემ³ გზით წამოვალ, დღეს აემ ღორეფში იყავი... რომ დაინახეს ესეთი გაქირვებული კაცი, უთხრეს; ემითანა იყო...

ეგვე ე აქვს დართული II პირის ჩვენებით ნაცვალსახელს; მაგ.: ე + მ ა გ → ე მ ა გ: ე მ ა გ ორმოში დავმარხვეიო, ე მ ა გ კაცს უყურეთ...

ემითანა-ს ანალოგიურია -თანა თანდებულიანი ე გ ე თ ი ნაცვალსახელი: ე გ ე თ ა ნ ა (← ე გ ე თ + თ ა ნ ა) ჯოხზე (მაჩვენებს ჯოხს) აასხამენ პურსა და ხორცსა.

ისინი, მათი, მათ ფორმათა ნაცვალად ჩვეულებრივია ისენი (ისინი-სა და ესენი-ს კონტამინაციით), იმათი, იმათ ნაცვალსახელები; მაგ.: ისენი გამართამენ, ისენი წავიდნენ, იმათი ყმანი ვიყავით, იმათ უამბეს...

იმის (მხ. რ.), იმათ, იმათი (მრ. რ.) ნაცვალსახელთა კონტამინაციითაა უთუოდ წარმოდგენილი იმით, იმითი ფორმები; მაგ.: იმით მამა იყო, იმითი მამულები კიდენ ბატონებ ქქონდათ და სხვ.

¹ ხ უ თ მ ე ტ ი გვხვდება მწერლების ენაშიც: იქნებოდა.. ხუთმეტისა (ილია, III, 4).

² არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“: ენიმკი-ს მოამბე, III, 1938, გვ. 216—217, 221—222.

³ აემ — აი + ემ.

„სხვათა“-ს პარალელურად იხმარება „სხვითა“: ჩემია თუ სხვითა? სხვითა ხელშია გარდილი, მიუბრუნდი სხვითა ქოხში, გადავიდა სხვითა მიჯნეფში, გავარჩევ, სხვითა საქმეფესო... აქაც სხვისა და სხვათა-ს შერწყმაა.

ეგვე ფორმა დადასტურებულია ლიტერატურაშიც: მან არ იცოდა, რა იყო სხვათა კარზე მუშაობა და სხვითა ხელში შეყურება (ეველ. III, 57).

იგი (იგინი) ნაცვალსახელი კახურში თითქმის არ გვხვდება, ხოლო მისი მონაცვლე ისიც ნაცვალსახელის პარალელურად იხმარება ისაც, ისეც; მაგ.: ისაც მოვიდა, მოდით შენცა და ისაც... ისეც იგრე მაიქცა.

სამაგიეროდ დაცულია ეგეც, რომელსაც ზოგჯერ ენაცვლება ეგაც; მაგ.: ეგაც ურმის ქირაში...

წინააღმდეგ მოლოდინისა ისეთი, ესეთი, ასეთი ჩვენებითი ნაცვალსახელები იშვიათად იხმარება, გაბატონებულია იგეთი, ეგეთი, აგეთი, მაგეთი; მაგ.: მოიდა იგეთი წვიმა, რო... იგეთი გაიცინა... ეგეთი რა დაგიშავე?.. აგეთი ღორი დაგვიკლამ, რო... წამალი ვიშოვნო მაგეთი, რო...

იგეთი ნაცვალსახელი შეიძლება სპორადულად შეგვხვდეს იგიეთ სახითაც; მაგ.: იგიეთ დღეშია, რო...

ამავე ნაცვალსახელს შეიცავს აგერ, ეგერ ზმნიზედა, რომელიც ჩვეულებრივ იხმარება -რ თანხმოვანმოკვეცილად; მაგ.: აგე, იმ რიყეს ხო ხედა-მო; აგე, ცეცხლი რო ედება; აგე, ის მიხა ყოფილა... ტვინი, ეგე, იმ ყვაილი ქოთანში დევო!..

აგე იშვიათად აგა სახითაც გვხვდება; მაგ.: აგა, იქ ერთი ბალღი იჯდა.

ზმნიზედაში გ-ს წინ ნ არის ჩართული და ანგე სახით იხმარება¹; მაგ.: ანგე, ის გადახდა; ანგე, ზემოთყენ...

კახურში დადასტურებულია აგრა, რომელშიც ხმოვანი ჩანს ამოვარდნილი. ძველ ქართულში გვაქვს ეგერა, მოსალოდნელია ყოფილიყო აგარა (შდრ. აქა, იქი, იგი, ეგე, ისი, ესე...), თუმცა წერილობით ძეგლებში იგი არ არის დადასტურებული. შესაძლებელია, რომ აგარა კახურმა შეძოგვინახა აგრა-ს სახით²; მაგ., აგრა, გაღმით ავლის ხე დგა. არაა გამორიცხული, რომ იგი მიღებული იყოს აგერა-საგან ე ხმოვნის ამოვარდნით.

აი, აი აგერ, აი ეგერ, აი იქ, აი აქ, აი ეს, აი ის და სხვა ჩვენებით ნაცვალსახელთა ნაცვლად ხშირად გვევლინება ანდე (|| ამდე), ენდე (|| ემდე), ინდე (|| იმდე), ჰაანდე (|| ჰაამდე || ჰანდე || ჰმდე). თავიკიდური ხმოვნები ა (I პ.), ე (II პ.) და ი (III პ.) სიახლოვეს უჩვენებენ; მაგ.: ანდე, კაციო... ენდე, ავათა ხარო! ენდე, რომელიც მოგეწონება, მოგყიდო; ჩემი სული, ენდე, მაგ კოქში არიო... ინდე, მანდ რო ტაგტია, აექ მაიტა! ინდე, ცხენი შაჭამა... იმდე, ეგ სახლები ავაშენე... ჰაანდე, წაილეო!

ანალოგიური ვითარებაა ქართლურშიც.

გავრცელებულია ნაცვალსახელი ისემე, ესემე, რომელსაც მოლაპარაკე ხმარობს იმ სიტყვის ნაცვლად, რომელიც დაავიწყდა და უნდა მოიგონოს, გაიხსენოს; მაგ.: მერე წავლენ ისემე ... ბრუტიანი და კუტი; წაიჩხუბნენ ესემე... მღვეი და ბიჭი; იქა ესემე ... სახლი იყო; ძველათ ედგათ გძელი, დიდი ესემე ისა ... კედლის სახლი; დააჯილდოვა ოქროს ისემეითა ... თასითა...

¹ ენგე და ანგა არ არის დადასტურებული.

² აი აგერ.

ასევე ამ ნაცვალსახელთან ერთად ქენ ზენა ენაცვლება შემასმენელს; მაგ.: იმათ ესემე ქნეს... დაწერეს და წაიღეს; იმტენი ისემე ქნა, რომა... ან კიდევ: ის საქმე კი იმე ქენ და მერე შენ იცი; ბეჟანიმ ემე ქნა...

ესემე, ისემე შედგენილობით რთული ჩანს: **ეს, ის+ემე**; ემე კი მოდის ამა ნაცვალსახელისაგან. **იმე-სათვის ამოსავალია იმა.**

ყველა ნაცვალსახელის პარალელურად იხმარება **ყველაყა**, მაგრამ არა ისე ხშირად, როგორც გურულში; მაგ.: ყველაყა განზე გაუხტა, ყველაყამ ესროლა, დააკოცინა ყველაყას, სუყველაყა სურიელი გადარჩომილა, სუყველაყამ მიეცა პასუხი, დააქრის სუყველაყას თავს, დახოცეს სუყველაყანი...

ჩვენებითი ნაცვალსახელი **ამდენი, იმდენი** და მისთ. ხშირად გვევლინება დ თანხმოვნის დაყრუებით: **ამ თენი, ამ ტენი, ემ თენი**; მაგ.: **ემ თენი იწვალა... ამ ტენი არ ვიციო...**

ეგვე ნაცვალსახელი შეიძლება შეგვხვდეს მიცემითი ბრუნვის ფორმით მოსალოდნელი მოქმედებითის ნაცვლად; მაგ.: ვინც გამაიტანს, **ამდენს** და **ამდენს** დაეასაჩუქრებთო.

ასევე მოსალოდნელი თავისი ფორმის ნაცვლად გვხვდება **თავისაც**; მაგ.: ჩემი კი არა, **თავისაც** კი წავართვი.

თვითონ (თითონ) განსაზღვრებით ნაცვალსახელს ზოგჯერ ენაცვლება ამავე რიგის ნაცვალსახელი **თავათ**, ხოლო **თავის** კუთვნილებით ნაცვალსახელს ცვლის ზოგჯერ მისი კუთვნილებითი ნაცვალსახელი, როგორც დასავლურ კილოებში; მაგ.: **თავათ** კი იყო მოქმედი, არც **თავად** იცის... უხაროდა, რო მისნა ხერხმა გაიმარჯვა.

თავისი ნაცვალსახელის მნიშვნელობით მისი ნაცვალსახელის ხმარების შემთხვევები დადასტურებულია „ვეფხისტყაოსანში“¹.

უარყოფითი ნაცვალსახელი ნუვინ ძველი სახითაა დატული: **მტერი ნუვინ** გინდაო!

თითოეული ზოგჯერ იხმარება **თითოულ**ის სახით ე ხმოვნის ჩავარდნის შედეგად; მაგ., **თითოულ** ძნას...

ნაცვალსახელი **მავანი**, რომელიც სამწერლობო ენაშიც კია შემოტანილი, ხშირად გვხვდება კახურში; მაგ.: **მავან** სახელმწიფოში ერთი გველაშაპია, **მავან** ადგილად რო ბრუტიანი ხელმწიფეაო...

ამის პარალელურად იხმარება **ამა** და **ამ**; მაგ., **ამა** და **ამ** ალაგას...

უკუქცევითი ნაცვალსახელი **თავისი** ხშირად გვევლინება **-თან** თანდებულთ; მაგ.: **სამი** თვე **თავისთან** გვაყოფა, იქეიფა **თავისთან**... ზოგჯერ მიცემითის -ს იკარგება და ვიღებთ **თავითან** ფორმას; მაგ., **თავითან** მიიყვანა...

ნაცვალსახელები **ვისი, იშისი, იმათი** მრავლობითში **-ვბ** სუფიქსს დაირთავენ; მაგ.: **ვისები** ხართო?.. დაიჭადა თავი ტანისამოსი, ჩაიცვა **იმი** სები... **იმათები** არ გააფუქო...

კახეთის ზოგიერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველებაში (ყვარელი, უჯარმა), როგორც ჩანს, **ამან**, **იმან** გაგებულია ფუძისეულად და ერთვის ბრუნვისა და რიცხვის ნიშანი; მაგ.: **იმანმა** უთხრა, **იმანმა** ჰკითხა, **ამანთ** უპასუხეს, **ამანთ** კიდევ ეხლა სხვა გვარი აქ.

¹ არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, გვ. 215.

შეიძლება შევხვდეთ მაგათ ფორმასაც: ჩვენ დაზე მაგათ რას ამ-
.ბოფო!

რამე (← ო რამე) ნაცვალსახელი იშვიათად რამა სახითაც გვევ-
ლინება.

კახეთიდან გამოსული მწერლებიც პერსონაჟთა საუბარში ჩვეულებრივ
და იშვიათად თავიანთ მეტყველებაშიც იყენებენ ისეთ ნაცვალსახელებს, რო-
გორიცაა: მენა, აიმ (← აი+იმ), ემაგ (← ემ+მაგ), ემე (← ემა), ე (← ეს, ემ),
ო (← ის, იმ) და სხვა; მაგ.: მენა ის თვალითაც არ მინახავს (გმ. ილია, II,
265); მიწა ვარ ნიდაგ მენა (გმ. რ. ერისთ. I, 159); ნუ გიკვირს, მენა ჯა-
ფაში გამტეხია გულია (გმ. რ. ერისთ. I, 187)... აგერ აიმ მთას მარჯვ-
ნივ აუხევე (გმ. ილია, I, 159)... ემაგ შერცხვენილ ხმლისა პატრონი ჩემთან
მოსვლასა როგორ ჰბედავდი? (გმ. იქვე, 174)... შერე ის ემე, კეთილშობი-
ლები რომ არიან კიდენ (გმ. დ. მაჩხ. 84).

მსაზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელები ეგ, ეს, ის, ემ,
-იმ და სხვა გმირთა მეტყველებაში ჩვეულებრივ წარმოდგენილია თანხმოვნის
გარეშე; მაგ.: დაუშაღეთ ე ბიქს! (გმ. ევდ. III, 272)... ო საცოდავი ზურია კი
წააქცევირა (გმ. მელ. 11); ო დასაქცევა სეტყვამა (გმ. რ. ერისთ. I, 165).

მწერლებს რომ აქვთ ნახმარი აგეთი (=ასეთი), ეგეთი (=ესეთი), იგეთი
(=ისეთი) ნაცვალსახელები, დიალექტურია; მაგ.: ეს აგეთიარ, ეს იგე-
თიარ (გმ. მელ. 43); ეგეთი ნაცარქეპია... გვერივა (დ. მაჩხ. 56); შვი-
ლებიც იგეთები გვეყოლებიან (იქვე, 68).

ჰი. თანდებულები. -ზე თანდებულის პარალელურად იხმარება მისი ად-
რინდელი (ზოგჯერ გაუმარტივებელი) სახეც: -ზედ (→ ზეთ), -ზედა (და აგრეთ-
ვე ზედან); მაგ.: შადგა ცეცხლზედ, გადავიკიდებდი მკლავზეთ,
იარალი აისხა ტანზედა, მინდორზედა სახლდებოდა, ემაზედან
სხვანაირი თვალთ დამიწყო ყურება...

-ზე გამოყენებულია ზოგჯერ -ში, -თვის და გამო თანდებულების ფუნქ-
ციით; მაგ.: ფული ჯიბეზე მაქო, წავიდა გაღმა მამულზე, ჯეჯილი ამუა
ორ-სამ კვირაზე ან თვეზე. წავიდა ტყეში გუდურაზე, მუცელი მამწყ-
და მაგაზეო...

-ზე თანდებულიანი მიცემითი ენაცვლება ზოგჯერ უთანდებულო მიცე-
მითს, ნათესაობითს, ვითარებითსა და მოქმედებითს; მაგ.: ჩაველი საღამო
ხანზე, ოცდაათი ვერსით იყო დაშორებული ჩვენ სოფელზე, შვილი გა-
ჰგზავნა კრამიტზე მოსატანათ; შდრ. წყალზე (=წყლის მოსატანად)
წავიდა, წავიდოდი სამუშაოზე (=სამუშაოდ).

-ში თანდებულის პარალელურად ჩვეულებრივ -შია (← -შიდა) იხმარება,
მაგრამ აქა-იქ გვხვდება გარდამავალი -შიდ სახითაც; მაგ.: ინახამენ სასი-
მინდეშია, პური გამაიკრა ხელცახოცშია... გამაიყვანა კარშიდ...

-ში-ს გვერდით სოფ. წინანდლის მეტყველებაში დადასტურებულია -ში
(← -ში), ხოლო სოფ. კისისხევისაში — -ჩი; მაგ.: პირშ ჩაასხა... რა დღეჩი
ჩავარდი! ეზოჩი გვექონდა¹.

¹ თანდებულთა შესახებ ვრცელადაა მსჯელობა არ. მარტიროსოვის შრომაში
თანდებული ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 213 — 237.

პირველად ზმნისართს ენაცვლება პირველში: პირველში შა-ქხედება კოშკი, პირველში შეემსებუქა.

ზოგჯერ ადგილის გარემოება უთანდებულო მიცემითითაა წარმოდგენილი, ნაცვლად -ში თანდებულისანი ფორმისა, რაც მისი სიძველის მაუწყებელია. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ბრუნვის ნიშანიც მოეკვეცოს; მაგ: ქალაქს არი, წყნეთ გამოვგზავნეო, ელგუჯა თელავ წავიდა, გუდას პური მეგულება...

-თან თანდებული ზოგჯერ შემონახულია მისი წინანდელი თანა-ს სახითაც; მაგ.: შავიდა რა შეფთანა, ექიმეფთანა იყო...

იშვიათად -თან თანდებულის თავიკიდური თანხმოვანი თ- იკარგება; მაგ.: მიაღენენ იმსა, ვისანაც გაგზავნეს; იმისანა რამე ჰყვანდა¹...

მსგავსი მოვლენა ჩვეულებრივია გურულსა და იმერულში, მაგრამ აღმოსავლური დიალექტებისათვის უცნობია.

-ვით თანდებული სახელს ახლავს როგორც სახელობითსა და მიცემითში, ისე ნათესაობითშიც; მაგ.: ქერამივით არი... სატკივარსავით ჰქონდა... ურმის ღერძისავით ხარ გაშავებულიო, გამოიშვირამდა ხის ტოტისავით, ლექსისავით იყო, მორევისავით გეფინა... უთუოდ დიალექტიდანაა შესული უკანასკნელი მოვლენა ილიასა და სხვა მწერალთა ენაში. გამოყენებულია ზმნასთანაც იმ მნიშვნელობით, როგორითაც საბას აქვს ნახმარი თავის ლექსიკონში; მაგ.: ხაზინს გაუხარდასავით, გალობდასავით.

-თვის თანდებული გვხვდება -ფინ, -ფუნ და ბრუნვის ნიშნის -ს ელემენტთან ასიმილაციის შედეგად -ფინ სახითაც; მაგ.: ნაყმევისათვინ, რძლისთვინ, დედ-მამითვინ უნდოდა... ამის გულისთუნ... იმიტვინ დავკოცეო; იმიტვინა, რომა...

ზოგჯერ მოკვეცილია -თვის, -ფინ თანდებულის ბოლოკიდური -ს, -ნ თანხმოვანი; მაგ.: შენთვი და ჩემთვიო, ამისთვი უნდაო.

-კენ თანდებულის პარალელურად იხმარება -ყენ. ზოგჯერ ორივეს ეკარგება ბოლოკიდური -ნ; მაგ.: წაველი თელავისყენ, პირი ქენ კარებისაყენო, ტყისაყენ გაატარა, ჩვენყენ მოიდა, იქითყენ გარბის... ღვდლისკე... წამოიღენენ ძმისყენ, შინატყენ (← შინათყენ) გემეეშურა...

დაცულია ძველი ქართულის დაწყებითი ბრუნვა და იხმარება კითხვაზე საიდან, თუმცა მასზე უფრო ხშირია -გან თანდებულისანი მოქმედებითი; მაგ.: წამოვა მალლით, ეს დაბადებით მაქო... მაგრამ: თავითგან, საითგან... უკანასკნელის განვითარების შემდეგი საფეხური, ასიმილაციით მიღებული, საკმაოდ გავრცელებულია; მაგ.: ჩამოიდა ხიდგან, ამოილო ჯიბიდგან, ტყიდგან ეზიდებოდა...

უნდა ითქვას, რომ ამ თანდებულისანი ბრუნვის გამარტივებული სახე (-ით+-გან → -იდგან → -იდან) თანდათანობით იკიდებს ფეხს კახურში.

იშვიათად იკარგება -გან თანდებულის ნ თანხმოვანი (-ით+-გან → -იდგან → -დან → -იდა): მალლიდა მოდის შავი კაცი.

დიდად საინტერესოა, რომ კითხვაზე საიდან იხმარება აგრეთვე -გან თანდებულისანი ნათესაობითი და პირიქით, კითხვაზე ვისგან — -გან თანდებულისანი მოქმედებითი; მაგ.: წავიდენენ იმ კოშკისაგან ორთავენი... იმა-

¹ მეტად იშვიათად ბოლოთანხმოვანი სახელს ბრუნვის ნიშანი -ს დაცული აქვს: მივიდა ბატონსთან და უთხრა (ასეა ხევისურულშიც).

თიდან იღებდა, გაგონილი მქონდა თუ შებიდან, ხემწიფიდან გამოგზავნილი, ფული ისესხა ანდრიადან, სოფელი გველაშაპიდან გავანთავისუფლე...

პირველი, -გან თანდებულიანი ნათესაობითი, ძველი ქართულის დამახასიათებელია და ამდენად ადრინდელია, ხოლო მეორე ახალი მოვლენაა, ანალოგიით გაჩენილი და ჩვეულებრივია დასავლურ კილოებში (იმერულში, გურულში).

-დამ თანდებული აქ უფრო ხშირადაა გამოყენებული, ვიდრე ქართულში¹; მაგ.: მ ა ლ ლ ი დ ა მ წამოვიდა, გადმავადეს ბ ა ლ კ ა მ ი დ ა მ, ჩ ა ძ ვ რ ა ბ ზ ხ რ ი დ ა მ, მოვიდა ტ ყ ი დ ა მ ა, ჩამოვიდნენ თ ბ ი ლ ი ს ი დ ა მ, შორი დამ უყურებს, მე ი ქ ი დ ა მ გამოიპარე, აქა დამ იყო... შვილები დამ მიიღო. წერილი...

თითქმის სულ არ იხმარება -ურთ თანდებული. მის ფუნქციას ასრულებს უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვა ან კიდევ -იან სუფიქსიანი ფორმები ვითარებითში: ცო ლ შვი ლ ი ა ნ ა დ, შვი ლ ე ბ ი ა ნ ა დ და სხვა; მაგ.: წავიდა იქით თავის დედი თ და მუახლით, ჩამობრძანდებით თქვენი ვეზირებითო... თავი ბავშვებიანათ ჩაავადეს, შამიანათ მოვიდა...

კახურშიც ისევე, როგორც ე. წ. საშუალ ქართულში, მთიულურში, ქართლურსა და სხვაგან, გვხვდება -მღე ♀ -მღის თანდებულის სხვა სახეობაც: -მღინა¹, -მღენ, -მღი, -მღისინა¹, -მღისი. მათ შორის უპირატესობა ენიჭება -მღინა¹ სახეს; მაგ.: მუხლებამდინ ჩაფხვამს, იმ დრომდინ წავიდა, ხვალამდინა გამიმზადე, ჩემ მოსვლამდინაო... შუადდემდენ შამოურბინა, დილიდან სალამომდენ... თავამდი, იქამდი იყავ, მკერდამდი დაფალაო... სალამომდისინ, გათენებამდისინ შიასრულეს, მანამდისინ მოიყვან... ცამდისი მაღალია...

-გან თანდებულიანი სახელი შეიძლება დაწყებითი ბრუნვის ფორმით მოგვევლინოს ხმოვანშეკუმშული; მაგ.: ვიზგნით? იმიზგნით, შენგნით დამწუსრებული...² ქვემოიმერულში.

-ით ბრუნვის ნიშანი შეიძლება დაერთოს ქვეშ თანდებულსაც; მაგ.; მოკუმშულიყო ბალკომქვეშით.

შემდეგ თანდებულის ადგილას ჩვეულებრივ შერე იხმარება; მაგ.: ჭერიფობის მერე უთხრა; ამ დარიგების მერე წავიდა ბიკი.

გარდა და გარეშე თანდებულების ნაცვლად ზოგჯერ გამოყენებულია გარეთად თანდებული, რაც დასტურდება ილია ქავკავაძისა და სხვა მწერლების ენაშიც; მაგ.: ლაღვის გარეთად არი ოთახი...

თანდებულები და მათი სახესხვაობანი, რომლებიც კახურშია დადასტურებული, მეტ-ნაკლებად იხმარება კახეთიდან გამოსული მწერლებისა და მათი პერსონაჟების მეტყველებაშიც. მათ შორის აღსანიშნავია: -დამ, -ზედ || -ზედა, -თანა, -შია, -თფინა¹ (აგრეთვე ამ უკანასკნელისა და -თფის თანდებულის კონტამინაციით მიღებული -თფისინ), -მღინა¹ და აგრეთვე -მღისინა¹, -მღი, -მღისი, -მღენ ვარიანტები, -ვითა (← ვითარ²) და სხვა; მაგ.: ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ვ ი დ ა მ ტფილისამდე (ილია), ქი ლ ი დ ა მ (ევდ. III, 164), გამოუვა ხელი დამ

¹ -დამ თანდებულის შესახებ დაწერილებით: არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში: ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 55-65.

² ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 620.

(დ. მაჩხ. 66), საქმიდამა ჩანს ყველაფერი (ილია, IV, 11)... ბეწეზედა ჰყიდა (ილია, II, 138), ყინულზედა ვცურობდით (გმ. რ. ერისთ. I, 109), ჯარი გადმოდგა ბექზედა (გმ. ევლ. II, 228), წამოდგა ფეხზედა (ილია, III, 75), ხელს მუკლებზედა იცემდა (მხ. მრევლ. 48)... გაესწორდი ჩემს მოვალეებთანა (გმ. რ. ერისთ. IV, 297), მივიპარენით ქოხთანა (გმ. მელ. 10)... ბოლთასა სცემდა გრილოშია (ილია, III, 167), დაჯდა მაშვრალი დერეფანშია (რ. ერისთ. I, 144)... სულ ჯიბრისთვინა ვცდილობდი (გმ. ილია, I, 7), ჩვენთვინ ნიქი მოუცია (დ. მაჩხ. 31), ჩენთვისინ გაგიმეტია (გმ. რ. ერისთ. I, 153)... ყელამდინ იფლებოდეს (გმ. მელ. 86)...

-გან თანდებულიანი მოქმედებითი გარდამავალი ფორმით აქვთ გამოყენებული მწერლებს (ილგან): იქიდგან შეიძინეს (ილია, IV, 205), სახლიდგან ითხოვენ (რ. ერისთ. III, 176), თავიდგან ხმალი დაუშვა (გმ. ევლ. II, 228), ამოიღებდი ჯიბიდგან (გმ. დ. მაჩხ. 88), გადმოჰფარებოდნენ ზემოდგან (მელ. 3)...

თანდებულის ხმარებაში, როგორც მაგალითებიდან ჩანს, ავტორისა და პერსონაჟების მეტყველება თითქმის ემთხვევა ერთმანეთს. ორივესთვის ამოსავალია კახური კილო.

40. ზმნიზედა. დროის ზმნიზედა დღე, ღამე და ზოგი სხვაც გაუფორმებელია ან წარმოდგენილია სახელობით ბრუნვაში; მაგ.: ადგა ღამე, ერთი დღე და ღამე აქეიფა, ვიყავი ერთი თვე სახში, დარჩა ორი წელიწადი შინა, გასტანა ერთი კვირა, ცოტა ხანი მამიცაო, ამდენი ხან ვეღარ გასძეხიო? დაუცდი ნახევარი საათი... ასევეა: ჩემი სიცოცხლე მე კმაყოფილი ვიქნები... შეიძლება მიცემითშიც იყოს, მაგრამ ნიშანი მოკვეცილი ჰქონდეს: მეორე წელიწად მივიდა, ცოტა ხან სახლში დავრჩი და სხვა მისთანანი.

ანალოგიური სახის ზმნიზედები ჩვეულებრივი იყო ძველ ქართულში¹.

გვხვდება დღისით ზმნიზედაც, ხოლო საღამო ჩვეულებრივ მოქმედებით ბრუნვაშია; მაგ.: წავიდა მეორე დღისით ბაზარში, მეორე დღისით უყიდნია, იმ დღისით იწყებოდა, ამ დღისით ორი კაცი დაამარცხა... ჩვენ მოვალთ გვიან საღამოთიო, გაუმართა სადილი საღამოთ, საღამოთ მიიყვანა (შეიძლება ეს უკანასკნელი ძველი ფორმა იყოს).

ნათესაობითის ფორმით გვევლინება წუხელ, ხოლო ზოგი ამგვარი ზმნიზედა ნაგენეტივარ ვითარებითშია; მაგ.: შენთან ყოფილა წუხელი საო, წუხელის ბავში გაჩადა²... შუადღისათ ჩამოფრინდა იმტრელი.

ჩვეულებრივ იხმარება მემრე ზმნიზედა (← მევრე ← მეორე). იგი პირველი სახე უნდა იყოს ლიტერატურაში გაბატონებული მერმე ზმნიზედისა. ეს ზმნიზედა და აგრეთვე კინალამ ხშირად დასმულია ვითარებით ბრუნვაში, ოღონდ უკანასკნელს მ აქვს მოკვეცილი; მაგ.: მემრეთ წავიდნენ, მემრეთ დაუკრავენ, მემრეთ დაინახა... კინალათ ღორი მოკლა, დიდი კლიტე დაადე, რო კინალად რაზასა-გლუჯაშდა.

¹ ა. კინორია, ადგილისა და დროის გარემოება ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, 1953, გვ. 114—115.

² შეიძლება ზოგჯერ -ხ მოკვეციოს: წუხელი სიხმარი ვნახე... ოღონდ ძველ ქართულში წრფელობითი იყო.

მეგრე ზმნიზედა ზოგჯერ გვხვდება მამრე სახითაც (დისიმილაციური ხასიათის სუბსტიტუციის შედეგად); მაგ.: მამრე მიველი, მამრე და მამრე ყველაა დეელაპარაკებოდა.

მეგრე და შემდეგ ზმნიზედათა ადგილას ზოგჯერ გამოყენებულია ახლა; მაგ.: სახლები რო დავამთავრე, ახლა დავქორწილდი; ჯერ ცას გააკრამდა, ახლა მიწაჲ დაჯახებდა...

ზმნიზედათა თავიკიდურ ა-ს (ნაცვალსახელების მსგავსად) ე ხმოვანი ენაცვლება ხშირად; მაგ.: ეხლა¹ უნდა წაუყვანო, ეხლა კოლოთოში მუშაობს... ექ იღვა, ექ იყო, ემას ექითაო შენ ქაპეო... გაეითვლებით ესე, ესეა ჩემი საქმე... მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ სხვადასხვა ჩვენებით ელემენტთან გვაქვს საქმე: ა- I ჰ. სიახლოვის მაჩვენებელია, ე- კი მეორე პირთან სიახლოვია.

ისე და ასე ზმნიზედებს ხშირად ენაცვლება იგრე, აგრე, მაგრე და ვგრე ზმნიზედები; მაგ.: იგრეთ ეყარა, იგრეთ უყვარხარ, დარჩნენ იგრე... აგრე ამბობდი... მაგრე კრეფა არ იქნებოა... უწინ ეგრე ყოფილა, ეგრე ღრიალებდა... (შდრ. ნაცვალსახელები: ასეთი, ესეთი, ისეთი და აგეთი, ეგეთი, იგეთი, მაგეთი).

ისევე ზმნისართის მონაცვლეა ისივ ან იგრევე; მაგ.: წამოიდნენ ისივ, ილებჲა და ისივ იკეტება... იგრევე უქან მივეციოთ, იგრევე წაულიათ...

ჩვეულებრივია აქათ და აქათ-იქით ზმნიზედების ხმარება; მაგ.: აქათ-იქით დადიოდა, ისხდნენ აქათ-იქილამ, აქათ დარჩა, აქადან არი, აქადამ დაიწყო, წავალ აქადამო.

აქეთ ზმნიზედის მოპირისპირება იქეთ; მაგ.: ხან აქეთ გაატარებდა, ხან იქეთ; იქეთ უბანში იყო; წავიდა იქედამა და სხვ.

დადასტურებულია აგრეთვე აქნამდის და იქეს (=იქეთ) ფორმაც; მაგ.: აქნამდის ყოფილხარ, ირანს იქეს გარეკა.

აქათ (← აქათ) ზმნისართი შემონახულია „ვეფხისტყაოსანში“ და აღმოსავლურ კილოებში². დასავლურ კილოებში მას არ ვხვდებით.

აქნამდის (← აქნამდის ← აქანა+-მდის) ზმნისართი არ არის დამახასიათებელი აღმოსავლური კილოებისა, მაგრამ იგი გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ და ჩვეულებრივ იხმარება დასავლურ დიალექტებში (იმერულში, გურულში, აქარულსა და სხვ.)³.

მანამ, მანამდის⁴ ზმნიზედის პარალელურად დასტურდება მადამ, მადამდინ, მინამ, მინამდინ, მინამდისინ და სხვები, რომლებიც ყურადღებას იქცევენ ნ-სა და დ-ს პარალელური ხმარებით (მანამ || მადამ; შდრ. სა-და-ა || სა-ნ-ა)⁵; მაგ.: მადამ მოვალ, მადამდინ მოქუჩდებოდა... მინამდისინ სახლს დაიდგამდა.

¹ ეხლა და ახლა ზმნისართებში თითქოს შეიმჩნევა სემანტიკური დიფერენციაციო: ახლა იხმარება მეგრე და შემდეგ ზმნისართთა მნიშვნელობით უმთავრესად, ხოლო ეხლა ჩვეულებრივ ეტოვლება ამჟამად ზმნისართს, მაგრამ ეს ასე არ არის.

² არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, გვ. 214, 217.

³ არნ. ჩიქობავა, იქვე, გვ. 217—218.

⁴ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 616.

⁵ ამის შესახებ დაწერილებით: არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: უნივერსიტეტის შრომები, ტ. X, 1939, გვ. 174.

იშვიათად ვხვდებით მაინთ ზმნიზედას, რომელიც დ-ს ჩავარდნითა და ნ-ს განვითარებით უნდა იყოს წარმოდგენილი: მადით → მაით, მაინთ¹; მაგ.: სად მიდიხარ, მაინთ ხო სოფელი არ-ალი?

წინავეც ზმნიზედის ანოსავეალია წინავე; მაგ.: ვყოფილვარ წინავეც, მერეც.

წინ, წინ-წინ, წინ-წინა იხმარება ისეთ ზმნიზედათა ნაცვლად, როგორცაა უწინ, ძველად, პირველად და მისთ.; მაგ.: თუ წინ მოვკვდი... ქალმა კი წინ-წინ გაიგო, იქაც კალო ყოფილა წინ-წინა.

ვითარებითში მოსალოდნელი ზოგიერთი ზმნიზედა მიცემითის ფორმით გვევლინება; მაგ.: რა უდროოს მილალატე, ღამე უდრო-უდროს მივიდნენ ენისელში.

სოფ. კისისხევისა და წინანდლის მეტყველებაში დადასტურებულია ძლივთ ზმნიზედა ნაცვლად ძლივს || ძლივს სახისა: ძლივთ მოვიდა, ძლივთ ავიღე.

შემდეგ ზმნისართის მნიშვნელობით კახურშიც, როგორც რიგს აღმოსავლურ კილოებში (ქართლურში, ინგილოურსა და სხვაგან), ხშირად იხმარება მახ უკან: მას უკან გვატარა ძროხაში.

შემდეგ-ს შეიძლება დაერთოს -ში თანდებული; მაგ.: ათი წლის შემდეგში გავანებეთ თავი.

მეორედ ზმნიზედის გვერდით ხმარებაშია მეორეზე: ეეორეზე ამააქ...²

საინტერესოა, რომ ამგვარად, იმგვარად, რაგვარად და მსგავს ზმნისართებს ენაცვლება ამფრათ, იმფრათ, რაფრათ და სხვ.; მაგ.: ამფრათ უკრამდა, იმფრათ თამაშობდა.

გარშემო ზმნიზედა ჩვეულებრივ იხმარება გარეშემო, გარეშამო, გარშამო სახით; მაგ.: გარეშემო აქ მოყოლებული, გარეშამო ქვები გეწყო, შემოუარა გარშამო...

გაღმა ზმნისართს შეიძლება შეენაცვლოს გარდა: უნცროსი კი დარჩა წყალ გარდა...

ზევით, ქვევით კახურშიც, როგორც სხვა კილოებში, ჩვეულებრივ ძველი სახით ზეით, ქვეით გვხვდება: ზეით არი, ქვეით არი, მოექცა ზეითა...

მაშინვე ზმნიზედას კახურიც, მსგავსად გურულისა და სხვათა, წარმოგვიდგენს მაშინათვე სახით (← მაშინათვე). მას ხშირად ხმარობს რ. ერისთავიც, როგორც გმირთა დიალოგებში, ისე თავის მეტყველებაში; მაგ.: მაშინათვე შაუდგა. მახსენე და მაშინათვე მუალო...

ლიტერატურული შინაღან და შინისკენ ზმნიზედების პარალელურად გამოყენებულია შინაღან (← შინაღან ← შინათგან ← შინათგან) და შინათკენ (← შინათკენ; შინა ჩვეულებრივ არ იკვეცება კახურში; შდრ. წინათ);² მაგ.: შინაღან გაგზავნა დედაკაცმა... მიდიოდა შინათკენ.

ხმარებაშია შიგ ზმნიზედის გარდამავალი სახე შიგა (← შიგან); მაგ.: ჩადო შიგა, შიგა ცხოვრობდა...

¹ მანდა (← მან-და) ზმნიზედა ამიღებულია ან მან || მან-ის კონტრამინაციით, ანდა დ-ს წინ ნ-ს განვითარებით ფონეტიკურ ნიადაგზე: არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზის.სათვის ქართველურ ენებში, ზვ. 174.

² შინათკენ ფონეტიკურ ნიადაგზე (ასიმინაციით) გვაძლევს ზოგჯერ შინათკენ ფორმას: შინათკენ იხმარება რ. ერისთავის ენაშიც.

იოლად ზმნიზედის გვერდით ხშირია იოლას. იგი ზოგჯერ ენაცვლება ადვილად ზმნიზედას: მე მგონია, რომ შენ იოლას წახვალ...

კახურშიც რათ || რათა იხმარება ჩვეულებრივ. იგი გამომდინარეობს ჩად, რადა ფორმისაგან და ატარებს რატომ, რისთვის ზმნიზედათა შინაარსს. მას ზოგჯერ ენაცვლება რას || რასა, რაღას; მაგ.: რათ გამოიქეციო, რათა ხარ ეგრე დაღონებულიო?.. რაა დაღალე ეს კურდღელიო? რასა ქუჩდება, რაღას წაყიდო...

ამიტომ და იმიტომ ზმნიზედების მნიშვნელობით კახურში ჩვეულებრივია ამისათვის, იმისთვის და ამაზე, იმაზე; მაგ.: ამისათვისააო დაღონებულიო, იმაზე არ ვაქნევ პურსაო, რო... იმაზე ვამომო, რო...

სწორედ ფორმის ნაცვლად გავრცელებულია წორე; მაგ.: წორე მითხარი და სხვ. წორე მსაზღვრელადაც გამოყენებულია: წორე ქვეაზე არ ნინახამსო...

ბოლოს, უკანასკნელ მნიშვნელობით გაბატონებულია არაბულიდან მომდინარე სიტყვა ახში; მაგ.: გამაიყვა ახში, მერე ახში შაირიგა.

ზოგჯერ ვითარების გარემოების ფუნქციებს ასრულებს მიმღეობა სახელობით ბრუნვაში; მაგ.: სოვდაგარმა გაჯავერებული ამოიღო ფული...

კახურში დადასტურებული ზმნიზედები არ არის უცხო არც ფორმითა და არც შინაარსით კახეთიდან გამოსული მწერლებისათვის. შედარებით მცირე ნაწილია ისეთი, რომელიც მარტო პერსონაჟების მეტყველებაშია გავრცელებული და მხოლოდ აქა-იქ იჩენს თავს ზოგიერთი ავტორის ენაში. ისეთებია: იგრევე (=ისევე), იოლას (=იოლად, ადვილად), მას უკან (=მას შემდეგ), ამხელად (=ამჯერად), აქნობამდე (=აქამომდე), ემანდ'ე! (=აი მანდ), რახან (=რადგან) და სხვა; მაგ.: იგრევე ეშმაკებმა წაიღეს (გმ. მელ. 16), იოლას უნდა წაიყვანოთ (გმ. იქვე, 15), მას უკან ენასაც ამოიღგამს და ახში ლაპარაკსაც ისწავლის (დ. მაჩხ. 13), ამხელად ესეც საკამო იქნება (იქვე, 23), აქნობამდე ჩაფიქრებული იდგა აივანზე (ევდ. III, 125), ემანდ კერას ქვეშ არიო (გმ. მელ. 16), ემანდე შენთვის არა ზიხარ! (გმ. ევდ. III, 214), რახან სიტყვამ მოიტანა (დ. მაჩხ. 70), რახან ენაგრე (გმ. მელ. 64)...

41. ნაწილაკები. ლა ნაწილაკიანი რა ნაცვალსახელი ორგზის არის ნაბრუნები და ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის თანამოვნიითი ელემენტი პირველ ნაწილში დაკარგულა: რიღასთვინ მოხველ აქაო? რიღასთვინ უნდა? რიღათი წახვალ?..

ლა ნაწილაკი ზმნასთანაც შეიძლება შეგვხვდეს იმავე მნიშვნელობით, რითაც იხმარება სხვა სიტყვასთან (ძლივსლა, მაშინლა, მერელა)¹; მაგ.: თუ ცოცხალი მყავდა; როგორ ვეჩვენოლა; რა გითხარლა; მანდ აღარ მივედილა; ვერკი დავდივარლა.

დადასტურებითი ნაწილაკის მნიშვნელობით იხმარება ზოგჯერ კია (←კია+არის²), რომელიც გვხვდება ქართლურშიც; მაგ.: დაღო და გაუხარდა კია ეს ბექედი, ამბობდა კია, რომაო...

არ+ცა+კი ნაწილაკებში ციკარგება და გვრჩება არკი³; მაგ.: არკი იცოდა, რო თავი ქმარია; არკი მოკვდა, გაუძლო.

ზოგჯერ ეგვევ არკი იხმარება კი არ ნაწილაკების მნიშვნელობით: ჩვენ არკი ვფხაქნით, ჩვენა ვწერამთ.

¹ მაგ.: მაშინლა გაიცინეს, მერელა შეხვდა ბიკმა, არსაიდლა გავიდა.

² ა.შინიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 633.

წინადადების ბოლოს იხმარება მარტივი რა ან რთული რაღა (←რა+ღა) ნაწილაკი, რომელიც გარკვეულ სტილისტიკურ ელფერს აძლევს წინადადების შინაარსს; მაგ.: ის იყო უშვილო ბიძა რა! უნდა შეკამოს რა!.. მითომ არ იცოდა გამოკანკვლა რა! (გმ. მელ. 30)... როცა ის დროა რაღა, რო... ხუთი კაცი გალახა რაღა!

უარყოფით ნაწილაკად იცის ზმნასთან ვერ არის გამოყენებული; მაგ.: ვერ ვიცი; ვერ იცოდა, რო მინდოდა.

თუ წინადადებაში ნახმარია კინალამ ნაწილაკი, რომელიც ზოგჯერ კინამ (|| იშვიათად კილამ) სახითაც გვხვდება, ზმნის წინ ხშირად გვევლინება უარყოფის არ ნაწილაკი; მაგ.: კინალამ არ მოკლა ცემითა, კინამ თავი არ დაგვარქე, ის კაცი კინამ არ მოკლა, კინამ თან არ გვეყცი...

ეს არ ნაწილაკი ფეხს იკიდებს სალიტერატურო ქართულში და მას ხსნიან რუსული ენის გავლენით¹. მაგრამ კახურში მისი ხმარება ამტკიცებს, რომ ის საკუთრივ ქართულში გაჩენილა.

ზოგჯერ -ცა ნაწილაკი სრულადაა შემონახული, ხოლო -ვე ნაწილაკი შეკვეცილად; მაგ.: ჩაცმითაცა და ქამითაცა, გაღელწამენ მანქანითაცა და კალოზე კევრებითაცა... ხუთნივ წამოვალთო, იგრევ შინავ ნაიტანა...

გვების იხმარება აგების სახითაც; მაგ., აგების ის დაგებმაროსო...

უნდა ნაწილაკი ზოგჯერ ძველი ფორმით გვევლინება; ესაა უნა ან ა-ს მოკვეცილ უნ: უნა გვეტეხნა, უნა მიეცათ... უნ დაფარული იყოს.

სხვათა სიტყვის ო ნაწილაკი შეიძლება დაერთოს წინადადების რამდენსამე წევრს; მაგ.: გაფრთხილდითო ყველამო; ვასწავლითო ამასაო ქურქლის გაკეთებასაო; ხოლოთაო მქედელსაო რკინი ქალმები ამასხმევიენო.

სხვათა სიტყვის ო ნაწილაკი ხშირად იხმარება თქვა || თქო და მეთქი ნაწილაკების ნაცვლადაც; მაგ.: უთხარ ხემწიფეს, წავალ და მოგიყვანო; მე უთხარი: სახლში გასარდელი აღარავინა მყავსო და მეც აქ დამტოვეთ ჩემ შეილთანო!

ზ მ ნ ა

42. თემა. მთელ კახურში, გარდა ყვარლის რაიონის მეტყველებისა, აწყყოს თემის საწარმოებლად -ავ, -ევ, -ოვ სუფიქსთა ნაცვლად -ამ, -ემ და -ომ არის გაბატონებული, მაგრამ შედარებით უფრო გავრცელებულია -ამ. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ გვევლინება -ავ თემის ნიშნის ნაცვლად და ანალოგიით გვაქვს იმ ზმნებშიც, რომელთაც ფუძის საწარმოებელი ან არ გააჩნიათ, ანდა ფუძედრეკადია²; მაგ.: გნებამთო? ქუდი ხურამ, გიტარა უქირამ, არა უშამს, მიულოცამენ, დილა-სალამო შახხედამს, თესამდა, ვერა ვბედამდით, მაგი სიტყვა გჯერამთო³...

უთემისნიშნო (წერს) და ფუძედრეკადებში (კრეფს) და აგრეთვე იმ ზმნებშიც, რომელთაც თემის -ი ნიშანი აქვთ (გვის), ჯერ ჩნდება -ავ, ხოლო შემდეგ ეს უკანასკნელი იცვლება -ამ-ად; მაგ.: სწერავს, გაატეხავს, გაფენავენ, იქერავდა, ვერ გატენავდა, მოსავალს ვახდენავდით... -ავ → -ამ: გაატეხამს, მყუფამს ძალღივით, წუხამს, ვზელამ, კრეფამს ყველდღე, გამოგლეჯამს, დავიქერამდით, ხალიჩაა გაუფენამდნენ, სკოლაში გავზარდამო, ყიდამს, წონამდა, ტენამდა...

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 635.

² ვ. თოფური, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, გვ. 227 - 233.

³ -ავ → -ამ და -ევ → -ემ, -ოვ → -ომ დაწვრილებით იხილეთ ფონეტიკურ ნაწილში.

ყვარლის რაიონის მეტყველებაში ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ -აგ სუფიქსია წარმოდგენილი; მაგ.: წერავს, გატეხავს, ყეფავს და სხვ.

ამ და სხვა ზმნათა მასდარშიც (-ა)გ არის გაჩენილი კახურში; მაგ.: წერვა, გატეხვა, ცქერვა, დაქერვა, წველვა, სროლვა, ბრძოლვა...

-აგ (|| → -ამ), -ებ თემის ნიშნები ზოგჯერ იწვევენ ფუძის დრეკას; მაგ.: გავთქვიფავ, დაგრიხამდნენ, მოუჭირეთ და სხვ.¹

-აგ (|| → -ამ), თემის ნიშნის გაჩენა, რაც გამოწვეულია -აგ (-ამ) სუფიქსიანი ზმნების ანალოგიითა და უნიფიკაციის ტენდენციით, არ არის მხოლოდ კახურის დამახასიათებელი. მას ადგილი აქვს მთელ რიგ კილოებში (ქართლურში, მესხურსა, ინგილოურსა, იმერულსა და ლეჩხუმურში).

დილაქტების გზით თუ უნიფიკაციით -აგ აქვს დართული სალიტერატურო ქართულში ისეთ ზმნებს, როგორცაა: ხოცავს, რეცხავს და სხვ. (შდრ. ძვ. ქართ. ხოც-ს, რეცხ-ს და სხვ.).

კახურში აქა-იქ (უფრო ყვარლის რაიონში) ვხვდებით -ამ თემის ნიშნის -აგ-ით შენაცვლების შემთხვევებსაც; მაგ.: დაართყავ, დავასხავთ წყალსა, ისხავდა ყურძენს, წყალს სვავენ, დაადგავდა უღელს, რაღას იზავდა...

ზოგ ზმნაში, კახურში უფრო იშვიათად, ვიდრე ქართლურში, -ებ თემის ნიშანს ენაცვლება -ამ; მაგ.: ხელსა ვკიდამთ, თონეში ჩაეკიდამთ, აკეთამენ, დავიყვირამ, ქვეყანა დაინარჩუნამენო, ეხლა იჩხუბამენ გაყურები ნამდი სეირსაო...

ეს უთუოდ გამოწვეულია თემის ნიშანთა გაერთფეროვნების ტენდენციით.

ზოგ ზმნაში -ამ შეიძლება მოგვევლინოს -ომ სუფიქსის ადგილასაც; მაგ.: ეტყვი და უამბამ...

-ევ და -ოვ თემის ნიშნებსაც ხშირად ცვლის -ემ და -ომ; მაგ.: თავს იქნემს, ყურადღება აქცემენ, აქმემდა, აძლემდნენ... ახსომს, ძომდნენ...

-ემ და -ომ ხშირად ენაცვლება -ებ და -ომ თემის ნიშნებსაც; მაგ.: წავიღემ, მე აგიკიღემ, აკეთემს, თავ არიღემს, დაუძახემდა, დრო ატარემდა... გააქრომ, რისთვის ამომო, აწყომს, მუშაომდა,

ზოგჯერ სუფიქსისეული -ოვ თემის ნიშანიც, შედარებით იშვიათად, შეიძლება შეიცვალოს -ომ-ით; მაგ.: ყონს, გაყომთ...

ანალოგიის შედეგია უწყვეტელში -დ ნაცვლად -ოდ სუფიქსისა; მაგ.: ვშველიდი (შდრ. ვთლიდი)...

უთემისნიშნო ზმნებში და -ო თემის ნიშნის, აგრეთვე -აგ სუფიქსის ნაცვლად შეიძლება გაჩნდეს -ებ; მაგ.: იხმარეთ ის იარაღს, მოიხმარეთ ის, აახილეთ თვალეთსო... თოფებს გაისროლებდნენ, დაუხუჭებენ²...

სალიტერატურო ქართულის მიხედვით მოსალოდნელი იყო -ებ თემის ნიშანი მასდარში თუ ზმნაში, მაგრამ გვაქვს მარტივი ფუძე ან -ო სუფიქსი (ან კიდევ -ნ); მაგ.: ქონების მოტაცნა, ტოტის ჩამოწვდა, შაახევიწოდა, ბავშვს მოშოდაო... ქვაფს მივაწვდით (=მივაწოდებთ)...

¹ ნაკლებ საფიქრებელია, რომ ამ ზმნებში **ო** ხმოვანი აორისტიდან მოდიოდეს, როგორც ამას ფიქრობს ილ. ცერცვაძე: ფუძედრეკად ზმნათა თავისებური წარმოებისათვის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი I, 1941, გვ. 188—189.

² გვაქვს მიმღობა გასამხელებელი, რომლის ამოსავალია ამხელებს (=ამხელს); მაგ., ჩემი ხელობა გასამხელებელი არ-ალიო.

-ო თემის ნიშნიანიც შეიძლება მოგვევლინოს უნიშნოდ; მაგ.: მცხვარს მოსწველენ...

ზოგიერთ ზმნაში და მისგან ნაწარმოებ სახელებში, აგრეთვე სხვაგანაც, -ებ-ის ნაცვლად -ობ არის თემის ნიშნად; მაგ.: ფუტკარი იწყობს გამრავლებას, დოდი იწყობა, აქადამ და იწყობდა, ასწრობს, ვერ უსწრობდა. დღეობას ესწრობიან, წასვლას აპიროფს, მოკვლას უპირობენ, გყუროფთ, მოქმედობდა, კიკქიკობდნენ¹... მოსწრობა, გემოვნობა, ბედნიერობა, სიამოვნობა, ბოროტობა, უბედურობა, დანიშნულობის დროს, წვეულობა იმიე დაწყობილი საქმეა, მახარობელი, სრულობით, პატიოსნობით სამსე...

პირიქითი შენაცვლების შემთხვევა მეტად იშვიათია, მაგ., უამბებ და...

ზოგჯერ -ან, კაუზატივის -უნ გვევლინება ისეთ ზმნებში, რომლებშიც სალიტერატურო ქართულის მიხედვით არ იყო მოსალოდნელი: მომატყუნანა, არ დააცხუნო, ბინაე მოუთბუნებთ.

აწმყოს თემის ნიშნების მონაცვლეობა შეინიშნება კახეთიდან გამოსულ მწერალთა ენაშიც: -ებ — -ობ: ვერ მიაჰსწრობს (გმ. მელ. 48), ვერ ვასწრობ (გმ. დ. მაჩხ. 89), შორს ცისკარი კამკამს იწყობდა (გმ. ილია, I, 166), სწავლა და იწყობა (თარგმ. რ. ერისთ. IV, 415), ვერ მიაგნობდა ჩვენს წუხილს (ილია, VII, 14), ვერ აძლობდა (მიხ. მრევლ. 13)... და პირიქით -ობ — -ებ: ეგრე უბიწოდ იგი სცხოვრებდა (ილია, I, 209), როგორა სცხოვრებს? (ილია, VI 101)... -ავ — -ამ: დაჰკრამდა კვერს (ილია, III, 175), ნახამ (გმ. ილია, III, 129), ჩემს თავს ჩემი ხელით მოვიკლამ (გმ. რ. ერისთ. III, 10), ცოლს ირთამსო (გმ. ევდ. III, 25)... -ამ — -ავ თავბრუს ასხავს (ს. შანშ. შ. ბ. 112)... არ ჩამიცივავს (გმ. ილია, III, 242)²... -ოვ — -ომ (მეტად იშვიათად): შენ არც კი გახსომს მამა (გმ. მელ. 59)... -ებ — -ავ (|| → -ამ): პოეტსა ხალხი დაჰბადავს (ილია, IV, 49), ჰბადავს (ილია, VI, 205)³. ეს შენაცვლება მხოლოდ რამდენიმე მაგალითში დასტურდება მწერლობაშიც ისევე, როგორც კახურში.

ანალოგიით -ავ (|| -ამ) სუფიქსი დართულია ზმნებში: შენ მწერავ (გმ. ევდ. III, 161), ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყეფავს (გმ. ევდ. III, 162), გლეჯავს ხეებს (რ. ერისთ. I, 194), ყველასა ჰყვლეფავს და სულს იწყმენდავს (დ. მაჩხ. 15), ცრემლებს მოსწმენდავს (რ. ერისთ. I, 198), ცოტა ხანს შევსწყვიტავთ (ევდ. III, 8), ვინ ჩქმეტავს? (გმ. ს. შანშ. ამბ. 89), ჰკბენავს (ევდ. II, 212), იმდენს არ კრეფავდნენ, რამდენსაც სჰყლეთავდნენ ვაზზე (ევდ. III, 127), ზოგი ზელავდა ვარცლში (მიხ. მრევლ. 199)...

¹ ამ ზმნებშიც შეიძლება მოხდეს ბ-ს შენაცვლება მანით; მაგ., მპატიეომენო.

² გმირთა მეტყველებაში -ამ სუფიქსის ნაცვლად (ან მის პარალელურად) -ავ-ის ხმარება უნდა აიხსნას ყვარლის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების გავლენით. ეგვემ გავლენა უწყობს ალბათ ხელს იმასაც, რომ გმირთა მეტყველებაში, კახეთის სხვა კუთხეების მეტყველებასთან შედარებით, ნაკლებად არის გამოყენებული -ავ სუფიქსის ნაცვლად -ამ. ილიას ენაში იგი მხოლოდ მეტად იშვიათად გვევლინება, პუბლიცისტურ წერილებში სულ არაა ნახმარი.

³ ჰ-ბადავს ზმნიდან ნაწარმოებ მოქმედებითი გვარის მიმღობაშიც -ავ სუფიქსი გვაქვს ჯერ შევებდავ ცას, ქვეყანის დამბადავს (ილია, I, 12).

ამ ზმნათა მასდარშიც ვ გვაქვს, ხოლო აწმყოს მიმღეობაში -ავ გადა-
ჰყვება (სიტყვის გამტეხაეი: დ. მაჩხ. 146).

აქა-იქ ვხვდებით -ვბ სუფიქსის დართვის შემთხვევასაც (მწერლობაშიც):
თვალს გავახილებ (დ. მაჩხ. 28), არაფერს არ შეგვძინებენ (ილია,
IV, 44), საჭიროებას ახმარებენ (ილია, VIII, 209), გოგო, რა დაგმარ-
თები ია? (გმ. მელ. 13), წაგაიყვანებენ (გმ. მელ. 68).

ზოგიერთი ზმნა წარმოდგენილია მარტივი ფუძით: ცხენს უკულმა შე-
ჰკაზმენ (ილია, V, 146), გული მიტოკს (ილია, II, 20)¹, სივრცეს მო-
ცურს (ილია, I, 19)², ჰმარგლის, სთესს (ილია, III, 41), კარს მოკეტს
(რ. ერისთ. IV, 292)³, თამადა დაგლოცს (რ. ერისთ. I, 46), ბელურა იქ
ჰმღერს, ბულბული აქ... ვარდას დაჰკენეს და დაჰკენეს (ილია, I,
9), მოჰკვეხს ოქრო, (ილია, IV, 163), უსწავლელობით მოჰკვეხენ (იქვე,
51), არცა ჰკვეხს (ილია, VI, 163), ხედვა სწყურს (ილია, I, 222),
რა უნდა იგულისხმოდეს (ილია, IX, 173), ცხადად დასაჯერია
(ილია, X, 8)...

რეცხ-ს ზმნა ზოგ კილოში (მათ შორის კახურშიც) მარტივი ფუძითაა
შემონახული. ილიასთან და სხვა მწერლებთან გვხვდება პარალელური სახით:
პრეცხს (ილია, IX, 68)... ცრემლით ურეცხავს (ილია, I, 207).

43. ზმნისწინი. კახურში შეიმჩნევა ზმნისწინების ხმოვნითი ელემენტე-
ბის გაერთფეროვნებისაკენ მიდრეკილება: მო-, შე- და ასევე მო-ს შემცველი
შემო-, გამო-, ჩამო-, წამო-, ვადმო-... ზმნისწინები ჩვეულებრივ გვევლი-
ნება მა-, შა-, შამა-, ვაშა-, ჩამა-, წამა-, ვადშა-... სახით.

ხშირად ხმოვნითი ელემენტის ცვლას, ფონეტიკური მიზეზების გარდა⁴,
იწვევს ზმნაში პირთა ცვლაც; ასე, მაგალითად, II და III სუბიექტურ პირთან
ჩვეულებრივ გვევლინება მა- (თუ ზმნის ფუძე ხმოვნით იწყება), ხოლო პირ-
ველ სუბიექტურ პირთან — მო-; მაგ.: შენ მაიწერე, მაითმინეთ, მა-
იტანსო, მაიწეოდა, მაილაპარაკეს, მააჰერ რამეო, თანჯარა
გამაალო, მააყოლეთს, მაართყა, მააკრა, მაერია... იმას მაჰკ-
ლამსო... მაგრამ: მე მოიტან, შენ მაიტან, ის მაიტანს.

მო-ს მაგიერ მა-ს ხმარება ისეთ ფორმებში, როგორცაა: მაველენ, მა-
ვიდა, მაკლა იშვიათი მოვლენა და კახურისათვის არ არის დამახასიათებელი.

მო- პრევერბი მა-ს სახეს იღებს მაშინაც, როცა იგი რთული ზმნისწი-
ნის მეორე შემადგენელი ნაწილია; მაგ.: ამაიღე, ჩამაიღე, ჩამაიარა,
სანამ წამაიზრდებოდნენ, წამაიყვანეს... ჩამაართვა, ჩამაეხევა, ჩამაასხა... წარმა-
ადგენს... ვადმააქცია, ცხენმა ვადმაავლო, ვადმაადიხარ...

პირველ ობიექტურ პირთან სისტემატურად მა- (ამა-, ვაშა-, შამა-
ჩამა-...) გვევლინება, ხოლო II ობიექტურ პირთან მო- (ამო-, გამო-, წამო-,
ჩამო-...); მაგ.: მამგვარე, მამცა, მამყამს, მამივა, მამიკვდა, წა-
მამცდა, ვამამართმევთ... მაგრამ: მოგიტანა, მოქცა, ვადმო-
ქცა და მისთ.

¹ მასდარში აქ ვ (← -ავ) გვაქვს: ტუზებს-ლა დაუწყო ტოვეა (ილია, III, 101).

² შდრ. მიცურავს დინჯად ცაზე (ილია, I, 22).

³ შდრ. კარს ჰკეტამს (რ. ერისთ. IV, 298).

⁴ ფონეტიკური მიზეზით პრევერბის ცვლა განხილულია ფონეტიკურ ნაწილში (იხ. ასი-
მილაცია და დისამილაცია).

თუ ზმნისწინისეული ო-ს მომდევნო უ არის ან პოტენციალურად ვ ივარაუდება, მაშინ ო ჩვეულებრივ გვენახება უცვლელად; მაგ.: გამოუყენა ვეზირი, მოიდა სახში.

ზმნისწინისეული ო-ს შეცვლა ანით არ ხდება აგრეთვე მაშინაც, თუ ეს (ო → ა) იწვევს შინაარსში ცვლილებას (შდრ. წამო-ხტა და წა-მ-ახტა, ჩამო-ხტა და ჩა-მ-ახტა, წამო-დგა და წა-მ-ადგა).

კახურის დამახასიათებელია აგრეთვე შე- ზმნისწინის შა-ს სახით ხმარება; მაგ.: შაჯდა, შასხდნენ, შახვია ქალაღდში, შასწუხდა, შავიტანდით, შავიდა, შაირთო, შააგდო, შაატყობს, შაურჩევს, შაემზადე, შაეშინდათ, კაცი შამაძხვდა.

ხშირად შა- გვაქვს საწყისსა და წარმოქმნილ სახელებში: შაცდომაში შაიყვანეს, შახედულობა, შასახედი, შასათფერისი ქალიო, შამაღდომით...

შემდეგ და გარშემო თანდებულისა და ზმნიზედის შე ელემენტიც შა-ს სახითაა ზოგჯერ; მაგ.: შამდეგ, შამდეგში, გარეშამო, გარშამო.

დაკარგულია აღ- და გან- ზმნისწინების ღ და ნ თანხმოვნები ასეთ მაგალითებშიც: ავზარდე, ამააჩინა, ამააჩნდა ვაშლი, დანა ამოუჩინეს ლოგინში... გათქმული: კაცი მოგვიკვდა გათქმული.

გან- ზმნისწინისეული ნ ელემენტი ზოგიერთ სიტყვაში გვევლინება ფუძის ორგანულ ნაწილად; მაგ.: გაანთავისუფლა, ანთავისუფლებს, განვითარა, ანვითარეფს, გაანხორციელა, ანხორციელეფს...

ამ სიტყვებში ზმნისწინის ნ ელემენტი ასევე ფუძესაა განკუთვნილი რიგ კილოებში. ცოცხალი მეტყველების გზით იგი ასახულა მწერლობაშიც. მას ჩვეულებრივ ვხვდებით ნაწარმოებთა პერსონაჟების მეტყველებაში და თავს იჩენს ზოგიერთი ავტორის ენაშიც: ყმა გაანთავისუფლა (გმ. ილია, II, 280), არ გაანთავისუფლონ (გმ. მელ. 72), ანთავისუფლებს ჩაგრულ მონებს (ს. შანშ. შ. ბ. 26)...

გარდა- ზმნისწინში ზოგჯერ ბოლოკიდურ ხმოვანთან ერთად იკარგება რაეც; მაგ.: სულკალმახი გადიცვალა, გადვიდა, გადიტანს, გადილებდნენ.

ზმნისწინი და- ხშირად იხმარება მაშინ, როცა ზმნასთან ან მასდართან ან კიდევ მიმღობასთან ხმარებული ობიექტი (ზოგჯერ სუბიექტიც) მრავლობითშია, ან სათანადო სახელი კრებითია; მაგ.: დაუშინჯეს ყველას ჯიბეები, საფეხურები დააკეთებინა, დაიმსო უბე და ჯიბეები, სუყველა დაეყიდეთ, იმათ დააშველეს ერთმანეთი, ტანისამოსი დაიხადა, ახალი სამოსი დაკეკრეთ, დააწყვეტინა საქონელი, ფრინველი დამიძღე, დააწუხა დედაკაცმა ხალხი, დახდნენ, ჩვენ დავიზარდენითო, შენობები დაიმართა, ხალხი დაცოცხლდა, ცხვრის დაწველვას მორჩება...

და- ზმნისწინი ხშირად მოქმედების ინტენსივობაზე მიუთითებს და მრავალგზისის მნიშვნელობასაც ატარებს ზოგჯერ¹.

მრავალგზისის შინაარსით შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე უპრევერო ზმნაც; მაგ.: ღვინოს უფრო უტანდნენ (= მიუტანდნენ ხოლმე), სამი დღე ვყარე ის ვაზი, დედამ ჯერ უმალა, მას უკან გვატარა ძროხაში, უნდა აკეთო

¹ ამის შესახებ დაწვრილებით: ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953.

ხის ცხენებო; ერთი კვირაო სუ საკლავი ხოცეთო, სუ პური აცხეთო; შიშიანობის დროს იქა მალუღიყო ხალხი¹.

ლიტერატურულ ენაში არსებული მო-, მი- და შე- ზმნისწინების ნაცვლად ზოგჯერ და- და გა- ზმნისწინებია გამოყენებული; მაგ.: კალატოზი დაიშველია, დავიშველიე სოფლის გლეხები, ვერსად დაგავლე თვალია, თავადიშვილ უნდა დააკითხებოდა, დედა დაიძულე ბატყანს, გავწუხდი უბედობით, ბიჭი დეესალმა (=მიესალმა), ერთი ცხვარი გამპკარა, გაიხმარეს (=მოიხმარეს) იმ ხალხმა...

გვხვდება სხვა ზმნისწინების მონაცვლეობის შემთხვევებიც; მაგ.: შენ სახლი უნდა დაალამაზო (=გაალამაზო), გამინიყეს (=დამინიყეს), უნდა წახვიდეო! წაიტაცა (=გაიტაცა) ცხენმა, ვერას ჩამოვრჩი (=გამოვრჩი გემშვიდობენ (=გამოემშვიდობენ) ერთმანეთს, მოიზარდე (=წამოიზარდე), მაშინ იღბალი უნდა აუჩინდეს (=აღმოუჩინდეს, გაუჩინდეს).

პრევერბიანი ზმნა აქ ზოგჯერ უპრევერბოდაა წარმოდგენილი: მე და ძაღლი ვიძგერენით, მე და დათვი ვიტაკენით...

შეიძლება წავაწყდეთ პირიქით შემთხვევასაც: ყველაფერი მოვიქონიეთ... ვინ არის მოუკვდავი...

აღმოსავლეთის საპირისპიროდ ჩვეულებრივ იხმარება ჩასავლეთი; მაგ., წავიდნენ: ერთი ჩასავლეთისკენ, ერთი აღმოსავლეთისკენ.

მოახვედრებს ზმნას კახურში ვხვდებით მი- პრევერბითაც, სადაც მი- მიმართულებით უპირისპირდება მო-ს; მაგ., მიახვედრა თოფი და მოკლა ირემი იქვე.

შე- და მო- ზმნისწინები და ეგვევ რთულ ზმნისწინებში შა-სა და შა-ს. სახით იხმარება კახეთიდან გამოსული მწერლების ნაწერებშიც. იგი ჩვეულებრივ გამოყენებულია პერსონაჟთა მეტყველებაში, მაგრამ ზოგჯერ თავს იჩენს ავტორის ენაშიც; მაგ.: შამოგჩივი (რ. ერისთ. I, 226), მთელმა სოფელმა შაიტყო (იქვე, III, 4)... ქალაქში ღამის ხარჯს მადრიდნენ (ილია, III, 144), ამადიდეს კრიალოსნები (იქვე, 243)...

მო- ზმნისწინი შა- სახით აქაც უმთავრესად გვაქვს პირველ ობიექტურ პირთან (მესამე სუბიექტურ პირთანაც: მათმენდა, ამიიღეს, მაიხადეს): ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს (ილია, II, 8), მაძიტანა და მამცა (გმ. მელ. 42)...

აქაც გვაქვს ზმნისწინთა მონაცვლეობის შემთხვევები სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით: და- — გა-: გიქსავით გაფეთებული შემოვარდა კესო (ილია, III, 98), ჯერ ზაზანდრებს გაუმეგობრდა (რ. ერისთ. III, 19), ვერ გაისაკუთრა (ილია, VIII, 58), უწინდებულად გაუბეგრავს თავი (ილია VIII, 32), გაკანონდეს (იქვე. 214), გული გამილია ამდენმა ფიქრმა (გმ. მიხ. მრევლ. 172)... ჩა- — შე-: არ შეუკეტნია თავი (ილია, VIII, 60), აქ ავტორი გვიმტკიცებს ქართველების კარშეკეტილობას (ილია, V, 56)... შე- — და-: მივიდა შინ დაზარხოშებული (რ. ერისთ. III, 21)... და- — წა-: რატომ არ წაუხსაბუთა რამ და თუ წაუხსაბუთა

¹ თუ ზმნა პრევერბს არ ირთავს, მრავალჯნისის შინაარსის გადმოსაცემად ხდება მისი განმეორება; მაგ.: ხემწიფემ იღონა, იღონა, ვერვინ იგონა. იგონა ზმნა აქ არ არის განმეორებული, რადგანაც მას პრევერბი აქვს „ჩამოცილებული“.

რა (ილია, V, 62)... და — მო: ათის დღისას უსათუოდ მოჰხნავდა და მოს-
თესავდა (ილია, III, 43)... ჩა — გან: სატიკივარი დიღია და ღრმად გან-
ძირული ავებულებაში (ილია, X, 121)... გან — ჩან: ამოდ ჩანვლეს სამ
დღის ძებნათა (თარგმ. ილია, I, 264)... გაღმო — მო: პირობა უნდა დაედვათ,
რომ მოებირათ (ილია, VIII, 169)... ჩამო — ვამო: ხელი გამოართო
(რ. ერისთ. III, 16)... გადა — და: ამ კაციკამიამ არ დაგვყლაპოსო
(გმ. რ. ერისთ. III, 32)...

ზოგჯერ ზმნისწინი გვაქვს იქ, სადაც სალიტერატურო ქართულის მი-
ხედვით არ იყო მოსალოდნელი: მოვილოდინოთ? (ილია, VI, 9), ახალი
წესი და დაწყობილება (იქვე, VI, 230)...

ვხვდებით პირიქით შემთხვევასაც: არ გახდეს მსხვერპლი ძულები
(ილია, VIII 309), მასთან ჩენილან (თარგმ. ილია, I, 266), მთვარე მეფუ-
რად მძლავრად ვიღოდა (იქვე, 158)...

მი და მო- ზმისწინები ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებას უჩე-
ვენებენ ისეთ სიტყვებშიც, რომელთაც სალიტერატურო ქართულში ასეთი
მიმართულების განოსახატავი პრევერბი არ დაერთვის: ცოლს არც კი მიემ-
შვიღობა და წამოწვა (ილია, II, 220), [მერცხალს ქუდი] მივარტყი (გმ.
ევდ. III, 133), მის ფეხის ხმასხმა მოსცა მთამა (ილია, I, 160), მოეცი
ძალი დავრდომილსა (იქვე, 146)... უკანასკნელი ძველი ქართულისებრია.

არღვენს ზმნაში წარ- პრევერბის რ ელემენტია გაქვავებული: რუხები
არდგენენ (ილია IX, 7)...

სიტყვა „განთქმული“ მწერლებთანაც ჩვეულებრივ წარმოდგენილია ნ-ს
გარეშე: გათქმული იყო (ილია, VIII, 248)...

დ რ ო

44. I სერია. ვყევარ, ჰყევხარ, ჰგევხარ, ვდგევარ, დგეხარ,
დგენან, წვენან და სხვებში, რომლებიც კახურსა და ქართლურშია გაბა-
ტონებული, ვარაუდია, რომ ე გაჩენილია „წოლა“ ზმნის I და II პირის
აწმყოს ფორმების (ვწევარ, სწევხარ) ანალოგიით². მაგრამ უფრო საფიქრე-
ბელია, რომ იგი სუფიქსისეული იყოს.

ეს ზმნები ამ სახით თქმირებულია მწერლობაშიც: ვყევართ (დ. მაჩხ.
36), სად მივეყევართ? (გმ. ს. შანშ. ამბ. 141), რაზე მოგყევარ სისხლ-
ზედ? (გმ. მელ. 85, არა ვგევარ განა? (გმ. ევდ. III, 30) და სხვ.

დგას ზმნის მეორე პირის ფორმა იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს დამხ-
მარე ზმნის გარეშე, როგორც ეს ძველ ქართულში იყო; მაგ.: ქალო, რასა-
დგა აქ? (= რატომ დგახარ აქ? შდრ. ძვ. ქართ. შენ სდგა).

რბ-ი-ს ზმნა ზოგჯერ კახურშიც ინარჩუნებს ი ხმოვანს ნამყო უწყვე-
ტელში, როგორც ეს ძველ ქართულში გვქონდა; მაგ., მორბიოდა და სხვ.
(შდრ. მოდიოდა).

ჰქვია ზმნას ნამყო უწყვეტლის ფორმა გაუჩენია ანალოგიით: ჰქვიოდა;
მაგ.: იმის ცოლს რა ჰქვიოდა? უფროს ბიძას ქვიოდა გურგენი.

ეძახი-ს ზმნა უწყვეტელში ჩვეულებრივ -ოდ სუფიქსიანია: ნუგზარს ვე-
ძახოდით, ეძახოდნენ გრემის ქალაქს...

¹ ნ აქ გან- პრევერბისეულია, მაგრამ ანალოგიით გაჩენილი.

² ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 541—542.

ზოგიერთი -ავ'იანი (|| -ამ'იანი) ზმნა უწყვეტელში ხანდახან -ო-დ სუფიქ-სით იწარმოება: ჭ წ ა მ ვ ლ ი დ ი ვ ე ნ ა ხ ს, ა ხ ლ ა ვ წ ა მ ლ ი დ ი ¹; ს უ ჩ ა გ რ ი დ ა. არაა საფიქრებელი, რომ აქ საქმე გვექონდეს ძველი ქართულისებრ უწყვეტლის წარმოებასთან (ვჰკითხვიდი, ჰკითხვიდი, ჰკითხვიდის). ი გაჩენი-ლია უთუოდ -ო თემის ნიშნიანი ზმნების (ვმკი, ვმკიდი, ვთოხნიდი...) ანა-ლოგიით, ის თავს იჩენს აწმყოშიც: ახლა არავენა ნათლის შეილსაო.

ყიდი-ს ზმნა უწყვეტელში ზოგჯერ ყიდიდ-ა სახით გვევლინება, როგორც სხვა კილოში (მაგალითად, იმერულში); მაგ.: ყმასა ყიდიდა, იყიდიდა გუდურეთს... ყიდიდა ნაწარმოებია თლიდა, ქრიდა ზმნათა მსგავსად. აღსა-ნიშნავია, რომ ყიდი-ს ზმნის უწყვეტლის ფორმა ძველ ქართულშიც ყიდე-ა იყო.

ზის და ჯდება ზმნები მრავლობითში ძირმონაცვლეა, ინშარება სხე-დან და დასხედებოდნენ.

აქვს და არის ზმნები კახურშიც ისევე, როგორც რიგ სხვა აღმოსავ-ლურ-დასავლურ კილოებში, ხშირად ბოლოკვეცილადაა წარმოდგენილი აქ და არის სახით; მაგ.: პირი აქ, ეს არი.

ინვერსიულ სტატიკურ ზმნებში -ან სუფიქსი დაცულია ყველა ვითარე-ბაში: შემიძლიანო, წყალი მწყურიანო, პური მშიანო, ქცხვე-ნიან, მეშინიან, მცალიანო... ზჯობიან, ჰქვიან...

ამ სახით იყენებენ მათ შწერლებიც: ადამიანს რალაცა ჰწყურიან, რალაცა ჰშიან (ილია, VI, 151), ამასა ჰქვიან (იქვე, 22), მეშინიან (გმ. ევდ. III, 16), გაკეთება სწადიან (დ. მაჩხ. 58), არა გრცხვენიან (გმ. ევდ. III, 12), არა მცალიან (გმ. რ. ერისთ. I, 175)...

ვარგა ზმნა აწმყოს მრავლობითში -ან სუფიქსს გამოაყენებს: ეს მიწე-ბი სათიბად არ ვარგანან (ილია, VIII, 209; შდრ. დგანან).

45. თხოვნითი ბრძანებითი. კახურში იშვიათია მეორე პირის თხოვნითი ბრძანებითის გადმოსაცემად კავშირებითი პირველის სუფიქსის გამოყენება, რაც ასე ჩვეულებრივია მთიულურსა და მოხეურში; მაგ.: ქთხოვ ჩემ მწვანე მდელოჲ გადმახვიდოდე; ტკბილ სიმღერაჲ შემოჲძახოდე! მოხვიდოდე ჩვენსა! მამწერამდე! გამამიგზავნიდე! გამაატანდე!

ანალოგიურ მაგალითს ვხვდებით გარე კახეთის სოფ. პატარძელში ზ. გ. ბილანიშვილის მიერ 1883—1887 წლებში ჩაწერილ ერთ-ერთ ხალხურ ლექსში: „მოხვიდოდე, მოხვიდოდე, განა წლისა სავალია? ცო-ტა რასმე მომიტანდე — უკვდავების წამალი!“²

თხოვნითი ბრძანებითის გადმოსაცემად კავშირებითს ინგილოურიც იყე-ნებს ზოგჯერ, მაგრამ არა პირველს, არამედ მეორეს. თუშურში, ფშაურსა და ხევსურულში გამოყენებულია ნამყო მრავალგზისის მეორე პირის ფორმა³.

ამ მხრივ კახური მთიულურსა და მოხეურს უფრო მისდევს, ვიდრე სხვას. თუ ეს მოვლენა გადმონაშთი არ არის, მაშინ ამ კილოების გავლენით უნდა აიხსნას მისი არსებობა კახურში.

¹ -ავ თემის ნიშნისეული ვ პირველ მაგალითში შენარჩუნებულია ფუძეში მეტათეზისის შემდეგ, ხოლო მეორე მაგალითში იგი არა გვაქვს (ვწამლიდი). ვ-ს არქონა დადასტურებულია მასდარშიც; მაგ., გასხლა (ხედა ხოდაშენი).

² ძვ. საქართველო, ტ. II, განყ. V, გვ. 78.

³ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი ჩეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, გვ 68, 70, 71.

46. II სერია. -ეგ სუფიქსიან ფუძედრეკად ზმნებს, ქართლურისა და ზოგიერთი სხვა კილოს მსგავსად. ნამყო წყვეტილში (აგრეთვე კავშირებით მეორეში და იშვიათად დროთა III სერიაშიც) ვ შემონახული აქვთ; მაგ.: ბეანლახტი დაუქნივა, ტვინი ალაგ დაუნთხივა, იქიდან შემოუტივა, ეშვი შემოუქნივა და კალთა შაუხივა, ვერ დეეწივა მდევარი, შიგერივა, გამაქცოვა, ერთი წავაქცივე, მეეხვიენა, ვარაუდი გასწივეო, ძროხა ერთათ გაურივოთ, არ მაიქნივოს...

ვ შემონახულია აგრეთვე ნამყოს ხოლმეობითის ფორმებშიც, რომლებსაც ჩვეულებრივ ვხვდებით ქიზიყურში; მაგ., დავლივით ე ღვინო.

მოქმედებითი გვარის ზმნებში წყვეტილის I და II პირში -ე სუფიქსის ნაცვლად ზოგჯერ გვაქვს -ე-ს-ი დაბოლოება; მაგ.: სწავლა მივიღევიო, წავიღევიო, ვქამევიო, ცხვარი ჩავრეკევიო, ჯელი ვტაცევიო, დავმარხევიო, ტყავი შაუკრევიო, დაუძახევიო, მე ვკითხევი, სახლი გავაკეთევი...

იშვიათია, რომ -ეგ-ი დაბოლოების გ იკარგებოდეს (უმთავრესად ეს ხდება სხვათა სიტყვის ო-ს წინ): ვნახეი, ვისწავლეი, ძეც გამომამგდებინეი და ჩამაქნატუნებინეო, ქამეო, ეკალი გამომიღეო, თოკი მოუქირეო...

ანალოგიურა ვითარება უფრო ხშირად გვაქვს ქართლურში¹.

-ეგ-ი, ქართლურსა და კახურს გარდა, დადასტურებულია აგრეთვე ზემოიმერულსა² და მთარაქულში³. გამოთქმულია მოსაზრება, რომ -ეგ არის აორისტის არქაული სუფიქსი⁴ (დაეწერე → დაეწერე). ხოლო -ი ანალოგიით გაჩენილია და მორფოლოგიურ ფუნქციას მოკლებული⁵. არის სხვა შეხედულებაც, რომ -ეგ არაა არქაული და ე (დაეწერე) არ მომდინარეობს მისგან⁶.

ფუძეკუმშვადი ზმნები, რომელთაც ახალ ქართულში წყვეტილის I და II პირში ნართაული • გააჩნიათ, კახურში ზოგჯერ ძველი სახითაა, შემონახული; მაგ.: დაუკალ, უთხარ, დავაკარ, წაველ, არვიყავ.

ვაცი ზმნა კახურში ზოგჯერ ბოლოკიდური ი-ს გარეშე იშმის; მაგ.: არც დახაზვა ვიც და არც კიდე ჩაყრა-მეთქი.

საგულისხმოა, რომ ნამყო წყვეტილში -ე სუფიქსის ნაცვლად, თუმცა იშვიათად, • შეიძლება) მოგვევლინოს; მაგ.: აბა, როგორ არი საქმეო, მომკი ეგ ყანაო? მატყლიც დაართი სულ, შიგ დარგი ხეხილებიო, ავილიო.

ანალოგიური წარმოება ჩვეულებრივია ინგილოურში.

იშვიათად პირიქითაც ხდება.

ნამყო წყვეტილში III სუბიექტური პირის ნიშნად ზოგჯერ -ა გვევლინება სალიტერატურო ქართულის მიხედვით მოსალოდნელი ო-ს ნაცვლად; მაგ.: უამბა⁷ ყველაფერი, მორთა, ცოლათ შაირთა.

¹ ვ. თოფურიძე, ქართლური: არილი, გვ. 143.

² ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 91.

³ შ. ძიძიგური, ქართული ენის მთარაქული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი ინგილის მოამბე, 1937, II, 11, გვ. 80.

⁴ გ. როგავა, აორისტისა და კავშირებითი მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ეგ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 8, 1945, გვ. 647—655.

⁵ არნ. ჩიქობავა, კახურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, 1936, გვ. 137.

⁶ ვ. თოფურიძე, ნწყრისის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულში: სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივ. სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებანი თეზისები, 1954, გვ. 126.

⁷ შედარებით უფრო ხშირია უამბა. უამბო და უამბა მიღებულია ამაზგი სახელისაგან (*უამბავა → უამბვა → უამბო || უამბა), როგორც ამას აღნიშნავს გ. შალამბერიძე: კახური დიალექტის თავისებურებანი ყვარლის მეტყველების მიხედვით, გვ. 111.

ასეა ზოგჯერ კავშირებით მეორეშიც; მაგ.: ვერ ივარგებ, რო ეგ შაირ-თაო; მოდი, შავრთათ; რო მოვრთა და დავალამაზო; უნდა მიზლო და სხვ.

ხევსურულსა და მოხურში ეს მოვლენა გაბატონებულია და ახსნილია უნიფიკაციით¹. ეგების კახურშიც უნიფიკაციისაკენ მიდრეკილებით იყოს ეს გამოწვეული.

o- და ე- თავსართით ნაწარმოები ვნებითი გვარის ზმნები დროთა მეორე სერიაში -ენ (→ || -ნ) სუფიქსით გვევლინება მრავლობით რიცხვში; მაგ.: ჩვენ წამოიზარდენით, დავიზარდენით, ენისელში შავიყარენით, იქ დავირივენით, ჩვენ გავიმარჯვენით, დევედვენით და დევეწივენით, დევესივენით აფთარსა, დავილაღენით, მოგვეშველენით... გავეყარნეთო; ესენი რო დაიზარდონ, ქვეყანას ამააგდებენო...

ეს მოვლენა ძველია და გაბატონებული იყო ძველ ქართულში; დადასტურებულია XV—XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებშიც². იგი, კახურს გარდა, ახასიათებს რიგ სხვა აღმოსავლურ კილოებსაც (ქართლურს, მთიულურს, ფერეიდნულს). -ენ წარმოშობით სუბიექტის მრავლობითობის გამო-მხატველი უნდა იყოს³. საექვო ჩანს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ის გადმოსული უნდა იყოს მოქმედებითი გვარის ზმნათა წარიანი ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი -ნ (← || -ენ) სუფიქსიანი ფორმებიდან⁴.

წარის მომდევნოდ კავშირებითი მეორის საწარმოებლად შეიძლება ე მოგვევლინოს, როგორც ეს იყო ძველ ქართულში; მაგ.: უნდა გევერიდნეთ, ჩვენც ვეცადნეთ, აქედან გავიღეთ და მეგრე დავიყვნეთ, უნდა შევეჯიბრნეთ, უნდა დავეხზარნეთო, ცოტა ხან მევეშველნეთ ეხლა უნდა დაიმაღნეთო... ფაიტონი გზაში გადაბრუნდეს, ორივენი დაიხოცნენ.

ანალოგიური ფაქტები დადასტურებულია ქართლურშიც. ეს მოვლენა წარმოადგენს ძველი ქართულის გადმონაშთს.

საინტერესოა, რომ ანალოგიით სხვა ზმნებშიც -ენ (|| →ნ) ჩნდება; მაგ.: ერთ-ერთი თელავში გამომყენითო; ავღგნეთ, გავიპარნეთ.

ასევეა ნ დადასტურებული ხოლმეობითშიც და ანალოგიით საშუალ ზმნაშიც: გამოიდნიან ჩემი ძმები და გაიქნიან, წავიდნიან მემრე, ყაჩაღები იყვნინან.

თუ -ნ მასდარშია, იგი პირიან ფორმებშიც ჩანს; მაგ.: ეპოვენე, იპოვენა, იპოვნიდა, გიშოვნია...

წარიანი მასდარების (პოვნა, შოვნა, ძოვნა და მით.) ანალოგიით ნ შეიძლება გაჩნდეს ზოგჯერ ქსოვა და მისთანებში (და პირიან ფორმაშიც); მაგ. წინდები ქსოვნა იცოდნენ... ფულებით დამძეკნაო⁵.

¹ ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII, 1955, 459.

² ა. მარტოროსოვი, დიალექტიზმები XV—XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 266.

³ ვ. თოფურია, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, გვ. 524.

⁴ ა. შანიძე, პრეფიქსები, 1920, გვ. 12, შენიშვ. 1; მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 458—459.

⁵ მასდარია: ძეგა, დაძეგა, გაძეგა.

დაეხვია, იყოლია ზმნები წყვეტილში უნოდ იხმარება ზოგჯერ; მაგ. ეთერს კბენარი დეესვა, წაიყვანა შინ და იყოლა ხაბაზათ.

ზემოაღნიშნულ მოვლენათაგან ზოგი გადმოსულია კახეთიდან გამოსული მწერლების ენაშიც და პერსონაჟების მეტყველებაშიც; მაგალითად, -ევ სუფიქსიან ფუძედრეკად ზმნებში ვ დაცულია წყვეტილში: თვალები უგემურად მიეღივა (ილია, 257), ასე აერივათ გზა (ევდ. III, 17), ჩაერივა ლაპარაკში (დ. მაჩხ. 95), გადაუქცივე ამას ლხინად (გმ. მელ. 52).

პარალელურად მწერალთა ენაშიც და კახურშიც უფრო ხშირია უვინო ფორმები.

ნამყო წყვეტილში ზმნებს -ე სუფიქსის ნაცვლად აქა-იქ მწერლობაშიც -ე-ვ-ი ახლავს: დავაშტერევი თვალები (გმ. ევდ. II, 221), ნება დამრთევით (ილია, IV, 120), გაიგევეით (ილია, VI, 20), აბა ჩაურივეით (დ. მაჩხ. 135) და სხვ.

ინ-ენიანი ვნებითების მრავლობითში მწერლებიც -ენ (|| → -ნ) სუფიქსს იცავენ დროთა მეორე სერიაში: ჩვენც დავიზარდენით (გმ. ილია, III, 252), მე და ნინა მივეპარენით (გმ. მელ. 10), მომეცალენით (ილია, IX, 41), აბა გაისარჯენით (გმ. ევდ. III, 249)... ყველანი გაიკრიბნენ (ილია, III, 104), მოეგებნენ (რ. ერისთ. III, 17)...

ნარის ზომდევნოდ კავშირებითში ჩვეულებრივ -ე სუფიქსია: უნდა მივეშველნეთ! (ილია, VI, 36), ბატონიანთ ზვარს ვეცნეთო (მგ. მელ. 10), ვეზიარნეთ (დ. მაჩხ. 132), რომ გადაბრუნდეთ და დავიხოცნეთ (გმ. ევდ. III, 8)... მაგრამ -ო სუფიქსიანი ფორმაც გვხვდებოდა: უნდა ეცადნონ (ილია, IX, 55).

ეს მოვლენა ძველი ქართულის დამახასიათებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში კახეთიდან გამოსული მწერლები ანგარიშს უწევენ კახურ ცოცხალ მეტყველებას და არა ძველ ქართულს.

47. ხოლმეობითი. კახეთის ზოგიერთი კუთხის მოხუცთა მოტყვევებაში ჯერ კიდევ შემონახულია ძველი ქართულისა და მთის კილოებისათვის (აგრეთვე ფერეიდნულისათვის) დამახასიათებელი ხოლმეობითის ფორმები. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქიზიყური, სადაც ხოლმეობითი დაცულია. გარდა ამისა, იგი დადასტურებულია სოფ. მატნის (ახნეტის რაიონი) მოხუცთა მეტყველებაში და ძალიან იშვიათად შეიძლება წავაწყდეთ სხვაგანაც.

II სერიის ხოლმეობითისათვის აქაც ისევე, როგორც ძველ ქართულში, ფერეიდნულში, მთიულურსა და მოხურში, გამოყენებულია წყვეტილის ფუძე ყველა პირისათვის და მაწარმოებელია -ო სუფიქსი; მაგ.: წავიდით, წავიყვანით, ერთ კვირა ვიართ, ჩავაწვინით შიგა და ვაზი ამოიდის; შიმშილმა რო შემაწუხის, წამოიდი; ზოგმა ფული გადაულოცის, საქონელი აჩუქის; ზოგმა რათქვის, ზოგმა რათქვის; წავიდის, როცა მოჯერდის, თითონ წამოიდის; რომელიც ჯანიანი ცხვარი იყვის, გადამტვრივის თოვლი და გადავიდის; ქორწილი როქნიან, მაშინ გაიცნიან ერთმანეთი; დაკლიან ძროხა და ლვინო დალივიან; რამტენი დასუქდიან, იმტენი ზოუქლიან...

უწყვეტლის ხოლმეობითი, რომელსაც საკუთარი ფორმა ძველ ქართულ-შიც მხოლოდ III პირში აქვს და გაჩენილია მოგვიანებით, ნაშთის სახით კახურშიც გვხვდება; მაგ.: ჩემყენ იყურებოდის; თუ ნადირი მოიდოდის, ძაღლებმა დაიქირიან და მოკლიან.

ხოლმეობითის ფორმებთან ხშირად იხმარება ხოლმე; მაგ.: საქონელში ვიყვი ხოლმე; რომელსაც აუჭრელდის თვალები, მოკვდის ხოლმე; ქორწილი იყვის ხოლმე, მემრე გამოუშვით ხოლმე, ქერი შემოდგომაზე დათესიან ხოლმე...

ხოლმეობითის ფორმას ზოგჯერ -კე (II-ყე) ნაწილაკი დაერთვის და მაშინ ხოლმე აღარ იხმარება; მაგ.: ზოგ-ზოგი ქამისაგან გალაყდისკე, ვიართკე გზაში, იმაში ჩაერივითკე...

მრავალგზისის ფორმებთან ხოლმე'ს ხმარება და -კე (II-ყე) ნაწილაკის დართვა ნიშანია იმისა, რომ ხოლმეობითი ფორმის ფუნქცია თანდათან სუსტდება და ამის შედეგად თვითონაც იკარგება.

ზოგიერთ კილოში (ფერეიდნულში¹, მთიულურში², ინგილოურში), როგორც ეს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ხოლმეობითის ფუნქციის შესრულება დაკისრებული აქვს -ყე ნაწილაკს. ანალოგიური ვითარება ჩანასახის სახით შეინიშნება კახურშიც; მაგალითად, კაქრეთის რაიონის სოფ. არაშენდაში დადასტურებულია იტყოდაყე (მამაჩემი იტყოდაყე), რაც ნიშნავს „იტყოდა ხოლმე“ და შინაარსით უღრის ძველი ქართულის თქვის ფორმას, რომელიც იხმარება კახურშიც.

ხოლმეობითის გაგების თანდათანობით გაქრობაზე უნდა მიუთითებდეს ის გარემოებაც, რომ გარდამავალი ზმნის წყვეტილის ხოლმეობითთან ქვემდებარე ნახმარია სახელობით ბრუნვაში; მაგ.: ღვდელი გვართვის ხოლმე ფული, მოსალოდნელი კი იყო: „ღვდელმა წაგვართვის ფული“, მაგრამ მთქმელმა ქვემდებარე განოიყენა იმ ფორმით, რითაც დროთა პირველ სერიაში იხმარდა და ზმნასაც პრევერბი არ დაურთო, პირდაპირი ობიექტი კი წყვეტილის ხოლმეობითის შესაფერისად დატოვა. არ იქნებოდა უცნაური, თუ ობიექტსაც დროთა პირველ სერიას შეუფარდებდა და მიცემით ბრუნვაში დააყენებდა, რადგანაც მრავალგზისი შინაარსობრივად აწმყოს უკავშირდება³.

მრავალგზისის შინაარსი ჩვეულებრივ გადმოცემულია აწმყოს, ნამყო უწყვეტლისა, კავშირებითისა, თურმეობითისა, ინიანი ვნებითისა და სტატიკური ზმნების ფორმებით, ხოლმე ნაწილაკის დართვით, უპრევერბოდ ან პრევერბით: ცხვარი ერთ წელიწადში ორჯელ იპარსვის⁴, გზავნიდა ხოლმე, მეტყოდე ხოლმე, მეგეტყოდე ხოლმე, კოშკში ზის ხოლმე... იქყოფილა ერთი ვაჟიო, დღისით მკვდარა, ღამით ცოცხლებულაო; ლეკები დადენილიყვნენ სოფელში, ლეკი გადმოდენილა შილდაზე, ხალხი იმ ტუნელით დადენილიყო, მალულან ხალხი (ციხე-კოშკში მტრის შემოსევის დროს); ღანძილი ეკრიფა, სალამური ეკრა...

¹ არნ. ჩიქობავა, -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოდიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: წელიწდული, I—II, 1923—1924, გვ. 40—44.

² არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი: ენიმკი-ს მოამბე, II, 1937, გვ. 54—55.

³ არნ. ჩიქობავა, პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, № 1, 1943, გვ. 93.

⁴ შდრ. იპარსება, იკრება, იქმება, ითესება...

კახურში ამჟამად ხოლმეობითის ფორმებიცა და -ყე || -კე ნაწილაკიც უკვე გაქრობის გზაზეა.

ხოლმეობითის ფორმებს იყენებს რ. ერისთავი განსაკუთრებით პოეზიაში. სხვა მწერალიც მიმართავს მას, თუმცა მეტად იშვიათად. შესავალში აღინიშნა, რომ ეს ფორმები ცოცხალი უნდა ყოფილიყო კახურში და ამიტომ იყენებს რაფ. ერისთავი საკმაოდ ხშირად; მაგ.: გადაბრუნდის ჩვენნი ციგა (გმ. რ. ერისთ. I, 109), უფროსი თავის ორმოდგან პურს ამოიღის მალულად და ძმის ორმოში ჩაჰყრიდის, მის უხილავად, ფარულად; იტყოდის... უფროსიც თავის ორმოდგან პურს შეუმატის ძმისასა, იტყოდის (იქვე, 98);

რა გაიმარჯვის, მობრუნდის, ცოტა ხანს დაისვენებდის, ილადის, იმხიარულის, მოყმით მხარს დაიმშვენებდის, გასცემდის, უწყყალობებდის, ცოტას არ დააჯერებდის, იწვევდის სტუმართ, დიდებულთ, კეთილად მოიხსენებდის (რ. ერისთ. II, 8);

დიდი და მცირე შემტრფოდის, მივლიდის შეილსა სხვისასა (გმ. იქვე, 40);

მხოლოდ ჰნახავდის კვირა დღეს, მივიდის წირვის სმენასა (იქვე, 74);

ხან კულზე შედგის ტრიალით, ხანაც თბებოდა მზეზედა (ევლ. II, 206);

ხან იქ მიუხტის, ხან აქა, ხან ბარს დაეცის, ხან მთასა (გმ. იქვე, 228)...

პუშკინისა არ იყოს, ამათი ცოდვები ისე მალე დაივიწყის, როგორც იმათი ლექსები დაბეჭდვის უმალვე დაივიწყებიან ხოლმე (ილია, IV, 14); იქ დააღამის კოტოხზე, სადაც ბარბაცებს რიონი (ს. შანშ. შ. ბ. 9); ასე უდროოდ განწირვა ჯადოქარს დააბრალიან (იქვე, 10).

მოქმედების დიურატიულობის გამოსახატავად -ყე ნაწილაკიცაა გამოყენებული: მზე და მთვარეს გველაშაპები დაიქერენყეო და დააბნელენყეო; მანამ ძირიღამ თოფებს არ დაუშენენ, არ გაუშვებენყეო (გმ. იქვე, 47); როცა ადგება, მაშინ ცოტა ხან უშვებსყე და მაშინვე მზესა და მთვარეს მისცვივდებიანყე (გმ. იქვე)...

48. III სერია. თურმეობით პირველში (აგრეთვე აწმყოს სტატიკურებთან) -ავ და -ამ თემატური ნიშნის ადგილას ხშირად -ო- გვაქვს; მაგ.: მოუწამლია, მე არ მიწახია, უწახია, თორმეტი კაცი გამილახია, ვერ გაუბედია, თავი შეილისათვი უთქვია, გითქვია, ბავშვი ხელზე უჭერია... -ო- არის ნ-სთანაც: მოგიპარნიაო, იმ პატარა ქალს დაუშალნია სამი ვაშლი, ამ დედაკაცს მოუხარშნია ქათამი, მოუტაცნია და წაუღია...

ანალოგიური ვითარება გვაქვს სხვა აღმოსავლურ და დასავლურ კილოებშიც; იგი თავს იჩენს ახალ ქართულშიც¹. გამოწვეულია ეს უნიფიკაციით. უნიფიკაცია გატარებულია თურმეობითი I-ის ფორმებისა თითქმის ყველა დიალექტში. აღსანიშნავია, რომ აქ ორი მიმართულება იჩენს თავს: ერთი

¹ არნ. ჩიქობავა, თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება უღვლილების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში: ლიტ. ძიებანი, ტ. II, 1944, გვ. 129.

მიმართულებას — გააბატონოს -ი-ა სუფიქსები და მოშალოს -ავ და -ამ თემატური ნიშნები, მეორე კი, პირიქით, გაავრცელოს -ავ და გარკვეულ შემთხვევაში -ივ. პირველი ტარდება ბარის კილოებში — ქართლურში, კახურში, იმერულში და სხვაგან — და აქედან ლამობს ლიტერატურულ ენაშიც შემოქრას (მინახია, უთქვია...), -ავ კი მოდებულია ხევსურულში, ფშაურში, თუშურში და ფშაურიდან ვაქას შემოტანილი აქვს სამწერლობო ენაში¹.

თურმეობით პირველში -ი- ყველა პირშია: დამინახიხარ, დაგინახივარ, გინახივარ, გამილახიხარ და სხვ.

თურმეობით მეორეში (ზოგჯერ კავშირებით მესამეშიც) -იყო, -იყავი² მეშველი ზმნა გამოყენებული (და არა -ოდ-ა) ორპირიან გარდაუვალ ზმნებთანაც ისევე, როგორც ერთპირიანებთან; მაგ.: ნაწნავი ჰქონიყო, ვილაცა ჰყოლიყო; იმი მამი ვალი მართებოყო, ოცი შვილი გააჩენიყო, ამ ბიჭ კიდენა გაათავებოყო საქმელი, გამოსდგომიყო ერთი მღვეარი, ჩემკენ სქერიყო თვალი, ნეტა კლავი მათეხიყო, მე უნდა მრგებოყო ექვს ოცი... უნდა გამოყოლიოყავ, ფეხეფში წამოგდებოყავი.

თურმეობით მეორეში მეშველი ზმნის გაბატონება ყველა გარდაუვალ ზმნასთან გამოწვეული ჩანს გაერთფეროვნებისაკენ მიდრეკილებით.

ანალოგიური ვითარება გვაქვს რიგ აღმოსავლურ კილოებში (ქართლურში³, ფერეიდნულში⁴, მთიულურში⁵, ფშაურში და სხვაგან).

კახურში, როგორც ქართლურსა და ზოგიერთ სხვა კილოში, თურმეობით პირველს ზოგჯერ ენაცვლება თურმეობითი მეორე, ხოლო ამ უკანასკნელს — კავშირებითი მესამე⁶; მაგ.: მემრე მოსულყო სესია (ჩემი პაპა) და წეელო ერთი ურემი ფქვილი ბატონითინ; მემრე სვიმონა დეებარებიონათ, დეეჭირნათ სვიმონა და როზგი დეეკრათ; ჩემს უნებურათ გეელეწა ჩემს კალოზე; წელფერდი ადგილია და იმიტომ. დეეძახნათ გადრეკილი; როცა მამა მამკდომია, მე ორი წლისა დავრჩომილიყავ; შამსხდარან ცხენებზე, მოსულყოყნენ და ეთქოთ... მე როკარქი მოვლა მქონდეს, მაშინ გენახოს, რა ვიქნებოდი...

ფუძის დრეკა შენიშნულია თურმეობით პირველშიც; მაგ., შეგიძინია (შდრ. იძენს).

არ არის გამორიცხული, რომ აქ აორისტის ფუძე იყოს გამოყენებული⁷. ყველგან კახურში ისევე, როგორც ქართლურში, თურმეობით პირველსა და მეორეში (იშვიათად კავშირებით მესამეშიც) გვევლინება -ნ (← -ენ) სუფიქსი; მაგ.: მე მალლა აღარ ამიხედნია, მიყიდნია და გამიყიდნია, გვომრომნიაო, ვერ დაგვიჯერნიაო, შენ დაგიხატნიაო, შენ გაგიტეხნიაო, ფიცი

¹ ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII, 1955, გვ. 458.

² ვ. თოფურია, ქართლური: არილი, 1925, გვ. 143.

³ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: ტფ. უნივ. მოამბე, ტ. VII, 1927, გვ. 211.

⁴ არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი: ენიმის მოამბე, II, 1931, გვ. 54.

⁵ შდრ. ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, 1932, გვ. 182—183.

⁶ შდრ. ილ. ცვრცვაძე, ფუძედრეკად ზმნათა თავისებური წარმოებისათვის: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი I, 1941, გვ. 189.

გაუტეხნიაო, დაუწერნია თავი გვარზედა, ხელი მოუწერნიაო, პური არ უჭამ-
ნია, დაუთესნია ჩემთვის ყანა...

თურმეობით მეორეში: მე რო არ მეშველნა; რო დეგვეყარნა
ბზე და დეგვესუფთავებინა ნიადაგი; შენ გეკითხნა, წერილი დეგე-
წერნა, კაცი გენახნა, უნა გეეტეხნა, დეეკვეხნა კიდევ, გედევყარნათ, უნა
ეყიდნათ, ის ვალი იმაჲ უნდა დეეთარნა, ჩემი პაპითვინ ეკითხნათ, აქ ესწავლნა,
იქ ემუშავნათ ხალხ, ვისთვინ უნდა გემეერთმივნა, შიგ მემექცივნათ, წეეკი-
დებინა ცეცხლი, კაცი დეებარებინათ და სხვა მრავალი.

კავშირებით მესამეში კი საერთოდ იშვიათია -ნ სუფიქსიანი ფორმები:
რო დეეყარნოს...

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, აქ ის გაჩენილია ჯერ თურმეობით მე-
ორეში მოქმედებითი გვარის ფორმების ვნებითი გვარის წყვეტილის ფორმე-
ბისაგან განსასხვავებლად, ხოლო შემდეგ აქედან უნდა გადასულიყო თურმე-
ობით პირველში¹.

ამ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული გამოკვლევის მიხედვით, რომე-
ლიც სპეციალურად -ნ სუფიქსს მიეძღვნა, „დასტურდება, რომ ეს -ნ (← -ენ)
ზმნური ფუძის ისეთივე საწარმოებელი სუფიქსია, როგორც -ან, -ონ, -ევ
და სხვები, გამოყენებული სხვადასხვა სერიის ფორმებში“².

ამას მხარს უჭერს ისეთი ზმნები, რომლებშიც -ნ სუფიქსი გამოდის -ებ
სუფიქსის მონაცვლედ თურმეობით პირველსა და მეორეში; მაგ.: მოუტაც-
ნია (მღრ. მოუტაცებია), არაფელი გამიკეთნია, დაუტახნია, გოდ-
რები გადაუკიდნია, იმაჲ ზდომნია... მეთატაცნა, ოცი წლისა გეთ-
ხოვნა (=გაეთხოვებინა) და სხვ.

-ნ (← -ენ) ფორმანტი -ებ სუფიქსის მონაცვლედ გვევლინება მიმლეო-
ბაშიც; მაგ., ჭიოტას-მოტაცნილი.

ქართულში -ნ მის წინამავალ რომელსამე ხმოვანთან ერთად ზმნური
ფუძის საწარმოებელი სუფიქსი რომ არის, ეს უკვე აღნიშნულია საენათმეც-
ნიერო ლიტერატურაში³.

-ავ სუფიქსიან ზმნებთანაც გამოვლინდება ხოლმე -ნ თურმეობით პირ-
ველში (დაუმალნია, მოუხარშნია, უნახნია...), მაგრამ ეს გამოწვეულია ანალო-
გიით, როგორც ნავარაუდევია⁴.

თურმეობითში -ნ სუფიქსი ქართულ-კახური წარმოშობისა ჩანს. აქე-
დან უნდა გავრცელებულიყო ის სალიტერატურო ქართულში. ქართლ-კახეთი-
დან გამოსულ ისტორიულ საბუთებში იგი დასტურდება მეთხუთმეტე საუკუ-
ნიდან⁵.

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 454—455, § 492, 493.

² ივ. ჭავთარაძე, დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ
ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII, 1955, გვ. 74.

³ ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკა-
დემიის შობაზე, ტ. III, № 5, 1942, გვ. 489—491.

⁴ ივ. ჭავთარაძე, იქვე, გვ. 67.

⁵ ივ. ჭავთარაძე, XIII—XVIII სს. ქართული ისტორიული საბუთების ენის ფონე-
ტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი: ენის ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესია, 1949,
მუშაობის კვება და მოხსენებათა თეზისები, გვ. 8—9.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ თურმეობითი პირველის წარმოების იმ ტიპს მიიჩნევენ უფრო ძველად, რომლის ამოსავლად აღებულია მეორე სერიის ფუძე¹.

ამ დებულების საფუძველზე შეიძლება დავუშვათ თურმეობითში გამოვლინებული -ნ და -ებ სუფიქსთა მეორეულობა და მათი სხვადასხვა დიალექტური წარმოშობა. მაგრამ ეს იმას არ გამორიცხავს, რომ -ებ გაცილებით უფრო ადრე გაჩენილად მივიჩნიოთ თურმეობითში, ვიდრე -ნ.

თურმეობით პირველში -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნების ნაცვლად -ი-ა დაბოლოებიანი ფორმები შემოსულა მწერლობაშიც: ახლა უკანაც ვეღარ მიუხედნია (ევდ. III, 211), ცრემლი არ უნახია (ს. შანშ. შ. ბ. 163)... შდრ. მინახვიხარ შენ კედელთან მწოლი (ილია, I, 54), მას აქეთ აღარ მინახვიხართ (გმ. ილია, II, 199) და სხვები.

ასევე ხშირად გვხვდება -ნ (←-ენ) სუფიქსი კახეთიდან გამოსული მწერლების ნაწერებშიც: მოუთხოვნია ჩვენგან (ილია, V, 15), უყიდნიათ (გმ. 64), რძალს დედამთილი მიუტკეცნია, დედამთილს რძალი მიუბეჯნია, დედ-მამას თავიანთი ყმაწვილები მიუტყეპნიათ (დ. მაჩხ. 115)...

თურმეობით მეორეში: უნდა ელოცნა (გმ. ილია, II, 198), ვერ გაებედნა (ევდ. III, 13), ტალახში ეგორავნა (ს. შანშ. აგმ. 89)...

კავშირებით მესამეში: ვერ გამებედნოს (ილია, I, 32)...

ზოგიერთ ზმნაში -ებ თემატური ნიშნის ადგილას -ნ სუფიქსს იყენებენ მწერლებიც: ჩვენ ქალებს უთავნიათ (ილია, VIII, 283)... ორივე ხელი იქით პირას გადაეკიდნა (ილია, III, 121)...

თურმეობით მეორეში და კავშირებით მესამეში ძველად, როგორც ცნობილია, -ებ თემის ნიშანი არ იყო, ყველა ზმნა იყენებდა მეორე სერიის ფუძეს. ახლა, თუ ზმნას თურმეობით პირველში -ებ სუფიქსი გააჩნია, იგი მას გადაჰყვება თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეშიც². ეს ასეა გაბატონებული ქართლურსა და კახურში და უთუოდ ამ კილოების მეშვეობითაცაა დამკვიდრებული სალიტერატურო ქართულში. კახეთიდან გამოსული მწერლების ენაშიც ისევე გვხვდება ეს, როგორც კახურში; მაგ.: მომეხერხებინა, გენუგეშებინა, სახლი ეეშენებინა, გეეკეთებინა... გეეკეთებინოს... იმისი უკანასკნელი ნატვრა ამით ამესრულებინა (ილია, II, 138), იმედი მომეცა გამომეტქმევინებინა რაიმე (იქვე, 41), რომ ეცნობებინა მეგობრისათვის (ევდ. III, 64), უნდა ენუგეშებინა ისინი (იქვე, 14), უნდა მომეხსენებინა წელან (დ. მაჩხ. 23)...

თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში -ოდ-ა სუფიქსის ნაცვლად -იყო მეშველი ზმნა გვხვდება კახეთიდან გამოსული მწერლებისა და მათ წარმოებთა პერსონაჟების მეტყველებაშიც; მაგ.: ამოიხრებდა ისე, რომ სანთელი წინა სდგომიყო, გაქრებოდა (ილია, II, 165); მაშა მე მომკდომიყო (გმ. ილია, I, 176)... მაგრამ ამასთანავე არ უიშისოდ მორჩა, რომ ეგრეთ-

¹ არნ. ჩიქობავა, თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება უღვლილების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში: ლიტ. ძიებანი, ტ. II, 1944, გვ. 137—138; მისივე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948, გვ. 94—96.

² ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 452.

წოდებულ საჰირ-ბოროტო საგანს ცხოვრებისას არ გაჭხმაურებ იყოს. (ილია, IV, 246)...

საყურადღებოა, რომ კავშირებითი მესამე ზოგჯერ დატულია; მაგ.: მეგონია, რომ ამ დილას ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაყუჩებულ იყოს (ილია, II, 21); ჩემს ვინაობას არ გეტყვოდი, თუ ჩემი აღსასრული არ მოახლოებულ იყოს (გმ. ილია, II, 42); სად უნდა მენახოს? (გმ. ილია, III, 12).

49. თავისებური ზმნები. ქამ ზმნა მთელ კახურში შემონახულია თავისი ძირით ისევე, როგორც ხევსურულსა, ფშაურში და სხვაგან¹; მაგ.: ვიქამ (=ვიქ, ვიზამ), ამა ვიქამო, იმა ვიქამო... ზოგჯერ მ → ვ: რას იქავენ? (← იქამენ), რაღას იქავდნენ?

კახურში შემონახულია არქაული ფორმა მწიფს: ლელვი მწიფს; ზოგი მწიფს, ზოგი ყვაილობს.

იგი დადასტურებულია არაგვის ხეობის ქართლურშიც.

ამოსავალი ფუძე ი-ჰოვ-ის, ი-შოვ-ის, ი-ძევ-ს ფორმებისა გამოყენებულია -ობ სუფიქსიან ზმნათა საწარმოებლად: ვერაფერს ვერ პოობენ, პოვობს, ვერა ვშოვობ, გამომძიებელი ძეობდა, მეორე დღეს შეიქნა ძეობა (=გამომძიება).

არის წყება ზმნებისა, რომლებიც ნამყოს მიმღობისგანაა ნაწარმოები და გამოყენებულია დრო-კილოთა პირველ ჯგუფში (და ზოგჯერ სხვა დროებშიც); მაგ.: ხარჯს ისინი ხდილობდნენ, რით ირჩომილოს (=ირჩინოს) თავი? ბატკანს მარილი წყენულოფს, სიცხეცა წყენულოფს ცხვარსა, ველარა ვგონულობ, ბიქი ველარ ნიშნულობს თავი სახლს და სხვ.

ანალოგიური ვითარება გვაქვს ქართლურშიც. ვნებიტის მიმღობას (-ილ-ზე და -ულ-ზე გათავებულს) იყენებს სალიტერატურო ქართულიც ახალი ზმნების საწარმოებლად (ვნახულობ, ვსესხულობ, ვყიდულობდი და სხვ.)².

არგუნებ-ს ზმნას კახურშიც და ქართლურშიც ენაცვლება ფუძედრეკადი ზმნა არგენ-ს; მაგ.: არგენს ერთ ცხვარ, ერთი ცხვარი არგინა...

ყვე ზმნა ფუძემონაცვლეა. მეორე სერიაში გვევლინება ყვე: კინამ თან გავყეცი, იმი კვალს მიჰყეციო, რა გავყეციო იმ კაცსაო, გაჭყეცი, თან გავყეციო, შიგ შავყეციო; წადით, მიყეციო... ბრძანებითში შეიძლება ციან ც დაიკარგოს: შენ მამყე (← მამყეცი); სადაც ჩავარდება, თან ჩაპყეციო (← ჩაპყეციო); ერთ-ერთი თელავში გამოყენითო (← გამოყეცითო)...

საინტერესოა ც-ს გამოვლენა ზმნაში ჯეც (|| → ზეც): ერთმანეთის გულის მოპასუხენი გავქეციო (=ერთმანეთის მესაიდუმლენი გავხდით), მეც ცუდათ გავხეციო (=ცუდად გავხდით), შაუძლოთ გავხეციო (← გავხეციო) და სხვ. მაგრამ შემონახულია ძველი ქართლის ზღ (← ხედ ← ჯედ) ფუძე: მინდორში ჩამოხდნენ.

¹ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 74;

² მ. ს. ი. ვ. ე., ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, III, -ენ, მ-, -არ, სე-, -აქა აფიქსებისათვის: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XV, 1940, გვ. 43-46.

³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 514, § 544.

ანალოგიური მაგალითები გვაქვს კახეთიდან გამოსული მწერლებისა და მათ ნაწარმოებთა გმირების მეტყველებაშიც: ერთ დღეს ბაკში ჩამომხდარი იყო ერთი მოხუცებული ღვდელი (ილია, II, 1950, 430)...

წი (← წივ ← წევ) ფუძეს ზოგჯერ ენაცვლება ცი: გააცცი, ბიჭო, წაყეცი! გააცცი, შვილო!

მეტათეზისის შედეგად შინ ფუძე კახურშიც, როგორც ქართლურში, ნფხ სახით გვევლინება: მე არ დავინიჟეფ (← დავიჟინებ), აღარ გაუნიჟა (დაუჟინა).

ამ სახით დადასტურებულია ეგ ზმნა მწერლებთანაც (მაგალითად, ი. კავჭავაძესთან და სხვ.): დაგვინიჟია, რომ ჩვენს აზრს თანამოზიარე, თანამგრძობელი არა ჰყავსო (გმ. ილია, III, 252); იმას კი დაუნიჟინია, ცოლი რად უნდაო! (გმ. ილია, II, 1950, 367)¹.

წაიყვან-ს ზმნას ენაცვლება წაასხამ-ს, გარეკავ-ს და გალაღავ-ს, ააგებ-ს ზმნას — აასხამ-ს, ხოლო დააგდებ-ს ზმნას — დაყრბ-ს, თუ პირდაპირი ობიექტი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა მოცემული ან ერთზე მეტია, ან კიდევ კრებითი სახელია; მაგ.: წაასხა ტყეში შვილები, წაასხეს ქალები მონადირეებმა, ქალი და რძალი წაასხეა, აასხა მწვადები, მოგირეკე ჩემი შვილებიო, კაცები მორეკეო, მოვარეკინე მამაშენს ჯოჯი... მოლაღეს ეს გოგო და ბიჭი...

ანალოგიური ვითარება გვქონდა ძველ ქართულშიც².

დაგდება და დაყრა იხმარება დატოვების მნიშვნელობითაც, როგორც ეს ძველ ქართულში იყო; მაგ.: ჩოხა გირაოდ დავაგდე; ხარები ტყეში დაყარა.

დატოვების მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე დარჩენა-ც; მაგ.: რაც ანდერძები დამირჩინაო, ის უნდა შევასრულოო; ორი კაცი დაარჩინა გარეთ; ორი თვალი დაურჩინა...

გადანარჩომება, გადანარჩუნება და დანარჩომება გვხვდება აგრეთვე გადარჩენისა და დატოვების მნიშვნელობით; მაგ.: გადაუნარჩომა ფასკუნძ სამი ბლარტი, ჩვენმა მეგობარმა გადაგვანარჩომაო, ამოტელა ცხოვრება არავის დავანარჩომაოთო, ცარიელი დამანარჩომაო.

გიშველიეფ იხმარება დაგისმარ ზმნის მნიშვნელობით; მაგ., მაშინ ერთ გიშველიეფო.

უქენი და მქნა გვხვდება უყავი და მამყოფა ზმნების მნიშვნელობით: ექრო ძვალი იყო, რა უქენიო? ნეტავ მქნა ფშავის ხევშია!

ქონა შეიძლება შეგვხვდეს ყოლა-ს მნიშვნელობითაც: მემრე ცოლ-შვილი ვიქონე (შდრ. ძვ. ქართ. მოწაფე აქუს).

ესმის ზმნის მნიშვნელობით დადასტურებულია ეყურება, რაც ჩვეულებრივია გურულში; მაგ., იმას იქ ეყურებოდაო.

დაიარება და დახვალ ზმნები ზოგჯერ იხმარება დადის და დადისარ ზმნათა მნიშვნელობით; მაგ.: ტყეში დაიარება; რა დახვალ?

უ-თხრა-ა დრონაკლი ზმნა სხვა ზმნათა ანალოგიით შეიძლება მოგვევლინოს დროთა პირველ სერიაშიც: ზლაპარს მე გითხრამ.

¹ მგვივე ფუძე გადაწყვება მიმოღობაშიც: ეს უჯათი და დანიჟებული ექიმბაში თავის კეუს ხალხსაც პოულობს (ილია, VI, 73).

² ამის შესახებ დაწვრილებით: ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 216—244.

ასევე ანალოგიითაა მიღებული ვქნილი ფორმაც: სუ ყველა ისევე ვქნილით.

ზმნა გავამდვიარო მიღებული ჩანს გავამჟღავნო და აღვიარო ზმნათა კონტამინაციით.

არქაულობის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს დაიძინეს ზმნა. მასთან კახურში შემონახულია პირდაპირი ობიექტი: იმ ღამე და იძინე ტკბილათ ძილი.

ზოგჯერ ქვემდებარე გვევლინება ისეთ ზმნასთან, რომელთანაც სალიტერატურო ქართულში იგი გაუჩინარებულია: დაღამდა ისღღე.

მოვიდოდა (= მოდიოდა) ზმნა არქაული ჩანს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ იგი მიღებული იყოს მოვიდა და მოდიოდა ზმნათა კონტამინაციით; მაგ.: როცა ეს იარშიკი გადაადგეს, მაშინ მოვიდოდა მდევთაგანი... შდრ. ძვ. ქართ. მპარავი მოვიდოდა (მათე, 24, 43 C), მოვიდოდა მისა ყოვლით კერძო (ნრკზ. 1, 45 DE) და სხვ.

ეუბნება ზმნა ჩვეულებრივ იხმარება ეუბნევა და ებნევა სახით; მაგ.: პატრონი ეუბნევა, მე ეუბნევიან ისინი... ცოლი ებნევა, ისინი ებნევიან...

აქ სუფიქსისეული ზ შეცვლილია ვ-თი. ამას ალბათ ხელს უწყობს პირველი ზ. საინტერესოა, რომ კახეთში (მაგ., ყვარლის რაიონში) პირველი ზ თუ შეიცვალა განით, მაშინ მეორე ზ უცვლელი რჩება (ნ. თანხმობანთა სუბსტიტუცია).

დადასტურებულია ევნება ფორმაც: ღვდელი ევენება დიაკვან.

რაც შეეხება ებნება ფორმას, იგი ალბათ გამოწვეულია მით, რომ უგაგებულია ქცევის ნიშნად და დაკარგულია.

ანალოგიური ვითარებაა ინგილოურშიც.

ნ0. პირის ნიშნები. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა, თუ ზოგიერთ გამონაკლისსა და ანალოგიას არ მივიღებთ მხედველობაში, ასე თუ ისე დატულია. პირის ნიშნად უმეტეს შემთხვევაში გვევლინება ჰ პრეფერბიან ზმნებთან და აგრეთვე უპრეფერბო ზმნებთანაც, თუ წინა სიტყვა ბოლოხმოვნია.

ა) სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა ჰ → ჰ; მაგ.: საითაც წაეზძანდები და მოეზძანდები... ჩაევარდებიო და მაეკედებიო; ისე გაემდრიდრდები, რო შენ თავს დაანატრიდგი; არ დაემარცხდგი; თუ არ დაექორწილდები...

ასევე აფრიკატთა და წინაენისმიერთა წინ სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა ს → ჰ; მაგ.: მაშინ აედგები; შორს დაედგები; უნდა აეთამაშდეთო; არ მოეტყუდგი, შვილო! შენ უჩემოდ ვერ გაძღებ; რო დაწვე, მე მახსენეო; შეაწუხდები; ჩაეჯდები; რათა-აჩხუბოფთო?

იშვიათად შემონახულია ჰ და ს-ც (|| → ზ, შ): ნუ ჰყვირი, ნუ სტირი ის არ დასდგები, არ ზდგები, პურ შეშქანთო...

-ხარ მეშველ ზმნიან ფორმებთან ჩვეულებრივ იხმარება სუბიექტური პირის ნიშანი; მაგ.: საიდან მოედხარო? შენ მოესულხარ და დაესახლებულხარ აქაო, ნუ-ეტირიხარ, კი ბიკი-ეჩანხარო; შენ მარტო დაზდხარო?

სხვა შემთხვევაში ორმაგი პრეფიქსი აიხსნება ფონეტიკურ ნიადაგზე; მაგ.: ამ ქოცოში ხელი არ ჩააქყო, თორემ მოაქკედებიო; ნუ დააქსწევებიო...

წართქმით ბრძანებითში მეორე სუბიექტური პირის პრეფიქსი ჩვეულებრივ არ ჩანს¹; მაგ.: დალიეთ! ადე, წადი, დათესე და მოიყვანო! შენათქვიო!. შენც გაყიდე! დაქოცე! მამაშორე თვალიდანო! და სხვ. წყალი არ დააღლიოთ! ნუ-ადარდოთ! თუ დააქოცამ, ვიქნები შენო...

შედარებით ცოტაა შემთხვევები, რომ მეორე სუბიექტური პირი ზმნაში არ იყოს გამოხატული სათანადო პრეფიქსით (ჰ, ს, ა); მაგ.: სიკვდილს ბედავდი ჩემთვის, ამოტელა მიწას როგორა ყლაპამ? შენ ფულეფს რატოკითხულოფ? მითამ იმ რძესა ტირიო...

ბ) ირიბდამატებიან ზმნებში მესამე პირის ობიექტური ნიშანი ჰ → ა; მაგ.: ფრინველს ბუმბული გაავარდა, დედინაცვალს კის ქალი დაარჩა, თან წააყვებოდა, მოაშივდათ პური, ყვავის ბახალასა-აგვანდა, დედუფალსა-აგონია, ხელები დაახეთქოდა, გადაახედა ერთ გორას, მოახვია ხელი, ააკიდა სახედარს, გამოაკრა ხელი, შამაკრამდენნ ზარსა, აგლიჯეს სახურავი...

აფრიკატებისა და წინაენისმიერი ბგერების წინ კი ობიექტური მესამე პირის ნიშანი ხ → ა: აღარ მიადევს, იმად ჩამოადის სისხლი, ფული გამოათხოვა მამას, მძინარეს დაათხარეს თვალები, ფულ დაატყუებდა, მეორედ კლავი მოატყდა, მიცა ოჯახი შვილს, დააცეს ბატონს, ცრემლები წამოაცვივდა ბიქსა, ფევი ჩააცეს, ბიქი გააჩენია ქალს, კული მოაძვრა, მოაწყურდა წყალი, იქნება დააქირდესო...

ობიექტური მესამე პირის ნიშნად გვხვდება აგრეთვე ჰ და ს (|| → ზ, შ): ამ ბებერს ქალი ჰყოლია, აჰყვება და ჩანოჰყვება ქვეი პირსაო, აჰკიდეს ჯორ-აქლემს, ჰკითხა დედას, არ შეჰკადრა ამ ქალს... იმას მისცა, ფული სთხოვა, ასტკივდა მუცელი... სული მიზდის, ბავშვებ სულმა ზძლია... თავი მოშქრა, გაქირვებულს დაშქირდებო...

დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჰ ბგერების წინ ს-ს პარალელურად არის ჰ-ც. მართალია, ამის მაგალითები კახურ ცოცხალ მეტყველებაშიც ისევე, როგორც ქართლურში², მხოლოდ აქა-იქ დასტურდება, მაგრამ ხშირია კახეთიდან გამოსული მწერლების ენაში და მათ ნაწარმოებთა პერსონაჟების დიალოგებში (ჰ აქ, როგორც ჩანს, ზოგჯერ ნახმარია ა-ს ნაცვლად, მის შემცვლელად); მაგ.: ერთმანეთს მიჰდევდა ხეხილი... შეჰდგა ყველა (ილია, III, 100), სხვასა მეცხვართა ჰდგომია (გმ. მელ. 16), ამხანაგი შინ დაჰთხოვნოდა (გმ. იქვე, 10), ჰტაცა ხელი (გმ. იქვე, 17), ძუძუ უნდა ჩაჰჩარონ პირში (დ. მაჩხ. 35), მიჰცეს ცხოვრება (გმ. მელ. 19), დაჰცალდებო (დ. მაჩხ. 66), არავინ დაჰძრახავდა (იქვე, 137), დაჰძრა ენა (ილია, IV, 248), დაჰძინებია (გმ. მელ. 45), წაჰძიძგილავებია (დ. მაჩხ. 115), შეჰჰყივლა დარეჯანმა (ილია, II, 239), ფასიც აღარ დაჰქირდებოთ (დ. მაჩხ. 36)...

¹ თუ იზმარეს, ორმაგი პრეფიქსი აქაც მოსალოდნელია; მაგ., მძიმეთ გააქსწიე.

² გ. თ. ფ. უ. რ. ი. ა. ქართლური, გვ. 144.

წინადადებაში, როგორც ეს ფონეტიკურ ნაწილში აღინიშნა, თუ წინა სიტყვა ხმოვნით ბოლოვდება და მას უპრევერბო ზმნა მოსდევს, პირის პრეფიქსი **ჰ** მას შეერწყმის და ფონეტიკურად ეს ორი სიტყვა გამოითქმის. როგორც მთლიანი ერთეული¹; მაგ.: რათაჲკოქლოფო? აქ რასაჲზიხარო? ნუჲცემ, ტყავი ზედაჲკიღია, შუათანა ძმასაჲკითხა, იმკაცმაჲკითხა და სხვა მრავალი.

ამ ვითარებაში ეგვევ **ჰ** პრეფიქსი შეიძლება გაუჩნდეს ხმოვნით დაწყებულ უპრევერბო ზმნასაც; მაგ., რათაჲოხრამო?

ორმაგი პრეფიქსიცაა გამოყენებული (**ჰჰ**, **ჰს**), რაც ფონეტიკურ ნიადაგზე აიხსნება; მაგ.; მწვერფეს დაჲჰკივლა, იმას მიჲჰყიდა, იმასაჲჰყვანდა, ბატონყმობას გამოჲჰპარვია... მიჲსცა პირობა, ახლო დაჲსცქერის, მოჲსწყინდა ყურება, ახლა კი გაჲსჭირებია ჩემძმასაო... როგორაჲჲჯობიაო?.. არის შემთხვევა ასიმილაციის შედეგად **ჰ** ნიშნის გამოყენებისა: ფრინველი მიჲზდემს...

ჰჰ გვხვდება ზოგჯერ ისეთი თანხმოვნების წინაც, როგორიცაა **თ**, **ტ** და **სხვ.**; მაგ.: არ შეჲჰთანხმდა, აჲჰტკივლა მუტელი...

კახურშიც და კახეთიდან გამოსულ მწერალთა ენაშიც ხშირად მესამე პირის პირდაპირი ობიექტიც იჩენს პრეფიქსს. იგი პირველად გაჩენილი ჩანს ნაკეთთა აწმყოს წყებაში ირიბი ობიექტის მქონე ზმნათა ანალოგიით; მაგ.: ისევ **ჲ**კერამს ფეხსაცმელსა, პურსაჲზელამს, ნადირს მოჲკლამს, პატარძალს დაჲმალამდა, სამათაჲყოფს, გაჲგლეჯამს ჯაჲვეფს, ვერაჲტეხამენ, არც წყალსაჲსვამს, არც პურსაჲქამს, დაჲბარამენ მიწას, დათვი სიმინდს შჲამდა, სცემს და ვერაჲჰკლამს... ყველაფერსა ჰბეჲდავს (ილია, IV, 39), არაჲინ წაჲბილწავს (ილია, IX, 95), დაჲბეჲვავს (რ. ერისთ. I, 60), ჰკიცხავდა (იქვე, 103), ჰკლავდა (იქვე, III, 21), ჰჰომავდა, ჰფრეწავდა... ჩითებს (დ. მაჩხ. 94)... დაჲთვლის (იქვე, 50), ჰჩივის (ილია, X, 46), ჰკოდნია (გმ. მელ. 32), დავთარში ჰწერამდა (გმ. იქვე, 34), ტბილს ლუქმასა სჲამდა (დ. მაჩხ. 142), შეჲჰკამს (გმ. მელ. 10)...

პირდაპირდამატებიან ზმნებს ობიექტური პრეფიქსი აქვთ მეორე სერიის წყებაში; მაგ.: ღორი მოჲკლეს, აღმასი გაჲხვია ვარდში, გაჲჰრა შუაზეთ, საბოლოოთ გადაჲწყვიტა, ვერ დაჲძრა, აჲტეხა ბავშვმა, გუდაში ჩაჲყარა, შვილი გაჲგზავნა, წყალი დაჲკლია, ერთმა სთჲკვა, გადასწყვიტა იმედი, გაჲშკრეს, გაჲჰრა ერთი დიდი ორმო, ხანჯლით გაჲსჰრა, მამამ, დაჲჰტოვა ვაშლი... ტვირთი ჰზიდოს (ილია, VIII, 303), თავი ჩაჲლუნა (ილია, III, 112), ტირილი შეჲჰქმნა (რ. ერისთ. III, 15), მოსვენება დაჲჰკარგა (მიხ. მრეველ. 169), ახლა ესა ვსთჲკვათ (დ. მაჩხ. 100), ვსჲამოთ (გმ. ევდ. III, 10), ცეცხლში დავსწვათ (ილია, V, 24) და სხვა მაგალითები.

ზოგჯერ ერთპირიანი ზმნებიც ობიექტურ ნიშნებს ირთავენ ორპირიან ზმნათა გავლენით; მაგ.: მაჲკურცხლა, დაჲძმობილდნენ დათვი დაკაცი, ბევრი გაჲწყდა, ქალი გაჲწყრა, აჲტყდა ალიაქოთი, არაჲსუჲდება, ერთი სოვდაგარი მოჲკვდა, ეროგო მაჲხდაო, კარქი რამ

ჰყოფილა, თავი ნებაზე სცხოვრობდა, ასტყდა ქუხილი, თითონ მკედელთან ზაპწია... დაპბერდება (გმ. ილია, III, 95), კუთხეში ჰბნელოდა (იქვე, 105), მოჰკვდეს (გმ. ილია, I, 195), ჰგმინავდა (რ. ერისთ. III, 39), ველი ჰყვავის (იქვე, I, 171), თვალთაგან ჰქრება (მიხ. მრევლ. 218)... დავითი სდგას (ილია, II, 236), სდუმდა (ს. შანშ. ამბ. 124) სცხოვრობდნენ (ვედ. III, 8), ამბოჯარი აღარ სჩანდა (ს. შანშ. ამბ. 37)... იქა ჰდულს (გმ. ილია, III, 111), იქა ჰდნება (გმ. ილია, II, 214), აზრი ჰტრილებს (ილია, X, 119), გაჰტყდა (გმ. ილია, III, 122), ჰტოცხლდება (ილია, VI, 211), ჰტხვება (ილია, III, 111), ნადირიც თავის ბუნაგში ჰძრწის (ილია, I, 211)...

ზმნათა უპრეფიქსო ხმარების შემთხვევები შედარებით ცოტაა (თუ ზმნის ფუძე თანხმონით იწყება), მათ შორის ზოგჯერ ირიბდამატებიანი ზმნებიცაა; მაგ.: მებაღეფს თხოვეს პური, მიცა უფლება, ტაცა ხელი, კითხა იმ კაცმა, კრა ხელი ბიქმა, ყველას ქონდა, ერთი შეილიცა ყვანდა, მამას არ ჯერა მაინც, ბიქეფს წყინდათ, შეხვდათ ერთი მცველი... ის კი [მას] დავიწყებია (ილია, V, 97), ნინოს ხელი გადახვია (რ. ერისთ. III, 11), გადახვდა ხარატელს (მიხ. მრევლ. 104), ოქროული ქონდა (ს. შანშ. ამბ. 70)...

აქვე აღსანიშნავია, რომ ისეთი ერთპირიანი ზმნები, როგორიცაა: ყვავის, ჩანს, დგას და მისთანები, რომლებიც პრეფიქსებს იჩენენ ლიტერატურულ ქართულშიც და ხშირად კახეთიდან გამოსული მწერლების ნაწერებშიც კი გვხვდება, კახურ ცოცხალ მეტყველებაში ჩვეულებრივ უპრეფიქსოდაა, ინარჩუნებენ ძველ სახეს; მაგ.: ყვავის ბალი, ცეცბლი არ ჩანს, კარის ყარაული დგა¹...

ამ უკანასკნელს გარდა ყველა სხვა შემთხვევაში კახეთიდან გამოსული მწერლების მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწერებში მეტ-ნაკლებად ასახულია პრეფიქსების ქმარების ის ვითარება, რაც კახურშია. განსხვავება იგრძნობა ზოგჯერ მხოლოდ ამ პრეფიქსების გრაფიკულად გამრბატვაში.

მწერლებთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინანისმიერებისა და აფრიკატების წინ ჰ უფრო ხშირადაა ნახმარი, ვიდრე ეს გვხვდება კახურ და ქართულ ცოცხალ მეტყველებაში. გარდა ამისა, ეს მწერლები იყენებენ პრეფიქსად ჰს კომპლექსაც, რომელიც არაა იშვიათი ძველი ქართულის IX — XI საუკუნეთა ძეგლებში და გვაქვს კახურ ისტორიულ საბუთებშიც. ამის მაგალითები არცთუ იშვიათად გვხვდება ი. ქავჭავაძისა და აგრეთვე რ. ერისთავის, დ. მაჩხანელის, ნ. მეღანიასა და სხვათა ნაწერებშიც²; მაგ.: სხვათა შორის ჰსთქვა (ილია, X, 282), აღარ გადაჰსთქვა! (გმ. მელ. 56), თაფლს ჰსთოვს (ილია, III, 128), ოცი თუმანი დაჰსტყუა (გმ. იქვე, 136), ხუთი მანეთი მიჰსტა (გმ. იქვე, 143), იმან ხმარ გაჰსტა (იქვე, 151), ენაც ვერ შეჰსძლებს (დ. მაჩხ. 116), მოჰსწევენ (ილია, IV, 73)...

¹ შდრ. ცხადად ჰსჩანდა (ილია, III, 155), ლევანი კი აღარსად ჰსჩანდა (რ. ერისთ. III, 22)...

² აღ. ქავჭავაძის ნაწერებში რომ მოჰარბებულად გვხვდება ჰს (ზმნებშიცა და სახელებშიც), ამის შესახებ აქ არაფერს ვამბობთ. ეს გამოწვეული ჩანს ანტონის სკოლის გავლენით, რაც სწორად აქვს შენიშნული ივ. ქავთარაძეს თავის წერილში: „ალექსანდრე ქავჭავაძის ვნის თავისებურებანი“: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 55, 1954, გვ. 306.

კახურში, როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს და ზევითაც იყო აღნიშნული, ხშირად გვევლინება **ჟ**, **ჟჟ** და **ჟს**, რომლებიც მონაცვლედ გამოდიან **ჭ** და **ჭს** პრეფიქსებისა.

ამ ფონეტიკური პროცესების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანმა მოვლენამ მაშინვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება, როგორც კი შენიშნულ იქნა იგი. ძველი ქართული ძეგლების ენის, დიალექტებისა და აღმოსავლურ კილოთა წარმონაღებელი მწერლების ენის შესწავლის დროს დაწვრილებით აღწერილ იქნა ეს მოვლენა და სათანადოდ კვალიფიცირებული¹ (ნ. შესავალი და ფონეტიკური ნაწილი, გვ. 28, 32—33).

ამგვარად, ილია ქავჭავაძე და სხვები აქაც და პრეფიქსების ხმარების სხვა შემთხვევებში, როგორც ჩანს, კახურის საერთო ვითარებას არ სცილდებიან; პრეფიქსებს ხმარობენ ისე, როგორც ეს კახურშია.

რაც შეეხება ცოცხალ მეტყველებაში პირის პრეფიქსად გამოყენებულ დიფთონგს, რომელიც გრაფიკულად საენათმეცნიერო ლიტერატურაში **ჟს**, **ჟჟ**-სახით აღინიშნება, იგი გულისხმობს ხანის დასუსტების ერთ-ერთ ფაზას, როცა ხანისაგან მიღებულ **ჟ**-ს სათანადო ბგერების წინ აკუსტიკურად ჯერ კიდევ ხანის ან ზოგჯერ **ჟ**-ს იერი გადაჰკრავს². ასეა ეს აგრეთვე სახელის მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებშიც; მაგ.: იმაჟს ჩააბარეს, შუაჟჟ გვერდით, ის ქალი ოქროჟთ მიიანი...

მომდევნო საფეხურად უნდა მივიჩნიოთ დიფთონგის **ს**-ხანის ან ჰაეს დაკარგვა და მხოლოდ **ჟ**-ს შენარჩუნება, რომელიც უფრო გვიან ზოგ ზმნაში მთლიანად იკარგება კიდევ³.

ამგვარად, პრეფიქსების ხმარების შესახებ შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირის გამოხატვის ტრადიციული წესი ძირითადად დაცულია კახურში და ეს მეტ-ნაკლებად გატარებულია კახეთიდან გამოსული მწერლების მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწერებშიც. მესამე სუბიექტური პირის ნიშანი **-ს** (ე, ი, ო ხმოვნების შემდეგ) და მრავლობითი რიცხვის **-ეს** სუფიქსის **-ს** ელემენტი ხშირად იცვლება **ჟ**-დ⁴; მაგ.: დაბრმავედე შენი ნტერია, უნდა შაჟდე, არავის დარჩევალი... არ იციჟ პატრონმა, უშველიჟ თავი თავს ი ბიჟი... რაც გინდა იყოჟ, უნდა დაიბაროჟ, რა უნდა გააკეთოჟ?... მშობლებმა უთხრეჟ. სხვებმა გაანებეჟ თავი, ჰამეჟ სადილი, მგლებმა შაჟამეჟ სახედარი და სხვა მრავალი.

კახურში, როგორც ქართლურსა და ზოგიერთ სხვა აღმოსავლურ კილოში, მესამე სუბიექტური პირის **-ს** არა აქვს ზოგჯერ **-ავ** და **-ამ** თემის ნიშ-

¹ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 75; ა. შანიძე, ჰემეტობა აღნიშნის სახარებაში: ტფ. უნივ. მოამბე, ტ. II, გვ. 420; ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 148; ც. კალაძე, ობ. III პირის გამოხატვა ზმნაში ი. ქავჭავაძის ენის მიხედვით: სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი V, 1950, გვ. 188.

² არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 75; ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 130.

³ ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 130.

⁴ არნ. ჩიქობავა, **-ს** ბგერის დასუსტება ქიზიურში: ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 68—69.

ნიან მოქმედებითი გვარის ზმნებს პირველ თურმეობითში და ამ სახით განემსგავსებიან ამავე თემატური ნიშნების მქონე აწმყოს თუ მყოფადის ზმნებს; მაგ.: ა უ რ წყ ა მ, ერთი ქიქა წყალი ჩ ა უ დ გ ა მ, გარეული ღორი მო უ კ ლ ა მ, ხარი და გვიკ ლ ა მ, მამიკ ლ ა მ მგელი, უ ნ ა ხ ა მ, მინახ ა მ და სხვ. (შდრ. მეზობელი სტუმარს ქ ა თ ა მ ს და უ კ ლ ა ვ ს და მეზობელს ქ ა თ ა მ ი და უ კ ლ ა ვ ს).

ზოგჯერ ნესამე სუბიექტური პირის სუფიქსი -ს არ გააჩნია აგრეთვე სტატიკურ თუ ინვერსიულ ზმნებს აწმყოში: ქუდი ხ უ რ ა მ, საქონელი მყ ა ვ, კიდეე ძ ი ნ ა ვ, ქვა უ დ ე ვ...

მხოლოდ რამდენიმე ერთპირიან ზმნას ეკარგება ზოგჯერ პირის ნიშანი -ს; მაგ.: ჯოხი დ ე ვ, ბროწეული დ გ ა, აღარა ძ ე ვ კლიტე, ერთი ბიქი ა რ ი... სუბიექტური პირველი პირის ნიშანი გ-მო-პრევერბისეულ -სა და ზმნის ფუძისეულ ი, ე, ა, ხმოვნებს შორის იკარგვის ფონეტიკურ ნიადაგზე; მაგ.: მენც მო ი ტ ა ნ შეშასაო, მე მო ი შო რ ე, მე თოფი მო ი ხ მ ა რ ე და მოვკალი, გავატყავე და ტყავი წ ა მ ო ი ღ ე, მე წავალ და მოიყვან... მე გამოაძ რ ე... ან კიდეე ო(ვ)ა, ო(ვ)ე → უა, უე-დ: მე მ უ ა რ ჩ ე ნ ო (← მოარჩენო ← მოვარჩენო), მე შ ა მ უ ა წყ ე ვ ი ტ ე ო, მე წავალ და გამუ ა ც ხ ა დ ე ფ ო, მე მ უ ე წ ა რ ი (← მოეწარი ← მოვესწარი) და სხვა შემთხვევები.

აქ შეინიშნება საერთოდ კახურის დამახასიეთებელი თავისებურება. ესაა პრევერბისეული -ო-ს შემონახვა პირველი პირის ფორმებში, მაშინ როდესაც სხვა, II და III პირში, მო-პრევერბი წარმოდგენილია მა-ს სახით; მაგ., მე მო ი ყ ვ ა ნ ე, მაგრამ შენ მა ი ყ ვ ა ნ ე, მან მა ი ყ ვ ა ნ ა... უნდა ვიფიქროთ, რომ -ო-ს დაცვა გამოწვეულია მოსალოდნელი სუბიექტური პირველი პირის გ-ნიშნის ზეგავლენით.

ო-სა და ი-ს შორის პირველი სუბიექტური პირის ნიშნის -გ-ს დაკარგვა ჩვეულებრივია მთელი კახურისათვის. ამ მხრივ შიგნიკახური და ქიზიყური არ განსხვავდება გარეკახურისაგან¹ და საერთოს პოულობს სხვა აღმოსავლურ დიალექტებთან (მაგალითად, მთიულურთან², ფერეიდნულთან³, ინგილოურთან). რაც შეეხება პირველი სუბიექტური პირის ნიშნის -გ-ს დაკარგვის სხვა შემთხვევას, იგი ცნობილია რიგ აღმოსავლურ-დასავლურ კილოებში.

სუბიექტური პირველი პირის ნიშანი გ-ჩვეულებრივ არ ისმის აგრეთვე ზმნებში რომლებიც იწყება უ, ვ, ო, მ ბგერებით; მაგ.: მე დახმარებას ვერ გა უ წ ე ვ, მე ყველაფერი ა უ ს რ უ ლ ე, მე მენავეს და უ ძ ა ხ ე... გარეთ გ ა ვ ა რ დ ი და მიწაზე დ ა ვ ა რ დ ი... ცოლ-შვილი მამაგონდა და ო ხ რ ა მ ო... ვ ე ნ ა ხ შ ი მე მ უ შ ა ო ბ დ ი, თავი ღროს 'ვ' მ კ ი დ ი თ...

ეგვევ პირის ნიშანი გ-კახურშიც ისევე, როგორც სხვა კილოებში, ასიმილაციის ნიადაგზე ზოგჯერ ისმის ფ-დ; მაგ.: თოფით ფ თ ო ფ ე თ ერთმანეთი, და ფ კ უ წ ო თ და მო ფ ხ ა რ შ ო თ (ნ. ფონეტ. ნაწილი).

ზოგ ზემოაღნიშნულ მოვლენას მეტად იშვიათად შეიძლება წავაწყდეთ კახეთიდან გამოსული მწერლებისა და მათ ნაწარმოებთა პერსონაჟების ენაში; მაგ.: [ჩვენ] რა უ ყ ო თ? (ილია, IV, 26), ერთი-ერთმანეთს გადაუღე-

¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 64—65.

² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მთიულურის თავისებურებანი: ენიმკი-ს მოამბე, II, 1937, გვ. 47.

³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, 1927, გვ. 202.

ქით (იქვე, 156), ახლა დაუბრუნდეთ (რ. ერისთ. III, 73)... [მე] ხერხი უნდა მოიგონო (გმ. ევდ. III, 272)...

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად გარდაუვალ ზმნებს წყვეტილში და ყველა ზმნას ნამყო უწყვეტელში გამოყენებული აქვს -ნენ დაბოლოება; მაგ.: მეემზადნენ, დაიძგერნენ, იქცნენ... ხოცდნენ...

კახურის ეს ვითარება ასახულია არა მარტო კახეთიდან გამოსული მწერლების ნაწერებში, არამედ კახურისა და ქართლურის ზეგავლენით დამკვიდრებულია ახალ სალიტერატურო ენაშიც: შებრუნდნენ (ილია, III, 85), წარმოდგნენ (მელ. 11), ეყარნენ (ილია, III, 53), იქნევენ (რ. ერისთ. III, 17), აგროვებდნენ (გმ. იქვე, 127) და სხვა მრავალი.

შეიძლება -ენ სუფიქსსაც წავაწყდეთ კახურში, მაგრამ ასეთი შემთხვევები აქ უფრო იშვიათია, ვიდრე ქართლურში¹; მაგ.: წავიდენ, იმასა ეკამდენ.

პირველი და მეორე ობიექტური პირის ნიშანი იხმარება ზოგჯერ ისეთ ზმნასთანაც, როგორიცაა იცის; მაგ.: მიცის, გიცის, გვიცის... ღმერთმა ნუ გვიცისო და სხვ.

აქ, უეჭველია, ძველი ქართულის გადმონაშთთან გვაქვს საქმე.

§1. ქცევისა და ვნებითის ფორმები. კახურში ქცევის ფორმები მოეპოვება „მისცემს“, „სტაცებს“ და სხვა ზმნებს, რაც სალიტერატურო ქართულის მიხედვით არ იყო მოსალოდნელი. ზოგი მათგანი არქაულობის იერს უნდა ატარებდეს; მაგ.: ოჯახ მიგიცეს (← მი-გი-ც-ე-ს) ბარაქა, მაგრა გიცემე იბიჭი, თოფზე მიტაცა ხელი, ბალღეფსაც პურს გიჭმევო, თოფი დაგვიკრეს ერთ ბიქს და მოგვიკლეს. აქლემს აგიკიდე ოქრო-ვერცხლი; დედაშენი რო გამოგივიდეს, რას იზავ? ძროხა დაუღლის ნახირში, ცხენს წყალი მოუწყურდა, ეს ქალი დაურჩინეს (=დაუტოვეს) როსტომ; ბაღს მოუარეო, თვალი დაუჭირეო; ასი კაცი იყო ჩასაფრებული, უჯობა, გაიარა; მაშინვე გაგიქანებს და ზედ შაგინარცხებს და მიგიკრავს; სადაც გაგიჭირდეს, იქ მიხსენე... გავიქერჯობი; რო გაიცილო შენიანი...

უგდებს (ყურს უგდებს) ზმნის ვნებითი ფორმა იხმარება საარვისო ქცევის ფუნქციით: იგდება (ყურს იგდება); მაგ., ვინც იქ არის და ყურს იგდება... (მღრ. წერილს იწერება).

კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან „ჩემ-ი“ ნაწარმოები ზმნა („მიუჩემებს“, „დაიჩემებს“) გამოხატავს, თუ ვის ეკუთვნის პირდაპირი ობიექტი; მაგ.: ადგილი მიუჩემეო (=მიუსაკუთრეო), დაიჩემა და წაილო.

ასევე ქცევის მქონეა ზმნები, ნაწარმოები გუნება, ნება, ნაკლის-ი, საძლის-ი, მსახურ-ი, ხერხ-ი (მოხერხება), შურ-ი (აშურება), ღიმილი და სხვა სახელებისაგან; მაგ.: დიდმა ქალმა მაიგუნებავა, ის ბიჭი ვერ დავინებეო (=დავიყოლიეო, დავითანხმეო), ვეღარც კი მაინაკლისეფს, როგორ გაისაძლისეთ? (იხმარება ქართლურშიც), სხვისა ბიჭი დაიშსახურა დუქანში, ხოჯამ იხერხა, იმ დედაკაცმა აიშურა ქალი, ჩაიღიმილა დარცხვენით (ხმარობენ ი. ქავჭავაძე და სხვები)...

ზოგჯერ მოსალოდნელი სათავისო ქცევის ფორმის ნაცვლად გვევლინება სასხვისო ქცევა და, პირიქით, სასხვისოს ნაცვლად სათავისო; მაგ.: ბეჟანმა

¹ ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 142.

ვერ გაუგო, ვერ შაუტყო, რო ბიძა ლალატობს... არ ვიცი, ვიამბოფთ თუ არა; შენ დაიძინეო და მე¹ვიყარაულეფო (= ვუყარაულეფო)...

ზოგიერთ ზმნას შესუსტებული აქვს ქცევის გაგება და ამის გამო ქცევის ფორმაც შეცვლილია; მაგ.: მიახლოვდა სახლის ეზოს, მიახლოვდა სოფელსა...

მოსალოდნელი სასხვისო ქცევის ნაცვლად ზოგჯერ საარვისო ქცევა გვაქვს და თავს იჩენს პირის ჰ, ჰჰ, ს, ხს, ჰს პრეფიქსები; მაგ.: არ შეეჭთანხმდება და სხვა.

კახურშიც და კახეთიდან გამოსულ მწერალთა ენაშიც ვნებითის წარმოებიდან ყურადღებას იქცევს ზოგჯერ მოსალოდნელი პრეფიქსიანი ფორმების ნაცვლად სუფიქსიანი ფორმები და პირიქით²; მაგ.: გაუხილდა თვალები, თვალეზი ამიხილდებო, ისიც დასთანხმდა... გეემკლავა თავის ტოლს... ვერვინ გაემკლავა (ილია, VIII, 290), ვერ შეემკლავა (ილია, IX, 75)...

ვხვდებით ვნებითის საწარმოებელი ე- და ი- პრეფიქსების მონაცვლეობის შენთხვევასაც; მაგ.: იარალი არა მქონდა და ვიძგერენით, პირველათ ვიტაკენით; გავიქეცი და შავიხეჩენით...

ზოგჯერ ვნებითის-ე გვევლინება იქაც, სადაც სალიტერატურო ქართულის მიხედვით არ იყო მოსალოდნელი; მაგ.: სუ გედეწოთ შილდა, ეენაოხრებინათ... ჩემი ამბავი მამაჩემ უნდა უამბოო, სად გაეგონება იმასაო...

ისეთი სიტყვებისაგან, როგორცაა სიკვდილი, ბოროტი, ხმაური, ქომაგი, უნცროსი და სხვა, ჩვეულებრივ იწარმოება ენიანი ვნებითი; მაგ.: ფიჩხის მოტანა ესიკვდილებოდათ (=ეჯავრებოდათ, ეზარებოდათ), ძალიან გეებოროტა (=გაეჯავრა) ბიჭსა; ვისაც დავეუცროსებოდი, იქა ვჰამდი პურსა...

ზოგჯერ მოქმედებით ზმნას ენაცვლება ვნებითი და პირიქით; მაგ.: გუდალეღვი აღრე ისხმება (=ისხამს)... მელიამ მიიცუნცულ-შიაიცუნცულა.

ზოგიერთ ზმნაში ერთდროულად გვევლინება ვნებითის საწარმოებელი პრეფიქსიცა და სუფიქსიც (ე-, -დ); მაგ.: არსენას დეეძინდა, მოჯამაგირეს დეეძინდებოდა, დეენანდა და თქვა, ძალიან მომეწყინდა... სამი დღელა ეკლდა...

ანალოგიური ვითარება გვაქვს ქართულშიც. იგი თავს იჩენს სალიტერატურო ქართულშიც (შეეშინდა, გაეზარდა).

ამის გამოა, რომ ერთი და იგივე ზმნა გვევლინება სამი ფორმით (გეეზარა, გაუზარდა, გეეზარდა); მაგ.: დედას ძაან გეეზარა, ქალ ძალიან გაუზარდა, ძრიელ გეეზარდა...

ეს მოვლენა აიხსნება პრეფიქსული და სუფიქსური წარმოების კონტრამინაციით².

52. კაუზატის წარმოების შესახებ. კახურში, როგორც ქართულსა და ზოგიერთ სხვა აღმოსავლურ კილოში (ფშაურში, მოხეურში და სხვ.), კაუზატის წარმოება ახასიათებს ენიან ვნებითებსაც და ინიან სასხვისო და სათავისო

¹ Л. М. Нозадзе, О взаимоотношении префиксального и суффиксального образования глаголов страдательного залога в грузинском языке, Тбилиси, 1956, стр. 8—12.

² ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 311—312.

ქცევის მოქმედებით ზმნებსაც; მაგ.: ჩ ა ვ ე წ ე რ ი ნ ე იმედაშვილათ, ხუცურაულათ რათ არ დეეწერინეო, რათ ეკვლევი ნებ იკე? ის მას არ დეექერი ნებ ა... ეგ ბალლი არავის დამიჩაგვრინო... შვილათ ჩ ა ვ ი წ ე რ ი ნ ე...
ქართლიდან და კახეთიდან, აგრეთვე აღმ. საქართველოს სხვა მხრიდან

გამოსული მწერლების მიერ გავრცელებულია ეს წესი სალიტერატურო ქართულშიც¹; მაგ.: ტყუილ-უბრალოდ არავის დავეჩაგვრინები (გმ. ილია, III, 36), მაგას არ წავეხარბინები (გმ. იქვე, 74), აგრე პირუტყვეულად რაზედ ვექელვინებიო (ილია, VII, 187), არ გაექელვინა (ილია, V, 105), ეგენიც კსციდილობენ არ დაეჩაგვრინონ (ილია, X, 127), თავის მსგავს რისთვის დაეჩაგვრინოს? (ს. შანშ. შ. ბ. 89)... ის წყეული [ციკანი დათიას] დაჰქერინებია (გმ. მელ. 16) და სხვ.

კახუზატივის საწარმოებლის ნიშნისეული ვ ა ნ ნ იშვიათად იკარგება კახურში: შეშა და აჭრეინე, უნდა ცოლ-შვილი გვექონიებინა (← გვექონიებინა) შენთვინო და სხვ. (მაგალითები ნ. ფონეტიკურ ნაწილში).

ნპ. აღწერითი ფორმები. კახურში არაა იშვიათი აღწერითი ფორმის გამოყენება ორგანული წარმოების ნაცვლად; მაგ.: გ ა ვ ა კ ე თ ე თ ნ ი ძ ლ ე ვ ი, გ ა ა კ ე თ ე ჟ ქ ო რ წ ი ლ ი, მ ა ა ხ დ ი ნ ე ჟ ქ ო რ წ ი ლ ი, და ქ ო რ წ ი ლ ე ბ ა მ ა ა ხ დ ი ნ ა, შ ა ც დ ო მ ა შ ი ვ ე რ შ ა ი ყ ვ ა ნ ე ს ის ყ მ ა წ ვ ი ლ ი, ქ ე ი ფ ე წ ე ვ ი ა ნ, შ უ რ ის ძ ი ე ბ ა ა ა რ თ ვ ა...
ხშირია პირიქით შემთხვევებიც (იხ. ქვემოთ).

ნჟ. სიტყვაწარმოება. ქართულ ენაში მეტად პროდუქტიულია როგორც პრეფიქსული ისე სუფიქსური წარმოება ცალ-ცალკე და ორივე ერთად. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კილოებშიც.

კახურში ვხვდებით სიტყვაწარმოების მრავალსახეობას.

ატრიბუტივებისა და სხვა სახელების საწარმოებლად -**ო-ერ** (დისიმ. -**ო-ელ**)-ის პარალელურად ხშირად იხმარება -**ო-არ** (დისიმ. -**ო-ალ**); მაგ.: დარჩა კაცი, მ შ ი ა რ ი, ი ყ ო მ შ ვ ე ნ ი ა რ ი, ხ ნ ი ა რ ი² კაცები, ბ ე დ ნ ი ა რ ი კ ა ც ი (აქედან იწარმოება ბედნიარობა: ბ ე დ ნ ი ა რ ო ბ ა შ ი და ქ ო რ წ ი ლ შ ი მოგაჯმაროთო), ლ ო ნ ი ა რ ი ი ყ ო, გ ე მ რ ი ა ლ ი ი ყ ო, ყ ვ ე ლ ი ა რ ი მოიღოდა, ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ო ბ ა ზ ე არ-ალი იმისთანა ქალი.

ეგვე -**ოარ** სუფიქსია გამოყენებული ქართლურში, მთიულურში, მოხერურში, ინგილოურში და სხვაგან.

-**ო-არ** || -**ო-ერ** || -**ო-ალ** || -**ო-ელ** სუფიქსი იკუმშება და რედუქციის შემთხვევაში გ გამოვლინდება; მაგ.: ცეცხლი ნებ ივრათ (=ნელ-ნელა) ენთება, მ შ ი ვ რ ე ბ ი ვ ი ხ ო ც ე ბ ო დ ი თ, უ დ ი ვ რ ა თ ე ქ ც ე ო დ ნ ე ნ, წ ე ს ი ვ რ ა თ ა კ ე თ ე ბ ს, გ ა ნ ი ვ რ ა თ (შდრ. განივად) უგრძელდება, დარჩნენ ც ა რ ი ვ ლ ე ბ ი...
-**ვ-ს** გამოვლენა ახსნილია სამეცნიერო ლიტერატურაში³.

ენებითი გვარის მიმღობის საწარმოებელი სუფიქსები -**ულ** და -**ილ** ენაცვლებიან ერთმანეთს: -**ულ** გვევლინება (-**ილ**-ის პარალელურად) მარტივფუძიანებთანაც, ფუძედრეკადებთანაც, -**ო** და -**ოფ** თემის ნიშნიანებთანაც, ხოლო -**ილ** გვაქვს (ულ-ის პარალელურად) თემის ნიშნიანებთანაც; მაგ.: გა-

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 425, 428, 429.

² შდრ. ძ ა ნ და ხ ნ ი ა ნ დ ნ ე ნ (← ხ ნ ი ა ნ - ი).

³ ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 90—91.

ტეხული, მოტანული, დაკეტული, ახალი დაკრეფულია, დაფლეთულია, შეიღები ყავდა დაზღული, დაღალული ვარ, მე ვარ გამოგზავნული, ესე მოქსოულები იცოდნენ... შეკრილი ქონდა ყაბალახით, ცხოვრობდა ამოწნილ სახლში, დაწნილია წკებლისაგან...

ზმნები, რომელთაგანაც ზემოაღნიშნული მიმღებობებია ნაწარმოები, დრო-კილოთა აწმყოს წყებაში თემის ნიშნებიანი ფუძით გვევლინება (ტეხ-ამ-ს, კეტ-ამ-ს...) და ხშირ შემთხვევაში ამით უნდა იყოს გამოწვეული სათანადო მიმღებობის წარმოება -ულ სუფიქსით. აღსანიშნავია, რომ მასდარში გვაქვს: ტეხვა, კრეფვა და სხვ.

-ილ და -ულ სუფიქსები ზოგჯერ გამოყენებულია საწყისის საწარმოებლადაც; მაგ.: ხორბლის ზიდილი (=ზიდვა), ფიჩხი ზიდილი, ძალი ყუფილი, დაიწყო ფიცილი... კითხულ-კითხულით (კითხვა-კითხვით) მიდიან, კითხული (=დაკითხვა) შედგა...

ზოგიერთი -ებ და -ობ თემის ნიშნებიანი (სალიტერატურო ქართულის მიხედვით) ზმნისაგან ნაწარმოებ მიმღებობებთან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს -ულ სუფიქსი დაერთვის მარტივ ფუძეს: გადაკიდული, ჩამოკიდული, გამზადული, მოტაცულია (=მოტაცებულია), გამოძახული იყო, გაქუქული ულამაზოთ მოსჩანდა... მაგრამ აქ საქმე ისაა, რომ ამ მიმღებობისათვის ზოგჯერ მაინც ამოსავალი უნდა იყოს -ავ (|| → -ამ) თემის ნიშნებიანი ზმნა და არა -ებთან: გადაკიდავს—გადაკიდული...

მოოქრულ-ისათვის ამოსავალი ჩანს სახელისაგან ნაწარმოები მოოქრავეს ზმნა.

დაწებულ-ისა და დარჩენილ-ის ნაცვლად კახურში, როგორც ქართულში, გაბატონებულია დაწყობილი (← დაწყობა) და დარჩომილი (← დარჩომა): საქმე მაქ დაწყობილი, ღიათ იყო დარჩომილი¹.

დალუპილ-ში -ილ არ იყო მოსალოდნელი (ზმნაა დალუპ-ავ-ს): მამაჩემი დალუპილა.

ვნებითი გვარის მიმღებობათა საწარმოებლები -ულ და -ილ სალიტერატურო ქართულშიც ენაცვლებიან ერთმანეთს, მაგრამ ამ შემთხვევაში აქ დაცულია გარკვეული წესი (დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ზმნის ფუძე).

სა — ავ აფიქსთა ნაცვლად ზოგჯერ გამოყენებულია სა — ულ (სამალული): ხალხი იმალებოდა სამალულეფში.

აწმყოს მიმღებობაზე (მ-ტირ-ალ-ი ← მ-ტირ-არ-ი) ნა—ავ აფიქსთა დართვით იწარმოება წყვეტილის მიმღებობა (ნა-მ-ტირ-ალ-ავ-ი), სადაც ასახულია როგორც წინანდელი, ისე ამჟამინდელი ვითარება; მაგ.: დახვდა ბიჭი ნამტირალავი, მოვიწმინდევი ნამტირალავი თვალები²... ასეა: ნამძინარავი...

ყოფილობის საწარმოებელი ნა — არ აფიქსებით არის მიღებული: ნა-სახელ-არ-ი, ნა-კალო-არ-ი, ნა-ბოლო-არ-ი: გაუმარჯოს ჩვენ თუ შეფსა, ნასახელარს მტერზედა; იმ სოფელ ნაკალოვარ ეძახიან; ვინა მკითხავს ნაბოლოვარ? დარჩა ნაბოლოვარა, ახლა ნაშუალა³ ძმა შავიდა; ნარუსლი შვილი (← ნარუსალისშვილი; გვარია) იყო...

¹ გ. შალამბერიძე, კახური დიალექტის თავისებურებანი ყვარლის მეტყველების მიხედვით, გვ. 114.

² იქვე.

³ ნაშუალა მიღებული ჩანს ნაბოლარა-ს ანალოგიით.

ნამეტარ-ისათვის ამოსავალი მეტი: ნამეტარი ქუხილი იცის მთაში...

ნა — არ აფიქსების მონაცვლედ შეიძლება ზოგჯერ ნა — ურ გვეკონდეს;

მაგ.: მიადგა ნაცეცხლურს; ნაფასურს უხდიდა...

სადაურობის საწარმოებლად -ურ (დისიმილაციით: -ულ) იხმარება ადამიანის მიმართაც; მაგ.: მე ზემოური ვარ, მატნური; ალექსი იყო ახმეტური ბიკი; სიძეთ მაიყვანა ერთი ქიზიყური ბიკი; იმ დღეს მოიძოდა შილდური ხალხი, ალმატური ხალხი და გრემული ხალხი; აქ ერთი ყვარული კაცია; ბოდბური კაცი იყო; გავაზური ქმარი ჰყვანდა; ქვემოხოდა შნური სიძე იყო; ქვემომაჩხანური; ჩემი დედა იყო წინანდლური; უთხრა ქალაქურმა კაცმა...¹ ასევეა: ვინ იცის, როდინდელი იქნება!..

ანალოგიური ვითარება გვაქვს ფშაურშიც.

მრავლობით რიცხვში უპირატესობა ენიჭება -ელ-ს, -ური კი იშვიათად იხმარება; მაგ.: შილდელებს ვაჯობეთ ჩვენ; იმათ ღვინო დაგვახვედრეს ნანიანელებს, მეურმეები ყოფილან ჯიმითელები.

სადაურობის -ულ სუფიქსი გამოყენებულია ზოგჯერ იქაც, სადაც დისიმილაცია არ იყო მოსალოდნელი; მაგ.: ბიკი თიანური იყო, ქალი კი — თბილისული; კონდოლული სიძე იყო², ერთი უდაბნული მოურავი-ყუავთ.

სადაურობის საწარმოებლად -ელ სუფიქსი გამოყენებულია არაადამიანის მიმართაც; მაგ.: ლამისყანელი ურემია, იმერელი ლობიოც მოვა (შდრ. მაზრის უფროსი იყო მატნელი, ახლოველი ნათესავი იყო).

სადაურობის აღსანიშნავად ზოგიერთი სახელი დაირთავს ორმაგ (-ურ—-ელ) სუფიქსს; მაგ.: სადაურელი იყო? აქაურელი იყო...

„მწერალი“ ზოგჯერ გვევლინება „მწერლის“ სახით (შინაარსობრივი განსხვავება არ არის). იგი ნაწარმოები ჩანს სხვა მიმღეობათა მსგავსად მ—ელ აფიქსებით (მჭრელი, მთლელი...).

ბრიგადირი აქაც, როგორც ქართლურში, ბრიგადელ-ად არის შეცვლილი უთუოდ -ელ სუფიქსით ნაწარმოებ სახელთა მსგავსად: ბრიგადელს ვერაფერს უბედავსო.

პირის ნაცვალსახელთან გამოყენებულია -ეულ კუთვნილების აღმნიშვნელ სუფიქსად, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“; მაგ.: შეენეულად შამინახე! დაასახლეს ჩვენეულ ადგილში.

იგივე სუფიქსი ნახმარია სხვა სიტყვებთანაც: დედეული... მუჭეული (ხუთი მუჭეული ერთი ხელეურია).

მ-თხოვ-არ-ისაგან³ ნაწარმოებია სა-მთხოვრ-ო: ჩაიცვა სამთხოვრო ტანისამოსი; წავიდა სამთხოვროთ.

ასევეა წარმოდგენილი სა-მ-ძინ-არ-ო, სა-მა-რგებ-ლ-ო (← სა-მა-რგ-ებ-ელ-ო) და სხვ.; მაგ.: სამძინარო წამალი დაუღვეინებია; ღვინო სამარგებლოა.

სა—ის აფიქსებია გამოყენებული ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: სა-ცხოვრ-ის-ი (ამოსავალი ცხოვრება⁴), სა-ბრალ-ის-ი, სა-ყოფ-ის-ი, სა-წუხ-ის-ი და სხვა; მაგ.: მუჟცია საცხოვრისი, ის არი შასაბრალი სი, მო-

¹ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დილექტოლოგიურად, გვ. 77.
² თბილისული და კონდოლული ასიმილაციით მიღებულსა ჰგავს თბილისურისა და კონდოლურისაგან, მაგრამ სხვა შემთხვევები ასიმილაციას გამორიცხავენ.
³ სახელობითშია მთხოვარა: მთხოვარ ა-გონია.
⁴ შდრ. სა-წყ-ის-ი (და-წყ-ება), სა-ხნ-ის-ი (ხენა).

სავალი არი სამყოფისი, საწუხისი იყო, დიდი დასაკლისი იყო (=დანაკლისი იყო).

ზოგჯერ მხოლოდ სა- პრეფიქსი გვაქვს: საკმარი: საკმარი არი... ვხვდებით ნათესაობითის -ის და ვითარებითის -ად (←-ათ) სუფიქსებით ნაწარმოებ სიტყვებსაც (ზმნიხედებს): ძეძვი წყობისათ დეეწყო, უცბისათ წავიდა...

სა — ე აფიქსების ნაცვლად ზოგჯერ იხმარება სა — ო: საქათმო, საწვისქვილო...

ეგვეე აფიქსებია გამოყენებული დანიშნულების საწარმოებლად სხვა სიტყვებშიც: საცოლო, სადედო (აკეთებენ სადედო უჯრფეს), საკმო (საკმო ბევრია)...

სა — ე თია ნაწარმოები: საბალახე, საშუაღე, სავაზე... საბალახეს ვაძღვედით ხოლმე ოცისთავ; ახლა საშუაღესაც უთხრა; იპოვნა ახლა სავაზე დანა.

სა — ე და სა — ო აფიქსების გამოყენება ფართოვდება; მაგ.: შეუკეთეფთ სააღე შეშას¹, საძიღეთ² კივბრუნდებოდი სახლში, საიანერეთ ივარგეფს, სამარტეთ გაუშეებდა... სამთოთ³ მზადებას დავიწყებდით, სათვალიო⁴ ბავშვები არიან... გამოყენებულია კომპოზიტებთანაც: მე ბაღლი ვიყავ, სადღისმეხრეო ვიქნებოდი.

შეიძლება ზოგჯერ მარტო სა- პრეფიქსი მოგვევლინოს მოსალოდნელი სა — ე ან სა — ო აფიქსების ნაცვლად: მერე ყველის სადედს⁵ უზამენ; მემრე სადედრო უზამს რძეს...

ზოგჯერ სა — ურ აფიქსებიც გვხვდება პარალელურად; მაგ.: საძნურს⁶ მიიტანდნენ, მივიდა ერთ სამქედურში, უღელს აქვს ორი საქედური; საგვერდული...

სი — ე აფიქსებით ან მარტო სი- პრეფიქსით იწარმოება: სიმტყუნე, სიმწუხარე, სინაკლულე, სინტერესი და სხვ.; მაგ.: არა-ქონდა სიმტყუნე, ვიყავი დიდ სიმწუხარეში, რა სინაკლულე (=ნაკლულბა) გაქითო? სიმტერესი აქ.

სი — ე აფიქსების ნაცვლად ხშირად გვევლინება სი — ო სიტყვებში: სიმალღე, სიგანე, სიგრძე; მაგ.: იმ სიმალღო ყოფილა, იმ სიგძო თმები აქ, ემ სიგანო და ემ სიგძო იყო, მალლა ნუ-გცემ სიხმილოსა (=სიხმელესა).

ერთმანეთს ენაცვლებიან შემდეგი საწარმოებლები:

ა) უ — ელ და უ — არ: სასმელ-საქმელი გამოუღლევარი აქ; ერთი უშობინარი დეკეული; უკლებრათ მოუტანა... გაუგებელი დედა-კაცია.

ბ) მ — ელ, მ — აღ, მ — არ, მ — ავ, მ —: მთესავ დაიქირავებდნენ; მოიდნენ ამწერავები?; სამი მომკალია (|| მომკელი); იმი ბედიმწერელი... სად იშოვა მხატავი...

¹ აღს რომ იძლევა.

² დასაძინებლად.

³ მთაზე წასასვლელად.

⁴ ლამაზი, შესახედი.

⁵ სადედე.

⁶ საძნე ურემი.

⁷ ამოსავალია „წერაფ-ს“.

გ) სა — ელ, სა — ალ, სა — არ, სა — ავ, ა-: ყანა მოსამკალია (შდრ. ქერი მოსამკელია; ძველ ქართულში გვქონდა სამკალი)... მიაცა ხელში ერთი სავარცხალ ი... საცემლად წამოიდა; შორს იყო სავლელი (=სავალი), რკინის საკიდელი, ვეშაპის მოსაკვლელათ, სანახველათ წავიდა, გასათევებლათ (=გასათევად), ავიდა მალლა დასამალათ (=დასამალავად), მშენიერი შესახედი (=შესახედავი) იყო; ხელზე დაიყარა საკმევი (საკმეველი), საკმი¹ (=საკმელი) ბევრია, პურს გარდასხვა სატანი არ იყო; ლოგინის გადასაკრავი, გადასაჩითი; საფქვი (=საფქვავი)... საფხეკარი...

დ) მო—ე და მ—არ ე² ან მო—ო: ამხანაგისა მძულარე დამლუპელია; მე მომწრო არა ვარ.

ე) -იან, -იერ, -ურა (|| დისიმ. -ულა): ქვეიერები იყვნენ, ხნიანი საქონელია³... გამოუარდა პერანგულა (=პერანგიანი)...

ვ) ნა- და სა-: ჩვენთვის დიდი დასაკლისია...

პარალელურად გამოყენებულია პროფესიის საწარმოებელი მე—ე და მო—ე აფიქსები: მენადირე || მონადირე, მეჯამაგირე || მოჯამაგირე... (შდრ. მეხბორე, მოპატივე, მოგირავნე).

პარალელურად იხმარება აგრეთვე მეთაური || მოთაური, მეკომური || მოკომური, მეგზაური || მოგზაური...

-ე ბოლოსართიანი წარმოების ანალოგიით გვაქვს მებადურე (←მე-ბად-ურ+ე), მეკომურე (←მე-კომ-ურ+ე), მეძნეურე (←მე-ძნ-ე-ურ+ე)...

დანიშნულების აღმნიშვნელი სიტყვისაგან (სა-კირ-ე) იწარმოება პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვა (მე-საკირ-ე)⁴; მაგ., მიიყვანა მესაკირე ფთან.

ლიტერატურული ფორმის გვერდით დადასტურებულია მლალატებელი (=მოლალატე), მაომარი და სხვა..

სი-ლაჩიბ-ე-ს ანალოგიით მიღებულია სი-ნაკლებ-ე, ხოლო ტკბილეულის ანალოგიით — მწარეული; მაგ.: საშუალო დავამთავრებინე ჩემი სინაკლებით... იყიდა ტკბილეულიც, მწარეულიც.

წილადის საწარმოებლად ლიტერატურული მე—ედ-ის ნაცვლად ზოგჯერ იხმარება ნა—ედ და ნა—ალ || ნა—არ; მაგ.: ნასამედს მიწი პატრონს ვაძლევდით, ნასამეთს მიიტანდნენ, მაგის ნასამეტ⁵ ვერა ნახამენ... იღებდა ნაოთხალს (შდრ. ნაოთხარს ვეძახოდით), ნახუთალი, ნაექვისალი, ნაშვიდალი, ნაათალი...

ანალოგიური მაგალითები გვაქვს მწერლების ნაწერებშიც.

დადასტურებულია ნა—ობ || ნა—ებ აფიქსების გამოყენების შემთხვევები რიგ სიტყვებთან⁶; მაგ.: ნაშვილობი გყავ; ნადელობი ყავ; ნამამობო, რატომ ხარ გაჯავრებული?.. ჩემო ნამამებო!..

კნინობითის ფორმები მეტად გავრცელებულია კახურში. მაგრამ მათი წარმოება არაა მრავალფეროვანი. ძირითადად გამოყენებულია -ასუფიქსი, რომელიც მკვლევრების ვარაუდით მიღებულია -აკ-ისაგან (წიგნაკი, გორაკი)⁷;

¹ შდრ. საკმო: თუ კაი საკმოშია, მეორე თვეში გაიკვება.

² გვხვდება მდიდარე, რომელიც ნაწარმოები ჩანს მ—არ-ე აფიქსებით.

³ აქედან იწარმოება ზმნა დახნიანდება. -იან დაერთვის ზოგჯერ ისეთ სიტყვასაც, როგორცაა მყუდრო: მყუდროიანი დღეა.

⁴ გ. შალამბერიძე, კახური დიალექტის თავისებურებანი ყვარლის მეტყველების მიხედვით, გვ. 114.

⁵ ხდება დ → თ → ტ.

⁶ გ. შალამბერიძე, იქვე.

⁷ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 122.

მაგ.: ა ლ ე ქ ს ა, მ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს ი მ ო ნ ა, გ ე რ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა ბ რ ა ლ ა, ს ი კ ა ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ნ ი კ ა, ტ ი ტ ი ა (← ტ ი ტ ე ა), კ ო ტ ა (← კ ო ტ ე ა), ბ ა ს ა, ვ ა ნ ო ა, ლ ე ქ ს ო ა...

ბ შ ი რ ა დ ბ ო ლ ო კ ი დ უ რ ო -ს თ ა ნ ე რ თ ა დ ა გ ე ა ძ ლ ე ვ ს უ ა -ს: ვ ა ნ უ ა, შ ა ქ - რ უ ა (მაგალითები იხ. ფონეტიკურ ნაწილში).

ე გ ე ვ ე კ ნ ი ნ ო ბ ი თ ი ს - ა გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ უ ლ ი ა ზ ო გ ა დ ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი ც; მაგ.: ს ა გ - ვ ე ლ ა პ ა ტ ა რ ა ც ო ც ხ ი ა; ს ა რ ე კ ე ლ ა, ხ ე ლ ც უ ლ ა; ქ ა ჩ ა ლ ა ე უ ბ ნ ე ვ ა; მ ი ნ - დ ო რ ა ვ, ჩ ე მ ო მ ი ნ დ ო რ ა ვ! ფ ე რ დ ა; პ ა ტ ა რ ა ძ ა ლ ლ ი მ ო ე წ ო ნ ა — ლ ე კ ე ა; ნ ე კ ა თ ი თ ე ბ ი დ ა ა ქ რ ა; ე რ თ ი ბ ო თ ლ ა ლ ე ნ ო; ა ს კ ი ლ ა თ ა ვ ი ქ ნ ე მ ს; პ ა ტ ა რ ა ტ ო პ რ ა კ ა ქ ო ნ დ ა...

და დასტურებულია -იკ !! -იკ-ო სუფიქსიც; მაგ.: ცალ-ცალკე სტოლი-კებნი¹ გვქონდა (მდრ. სტოლა), წვნიკები (=წვრილები) იყო, ბასიკო², სვიმონიკო...

გ ვ ხ ვ დ ე ბ ა ზ ო გ ჯ ე რ - უ ნ ა ნ რ თ უ ლ ი - უ ნ - ა ს ა წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი ც: კ ა ტ უ ნ ი (თუ ეს არაა მიღებული კატ-უნ-ია ფორმისაგან), კ ა ტ უ ნ ა ს ა ც ხ ა ფ ა ნ გ ი თ ვ ი ქ ე რ თ; ქ უ დ უ ნ ა³.

ბ უ ს უ ნ ა ც ა მ გ ხ ი თ ჩ ა ნ ს მ ი ლ ე ბ უ ლ ი ბ უ ს ნ ო -ს ა გ ა ნ (ბუსნოუნა → ბუსუნა): დატოვეს ცხვრები ბუსუნაში.

შ ე მ ო ნ ა ხ უ ლ ი ა ა გ რ ე თ ე ვ - ი კ - ა, - ა ლ - ა და სხვა რთული სუფიქსები (ნინ-იკ-ა, კოტ-ალ-ა, კუდ-ალ-ა); მაგ.: ნინიკა ხარაშვილი, კოტალა იმერლი-შვილი, ერთი ხარი კუდალა იყო, ჩოკინა-ყავა პატარა და სხვ.

მ ა რ ტ ო კ ა ხ შ ი რ ა დ ი ხ მ ა რ ე ბ ა მ ა რ ტ - ო კ - ა ნ - ა || მ ა რ ტ - ო კ - ი ნ - ა - ს ფ ო რ მ ი თ.

ჩ ე ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი ფ ო რ მ ა ა გ რ ე თ ე ვ ტ ი ტ ლ ი კ ა ნ ა: ფ ე ნ შ ი შ ვ ე ლ ა და ტ ი ტ - ლ ი კ ა ნ ა; და რ ჩ ა ტ ი ტ ლ ი კ ა ნ ა.

და დასტურებულია აგრეთვე დატლაკინა: შენისთანა დატლაკინა შეილსა მე ქალ მივათხუეფო!

კ ნ ი ნ ო ბ ი თ ო ბ ი ს ს ა წ ა რ მ ო ე ბ ლ ა დ ზ ო გ ი ე რ თ ს ი ტ ყ ვ ა ს თ ა ნ ი ხ მ ა რ ე ბ ა ა გ რ ე თ ე ვ - უ რ - ა ს უ ფ ი ქ ს ი; მაგ., პატარა კოკას ეძახიან კოკურა-ს (დიდს კი — კოკას), პატარა ნეკს ეწოდება ნეკურა თითი.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ა - უ რ (|| → - უ ლ), - უ რ - უ ლ (← - უ რ - უ რ) ს უ ფ ი ქ ს ე ბ ი კ ნ ი - ნ ო ბ ი თ ო ბ ი ს ა და მ ს გ ა ვ ს ე ბ ი ს გ ა მ ო ს ა ხ ა ტ ა ვ ა დ; მაგ.: ვკრეფდით გოდრულეფ-ში, ცუდურები არ ჩააწერინოთ, რალა მიწურულში⁴ სცხოვრობ! გააკეთა ბარულა⁵ და დაუწყო მიწას თხრა, ჯინურა⁶...

და დასტურებულია გ ო გ რ ო ხ ა ფ ო რ მ ა ც, რ ა ც ს უ ლ პ ა ტ ა რ ა გ ო დ ო რ ს ნ ი შ - ნ ა ვ ს, მაგ., გოდრულები და გ ო გ რ ო ხ ე ბ ი ც ი წ ვ ნ ე ბ ა.

კ ნ ი ნ ო ბ ი თ ი ს ს ა წ ა რ მ ო ე ბ ლ ა დ - ა - უ ჭ ს უ ფ ი ქ ს ი ც ჩ ა ნ ს: ბ ა ლ ლ ა უ ჭ ე ბ ი შე-ვიკრიფენით (იყალთო).

ი ს ე თ ი ს ი ტ ყ ე ვ ი ბ ი ს ა გ ა ნ, რ ო გ ო რ ი ც ა ა ჰ ო, კ ა რ გ ი, ქ ი ა, ქ ა ჯ ი და სხვა, ო ბ - ა ს უ ფ ი ქ ს ი თ ი წ ა რ მ ო ე ბ ა ა ს ე თ ი ფ ო რ მ ე ბ ი: ჰ ო ო ბ ა, კ ა რ გ ო ბ ა, ქ ი ა ო ბ ა, ქ ა ჯ ო ბ ა და სხვ.; მაგ.: კმაყოფილები გახდნენ ჰოობაზე, ჰოობა (=თანხ-

¹ თუ ეს სიტყვა რუსულიდან ამ ფორმით არ არის შემოსული.

² სახელია ბასა.

³ სარეველა მცენარეა.

⁴ მიწურში.

⁵ პატარა ბარი.

⁶ პატარა ჯინი (წნელისაგან დაწნული კალათი).

მობა) უთხრა... ჩემ ქიაობას (=აბრეშუმის ქიას) ახლათ აქვს გადაშორებული მური... იმან აწავლა ქაჯობა (=ქაჯის საქციელი)... იმისაგან წყეინობა არ გამოდიოდა... მიიტანეს ნიშნობა (=ნიშანი)... შაუთავა მესამე ყავლობა, შანაცოდრობა მქონდა... და ასე: ქარგობა, ცუდობა, მამნეობა (←მანენ+ობა), ყანობა (=პურის მკის დრო), მკობა (ყანისა), ცემაობა, ხმალაობა, ნახევრობამდინ, იმაობაში, მაგასობაში, ძალაობა, ცოდლობა, სამართლობა, სახლობა (=მეუღლე), შინაობა (შინაურობა)...

-ება- შედარებით იშვიათად გვევლინება: ცოდოვება, ღირება...

ქონების აღსანიშნავად იხმარება -იერ სუფიქსი ისეთ სიტყვებთანაც, როგორცაა შობა, ქონა და მისთ.; მაგ.: ყველაფერი სახში მაქ დედამიწის შობიერი; ქონიერი იყო; მდიდარი, ქონიერი კაცი იყო¹.

-ა სუფიქსიც იხმარება კახურში ქონების აღსანიშნავად, როგორც სხვა კილოებსა და სალიტ. ქართულში. მხოლოდ ზოგჯერ ეს -ა შეიძლება მოგვევლინოს. იქაც, სადაც სალიტერატურო ქართულის მიხედვით ის არ იყო მოსალოდნელი; მაგ.: წვრილტანა (=წვრილტანიანი) საქონელი, გრძელბეწვა, ერთმუცელა, ორმუცელა, უღელა ხარი, შვიდღელა ხარ-კამეჩები, ათასჯურა მხალი იცის.

მსგავსების -ა სუფიქსითაა ნაწარმოები მთელი რიგი სახელები ყურძნის ჯიშებისა: თითა, ბუერა, ხართვალა... სარეველა მცენარეებისა: სამყურა ბალახი, ნარცეცხლა და სხვ.

-იან (←იან), -იან-თ² სუფიქსები იხმარება წარმომავლობის აღსანიშნავად³; მაგ.: წავიდნენ ქალიანი (←ქალიანნი), მოიდნენ ნეფიანი (←ნეფიანნი), პატარძლიანი (←პატარძლიანნი) გემზადებოდნენ, ჩვენა გაბაანნი ვართ... სხვა ბრუნვებში: ნეფიანთ უნდა ეყიდნათ, მე ვარ აფრასიონთა მანიყო, მოიდნენ ქალიანთსა, ნეფიანთსა მოილოდნენ, მიიტანდნენ ქალიანთა (←ქალიანთსა), ქალიანთაც (←ქალიანთსაც) დიდი ქახაქუხით მოილოდნენ.

-ოვან და -იან (სახელოვანი, სახელიანი) სუფიქსების კონტამინაციით უნდა იყოს მიღებული -იიან. დაბოლოება (სახელოიანი); მაგ.: სახელოიანი ქალია, შვილები სახელოიანი გაზარდა.

-ოსან იხმარება თმა სიტყვასთანაც; მაგ.: ქალი ვიყავ თმოსანი (შდრ. მანდილ-ოსანი).

სიტყვის ძირით თუ ფუძით აღნიშნული საგნის უქონლობის აღსანიშნავად უ — ურ და უ — ო აფიქსები დადასტურებულია ისეთ სიტყვებშიც, რომლებთანაც სალიტ. ქართულის მიხედვით არ იყო მოსალოდნელი; მაგ.: სულ და-უვლია მთა-ბარი, ის უბელური⁴ მთებია... უჩუმრად (←უჩუმ-ურად) აქამდა... უცნაურ (=უცნობ) ბიჭ გაურიგებდნენ, უმეგრეოდაც⁵ ივლის⁶ უტანსაცმელო გავალო, უუნცროსოთა ვართო...

ამავე მნიშვნელობით გამოყენებულია უ — არ აფიქსებიც; მაგ.: ყველა ლხინობს და თამაშობს — უქონარი⁷, ქონიერი; გასკდეს უშობინარი ზაქი ტყავიო და სხვ.

¹ შდრ. ღონიერი, გონიერი, ძლიერი, ნიჭიერი...

² -თ შრ. რ. სუფიქსია.

³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 123—124.

⁴ შდრ. უხელური, უკუდური, უძღური, უდაბური, უწესური, უხერ-

ხული...

⁵ შდრ. უქნარი, უქნარი.

ხანდახან და ხელდახელ კახურში ჩვეულებრივ იხმარება ხანდისხან და ხელისხელ სახით (შდრ. ხელი სხელთა) პირველი ნაწილი ნათეს. ბრუნვაშია.

მოგვიანებით ზმნისართის ანალოგიით ნაწარმოებია მუადრებით ზმნისართი, მაგ., სალამოზე მოიდნენ მუადრებით.

ჩვეულებრივია სახელისაგან ზმნის წარმოება (მიიღება აგრეთვე მასდარი და მიმღეობაც); მაგ.: ის ქალი აქვე რძლოფს (ამოსავალია რძალი, რძლობა-ა), ძლივა ვგონებ (=ვიგონებ), თითონ გონულობდა (=იგონებდა, თხზავდა) შაირეფს, მისი მშობლები ბოღმობდნენ, ძეობდნენ (ამოსავალია ბოღმა, ძევა), მე კიდევ მე ბოღმავება, სახლს ვეღარ ნიშნულოფს (ნიშნულ-ი, ნიშნულობა), ტყეში მათქოხეს, იპატარა ქოხი დავაქოხეთ (ქოხი, მოქოხება დაქოხება)... ვბრძლობთ... ექვს თვეში ერთხელ სამართლოფს (სამართალი, სამართლობა)... და ასე: აზეზეურდა (ზეზე, ზეზე-ურ-ი, აზეზეურება)... უნდა გეედილავებინა (დილა, გადილა-ვება)... შათეხდა (=ფეხებზე შედგა)... მოსადილდებოდა... რძეს ჩავასხამთ, იქ ჩაჩუმავდება (ჩუმა)... ჩარჭობილია ფარეშები და დაფარეშებულია... კაკალსა ღენჯამენ (კაკლის ღენჯო)... ბიჭი აფალავნო! (ამოსავალია ფალავანი)... გააგარდიგარდა... დაუნაკადეულე! (ნაკადულ-ი)¹... დაათავთავადე ეგ ცეცხლი (=დაფანტე, დააცალკევე)... ვერც ვერავინ მარცხამდა იმას... ცოტაოფ ფულს?... დედასა-მსაქმავს (=ასაქმებს, ავალებს); მთლათ მოჩამიჩებულია, ისეა დაბერებული... ერთ კვირაში ამოდის ჯეჯილი — ბლარტები, ამას ამობლარტვას უწოდებენ...

აზან ფუძეა ამოსავალი გა-აზან-ს ზმნისათვის, ხოლო სა-ჩუქ-არ-ი — დასაჩუქრებ-ს ზმნისათვის; მაგ.: მთლა გააბანა წყალში, რით გინდა დაგსაჩუქრო?

ანალოგიური ვითარება უნდა გვქონდეს დამთქნარებ-ს ზმნასთანაც; მაგ., პირს დამთქნარაო...

ზოგჯერ სალიტერატურო ქართულის მიხედვით მოსალოდნელი აღწერილი ფორმის ნაცვლად გვაქვს ორგანული წარმოება; მაგ.: დაგეწინააღმდეგოს (=წინააღმდეგობა გაავიწიოს), გაწინააღმდეგდა (=წინააღმდეგი გახდა), ძალიან აუდავდნენ (=დაეა დაუწყეს), მერე გადაიფერა (=ფერი იცვალა)...

ზოგჯერ ზმნის, მიმღეობისა და მასდარის წარმოების პროცესში იქმნება კომპოზიტი; მაგ.: ბრმასოლებს უკეთებენ და ამას დაბრმასოლავებას უწოდებენ, სიმინდი დასამფოჩებულია (სამ + ფოჩ-ი), მურმანი გაშავკინებული გამოიდა და სხვ.

სიტყვაწარმოების თითქმის ყველა თავისებურება, რაც სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით შეინიშნება კახურში, მეტ-ნაკლებად ასახულია კახეთიდან გამოსულ მწერალთა (განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძის) ენაში. ყურადღებას იქცევს:

1) ვნებითი გვარის მიმღეობის საწარმოებელი -ულ და -ილ სუფიქსების ურთიერთმონაცვლეობა: სასურველია გულში ჩანერგული ჰქონდეთო (ილია, VI, 143), თქმული ქმნულად იქცეს (იქვე, 143), შესწავლული დედაენაზედაო (იქვე, 113)... მუდამ გაბუტვილი დადის (ილია, I, 90), მიწურ-

¹ შდრ. ქართლ. დაუნაკადე (← ნაკად-ი).

ვილი სურვილი კვლავ ფეხზედ წამოაყენა (ილია, VI, 94), თვალა და ხუკვილი (გმ. ილია, III, 108), ვერა ჴშევეასმინე რა იმ ოჯახ დაღუპილებს (გმ. მეღ. 34)...¹

2) მე — ე და მო — ე აფიქსების მონაცვლეობის შემთხვევები: გლეხი მოსაკუთრე ითვლებოდა (ილია, VIII, 170), შუაღლისას მოსაფქვავენი შეგროვილიყვნენ (მეღ. 44)... ერთის მხრით მექომაგეთა და მეორე მხრით მეწინააღმდეგეთა (ილია, VI, 276)...

3) ხა — ე და ხა — ო აფიქსთა მონაცვლეობა: აღებულს საბალახეს ან სასოფლო საკიროებას ახმარებენ, ან იყოფენ ერთმანეთში (ილია, VIII, 236), მაგრამ: საბალახოც დღედაღლე მატებაშია (იქვე, 236), მოჰსწევენ სათესლოდ (ილია, IV, 73), მაგრამ: სათესლედ მოჰსწევენ (იქვე)...

4) მ — არ და შა — არ აფიქსთა პარალელური ხმარება: მთხოვარა მიადგა კარს (ილია, III, 40), კლდენი და მთანი თავის მამფოთარ შვილს გადმოჰყურებდნენ (გმ. ილია, I, 134)...

5) მე — ე, მე —, ხა — ო, -ეულ, ნა — ევ და სხვა აფიქსების გამოყენება ისეთ სიტყვებთან, რომლებთანაც სალიტერატურო ქართული არ ხმარობს; მაგ.: საადვილო საქმეა (ილია, V, 252), საკეთილო აზრი (ილია, VI, 210), ყველას მიაჩნია უფრო საუმჯობესოდ (ილია, VI, 231), ტყუილი ხომ... საზიზღარია და საწბილო (ილია, V, 197)... ხშირად ხმარებულბა საწუგეზოდ მეექვისა² (ილია, V, 182), მემაშინეც მოუწვევია (ილია, VI, 245)... დრო და ხანი არ მისცეს ბრალეულს³ (ილია, VIII, 264)... გაძარცვეს მგზავრად მოდენილები⁴ შარაგზაზე (ილია, VIII, 229)... არ არის გასაკვირველი (ილია, VI, 176), არ იყო საქებელი (ილია, IV, 38), ბევრი გასართობელი აქვს (ილია, VI, 169), სტრაბონი ბერძნელი მწერალია (ილია, V, 174)... ლურჯი სახე ნაპარსევი ბალნის ძირისა გამო (ილია, III, 141)... თავისთავად არასფერში სახმარისი არ არის (ილია, VI, 284)... ნაასალიც ვერ ვითხარი (გმ. ილია, II, 88); დედა ვარ მისი, განა მომკლავი? (გმ. რ. ერისთ. I, 16)... მომკალს მოესმა კელის ბზუილი (რ. ერისთ. I, 57)... თითქო თეთრი საფარავი აქვთ გადაქედილი ზემოდამო (ილია, III, 117)... ეგ მარტო მამულის დამყოფავთა მოქმედება იქნება (ილია, VIII, 225); გამსყიდავს და მსყიდავს მალე, უწყინრად და იათად შეახვედრებს (ილია, VI, 181)⁵... უმჭრიახოა (ილია, VII, 69), გადაწყვეტილება, რომელიც უმართლოდ მიაჩნია (ილია, VIII, 75)...

6) ზოგჯერ სალიტერატურო ქართულის მიხედვით მოსალოდნელი პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების ნაცვლად გვაქვს მხოლოდ პრეფიქსული წარმოება და პირიქით; მაგ.: ძალიან მწვავე ტკივილიც ის არის (ილია, VI, 143), რას დაგიკრებია გულზედ ეგ დასამიწი ხელები! (გმ. ილია, III, 37), ისე არ გატუდდება, რომ ვისმე გ'ამოსაყენი არ იყოს (ილია, II, 119), სტევა ერთმა იქ მდგომელმა დედაკაცმა (ილია, III, 106), [არია] ახალის მდომელნი (ილია, VI, 121)...

¹ ანალოგიური ხასიათის მონაცვლეობა გვაქვს სხვა მწერლებთანაც და მათ შორის რ. ერისთავთანაც: ნ. გიგაური, დასახ. შრომა, გვ. 172.

² მეექვე = ექვიანი.

³ ბრალეული ← ბრალ + ეულ (უდრის ლიტ. ბრალდებულს).

⁴ ამოსავალია ღენ ფუძე.

⁵ ყოფ-ავ-ს და 'სი-ყიდ-ავ-ს ზნებია ამოსავალი დამყოფავ, გამსყიდავ და მსყიდავ მიმ-ლებობებისათვის.

7) ზოგჯერ სიტყვა, რომელიც თავის მხრივ ნაწარმოებია, გამოყენებულია სხვა სიტყვის საწარმოებლად. ამ გზით მიღებულია: ნა-მეტ-ან+ -'ე'-ობა, **ო + ნამეტანობა**, ნა + ნე-რგ-ო, მი-მ-ძინ-არ-ებ-ულ-ო, სა-მ-ჯობ-ინ-არ-ო, სამჯობინარო და სხვ.; მაგ.: ნამეტანობა ხენა-თესვისა საბაზროდ დღესაც ხელს არ აძლევს (ილია, VIII, 247), ნამეტანობით (ილია, VII, 36), გარეთ გამოსვლას ჰლამისო სინამეტანობითა (ილია, IX, 42)¹, შენი ნათესი, ნანერგი (ილია, I, 109), მიმძინარებულის ხასიათისა განლდათ (ილია, VII, 6), ეს აზრი ფრიად მოსაწონი და სამჯობინარი იყო ყველასათვის (ილია, VIII, 6), სამჯობინაროდ დაუნახავს (ილია, V, 170)... შებორკილებულ და დატყვევებულ მონებისა (ილია, VIII, 287)...

8) ლიტერატურული ხანდახან წარმოდგენილია ხანდისხან სახით, სადაც და კავშირი მოცემულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით: ხანდისხან განაზება იცოდა (ილია, II, 152), ხანდისხან (რ. ერისთ. III, 178), ხანდისხან (მელ. 15), ხანდისხანობით წერა შექცევაა (ილია, IX, 46)...

9) ანაბარა ზოგჯერ გვევლინება სინაბარას სახით (ამხანაგის ანაბარა → ამხანაგის სინაბარა²): ვის სინაბარას დაგვაგდე, შეილო? (გმ. მელ. 26), იმ უღმერთობებმა აღის სინაბარას როგორ გაუშვეს (გმ. მელ. 16)...

10) ვხვდებით ზმნებისა და სხვა ისეთი სიტყვების ორგანულ წარმოებას, რომლებიც სალიტერატურო ქართულში ჩვეულებრივ აღწერილად იწარმოება; მაგ.: სამუდამოდ მკვიდრად განაკარგოს მეურნეობა (ილია, VI, 319); განვთითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით (ილია, IV, 150); ჩვენ ყოველსფერში გავთავ-თავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავ-თავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავთავდა (ილია, IV, 155); თქვენმა შეილებმა მაინც იკარგკაცონ (დ. მაჩხ. 11), კაი ჰედილასაც დავასაკლავებ (იქვე, 27), აქედამ გაუსისწვრივა³ თვალი (ილია, III, 81), ეხელქვეითება (ილია, VIII, 74), ნაწილი... გაძლიერდეს და გაუფლდეს კაცთა ეკონომიურ ცხოვრებაში (ილია, VIII, 161), იმოდენა იხელოვნა (ილია, V, 268)...

11) ჩვეულებრივი წესის მიხედვითაა ნაწარმოები -ობ-ა სუფიქსის დართვით: კამათობა, ბეზლობა, ცუდკაცობა, თვალზუჭობა, ცუდაობა და სხვ.; მაგ.: გაცხარებული კამათობა (ილია, VI, 265), საზიზღარი ბეზლობა ის ბეზლობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს (ილია, IX, 4); შენ რომ ცუდკაცობდე, კაი-კაცობაზე სხვას მაინც ნუ გალანძღავ (გმ. ილია, III, 85); გააოცა ცუდმედიდობით (ილია, VIII, 356), ცუდაობა ცოდვის დედაა (დ. მაჩხ. 19), მარტო თვალ-ხუჭობით თუ მოელანდება (ილია, V, 73), გამოსთქვამს თავისთავის და გულის ცარიელობას (გმ. ილია, III, 252)... ეგევე -ობ-ა ხშირად ენაცვლები -ებ-ა სუფიქსს: გადაწყვეტილობა (ილია, VI, 5), გაბედულობაც იყო (იქვე, 124), თავის დანიშნულობის აღსასრულებლად მოჰკიდებს ხელს (იქვე, 52), მადლს უხდის თავისუფლობას (ილია, I, 10), საშუალობას ჰპირდება (ილია, X, 119), ბევრი რამ შესძინა ქვეყნიერობას (ილია, VI, 5) და სხვ.

¹ მეტ ფუძეს შეიძლება დაერთოს ნა-ურ აფიქსებიც: ნამეტურია (ილია, VI, 260) და სხვ. (შღრ. ნაფეხური და მისთ.).

² მომდინარეობს ნათ. ბრუნვის -ს ელემენტისაგან და გააზრიანებულია ხი- პრეფიქსად.

³ ნაწარმოება ნაწარმოები სიტყვისაგან სისწვრივ.

როგორც დავინახეთ, კახურის მორფოლოგიაც ისევე, როგორც ფონეტიკა, მდიდარია თავისებური ფორმებითა და მოვლენებით. კახურის დამახასიათებელი ძირითადი მორფოლოგიური თავისებურებები, როგორც მთავარი ფონეტიკური მოვლენები, მეტ-ნაკლებად ასახულია კახეთიდან გამოსული მწერლებისა და მათი პერსონაჟების მეტყველებაში. ზოგი ამ მოვლენათაგანი სალიტერატურო ენამ მიიღო და დაამკვიდრა, ხოლო ნაწილი ისევ დიალექტიზმად დარჩა.

სანტაქსური თავისებურებანი

ნპ. მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა. მოთხრობითსა, ნათესაობით-სა და მოქმედებით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან წინამავალი ბოლოთანხმოვ-ნიანი მსაზღვრელი ზოგჯერ გვევლინება მოკვეცილი დაბოლოებით, მაგრამ გაცი-ლებით უფრო იშვიათად, ვიდრე ინგილოურში; მაგ.: დაინახა ერთ მეცხ-ვარემ, ბებერ კაცმა უთხრა, ყვითელ წყალმა ჩამოიარა, ჩემ დე-დინაცვალმა დაინახა, გიჟ დიაკვანმა მიუტანა წამალი, გამაიარა მოხუც დედაკაცნან... გავიდნენ შავ ზღვის შუა კუნძულზე, მივიდა ერთ წყლი პირაჲ, ერთ კვირის შემდეგ, იყო მშვენიერ ხის ქვეშ... ჩემ შიშით ვერ გაუვლიაო, დიდ პატივისცემით უკითხავენ, დიდ ღუხჭირობით იარეს...

მდგომარეობა არ იცვლება მაშინაც, როცა ნათესაობით ან მოქმედებით ბრუნვაში დაყენებულ საზღვრულს მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშნის თანხმოვ-ნითი ელემენტი ან თანდებული ერთვის; მაგ.: წამოწვა ერთ ფურცლი ქვეშ, გავიდნენ ერთ ქედისაკენ, შავ ზღვიდამ ამოდის, შავ ღლი-თვინაო...

ეს მოვლენა გამოწვეული ჩანს მსაზღვრელ-საზღვრულის გაკომპოზიტივი-საკენ მიდრეკილებით ან უფრო მსაზღვრელის გაერთფორმირების ტენდენციით.

კახურის ეს ვითარება ნაწილობრივ ასახულია კახეთიდან გამოსული მწერლების ნაწერებში; მაგ.: ეს მეტის-მეტი დაქვეითებაა პეგასზედ მჯდომ ცხენოსნისა (ილია, IV, 185), გაცვეთილი ფანდია სახსარმოკლებ-ბულ ფალავნისა (ილია, IX, 91), მედიდურად გამოიყურებოდა გალაქ-ვარდებულ მთის წვერიდამ (დ. მაჩხ. 4), დიდი მადლობა გადაუხადა ამის-თანა გულმტკიცნეულ თავაზიანობისათვის (ილია, V, 234)... უფ-რო მოჭირებულ ფერით შეღებოს (ილია IX, 192), გამიტაცებს სუბუქ ფრთითა (ილია, I, 19), ხან გაჭივის მალალ ხმითა (ევედ. II, 213)...

ასეთი (ბრუნვაში შეუთანხმებელი) მაგალითების ხმარების საპირობებას ილია ჭავჭავაძე თეორიულადაც ასაბუთებს: ხსნის კეთილხმოვანების მოთხო-ვილებით¹. მაგრამ საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ეს პრინციპი ილიას თავის ნაწერებში მხოლოდ ნაწილობრივ აქვს გატარებული². როგორც ჩანს, აქაც კახური ცოცხალი მეტყველებიდან ამოდის ილია.

კახურში უფრო საინტერესოა ზოგჯერ მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვაში დაყენებულ საზღვრულთან მსაზღვრელის გამოყენება სახელობითი ბრუნვის ფორმით; მაგ.: ეხლა თავისი შვილმა დაიწყო ვაქრობა, უთხრა.

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. პ. ინგოროყვას რედაქტორობით, III, 1953, გვ. 42—43. 448—449.

² გატარებულია უმთავრესად ნათესაობითი ბრუნვის მსაზღვრულთან. მოქმედებითი ბრუნ-ვის საზღვრულთან მსაზღვრელს იყენებს უმთავრესად ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით; გრძე-ლის ხელით მტერსა სცემს (IV, 35), ჩემის ფიქრით (ექვე, 38).

თავისი რძალმა, დაინახა ერთ ბებერი კაცმა, მავანი მელორემ ლორები დაგვიკარქაო... იმან მიეცა თავისი მეუღლეს, თავისი ძმას მიუტანა, შახვდა ერთი მდიდარი კაცსა, იმ მდიდარი კაცსა აქ ყანა მოსამკალი, გვიმ მთელი ქალაქს სუ შავები გადაათარა, ახალი რაიონს ნახამს, შენ ჩემი ხელობას არ გააწავლიო, მივლევ მე იმისი კვალსა; რამდენი ფეხს გადაადგამს, იმდენს კლამს; რამტენი მუქას შაჰამს, იმტენი წყალს დააღვეს; ორი თვეა წოვს გოჭი დედას...

ასეა თანდებულიან საზღვრულთანაც; მაგ.: მივიდნენ ერთი კარგი მეკომურესთან, გაგზავნა ქალი თავისი მამაჲთან, წავიდა გივი თავისი გზაზე, ერთი კვირაზე მეტი ხანი არ გასულა, ცხრა ათასსა სული ცხვარში ერთი შენიც ერეება, შენი ანწლის ქოხში წამიყვანეო, იგეთი დღეში იყვნენო...

კახურში ასეთი დარღვევები ჩანასახის სახითაა მოცემული ისევე, როგორც ქართლურში. იგი არ ასახულა მწერლობაში. ანალოგიურ მოვლენას ფართოდ ვხვდებით ინგილოურის ალიაბათურ კილოკავში, ფერეიდნულში, აქარულში, გურულში და სხვაგან. მეგრულ-ქანურსა¹ და ყიზლარ-მოზდოკურ ქართულში² მსაზღვრელი ყოველთვის სახელობითი ბრუნვის ფორმით გვევლინება და არ უწყევს ანგარიშს იმას, თუ რომელ ბრუნვაშია საზღვრული. ეს თავისებურება კახურში სულ ახალია და მის განვითარებას უთუოდ ხელს შეუშლის ლიტერატურული ენა.

თუ საზღვრული წინ უსწრებს ნანათესაობითარ მსაზღვრელს, გვექნება სრული შეთანხმება მიცემითსა და მოთხრობით ბრუნვაში. მაგრამ ასეთი წყობა ახლანდელ კახურ ცოცხალ მეტყველებაში შედარებით იშვიათად გვაქვს. იგი შემონახულია უმთავრესად ლექსებში; მაგ.: ზედ უშვებთ ლამს აღაზნისას, გედებხვივა დედ-მამას სიძისას, ქმარს უთხრა თავისას³, რისხვასა-გვანდა მცისასა; პირსა მალამდა მზისასა აღმოსავლეთის მხრისასა, მეტრიკას დეეძებლით იმ ბიჭისასა, ყაჩალი შემემეყარა სამძღვარსა მუხრანწყისასა... მწერლები, რა თქმა უნდა, ხმარობენ, მაგრამ არა კახურის გავლენით: შრომაში პოულობს საგანს ცხოვრებისას (ილია, VII, 152), ელემენტს კულტურისას (ილია, V, 71)... ასეა მოთხრობითშიც: საზღვარმა შესაძლებლობისამ ადგილი გადაიწაცვლა (ილია, V, 17), საშინელმა თავდას-ხმამ სკვითებისამ (იქვე, 51)...

პოსტპოზიციური წყობისას მხოლოდობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში ნანათესაობითარი მსაზღვრელი სრული -ისა დაბოლოებით იხმარება. სახელობითი ბრუნვის ნიშანი, რომლითაც ის ბრუნვაში ეთანხმებოდა საზღვრულს, დაკარგულია; მაგ.: ესნაქერი კუტისა⁴ შენცა ქამეო, წვერი ქონდა თხი ბაღნისა, ცხვარი აღარ არი იმ მეცხვარეებისა, ხმალი ქონდა ხისა, იმაზე ასვლა არ შეიძლება კაცისა, ქოხი გავაკეთოთ ანწლისაო,

¹ არნ. ჩიქობავა, ქან. გრამ. ანალიზი, § 18.

² სტ. ჩხენკელი, ყიზლარ-მოზდოკური ქართული; ტფ. უნივ. შრ. V, 1936, გვ. 276.

³ მიცემითი ბრუნვის ნიშნის-ს, რომელიც ახმოვანს ერთვის უშუალოდ, ზოგჯერ იქცევა -ღ-დ, თუ მას ემფატიკური ხმოვანი არ დაერთვის, მაგალითად, ქურქ იცემენ ცხვრისაჲ.

⁴ ნაჭერი კუტისაი → ნაჭერი კუტისაჲ → ნაჭერი კუტისა.

დრო მოიდა დანიშვნისა, მშვილდ-ისარი უნდა გავაკეთებინო ამ რკინებისა, კბილები ეყერა გოგრი თესლისა...

მიცემით ბრუნვაში დასმულ საზღვრულს, რომელსაც ხშირად ბრუნვის ნიშანიც ეყვეცება, წინამავალი მართული მსაზღვრელი ზოგჯერ ბრუნვაში ეთანხმება როგორც გათიშული, ისე გაუთიშავიც, ე. ი. უშუალოდ წინამავალი: დაკლული ღორისასა ნასამეთს მიიტანდნენ, იმ ობლისას ფქვილ გაუშლის და იმის ფქვილსა-ახელამს, ხისას გავთლიდით ქუქურიკსა, ძველი ნაბდისას შაჯერამდნენ თავზე ჩამოსაცმელ...

ვხვდებით მიცემით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან მისი წინამავალი ბოლოთანხმონიანი მსაზღვრელის სრული შეთანხმების შემთხვევებსაც; მაგ.: დაყრილს ნაცარს არ გავაციფო, ხუთ-ექვს ურემს ყურძენსა ვკრეფდით, მიადგნენ ერთსა კლდესა, დაწვა ერთსა წიფლი ძირას, ერთს მეღორეს ღორი ფოლოდა...

ასეთი სახის შეთანხმება თანდათანობით იშლება, თუმცა XIX საუკუნეში კახეთიდან გამოსული მწერლები ხშირად იყენებდნენ მას; მაგ.: ვერ მისწვდა იმ მიუძწვდარს ნაყოფსა (ილია, III, 185), განაცვიფრებდა ჭკუაზედ უკაცრაოდ ნამყოფსა ლუარსაბს (იქვე)...¹

საზღვრული ხშირად შინაარსის მიხედვით ეთანხმება რიცხვში მსაზღვრელს, როცა ეს უკანასკნელი სემანტიკურად შეიცავს ერთზე მეტის გაგებას; როგორცაა რიცხვითი სახელი, ზოგი ნაცვალსახელი და სხვ.; მაგ.: ცხრა ძმანი არიან, ერთ ადგილას სამი ეშმაკები არიან, მძინარეს დათხარეს ორივე თვლები, დაადე ოცივე ოთახები, ითხოვეს ცოლები ორივე ძმებმა, მივიდნენ იმ ქალთან ორივე ხელმწიფეები, დირეფეს გადავაბამთ ერთმანეთს ოთხივე ყუნქულეფში... რაზდენიმე სოვდავრები გავალარიბე და რამდენიმე ხემწიფის შვილები, რამდენიმე დღეების შემდეგ... ამ ბიჭმა ყველა მოთამაშეფს მოუგოთ ფული, გამოუძახა ყველა ექიმეფს...

ეს მოვლენა საზიაროა სხვა აღმოსავლური თუ დასავლური კილოებისათვისაც: ჩვეულებრივ იხმარება მწერლებისა და პერსონაჟების მეტყველებაშიც; მაგ.: ასე აგვიცრუა გული ათასმა მაგალითებმა (ილია, VI, 90), დაგვიბარა ბატონმა ყველა მეძროხეები (გმ. მელ. 11), ბაირონმა ბევრი ტალანტები გაიტაცა (ილია, IV, 5); ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე, რამდენი ბლარტები მიზის (გმ. ილია, III, 74)...

ხშირად საზღვრულს მრავლობით რიცხვში ეთანხმება რიცხვითი თუ კრებითობისა და რაოდენობის გამომხატველი მსაზღვრელი სახელი; მაგ.: გაქდნენ ორნი ძმანი, არიან სამნი ძმანი, შვიდნი ძმანი იყვნენ... წავიდნენ მონადირეები სამნი... ფულები ბევრები ააცალა, გალმა ხალხნი ისევ ბევრი არიან...

აღსანიშნავია, რომ -ებ-იან საზღვრულს ჩვეულებრივ ახლავს ნარიანი მსაზღვრელი: იყვნენ ორნი მგზავრები, სამნი ქალები ჩააბარა, ექვსნი ბიჭები მოიდნენ, ორნივე კარები გახსნა...²

¹ ინდივიდუალური მოვლენა ჩანს წინანდალში დადასტურებული ფრაზა: მე ვიქნებოდი რვას წლისა თუ ცხრას წლისა, ოცდარვას წლისა იყო. გურულისათვის კი ასეთი ფორმები არ არის უჩვეულო.

² ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ ზრდილობის გამოსახატავად გამოყენებულია მრავლობითის ფორმა მესამე და პირველი პირისა: ესენი (=ეს) სად იყვნენ დღეს? ესენ-

ორცნებიანი კომპოზიციის მეორე შემადგენელი ნაწილი, აგრეთვე რიცხვითი სახელი და კრებითობის აღმნიშვნელი სიტყვები ხშირად ირთავენ მრავლობითი რიცხვის ნიშანს კახურშიცა და მწერლობაშიც; მაგ.: ჩემი დედ-მამანი იყვნენ ღარიბები, დარჩნენ ორნი დედა-შვილნი, გაიქცნენ ორთავე და-ძმანი, ხალხნი არიან, სამთუნდა გადმოიღონ ქვაბი... და ასე: ხშირად შუადღემდინ ცოლ-ქმარნი გაცხარებულნი და გაკარხლებულნი ამისთანა ღრმა აზრებს აპტიცებდნენ (ილია, II, 193), მოვიდნენ ჩვენი ბედნიერი ცოლ-ქმარნი (იქვე, 230), და-ძმანი სიხარულით ერთმანეთს გადაეხვივნენ (ილია, III, 116).

ასეთი სიტყვების შემცველ ფრაზებში განსაკუთრებით იგრძნობა აზრის (= შინაარსის) გავლენა ფორმაზე: შინაარსით მრავლობითად გაგებული სიტყვა (დედა-შვილი, ხალხი) შესაფერის ფორმასაც იღებს, იჩენს მრავლობითის ნიშანს¹.

წმ. შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან. მხოლოდობითი რიცხვის ფორმით მოცემული ორცნებიანი კომპოზიტი და მნიშვნელობით ერთზე მეტის აღმნიშვნელი სახელი (ქვემდებარე) ზოგჯერ ზმნას (შემასმენელს) შინაარსის მიხედვით ითანხმებს, რაც ჩვეულებრივია სხვა კილოებშიც და თავს იჩენს მწერლობაშიც; მაგ.: ცოლ-შვილმა ღაილაპარაკეს, დედ-მამა მალა ავიდნენ, დარჩნენ ქალ-ვაჟი, ცოლ-ქმარმა კი ბატი დაქლედა... სამივემ მოკლეს, ყოფილან თორმეტი რძალი, ორი ძმა იყვნენ, დაითვრნენ ასი კაცი... ყველამ დაიწყეს ტირილი, ქვეყანა-მთესამდნენ, მკიდნენ; მოცვივდნენ ხალხი, ხალხმა დაუწყეს ყურება, ხალხი შეიკრიბნენ, ზოგი გაიპარნენ, გახარებული იყვნენ მთელი სოფელი, ტანისამოსი დაუკერეს იმ ოჯახმა... და ასე: მიუგეს ერთ-ხმით ცოლ-ქმარმა (ილია, II, 182), ორივემ იარონ (ილია, IV, 82), ყველამ ქუდები მაიხადეს (მელ. 7)...

მიცემით ბრუნვაში დასმული რეალური სუბიექტიც ითანხმებს: შეეშინდათ ხალხს, ძალიან გაუხარდათ ცოლ-შვილს, ზოგ თელი წიფელი წამეეკიდებინათ, თითოე ოქროც ცხრილი შახვდათ, ოჯახს ბევრი სამუშაოები ჰქონდათ...

რთული შემასმენლის სახელადი ნაწილი ჩვეულებრივ ისევე ითანხმება ქვემდებარეს რიცხვში ყველგან, როგორც ეს დადასტურებულია გარეკახურში² და გვაქვს ქართლურში, ფერეიდნულში, ინგილოურსა და ფშაურში; მაგ.: დები გათხოილები იყვნენ, ჩვენები მოსულები არიან იმერეთიდან, სამთავე ძმები ცარივლები დარჩნენ, ბიჭები ძალიან დაღონებულები არიან, ცხენები მშვივრები არიანო, სადგომი ჯარები ჰქვიანები უნდა ყოფილიყვნენ, ჩამოსულები იყვნენ სუყველაყა მხრიდან ხალხი...

კილოში დამკვიდრებული ეს შეთანხმება ასახულია მწერლობაშიც. გვაქვს როგორც გმირის, ისე ავტორის მეტყველებაშიც; მაგ.: ისინი ბედნიერნი იყვნენ (გმ. ილია, II, 113), [ჩვენ] მადლობელნი ვიყავით (ილია, IX, 8), მუშები იყვნენ დაბინავებულნი (ევდ. III, 130), ლეო და ტიტა ისევ მარტონი დარჩნენ (იქვე, 128), [ისინი] სამუშაოდ წასულები არიან (გმ. მელ. 24)... უკანასკნელი მაგალითის გამოკლებით სხვები წიგნური წარმოშობისაა.

ნი არიან ჩემი ქალიშვილი, მიუჯდა ამათ (=ამის) ჩემოდანსა... ჩვენმა კაცმა (=ჩემმა ქმარმა) აჩუქა...

¹ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დილაქტოლოგიურად, გვ. 78.

² იქვე.

გვაქვს ცოცხალის სახელით გადმოცემული ქვემდებარისა და შემასმენლის ერთმანეთთან შეთანხმების დარღვევის შემთხვევებიც, რაც ჩვეულებრივია დასავლურ კილოებში, მაგრამ უჩვეულო არც აღმოსავლური დიალექტებისათვისაა; მაგ.: ჩემა მშობლებმა უთხრა ჩვენ კაც, ეკითხება მდევები, შიგ დეეტიოს თავისი ჯარები და ცოლ-შვილიო, იყო საწყალი ძმები, იყო ცოლ-ქმარნი, მელები იყო, მოდიოდა ძაღლები, ზოგნი კიდე ამობდა, ფერმის ცხვრები დაიძვრება, ლეკები დადენილა, დაუხვდა მშობლები, ერთი კაცი და დედა-კაცი იყო, წამოიდა მეღია და მგელი...

შედარებით უფრო იშვიათია მიცემით ბრუნვაში დაყენებულ რეალურ სუბიექტთან ზმნის შეუთანხმებლობის შემთხვევა, თუკი სალიტერატურო ქართულის მიხედვით მოსალოდნელია შეთანხმება: ამ ბიკებს ძალიან ეწყინა და გაბრაზიანდნენ, სუ იმათ მიეჭონდა, იმათ ერთი მომვლელი ქალი აყვანდა, კნია ზეფს ყარაულები ექირა...

ჩვეულებრივია როცა ერთ შერწყმულ წინადადებაში ერთი და იგივე ქვემდებარე პირველ შემასმენელს ითანხმებს და მეორეს არა; მაგ.: გემეე შველა ცოლ-შვილი და უშველეს ჯარების გამოშვება; ადგა ის კატა და გოშია, წავიდნენ, იარეს, იარეს და მიადგნენ ერთ ზღვას.

ასეა სალიტერატურო ენაშიც.

ზოგჯერ ინვერსიულ შემასმენელს ითანხმებს გრამატიკული ქვემდებარე და არა რეალური ქვემდებარე; მაგ.: ისინი მიყვარან, ზანტები არ მიყვარან, შენი შვილები აღარ მინდანანო, ძმაკაცები ბევრი მყვანან, იმ კაცსა თხები აყვანდნენ, ამ კაცს ენანებოდნენ თავი შვილები, წინათ კი მინახვანან ისინი.

ამგვარი შემთხვევები გავრცელებულია ხევსურულში, გვხვდება მთიულურშიც. შემორჩენილია ძველი ქართულის ნორმიდან.

უსულო საგნის სახელი, თუ მას სულიერის თვისებები არა აქვს მინიჭებული, მხოლოდ იშვიათად ითანხმებს შემასმენელს რიცხვში: სუ ატაჟიანი სახლები დგანან.

57. ობიექტის მიერ ზმნის შეთანხმება რიცხვში. ობიექტი ზმნას ითანხმებს რიცხვში -ყე II -კე ნაწილაკითა და -თ სუფიქსით. -ყეს ვხვდებით ყველგან კახურში, მაგრამ იგი თანდათანობით ადგილს უთმობს -თ-ს. -ყე-ს ფუნქციები ძირითადად განისაზღვრება იმით, რაც დადასტურებულია მის შესახებ არსებულ ლიტერატურაში¹, სახელდობრ:

1. გადმოგვცემს მეორე პირის ირიბი ობიექტის მრავლობითობას: ის უნდა მოქცეყე თქვენო, შვიდივეს თავებ დაქქრიყე, ჩვენ დარდეს თქვენ მოგახსენეფყე, მოგიტანეყე (თქვენ), სამ სანაძლეს დაგი-

¹ არნ. ჩიქობავა, -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკალოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: წელიწადული, I—II, 1923—1924, გვ. 32—68;

მისივე, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 76—77;

მისივე, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, II: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 6, 1946, გვ. 563—564;

ვლ. ფანჩვიძე, მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისათვის ზნნაში იმერული კილოს მიხედვით: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, № 10, 1945, გვ. 845—852;

H. S c h u c h a r d t, Georgisches -q e: „Me langes Charles de Harlez“, 1927 და სხვ.

დეფთყე (ჩვენ თქვენ)... რა მოქცევე თქვენ? მერე გეტყვიყეო, უქველათ თავს არ დაგანებებყე და ნოვალო, მაგაზე დაგზარდებიყე?..¹

2. გამოხატავს მესამე პირის ირიბი ობიექტის მრავლობითობას: შვილეთს ვასწავლიდიყე, მაშინ მე უთხარყე იმათ, აღარ აძლევსყე (იმათ), რამთენი კამეჩი მოურჩინეყე (იმათ), მუუტანეყე სარკე შვილეთს... დაანახვეყე (იმათ), მე სადილი გაუკეთეყე (იმათ)... უთხარკე ხალხსა, ნაფტქვენებ დაუყრიდიყე ქათმეთს; როგორც პატარა, ვეხვევიყე, ხან უბეში უძვრებიყე, ხან ყელზე ვეხვევიყე მამათილს, დედამთილს, მაზლებს, მულებს; ამათ საშართალი მიიკეო, გაუსამართლექეო...

3. -ყე II -კე გამოყენებულია მიცემით ბრუნვაში დასმული მეორე და მესამე პირის პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად: გაგიყვანეყმ ბეზობლებში, ამოგიყვანეყე, თქვენც მოგიყვანეყე, დაგხოცავეყეო, ჰაერში აგიტაცებეყეო... მე იმათ ვინახავდიყე, მე წავასხამდიყე ჩამოსულეთს, მე თითონ წავასხამეყე... არ დაეკარგავთყეო...

4. არის შემთხვევები -ყე II -კე ნაწილაკის გამოყენებისას სახელობით ბრუნვაში დაყენებული მეორე და მესამე პირის პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად (გადმოსული ჩანს აწმყოს წყებიდან): ორნიე ერთათ ეხლა გიგდეყე ხელში, მალლა უნდა აგიყვანოყეო... შენ ისინი მაიყვანეყეო, ბიჭმა ნათესავები წაიყვანაყე. იმ ბოძთან, გარეკეყე სუყველაყა; შეეხედე, ვიცანკე (კაცები)...

5. ამავე ნაწილაკს ვხვდებით LS=GrO-ის მრავლობითობის გადმოსაცემადაც: მე მათ არ მივეყვანდიყე; უთხრათ ამ ბიჭებმა: სადლა მიგყევარეყეო, რატო არ მკლამთო?! ვეჯავრებიყე (მე იმათ); ცოლმა უპასუხა ქმარს: ძმეთს რათ ეკვლევინებიყე?!²

-ყე II -კე ნაწილაკს ენაცვლება მრავლობითობის -თ სუფიქსი: იქ რო მიხვალთ, ხემწიფე გაქეიფებთ, მემრე გკითხამთ... მეღუქნემ უთხრათ მოჯამაგირეფეს, ვეზირეფეს უთხრათ დედამ, იმან უთხრათ იმ კაცებ, სახელები ჰკითხათ მღვდელმა ამ ბავშვეფეს, დაუძახათ რძლეთს, ხემწიფემ სცემათ, მასკვლავმა დაანათათ მათ, ძალით წაართოთ ჩემი თავი ჩემ მშობლეთს, მხარი არ მიეცათ, სუმთელი დაუღვარათ ნავთი, ბიჭი ეტყვით თავი ძმეთს, ქალი ეკითხებათ დევეფეს, ასწავლიდათ ოცამდინ ბავშვსა...

სახელობით ბრუნვაში დაყენებული ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად -თ სუფიქსიც ისევე იხმარება ზოგჯერ, როგორც -ყე II -კე: ვეზირმა დაინახათ მდევები, შვილები გზაზე დააყენათ, წაიღოთ ორივენი მალლა ჰაერში (რაშმა)...

-თ სუფიქსი შეიძლება გაჩნდეს აგრეთვე მოქმედებითი გვარის ზმნასთან თურმეობითშიც სახელობითი ბრუნვის ფორმით მოცემული სახელის მრავლობითობის აღსანიშნავად: თურმე იღვეს დაუქვავებიათ (ისინი)...

¹ -ყე II -კე ჩნდება ზმნაში მოკრძალებითი „თქვენობით“ მიმართვის დროსაც: აბა რა გითხრაყე! აკი გითხარყე!

² შეიძლება წავაწყდეთ, როგორც მორფოლოგიურ ნაწილში აღვნიშნეთ, -ყე II -კე სუფიქსის გამოყენებას პერმანსიის გადმოსაცემადაც. მაჯრამამ მხრივ კახური ვერ შეედრება ინგილოურს.

გვხვდებით -ყე II -კე და -თ სუფიქსების ერთდროულად გამოყენების შემთხვევებსაც მეორე ობიექტურ პირთან: მე გაგასამართლეთ ყეო (II გაგასამართლეთკეო), მე ეგ თქვენ უნდა შეგეკითხოთკე, ჩამოგიტანთყე (მე თქვენ)..

-ყე II -კე-სთან -თ-ს ხმარება დამადასტურებელია იმისა, რომ -ყე თანდათანობით კარგავს თავის ძალას და ადგილს უთმობს -თ-ს.

მიცემით ბრუნვაში დაყენებული $LS = GrO$ -ის მრავლობითობის აღსანიშნავად -თ-ს გამოყენება ჩვეულებრივ გვხვდება ისეთ ფორმებთან, როგორიცაა: გრცხვენიან, გეშინიან, შეგიძლიან, უხარიან და მისთ.; მაგ.: არა ქრცხვენიანთ? ნუ გეშინიანთ, ბალებო! არ შეგიძლიანთ მასწავლოთ თარის დაკვრა? უხარიანთ ბიჭეფს...¹

-თ სუფიქსი შეიძლება გაჩნდეს მიცემით ბრუნვაში დაყენებული ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად მაშინაც, როცა ზმნა მოქმედებითა და მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობა მასში აღნიშნულია -ენ სუფიქსით: კინოში ხო გაჩვენებენთ! (შდრ. ფშ. გაგასწორებენთ [თქვენ]: ვაჟა)².

კახურის ეს ვითარება ასახულია ლიტერატურულ ენაშიც (ამის თაობაზე ქვემოთ).

ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, მიცემით ბრუნვაში დაყენებული სახელი, პირდაპირი ობიექტი იყო ის თუ ირიბი ან ახლანდელი გაგებით რეალური სუბიექტი, ზმნას ვერ ითანხმებდა რიცხვში; ხოლო სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტი ზმნაში აჩენდა რიცხვის ნიშნად -ენ (-ნ) სუფიქსს. ახალ სალიტერატურო ქართულში, როგორც ვიცით, მეორე ობიექტური პირი, მიცემით ბრუნვაში იქნება ის თუ სახელობითში, ზმნას ითანხმებს რიცხვში -თ სუფიქსით. დამკვიდრებულია აგრეთვე რიცხვში შეთანხმება მიცემით ბრუნვაში დასმულ მესამე პირის სახელთან, თუ ზმნა ინვერსიულია (ან ინვერსიულობის გაგებას შეიცავს), ან დროთა მესამე სერიაში დგას, (უყვართ მათ, რაღაც შეემთხვათ მათ, გაუთლიათ მათ). ამაში უდავოდ მნიშვნელოვანი წილი მიუძღვის კახურს.

კახეთიდან გამოსულ მწერლებთან ისევე, როგორც კახურში, სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, მიცემითში დასმული მესამე პირის რეალური სუბიექტი (გრამატიკული ობიექტი) ინვერსიულ სტატიკურ ზმნას მაშინაც ითანხმებს რიცხვში, როცა ეს შეძასმენელი (ზმნა) აწმყოში მრავლობითობის -ან სუფიქსით გვევლინება: იმათ შეუძლიანთ (ილია, IV, 53), იმათ არ შეუძლიანთ (დ. მაჩხ. 135), უხარიანთ (ევდ. III, 18)..

კახეთიდან გამოსული ზოგი მწერლის ენის შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ნათქვამია, რომ ზოგჯერ მათ მეტყველებაში ადგილი აქვს არაინვერსიული ზმნის შეთანხმებას რიცხვში მიცემით ბრუნვაში დასმულ მესამე პირის რეალურ ობიექტთან³; მაგ.: ეკითხებოდათ [ზურაბი ამხანა-

¹ სპორადულად შეიძლება შევხვდეთ ასეთ მაგალითსაც: დაუქორწილებია, დაჯაჯენიან შვილები.

² ანალოგიით -თ შეიძლება გაჩნდეს ისეთ სიტყვებთანაც, როგორიცაა „პირიმე“, „სალამო მშვიდობისა“ და სხვ.: მაგ.: რაშია საქმე, თქვენი პირიმე? შევასრულეთ, თქვენი პირიმე; სალამომ შვიდობისათ...

³ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. II, № 6, 1941, გვ. 563.

გებს] (ს. შანშ. აზბ. 140); ალაღიმ იფიქრა: ამათ რომ ავყვე, კირვეული ხალხია, კიდევ საღმე შეუხვევენო და — გაეპარათ (იქვე, 92); მიენიქოთ საარჩევნო უფლება (ილია, VIII, 279)...

ამგვარი შეთანხმების საფუძველია უნიფიკაციისადმი მიდრეკილების ტენდენცია: ხდება პირველი და მეორე პირის ფორმათა ხაზის გაგრძელება; მესამე პირის მიცემითის რეალური ობიექტი ცდილობს შეითანხმოს ზმნა რიცხვში და სინტაქსურად გაუთანასწორდეს პირველ და მეორე პირს (შდრ. ჩვენ გაგვეპარა, თქვენ გაგეპარათ, მათ გაეპარათ¹).

ზოგჯერ კახეთიდან გამოსულ მწერალთა ენაშიც ისევე, როგორც კახურში, ზმნას ითანხმებს რიცხვში მიცემითში (იშვიათად სახელობითში) დასმული მესამე პირის ობიექტი მაშინაც, როცა ეს ზმნა გარდამავალია და პირველ და მეორე სერიაში დგას: უძახით დედა [ბავშვებს] (ევდ. III, 19), იქ ბაღჩაში ბალახს უთბამთ [მიხა დალაქი მეზობლებს] (იქვე, 22); ეგონათ რამ გასახარელს გაიგებდნენ, ქონდარამ კი პირში მიახალათ (ს. შანშ. აზბ. 135); ზურაბმა შეუყვირათ [ამხანაგებს] (იქვე, 140); თამარი და თითია არ მოშორებიან ფანჯარას, მინამ მოხშირებულმა ბინდმა [მათ] არ დაუშალათ ყურება (ილია, III, 243); ბიკმა [მათ] პასუხი მოუტანათ (ილია, II, 226)... [ისინი] დასწყევლოთ ღმერთმა, ყველამ ჩემზედ არ მოიცალა! (გმ. ილია, III, 13)...

აქ „მასალა (-თ სუფიქსი) სალიტერატურო ქართულისაა, ფუნქცია — დიალექტობრივია“⁴. რიგ კილოებში, როგორც ცნობილია, მიცემითში დასმული ობიექტის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება -ყე II -კე ნაწილაკით. კახურში ამ ნაწილაკის ფუნქცია -თ სუფიქსს აუღია თავის თავზე და დაუქერია მისი ადგილი⁵.

პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა ზოგჯერ რომ აღნიშნულია დაპრევერბით კახურშიც და მწერლობაშიც, ამის თაობაზე გვექონდა მსჯელობა მორფოლოგიაში (გვ. 90). მართლაც: დაეზარდე ხუთი შვილი, სახლები დაემართე, ქალები დაათხუა, ცხვარმა დაიგობატკნებო... ამ ადგილს ამისთანა მიხვეულ-მოხვეული გზები უნდა დაუკეთდეს (გმ. ილია, III, 89) და სხვ.

სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების საკითხთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: კახურში შეიმჩნევა ერთგვარი მიდრეკილება იქითკენ, რომ ყველა სახელმა შეითანხმოს ზმნა რიცხვში და ამ მხრივ სუბიექტსა (ქვემდებარეს) და ობიექტს (დამატებას) შორის არ იყოს განსხვავება. ამ მოვლენას თავი უჩინია კახეთიდან გამოსულ მწერალთა ენაშიც.

მწ. ზოგიერთი ზმნის მიერ ობიექტის თავისებური მართვა. „დააპატიე“ ზმნასთან მთელ კახურში ობიექტი გვევლინება მიცემით ბრუნვაში, როგორც

¹ შდრ. ახლავსთ მამალი (რ. ერისთ.), მოჰკითხავსთ (ა. ჯ. 196).

² არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, გვ. 563—564.

³ ეს საკითხი ი. ჭავჭავაძის მოთხრობების მიხედვით სპეციალურად შესწავლილი აქვს მ. გუგუშვილს (ობიექტის II და III პირის მრავლობითობის გამოხატვა ზმნაში ი. ჭავჭავაძის ნების მიხედვით: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი V, 1950, გვ. 189—198).

⁴ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, გვ. 564.

⁵ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 76.

ეს დადასტურებულია გარეკახურში¹; მაგ.: კაცმა დააპატიჟა დათვის, ლიზამ ყველას დააპატიჟა, დაჰპატიჟეს ხალხს...

ეს ზმნა ასეთივე სინტაქსური თავისებურებით ხასიათდება არაგვის ხეობის ქართლურშიც. ჩანს, ამ ზმნასთან უფრო ძველი კონსტრუქციაა შემონახული, ვიდრე სალიტერატურო ენაში².

ზოგიერთ ზმნასთან ობიექტი გვევლინება პარალელური ფორმით: მოსხნა პირსა და მოსხნა პირი, მააკრა პირსა და მააკრა პირი და სხვ.

ანალოგიური ვითარება დადასტურებულია ქართლურშიც. ეს მოვლენა არქაული ჩანს: ზმნა წარმოშობით სამპირიანია და დაკარგულია პირდაპირი ობიექტი ან იკარგება ირიბი ობიექტი. ამას ცხადყოფს ასეთი მაგალითი: დააფარა სარქველი და მააკრა (ქოცოს) პირს (თოკი)...

კახურში, თუმცა იშვიათად, ვხვდებით „დაუძახა“ ზმნასთან ობიექტს სახელობით ბრუნვაში: დაუძახა ყველა მეურმეები, დამიძახეთ ის ბიჭიო, ამათ დაუძახეს სოცდაგრები...

მსგავსი კონსტრუქცია ჩვეულებრივია ინგილოურში. იქ იგი მიღებული უნდა იყოს პირდაპირი ობიექტის დაკარგვით და ნათესაობითში დასმული მსაზღვრელის ბრუნვის ნიშნის -ს ელემენტის მოკვეციტ: დაუძახა მეურმეების თავს → დაუძახა მეურმეები თავ → დაუძახა მეურმეები³.

„ეშინია“ ზმნა, ვითარცა ე-პრეფიქსიანი ვნებითის ფორმა, კახურშიც ისევე, როგორც ძველ ქართულში, ფერეიდნულში, მთიულურსა და სხვაგან, -გან თანდებულიან ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს⁴; მაგ.: ეშინია მამისაგან, ეშინია ელვისაგან, შეეშინდა კატისაგან...

ა9. **ქვემდებარე გარდაუვალ ზმნასთან**⁵. ზოგჯერ ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებაში გარდაუვალ ზმნასთან დაკავშირებულ ქვემდებარეს მართავს გარდამავალი ზმნა; მაგ.: მერე გამოიდა იმ ქალმა და აიღო და შაიტანა; მაინც მივიდა ემვაჟმა და იცნო თავი ცოლი; წამოდგა ბიჭმა და დაიწყო თვალები ფშვნეტა; ადგა ამ მამამ და წაასხა თავისი შვილები; დადგა კურდღელმა და მითხრა... ამათ მისდევს: ამ დედამ კიდევ წავიდა და თავი ქმარს უთხრა; ხემწიფის ცოლმა დაფუცხუნდა, შაატ-ყობინა ღვდელს...

ზოგჯერ ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში ეწყობა გარდაუვალ ზმნასაც, როგორც ეს დასავლურ კილოებშია, მაგრამ იშვიათად⁶. კიდევ უფრო იშვიათად იჩენს თავს იგი მწერლობაში; მაგ.: მერე ერთი ღლეე გამოიდა მუახლემ, დაუკვირდა ზღვას... დედამაც შეკრთა, ქალმა შეეკითხა... სუბიექტის კონსტრუქციის შეცვლას ბუნებრივად მოჰყვა ირიბი ობიექტის ბრუნვის შეცვლაც და ორპირიანი გარდაუვალი აქტიური ზმნის კონსტრუქციის გათანაბრება გარდამავლისასთან: ბევრი ეცადნენ ვეზირებმა, იმანაც ფულადი დაჰპირდა, მენადირემ მოუყვა იმ ბიჭს ამბავი... და ასე: გაეხუმრა კიდევ პეპიამ (ილია, II, 111).

¹ არნ. ჩიქობავა. გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 79.

² ცოცხალია გამოთქმა: „შეჰპატიჟა მან მას პური“ დადასტურებულია ასეთი გამოთქმა: „დააპატიჟა სხვა მრევლები მღვდელმა მღვდელს“.

³ პარალელურად გვხვდება: დამიძახეთ იმასო; ამ საათში დამიძახეთ იმ კაცსო...

⁴ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 79.

⁵ ეს საკითხი დამუშავებულია ქართული კილოების მიხედვით და მოცემულია სათანადო კვლილთაგან: ვ. თოფურია, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით: ჩვენი მეცნ., № 1, ტფ. 1923, გვ. 113—121; მისივე, ქართლური, გვ. 146.

⁶ ა. კიხიძე, სახელობითისა და მოთხრობითის ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 372.

60. სახელის მართვა სახელისა, ზმნისა და თანდებულის მიერ. კახურ-შიც და კახეთიდან გამოსული ზოგიერთი მწერლის მეტყველებაშიც - კენ: თანდებული მოქმედებით ბრუნვასთან იხმარება, მაგ., „შინათკენ“, რომელიც ასიმილაციას განიცდის კახურში, ხოლო მწერლებთან შემონახულია უასიმილაციოდ; მაგ.: მიდიოდა შინატყენ, წავიდა შინატყენ... შინათკენ გაიქცა (რ. ერისთ. III, 16); გასწი, ბიჭო, შინათკენა! (გმ. რ. ერისთ. I, 108).

-ვით თანდებული სახელობით და მიცემით ბრუნვებთან ერთად რომ მოითხოვს ნათესაობით ბრუნვასაც, ამის შესახებ უკვე ზემოთ ითქვა.

ანალოგიური ვითარებაა კახეთიდან გამოსული მწერლებისა და მათ ნაწარმოებთა პერსონაჟების ენაშიც, რაც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში; მაგ.: ბაირონის გმირები კაზლოვის ბერისავით არ კნავიან (ილია. IV, 7), ერისთავის თარგმანისავით (იქვე, 13), ვაჟიკაციისავით (ილია, VI, 53)...

ქვეშ, იქით, აქათ, გარდა და მისთ. თანდებულად ხმარების შემთხვევაში ჩვეულებრივ მიცემით ბრუნვაში მართავენ სახელს, მაგრამ ზოგჯერ მოითხოვენ ნათესაობითსაც; მაგ.: ამოსო კალათაჲ ქვეშ, მივიდა ხეჲ ქვეშ, მუხაჲ ქვეშ წამოწეებო... ხაზს იქით გაიტანა, ერთი გზას იქით იყო და მეორე — გზას აქათ, გადაადლო ცეცხლს აქათ... დარჩა წყალს გარდა... ერ თვეს უკან ნახე, შკაფ უკან მეფთარა... დაჰკიდა კარებ წინ... ძილს მემრე გააღვიძა... სადილს შემდეგ გაისტუმრა... შდრ. გამოძიების მემრე უთხრა, რამდენიმე დღეების შემდეგ წავიდა, გასხლის შემდგომ...

უთუოდ შემთხვევითია, უფრო მოყოლის დროს წაცდენის შედეგია, როდესაც მოთხრობითი ან მიცემითი ბრუნვის ქვემდებარე ან დამატება წარმოდგენილია სახელობით ბრუნვაში; მაგ.: ნაცარქექია დაუძახა დედაკაცებს.., ბიჭი შერცხვა და შეეხათრა.., ღვინია ხარიც კარქა აქამეო; ავჯადეთ ქვევარი...

ასეთი მაგალითები მწერლებთან, რა თქნა უნდა, არ დასტურდება.

მთავარი წინადადების შემასმენლის გავლენა ზოგჯერ ვერ სწვდება უშეზასმენლო დამოკიდებული წინადადების წევრს და ამის გამო უკანასკნელი მიცემითის ან მოთხრობითის ნაცვლად სახელობითში დგას; მაგ.: ისე ხმარობენ, როგორც სანთელი; დაიწყო მუშაობა იმ ქალმა, როგორც ტყეშს ნადირი...

61. ნაწილაკი. -მცა ნაწილაკი კახურშიც და მწერლებთანაც გვევლინება თითქმის მხოლოდ ხმოვანმოკვეცილად. მას თავისი ძველი სინტაქსური ძალა შესუსტებული აქვს¹: ხშირად იგუბებს კავშირებით კილოსაც. ჩვეულებრივ იხმარება თითქმის მხოლოდ დაწყველისა და დალოცვის დროს; მაგ.: შენამც იხარე წუთისოფელში! შენამც ქცეულ ხარ კაცათაო! თქვენამც ჩაჲქრებით! შენამც ჩაგვარ დნია გულში, ცხრა მდეგ რომ ერთი და-ყავ, იმი სიყვარულიო! ნეტამც მამცა!.. უწინამც დედამიწა გაირღვა და შიგ ჩამიტანს (გმ. ილია, III, 47); უწინაც დღე გაჰქრობია (გმ. ილია,

¹ ა. შანიძე, -მცა ნაწილაკი ძველს ქართულში: პრომეთე, № 1, 1918, გვ. 79-80.

II, 11); უი, თ ქვენამც დაგძინებიათ და აღარ გამოგვიძებიათ (გმ. ევლ. III, 232); აგრემც წამლად დაგედება ჩემი თავი (გმ. მაჩხ. 139); აგრემც შეგრჩება ქმარი და შვილი (გმ. მელ. 20); აგრემც მიწას შეუქამია შენი ბოროტი მარჯვენა, ზურაბ! (გმ. შანშ. ამბ. 147)... მაგრამ კავშირებითანაა ნახმარი: ფაცხამც იყო ს, შიგ რამც იყო ს; ნეტამც მართლა გაავდრდეს... უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქერიეს (გმ. ილია, III, 47); უწინამც დღე დაგელიოს (გმ. რ. ერისთ. IV, 327), წყეუილიმც იყო ს, ფინც თქვენ მოგენდოთ (გმ. ს. შანშ. ამბ. 144)...

ამ სახითაა ეს ნაწილაკი შემორჩენილი მთიულურსა და ქართლურშიც (გადმონაშთის სახით დადასტურებულია სხვაგანაც¹). ინგილოურში მას ცანიც მოჰქვეცია და მხოლოდ მ დარჩენილა მისგან. სრული სახითაა შემონახული ხევსურულში, მოხეურსა, ფშაურსა, თუშურსა და მთარაქულშიც.

კახურში შეიძლება წავაწყდეთ მას სრული სახითაც და -ცა მოკვეცილადაც, მაგრამ მეტად იშვიათად; მაგ.: შენამცა ქცეულხარ თხათაო... ისამ დღე დაილოცება; შენამ ჩაგვარდნია ცხრა დევის და გულშიო.

მტკიცებითი ნაწილაკის მნიშვნელობით ზოგჯერ იხმარება კიოთ, რაც ჩვეულებრივია ხევსურულში და დადასტურებულია ქართლურშიც: კიოთ კი იცნოფთ იმ კაცსა.

კითხვითი -ა ნაწილაკი გვაქვს მხოლოდ გადმონაშთის სახით და ისიც ძალზე იშვიათად.

თითქოს განსაზღვრებით ნაწილაკად გვევლინება ეს და ის, მაგრამ ხშირად ბრუნვაში უცვლელია და ამდენად უფრო მომდევნოდ სიტყვის მოსაგონარი ჩანს; მაგ.: ეს მოწვეულ საყმო-სახელოს გაუმართეა ქორწილი; ცუდათა ვხდებო, თუ ეს ბაღს არ მამაშორეთო; ეს ქალი ძმებიც ცალ ხარეზე არიან...

62. კავშირი. რაკი, რადგან, რადგანაც კავშირითა მნიშვნელობით ხშირად იხმარება აკი, ნახა, ნახამ, რალამ (← რა+ლა+მ-ცა), რალი; მაგ.: აკი წახვალო, ჩემი ძნები ორ სიტყვას დაგაბარებენო; ეხლა აკი არკი მივდეეთ... ნახა სახში აღარ ბრუნდება... ნახამ შენ მამიკალიო, ღირსი ყოფილხარ სიკვდილისაო... რალამ ასეთი ყოჩალი იყო... იმ კაცმა რალი დაუმალა, აილო და მიცა.

მათვე ენაცვლება ზოგჯერ როცა კავშირი, ხოლო ამ უკანასკნელს — რახან; მაგ.: როცა მაგოტენა ხალხი დახოცილა, მეც მოკვდებო... რახან მე ქორწილი მქონდა... რაცხან კავშირს თავისი მნიშვნელობა შენახული აქვს აქ მაგალითში: რაცხან დაარსდა, მე ვარ საგონელში...

თორემ კავშირი იშვიათად გვევლინება თუ არ ან თორო სახითაც; მაგ.: აქ არ არიო, თუ არ ვიცნოფო²... თორო ახლავე დაუძახეფ...

თუ ზოგჯერ იხმარება აღრინდელი ფუნქციით — რომ კავშირის მნიშვნელობით, როგორც ქართლურში. დასტურდება მწერლობაშიც; მაგ.: მე მგონია, თუ პატარძალს არ უნდა ვაძეც ხმა; თუ არა გიჰირდეს რა, შენ აქ არ მოხვიდოდი... ვსთქვი, თუ: სადაც ცა ეგრე მქვირვალებს, ღამე ესეთის დილით თენდება (გმ. ილია, I, 133) და სხვ. (გვხვდება აკაკი წერეთელთანაც: გამოგდებული, თუ კარგი ყოფილიყო, ისევ სამსახურში იქნებოდა: ტ. IV, 1948, 52).

¹ პ. განეჩილაძე, მეზადურთა მისაღმების ფორმულა ხანის-წყლის ხეობაში: სტალინის სახ. თბილისის სახელსწ. უნივ. შრომები, XXI-XII, 1946, გვ. 187—191.

² შდრ. გურ. თვარა (← თუ+არა) 'თორემ'.

თუ ენაცვლება ან კავშირსაც¹: რაც ოჯახში „ვეში“ გკირდებაო, თუ ხალიჩ-ფარდაგო, თუ ქურქელიო, იყიდეო.

რომ კავშირი შეიძლება შეგვხვდეს რომე (← რომელ) სახითაც, რომელიც ჩვეულებრივი ფორმაა საერო მწერლობის ძეგლებში² და გვაქვს მეცხრამეტე საუკუნის მწერალთა ენაშიც; მაგ.: ერთმა დაწერა, რომეო... მიყვარხარ მისთვის, რომე ქართული აქ — შენს კისერზედ დაბადებულა (ილია, I, 134).

ხოლოთ ენაცვლება ზოგჯერ მაგრამ, ოღონდ კავშირს: ყველაფერი გაყიდე, ხოლოთ კი შაასრულე; ძაან უყვარდათ ერთმანეთი, ხოლოთ ცოლები არა-ყუანდათ; ჩემ დროსა ორი შკოლა იყო, ჩვენა ხოლოთ სახლებში ვსწავლობდით...

დროის მაქვემდებარებელი კავშირი სანამ იხმარება დამოკიდებულ წინადადებაშიც და მის კორელატად მთავარშიც; მაგ.: სანამ მიჯნაზე მივიდოდა, სანამ ხმალი დაჰქრა; სანამ მოხვალთ, სანამ მე მასალას გავარჩევ...

ასევე იხმარება ზოგჯერ მანამ კავშირიც: მანამ ისინი ორ-ორ ნაქერ გაათავებენ, მანამ ყარაბულელმა ეს თელი ქვაბი მოსპო...

რთულ წინადადებაში ორივეც გვხვდება, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ოღონდ სინამ და მინამ-ის სახით: სინამ შენ მაიტან, მინამ მე ბალახ მოგიტან...

ანალოგიური ვითარება გვაქვს ქართულშიც.

სანამ და მანამ კავშირები ზოგჯერ სახეცვლილად იხმარება: სინამ და მინამ (← მინამდი ← მუნამდის)³, აგრეთვე სინამდისინ; მაგ.: სინამ მქონდა, ვკამდი; მინამ ეს დათვი მოიღოდა, ამ კაცმა თავ უშველა; მინამ გაავდარდება... სინამდისინ მოვიდოდა ის ქალი, სინამდისინ იმ დედას ვაჟი ეყოლა...

მინამ იხმარება კახეთიდან გამოსულ მწერლებთანაც: ამისთანა საქმეში მინამ თორნე ცხელია—პური უნდა გამოცხვეს (ილია, VIII, 261); არ ნიმტყუნებენ, არც ვემტყუნები, მინამ მაქვს მკლავი თავისუფალი (გმ. ილია, I, 162); მინამ დაბერდებოდეს (ილია, V, 6); მინამ სალომე შემოვა (რ. ერისთ. III, 173); მინამ მზის სხივები შაგისუნთქამენ (დ. მაჩხ. 4)...

წმ. რთული წინადადების თავისებურებანი. წინადადების წევრის გამოტოვება. რთულ წინადადებაში ზოგჯერ გამოტოვებულია ისეთი სიტყვა, რომელიც ადვილად იგულისხმება; ასეთებია: თქვა, ამბობს, დაინახა რომ, რომ თორემ და სხვ. მაგ.: მშვიდობითო, [თქვა] ამ ხემწიფემ რო წამაიხედა, [დაინახა, რომ] დიდი ქარბუქი მოდის ჰაერიდან; შეილმა; ერთი ბიჭი არი [ამბობს, გვთხოვს:] ამაღამ შამინახეთო; — ფხუკო, — [დაიძახა] კატამ; ნახა ბიჭმა, [რომ] ცხვარი აღარ იყო; კურღელი მყავ დამწყვედელი, ის თუ დაუძახეთს, [თორემ] მე ვერ წავალო; ქვაფს დაუყენეს ყარაულათ, ქვეფს რომ დაარბენინებდა ფეხით [ის კაცი]...

გვხვდება წინადადების წევრის განმეორება ან ზედმეტად ხმარება ყურადღების გამახვილების ან აზრის სიზუსტისათვის; მაგ.: ააშენეა იგეთი შენობა, რომ იმ სახემწიფოში არ იყო იგეთი შენობა; ჩემი დაპატიეება გინდოდა, თუ სახლის გატეხვა გინდოდაო? რომელიც დიდი რქიანი იყო,

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 625.

² ა. მარტიროსი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, გვ. 122.

³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 627.

იმ დიდ რქიანს ესროდა; ერთ სოვდაგარ დაუდგა მოჯამაგირეთ, რო-
მელი სოვდაგარიც უშვილო იყო...

„რომელიც“ სიტყვით დაკავშირებული განსაზღვრებითი დამოკიდებულს
წინადადება, როგორც ეს აღნიშნულია საენათმეცნიერო ლიტერატურაში, უჩ-
ვეულოა ხალხური მეტყველებისათვის¹. იგი არ არის ბუნებრივი კახურისა-
თვისაც. ამ სახის წინადადების გამოყენებისას „რომელიც“ წევრ-კავშირს უშუ-
ალოდ მოსდევს ან ის სახელი, რომელიც განსაზღვრულია მის მიერ, ან „რომ“
კავშირი; მაგ.: შემდეგში გემევეცხადათ ერთი ბებერი, რომელმა ბე-
ბერმა უთხრა; ერთი ოლე იყო, რომელ ოლეშიაც ტყის მთალოები
იყო; შენ კი წადი იმ გზაზე, რომელი გზაც მიდის ამ ხრით... ი ბიქი,
რომელმაც რომა პური ქამა, დახვდა წინ...

64. წინადადების წევრთა თანამიმდევრობა. ზოგჯერ კახურშიც ისევე,
როგორც ეს ძველ ქართულში გვექონდა, მსაზღვრელი იხმარება საზღვრულის
შემდეგ; მაგ.: მაქონდა წყალს ვაშლი წითელი; ძალი ჩემი აქათ
დარჩა; ბიქიც მოკვდა და დედაც იმისი; იმას ჰყვანდა ვეზირები ოთ-
ხი; გამოგზავნეს სარდალი სხვა... დედა ი ბიქისა შეაწრებია; შეა-
ხვდა ერთი თავი ადამიანისა; იყო ქონიანი სანთლები ქართოფი-
ლისა; ის შუქი რისა ამოდის კოშკიდანაო?..

შესაძლებელია საზღვრული და მსაზღვრელი გათიშული იყოს შემასმენ-
ლით ან სხვა რომელიმე წევრით; მაგ.: ერთი გოგრა აქთო ყელიანი, რა-
შები ყუაე იმაჲ სამი; ხაში ძველი გვაქ შანახული პატარა; სისხლი-
ანი დანა მჟულ ჩაუდო ლოგინში მძინარეს; შუშეფში ქონდა ლაყე
კვერცხისა ერთში გული, ერთში ცილა (=ერთ შუშაში ჰქონდა ლაყე
კვერცხის გული, მეორეში — ცილა); რომელიც ქალბატონისა არი შვი-
ლი...

65. ორმაგი უარყოფა. საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია,
რომ ორმაგი უარყოფა გამოწვეულია უარყოფის გაძლიერების სურვილით². კა-
ხურშიც ამას უკერძო მხარს; მაგ.: არავინ არა მყავს; არავის არ უშვებენ;
ვერავინ ვერ შედიოდა; მანქანები არაფერი არ იყო; აღარსად არ იყო;
აღარსად აღარ არი... არის ასეთი მაგალითიც: აღარც არაფერიც
აღარ არი...

ანალოგიური მაგალითები (შედარებით უფრო იშვიათად) დასტურდება
მწერლობაშიც: არავინ არ გვშველიან (ილია, I, 55), ჩვენში ისეთი არა-
ვინ არ არის (ილია, IV, 328)...

¹ არნ. ჩიქობავა, კახურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 184.

² ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში: წელიწდეული, I—II, 1923—1924, გვ.
74—116.

ქართული ლიტერატურული ენის სიტყვათა მარაგის შევსება-გამდიდრებაში სხვა დიალექტებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს კახური კილო. მწერლობის გზით ამ დიალექტიდან არა ერთი და ორი სიტყვა თუ გამოთქმა შესულა და დამკვიდრებულა ლიტერატურული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მდიდარი კახური ლექსიკა მეურნეობის ისეთ დარგებში, როგორცაა: მევენახეობა, მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მებაღეობა და სხვ. მრავალფეროვანია აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა სახელები, ნათესაობის აღმნიშვნელი სახელწოდებანი, სამეურნეო და საოჯახო საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინები, შრომის იარაღებისა და ტანსაცმლის სახელები, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა და საზომ ერთეულთა სახელები, საქმელ-სასმელთა სახელწოდებანი, ხალხურ გართობა-თამაშობასთან დაკავშირებული ტერმინები, სხვადასხვა საწესო ჩვეულების გამომავტეული გამოთქმები და სხვა მრავალი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ენის ლექსიკის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, რამდენადაც ზოგი მათგანი თავისებური შედგენილობისაა და ამავე დროს აღრინდელ სახეს ამჟღავნებს.

კახურში დღემდე შემორჩენილია ერთი წყება სიტყვებისა და გამოთქმებისა, როგორცაა, მაგალითად: დაჩემებული მიწა, ხელდადებული მიწა, მზითვის ყმა, თავკაცი, ბოლო კაცი, შუაკაცი, ძმად ჩაყენება, წილში ჩადგომა, წილის ამოგდება და სხვა¹, რომლებიც გამოხატავენ ძველი სოციალური ურთიერთობისა და ოჯახის წევრთა უფლებრივ მდგომარეობას.

კახური მდიდრად წარმოგვიდგენს აგრეთვე სოციალისტური სოფლისა და საკოლმეურნეო წყობილების განვითარების ამსახველ ლექსიკას, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული და დანერგილი სოფლის მოსახლეობაში.

მცირე მოცულობის ლექსიკონი, რომელიც დიალექტურ ტექსტებს ერთვის, რასაკვირველია, სრულ წარმოდგენას ვერ მოგვცემს კახურის მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკის შესახებ. ლექსიკონში შევიდა უმთავრესად ტექსტებში ხმარებული ის სიტყვები, რომლებიც სხვა ლექსიკონებში არ არის წარმოდგენილი, და მცირე რაოდენობით ისეთიც, რომლებიც, მართალია, გამოქვეყნებულ ლექსიკონებში გვხვდება, მაგრამ მათგან ნაწილობრივ განსხვავებულია ან მნიშვნელობით ან კიდევ ფორმის მხრივ. განმარტებისას მხოლოდ ის მნიშვნელობაა მოცემული, რომელიც სიტყვას აქვს გამოქვეყნებულ ტექსტებში.

ტექსტის გაგებისათვის სასურველი იყო ლექსიკონში შეგვეტანა დამოწმებული სხვა სიტყვებიც. მაგრამ ამას თავი ავარიდეთ, რადგანაც დაინტერესებული პირი მათ შესახებ სათანადო ვრცელ განმარტებებს იპოვის სტეფ. მენთეშაშვილის „ქიზიყურ ლექსიკონში“, რომელსაც მოიცავს არა მარტო ქიზი-

¹ სტეფ. მენთეშაშვილი, კახიყური ლექსიკონი.

ყურის, არამედ საერთოდ კახური დიალექტის ლექსიკასაც. გავითვალისწინეთ ის გარემოებაც, რომ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ კახურიდან შესულია ბევრი ისეთი სიტყვა, რომლებიც სალიტერატურო ენის ლექსიკის რეზერვად მიიჩნევა.

ლექსიკონში ზმნათა ლექსიკურ ერთეულად მასდარია აღებული, მაგრამ ისეთი ზმნები, რომელთაც მასდარი არ ეწარმოებათ, მოცემულია აწმყოს (ან მყოფადის) მესამე პირის ფორმით.

განმარტებებს სათანადო დოკუმენტაცია არ ახლავს, ამას მკითხველი ტექსტში იპოვის მითითებული გვერდების მიხედვით. მხოლოდ თითო-ორი შემთხვევაშია შეტანილი გაქვევებული გამოთქმები და ფრაზები, რომელთა გარეშე სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარი იქნებოდა.

КАХЕТИНСКИЙ ДИАЛЕКТ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

I. Грузинский язык, имеющий многовековую письменность, богат местными диалектами. Их изучение дает весьма ценный материал для рассмотрения и освещения в историческом аспекте ряда вопросов, касающихся фонетической системы, грамматического строя и лексического состава современного грузинского литературного языка. При изучении истории развития грузинского языка большую ценность представляют архаизмы, характерные для древнегрузинского языка и сохранившиеся до настоящего времени в ряде диалектов. Особенно это можно сказать относительно таких архаических явлений, которые вообще не засвидетельствованы в письменных памятниках.

Древнейшие памятники грузинской письменности и надписи дают возможность проследить развитие литературного языка, начиная уже с V века, и оценить значение участия диалектов в формировании и развитии древнегрузинского литературного языка. Ценные в этом отношении показания дают и современные диалекты.

С точки зрения современного литературного языка заслуживают также внимания неологизмы, встречающиеся в лексике и грамматическом строе отдельных диалектов.

1. Глубокое и всестороннее изучение диалектов является неотложной задачей на современном этапе развития грузинского языка, когда влияние литературного языка на диалекты значительно сильнее, чем когда-либо.

В развитии и обогащении грузинского литературного языка определенное участие принимают все диалекты, однако его основой и питающим источником с самого начала являлась живая речь населения равнины Восточной Грузии, в частности картлийский и впоследствии кахетинский диалекты.

2. В области грузинской диалектологии до настоящего времени проведена значительная работа и получены ощутительные результаты. Напечатаны обстоятельные исследования о фонетических и грамматических особенностях ряда диалектов. Специально изучена лексика некоторых из них, и изданы словари. Выяснен с точки зрения исторической диалектологии ряд вопросов диалектного состава древнегрузинского языка. Изучен также язык составленных в разных местах Грузии исторических документов, в которых лучше всего отразились языковые особенности живой речи.

Опубликованы значительные исследования общелингвистического характера, основанные на анализе материала грузинских диалектов.

В настоящее время большое внимание обращено на издание монографических исследований и публикацию диалектологических материалов. В распоряжении Института языкознания Академии наук СССР, Тбилисского государственного университета имени Сталина и педагогических институтов республики имеется большое количество ожидающих своего опубликования диалектологических текстов, ценных в лингвистическом отношении, интересных по содержанию и разнообразных по жанру.

За последние 20 лет были организованы многочисленные экспедиции для собирания материалов и изучения диалектов грузинского языка, в первую очередь картлийского и кахетинского. Собрано также достаточно материалов относительно хевсурского, пшавского, тушинского, мохевского, мтиульского, ингилойского, месхско-джавахского, рачинского, имеретинского, гурийского, лечхумского и других диалектов.

Можно сказать, что в результате столь интенсивно проведенных исследований удовлетворительно изучены почти все диалекты грузинского языка.

3. Среди диалектов грузинского языка кахетинский вместе с картлийским занимает ведущее место. Значительна его роль в деле формирования и развития нового грузинского литературного языка. Он наряду с картлийским составляет основу современного литературного языка и является одним из источников, питающих его.

Квахетинский диалект распространен на значительной территории Восточной Грузии. После картлийского он является самой крупной диалектной единицей грузинского языка.

На кахетинском диалекте говорит основная часть населения Кахети, живущего в Ахметском, Телавском, Кварельском, Гурджаанском, Сигнахском, Лагодехском, Цителцкарройском, Качретском, Сагареджойском и Тбилисском пригородном районах. Немало проживает кахетинцев также в Тианетском районе. Исторически коренными кахетинцами являются и грузины, живущие в Ферейдане (Иран), переселенные туда в начале XVII века Шах-Аббасом. Наряду с основным кахетинским населением в Кахети живут также представители и других диалектов грузинского языка (хевсуры, пшавы, гудамакарцы, мтиулы, мохевцы, тушины, имеретины, рачинцы, ингилойцы, джавахи, лечхумцы), переселившиеся сюда из разных уголков Грузии, главным образом, во время крепостного права.

Вместе с грузинами в разных местах Кахети проживают также русские, армяне, азербайджанцы, осетины, удинцы, греки, кистины и цова-тушины.

Отсюда видно, что в настоящее время население Кахети в языковом и диалектном отношении весьма разнородно. Эта пестрота чувствовалась и в ранний период истории Кахети, в XVII веке, когда в силу исторических событий (имеются ввиду нашествия иноземных захватчиков и разорение Кахети) особенно часто приходилось населению переселяться с одного места на другое. Несмотря на такие исторические

условия, коренное население Кахети никогда не теряло единства, поэтому кахетивский диалект всегда сохранял свою цельность.

4. На протяжении XV—XVIII веков в Кахети было составлено много исторических документов, в которых нашли свое отражение многие стороны социально-политической и экономической жизни этого края. В этих исторических документах богато представлены характерные для кахетинского диалекта языковые особенности, что даст возможность хронологически проследить развитие диалектных явлений в течение XV—XVIII веков. Материалы такого рода имеют большое значение для истории грузинского языка вообще и для исторической диалектологии в частности. Все замеченные в исторических документах фонетические и морфологические явления диалектного характера полностью подтверждаются в современном кахетинском.

5. Вышедшие из Кахети выдающиеся писатели: Теймураз Первый, Арчил, Теймураз Второй, Илья Чавчавадзе, Александр Чавчавадзе, Рафизел Эристави, Продрон Евдошвили, а также из современных писателей Сандро Шаншиашвили, Георгий Леонидзе, Михаил Мрвлишвили и др. — нередко обращались к кахетинской разговорной речи. Они мастерски высирали и в меру использовали диалектный материал в соответствии с общей тенденцией развития литературного языка, обогащая его новыми лексическими единицами и грамматическими формами.

В формировании нового грузинского литературного языка большое значение наряду с другими писателями имела литературная деятельность выдающихся представителей эпохи возрождения Теймураза Первого, Арчила и Теймураза Второго. Они смело вносили и утверждали в литературном языке характерные для народной разговорной речи формы. В языке этих писателей широкое применение получили такие диалектные явления, которые и в настоящее время наблюдаются в кахетинской речи.

Известно, что грузинский литературный язык обогатился и совершенствовался особенно со второй половины XIX века, когда на литературную арену вышли классики грузинской литературы и основоположники нового литературного языка Илья Чавчавадзе и Акакий Церетели.

Глубокое знание усвоенной с детства родной кахетинской речи, а также знание картлийского наречия давало И. Чавчавадзе возможность умело использовать диалектный материал как в речи персонажей, так и в своей, авторской.

Он прибегал к этому, т. к. был убежден, что некоторые грамматические и лексические данные кахетинского и картлийского диалектов были правомерны и необходимы для развития литературного грузинского языка того времени.

6. Несмотря на широкое распространение, кахетинский диалект в основном почти везде одинаков, если не считать отдельных явлений, которые в большей или меньшей степени характерны для речи некоторых уголков этого края. В этом отношении прежде всего следует отметить речь населения Сигнахского и, частично, Цителцкароейского районов, которая в лингвистической литературе считается даже самостоятельной диалектной

единицей (кизикский диалект). И действительно, кизикская речь характеризуется некоторыми, отличными от кахетинского, особенностями, главным образом, архаизмами. Однако это обстоятельство не является решающим для того, чтобы выделить кизикскую речь из кахетинского диалекта, во-первых, потому, что эти архаизмы, видимо, раньше широко распространенные, в настоящее время сохранились главным образом в горных уголках Кизики, и во-вторых, они были в свое время характерны не только для кизикского, но и вообще для кахетинского диалекта.

Из восточных диалектов кахетинский ближе всего к картлийскому, что вполне естественно ввиду территориальной их близости, а также исторической и политико-экономической общности. Можно с полным основанием сказать, что ни один из диалектов грузинского языка не стоит так близко друг к другу, как кахетинский к картлийскому.

Много общего у кахетинского диалекта и с оказавшимися в негрозинском окружении нигилойским и ферейданским диалектами, которые исторически представляют собой прежний облик кахетинско-кизикской речи.

Вместе с тем в кахетинском прослеживаются такие фонетические и грамматические особенности, которые в ряде диалектов, в том числе в картлийском, вовсе не встречаются или же проявляются частично. Отмечается своеобразная интонация и частичное расхождение в ударении. Кахетинский диалект от картлийского и других восточных диалектов особенно отличается лексикой.

7. Кахетинскому диалекту посвящены основополагающие работы, в которых исследована речь нескольких районов Кахети, в них разрешены также принципиальные вопросы разработки диалектных явлений (А. С. Ч и к о б а в а), освещены сравнительно с другими диалектами некоторые общие языковые явления (А. Г. Ш а н и д з е) и разработана кахетинская лексика (С. Б. М е н т е ш а ш в и л и). Однако до сих пор не имеется полного монографического описания кахетинского наречия и достаточного количества опубликованных текстов. Последовательное (фронтальное) изучение этого диалекта Институтом языкознания Академии наук СССР началось с 1949 г. Благодаря научным экспедициям и командировкам удалось собрать огромный и ценный материал, который дает полное представление об особенностях кахетинского диалекта. На основе анализа этого обширного материала, изучения языка составленных в Кахети исторических документов, равно и языка вышедших из Кахети известных писателей и имеющихся по кахетинскому диалекту ценных исследований создана настоящая работа.

II. Кахетинский диалект характеризуется разнообразными и весьма интересными фонетическими явлениями, некоторые из которых прослеживаются и в древнегрузинском языке.

8. В отличие от современного грузинского литературного языка в кахетинской речи некоторых сел сохранились от древнегрузинского фарингалльный глухой придыхательный $\text{ʒ} \text{ } \text{q}$ и неслоговой $\text{ʃ} \text{ } \text{w}$, развились переднеязычный z j , гортанный смычный g (') и губно-зубной придыхательный

глухой спирант ϕ f. Эти звуки, за исключением ζ q и иногда неслогового ψ w, позиционно обусловлены.

9. Ассимиляция — очень распространенное явление в диалектах грузинского языка. Хотя кахетинский в этом отношении не расходится с другими диалектами, в нем этот процесс все же не так развит, как в иджилейском, ферейданском, гური́йском и др.

Ассимиляция имеет место как между гласными, так и согласными. В обоих случаях уподобление звуков обычно регрессивное, прогрессивная же ассимиляция, типичная для гური́йского, встречается очень редко. Сравнительно шире распространена регрессивная ассимиляция гласных. Особенно часты случаи уподобления гласного глагольной приставки гласному основу.

В этой позиции имеется только полная регрессивная ассимиляция; например: დეეკარგა deekarga (← დეეკარგა daekarga) 'он потерял', მიუტანა miuṭana (← მიუტანა miuṭana) 'он принес ему'.

Более активный характер носит частичная контактная регрессивная ассимиляция согласных, обыкновенно более характерная для десессивных комплексов. Часто имеет место оглушение звонких согласных перед глухими. Наблюдается также регрессивное озвончение глухих спирантов, случаи уподобления придыхательных согласных абруптивам и свистящих согласных шипящим: ბტ bt → პტ pt, დს ds → თს ts, ბს bs → ფს ps, ბთ bt → ფთ pt, ბშ bs → ფშ ps, ვს vs → ფს ps, ჯკ žk → შკ šk, სდ sd → ზდ zd, სვ sv → ზვ zv и др.

10. Диссимиляция согласных не так широко распространена в кахетинском, особенно диссимиляция гласных.

11. Метатеза большей частью происходит между сонорными и назальными согласными. В этом отношении в кахетинском действуют те же правила, что и в других диалектах грузинского языка. Встречаются случаи контактной, равно и дистантивной метатезы: ბმ bm → მბ mb, მლ ml → ლმ lm, მრ mr → რმ rm, სს xs → სს sx, ლ — რ l — r → რ — ლ r — l и др.

12. Субституция — широко распространенное в кахетинском диалекте явление. Чередование обыкновенно происходит между звуками, близкими по месту образования и схожими по звонкости и глухости.

Встречаются явления спонтанной аффрикатизации спирантов: ზ z → ძ dz, ჟ ž → ჯ j, შ š → ჩ č, ს s → ც c, а также изредка комбинаторной: დზ dz → ძვ dz, თშ ts → ჩ č, თს ts → ც c.

Сравнительно редко отмечается дезаффрикатизация, т. е. спирантизация аффрикат: ძვ dz → ზ z, ც c → ძვ dz → ზ z.

В определенных комплексах гласных имеем субституцию диссимилятивного характера: ოე oe → უე ue, ოვე ove → ოე oe → უე ue; ოა oa → უა ua, ოვა ova → ოა oa → უა ua; ეა ea → ია ia.

13. Комплекс ვა va дает ო o в основе имен и глаголов, в окончаниях третьего лица аориста и сослагательного второго; напр. კობი kobi (← კვაბი kvabi) 'кастрюля', სომს soms (← სვაშს svams) 'плет', თქო tko (← თქვა tkva) 'он сказал', დაწობ დაწონ (← დაწვაბ დაწvan) 'чтобы сжечь'...

Предварительным условием для перехода комплекса ვა va в ო o является фонетическая природа звука ვ v: в позиции между согласным и глас-

ным $з\upsilon$ является по существу губно-губным, который лабиализирует последующий $о$, сам сливаясь с ним, в результате чего получаем лабиальный $о$. В кахетинском это явление наблюдается в таких словах, в основе которых в древнегрузинском имелся неслоговой $\hat{\eta}$ w .

14. Конечные звонкие согласные обыкновенно оглушаются: звонкий спирант ㄍ γ переходит в глухой придыхательный ㄏ x ; согласный элемент ㄎ $-d$ показателя обстоятельственного падежа встречается в виде придыхательного ㄎ $-t$, равно как и элемент ㄎ $-b$ суффикса ㄎ $-eb$ переходит в ㄎ r .

15. Выпадение звуков—характерное явление для кахетинского диалекта, оно имеет место как в корне слова, так и в префиксах при стечении в слове нескольких согласных. Могут выпасть и согласные и гласные; из согласных, главным образом, исчезают переднеязычные спиранты, губные и заднеязычные согласные, особенно же сонорные согласные ㄎ $г$, ㄎ $л$, ㄎ $м$, ㄎ $п$. Наиболее часто подвергается изменению звук ㄎ $в$. Он ослабевает и даже теряется во многих диалектах; однако это явление в столь широком масштабе, как в кахетинском, не встречается ни в одном из других диалектов грузинского языка. Хотя все усиливающееся влияние литературного языка на кахетинский диалект постепенно преграждает путь дальнейшему развитию этого явления, но несмотря на это, оно все еще является активным фонетическим процессом.

16. Редукция гласных в настоящее время более активна в восточных диалектах грузинского языка, чем в западных. В этом отношении в кахетинском обращают на себя особенное внимание редуцированные формы, которые обычно не подвергаются редукции. Общее впечатление таково, что в этом диалекте не везде одинаково действует закономерность редукции гласных.

17. Путем слияния в определенной позиции двух одинаковых простых согласных получаем своеобразный долгий согласный, обычно являющийся геминированным. Часто имеет место слияние спирантов, губно-губных, переднеязычных согласных: ㄎ $s + \text{ㄎ}$ $s \rightarrow \text{ㄎ}$ s , ㄎ $x + \text{ㄎ}$ $x \rightarrow \text{ㄎ}$ x , ㄎ $z + \text{ㄎ}$ $z \rightarrow \text{ㄎ}$ z , ㄎ $m + \text{ㄎ}$ $m \rightarrow \text{ㄎ}$ m , ㄎ $g + \text{ㄎ}$ $g \rightarrow \text{ㄎ}$ g , ㄎ $d + \text{ㄎ}$ $d \rightarrow \text{ㄎ}$ d , ㄎ $t + \text{ㄎ}$ $t \rightarrow \text{ㄎ}$ t .

18. Ударение в кахетинском, насколько это можно определить по акустическому впечатлению, по своему месту и интенсивности не везде одинаково. Кахетинский диалект характеризуется обычно динамическим ударением, которое является скорее фразовым, чем словесным. Оно падает не на все члены предложения, а лишь на определенный слог какого-либо слова.

Динамическое ударение отчетливее в вопросительном предложении, чем в повествовательном. Для вопросительного предложения без вопросительного слова в литературном языке характерна восходящая интонация, а вопрос выражается повышением голоса на конечном слоге последнего слова.

Это правило иногда соблюдается и в кахетинском, но здесь чаще встречается ударение на втором слоге от конца. Такое же ударение наблюдается в составном сказуемом с вспомогательным глаголом.

В речи жителей Телавского и Ахметского районов обнаруживаются пережитки характерного для мтиульского диалекта тонического ударения.

Из-за интенсивного ударения на предыдущем слоге часты случаи отпадения не только гласного в абсолютном конце слова, но и целого слога.

III. Морфология кахетинского диалекта богата архаизмами, своеобразными формами и явлениями.

19. В склонении имен обращает не себя внимание следующее:

а) В именах, основа которых оканчивается на согласный или на гласные *ა, ე* и которые употребляются препозиционно в качестве определения, элемент окончания родительного падежа *-ს* *-s* отпадает или же превращается в *-ა* *-j*. То же самое происходит с показателем дательного падежа (*უბი ჰეა qani tkā* 'жатва нивы', *სახლია ჰატრობი saxlij raṭroni* 'хозяйин дома', *ქალ უბნა kal utxā* 'сказал женщине').

б) Творительный и обстоятельственный падежи заменяются творительным с суффиксом *-ივ* *-iv*. Иногда этот суффикс понимается как часть основы, и поэтому к нему прибавляется окончание обстоятельного падежа *-ად* *-ad* (*გაბივად gapivad* 'просторно').

в) В звательном падеже некоторые нарицательные имена на гласный не получают падежного окончания. В именах с гласным исходом конечный *-ა* *-a* отпадает, т. к. в них *ა* *a* понимается как ласкательно-уменьшительный суффикс.

г) формы дательного, родительного, творительного и обстоятельного падежей часто имеют эмфатический гласный *ა* *a*, применение которого характеризуется определенной закономерностью.

20. В речи некоторых районов Кахети сохранились древние формы личного местоимения первого лица *მე* || *მეა მე* || *მეა* и указательного местоимения *ისი*.

21. Параллельно с послелогом *-ზე* *-ze* употребляется и его прежняя форма *ზედ* *zed* (*ზეთ* *zet*), *ზედა* *zeda* (*ზედაბ* *zedan*). Этот послелог иногда применяется в функции послелогов *-ში* *-ši*, *-თვის* *-tvis* и *გამო* *gamo*. Место послелога *-ში* *-ši* обычно встречается *-შია* *-šia* (← *შიდა* *šida*), но кое-где сохранилась и переходная форма *-შიდ* *-šid*. Послелог *-ვით* *-vit* имеется как в именах, стоящих в именительном и дательном, так и в родительном падежах. Параллельно с послелогом *-ქენ* *-ken* употребляется *-ყენ* *-qen*, иногда без конечного согласного *-ბ* *-p*.

22. В кахетинском диалекте, за исключением речи Кварельского района, в формах I серии времен и наклонений суффиксы *-ავ* *-av*, *-ევ* *-ev*, *-ოვ* *-ov* заменяются их вариантами *-ამ* *-am*, *-ემ* *-em*, *-ომ* *-om*.

23. В глагольных приставках гласный элемент унифицируется. Приставки *მო-* *mo-*, *ზე-* *ze-*, *შემო-* *šemo-*, *გამო-* *gamo-*, *წამო-* *čamo-*, *გადმო-* *gadmo-* обычно представлены в виде: *მა-* *ma-*, *შა-* *ša-*, *შამა-* *šama-*, *გამა-* *gama-*, *წამა-* *čama-*, *გადმა-* *gadma-*.

Приставка *და-* *da-* часто выражает в формах глагола, масдара или причастия множественность объекта (иногда и субъекта). Эта приставка указывает также на интенсивность действия, а иногда на многократность.

24. В первом и втором лице аориста глаголов действительного залога вместо суффикса -*g* -*e* имеем -*gg*-*o* -*zv*-*i* (ვკითხვი *vkitxevi* 'я спросил', ვჭამეთ *včamevit* 'мы поели'), обычный также для картлийского наречия и встречающийся в некоторых других диалектах.

25. Глаголы страдательного залога, образованные посредством префиксов *o*- *i*- и *g*- *e*-; во второй серии времен и наклонений имеют во множественном числе суффикс -*gb* -*en* → -*b* -*n* (დავიზარდებინო *davizardenit* 'мы выросли'), как это наблюдается в древнегрузинском языке.

26. В некоторых местах Кахети в речи старшего поколения все еще сохранились характерные для древнегрузинского языка и горских диалектов формы пермансива. В этом отношении особенно выделяется кизикская речь. Здесь для образования пермансива II так же, как в древнегрузинском, используется для всех личных форм основа аориста.

27. Вместо суффиксов -*az* -*av* и -*ad* -*am* в результативном первом, а также в настоящем времени статических глаголов обыкновенно имеем суффикс -*o* -*i* (უბოაო უპაია 'он, оказывается, видел'; უთქვაო *utkvia* 'он, оказывается, сказал'). В данном случае наблюдается тенденция диалекта к унификации.

28. Во втором результативном (и в третьем сослагательном) в двухличных непереходных глаголах вместо суффикса -*od*-*a* -*od*-*a* используется вспомогательный глагол -*o**u**o* -*iqo*, *o**uz* *iqav* (*o**ub* *iqos*).

29. В кахетинском диалекте так же, как в картлийском, в результативном первом и втором (редко и в сослагательном третьем) встречается суффикс -*b* -*n* (← -*gb* -*en*), который перешел в литературный язык. В исторических документах, составленных в Картли и Кахети, он прослеживается с XV века.

30. Древний способ выражения субъекта второго лица и объекта третьего лица в основном сохраняется. Показателем лица в большинстве случаев является *y* *j*, если предшествующее слово оканчивается на гласный. Встречаются и двойные префиксы фонетического происхождения *az* *jh*, *ab* *js*.

31. Для выражения множественного числа третьего лица субъекта в аористе непереходных глаголов и в прошедшем несовершенном всех глаголов применяется окончание -*beb* -*nen*, утвердившееся в новом литературном языке под влиянием кахетинского и картлийского диалектов.

IV. В кахетинском диалекте весьма продуктивно префиксальное, суффиксальное и префиксально-суффиксальное словообразование.

32. Вместо аффиксов *sa*-*e*, *si*-*e*, *sa*-*av*, *sa*-*el* *sa*-*el* иногда используются *sa*-*o*, *si*-*o*, *sa*-*ul* и *sa*-*al*. При образовании имен, обозначающих лиц по их происхождению, вместо суффикса -*el* употребляется -*ur* -*ur*.

V. Синтаксические особенности кахетинского диалекта также заслуживают внимания.

33. При определяемых, стоящих в повествовательном (эргативном), родительном и творительном падежах, препозитивные определения, оканчивающиеся на согласные, иногда не имеют падежного окончания (ბებერი კაცმა *beber kasma* 'старый человек'...).

34. Часто наблюдается согласование сказуемого с подлежащим по

смыслу, когда последнее по своей семантике содержит понятие множественности.

35. Имеют место случаи, когда именная часть составного сказуемого согласуется с подлежащим в числе. Наблюдается также нарушение согласования между подлежащим и сказуемым, что обычно для западных диалектов, но не чуждо и восточным. Глагол согласуется с объектом в числе посредством суффиксов -ჟი || -ჯი -ღე || -ჭე и -თ -t. Из них -ჟი -ღე постепенно теряет свою силу, уступая место -თ -t.

VI. В пополнении и обогащении словарного запаса грузинского языка значительную роль наряду с другими диалектами играет кахетинский диалект, многие слова и выражения которого вошли книжным путем в лексический состав литературного языка, утвердившись в нем.

Особенное внимание привлекает богатая кахетинская лексика таких отраслей сельского хозяйства, как виноградарство, полеводство, животноводство, садоводство и др.

Разнообразны также названия растений и животных, термины, обозначающие родство и семейные отношения, хозяйственную деятельность, названия орудий труда, одежды, пищевых продуктов, слова, обозначающие народные игры и развлечения и тому подобные, представляющие собой значительный интерес с точки зрения исторической лексикологии грузинского языка.

VII. Настоящее исследование основано на непосредственных наблюдениях и собранных в разных селах Кахети в течение ряда лет текстах, из которых публикуется только незначительная часть. К текстам приложен небольшой словарь, в который вошли лексические единицы, отсутствующие в изданных словарях.

ᠠᠨᠠᠵᠢ ᠠᠨᠠᠵᠢ

კახეთის ისტორიული საბუთები

1700 წ. ნოემბრის ნახევარს. სამართალი ამბა ალავერდელ ნიკოლოზ ჩოლაყაშვილისა და სხვ. კაკაბელთა და შიბლიანელთა მიწა-წყალზე სარჩელის საქმეზე¹

ესე წიგნი დავდევით ჩვენ, ამბა ალავერდელმა ჩოლაყაშვილმა ნიკოლოზ, 5
ჯისიყის მოურავმა რევაზ, ყორჩიბაშმა ენდრონიკაშვილმა ზაალ, მოურავი-
შვილმა პა[ა]ტამ, სალთხუცის-შვილმა ედიშერ; — ასე რომე კაკაბელი და შიბ-
ლიანელნი მიწა-წყალზედ შულლობდენ და მივედით და ენისელთ მოურავი
ნოდარ და ენისელთ მოურავი-შვილი ზურაბ, ჯანდიერიშვილი გივი მივიყვან-
ნეთ, ორნივე ვალაპარაკეთ, მთა და ბარი გაუსინჯეთ და ასე გაუყავით და 10
შევარიგეთ: იორზედ სახლთხუცის ობა რომ არის, ყოჯას პირდაპირ გზა რომ
გამოვა, ის ქალა შიბლიანელთ საწისქვილოთ დავანებეთ და წისქვილებს გარ-
და ქალა სამქმით კაკაბელთ დავანებეთ; იმას ქვემოთ ზარგრის ობას პირდაპირ,
პატარა თუთა არის, ერთი სამძღვარი ის არის; იმის სწორათ პირდაპირ დი-
დი გორა არის, იმაში ერთი პატარა [თ]უთა არის, ერთი სამძღვარი ის არის; 15
იმის სწორათ სამზირლის წვერის სწორათ რომ შავის-ტყის მაღალი წვერი
რომ წამოადგება, ერთი სამზღვარი ის არის; იმას იქით ტყე სწორათ ქამონ,
საერთოდ იყოს. ყანდაურიანი წყლითვე კაკაბელთ დარჩა. თუ შიბლიანელთ
ბოლოს საძოვარი ბალახი კაკაბელთ არ დაუშალონ, კაკაბელთ შიბლიანელთ
წყალი არ დაუჭირონ. თუ კარგ[გ]ვარათ მეზობლურად შერიგდენ, ერთმანეთ- 20
ში ვნვა და თესვა არ დაუშალონ და, თუ ვერ შერიგდენ მეზობლურად, თავ-
თავისი სამძღვარი ამ წიგნში როგორც სწერია, იმ გვარათ თავისას ჯელი
მოჰკიდონ და იმ წვერის იქით მთა ერთად ქამონ. არის ამისი მოწამე თავად
ლმერთი, კაცთაგან ბარამიშვილი ბერი ეპიფანე, ალავერდლის მეღვინეთხუცესი
სულხან, კაკაბეთის მოურავი ბაინდურაშვილი ბეჟან, ბეჟანის-შვილი კაკაბეთს 25
შერმაზან, ნაცვალი ოთარი, შიბლიანელი ქემხიშვილი, თამაზა, კიდემ ალაკას
ქემხა ჰიკაძე ქრისტესია, შიბლიანში კიდემ ქემხა მგელიტა და იქივე მღვთისია,
კიდემ ალაკას ჯანგირა და ეშმაკურა და მე მოურავის სახლთხუცეს დავითს
დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა გიორგობისთვის ნახევარს გასულს,
ქ[ორონი]კ[ონ]ს ტპშ. ალავერდელი ნიკოლოზ. 30

1725 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბეჟია, თანია და შიოს მიერ წინამძღვარ ონოფრესადმი. საბუთი დავით-გარეჯის უდაბნოსი¹

ქ... ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვით ჩვენ სამთა ძმათა: ბეჯიამ, თან-
ნიამ და შიომ თქვენ, ბატონს წინამძღვარს ონოფრეს; — ასე რომე ვალი გვე-

¹ ამოღებულია წიგნიდან: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940, საბუთები №№ 525 და 550.

მართა და ილაჯი არსაით [გვ]ქონდა, ახლა მოვედით და შეროგებვეწენით და თქუენ დაგვიხსენით და მოგყიდეთ ჩვენი თავი, ოთხი თუმანი და ექუსი მინალთუნი გარდმიწყვიტეთ; ჩვენი ძმა თანია მსახურათ მიახლებია მე ბეჟიას და რაც შემძლოს და ან ჩემს ცოლს-შვილს მოუარო და ჩავაცვა და ვასო და ვაჟამო, ისე ამის ცოლს-შვილს მოუარო ჩაცმითა, სმითა და ჭამითა. რაც მოგვიხსენებია, თუ ამაში გაგიმტყუნდეთ, თქვენი თეთრი სარგებლით მოგართვა, თვეში თუმნის თავს აბაზი მოგართვა. არიან ამისნი მოწამენი სამ მალა-ლაშილი, დათუნა მგალობელი, კანდელაკი დავით, პეტრე დეკანოზი, კანდელაკის შვილი იონე. მე პახუმს მდივანთ-მწიგნობართ-უხუცესის შვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქ[ორონი]კ[ონ]სა უიგ.

1817 წ. მაისის 20-ს. პირობის წიგნი, მიცემული სტეფანე ნატროშვილის მიერ დავით ბარათოვისადმი¹

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე ზემო მაჩხანის ქევხამ ნატროშვილი [ს]ტეფანემ 15 შენ, სოვეტნიკს დავით ბარათოვს; — ასე რომ სილნალის კამანდათი დამ ბძანება გამომეცხადა თქვენის ყნის გოგიას ცოლ-შვილით აყრა და შემოდგომამდინ მულათი გთხოვე. ახალი რომ აილოს, აყარო და გამოგვიგზავნო უჩივლელათ და გაუსარჯავათ ცოლ-შვილით. ეს არის ჩვენი პირობა. არის ამისი მოწამე, 20 ბოსტაშვილი ნაცვალის ბიძინა და ყიასანთ გოგია და ასისთავის შვილი სიმონი და მე გასპარ ხოსროვმა ხელი მოვაწერე ამ ზემოხსენებულთ თხოვნით და მოწამეცა ვარ. დაიწერა მაისის 4, წელსა ჩყიზ.

1798 წ. ოქტომბრის 4-ს. არზა, მიცემული ტეტია მგალობლიშვილის მიერ გიორგი XII-ისადმი¹

მათის უმაღლესობის ბედნიერის კელმწიფის წინაშე მოსაჯენებელი მათის მხევლის მგალობლიშვილი ტეტიას ქვრივისა და ობლებისა. ერთი ნასყიდი დედაკაცი ძყუნდა და გამითხოვდა. ბატონს დედა თქვენთან ვიჩიულე და ერთი შვიდი წლის გოგო სისხლში წაართო და მე მიბოძა. ახლა ის გოგოც რომ გავზარდე, ისევ იმ დედამ გამიორგულა, გამეპარა და ქმარი შეერთო. თორმეტი წელიწადია ქვრივ-ობრობით გამიზღია, გვედრებით, ამის სამართალი მალირსოთ. ოკლომბრის ბ.

¹ ამოღებულია წიგნიდან: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, 5. ბე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რ ე დ ა ქ ც ი თ, 1953, საბუთები №№ 425 და 433.

შიგნიკასური ტექსტები

1. პირველი კოლექტივის წევრი

ჩემი დედ-მამანი იყვნენ ღარიბები. ცამეტი წლისას მამიკვდა მამა. დე-
დაჩენი დარჩა ძალიან წვრილშვილი. დიდი მე ვიყავი, ცამეტი წლისა. მიპი-
რებდნენ გათხუებას. მე კიდევ ვიმალებოდი. ხან სხენეფში ავდიოდი, იქ ვი- 5
მალებოდი, ხან საბძღეფში ვიმალებოდი: არ გვეეთხვიებინე დედას. ერთი
წელი გადავირჩინე თავი.

თოთხმეტი წლისა რო გავხდი, მაქაალი მამივიდა. ისევ მივიდიოდი სხენე-
ში დასამალათ. მაქაალმა ხელი წამკიდა და გადმამაგდო დაბლა. წამიყვანა
ტირილით საქრმოსთან გასასინჯათ. საქრმო ჩვენ სახლში იყო მოსული ჩემ 10
სანახავათ. საქრმოს მევეწონე მე. იმ ჩემმა მაქაალმა ძალით წაიყვანა ჩემი
დედა საქრმოე სახლი სანახავათ. დედაჩემს მევეწონა სახლი.

მე დამნიშნედ და წამამიყვანეს. დამხვდა შვიდი წლის გერი. გავზარდე
გერი, გავათხუე.

ახლა მეყოლა შვიდი შვილი. ვიყავ ძალიან უღარიბესი. ვის უცხოზდი 15
პურს, ვისა დაურეცხამდი; ასე ვასარდოემდი.

გამიხდა ქმარი ავათა და მამიკვდა. დამჩა ოთხი შვილი; სამი მამი-
კვდა და ოთხი დამჩა. არაფერი არა მქონდა, რო ქმარი დემემარხა. რო ქმა-
რი მიკვდებოდა, წავედი დოლესთან. მანამ მივიდიოდი, ქმარი მომკვდომოდა.
მითხრა დოლემ: — წადი შენაო და ქმარს მიხედეო, მე სოფელში წავალ, მოგი- 20
კრეფამ პურსაო. კალუებზე ჩემეველო და მამიკრიფა პური.

სამი დღის ქვრივი ვიყავ. მოიდა ჩემი მეზობელი, ბალები მიტიროდნენ
პურისათვინ, მითხრა: — ლობიოს გლეჯვა მიშველეო და ერთ ლიტრა ფქვილ
მოქცემო, ბალებფსაც იქ წაწოგიყვანო და პურს გიქმევეო. წავედიო, დავგლი-
ჯეთ ლობიო. მომცა ერთი ლიტრა კადის ფქვილი და სამი წყლიანი პური. 25

საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენ სოფელში გლეხკომი შეიქნა. მიმი-
ყვანეს გლეხკომში და ერთი კოდი პური მომცეს. მოიტანე და გავფინე გასა-
კეთებლათ.

მოიდა ჩემი მაზლი და ხელი აურია ამ პურს და მითხრა: — ვინ მოქცა ეს
ბრინჯივით პურიო?! მე უთხარი: — ვენაცვალე ჩვენ მთავრობას, ისინი დემეხმარ- 30
ნენ და მამცეს პური-მეთქი. მაზლმა მითხრა: — აღარ გათხოვდებიო, რო ასეთ
პურს გაძღევენო.

იმათი მოცემული პურით სახალხო მამულში ვიმუშავე ორმოცდაათი დღე
ქვის კრეფაზე. თანაც მოიდა დიდმარხვა. გამოიტანე ერთნაირათ რვა თუმა-
ნი, რო არ მენახნა, იმტენი. ყოველ ნახევარ კილომეტრში ვთვლიდი იმ 35
ფულს. სახლში რო მოველი, სიხარულისაგან არ ნეძინებოდა. იმ ფულს დავთვ-
ლიდი და დავწებოდი.

გათენებისას გადავწყვიტე, რო ამ ფულით დავაბარინეფკე სავენახე მი-
წას და ვაზს კიდე არტელიდან გამოიტან ჩემ ნამუშევარში. ჩემ გარეშე მაზლს

უთხარი, რო ვგრე გადავწყვიტე: დავაბარინო და ავაშენო ვენახი. შეილიც: გემეზდება და ვენახიც და ერთათ კარგათ ვიცხოვრეფთ-მეთქი. გამოიტანე. არტელიდან ვაზი. წინასწარ მიწა დავაბარინე. ჩავიტანე ვაზი; წავასხი ბა-
 5 შვები იქ გრძელ მინდორში. ჩაყრა და დახაზვა არ ვიცოდით. ვიჯექი დალო-
 ნებული და ბალები კალთაში მესხდნენ. ჩამაიარა ჩვენი გვარის კაცმა, მე-
 კუთვნოდა ისიც მაზლათ, მითხრა: — რა დალონებული ზიხარ, ჩემო რძალოო?
 უპასუხე: — ვაზი ჩამოიტანე-მეთქი და არც დახაზვა ვიცი და არც კიდე-
 ჩაყრა-მეთქი.

მართული მიქონდა თავი ვენახის დასახაზათ, მაიხსნა ის მართული და
 10 მითხრა: — წამოდი, მიშველეო და მე დაგინაზამ სავენახე მიწასაო. დამინაზა და
 ერთი ათი ვაზი თითონ ჩარგო. მერე მითხრა: — თუო შენო ჩაყრიო, არაფერი
 არ მინდაო, დახაზვაში არაფერს გამოგართმეო, თუ შენ ვერ ჩაყრი და მე
 ჩაყრიო, მაშინ ერთ დღეს გიშველიეფო. იმან მასწავლა ვაზის ჩაყრა, მით-
 ხრა: — ამ ჯვარედინეფს არ ააცდინოო. სამი დღე ვყარე მე ის ვაზი. გავაშენე
 15 ის ნამყენი. მშვენიერი ვაზი გავზარდე.

შედგა კოლექტივი. შავყე მეც კოლექტივში იმ ვაზსა... პირველი კოლე-
 კტივის წევრი მე ვიყავი დედაკაცი მარტო. კარგათ ვმუშაობდი. მერე დამა-
 ჯილდოეს კარგი ფეხსაცმელებით, კარგი კაბით და კარგი თავზე მოსახვევით.
 მე ფეხსაცმელებს, კაბას და თავზე მოსახვევს დილით კალთაში ჩავიწყობდი
 20 და წაველებდი სამუშაოზე. იქიდან რო წამოიღოდი, გადვიკიდებდი მკლავ-
 ზეთ და იგრე ამუტარებდი, რო ხალხი დაინტერესებულიყო. დაინტერესდა
 ხალხი და ხალხი, დედაკაცობა მინდორში წამოიდა.

კოლექტივში ჯერ სულ უღარიბესი ხალხი შამოიდა, მემრე უსაქონლო
 ხალხი შამოიდა. მემრე საქონლიანმა ხალხმა ცალკე შადგინეს კოლექტივი.
 25 მემრე ჩვენთან მოიდნენ, გააერთიანეს კოლექტივი. გაძლიერდა კოლექტივი
 მაშინ.

პირველათ კოლექტივში მანქანები არაფერი არ იყო აქ. ვმუშაობდით
 ხელით, კაცები ბარამდნენ, თოხნიდნენ, საქონლით ვხნამდით და მიწეფს
 ვამუშავებდით, ურმებით ძნები და სიმინდები მოგვქონდა. დედაკაცები სიმინ-
 30 დეფს ვამტვრევდით, ვენახეფს ვახვევდით, ვყელამდით, კლერტსა ჭკრეფამდით.
 მემრე გაჩნდა მანქანები და დაგვეხმარა: გვიხნამენ, გვითესამენ, გვიმ-
 კიან, გვილეწამენ; მანქანებით ეზიდებიან პურს, დამტვრეულ სიმინდს, სამუ-
 შაოზედაც მანქანებით მივდივართ ახლა.

სოფ. ქვემო ხოდაშენი

2. წელს ჩვენ კოლექტივში დიდი მოსავლია.

35 ხოდაშენში ძველათ თავადები იყვნენ, ჩვენ თითონ იმათი ყმანი ვიყავით.
 ჩვენი მამულის ხარჯს ისინი ხდილობდნენ, ჩვენ კიდენ ვაძლევედით იმათ.
 პურს, სიმინდს, ღვინოსაც. თითოეულიდან მეოთხედ ვაძლევედით.

ხალხი გაწინამდგედა. ნიკოლოზის მთავრობა აღარ უნდოდა ხალხს,
 ჯგუფურათ დადიოდნენ გამოსული ბიჭები და იმ მთავრობის წინააღმდეგ მუ-
 40 შაობდნენ. აქ დამალულათ თოთხმეტი წელიწადი იარეს. ხალხი კიდევ ინა-
 ხამდათ იმათ.

მეფის ჯანდარმელები ხოცამდნენ გასულეფს, რომლებიც მთავრობის წინააღმდეგათ მუშაობდნენ. მოკლეს ჩეკურიშვილი, ესიტაშვილი, ხმიადაშვილი, შიუკაშვილი და სხვები. დანარჩენები კიდენა მენშევიკებმა დახოცეს.

მენშევიკეფს ხალხმა მხარი არ მიაცათ. ჩამუარდა მათი მთავრობა, მოიდნენ ბოლშევიკები. ხალხი დაახვდა, როგორც ერთიმეორეში უნდოდათ. 5

ბოლშევიკები რო შამოვიდნენ, ხალხი თავისუფლათ იყო. მერე შედგა კოლექტივი და ხალხსა ნორმა მეცათ. დანარჩენი მიწები გეერთიანდა კოლექტივში. კოლექტივი ამ მიწეფს ამუშაეფს მანქანითა და ხალხით. ძველათ ვამუშაეებდით გუთნითა, საქონლითა.

წელს ჩვენ კოლექტივში დიდი მოსავალია.

10

სოფ. ქვემო ხოდაშენი

3. ჩვენ გავიმარჯვენით

ნიკოლოზის დროსა ძაან ცუდი ცხოვრება გექონდა, შვილო, მაგრამ ხალხი გამრჯე იყო.

ოცდაათი ატრაენიკი ჩამოიდა. თოფები ჩაუმტერიეს. ქიის პარკი ქარხანა რო იყო, იქ დიდი საშიშროება იყო. მემრე კურდღელაურში მთელი ჯარი შემოახვიეს. ზეკუცია გვედგა, ნიკოლოზის დრო იყო. მერე მოკლეს ჩაფარი, ურიადნიკი. ისეთი ამბავი მოხდა, რო გექცათ მკვლელი. მერე ჩაუყენეს ზეკუცია (ემთვენი ხალხი მაშინ არ ყოფილა ნათარეულში). დიდი ბრძოლი შემდეგ ჩვენ გავიმარჯვენით. ახლა კი ეგრე ვცხოვროფთ კარქათა.

სოფ. ნაფარეული

4. ყველასთვინ ღია არი სწავლის კარი

ძველათ აწავლა სათვალავით იყო. ვისაც კენჭი შაახვდებოდა, ის იაწავლიდა.

შილდაში როცა სკოლა დაარსდა, მიიყვანე ჩვენი მეზობლი გოგუები. მე ისე დავჩი. ავდექ ერთ მშვენიერ დილასა და გვეეპარე დედაჩემ, გაყეე გოგუებსა. თურმე დედაჩემი მეძეფს, — მარო რა იქნაო. — სკოლაში წავიდაო, — უთხრეს. გამამდგომია დედაჩემი, მომეწივა გზაში და კინწიკერით გამამადლო: — შენმა სიცოცხლემაო, რო შენ იქ ბიქეფთან დაგსოო! ნიჭი კი მქონდა. ჩემთავათ ვისწავლე წერვა-კითხვა.

ერთი ნათესავი კყვანდა, იმან უთხრა დედაჩემ: — ტასი, ეს გოგო გაგლანძღამს შენაო, მიიყვანე სადმე სასწავლებლათო. 30

ერთი „დედა ენა“ გექონდა ჩემი ძმია ნახმარი. ავილებდი იმ წიგნ, საცა ქათამი იყო დახატული ან სხვა რამე, იგრე ვკითხულობდი. ჩემთავათ ვისწავლე წერვა-კითხვა, ეხლა წიგნეფსაც ვკითხულოფ.

მე რო ჩემ თავზე გამოცდილი ვიყავ, ერთი შვილიც კი არ გაუშვი უსწავლელი, სუყველასაც კი ვასწავლე. ორი მასწავლებელია, უფროსი კი ბუღალტერია, ოცი წელი მუშაოფს ამ საქმეში. 35

ეს მთავრობა იმიტომ კარგია და მამწონს, რო ყველასთვინ ღია არი სწავლის კარი. მაშინც რო ეგრე ყოფილიყო, მე ეგრე არ დავრჩებოდი. ეხლა სუყველაფერიდან ყველაფერი კარქია.

სოფ. შილდა

5. ესლა დასვენებული ვარ

ოსტატთან ვიყავი. მასწავლა ექვსი თვე. თვეში ვაძლევდით ათ შაურს. ექვსი თვის შემდეგ მშობლებმა გამამიყვანეს. იმ ექვს თვეშია მე ვისწავლე ქართული წერა-კითხვა, ვისწავლე ქართული ქრონიკონი, ასამდე რუსული დათ-
5 ვლა. ის ჩემი ოსტატი ნასწავლი ქალი იყო.

თექვსმეტი წლის ქალი რო გავხდი, გამამათხუეს კისისხევეში. ქმარი მყამდა სვიმონიშვილი. ჩემი ქმარი ჩემზე დიდი იყო თოთხმეტი წლით. ქრთამი მქონდა სამოცი თუმნის, მზითვეი ორმოცი თუმნის. მე როცა მოვედი ოჯახში, ყველაფერი მოვიქონიეთ, მამაც დემენბარა, ცხოვრებაზე კარქა ვიყავით.
10 გავზარდეთ სამი შვილი: ორი ვაჟი, ერთი ქალი. ერთი შვილი ბულალტერია, მეორე მოანგარიშვა, მესამე მასწავლებელია, მესამე ორდენი უნდა მიიღოს. ჩვენ უსწვლელები ვიყავით, ვიმხნევეთ და შვილებ ვასწავლეთ, ის შამჩა. ესლა დასვენებული ვარ.

სოფ. კისისხევი

6. გემოვნობაშია ხალხი, კულტურაში!

ჩემ დროსა ორი შკოლა იყო, ჩვენა ხოლოთ სახლებში ვწავლობდით. მამაჩემმა კედელზე გამიკრა ანაბანა, ისე ვწავლობდი. ერთხელ კარქა ვერ ვისწავლე. დამაყენა კუთხეშია და — ქვიშა უნდა დაგიყაროო, მალე ისწავლეო, — იგრე მითხრა. ძველათ რამე რო ქონოდა, ვერ ვიმეტებდით, რო მოგვეხმარებინა. ესლა, აბა, როგორ შეედრება, შვილო! ხალხი გამოიდა უფრო, გემოვნო-
20 ბაში ჩადგა ჩაცმითაცა და ჭამითაცა.

მაშინ არა გვქონდა ფული და, რაცა გვქონდა, იმასაც ვერ ვიმეტებდით, ჩვენ შვილებ უნახამდით, ჭკვა არა გვქონდა. საქმელი იყო და ჭამაც არ იცოდნენ. აი, სიღნაღში ვიყავ ერთხელა და ორმოცხათიანი მახუხი ჩეედგათ და ჰყიდიდნენ. აბა, ი რა საქმელია! ესლა კი იგრე აღარ არი, შვილო, გემოვნო-
25 ბაშია ხალხი, კულტურაში! აბა, ესლა რო მაშინები დადიან ფუინასეეფ ერთმანეთზე, მაშინ სად იყო!

სოფ. ქისტაური

7. მრავალშვილიანი დედა

მე, შვილო, რეერთი რამ გადამხედია, ვინ იცის!

ქალობიდამ მე ვარ ფიცხელაური. მამა-პაპეები ხოდაშენში მცხოვრებლები
30 იყვნენ. მერე ბატონები ხელში გადასულან ახაშენში.

მამა აღრე მამიკვდა. დედამ მაიყვანა ქმარი იმერელი ალავიძე. იმტენი იწარმავა ემ მამინაცვალმა, რომ დაგვზარდა, დაგვათხუა კიდენაც. მერე ი ჩემი მამინაცვალი დღეობაში, უსანეთობას, ცხენმა გადმავადო. ცხრა დღე და
' ცხრა ლამე ცხედარი ისე იწვა. ერთმა თქვა, რომაო ესაო არც მოკვდებაო
35 და არც გაცოცხლდებაო, ხოლოთაო ვის სახელზედაც დაიძახეფსო, იმას მოჰკლამსო, ან გადააძევეფსო.

ესლა ჩვენ ვიყავით ქალ-ვაჟი. იმთენი გააკეთა, რო ცხრა დღის შემდეგ ამ კაციმ სიტყვა ასრულდა. დაიძახა — ანიკოო — ჩემ სახელზედა. დედამაც შეკრთა: — ვაიმე, თუ იმიხ სიტყვა ასრულდაო. გადაიქცა და გული შაუწუხდა.

დედას უთხარი, რომა ნუ შაფუხდები-მეთქი. მაინც ბევრი ოხრობა გამაიარე-მეთქი, მამკლამს და მამკლას-მეთქი.

თელავიდან ყინული გადმოჰქონდა ექიმსა და თავქვეშ უღებდა (თითო ვედრა ყინულში ათ შაურ ვაძლევდით). ი ცხონებულმა ჩემ მამინაცვალმა, უფლისაი ჰქვიოდა სახელი, იმტენი ისევე ქნა, რომა დაიძახა. დედაც ცოტა 5 ნუგეში მივეცი. დედაჩემა თქო, რომაო, შვილო, რა გიყოო, არც გათხოვების დრო გაქ და როგორ მოგარჩინო ამისგანო. ი ცხონებული ისე კი გვრდიდა, რო ცივ ნიავ არ გვაკარებდა.

მე ოსური ვიფაველე. ე ოსები სუ ალაღელადნენ: — არა, მე უნა წაფიყვანო, არა — მეო. დედა უარზე იყო. ისე მოხდა, რომა ი ოსეფში კი გამათხუა. იმი 10 შემდეგა ჩემ თავზე ერთი წისქვილი არ დაბრუნებულა, თორემ დანარჩომი სულ ყველა მაქს ნანახი.

წამოველ, გენაცვათ, დედა დარჩა. რამოდენიმე წელიწადი იცოცხლა. მერე ემ მთავრობის დროსა გაეხდი მრავალშვილიანი, დიდი მადლობელიცა ვარ. რასა ბძანებ! ე წერვა-კითხვა დიდი კარკი რამა ყოფილა. ესეთი 15 შვილები ავზარდე, რომა...

ყველაფერი მეემტერესებოდა, მაგრა ხშირათ გარეთ გამამაგდებდნენ ხოლმე, დამითხოვდნენ სათავადოში. აი, ეხლაც ვეტყვი ხოლმე ხალხსა: — ქვეყანა ეხლა ღარიბებითეინ და გლეხებითეინ არი-მეთქინ.

— აი, შენაო ყველაფერი გეყურებაო, — მეუბნევიან ისინი.

20

სოფ. ზემო ხოდაშენი

8. ძველი ცხოვრება

ჩემ პატარობისას ეგრე კი არ იყო ცხოვრება მოწყობილი, სადულრები იყო, კიკილები...

პური ჭამი დროს ტახტ დადგამდნენ, ორი მეტრა სიგანე მაინც აქონდა. რაც მოახვდებოდათ, — ლეიბი, საბანი, მუთაქა (ზოგ ქვაც შეაქონდა), — იმაზე 25 დასხდებოდნენ და ისე შქამდნენ. მაშინ არც სკამი იყო და არც ატოლი.

მეზობლობა დაუძახებდნენ, უშველიდნენ, შეიტანდნენ ზორბა მორს, თან უჩიჩხინებდნენ, — არ გაქრესო. იყო ერთი კორიანტელი. ყველაფერი იბოლებოდა. სხვენში ლაეტზე დაყრიდნენ სიმინდ, იბოლებოდა. ჩამოაქონდათ და ისე სარდლობდნენ. თანგირა ქვაბი აქონდათ, ლორიე ყალია მოხარშავდ- 30 ნენ (მისდლეში არ მიკამნია). კოვზი იმათეინ არ იყო და არაფერი.

ჩაცმულობა ხო სუ არ იყო! ერთ ლეინის შარვალს ამაცივამდნენ, პაიკებს, ჩახსაკრი ჰქონდათ პაიკზე შემოსაკვრელი.

ორნი ძმანი იყვნენ, ბევრი საქონელი აყავდათ, ვერაგზით ერთი სახლი ვერ დაიდგეა. იმათ შვილები კი ნაფაველები გამოიდნენ და კაი სახლებიც 35 დაიდგეა.

სოფ. კისისხევი

9. წინწინდელი დრო

ძველათ ედგათ გძელი, დიდი... ესემისა... კედლის სახლი. იმასა-აქონდა სანათურები ეგეთი, რო შიგ სამ-სამი კაცი გაძვრებოდა. იმას არც ფანჯარა

აქონდა, არც არაფერი ქონდა, ეგრე იყო ღიათ დარჩომილი. კარები ქონდა. ეგეთი, რო ნახევარ ვერსზე გაიგებდი იმი ყვირილს, ეგრე ღრიალებდა კარები; ურდული ქონდა ბარძაყზე სქელი.

5 მიჯიდავდნენ კამეჩებით (მაათრეედნენ) სახლი კარებზეთ მსხვილ მო-
რეფს, დეეხვეოდნენ მემრე შვიდი-რვა კაცი და შაჯიდავდნენ კეტებით. მემ-
რე აქონდათ წვრილი შეშა იმითვინ შასანათებლათ; შასანათებლათა-აქონდათ.
კიდე ჭრაქი. გუთანზე რო წნელი გაგვწყვეტოდა, შინ მოგვქონდა და ვინა-
ხავდით მისანათებლათ.

10 მაშინ ჩვენ სოფელში იყო ერთი მააწაველებელი. ააწაველიდნენ მარტო
თავადეფს, აზნაურსა და სამღვდელოს.

ეგ იყო ჩენი... ისემე... წინწინდელი დრო.

ქალს ეგრე დაინიშნავდნენ, რო ბიჭი და ქალი ერთმანეთ ვერაა-ნახავდ-
ნენ. ნიშნავდა მამა და დედა...

15 მოცად საქონელს ჩვენ ვეძახით ფურობას, წვრილტანა საქონელს. მო-
ცადი საქონელი მიგვიდიოდა ტყეში, იქ მიდიოდა იოლათ, შასაბმელ საქო-
ნელს ვაჰმევიდით ცალკე ბალახსა და როშს, რო საცა დაგვიპირდებოდა.
გამოგვდგომოდა იქ.

სოფ. ვნისელი

10. მოვალეს ვერ ავდიოდით

აქ ერთი ყვარული კაცია. იმას ეთქვა: — წინ-წინ იგეთი დრო იყო, რო
20 ბოლიანი სახლები იყო. გამოუგნებელი ხალხი იყო. მუალეს ვერ ავდიოდნენ
მიცემას. ბევრი რო აქონოდა, საცალოს წამაისხამდა და იგრე დადიოდა, ემაჰ
მევეაწარი. ასი სული ცხვარიც რო აყოლოდა, ეგრე დადიოდა. ხალხ ჩოხები
აქონდა სახელაჭრილი და მხარზე გადაფენილი.

თავადები ჩენი ბატონები იყვნენ. ტყეში ვერ გაივლიდი, ყველგან ფულს.
25 ქეთხოვდნენ, ტვინსა გვკამდნენ.

თვეში თუმანი რო გესესხნა, ათი შაური უნდა მიგეცა, სუ იმათ მიაქონ-
დათ. ვენახები დაგირავებული გვქონდა.

სოფ. შილდა

11. სოფელ წინანდალში

ჩენები მოსულები არიან იმერეთიდან. მოსულა სამი ძმა, ერთი—წინან-
30 დალს, რომელსაც ბატიაშვილის ქალი მოაწონებოდა. ბატონს ეთქვა, რომაო.
ჩემი ყმის ქალსაო მოქცემო, თუ მეყმობიო. მერე ყმათ გახტომია და ქალის.
გვარი მიუღია — ბატიაშვილი, კაცის გვარი გუბელაძე იყო. ორ ძმას კი —
ერთი კონდოლში წასულა და თავის გვარი უტარებია და მეორე ყვარელში.
წასულა და იმასაც თავის გვარი უტარებია. პირველი ყმათ გამხთარა.

* * *

35 როცა დავით ჰავკავაძე გარდაიცვალა, რკინისგზა ხომ ბევრით იმას მემ-
რე მოვიდა. რამდენჯერაც დაჰქლანამდნენ მაგ რკინისგზასა, ხანი გადიოდა-
ეგ რკინისგზის მოსვლა ყველასთვის კარგი იყო. ზოგიერთები, როგორც უვი-

ცი ხალხი და უფრო გაუგებარი, იმას ამოხდა, რომაო რაც რამე გვექნება, წაიღებსო ეგ რკინისგზაო, მაგრამ შეგნებული ხალხისთვის საუკეთესო საქმე კეთდებოდა.

ამ მთავრობაში კარგი რამე გაკეთდა. თელ ამ წინანდალში წყალი სულ არ იყო და ეხლა რამთენია, ვინ დაჯთღის! მარტო აქ კი არა, საცა გამშრა- 5. ლი ქვეყანა იყო, იქაც მოვიდა. ციხის წისქვილთან იყო წყალი და წინანდალი, ნასომხარი და კისისხევი მაგ წყალ სომდნენ, მაგის მეტი წყალი არ იყო. ეხლა კი ყველგან ბევრია.

* * *

პირველათ რო ლამფა მაიტანეს, მთელი ხალხი მოდიოდა სანახავათა. ლამფა სად იყო! იყო ბიკონი, ქონის სანთელი. იმას ჩაასხამდნენ ჭურჭელში, 10. ძონძს დაგრიხამდნენ და ფიტელივით გააკეთებდნენ, ჩაღებდნენ ქონში და ისე მოუკიდებდნენ ცეცხლს, ცეცხლი შუქზე ცხოვრობდნენ. სპიჭკის მაგივრათ ტალ-კვესი იყო. ფურცლის ზოკოს მოჰკრეფამდნენ, იმას რალაცნაირათ ხარ-წამდნენ, მე კარქათ არ ვიცი, და აკეთებდნენ აბედს და ტალზე დადებდნენ ი აბედს და კვესით ცეცხლ უჩენდნენ. ქამრებზე ებათ ტალ-კვესი და იგრე 15. დააქოდათ.

კრამიტთან სახლ ვერა ნახამდი სოფელში, სუ ჩალურები იყო. თითონ გულბათ ჭავჭავაძესაც ჩალა ეხურა სახლზე ჩემ ბავშობაში და მოსწრებაში. ეხლა კი ჩვენ სოფელში სუ სართულიანი სახლები დგანან.

სოფ. წინანდალი

12. ძველათ შილდაში

ძველათ შილდაში მამასახლისი იყო. ჰყვანდა იმასა თანაშემწე, ნაცვალი, იმას კიდენ თანაშემწეთ ყყვანდა გზირი. ამას კიდენ თორმეტი კაცი ყყვანდა. აწერავდნენ ხარჯებს. როცა ხარჯი აკრეფი დრო იყო, ამკრეფ გააგზავნიდნენ. დადიოდა სოფელში, ვიზე რა იყო შაწერილი, იმაჲ აგროებდა. თუ არ მიეცემდნენ, ან ქვებ გაიტანდა, ან ფარდაგსა ან სხვა რამეს, ან ქათმებ წა- 25. იყვანდნენ და გაყვიდნენ. ლვინოს კიდენ უბეჰავდნენ, ჩაფ ექვს აბაზათ ყვიდნენ. აქ კიდენ მწერელი არა-ყყვანდათ, მოყყვანდათ სხვა სოფლიდამ. იქნებოდა აქა, ფულ დაატყუებდა, მოჯთოკამდა ყველას და გაიპარებოდა. ახლა სხვაჲ მაიყყვანდნენ ხოლმე.

ერთი ბებერი კაცი იყო, ის დაყყვანდათ მწერლათ. არაფერი იცოდა 30. ი ბებერმა. იმის მემრე აქაური იანქოშვილი იყო მწერლათ.

ექიმი არა-ყყვანდათ აქა. ერთი ფერშელი იყო მოსული (ოთხმოცდასამ წელში მოვიდა). უპატრონო ხალხი იხოცებოდა ავანტყოფობითა, უექიმოთ, უწამლოთ. შინაურ წამლფეს ხმარობდნენ, ზოგი აკლამდა კიდევ.

ერთი ღვდელი იყო, ის ასწავლიდათ ოცამდინ ბავშუსა (მეტი არ შა- 35. იძლებოდა). სახში ასწავლიდათ. თითო მანათი იყო გადასახალი თვეში. ვინც არ მიეცემდა, დაუგირავებდნენ ოჯახის ნივთფესა.

სოფ. შილდა.

13. სოფელში ძველათ

ერთი ღვდელი და დიაკვანი იყო. ეგენი გლეხზე ხელჩაფა ღვინოჲ, კოდ პურ, ხუთ ნიტრა ქერ იღებდნენ.

რო მოკვდებოდა ვინმე, მივიდოდა, ეტყოდა: — შენ კვდარ ვალი დაადგო!
5 ეხლა კვდრი პატრონი ეტყოდა: — აბა, რა ვალი დავდო? თუ ძალიან საწყალი იქნებოდა, ხუთ მანეთამდე ვალ დაადებდა. მე წინააღმდეგი ვიყავ წინავაც, მერეც, ავი ვიყავი ძალიან. მე თაში ვიყავი. ურემი მქონდა გამართული. საფლავი ქვებზე დავდიოდი თაში.

პური დაბინავებული არი. მარანში სათესლე პური მაქ, ცხრა კოდი იქ-
10 ნებოდა. მოსულა ღვდელი შინ, სახლობა ყოფილა, მუუტანია საცალო, აურწყამ ერთი კოდი პური და მუუტანია მეზობელთან, იქ შაუქუჩებია.

სამხრობაა, ჩამოველით, შინ საქონელი გავრეკეთ. მოველი, შამამტირა დედაკაცმა: — ღვდელი მოვიდაო, დიაკვანი თავი ნათითაო, სხვა პურებ არც კი დაახედაო, სათესლე პური ამიილო და მიხაჲთან მიიტანაო. ჩემ თავ უთხარ,
15 აბა, დატრიალდი-მეთქი. გავიქერ ჯოხი. აყოშა ჩოხები იცოდნენ, ეს ჩოხა ზედ მაქ, ეს ჯოხი უქან ქამარზე გავიკეთე, მიველი და მიხაჲ უთხარი: — აბა, ჩემი პური რომელ საცალოშია-მეთქი?

— აემ საცალოშია, მაგრამ სანამ არ მოვლენ, ხელი არ წაავლო, ხათაბალაში ჩავარდებო.

20 გავიდა რამდენიმე ხანი. მოვიდნენ ღვდელი, დიაკვანი და ნათე. ღვდელ უთხარ: — სად არი ჩემი პურა-მეთქი?

— აი, აქ არიო, მეკუთნოდა და წამოვიღეო.

მე უთხარი: — შენ ნიკოლოზი ჯამაგირ გაძღვე, ჩემგან პური რათ წაიღე-მეთქი?

25 მიველი, დავავლე ხელი იმ საცალოჲ, მოვიქნიე ზურგზე და გავაქანე-შავიტანე შინ, — აბა, დამიდექით წინ-მეთქი.

ღვდელი ევენება დიაკვან: — რა უშეელო, არ დაქვხოცოსო!

დიაკვანმა უთხრა: — მერე მობრუნდებო.

ეგრე რომა, იმი შემდეგ აღარაფერი არ წაუღია. ღვდელმა მითხრა:

30 — არავის არ უთხრა, რო ეს ეგრე გააკეთეო.

იმი შემდეგ ღვდელ იგრეც კი აღარ ჩაუვლია.

* * *

ჯვარიწერი დროს ღვდელმა მითხრა: — თუმანი უნდა მამცეო. წინა კაცი ვიყავი, რვა მანეთი მეწერა, უთხარ: — არა, რვა მანეთ გაძღვე-მეთქი.

არ დამწერა ჯვარი. დედუფალ ხელი ჩავავლე, გამოვწიე, წამოველ:

35 — არ მინდა შენი ჯვრი დაწერა-მეთქი.

სეიმანა იყო, ის დაუდგა თავდებათ: — ორ მანეთ მე მოქცემო. მერე მოგვებრუნა და მაშინ დავწერა.

ჯერ დედუფალ აკოცინებდნენ ხოლმე და მერე ჯვარს. მე რო მითხრა, უთხარ: — ეგ არ მითხრა-მეთქი, — წინააღმდეგი გაუხდი. ისე გამუელ, რო არც

40 ერთ არ ვაკოცე.

* * *

მე ვიყავი ობოლი. ბიძა გვყავდა აბიკუნი. უწინ ეგრე ყოფილა, რო მოგირავნე მოქცემდა ერთ თუმან ფულსა და ერთ საპანე ღვინოჲ წაიღებდა.

ერთ ფელიკ თხის ხორც გამოგზავნიდა მოგირავენე, გოდორსაც განოგზავნიდა, აუსებდნენ და მიჰქონდა უურძენი საესე გოდორი ფელიკ ხორცში.

ერთმა კაცმა დამარიგა: — მამიშენისგან არ არიო, ეგო ბიძაშენს ხელი მოუწერნიაო. მოგირავენეს — ჰტეფანეს — კაცი გამოუგზავნია, ვირითვინ გოდორები გადაუქიდნია, ორი ფენიკი ხორცი ჩაუდვია, ერთი ბიძიჩემითვინ, ერთიც 5. ჩემთვინ. რო მაიტანა იმი კაცმა (ყრუი კაცი იყო იმი მოჯამაგირე), მითხრა: — აი, ეს ხორცი შენთან გამამატანაო, აეს კი ბიძიშენისთვინო; გოდორიც ერთი შენი უნა ავაესო და ერთიც ბიძისაო. ამოიღე ის ხორცი ჩემი ხელით (ეგრე მშრალობა იყო, ფუქი იყო მშვენიარი), გავკარ ეს ხორცი და გაითხუნა. გავკარ გოდორსაც, გავაგორე. ადგა მემრე ი კაცი და წავიდა, წაიღო ი მოთ- 10. ხუნული ხორცი. თელავში აიტანა. იქიდან საჩივარი გააბა, მაგრამ ვერაფერი ვერ გააკეთა. ამ საქმემ ჩაიარა, ჩაითარცხა.

* * *

ბერების მოურავი იყო. აქ მოიდა. რო დავკრიფეთ ყურძენი, ხუთი გოდორი შახვდა იმას. საშინაოთ, ზამთრისთვინ მუაგრეუე ორი ვედრო ყურძენი, მუარჩიე. — ესეც უნა გამიყო. ჩემი კი არა, თავისაც კი წავართვი, 15. დავწურე. ეს ყურძენი მე მოიხმარე. გამასაჩივრა სასამართლოში. გადამიწყვიტე თხუთმეტი მანეთი. მე უთხარი: — თუ ქრიტნიანები ხართ, შვიდ მანეთზე დამჯერდით-მეთქი. მემრე დამჯერდა თითონ.

სოფ. კისისხვი

14. ცოლი შერთვა

მე პატარა დაობლდი. ბიძაჩემთან ვცხოვრობდი. ჩვიდმეტი წლისა რო ვი- 20. ყავი, გვეყარე ბიძაჩემს. ცოლი შერთვა მინდოდა, ერთი გოგო მამწონდა. მიველი და სასიდედრო მეუნება: — ერთი კაი გოგო უნა გაგირიგოო. ჯერ ვერ იცოდა, რო იმის ქალი მინდოდა. ფარდაგსა-აქსოვდნენ, სანამ გააფენამდნენ, მე გავგორდ-გამოვგორდი..

— ახატლელი ქალი უნა გაგირიგოო.

25.

— ურემა რო შეშა არ მაიტანოს, თითონ შეშა არ არი-მეთქი. მე ეს ქალი მინდა-მეთქი.

უარი მტკიცა. საქმე უკან და უკან მიდიოდა და რა მექნა? მარჯაკალი ვერ მიდიოდა იმაჰთან, იგეთი ფხუკიანი იყო.

— უი, შე სასიკვდილეო! — მითხრა.

30.

— ეს ქალი უნა წავიყვანო-მეთქი.

— კარქი, შვილოო!

რალას იზავდა? ახლა ი ქალია უარზე, ყასიდათ იძახის.

მაატანა ჩვენმა დღეობამ — ივანე მახარებლობამ. იმედათ ძმები უარს არ ამობდნენ, არც ბიძა (ჩემ ყმაყოფაზე ვიყავი). ახლა ღვლეზე მიდგა საქმე 35. (ოზდარი წლისა თუ არ იყავი, ღვლეი ჯვარ არ დაგწერამდა). ერთი კონდოლეი ღვლეი იყო, ჯვარს არა მწერამდა. ჰაი, მივედე-მოვდექი.

— ხუთმეტი მანეთი უნდა მოქცე, ჯვარი რო დამწერო-მეთქი. — ოზდა-ხუთი მანეთი მეკუთნისო.

ერთი ხარი გავყიდე, ის ფული მივე. ისე ფაცაცათ დამწერა ჯვარი, რო 40

ვერავინაც ვერ გაიგო. ლილეინკები იყო მაშინა, ჩავჯექით, გადავიხადეთ კაი ქორწილი.

სოფ. თალაღური

15. ეგეთი დრო იყო უწინ

ჩემი პაპის პაპა გადმოსულა ჩარგლიდან, ჰრქმევია გოდერძი; დასახლე-
5 ბულა მატანში. რადგანაც შაუჩვევიათ პირი — „გოდერძი, გოდერძი“, დავრჩით
გოდერძიშვილებათ. ჩემ პაპას ერქვა შავერდი. მოუწყვია ოჯახი. ჰყვანდა შვი-
ლები. მე შვილიშვილი ვარ.

მე როცა ცოტა მოიზარდე, გამგზავნეს ძროხაში. თვრამეტი წლისა ვიდ-
რე შევსრულდებოდი, სულ ძროხაში ვიყავ. თვრამეტი წლისა რო შევსრულ-
10 დი, მემრე ცხვარში წავედი. ექვსი წელიწადი ცხვარში ვიყავ. შემდეგ ოჯახში
დავბრუნდი და ფიზიკურ მუშაობას მივეპყრე. ვცხოტრომდი, როგორც საწყა-
ლი გლეხი.

ხუთმეტი წლისა ვიყავ, როცა ერთი მასწავლებელი მოიდა. მანამდის აქ
სკოლა არ იყო. იმან უთხრა ხალხსა: — მორეკეთ შვილები, უნდა ვასწავლო!
15 მიიყვანეს ზოგ-ზოგებმა. ხუთმეტ-თექვსმეტი მოწაფე ჰყვანდა და ასწავლი-
და. ისწავლეს სამ-სამი წელიწადი იმათ.

ვიდრე ნიკოლოზი არსებობდა, მარტო ერთი მასწავლებელი იყო, ხალხს
არ ეინტერესებოდა მაშინ სწავლა. მე კი ძაან მწყუროდა, რო მესწავლა, მაგ-
რამ არ გამიშვეს უფროსებმა: — შენ წადი, ძროხას მოუარეო; შენ სკოლა რას
20 ნოგიტანსო?

აი, ეგეთი დრო იყო უწინ.

მე წერა-კითხვა ცხვარ-ძროხაში ვისწავლე.

მე ეხლაც ვამბობ: — როცა ათი წლისა ვიყავ, ეს დრო მაშინ ჩამუარდნი-
ლიყო, ანდა ათი წლისა ვიყო ეხლა!

სოფ. მატანი

16. ხიზანაშვილების თავგადასავალი

ჩვენი მამა-პაპა გამოქცეოდნენ ბატონს რაქიდან. ორი ბიჭი სხვადასხვა
კაცის შვილები ყოფილიყვნენ, ხოლოთ ძმათ ეფიცნათ. ხოდა, წამოიდნენ.
ხოდაშნის ამოსავალი როა, იქ დადგეს სახლი, შიგნიდან გაუკეთეს მუხის ურ-
დულეები, მალლიდან გაუკეთეს პატარა სანათურები: — ცოლები რო ვითხოვოთ,
30 ბატონმა არ წაგვართვასო.

ითხოვეს ცოლები ორივე ძმებმა.

გვარი ჰქონდათ იმათა გლონაძეები. ახლა შეცვალეს გვარი, დაირქვეს
ხიზანაშვილები გვარათ.

წავიდნენ, უღელი ხარი იშოვნეს; ხნამენ და თესამენ და ცხოვრობენ.

35 ახლა აქაურმა ბატონებმა თქვეს: — ესენი ძალღები იქნებიან და ბარემ
დავბოცოთ და მოიშოროთო.

მუუტანეს ამ ძმეფს ამბავი სოფლის ხალხმა, რო თქვენ გემუქრებიან
დასახოცათაო. ერთმა უთხრა მეორე ძმას: — მე წავალ ქალაქში, ვიჩივლეფ და
შენ ფთხილათ იყავიო. იშოვა ორი თხის ტყავი, აიფარა ერთი წინიდან და

ერთი უკანდან და წავიდა ესე ქალაქში საჩივლელათ. მუცლის ცურვით გასულიყო ლურჯ კლდეზე, მისულიყო ქალაქში და ეთქო: — ბატონს იქიდან გვექცით და, სადაც მიველით, იქაც აღარ გვყენებენო. ქალაქში დაუწერეს ხბოს ტყავზე: —სახემწიფო იყავ და თავადეფს შენთან საქმე არა-აქონდესო.

წამოიდა თბილისიდან. შინ რო მოიდა, დაახვდა ამბავი: — სიმინდს აღარ 5 გვანებებენო.

უთხრა ერთმა ძმამ მეორეს: — მოკაფოთ სიმინდი და მოიტანოთო; გული აქს და მოიხმარეფთო.

ეს რო გაიგო ბატონმა, შაჯდა ცხენზე და ჩაუხტათ იქ ხლმით. იმათ ქონდათ ორი მუხის მარგილი ურემზე. ერთი ურემი ამიტანეს და მეორეთ 10 რო წავიდნენ, ბატონი წინ შამოახვდათ: — ძაღლებო, სად იყავითო? ამ ძმებმა ერთიმეორეს შაახედეს (ბატონმა ხარი უნდა მოუკლას). ძმებმა უთხრეს: — ბატონო, დაგვითმე ეს კირნახული, გვიშრომნიაო.

მაინც ბატონმა თავისი გაიყვანა. ხარს დაუქნია ხმალი. ძმებმა კიდენ მუხის მარგილი აიღეს ურმიდან და დააცეს ბატონს მკლავში და გააგდებინეს 15 ხმალი.

აატყდა აღიაქოთი სოფელში: — ხიზნები რო მოიდნენ, იმათ აცემეს ბატონსაო!

ძმებმა მაინც არ დაიშალეს, აკაფეს ის სიმინდი და მაიტანეს ეზოში. უთხრეს ქალეფსა: — გაუყარეთ ურდულები და შიგნიდან იყავით, კარში არ გა- 20 მოხვიდეთო!

ერთი ძმა ისევ აქ არი, მეორე ძმა წავიდა ქალაქში. რო მივიდა ისევ იმასთან, საიდანაც განთავისუფლების ქალაღი მაიტანა, შეეკითხა დიამბევი იმ კაცს:

— რილასთვინ მოხველი აქაო, ხო გაგანთავისუფლეო? 25

— ისევ აღიაქოთი ამიტეხეს, ხარს მიკლავდა გზაშიო.

მისცა იმან ხბოს ტყავზე დაწერილი და უთხრა: — წადი, შენ ხარ სახემწიფო და ხელს ვერ გახლეფსო. ბუშეთში გადადი და იქ დაიდგი სახლიო.

მოიდა ის ძმა აქ, იპოა თავისი ძმა მთაში თავისი ხარებით. ის ქალე- 30 ბიც და ის ძმაც წამაიყვანა ამ ბუშეთში. გადაათარა ქოხი ხევის პირზე და 30 შავიდნენ, მინამდისინ სახლს დაიდგამდა.

თავადიშვილებმა თქვეს: — ეს კაცი ძალღი იქნებაო, თორე როგო წავგვი- ვიდა ხელიდანაო. მემრე დაუძახეს „ძაღლუაანი“.

ძმებმა გაიგეს, რო „ძაღლუაანთ“ ეძახოდნენ, თქვეს: — ეს რა უბედურე- 35 ბააო, ჯერ ვიყავით გლონაძეები, ახლა ხიზნები, ახლა ძაღლუაანი. შავგრჩება ეს 35 გეარბ ბოლომდინაო. და მართლა ეგრე შავგრჩა და ვართ „ძაღლუაანი“, სუ ყველგან ეგრე გვეძახიან. ვიწერებით ხიზანაშვილებათ.

სოფ. ბუშეთი

17. ჩემი ამბავი .

მე ვიყავი ობოლი. სამნი ვიყავით. ერთი იყო სამი წლისა, დიდი, ერთი იყო წლინახევრისა, მეც ერთი წლისა დავრჩი. მამა იყო შრომიდან (სოფელია გურ- 40 ჯანის რაიონში). ჩემი დედა იყო წინანდლური. რო დედა მოგვიკვდა, ჩემმა დედის დედამ გამოგვრეკა სამივენი. მერე მამაჩემი დაქორწილდა. დედინა-

ცვალი რო მოგვიყვანა მამაჩემმა, ისევ გაგვრეკა იქ სამივენი. შაახვდა ისეთი-
ცოლი, რო, შუალამე რო ყოფილიყო, კარში გამოგვრეკამდა.

ორ დას ერთი ძმა კვყავს. მერე დედინაცვალმა შაიჯაერა ის. იქ თავა-
დები იყვნენ. იქ გააგდებდა ღამე ფეხშიშველა და ტიტლიკანა. მოჯამაგირეთ
5 იქ იყო. მერე ისევ ჩემმა ბაბომ წამოგვიყვანა შინ, წინანდალში. თხოულობდა
საქმელსა და ისე დაგვზარდა.

ჩემი ძმა წავიდა გაღმა მამულზე. ახლა დიდი და გაათხუა ბაბომ. მე გა-
მათხუა კიდენ ჩემმა ბებიათ თოთხმეტი წლისა ქვემო ხოდაშენში.

ჩემი ქმარი იყო ოცდახუთი წლისა. ჩემ ქმარს წნული სახლი ქონდა.
10 მეყოლა შვილი შვილი: ორი დამაკლდა და ხუთი ზეყანს ხელზე. ისე უბედუ-
რათ ვიყავით, რო წნულ სახლში ვერ ვეტეოდით; პატარა ქოხი მქონდა. დავზარ-
დე ვაი შავი დლით ხუთი შვილი. ვაცხოზდი დუქნის პურს ქირაზე. წავიდო-
დი მუშაობაზე, მე ვახშამს არა ვქამდი და შვილებითვინ მამქონდა. როგორც
15 იყო, გავზარდე ხუთივენი. გავათხოვე პირველი ქალი თოთხმეტი წლისა. მეო-
რე ბიჭი მყვანდა კიდენა; მესამე თექვსმეტი წლის ქალი მყვანდა, ის გავათ-
ხუე. მეოთხე ქალი კიდენ ავათ გამიხდა მიზეზებისაგან.

ის გოგო რო გაიზარდა, მორჩა. მერე გავათხუეთ კალაურში. დეეკარგა
ქმარი ჯარში. რვა წელიწადი მე ვინახამდი იმას. რაც მქონდა, ჩავალაგებდი
და წაულებდი. იმით დავზარდე ისინი და ჩემი შვილიც იგრე შავინახე. მე აბა-
20 რათს ავიკიდებდი და ეგრე ჭწამვლიდი იმის ვენახს. იმ ვენახითა თავს ირ-
ჩენდა. ახლა მეორეთ ვათხოვდა ის და იმის დარდი მე მოიშორე.

ახლა პატარა ქალი გავათხუე კიდენა, თოთხმეტი წლისა ეს იყო. არ
ვათხუებდი, მაგრამ მაჭაკალმა ძალათ გამათხუებინა. ქმარმა მოუტანა ტან-
საცმელი, ფეხსაცმელი. მაიტანა ღორი, ორი ჩაფი ღვინო მაიტანა, ბლომათ.
25 ნამცხვარი; დოლ-გარმონით მოიდა. ბევრი ხალხი აყვანდა. მერე ქმარი ჯარში
დეეკარქა. თორმეტი წელიწადი მე იმ ქალის სახლში ვიყავი და მე ვინახამდი
იმათ.

შვილი ჯარში მყვანდა დაკარქული. მერე ჩამამივიდა ჯარიდან. ბიჭი
დავაქორწილე.

სოფ. ქვემო ხოდაშენი

18. მე და დედა

როცა მამა მამკვდომია, მე ორი წლისა დავრჩომილიყავ. მარტო მე და
დედაჩემი დავრჩით და ერთათ დავბერდით (დედაჩემი ეხლაც ცოცხალია).

დედაჩემი კარგი თვალსადგამი ქალი ყოფილიყო. დედაჩემს თხოვნელი
ბევრი ჰყვანდა. ღვდელი თხოულობდა. ღვდელს შვილი არა-აყვანდა. ღვდელმა
35 თქო: — ამ ბავშსაო ჩემ შვილათ დავწერავო და სკოლაში გავზარდაო.

დედაჩემმა პასუხი ეს მიცა: — ჩენი ქრმის დაყრილ ნაცარს არ გავა-
ციფო.

რო მოიდოდა ვინმე მარჯაკალი, სუ ლანძლავდა დედაჩემი: — გამთხუებე-
ლი მე არა ვარო.

40 დავრჩით ეგრე მე და დედაჩემი.

რო მოიზარდე, გავხდი თორმეტი წლისა, წაველ მოჯამაგირეთ ღვდელ-
თან; გავათავე ღვდელთან ოთხი წელიწადი. ღვდელს ჩემტოლები ცოლიდები
ჰყვანდნენ და მე იმათ უმწვიტინებდი.

ღვდელი ატყუებდა ხალხს, მარხვაში უჩუმრა-აჰამდა სამსხნილოს. მაგი-
დასთან რო დაჯდებოდა პური ჭამაზე, უჯრაში ედგა ხორცი და მაგიდაზე
კიდენ სამარხო საკმელი. მე გარედან ვზვერავდი ხოლმე. თუ ბალკომზე ფეხი
ხმა გაიგებდა, მიიწევდა უჯრას; თუ არადა ჭამდა ხორცს.

იქიდან რო გამუელი, ცოტა ხან სახლში დავრჩი. მემრე წაველი ერთ 5
მდიდარ კაცთან ისევ ნათარეულში. ოთხი წელიწადი იმათან გავათავე-
იქაც ოთხი წელიწადი ვიმსახურე დუქანში: საქმელ ვაკეთებდი. იქ რო ოთხი
წელიწადი გავათავე, მემრე წამუელ სახლში.

სამი წელიწადი სახლში დავრჩი. მემრე წაველი ისევ მოჯამაგირეთ არ-
თანაში. იქ ზვარში მუშას ვამუშავებდი. ხუთი წელიწადი იქ გავათავე კიდენ. 10

იქ ხაზენთან მოდიოდნენ გასული ხალხი. ისინი ებძოდნენ ნიკალაის. მე
იმათ ვინახავდიყე.

იქიდან რო გამუელ და წამუელ, სახლში დავტრიალდი და დავქორ-
წილდი.

ექვსი თვის ჯვარდაწერილი ვიყავი და წამიყვანეს ჯარში. ნიკალაი რო 15
ჩამაადდეს, მე ვიყავ ოსმალეთში. როცა თავისუფლება გამოგვიცხადეს, წა-
მუელ ყარსიდან სახლში.

სახლში მუაწყე ოჯახი, ვენახიც კარგი ავაშენე. ხუთ-ექვს ურემს ყურ-
ძენსა ვკრეფავდით ვენახში.

მეყოლა სამი ქალი და ხუთი ბიჭი, შვილეფს სუ სკოლაში ვასწავლიდიყე. 20
ომიანობაში ორი ბიჭი ჯარში მყვანდა. ე ბებერი კაცი მარტოკა ფხორთავდი
სახლში. ომი რო გათავდა, მამივიდნენ ბიჭები სახლში. ერთმა იქიდან მა-
იყვანა ცოლი. ერთი ისევ საქორწილუა ახლა. ქალი სამი მყავ. ორი გათხოვი-
ლი მყავ ქმარშვილიანი; ერთი პატარა მყავ თერთმეტი წლისა, მეექვსე ჯგუფ-
ში სწავლოფს. ექვსი შვილიშვილი მყავ კიდენ. 25

სოფ. ალმატი

19. ჩემი ოჯახი

მამაჩემი იყო საწყალი კაცი წინ-წინ, ჰყვანდა სამი ქალი დიდები. ჩვენ
ვიყავით ორი ბიჭი — ბოლო შვილები. მამაჩემს ედგა უწინდელი ძველი სახლი.
მამაჩემა ქალები დაათხუა. ჩვენ წამოიზარდენით და ძველი სახლი დავშალევიით
და შაუდრქით მასალის შაგრუებას. მასუკან მამაჩემა გვატარა ძროხაში, მი- 30
გვაჩვია ძროხასა და ურემს. ცოტა რო წამოიზარდენით, მენრე დავიწყეთ ისევ
სახლი. მემრე ბოლოს გავაკეთეთ ი სახლი. ქორწილის დრომდი დავდიოდით
სამუშაოთა და ძროხაში.

მაშინ დრო იგეთი იყო, რო იგრე დამნიშნეს მამაჩემა და დედაჩემა, რო
მე არც კი მინახავ ჩემი საცოლე. ჯვარი რო დავიწერეთ, არც კი ვიცოდი, 35
ვინ იყო. მაშინ დიდ სირცხვილათ მიაჩნდათ, რო დაჯალაპარაკებოდა პატარ-
ძალი მამამთილს. იგრე გავიდა წელიწადი, რო იმას ხმა არ გაუცია მამა-
მთილისათვინ.

ჩემი ცოლი მუშაობდა სახლში, ოჯახს უვლიდა, ბოსტანს აკეთებდა,
მარგლიდა, ძირ უნჩვილებდა ხახვს, ნიორს თოხნიდა. ხახვსა და ნიორს ძი- 40
რებზე უყრიდა საქონლის დაძველებულ სასუქს.

მე დავდიოდი გუთანზე, ვხნავდი, ვთესავდი, თავის დროს მკიდი, მიმ-
2. კახური დიალექტი

ქონდა კალოზე და ვლენწავდი. პურს ვეზიდებოდი სახლში, ვენახში მუშაობდი, ვბარავდი, მერე ვსხლავდი, მერე ვკონავდი, მერე ვახვევდი, ახლა ვწამლიდი. დროს ვკრეფავდი ყურძენს, მიმქონდა და ჭწურავდი ნაფში; დავადულვებდი და გადავიღებდი ღვინოს, წითელ ღვინოს მალე და თეთრს გვიან. ვარჩევდით 5 ყურძენს და ვინახავდით საზამთროთ. ვიღებდით ტკბილს, ვადულვებდით ბაქ-მაზათ; ზოგისას ვაკეთებდით ჩურჩხელას. ზოგ ყურძენსა ჭწვავდით და ვინახავდით ჩამიჩათ.

სოფ. ენისელი

20. ჩემი მამა-პაპა

ჩემი პაპა იმერელი ყოფილიყო. ორნი წამოსულიყვნენ. იმერეთში სატ-10 კივარი ყოფილიყო და იმაჲ გამოჯრიდებოდნენ. პაპაჩემი მამულზე შესულიყო შილდაში. იქ შეერთო ცოლი, ქალ-ვაყი ყოლიყო — ერთი მამაჩემი და ერთი მამიდა.

პაპაჩემი მამკვდარიყო და ობლათ დარჩომილიყო მამაჩემი და ჩემი მამი-დაც. მემრე მამიჩემი დედა იქიდან აქ, გრემში, გამოთხოვილიყო და მამაჩემი 15 პატარა ყოფილიყო და გერათ გამოჰყოლოდა. მამაჩემი აქ, გრემში, ადლი-ლიყო.

მამაჩემი ენისელში შასულიყო მამულზე, ენისლური ნაცვლიანთ ქალი შე-ერთო. იქა გააჩენოდა ერზი ბიჭი — ჩემი უფროსი ძმა. მემრე ცოლი მოჰკვდო-მოდა მამაჩემს და ბალლი დარჩომილა.

20 მამაჩემი მემრე იქიდან გადმოსულიყო გრემში. აქ, გრემში, კრამიტსა და აგურს ქრიდა, თონეფსაც აკეთებდა, ჯელობა იცრდა. რო ნობინავდა აქ და მუშაობდა, მოსახლკარობა აქ დაიწყო. აქ შაირთო ცოლი, მეორე ცოლშვი-ლიანობაში შევიდა. აქ ეყოლათ ბიჭი. ახლა ის დედაკაცი მაჰკვდომოდა და ის ბალლი დაარჩომოდა. მემრე, ახლა დედაჩემი მეექვანა მესამე ცოლათ. მე-25 სამე ცოლთან მე გაეჩენოდი. ჩემზე ადრე სხვა შვილი გააჩენოდა მამაჩემს. მე ნაბოლავარა შვილი (ბოლო შვილი) ვარ.

დედ-მამა დამეხოცნენ და დავრჩი ობოლი. მე სახლში მოვქმედობდი, დედამიწას ვამუშავებდი, ვწნავდით ჯარებით. ახლა დავცოლშვილდი, მეყოლა შვილები. ქალები გავათხუე, ბიჭი კიდე დავაქორწილე. იმ ბიჭის შვილიც და-30 ვაქორწილე და იმ შვილიშვილს ბიჭი ეყოლა.

სოფ. გრემი,

21. ჩვენი ძველები

ჩვენი ძველები თურმე იმედაშვილები ყოფილან გვარათა, ხუზაურს გვე-ძახიან კიდენა. ჩემ მამამთილ ხუთი შვილი ჰყოლია და ფშავლების მამულები შპერია. ი ფშაველს უთქომ ჩემი მამამთილთენინა, რო ერთ-ერთი შვილი ჩვენ 35 სახელზედა მონათლეო. ამდგარან და სამი შვილი მოუნათლამთ იმათ გვარ-ზედა. ისინი კიდენ ხუზაურნი ყოფილან. მერე თურმე ჩვენც ვიწერებოდით ხუზაურათა.

მე რო მამიყვანეჲ, ერთი თვის შემდეგ გავხდი ავათ შიშითა. ზოგნი კიდენ ამობდა: — ფრინვლისაგან არი დაძახილიო. რო გავხდი ავათა, მერე დე-40 დაჩემ დავყვანდი ურმით ექიმებთანა. ჩავეწერინე იმედაშვილათ. რო ნახა ე

ჩემს კაცმა, წემეჩხუბა: — ხუზაურათ რათ არ დეეწერინეო? ჩემი შეილები ხუზაურათ იწერებოდნენ მანამდინ, სანამ წამაიზღებოდნენ. მერე აატყდნენ: — აღარ გვინდა ეს გვარო. დიდი წვალეებით სამაკი აღიღე იმედაშვილათ მოწმობა, პატრა კიდენ ხუზაურათ იწერება (ეხლა იმა ვამოფ, აი, ე ჩემა კაცმა ყველაფერი იცი ამ მთისა, იმ მთისა, მააყოლეთს ხომე; მე აბა რა უნა 5 ვთქო, ხსომაი არა მაქ).

ჩემი შეილებიღამ უფროსი არი დაბადებული ოცში, ზედ მოსრული — ოზდასამში, მემრე, იმაზე მამყოლი — ოზდაექესში, იმაზე ზედ მოსრული — ოზდარვაში. უფროსი ქალი მუშაოფს თეთრ წყლუფში. ბიქი ჯერ იყო ომში ექესი წელიწადი, იქიდგან მოიდა და ეხლა კოლოთოში მუშაოფს, აგროტეხ-ნიკათ არი. იმაზე მამყოლი ქალი ცხრა კლასიღამ არი გამოსული, გავათხუე. ერთი ქალი კიდენ ომში წავიდა მოსურნეთა და ეხლა აწავლოფს ბაქურციხეში. 10

ჩემი სამშობლო გვართ მორჩაძე ვარ. მამაჩემის მამა გვართ ყოფილა სესკილა, აუყვანია შეილათ მორჩაძეს და დაუწერნია თავი გვარზედა, დაუქორწილებია და გააჩენიან შეილები. დაუწერნია მორჩაძეზედა. ეხლა სესკილანთაც ეძახიან და მორჩაძიანთაც. კიდენ ყინჩაძიანთ გვეძახიან; რა ვი, აბა, რა გვარები აღარა აქვთ! 15

სოფ. ზემო ხოდაშენი

22. მოჯამაგირის ბედი

გოდერძიშვილები ამ სოფელში თორმეტი კომი ვართ. 20
ძველათ მე მოჯამაგირეთ ვიყავი, წელიწადში ხუთმეტი მანეთი მქონდა. მოჯამაგირე ტანჯულია: ხო ვერ შაბეღამს — პური მომეციო! ტიტველაც რო იყოს, ვერ იტყვის — მიყიდეო. მორიგებაში მიცემდნენ ერთ ხელ ტანი-სამოს (ხალათი, პერანგი, შარვალი)... თუ უყავლოთ წავიდოდა, არ მიაცემდა მოჯამაგირს. თუ ყავლ გაუთავებდა, ჯამაგირს მიიღებდა. ნათქომაა: 25
„მოჯამაგირის დღესაო არ დეეღევა კენესაო,
დილით ძროხაში გამაგლიან, სალამოს ღორისყენაო“.

სოფ. მატანი

23. ოსდასუთი წელიწადი წყემსათ

მამაჩემი იტყოდა ხომე: ჩენი პაპა არისო ქართლიდანაო. პატარა ვიყავ მე, იქ წამიყვანეს ხატში. მამრე აღარ წავსულვართ. აქ მეეტანათ მატნისაყენ 30 ნიში და იქით წავსულვართ.

მე ოზდასუთი წელიწადი სუ წყემსათ ვიყავი: ღორში დავდიოდი. ღორი ზიარი იყო. ზიარათ იქერდნენ წყემს. მამრე რო ყავლი გამივიდის, ღორი გავყვით. მამრე სხვა დაუდგებოდი. სამი წლის მამრე გავყომდი... 35

ჭირი რო გაჩდა, მაშინ ყავლი გამდიოდა. თორმეტოცი ღორი მყვანდა. მე უნდა მრგენიყო ექესოცი. სუ გაწყვეტილიყო. შეიდილა მერგო. ერთი შინ დაუკალ ბალღეფს, ია ექესი კიდენ ვალღეფში მივეცი.

მენა ხუთმეტი მგელი მოკვალი, ერთი ცოფიანი კიდენ, მეთექვსმეტე ის

არი. რო გაიგეშის ხომე ზგელი, მაშინ მოდიოდა ღორთანა; მე კიდენ დაუღა-რიელდებოდი. ხან ღამითაც მამიკლამ მგელი.

შიგ შავიდი ხომე მგლი ჯოგში. ორი ლეკვიანი მგელი მოვკალი. ია ლეკვები კარქა მორდილები იყვნენ. ია ლეკვებმა შამიტყეა და შაცვიდნენ სო-5 როში. დედა იქითყენ წოლილა, მყეფამს შინაური ძალღივითა. გამოქანდა და ჩანოვარდა სოროში. თოფი ველარ მოაფარ.

დაუღარიელდი იქა. გამოიდა მამრე საღამოთი. მივარტყი თოფი. ია ლეკვები ვერ ამოვრეყე იქიდან: ღმათ იყო. ლეკვები წავიდნენ თავი ნებაზე-მამრე მიველი და აღარ იყვნენ.

სოფ. მატანი

24. პაპაჩემი

ჩემი გვარია ნარუსლიშვილი. პაპაჩემი (მამაჩემის მამა) მოიდა რუსეთი-დან. აქ რუსული არავის არა-ეცოდნოდა. საღდათობა იმ ღროს არ ყოფილა.. პაპაჩემს მატანში გაუცვნია ბიჭები და დაბინავებულა. სოფელს მუჟცია საც-ხოვრისი. პაპაჩემა, აქ რო მოიდა, ქართული ისწავლა. აქ თუ ვინმე მოიღო-15 და, ის აძლევდა პასუხს, ის იყო მოენე.

პაპაჩემს აქ მიცეს რეა გექტარი მიწა,— ნუ წახვალო,— რადგანაც რუსუ-ლი იცოდა. პაპაჩემა აქ შეირთო ქართველი ქალი და ცხოვრობდა მატანში. მაშინ მატანში ოცი კომი არც ყოფილიყო, ცოტა ხალხი ყოფილიყო. ახლა-ათასი კომია, სამი კოლმეურნობაა.

20 ახლა აქ ნარუსლიშვილები შვიდი კომი ვართ. მე პაპაჩემის გვარი არ მახსოვს. ხოლოთ ისეთი კაცი ყოფილიყო პაპაჩემი, თელი ეს მატანი იმას-ეკითხებოდა.

სოფ. მატანი

25. ჩემი მოჯამაგირეობიდან

საჩაღე ვეძახით, ჩემ პატარობისას იმით მივდიოდით. მამაჩემა მითხრა: 25 — აქიდან ჩამოდი, შვილო, საპონი წაუსვი ღერცსა, ცეცხლი არ გააჩნდესო.

მე კი უთხარი:— აი, ცოტა გვაკლია, მამავ, წყაროთან ავიდეთ, სასაპო-ნეში საკმარი წყალი არა-ლი, წყალი ჩაუმატოთ, მენც წყალ დავლევ და კამე-ჩემი ვაგრილოთ-მეთქი.

30 ცოტა გამაატარა მამაჩემა და კიდენ დამიძახა:— ბიჭო, ძან მამდის სუ-ლიო, ჩამოდიო, წაუსვი საპონიო.

— აგე მიველით, გაუჯავრდი ცოტა მარდათ-მეთქი.

მამაჩემი მართლა გაუჯავრდა მარდათ და გააჩნდა ცეცხლი. გადმო-ფერიინდი ურმიდან, მამაჩემი მე ველარ გამამიდგა იმიტენ, რო კამეჩემი უნდა გემეშვა, დამიძახა:— ჩვენი საცერ-ვარცლი იქვე მიგიყვანს, საღ წახვალ ჯან-35 დაბასაო!

შიშით რალა მიმიყვანდა სახში! ქალია ბოლოდან გავხედე და ცარიელა რკინები ეყარა, მამაჩემ კი კამეჩემილა მიუდიოდა.

წავედი იქიდან ქისტაურში. კიაზონან შაქროა დაუდექ მოჯამაგირეთ. იმან მითხრა:— მე ვარ მოქირავენე კაცი, როცა წავალ, თან წავიყვან და, რო-40 ცა მე არ მეცლება, კამეჩემს აქმევო.

ერთ კვირაზე მეტი ხანი არ გასულა, რაც ამ კაცი ხელში ვარ. ეს კაცი თავი ურმით წავიდა ქალაქში და მე კი დამტოვა სახში. დედაკაცი გაუხდა ავად ჩემი იქ ყოფნი დროა, მუცელზე დაწვა, ორსულათ იყო.

აბა, კათათვე იყო იმ დროა, კაცია შოვნა ძნელი იყო.

— ბებიათან ვინ გავგზანოთო? — თქვეა მეზობლი დედაკაცებმა.

ერთმა დედაკაცმა თქო: — მოდი, ჩვენი მოჯამაგირე გავგზანოთო.

მე მაშინ ვიყავ ჩვიდმეტი წლისა, ხოლოთ იმ სოფლათ კი იმიჯ მეტად არ ვყოფილიყავ და ვერ ვიცოდი იმ სოფლია ვინაობა, თუ სად ვინ ცხოვრობდა. გამინიყეს: — უნდა წახვიდეო!

მე უთხარი: — არ ვიცი, სად წავიდე-მეთქი.

— ეს ქისტაური სოფელი ერთ შარაზე ცხოვროფს, დაყე თავიდამ, — ბებია სად არი, ბებია სად არი, — და გააწავლიანო, აბა სხვა ვინ გავგზანოთო.

მართლაც, წავედი, დაყე სოფელს თავიდამ და ის ჩემი ცოდით სავსე სოფლი ბოლოში ცხოვრობდა. ერთისა მითხრეა: — აღვანში არიო, მეორე კი დამხვდა სახში.

უთხარ: — კიაზოანთ ოჯახში ქალსა მუცელი ატკივდა და გიძახიან, უნდა წამობძანდეთ-მეთქი.

ბებომ მითხრა: — დიდი სიამოვნებით წამოვალ, წადი შენ, ურემი მაიტანე და ისე წანიყვანეო, თუ არა მუხლები მტკივა, დაქარიანებული ვარ და სიარული არ შამიძლიანო.

მე უთხარ: — ჩემი პატრონი თბილისშია, ურემ მე ვინ წამცემს, მოდი, შენი ჭირიმე, როგორმე წამოდი-მეთქი.

ბებერმა უარი გამომიცხადა. ავხედ-ჩაფხედე ამ ბებერსა, ძალიან მომცრო ტანისა იყო, გამბდარი, ან კი რა ძალა ექნებოდა! უთხარ: — ბაბო, მოდი აგიკუჩებ და იგრე წავიყვან-მეთქი.

ავიკუჩე ეს ქალი, პირველში მემსუბუქა, წამოვიყვანე იქიდამ. რო გამოვატარე ერთი სამასი მეტრია მანძილი, ძაან გამიქირდა, მეშინოდა იმაზე, რო დაბლა დავასვენო, ველარ ავიკიდებდი.

მერე, ერთი ბანური სახლი იყო. მივიტანე ეს დედაკაცი და ჩამოვასვენე კარებია ხარეზე. ჩაინგრა კედელიცა, ბუხარიც, ბებერიც ჩაყვა შიგ. გამოვარდა პატრონი, ორმოზდაათ მეტრამდინ მდია, მერე ერთი ჯოხი მტყლიშა ზურგში, ხოლოთ ვერ წამაქცია. გამოვიქე იქიდან და იყალთოში ჩაველ, იქ ვიკითხე: — მოჯამაგირე ხო არავის უნდა-მეთქი? მიმასწავლეა: — ერთი სანდრო არიო, უშვილო კაცი არიო, სულით და გულით ეძეფს ბიქსაო, რო შვილათ უნდა აიყვანოსო.

ვიკითხე მართლაც ეს კაცი, ჩაველი სალამო ხანზე.

— მე შვილათ ავიყვან, ოლონც თუ ევარგებო.

— სანამ ვევარგები, ვიქნები-მეთქი, მერე დამითხოვე, თუ რამეა გაწყეინებ-მეთქი.

მართლაც, ეს კაცი ძაან კარქა მინახამდა; რო მოვიდოდა სალამოთი, სუ მუხლებზე მათამაშებდა ხოლმე.

ერთ მშვენიერ სალამოთი გაჯავრებული მოვიდა. მე უთხარი: — ნამამობო, რატომა ხარ გაჯავრებული, მე ხო არაფერი დავაშავე-მეთქი?

— დააშავე კი არაო, შენოტელა არც კი არი, აქ ერთ მეზობელ ჰყამო, ორ დღეში ერთ საყენ შეშასა ზდგამსო.

5

10

15

20

25

30

35

40

45

მე უთხარ:—მაგაზე რა გადარდებს, მიყიდე ვირები და მე იქნება ერთ-
დღეს დავდგა-მეთქი.

წავიდა, მართლა, მეორე დღისით უყიდნია კარკი ღონიერი ვირები და
ამაიყვანა თავი უნაგირებით მოწყობილი და ხოჭვებით, ერთი დიდი ცული.
5 და ერთი პატარა ხელცულა, ნაჯახი. ძალიან გამიხარდა, რო მეტი არ იყო.
იმ საღამოა ეს ვირები (sic) თექვსმეტჯერ მოვხსენი უნაგირი, თექვსმეტჯერვე.
შევკმაზე. ისე, რო იმ საღამოთი ძაან კარკა ვისწავლე სახედრია შაკმაზა. იმ
ღამეა არ მოვხადე ამ სახედრეფს უნაგირები და არც მე დამიძინია წესიერათ-
ველი გათენებას, თუ როდია იყივლებს მამალი, რო ადრე წავიდე.

10 საღამოთი მაქვსა ღემა ნამამობმა ტყია გზა და, როგორც კი დაიწყო-
თენება და მამლებმა ყივილი, ავდექი, გამოვიყარე ვირები და წავასხი ხუს-
ხუსით. აველი ტყეში, სადაც შეშა იყო, მივედი ვირეფთან, რო ცულები უნ-
და გამოვილო. ღემ საუბედუროთ ცულები დამეიწყებია სახში. ვირები ველარ
გავიმეტე საწვალეზლათ და ვთქვი,—ვირებმა აქა ძოონ,—და მე გამოვიქე, რაც
15 ძალი და ღონე მქონდა, ჩამოვარდი სახში, ღემს ოჯახია წვევრებსაც ისევ ეძი-
ნათ, დავავლე ამ ცულსა და ხელცულასა და წვეელი. მეორეთ რო აველი
ტყეში, მზემ მაშინ ამოყო წვერი. რასა ვხედავ? სად ხოქები ყრია, სად უნა-
გირი, სად ვირის თავი! დაუქამნიათ მგლეფს. რო ვნახე ეს ამბავი, შიშისა-
გან სუ გადავირიე.

20 მაშინ თელავის რაიონი ვიყავით ჩვენ, ვთქვი:—მე რო თელავის რაიონ-
ში კიღენ საღმე ჩავიდე, ეს კაცი მიპოვის და ამ ვირები გულისთვინ თავ.
მამქრის-მეთქი.

წაველი იქიდან, გადავიარე გომბორია მთაზედ და გადაველი უჯარმაში-
უქვე დაბინდა. ერთი გძელი მარნია წინ, სოფლი ნაპირზე, ათი ურემი იყო.
25 დაყენებული, რომელსაც ეღოთ ბოქკები ორმოციანები. მიველი მეურმეფთან
და უთხარი:—თქვენი ჭირიმეთ, შიმშილით რამის მოვკვდე და პური მაქამეთ-
მეთქი.

—პურსაც გაქმევთო და ათ თუმან ფულსაც მოქცემთო (ნიკოლოზია.
დროს იყო). ჩვენაო გასაღები დაგვაიწყდა ამ მარნისა და უნდა გადავხადოთ.
30 ერთ-ორ კავზე კრამიტი, საიდანაც უნდა ამოვიღოთ ღვინო და შენ უნა მო-
გვეხმარო ამ ღვინია ამოღებაშიო.

მე უთხარი:—კაცო, პური მაქამეთ, თქვენი ფული არ მინდა-მეთქი.

მამცეს ერთი-ორი შოთის პური, ერთი მოხარშული ქათამი შუაზე გა-
გლიჯეა, გაფხრიწეა და მამცეა. ეს პური რო შევქამე, ამოიღეა ათი თუმანი,
35 ჯიბეში ჩამიჩურთეა და ამსვეა კრამიტებზე. ხელათ გადავხადე კრამიტეფს,
ავაძრე ერთი კავი და ჩავედი. მითხრეა:—რომენიც კარკი ტბილი ღვინო იყოა,
ის მოგვაწოდეო. სხვათა შორის, მარანი იყო ძაან მოსაწონი, სუ მთლათ და-
ცემენტებული იყო და ქვევრებიც იყო უშველებელი დიდები, რო უღლიანი
ხარები მობრუნდებოდნენ შიგ. მე რას დავეძებდი იმათ ტბილ ღვინოა! მე,
40 რომელიც მარჯვე იყო, იმისი უთხარი:—ამაზე ტბილი ღვინო არც ერთი არ
არი-მეთქი.

დაუწყეთ ამორწყვა დიდი ვედრებით. ერთი კარტოფილის სანთელი მქონ-
და ქვევრი პირზე და ასე ვაწვდიდი. ასე, შუალამე იქნებოდა, რო მოძრაობა
შაწყდა, აღარ მაწვდიან ვედრეფს და კარტოფილის სანთელიც გაქრა. ერთი
45 ორჯელ დაუძახე:—კაცო, რა იქენით, მოდი-მეთქი, მაგრამ იქ აღარავინ
მოვიდა.

ბოლოა გავიგე, რო ღვინო უპარნიათ. დავჩი შიგ, რალა ვქნა ეხლა? თითო ქვევრს კალოსავით პირი აქ და ყველას გადახდილი ჩემს მიერ. მეშინიან, რო გასავალი ადგილი მოვძებნო, ვაითუ ფეხი ჩამიცდეს შიგ და ჩავიხრო შიგ ბაყაყივით.

ვიარე ნაპირ-ნაპირ, მოწიწებით ვდგამ ფეხებ, შამოუარე გარეშამო ამ 5 მარანს. ერთ ადგილიდან გამოდიოდა პატარა ციცნათელა. რომელი მხარეც მშრალი ალიზი აგურებით გამოშენებული იყო, გამოაძრე ჯერ ერთი აგური, მერე მეორე და, რაკი პირი ავართვი, გავადიდე იმდენათ, რო გადავძვერი იქით მხარეს და გამოვიქე.

იქიდან წამოველი. უჯარმის ახლო არი, ახალსოფელს ეძახიან. მზეც 10 ამოდიოდა, რო ამ სოფელში გადაველი. ერთი მელორე იყო, იმას უთხარ: — პური მაქამე-მეთქი! — პურსაც გაქმეე და ერთ მანეთ ფულსაც მოქცემ, დღეს აემ ღორეფში იყავი, კაცი ვერ ვიშოვნე, რო ღორეფში გამომეგზავნაო. დღეს მე ქალი უნდა მოვიყვანო უჯარმიდანო, ამ ღორეფში იქნები დღესო, სალამოს უკან მოყვები და პირდაპირ ჩემ სახში მოგიყვანენო, ამალამ კიდენ ქორ- 15 წილში იქეიფებო.

მართლაც, იმ დღისით ვიყავი ღორეფში, სალამოთი მივედი ამ ბიქია ოჯახში და ნეფიონიც მოვიდა.

ერთი მალალი ტყავის ქუდი მეხურა თივის სარისავით. მამხდიან ეს ქალის ძმები, აიღებენ და დაახლიან დედამიწაზე და გამაიღფს ფათქვანს: — აი, 20 მაქამეშენი ქვევრი აქ არიო! მამდის სისხლი ყელში. ეს ბიქი საწყლათ ცხოვრობდა და მალლა ქერის ფიცარი არ ჰქონდა სხვენში. ავედი იქ. ეს ქალი ძმები ცალ ხარეზე არიან ჩამომწკრივებული. ვამბობდი: — მალლიდან რამეს დავცემ-მეთქი. იქ იყო მარტო ერთი ხამუთი, ცხენის ჩასაცმელი. რომელიც ძან მაჯავრებდა, პირდაპირ იმაე დაუშვი მალლიდამ ეს ხამუთი. ეს ხამუთი 25 რო ძან მალლა ავწიე, შლე ზედა-ქონიყო და არ მამავონდა. რო ჩავაგდე ეს ხამუთი, შლემ კიდენ მე ჩამომკრა კისერზე და ორთავენი ერთათ ჩავცვინდით ქალი ძმების თავზე. აბა, წინ-წინ იყო ცენა და ქიმუნჯი! ცოცხალი დამდვეს და მკვდარი ამიღეს, იმდენი მცემეს.

რა იქნებოდა! ის ლამე გავატარე. მერე, მეორე დღისით, იმი მეზობელ 30 დაუდექ მოჯამაგირეთ. დღეში მანეთი უნდა მეეცა. იქიდანაც მალე წამოველი. ათი თუმანი და ექვსი მანეთი მაქ. ერთ სალამოე მიველი სახში.

მაშინ ჩვენ ძველებური სახლი გვედგა. გამოღმით ვცხოვრობდით. შავიპარე სახში, ჩემი სახლიკაცი ხინკალს იღებდა. ჩვენ სახლსა-ქონდა ერთი დიდი დედაბოძი და ჩემ სახლიკაც ექირა ხელის ლამფა. დედაბოძი გრილოს 35 აყენებდა კარებისყენ. ამ გრილოდან მივიპარე. ჯერ ერთი ხინკალი გადმოვატურე ხონჩიდან, მერე მეორე და ჩემ სახლიკაცმა შამამწრო თვალი: — ლექსოა მოსული, ლექსოაო!

გამოვიქე კარებისყენ, მაგრამ ჩემი სახლიკაცი წრათი იყო და დამიქირა. მანაჩემიც წამოღვა ზეზე: — მაიყვანე, თავი უნდა მოვქრაო! მაშინ ამოვიღე ეს 40 ათი თუმანი და ექვსი მანეთი: — აი, თქვენი ურმიე ნათასური-მეთქი!

26. ყოჩაღი ქალი

ჩემი მამა და ბიძები წამოსულან ანანურიდან ახმეტაში: გამაქცევინან ხორველას. ახმეტაში თიანელების ვენახი ყოფილა ქვევრ-მარნით. მარანში შიგ უცხოვრიათ და ვენახი სანახევროთ უქეთებიან ჩემ მამა-ბიძეთს.

- 5 მამაჩემი ყოფილა ყველაზე უფროსი და დაქორწილებულა ახმეტაში, შაურთამს ახმეტური ქალი. ერთ სამ წელიწადს რო გაუვლია და უფიქრიათ: — ეხლა აღარ იქნება ხორველაო. სხვა ძმები წასულან, მამაჩემს ცოლი აღარ გააყოლია და ჩარჩენილა ახმეტაში. გაუქეთებია სახლი; მიეცემია ოთხი შვილი — ორი ქალი და ორი ვაჟი. ერთი მალე მაეკდომიათ, დარჩომიათ სამი
- 10 შვილი. როცა მამაჩემი დაღუპილა, სუ უფროსი ყოფილა თორმეტი წლისა, მეორე კი რვა წლისა, მესამე — მე ვიყავ ოთხი წლისა. ქონება არაფერიც არა-ქონიყო. ჩვენ ქონება შადგენდა ერთი თოხი, ერთი ბარი, ერთი წალდი, ერთი ცული, ერთი სანადირო თოფი; თოფი იყო ტალიანი, ხირიმი. ეს ჩვენი ქონება, პირველ წელს რო გადასახადები შაგვაწერეს, იმ წელიწადსვე გა-
- 15 იტანეს გირაოთ. იმას ვინ დაისხნიდა? არა-ქონდათ ობლეთს იმის დასხნის შნო.

- ერთი დღის მამული გვექონდა და ღვდელმა მოხნა სანახევროთ, მემრე მარტო მომკო. ნათლიაჩვენმა მომკილი ძნა მოეტაცა შვიდი ათეული და ჩვენ მოგვიტანა. ღვდელი მოიდა ჩვენთან შასაშინებლათ, ცხენით ბალკომში გვივარდებოდა. მაშინ მე ვიქნებოდი ექვსი წლისა. სახლიდან შამფური გამოვარ-
- 20 ბენე და ცხენ წავატაკე ცხვირში. ცხენი გულდაღმა გადავარდა და ღვდელიც თან გადაიტანა. ღვდელს ფეხები უზანგში აქონიყო გაყრილი და, სანამ ცხენი არ ადგა, ღვდელს არა ეშველა რა. რო ადგა ცხენი, თან აყვა ღვდელი სისხლში ზობასრული: თავი აქონდა გატეხილი. მოცვივდნენ ხალხი და ჩამოიყვანე ცხენიდან, ჩააწვინე ურემში და წაიყვანე აქიმთან. აქიმმა თქო:
- 25 — გადაეცით სასამართლოსაო, სასიკვდილოთ არი დახიჩავებულიო!

დაგვიბარეს ჩათართან. ამათ მოსამართლეს მიეწერა: — ერთი ჩამოდით, რა უნდა უთხრა ამათაო?!

მოსამართლე ჩამოიდა და უთხრა ჩათარს: — სამივენი დატოშე და შეყარეო და სასამართლო თითონ გაარჩევსო.

- 30 მემრე დაგვტოშეს. ჩემ ძმეთსა ძალიანა-ეცემეს მათრახი, მე ორი-სანი დამარტყა და წავიქეცი; წაქცეულს თავი დამანება.

— ხელზე უნდა შამამაკვდეს ეგაო! თითის სიგძეები არიან და ეგეთი მამნეები არიანო; ესენი რო დიზარდნენ, ქვეყანას ამააგდებენო. ნაცემები შავრეკეს გომურში. ვიყავით იქ მშიერ-მწყურვალი სამი დღე. მემრე ნათ-

35 ლიამ მოუტანა ბძანება მაზრის (თიანეთის) უმფროსიდან, რომელიც იყო მატნელი კაცი. იმას მამაჩემი ეცნობიყო, როგორც მონადირე. რამდენიმე მშველი მეეტანა მამაჩემს იმიოვინ. უფროსი წერდა: — გაუშვით თავდებქვეშო! მემრე გაგვიშვე და გვეყო კიდევ ის პური, სანამ გაგვასამართლებდნენ. გასამართლებაზე მაზრის უმფროსი ღეგვეწერო და გაამტყუნა იმ ღვდელი.

- 40 ჩემ ძმეთს მაქონდათ ლაფანი თელისა და თელამუშისა და იმაჲ ყიდნენ თითო ტვირთს თითო ნიტრა სიმინდათ. ლაფან ყიდულობდნენ გაზაფხულზე მეზვრე იმერლები და მემამულეები. სხვა დროს ჩემი ძმები აკეთებდნენ კრანანეთს და სარცხლეთს. რო ამით ველარა გააწყეს რა, მოჯამაგირებათ და-

- 45 მე მარტო დავრჩი სახლში, არავინა არა მყვანდა მომხედავი. მეზობლეთ-

ში ვისაც დავეუნცროსებოდი, იქა ვჭამდი პურს; საძილეთ კი ვბრუნდებოდი ჩემ ბუდრუგანა სახლში.

ასე გაგრძელდა ჩემი ცხოვრება, სანამ თორმეტი წლისა გავხდებოდი.

თორმეტი წლისა რო გავხდი, დავიწყე ქვი საკრეფათ სიარული; მეზვრეები ვაზისთვინ ნიადაგს ამზადებდნენ, დიდეთს აძლევდნენ დღეში აბაზსა, მე 5 მაძლევდნენ ორ შაურს (მაშინ უზალთუნს ეძახდნენ). იმ წელიწადს ჩვიდმეტი მანეთი შავაქუჩე ქვი კრეფაზე. ამ ფულით ვიყიდე ლოგინი შასაკერათ ლაინები და ჩემთვის ჩასაცემელი.

მე რო ცამეტი წლისა გავხდი, ჩემი ძმაც მოიდა და მეეპატრონა ოჯახს. მაშინ ის ოცდაერთი წლისა იყო და დაინიშნა თიანეთში. იმ სოფელი ოცდაათი ვერსით იყო დაშორებული ჩვენ სოფელზე. ჩემი ძმა დანიშნულთან არი წასული იქ. მე მარტო ვიყავი სახლში. ღამე ერთი კაცი მომივარდა და მეუბნებოდა: — შენი ძმა ვარო და კარები გამიღეო! მე კარები არ გავალე: ვიცანი, რო ჩემი ძმა არ იყო. იმან დიდი ქვებიც სროლა დაიწყო. მემრე გატყდა ურდული და გაიღო კარი. იმან გადმოდგა ერთი ფეხი შიგნით. მე ხელში მეჭირა 15 რა ჩემი ძმის სანადირო თოფი. რო დაინახა, რო თოფი მეჭირა ხელში, გაიქცა.

გამოძიების ნემრე დაინიშნა სასამართლო. სასამართლომ იმ კაცს მიუსარჯა შვიდი თვე ციხე და შვიდი თუშანი ჯარიმა. იმ შვიდი თუშანი გადაახდინე ჩემ სასარგებლოთ. 20

სოფელში გავარდა ხმა, რო მითომ მე ძალიან ყოჩალი ქალი ვიყავი. მე მაინც ჩემ ობლურ მუშაობას ვაძღვებდი. სამი წლის მემრე ჩემა ძმებმა გამათხუეს მატანში. იმ კაცი სიმდიდრეზე მაიწონეს: მამაპაპეული ცხოვრება ბევრი აქონდა.

ქორწილის შემდეგ გავიდა ათი თვე და დაიწყო ნიკალაის ომი და გერმანიისა. წაიყვანე ჯარში ჩემი ქმარი. ოჯახში დავრჩით რძალ-დედამთილი და მული.

მე და ჩემი მული დავდიოდით ტყეში შეშითვინ. ერთხელ, როცა სხვა სამი ურემიც ჩვენ ახლო იდგა, მოიდა ტყი მცველი და დაგვიწყო ლანძღვა. წაართო ცულები სხვა ურემების პატრონეთს და მემრე მოიდა ჩემთან. მე შეშა 30 ვკუწამდი, იმან მითხრა: — შენ ისევე მუშაოფო? მაიტა ცულიო!

მე უთხარი: — გაბრუნდი იქითა-მეთქი, თორე ემ საათში სისხლ დაგაღვრეინეთ-მეთქი, — და ჩავიყავი ჯიბეში ხელი.

იმან მაისხნა თოფი და გამიღვა განზე, მეუბნება: — ცულიო, თორე ემ საათში მოკვლამო! 35

მეც ვეუბნები: — გაბრუნდი, თორე მოკვლამ-მეთქი.

ის უკან-უკან მიდიოდა, მე პირდაპირ მივდევი. დაიწყო ჩემა მულმა წიოკობა. ჩემ მულ ეგონა: ტყი მცველი მოკლამს ჩემ რძალსაო. ტყი მცველ კიდენ ეგონა, რო, ალბათ, მართლა უდემს ჯიბეში რამეო და მე მომკლამსო და იმითვინ წიოკოფს იმ ქალიო. 40

ტყი მცველმა მითხრა: — არ მინდა შენი ცულიო, მითხარი, რა გვარი ხარო?

მე უთხარი: — ორიველაშვილი ვარ-მეთქი.

— რა ქქვიანო?

— ფედოსია-მეთქი.

მემრე მითხრა: — ეხლა წადი და კვირას გიჩვენეთ შენ სეირეთსაო. 45

მე კიდენ დაცინვით უთხარი: — ჰო, კვირას სოფლობა იქნება-მეთქი.

მემრე სხვეფს შეეკითხა: — ამ ორიველაშვილს იცნოფთო? მატნისყენ ცხოვრობს თუ მარილისყენაო?

ერთმა მიაძახა: — ეგ ხო გიყიაო! ილტოს გალმიდან გამოდის ხომეო.

5 მემრე წავიდა ტყი მცველი გაბრაზებული. ჩვენც კიდენ შინ წამოიღეთ ურმები სიცილით.

იმ ზამთარ არც ქიგვის ბილეთი ამიღია და არც შეშისა, ისე გამუდითიოლათ. თან ხუთასი ძირი ვაზი ჩაყყარე და ხუთას დედავაზს კიდენ მუხის-მერქანი შაუდგი.

10 მეორე ზამთარ გამოვიდა კიდევც ქმარი სახლში, გამოპარულიყო ჯარიდან.

ომი რო ჩამოთავდა და ის მოიდა სახლში, სუ გაყიდა დედ-მამის ნაქონი და სუ ასე ქირკოდილაობით გავატარე ჩემი სიცოცხლე, სანამ შვილიცხრამეტი წლისა გამიხდებოდა. მემრე სხვა შვილებიც დამეზარდნენ და მე-15 ხმარებოდნენ საქმი გაკეთებაში, თანა წავლომდნენ. ჩემი ქმარი მეჩხუბებოდა: — შვილებ ნუ ააწავლიო! მე რო ნააწავლი არა ვარ, განა შიმშილითა ვკვდებიო?!

მე მინდოდა, რო თანამედროვე ადამიანები გამოსულიყვნენ და ვააწავლე ყველა.

სამამულო ომი რო დაიწყო, ჩემი შვილებიც წავიდნენ ჯარში. ჩემ უნც-20 როს შვილ ეთქო ამხანაგებითვინ, რო დედაჩემა ჩემზე კარქათ იცია თოფი ხმარებაო. ერთხელ მე სანახავათ წავედი ჩემ შვილთან ერევანში. იქ მეთაურმა მითხრა: — დედი, მე და შენ ნიშანში გეკო უნდა ვესროლოთო, ხოლოთ არ დაემარცხდეთო. მემრე წავედით და სამ-სამი ვესროლეთ: ორი მე მუარტყიათიანში და ერთი იმან. მემრე მე უთხარი: — სახლში გასარდელი აღარავინა-25 მყავს და მეც აქ დამტოვეთ ჩემ შვილთან-მეთქი!

იმან წლოვანობა შამეკითხა და მემრე მითხრა: — ხნიერი ყყოფილხარ და არ შაიძლებო.

მემრე დავებრუნდი იქიდან გულნაკლული და მუელი მატანში.

სოფ. მატანი

27. ჩემი ცხოვრებიდან

30 დედაჩემის ათ შვილში მარტო და-ძმანილა ვართ, სუ დეეხოცა. ჩვიდმეტო წლისა არ ვიყავ, ჩემა სამამამთილომ მოიხმარა ძალა და ძალით წაართოთ ჩემი თავი ჩემ მშობლებს. მამამთილმა დაახედა ჩემ მშობლებს, დიდი ქონება აქონდათ, იმიტვინ უნდოდა ჩემი თავი. ჩემ მამამთილს მეორე პირი ცოლ-შვილი აყავდა, სამი ვაჟიშვილი კიდენ პირველ ცოლ-შვილისანი. დეეკვენხა კიდევ-35 იმ კაც, რო მე უნდა წამიყვანოს რძლათ.

ქორწილი გადაიხადა, ყველა ხარჯი გადაიხადა. ერთი, სამი თვე თავის-თან გვამყოფა. მერე თურმე ამ კაცსა და ამ დედინაცვალს რა აქთ გუნებაში-და რასა ლაპარაკობენ თავიანთვინ ჩუმათ, არ ვიცით არც მე და არც იმათ-შვილმა. მე, როგორც პატარა, ვეხვევიკე, ხან უბეში უძვრებიკე, ხან ყელზე ვე-40 ხვევიკე მამამთილს, დედამთილს, მაზლებს, მულებს. თურმე იმათ სხვა აქთ-გულში, რო ჩვენ უნა იქიდან (იმ ოჯახიდან) დაგვლუპონ. რო ვერაფერს ვერაპობენ, აგვიშალეს რალაცა მიზეზები: — ახალწლისთვინ კარგი ხილი ვერ ჩა-

მოიტანეო (ამ ჩვენ კაცზე თქვეს). მე რო ლოგინს ავალაგებდი: — თავი ლოგინსა და მუთაქებსა ქვეშაწყობსო, ჩვენებს კილენ მალლიდანაო. რო დაგვექირდეს, თავისი დაბლა არი, იმას შეინახამს და ჩვენებს კი მოიხმარსო.

ერთი დიდი ქვაბი მაქს მზითევეში, დიდ ქვაბ დაბლა ვამხოზ, პატარას კი ზევით. იმაზედაც შარი ამიტეხეს: — თავი ქვაბს ქვეშ ამხოზს, რო არ იხმაროსო. ჩვენსას კი ზევითო. ემეებით რალაცა მოგვიდო მიზეზი, ჩვენ კი არაფერი არ ვიცით, ბავშვები ვართ. იმი ლაპარაკმა იმდენათ შავაწუხა, რო კინამ სულის ამოსვლაზე დავდექი.

ჩემა მშობლებმა უთხრა ჩვენ კაც: — შეილო, ის ჩვენი შეილი როგორც გაგატანეთ, ისე მოიყვანეთო. ჩვენს კარზე მოდით შენცა და ისაც, ჩვენ შავი-10. ნახამთ, ჩვენ დაგიმტკიცებთ ნახევარ ყველაფერსო.

სამი თვის მერე დაუდევით ჩვენი ბარგი, მზითევი, ლოგინი, კამოდი, — მარტუ-ეს, წაველით ჩემ სამშობლოში.

ექვსი თვე რო შასრულდა, ახლა ჩემი კაცი ნიკოლოზის ჯარში წაიყვანეს. აბა, რა თქმა უნდა, რო ძალიან განერვიულებული ვიყავი, რო კინამ თან 15. არ გავყეცი, მერე გემეპარა. თავს ვიკლამდი, არაფერ არცა ვსომდი და არცა ვკამდი.

ზაქარა წავიდა ჯარში, იმედი აქ, რო წესიერ ალაგას მიმიყვანა: მამული ჩვენია, ქონებაც და ყველაფერი, იმედი მოგვცა სამშობლომ. მარტო იმიზან წერილი ნამდის, მეც წერილს უგზავნი. ვის ამანათი მოუვიდა, ვინ თითონ 20. მოვიდა და ნადავლი მოიტანა, ვინან თითონ მოვიდა. მამაჩემს ესენი რო ეყურებოდა, ემაზედან სხვანაირი თვალთ დამიწყო ყურება: — თუკი იმათ ის მოედით, ის მოდისო, რატო ის რასმე არ გიგზავნის, ან კილენ არ მოდის და არა გკითხულობსო?

მე თავდადებული ვიყავი იმ ოჯახზედა. ოჯახ კარქა ვინახამდი, ვემბრო-25. ბოდი. ჩემი მეგონა კაცი, იმ კაცსაც იმიე იმედი აქონდა.

ის კაცი სამი წელიწადი იყო იქა. მემრე მოიდა. ფეხის მოსავალს ყველაფერს თესამდა და ყველაფერი ბლონათ მოაყავდა.

წინათ ხაზინის ქალაღდს ეძახდნენ, ემ ტოლიტოლა იყო, იყიდა ისა, რო იმაზე უნდა დაგვიწერო და დაგვიმტკიცო ნახევარი ქონება. შვიდ წლა-30. მდი დაჩით იქ. მერე ამ კაცმაც გამოგვიცხადა უარი, რო თქვენი ბინა მონახეთო. სა წავიდეთ ეს ცარელა ხალხი? (ერთი ბავშვი გვეყოლა იქა). იმი მშობლებიდან ცარელა წავედით, აქედანაც ცარელა, სა წავიდეთ და რითი ვიცხოვროთ? იმდელი, რო შავწუხდით ძალიან. ეს კაცი რკინიგზაში ჩადგა, ცოტა რალაცა ორიოდე შაურები აიღო იქიდანა. მერე ვიყიდეთ თელავში პა-35. ტარა ერთი ფიცრული ქოხი, ჩამოვიტანეთ და ი პატარა ქოხი დავაქოხეთ მამიჩემის მიწაზე (გზის პირას მოქვეცა პატარა ადგილი). მერე დარიგდა თავადი შვილების ეზუები. მე ვერა ვბეღამდი იქიდან წამოსვლას, მაგრამ იმდენათ შავწუხდით, რო ავდექით და მოვგლიჯეთ ი პატარა ქოხი და წამოვიღვეით აქ (კისისხევეში). ეხლა აქ ავაქოხეთ. სუ ხელიტოლა საკერებლებივით აქონდა 40. ფიცრები მიკრული საცოდავით. ვიბრძოლეთ ცარელა ხელითა, უმამულობითა. ერთი ნამყენის დანა ექირა ხელში კაცსა, იმით იმოქმედა, იმუშავა, იმით აიღო ცოტა რამ ფული. მეც ხელი შეუწყე და, როგორც იყო, ათას ცხრაას ოცდაოთხ წელს ჩავდგით ეს სახლი.

28. ჩალური და წითელი სახლი

მამაჩემი ცხოვრობდა ამოწნილ სახლში. ქერი ექონდა ისეთი, რო აღა-
მიანი თავ შაახლიდა. მამიჩემიდან გამიგია, რო იმი მამას ჩალური ედგა, შუა-
ზე ცეცხლი გვენთო, გარეშამო ქეები გვეწყო.

5 მე რო წამოვიზარდე რვა წლისა, მოჯამაგირეთ გამგზანეს. ათი წელი გა-
ვათავე. ამ ათი წლის შემდეგში ძალაუნებურათ გავანებე თავი მოჯამაგირე-
ობას.

მამაჩემა გამაგდო სახლიდან, სამი-ოთხი კვირა გარე-გარე დავდიოდი,
ხან ვინ მაქმევდა და ხან ვინ. სხვამ მითხრა: — მოდი, ბიჭო, წამოდი ჩვენთან
10 გუთანზედაო, მოგიხნამთ, დაგიტესამთ და გაგილეწამთო.

წაველი, მოვხანი, დავთესე და გავლენე, შინ მოვიტანე. მე უთხარი:
— სახლი უნდა გავაკეთო-მეთქი. იმან არ გამიშო. წამოველი და ჩემით სახლი
გავაკეთევი, დასახურათ მაქ მომზადებული. ქობს აღარ მაშლეინებს, რო იმი
კრამიტი ახალ სახლ დავხურო. სხვაგან გავიგულები, დაუწყე კრამიტ ხდა,
15 მერე თითონაც გაუხარდა: — რა კარგი ყოფილა ეს წითელი სახლიო, ჩვენ სუ
ბნელში დავიზარდენითო.

საწყალმა ბევრი აღარ იცოცხლა. სახლები რო დავმართე, ახლა და-
ვქორწილდი. ეხლა შვილები მყამს: ერთი უმაღლესში, ერთი კიდენ სამხატვრო
ტეხნიკუმში, ერთიც აქა სწავლობს.

სოფ. კისისხევი

29. მამული მე დამჩა

ათას ცხრაასში განკარგულება იყო მთავრობისა, რო საბუე, აღმატი,
ენისელი, გრემი და აღდგომა ერთ სამამასახლისოში ყოფილიყო. შილდის სა-
მამასახლისოს ეკუთნოდა ტუსისციხე, ფაშანი და ზეგანი. ეხლა ეს სოფლები
ერთიც აღარ არი. ზოგი თელავს წავიდა, ზოგი ყვარელში ცხოვრობს ენსაათ-
25 შიც, ზოგი ველისციხეში და სხვა.

მე წორეთ იმ წლიდან დავიწყე შილდაში ცხოვრება. ტუსისციხიდან წა-
მოვედი, უჭაერო, ცხელი ადგილი იყო ძალიან, ცხოვრება არ შეიძლებოდა.
ხალხი ბევრი გააწყდა, დაიხოცა.

ათას ცხაას თერთმეტში შავირთე ქალი და ეხლა აქა ვცხოვრობ. ჩემ სახ-
30 ლთან ერთი ციხე არი, ძველათ არი აშენებული. ამ ციხის პატრონი სვიმონა
ყოფილა. ამის შვილის — სოსიას — ნაცოლარი შავირთე. აქ მოვედი და იმ ციხე-
ში ვცხოვრობდი. ამ ადგილს უწოდებდნენ საეკლესიო ადგილს. სოსიას გათხო-
ვილი დები აყავდა და იმათ გეყოთ საეკლესიო ადგილი, რომელიც ამ ციხეს
ეკვრის. მე რო ჩამოვედი, წავედი აგენტთან. იმან მითხრა:— წადი და ფეხი
35 არავის არ შაადგმეინო, ის საეკლესიო ადგილია, ჩემია და უფლება არავის
აქ გაიყოსო.

— სოსიას ნაცოლარი მე შავირთე და ადგილი მე მეკუთნის-მეთქი,—
უთხარი აგენტს.

იმან მითხრა: — ჯვარი დაიწერევიო? თუ ჯვარი დაიწერე, მამული აღარ
40 გეკუთვნისო.

მე უთხარი: — არა-მეთქი.

მაშინ ი მამული მე გადმომცეს. მოვედი და მიჯნები სუ ამოვყარე და მე დამჩა.

სოფ. შილდა

30. აკაკი წერეთელი კისისხევი

აქ იყვნენ ორი კომლი თავადები, ძმები იყვნენ. ცხოვრობდნენ, როგორც თავადებს შეეფერებოდათ. ისადილებდნენ, დაისვენებდნენ. როგორც თავადები იყვნენ, გაისეირნებდნენ. კარკ კამპანიას გაამართამდნენ, თავადაზნაურობას მიიწვევდნენ.

ფერისცვალობა იცოდა (მარიანობის თვის ექვსში მოდის). ყველა თავადაზნაურობა იქ იყო. მოვიდა აკაკი წერეთელი ფაიტონით. ყველა თავადაზნაურობა ჩავიდა შესახვედრათ, — აკაკი მობძანდებო! 10.

ერთი კნეინა სალომე იყო, ჯანდიერის ცოლი, თავადის ქალის დედამთილი იყო. ჩავიდა და აკაკიმ ხელზე აკოცა, იმან შუბლზე აკოცა. ამოვიდა მალე აკაკი, ყველას თავი დაგვიკრა (აბა, ყველას ხელს როგორ ჩამოგვართმევდა!).

პიანინო აქონდათ, დოლიც მოიყვანეს. საღამოთი, სახლს ქვემოთ ბაღში 15. კომი აქ, იქ გავიდნენ. ის მეზურნეებიც იქ გავიდნენ. დაუკრეს საქიდაო. საწყალი ჩემი ქმარი მოურავათ იყო იმათთან. ერთი შაქრო იყო, გამოვიდა ის შაქრო, ჩემი ქმარიც გავიდა, ეგრე დგა. შაქრომ გაუთამაშ-გამოუთამაშა და ხელი წამოაგრა. ჩემი ქმარმა უთხრა: — დადექი, კევიანათ იყავიო! (სუ ჩავიდა ჩემ ქმარსა). მეორეთ რო გაუთამაშა, კიდილი დაუწყო. — მართლაო, 20. შაქროო? მაიქნია და კისერზე გადააგდო. თელი თავადაზნაურობა გაბრაზდა: — ეგრე რათა ქნაო? წამოხტა ჯანდიერი: — ყოჩაღ, სვიმონიშვილოო! ოზდახუთმანეთიანი გადაუფრიალა. თელი თავადაზნაურობა თლათ ჩაუუფქა: — რათ გალახა შაქროო?!

ჩემი ქმარი წამოიდა, სარდაფს მახედა. თავადმა დაუძახა: — ლეინო მო- 30. გვიტანეო! ხელმეორეთ დასხდნენ, გამართეს ქეითი. მერე აკაკმა რო იქეითა, წაბძანდა და დიდი ამბით გააცილეს.

სოფ. კისისხევი

31. რაფიელ ერისთავი

რაფიელ ერისთავი, ჩემო შვილო, ქალაქში მუშაობდა თავი საქმეზედა. ნე ვიყავი მეზურნეთ იმ დრო. თითონ იმავე ვაყი არა-ყუყუნდა, ოთხი ქალი 35. ყუყუნდა და სიძეები. ძალიან ტკბილი კაცი იყო. იმისგან წყენობა თავი დღეში არ გამოიღოდა.

ერთხელა, კრეფი დროსა, მნახა მარტოკანა (ვაშლებ ვკრეფამდი) და მითხრა: — შვილო, მაგრე კრეფა არ იქნებო: ამ ნაყოფმა კიდენაც უნდა დაისხასო და, ამავე რო ყუნწიანათა კრეფამთ, აღარ დაისხამსო, — დაგვარიგა რა! რა 40. თქმა უნდა, კარკი იყო ესა. ის თავი დღეში აღამიან ვერ აწყენებდა. იყო ცოტახან. მამრე, მე მყვანდა ექვსი თვი ბიჭი და საცეხველაში მეწვა და მოიდა და თქო: — ეგ რა არიო? და: — ბავშვია-მეთქი.

— აბა, გადაახადე პირსახოციო, ვისიაო?

— ჩვენია-მეთქი. თან შაგვეხათრა, შაგვეცხვა. მამრე ბავშვ უთხრა:
— გაიზარდო.

5 მამრე, იყო კარქა ხანი ქალაქშია და წამოიდა. ი მოსავალი შეიღებ გა-
უყო ოთხათა და მოსავალიც იმათ მაიხმარეა. ემ მამულეფში ჩვენა ვმუშაომ-
დით. ნუგზარ ერისთავ ვეძახოდით, ის აქცემდა ყურადღება. აი, თუ რომ
რამე დაქვეყირდებოდა, ჭიგო ან სხვა რამა, ის მოქვეყმდა ხომე.

10 მამრე, რაფიელი რო ქალაქში გარდაიცვალა, მაიტანეს აქა ხელისხელა-
თა. ორი ამფიონი მოადევდა ისრე: ერთში იმი რამეები ეწყო — ქუდი და რა-
მეები, ერთშიც იმი მენდლები, თითონა კი ხელისხელ მაიტანეს, აქ დასაფ-
ლავეს. მე ავურემ ვაწოდებდი, იგრე ამააშენეა. აი, აქ იყო დასაფლავებული,
ყველაწმინდა როა (აქა ჭიდილი იმართებოდა ხომე დროები გასატარებლათ).
თითონ ეთქო: — აქ დამასაფლავეთო. აი, ხო გაგიგიათ, ლექსი როა: ჩემი სამ-
შობლო ის არიო, საცა გავჩენილვარო.

15 ძალიან კარქი კაცი იყო, დანანება იცოდა, მიხედვა ხალხისა. შამწე-
ობაე აძლემდა ხალხსა. მუშები რო არ ამივილიდნენ ზერიდანა, მზარეულ და-
უძახებდა: — ღვინო დააღვინეთო! შაბრალება აქონდა ხალხისა. მუშა რო დენა-
ხა უქუდოთა, დაუძახებდა და ფულ მიეცემდა: — აჰა, იყიდე ქუდი და დაიხუ-
რეო! ეხლა შკოლა რო არი, იქა ცხოვრომდა რაფიელი, მაგრამ თითონ კი
20 არა, იმი შეილები. რაფიელის სახლი კიდენა ქვეით არი, იმაე ხის სახლი ედ-
გა. ქვეშა მარანი აქონდა და მალა კიდენა ხის სახლი.

30 ჰოდა, რაფიელი რო მოკვდა, დიდმარხვა იყო. ესა, შეილო, ორმო-
დარვა-ცხრა წლის წინათ იქნებოდა. ორნაირი ხარჯი იყო მაშინა: სამარ-
ხოცა და სახსნილოცა. ცხვრებიც ბევრი დახოცეა (სად იშვიდნენ სოფლი
25 ხალხში იმოდენა ქურქელ!), საკლავებიც ბევრი დეეხოცნათ. ჩამოსულები იყ-
ნენ სუყველაყა მხრიდან ხალხი. მამრე გამააცხადე და სუყველაყა კაცმა თი-
თო ჯამი და ხელადა წაიღე.

სოფ. ქისტაური

32. თაღლაური

30 მეფე ერეკლის დროსა ჩარგალში ყოფილა ვინმე განთქმული მეომარი
ბაჩიაშვილი თაღლაურა. ხშირათ დაყუანდა ხოლმე მეფე ერეკლეს ბრძოლებ-
ში და მუდამ გამარჯვებული გამოსულა.

მეფე ერეკლეს დაუსაჩუქრებია და მიუცია საცხოვრებლათ დღევანდელი
თაღლაურის ადგილი და მას თაღლაური ეწოდა.

35 თაღლაურას ოჯახში ყოფილა შეიდი კაცი, მხოლოდ ეს არ ვიცი, ესენი
ძმები იყვნენ თუ სხვა ნათესავეები.

ამ შეიდმა კაცმა მისცა სათავე დღევანდელ ბაჩიაშვილების საგვარე-
ულოს. დღეს თაღლაურში ეს გვარი სხვა გვარებს ჰარბობს.

სოფ. თაღლაური

33. ალავერდი

40 ალავერდი ყოფილა ცენტრი კახეთისა. მანდა მდგარა ერთხელ ნაცვალი
ირანისა.

გალავენი ალავერდზე წინ არი აშენებული. მანდა მჯდარა თათრის ყე-
ინის მოადგილე თავი ხაზინითა. საქართველო მაშინ სუ მთელი დაწიოკებული
ყოფილა. ქართველები ვაჟკაცურათ დაახვედრიან.

საბერძნეთიდან წამოსულა თორმეტი ბერი. ის ბერები დარიგებულან
საქართველოში. ის თორმეტი ბერი იმიტომ იყო წამოსული, რო თათრებ არ 5
დაანებდეთო. ალავერდში მოიდა თეთრი წვერებით ი მოხუცი. ი ბერი ეხლა
ექა მარხია.

ალავერდის გუმბეთი თორმეტი საენი არი. ჩვენმა მთავრობამ შააკეთა
ვგეცა და სხვაცა.

ი თათრების ჯავრი კი ამაიყარეს. იმათ ისეთი დღე დეეყენებინათ ჩვენ- 10
თინ, რო ცოდვიჲ ქვა აღუღებულა. ჩვენი საქართველო ტყეებათ ყოფილა
ქცეული. — საქართველო ტყეებათ, სანადიროთ მინდაო, — ებძანებინა ყვენს.

ერთ კაცსა წყლი ნაპირას ხე უჭრია. წყალს მააქვს ი ნაფოტი. თათარ
უნახავ ე ნაფოტი, — საიდან მოდისო? აყოლებიან წყალს და უნახამთ სოფე-
ლი და გაუჟღეტიათ, ძალებილა ყმუოდნენ თურმე. 15

ე ქართველი ხალხი ფერეიდანს, ირანს იქეს გარეკა. იძულებული გახდ-
ნენ მიეღოთ მაჰმადიანობა. ხუციშვილები, ომანიშვილები, ონიკაშვილები
არიან იქა. გვარებიც ქართული აქთ და ცოლებიც ერთი ჰყამთ.

სოფ. ნაფარეული

34. იყალთო

ჩვენი იყალთო ერთი შვიდი კომლი ყოფილიყო. ზეეთყენ იყო სოფელი, 20
ქვეითა და ქვეით ჩამოსულიყვენნ ძირობეებისყენ. დაბლა, გაღმევი-გამოღმევი,
ტბა ყოფილიყო. იყალთოს სახელი არა-აქონოდა. იყალთო დეერქმინათ. არსენ
იყალთოელსაც ამ სოფლიდამ აქვს სახელი. აქ ესწავლნა თამარ ნეფეს,
შოთას, იმათ სუ აქ ესწავლნათ.

აკადემიასთან გვირაბი არი გაკეთებული ხუთი კილომეტრის მანძილზე. 25
ერთი დანგრეული საყდარია, ცარიელი ქვეებია. შიშინანობის დროს იქა მა-
ლულიყო ჩვენი კახეთის ხალხი. თათარი და ლეკი დასცემოდნენ ხომე, ხალხი
წმინდა შიოში იმ გვირაბით დადენილიყო.

იყალთოში არი წმინდა შიოს საყდარი, ყარაული ყყავ მთავრობიდან.
გაგონება ესე გვაქ, რო ყოფილა ვენახები სოფლის თავზე. იქ ლეინო იწურე- 30
ბოდა იმ წმინდა შიოსთან, მილებით გამოდიოდა აკადემიაში, იქ ინახებოდა
ქვევრებში. ამ ნანგრეებში ამააჩინეს საწნახელები, სადაც ლეინო შადიოდა
და ქუჩდებოდა ქვევრებში.

სოფ. იყალთო.

35. გრემის ცისე-ქალაქი

ძველათ აქ ყოფილიყო ქალაქი, ეძახოდნენ გრემის ქალაქს. მერე შამო- 35
იდა აქა თათარი და უნდა გეეტენხნეს ციხე და ვერ გატეხა. თათარი უვლიდა
გარეშამო გასატეხათ და ვერ გატეხა. ციხეში ჰქონდათ ყველაფერი, საკმელი
და სასმელი. გვერდზე ჰქონდა გაკეთებული გვირაფი, რო ჩამოსულიყო, ეეტა-

ნა წყალი და მტერს ვერა დეეკლო რა. ხალხი იყო გამზადებული ტალიანი-
თოფით. ციხესა-აქონდა გაკეთებული გარეშამო თოფის გამოსაყოფი, რო
მტრითინ პასუხი მიეცათ.

ამ თათარმა უარა გარეშამო და ვერაფერი ვერა გააწყო რა...

5 მერე მაილაპარაკეს ნეფეებმა და თავადიშვილებმა: — შავაერთოთ ჯარიო.
თათრის საწინააღმდეგოთო. შაადგინეს ჯარი — ფშაველი, ხევსური და თუში —
და წამოიდნენ საომრათ.

ხევსურებმა, ფშაველებმა და თუშებმა გაიმარჯვეს ფართთა და ბიჭობით.
გარეკეს თათარი სამშობლო ქვეყნიდამ.

სოფ. ენისელი

36. ქორუბანი

ქორუბანი რაა, შვილო, იმაე ეგრე დეერქო ეს სახელი: ერთმა ხემ-
სურმა, იმაე ერქო ქორია, დააარსა ისა და მემრე იქა ხალხი დეესახლა და იმ
სოფელ მემრე ეძახიან ქორეთ სოფელ — ქორუბან. მამრე თითონ ის ქორია კი-
დენა ისევე ზეით წავიდა, მათყუა სოფელი. სოფელი კიდენა დარჩა და დარჩა.
15 ეგრე ერქმევა სახელები სოფლებ.

აი, ნაკალოვარიც რაა, იქაც კალო ყოფილა წინ-წინა და ეხლა იმ სო-
ფელ ნაკალოვარ ეძახიან.

სოფ. ქისტაური

37. არაშენდა

სოფელი რაა აქ არაშენდა, იმ სოფელში ერთი მეკომური იდგა. ერთი
20 წისქვილი იყო იქა. ხალხ უნდოდა, რო აქ ეცხოვრა. გადავიდა ეს ხალხი,
ცხოვრებაც დაიწყე, მაგრამ რამტონიმე მცხოვრებელი ხალხი წყალმა დაა-
ზიანა. რამტენიც უნდოდათ, რო სოფელივით გეემართნათ, გეემრავლებინათ.
ხალხი, იმტენი წყალმა წაიღო, ვერ ააშენე, ვერ ააშენე და იმიტომაც და-
არქვედ წორეთ არაშენდა.

სოფ. ქისტაური

38. ქალიაუვანა

ნეკრესის ეკლესიასთან მალლა ზვარი ყოფილა. ეხლაც ქვევრები მა-
რანი არი, ლეღებიც ისევა დგა. იქ ემუშავნათ ხალხ. თითო ისეთი ქვა არი
დაყოლილი, აი ატოლიტოლ-ტოლა.

ბილიკი მიდენილა იქ, წყალი გამოსული აქონიათ (ჩვენებიც დაიმტე-
30 რესდნენ, ძველ მიღებზე წყალი გამაიტანე).

ნეკრესის ეკლესია აბიბომ ააშენაო (ძველი კაცებიდან გამიგია). დაბლა
ნიში არი აშენებული. აქვე დიდი ცაცხვიო.

საყდარს აქეთ, მინდვრეფში, ცერია. ერთ მელორეს ღორი აყოლოდა,
ლანძილი ეკრიფა, სალამური ეკრა. ქალეფს ემეველოთ.

35 — გოგოვ, წამო, გამომყეო! — მელორეს ეთქვა.

ი ქალ ეთქვა: — თუ ამიკიდებ და მალლა მთაში ამიყვან სალამურიე და-
კვრით, შენი ვიქნებო.

ამ ბიჭმა უთხრა: — აგიკიდებო.

მოვიდა, მოახვია ხელი და აიკიდა. შაუდგა ცერს, თან სალამურ უკრავეს. როგორც გაიყვანა მალლა ცერზე, ჩამოსო ქალი და სულიც გააძვრა. ეხლა იმაზე ეძახიან ქალიყვანაჲ.

ცერის ზემოთ გზა გადადის. იქ გორაა, იმ ადგილს ეძახიან კონცხს და ნაკალარს. მაგითანა ნაშთები აქ ბევრია.

სოფ. შილდა

39. ბატონეშობა

ჩვენში იყვნენ თავადები — დამწვრები და დახრაკულები. ვენახები შუა გაგვიყვეს. აი, ბაღი ვენახები, ეზოჩი რაც გვექონდა, იმასაც გვართმევდნენ. ყანაჲ რო დაეთესამდით, ყანაჲ რო მკიდით. სამი ძნა იმათი იყო, ერთი ჩვენი, — გინდა გეყო, გინდა არაო. გლეხკაც ლამაზი შეილი რო ჰყოლოდა, თავადები 10 ართმევდნენ. დედაჩემსა სიყრმი შეილი ყოლოდა, ცხრა წლისა გეთხოვნა, რო თავადებმა არ წამართნო. თუ ქალ გაათხოებდი, ფული უნა მიგეცა, თორენ ჯვარს არ დააწერინებდნენ. სანამ დედაჩემ ფული არ მიეცა, ცხრა წლის ბავშვი ისე ვერ გაათხოვა. მე რო აქ გამამათხოვეს, მგონი, ცხრა კაცი მთხოულობდა, მდიდრებიც, მაგრამ ღარიბ ოჯახ მიმათხოვეს, თხოუმეტი წლისა ვიყავი. 15 ჩემი ქმრი ბინა სახემწიფო ბინა იყო. სახემწიფოც ტყავ გვაძრობდა, უბედურება იყო.

თავადებმა სალომეა შეილი მოატაცეს, წაიყვანე და გაყიდეა სხვაგან.

სოფ. კისისხევი

40. ჩამუარდა მშვიდობა, კარგობა

თავადები ტყეფეს ყოფდნენ. მაიწვიეს მიწის მზომავი, რო პლანები გე- 20 ეტარებინათ ტყეფეში: თავიანთვინ ალაგები უნდა დეეყოთ. გრემი, აღმატი და საბუე დაუდექით წინ და არ გაუშვით თავადები თავიანთ მოწვეული ყაზახებით, რო დეეყორლნათ ტყეები.

იმათი შუამავალი იყო ბოქაული, გვეუბნებოდა: — გაუშვით, დაპლანონო. რო არ გაუშვით, მემრე გვითხრეს: — ნაწილს მოქცემთო, პატარა ეკლესიის 25 ქვევით თქვენი იყოსო, ჩვენ კი უთხარით: — სულ მთელი ტყე-ბარი ჩვენიაო — და არ გაუშვით.

მემრე იძრეს იმათ ჳლმები და მოგვატანეს დასაკრავათ. ჩვენ კიდე დაუდექით ჯოხებით და დაუშინეთ ცხენეფს. ცხენდაცხენ გაიქცნენ უკან. რო გაიქცნენ ოცი მეტრი მანძილზე და ჩვენ ჩამოვრჩით უკან, ისინი ჩამოხტნენ 30 ცხენებიდან და მობრუნდნენ უკან, დაიწყეს თოფი სროლა. დაგვიჯოცეს თექეს-მეტი კაცი, დაგვიჭრეს ოცამდინ.

ღროებით, ვიდრე ეს დრო მოიღოდა, თავადებმა გაიმარჯვეს. ძველი მთავრობა იმათყენ იყო და სად უჩივლებდით!

როცა ეს დრო მოაჯდა, მაშინ სუ ყველა გაერთიანდა, ტყე-მინდორიც და 35 ხალხიც; ჩამუარდა მშვიდობა, კარგობა.

სოფ. გრემი

41. თავადები კისისხევში

არტოზანს ეძახიან, რუისპირის თავშია. ბატონი მოურავს გაგზავნიდა ნაყმევებთან არტოზანში, დააკრეფამდნენ ვენახეფს, დააწურამდნენ, ბეკედ დადებდა და წამოიღოდა. დარევის დრო რო მოიღოდა, მოურავი წავიღოდა, 5 გადიღებდნენ. იმათიდან (ნაყმევებიდან) იღებდა ნაოთხალს პურიდან, ღვინიდან, სუყველაფრიდან ნაოთხალს იღებდა. მოურავს კიდე ფასზე უსწორდებოდა: ერთ თვეში თუმანი. იმას კონდოლში ჰყავდა ნაყმევები, იქაც ისე გააკეთებდა, როგორც არტოზანში.

ბატონებს დიდი მამულები ჰქონდათ: მუხიანგორი, ლოდიანი, ქვაწვერა, 10 ომანასქვა, კონდოლში — ნადარბაზევი. ნადარბაზევი სახნავი მიწები იყო, სხვა ადგილები კი ტყეები იყო. ნასომხარშიც ტყე ჰქონდათ. შამოყორღნეს ეს ადგილები.

აქ მოვაჭრეები იყვნენ, ბატონს უთხრეს: — მოგვყიდე მუხიანგორი, თალამათ გვინდაო, — მაგრამ არ მიყიდა.

15 კისისხევში თავადები ხოლოთ ორი კომლი იყო. იგრე იყვნენ, რო ერთმანეთში ქალი ერგებოდათ.

სოფ. კისისხევი

42. ბატონი და გლეხი

ჩენი მამა-ბიძანი იყვნენ ექვსნი ძმანი, ააშენე სახლი. საკოქეთ მაიყვანე სახლი. იმ დღისით კოჭი უნდა დააწყონ. ბატონმა გამოგზავნა კაცი: 20 — წამოდით, დღეს ჩენი საქმე უნდა გავაკეთოთო!

მამა-ბიძებმა უთხრეს: — დღეს დაგვაცადე და ხვალ ხუთნივ წამოვალთო, შენ გენაცვალეო, დღეს დაგვითმეო.

ბატონს ერთი კაცი ყავდა. იმას ყველაფერს აძლევდა, ოღონთ მიეტანა ნაყმევის „უხეირობა“. იმ კაცმა უთხრა, — უარი თქვესო. წამოიდა ბატონი. 25 წაართვედ ღორი. რო გაიგეს, — ღორ გვართმევენო, — წავიდნენ ჩემი ბიძები. რო მივიდნენ ახლო, გააქენა ცხენი, ღორი კარეფშივე გადაადგო, ბატონი სახლში შევიდა და მოკეტა კარები, ი კაცი ღორთან დარჩა. ბიძებმა ცემე იმ კაცს.

ჩემი ბიძები გადასახლეს. ისინი რო გადასახლეს, მოუბრუნდნენ უფ- 30 როს ბიძას, გაატიტვლეს და ეგრე-ეცემეს.

ძალიან უდივრათ ექცეოდნენ ხალხს. არ შეეძლო ხალხსა ბატონ დაუკითხავათ წასულყო სადმე.

ესიტაშვილები იყვნენ. ბატონებმა უღელი ხარი დაეტაცეს კალოდან: — რატო ჩვენსა არ წამოხვალთო? წავიდა პატრონი თოფით. თავი ხარები ბა- 35 ტონი კალოში დახოცა: — აღარ ყოფილა ჩემიო და შენ რაღათ შაგარჩინოო. შიგ კალოში დახოცა შვილივით დარდილი ხარები.

სოფ. ქვემო ხოდაშენი;

43. ბატონისა და ეკლესიის ყმები

ჩვენ სოფელში იყვნენ ბატონის ყმები და ეკლესიის ყმები. ჩვენ ვიყავით ეკლესიის ყმები. ეკლესიის ყმები ცოტანი ვიყავით, ვიქნებოდით ოზდაათ

კომლამდე. სხვები იყვნენ თავადის ყმები; ზოგი საბუღეში ეყმობოდნენ, ზოგი აქ, გრემში, ზოგი ენისელში. ბატონის ყმები უფრო ცულ ღმგმოიარობაში იყვნენ. ყველა ოჯახიდან მიჰყავდა ბატონს მოსამსახურეთ თავისთან. იმსახურებდნენ ჯელზე. მოსავლიდან აძლევდნენ ღლიურზე კოდს; ზოგი ნაოთხალს აძლევდა: სამი მომყვანისა იყო, მეოთხედი ბატონისა.

ბატონი ყმასა ყიდიდა. ზოგ ბატონს სხვა ბატონის მწვევარი რო მოაწონებოდა, ყმას მიეცემდა და იმას გამაართმევდა მწვევარს; ის იმას ეყმობოდა და მწვევარს ბატონი წაიყვანდა.

ყმა რო ცოლს ითხოვდა, წინ-წინ ბატონს უნდა წვეყვანა; ხუთი მანეთი საჩექმე უნდა მეცა.

დალუნგებული ყოფილა უწინ ხალხი, თორემ ბატონს არ დაანებებდნენ. ეკლესიის ყმეთს ჩვენი ალაგები გვეჭირა და იმისა გადასახად ვხთილობდით.

წელიწადში ვაძლევდით ღვდელს ერთ კოდ პურს, ხუთ ნიტრა ქერს, წლიურ გადასახად თუმანს. კვდრის გასაძლოლს აძლევდნენ სამ მანეთს, ტაბლას უგზავნიდნენ. ღვდელი კიდენ თხოულობდა ფულს, ამობდა:— შენ კვდარს უწირეო, პარაკლისები უხადეო.

ჯვარის საწერი თუმანიც იყო, ხუთი მანეთიც იყო, ხუთმეტი მანეთიც იყო, კოდი პურიც იყო..., ვისაც როგორი შეძლება-აქონდა.

სოფ. გრემი

44. საბერო

ჩემი ბალობის მოაწრებაში საბუღეში ორასი კომლი იყო. ოთხმოცი კომლი თავადების ყმა იყო, ას ოცი კომლი იყო საეკლესიო ხალხი.

ამ სოფელში იყვნენ თორმეტი კომლი თავადები.

ერთი კაცი თურმე მოსულა თხოვრათ. ზოგმა პური გაუტანა, ზოგმა კვერცხი გაუტანა, ზოგმა ფქვილი გაუტანა. იმან სუ დაიწერა: კვერები ვინ მუუტანა, ფქვილი ვინ მუუტანა... მემრე ადგა და მეორე წელიწად მივიდა ისევა, უთხრა:— თქვენ ჩემი ყმები ხართო და უნდა მამეცეთო. გაამტყუნა:— ჩემი ყმა თუ არ იყავითო, რათ მამეცითო? იყმო ეს ხალხი.

ჩვენ ვიყავით საბერო ხალხი. ამ სოფლის ნახევარი ადგილები ჩვენი იყო. თავადებმა დაგვიწყყა ჩვენ ღვენა, წაგვართვე მამულები. ჩვენმა კაცებმა და უწყყა ჩხუბი. თავადებმა დაიპირა თორმეტი კაცი, ციხეში აათავებინეს სამსამი წელიწადი. მემრე ყმა ვერავინ ამიილო და თავადეთს დაარჩათ ეს ადგილები.

თავადები ისხდნენ და ჭამდნენ. ბოლოს ვალს იღებდნენ ბანკილამ და ადგილები დააგირავეს ბანკში. ვალი რო ვერ გადაიხადეს, ადგილები ჩემერ-თოთ თავადეთს. ეს ადგილები გლეხეთს გადაეცეს შასყიდვით. თითონ თავადებმაც მიიწადინეს გაყიდვა გლეხებზე, იმიტვინ რო პრაცენტი ხვდებოდა ზოგს.

სოფ. საბუღე

45. უმის გაქცევა

მამაჩემი თურმე ხუთმეტის წლისა ყოფილიყო, ბატონობა რო ჩამო-არდნილიყო. ბატონს ერთი ყმა არ ემორჩილებოდა თურმე. რო გეექცა, და-

იქირა, ფეხებით ჩამოაქიდა და წაუსო ზედ თავლი. დეეხვია ბუზი ემ ყმასა. თურმე და წკმუის. ამ დროს მამაჩემი იქ არი და უყურეფს, მემრე ამდგარა და გაქცეულა. წავიდა თურმე ბახტრიონისყენ. მივიდა თავად გალობლიშვილ-თან და იქა ყოფილიყო სამი წელიწადი.

5 ის ბატონი კიდე ყოველდღე დადიოდა და ჰკითხულობდა: — ჩემი ყმა გემემქცაო და ხო არ იცითო, ერთი კარქი ყმა დავკარქეო. თავი ცოლი კიდენ სუ ეჩხუბებოდა თურმე: — იმ ყმის შენდგეგაო ჩვენი სიცოცხლე რალააო, იგეთი ერთგული ვინ მოგვივაო?

ერთხელაც, ე თავადი სადღაც ქეიფობაში რომა ყოფილა, ჩამოუგდია 10 სხვებთან ლაპარაკი ამაზედა, და იქ ერთი კაცი ყოფილიყო მამიჩემის მნახველი და უთქომს, რო — ბახტრიონშიაო. — რა-აქეიანო? — ზაქარიაო. შამსხდარან ცხენებზე, მისულიყენენ იმ გალობლიშვილთანა და ეთქოთ: — ესეთი, ესეთი ყმა-დავკარქე და თქვენთანა ყოფილაო. გეეგზავნათ კაცი, მაგრამ მამაჩემი არ მისულიყო. თელი ერთი კვირა ელოდებოდნენ იქა და არ მოდიოდა. მემრე უთხ- 15 რეა, რო — ბატონი წავიდაო — და მამაჩემი თურმე გამაიტყუეს. მისულიყო ბატონი და ეთქო: — რათ გამაიტყვიო, განა შენცა ქცემდიო? შენითანეები ჩემ-თვინ კარქები არიანო, ქალბატონი მის მამრე სუ მიჯავრდებოა.

წამაიყვანა მამაჩემი თურმე შინა და იყოლა ხაბაზათ. იმი შემდეგ კარქათა ყოფილიყენენ, მამაჩემს არაფერ ეუნეგოდა უხეიროს, ხოლოთ სხვისთვინ კი. 20 ცეცხლი ყოფილიყო.

სოფ. ზემო ხოდაშენი

46. საბატონო გადასახადები

აქაური თავადები ორი სოფლის (კონდოლისა და კისისხევის) მონახე-რეები იყენენ, ნახევარი კი სოფლის ხალხ ეჭირა. ნახევრობაზე მთა და ბარი იმათ ეჭირათ. ჩვენ ვხნამდით, ვთესამდით, მკიდით და ნაოთხალ ვაძლევედით, დლი- 25 ურზე კოდს ვაძლევედით. საბალახეა გლეხობა აძლევედა იმის მიხედვით, ვის რამეთენი სული ჰყავდათ. წელიწადში თორმეტ მეენტ ვიხდიდი მამულების გადასახად, შკოლი ფულს გვახდევინებდნენ კიდენ. სოფლის მამასახლის კიდე წელიწადში ერთ დღეს ვშველიდით. მაშინ სუყველაკას ქვთხოვდნენ.

სოფ. კისისხევი

47. ვენახის დაგირავება

ჩვენ გექონდა ვენახი დაგირავებული. როგორც მოიყვანდით მოსავალს 30 იგრევე მოვიდოდა მოგირავნე და წაიღებდა ყველაფერ. ტიროდა მამაჩემი. ისე-სხებდა ფულს, თუმანზე თუმანი უნდა დედო და უნა მიეტანა. ეგრე ვაი-ვაგლა-ხით დაგვზარდა. არ მახსომს, რო მეტი ეცმოდა მამაჩემ. იმის კარქი ფეხ-საცმელი ქალმანი იყო. წვრილშვილი იყო და აქათ-იქით ეცემდნენ თავში. რო 35 დაიღუპა, ოთხმოცდახუთი წლისა იყო. ჩვენ დათხოვილები ვიყავით.

მე გულგულელი ვარ, იქ საბერო ადგილები იყო. ბერები უფლობდნენ მიწებს. თითონ კი არ მუშაობდნენ, იჯარით აძლევედნენ ვისმე. ვინც ფულ გადაიხდიდა, ის აიღებდა. შეიძლება მას არც კი დაემუშავებინა. ვისაც მი- 1 ეცემდა, ის კიდენ ამას ნაოთხალს გადაუხდიდა.

თურმე აზნაურისთვის ეთქო ჩემ ქმარს:—ნათლიმამ, თუ შაიძლება, ერთი სასახლე ადგილი მამეციო.

იმას უთქომ: — ეგ როგო გამიბედე, ხათრი რო არა მქონდე, მოგკლამდიო.

სოფ. შალაური

48. საბრიყოაო

ღვდელი მოვიდა ჩვენსა და ნათავთი პური მიქონდა. ბიძაჩემი მოიდა და დიდი წიკლიაობა მოუვიდათ. შალვარი გაიხადა და ხურჯინში ჩაუდო: — თუ არ ქცხვენიან, ესეც წაილეო! ბაღლების აკრფელია და ამათ პურ ართმევო, რაში მიგაქო? — სამღვდელოშიო. — არ მოქცემ, არ დაგანებებო. კინამ ცეპაობა არ მოუვიდათ. არ დაეანებეთ. დიაკვანს უთხარი: — რაში მიგაქ-მეთქი? 10 იმან თქვა: — საბრიყოაო.

სოფ. კისისხევი

49. ცოლის შერთვა ბატონეშობის დროს

თავადებ ყმები ძყავდათ და იმ ყმასა თუ უნდოდა ცოლი შეერთო, ი თავადიშვილ უნდა დაეკითხებოდა. თურმე ერთი ნაყმევი არ დეეკითხა ბატონს და შაირთო ცოლი (უნდა კი ეკითხა და საჩექმე ფული უნა ჩეებარებინა, 15 მერე ნებაჲ მიეცემდა).

ერთი ბატონი იყო წინანდლური, იმი ნაყმევი იყო ი ქალი. გაუგია ი ბატონს, შამჯდარა ცხენზე ეს თავადი და მისულა ნაყმევის სახლში. დაუძახნია ნაყმევისათვის. დედა გაშოსულა იმისა, — მობძანდითო. გადმომხტარა ცხენიდან. ცხენი იქ დაუბამ და შესულა და ტახტზე ჩამომჯდარა ი ბატონი. 20

— შენმა შვილმა ცოლი რო შაირთო, რატო მე არ დემეკითხაო?

— რა ვქნა, ბატონოო, იმიტვის არ დეგეკითხა, რომა იმან თქვა: — მე რო ვინმემ ცოლი წამართვაჲ, იმაჲ ჩემ სისნლ შავასხამო.

— კარკითო, და რადგან ეგრე არიო, დღეიდან ჩემი მამულიდან უნდა გახვიდეთ და არ უნდა იყვნეთ ჩემი ნაყმევებიო. 25

ამდგარა ი კაცი, გაუნებებია სახლისა და კარისათვის და ცარიელა კაცი გასულა აქედან. უყიდნია სხვაგან საეზოე, სახლი გაუკეთებია და იქ დამდგარა. ძალიან კარგა უცხოვრია. დედა ი ბიკისა შაფრობია იმ თავადების განდევნასა.

სოფ. კისისხევი

50. ჩემი პატრონისა და დახლიდრის ჩხუბი

ანაგაში შვიდნი ძმანი იყვნენ, დედ-მამა ცოცხალი ყავდათ. იმათთან ვიყავ მოჯამაგირეთ. პატრონი ბიკი გამამყვა თან, გოჭები გავრეკეთ სიღნაღში. მე ბაღლი ვიყავ, სადლისმეხრეო ვიქნებოდი, ყოჩალი ვიყავ. პატრონი ბიკი

მორდილი იყო, საქორწილო იქნებოდა. არ ვიცი, გოჭი რვა კვყვანდა თუ რამეტენი, გოდრებით კვყვანდა. ბაკში მივაბარეთ ვირი და გოდრები. სუყველა დაყვიდეთ, ერთილა კვყვანდა, იმას ვატარებდი.

იმ დროს ნავთები არ იყო, ახლათ იყო გაჩენილი. იყო ქონიანი სანთ-
5 ლები კართოფილისა. ეინჯილებით ვანათებდით და ქრაქებით. ქონ დაუღებდით ძონძებზე, გადნებოდა, ძონძებ შეეკიდებოდა და ისე ვანათებდით.

შაველით, წვრიმლის დუქანი იყო. მედუქნემ მითხრა: — იქნებ კოქლია, აბა დასვი, ვნახო. დავსვი ეს გოჭი, ხან იქით ეცა, ხან აქეთ. იქა ნავთის ბალონი იდგა, ეცა ე გოჭი ამ ბალონს, გადმააქცია და სუ მთელი დაუღვარათ.
10 ნავთი.

ჩემი პატრონი ბიქსა და დახლიდარს მოუვიდათ ჩხუბი. ის იძახის: — ნავთი უნდა მიზღაო, ბიქი ეუბნება: — შენ ბალლი რათ შააცდინეო? ერთმანეთ მუჯტი დაუშინეა, მამ! ხალხი მოვიდნენ, იმათ დააშველეს ერთმანეთი (საკმარი არი, რაც დაწერა).

სოფ. კისისხევი

51. მარცვლეულის მოყვანა

მიწა მობნამენ შამადგომითა და გაზაფხულზე გადახნამენ ტრაქტორით. ან გუთნით, ამა ეძახიან ნახნავსა. მერე მინამ არ გაავდარდება, არ დაათესამენ. მემრე სათესლე პურ დაათესამენ. მემრე იმ დათესილზედა გაატარებენ ფარცხ საქონლით. ესე ასწორებს ნახნავ და მიწა აფარებს პურსა. პურსა-
20 დათესამენ შემადგომით, ოქტომბერში ან გაზაფხულზედა. გაზაფხულზედა დათესამენ დოლი პურ და დიკაა, შამადგომით კი ბევრებსა: თავთუხ, უფხოა, უკრაინკაა, შავფხაა. ახლა თუ სამარგელი (სარეველა) ამოვა, მაშინ გაამარგლიან ხელითა. მემრე ჯეჯილი ამუა ორ-სამ კვირაზე ან თვეზე, გააჩინა, როგორი ამინდი იქნება. თავთავ რო გაიკეთემს, მამრე უკვე ყანაა.

35 პურსა ქვეით რო აქ, იმასა-აქვიან ღერო, მაღლა — თავთავი; ზედ რო აქ, იმა — ფხები; თითონ მარცვალ რო აქ, იმა — ჩენჩო. კათათვეში მომკიან ნამგლითაცა და კომბაინითაც. ნამგლით რო მკიან, სათითები უკეთით თითებზე და... ახლა რო მკიან, რაც ხელში მოაყვებათ, იმა ეძახიან ხელეურსა. იმ ხელეურებ ერთათ დააგროვეფს მეძნეური. მამრე მეძნეური გააკეთებს.
30 ულოა. ერთ ოც ღერ ერთათ აიღემს, გადაეგრება მს ერთმანეთზედა, რო გრძელი იყო და შიგ შაეკრამს ამ ხელეურეფსა. ამა ეძახიან ძნასა.

რო მკიან, მკი დროე მესვეური მიდის წინა, მიუძღვის, უკან კი მიდის მეკუდური. სვე — ესა ერთი ხაზია. აი, ემ ერთ ხაზ გააყვებიან და მომკიან, ახლა კიდე სხვასა.

35 მკის მემრე რო დარჩება, იმა ეძახიან ნამჯაა, ნამკალსაცა. დაპნეულთავთავებ აკრეფამენ და იმასაც შაეკრამენ, დააწნამენ და იმა ეძახიან თავთიკონაა. ამ ძნებ წამაიღებენ ურმითა და კალოზე დაიდგამენ დიდეფსა და იმა ეძახიან ფთაქეულსა ან ზვინებსა. მემრე გააღეწამენ მანქანითაცა და კალოზე კევრებითაცა.

40 ახლა კალოზე კევრ რო გაატარებენ და თან ღედაკაცები უქცევენ ჯერ ორთითითა და მემრე კი, როცა გააბზევებენ, — ნიფითა.

როცა გაიღეწება, არნადით შააქუჩებენ ერთ ადგილად და მემრე გაანია-
 ვებენ ნიჩფითა. ცალკე წავა ბზე და ცალკე პური. ამ ბზე დადგამენ ზვინე-
 ბათა, პურ კი გაატარებენ ცხავში. ცხავში რო გაატარებენ, ქვეშ გავა პური
 და ზედ დარჩება ჯელი. იმაჲ საქონელ აქმევენ. მემრე გაცხავებულ პურ და-
 ახოვებენ ნიჩფით, მემრე ცხრილში გაატარებენ და ქვეშ გავა ნაკმაზი (ქათმე- 5
 ბითვინ) და შიგაც ცხრილში თავ რო შიყრის, ისიც ნაკმაზია და პური კი
 დარჩება. თუ სათესლეთ უნდათ, მემრე იმასაც ტაბაკებზე გაარჩევენ ხელითა,
 ან გაატარებენ ტრიერში. ესა მანქანა დასახარისხებელი და ისა ცალკე ჰყრის
 იმ პურ, რომელიც არ ვარგა, აი, როა გორველა, მათრობელა, ქიოტა, ქინ-
 ძლარა, მამხობელა, ფშვრიო და სხვები. 10

ქერიც ისევე ითესება, ხოლოთა იმაჲ კი არა მკიან, თიბამენ ცელითა.
 თუ პური ცუდია, დაბალია, მაშინ იმასაც გათიბამენ. მამრე ამ ნათიბ დაა-
 ბულულებენ დედაკაცები ორთითითა და ბულულ დადგამენ. რაც დარჩება,
 იმაჲ ფორჩხით მოფორჩხამენ და იმასაც იქ მიიტანენ. დადგამენ ზვინებათა,
 მამრე გააღეწამენ. რო გააღეწამენ, ორთითით აბალბამენ, აჩქჩამენ იმაჲ, 15
 მარცვალი ქვეით წავა, ზეით კი დაბურდოვდება. ამ ბურდოჲ ცალკე გაიტანენ.
 დაბლა რო მარცვალი დარჩა, იმაჲ კი გაანიავებენ.

სიმინდსაც ისე უნდა. მოხნანენ მიწაჲ ან შამადგომით ან გაზაფხულ-
 ზედა. შამადგომით რო მოხნამენ და დაარჩენენ იგრე, იმაჲ ძრალათ ნახნავ
 ეძახიან (რო დაძრება რა!). მამრე იმაჲ გადახნამენ გაზაფხულზედა, მამრე და- 20
 ათესამენ სიმინდ, დააბნევენ. ამუა პატარა სიმინდი. მემრე იმაჲ გაათოხნიან.
 რო წამაირდება, ორ-სამჯერ მორწყამენ კიდეცა. ამუა ქეჩეჩი ზევითა, მემრე
 ტაროჲ გაიკეთებს. ზედ რო აქ ტაროსა, იმაჲ თმებ ვეძახით, გარშემო რო
 აქ — ჩენჩოსა. უმარცვლო ტაროჲ ნაკარო აქვიან. მემრე შამუა სიმინდი, გახ-
 მება. მამრე დაამტვრევენ ტაროებ, გაფცქენიან ზედვე. მამრე იმაჲ რო გაა- 25
 თავებენ, მოშპრიან ფუჩეჩ ნამგლითა, რაც დარჩება იმასა. ამის მემრე რო
 დარჩება, იმაჲ ნასიმინდარი ჰქვიან და საქონელი შააქმას. მემრე ამ ფუჩეჩ
 შააქონამენ ან შალაფით (მალალი ბალახია) ან წნელითა. კონებათ დადგამენ
 იგრე. იმაჲ ძირები ჰქვიან ან სათივეები, ისა საქონლითვინ იხმარება ზამთარ-
 ში. ამ ტაროებ კი საცეხველათი დააქეხამენ ან ჯოხითა. სიმინდ ინახამენ 30
 სასიმინდეშია, პურს ინახამენ ბელელში, ძნას — საძნეში.

თავი დღეში მოუხნავი მიწა ყამირია, რამდენიმე წლის მოუხნავი მიწა —
 ნაჩხატი. ნაჩხატი რო მოიხვნება, იმაჲ ანეულ ვეძახით. ანეულ რო მოხნამენ
 კიდე, ის ნაოშია. ნაოშ რო კიდე მოხნამენ, ის კიდენა ნაწვერალია. ამის მემრე
 მიწამ უნდა დაისვენოს და ახლა სუ ეგრე. 35

ქალაჲ ან ტყეჲ თუ გავკაფამთ, იმაჲ ახო აქვიან. ის უნდა გაითოხნოს და
 დაითესოს.

მწვანე ბალახ კიდენა ჩენა ბუსუნაჲ ვეძახით.

სოფ. ქისტაური

52. პურეული

სოფელ ოციოში პურეულის თერთმეტ ჯიშ თესამენ: რვას ხორბლისას 40
 და სამს ქერისას. ხორბლის ჯიშებია: თეთრი თავთოხი, წითელი თავთოხი,

შავფხა თავთოხი, თეთრი უფხო, წითელი უფხო, დოლი პური, გაზაფხულის დიკა და მრავალთავთაეა.

ქერის ჯიშებია: შამადგომი ქერი ანუ ძველი ქერი, გაზაფხულის ანუ პო-შოლა ქერი (ორივეს აჩუბაბასაც ეძახიან) და ექვსკუთხა.

5 პურის ლეროს მიწიდან თავთავამდე ეწოდება ნამჯა. ყველა ჯიშის პურს, გარდა გაზაფხულის დიკასი, ნამჯა ერთნაირი სიმძლავისა აქვს, დაახლოვებით ერთი მეტრის სიგრძისა. ნამჯას აქვს მუხლები (ჩვეულებრივ ოთხი) და ფერფლი (შემოკრული თხელი კანი). ფერფლის გაგრძელებაა ფოთოლი.

მიწის ქვეშ აქვს ორთაშუა ფერსო (საშუალო ზომის ფესვი). ლეროზე 10 მობმულია თავთავი, რაზედაც მარცვლებია, მას ჩონჩხს უწოდებენ. ჩონჩხზე მიმაგრებულია მარცვლის ბუდე ფხებით. მარცვალს აქვს ღარი. გარედან მას აკრავს ფერფლი. შიგნითა ნაწილს გული ჰქვია.

შემოდგომის პურისათვის მიწა მაისში ან თიბათეში იხვნება. მას ანეულს (ადრე ნახნავს) უწოდებენ. მას ჩვეულებრივ არ ანოყიერებენ. ის გადაიწვება,

15 გაფხვიერდება და დათესვამდე თავისუფალი რჩება. მარიანობის თვეში დაათესამენ პურს. მარცვალს გადააყრიან და შემდეგ დაფარცხავენ ფარცხით. შამადგომაზე ითესება თეთრი და წითელი უფხო, თეთრი, წითელი, შავფხა თავთოხი და დოლი პური. შემოდგომაზე დათესილი პური მეორეთ გაზაფხულზე უნდა დაითესოს, რო არ გადაჯიშდეს.

20 თუ კარქი ავდრები აქვს, ერთ კვირაში ამოდის ჯეჯილი — ბლარტები. ერთ თესლს შეუძლიან ოთხი-ხუთი ბლარტი ამოილო. ამას ამობლარტვას უწოდებენ. ბლარტები შემდეგ გადაიქცევა, მოაწყდება მარცვალს და თავის საკუთარ ფერსოს გაიკეთებს.

ამ ჯეჯილს გედევრება თოვლი. შემდეგ, გაზაფხულზე, ვიდრე ნათესი 25 მუხლში შევიდოდეს, აკლიან სარეველეს, რასაც გამარგულა ჰქვია. მარგულიან ხელით ჩეკის დახმარებით.

სარეველა მცენარეებია: გორველა, თავციერცველა, შელგა, ქინძი, ქინძლარა, ნარი, შავი ნარი, თეთრი ნარი, მყარალა ბალახი, ქულუნა, წივანა ბალახი, სამყურა ბალახი, ნარცეცხლა, ფშერიო, გვირილა და სხვები.

30 ნათეს გამარგულიან დაახლოვებით სამჯერ ორ-ორი კვირის შემდეგ.

მაისის თვეში ნათესი წამოიზრდება, იკეთებს მუხლებს და თავთავისათვის ემზადება. ანას ორსულობაა უძახიან. თავთავს ამოიღეს ორსულობის სამი-ოთხი დღე შემდეგ.

თიბათეში, როდესაც ნამჯა, ჩალა გაუხმება, იწყება ყანის მკა, მოცველა. 35 მკიან ნამგლით. წინათ ამ სამუშაოს კაცები ასრულებდნენ, ქალისთვის მიუღებელი იყო, ეხლა, პირიქით, ქალები ასრულებენ ამ საქმეს.

მკივ დროს ერთი მოვლებით ხელში რაც დარჩება, ხელეურია. ოთხ ხელეურ ერთათ აწყობენ და უკან მომყოლი მეძნეური მათ შეკრავს ძნათ დაახლოვებით ორმოცი გადაგრეხილი ნამჯით — ულოთი.

40 მოცველია შემდეგ მიწაზე რჩება ლეროს ნაწილი. იმასაც ნამჯაა უწოდებენ.

ძნებს ურმით მიიტანენ კალო პირზე და დადგამენ ფთაქცეულებათ. თითო ფთაქცეული ათასძინიანი იყო (ეხლა ექვს ათასძინიანია). ამის შემდეგ იწყება 45 კალო (ლეწვა). ლეწვენ კევრით. ერთკევრიანი კალო ასძინიანია, ათი ათე-ულისაგან არის და მას საშუალო კალო ჰქვია. ორკევრიანი კალო ას ორმოხ-

დაათ-ორასძნიანია, მძიმე კალოა, ხოლოთ სამოზდაათ-ოთხმოცძნიანი კალო მსუბუქია.

კვერი ნავისმაგვარი პრტყელი ფიცარია. წინა, წაწვეტილ და მოხრილ ნაწილს დინგი ეწოდება. მოხრილი ნაწილიდან პრტყელისაკენ კვერზე სიგრძივ ამოთლილია ზოლი — ცხვირი. თუ ფიცარი თხელია, ცხვირს დააკრავენ. დაკვრა 5 შეიძლება განივდაც მოხდეს. ცხვირს შუაში აქვს ნაჩვრეტი, რაშიაც წნელი ან თოკია გაყრილი. მაზე შებმულია ჯოხი. თუ კვერს კამეჩები უბია, ნაჩვრეტში გაყრილი თოკი ან ჯაქვი მიებმევა უღელს (ხარებს ორ კვერს ვერ მოუბამენ). ქვედა, ბრტყელ პირზე კვერს აქვს ნაჩვრეტები (მრგვალი ფორმისა), რომლებშიაც ჩასმულია წვეტიანი ქვები — კოხები: ესენი კვერის მოძ- 10 რაობის დროს ეჭრიან ყანას.

თითოულ ძნას შეხსნიან ულოს, გაშლიან ორთითით, აწეწავენ და იწყება ლეწვა. კვერი უვლის კალოს, ხალხი კი ჯერ ორთითით, შემდეგ კი ნიჩფით უქცევენ ყანას. ლეწვის დროს საქონელს ორჯერ დაასვენებენ და კალოს გააფიცებენ. 15

ბოლოა პურსა და ჩაღაა შააქუჩებენ არნადით და დადგამენ ზეინს, ხოვს. იწყება განიავება. განიავების შემდეგ ახოვებენ. ამის შემდეგ მარცვლეს გაატარებენ ცხავეში, რომელშიაც რჩება ნამჯის ჯელი. გახოვების შემდეგ ნაგავში რჩება აგრეთვე ამშეული, ნაბოლოვარა მარცვლები, რომლესაც საკენკისათვის იყენებენ. 20

დაფქვის წინ მარცვლებს გაატარებენ ცხრილში. მარცვალს ზემოდან მოადგება სარეველა, კილი (იგივე ბუდე, მხოლოთ მარცვალზე მაგრათ არის შემოკრული და არ ეცლება). მას ხელით აცილებენ.

ასეთივე წესით მოჰყავთ ქერიც. მას იგივე აგებულება აქვს, რაც ხორბალს, მხოლოთ ბუდე არა აქვს. გარეკანი მჭიდროთ არის შემოკრული მარც- 25 ვალზე და არ ეცლება. მას ჩენჩოს უძახიან. ჩენჩოზეა ფხები.

სოფ. ოჟიო

53. სიმინდი

ოჟიოში სიმინდის ოთხი ჯიში ითესება: დოლი სიმინდი, გიბრიდი (|| გიბრიგი || იბრიგი), აფხაზური და შვიდეკირიანი.

მიწის ზევით სიმინდის ღეროა. ღეროს აქვს შვიდიდან ცხრამდე მუხლი 30 და ლარები. ღეროს შემოკრული აქვს აგრეთვე კანი — ფერფლი, რომელიც ფოთოლში გადადის. ფოთლის მსხვილ, განიერ ნაწილს ძირი ეწოდება, წვრილს — წვერი. ღეროს ზევით აქვს ქეჩეჩი (ყვავილი).

ღარის დასაწყისიდან ამოდის ტარო. ტაროს აქვს ბუდე, რომელსაც აგრეთვე ქეჩეჩი ეწოდება. ტარო შედგება ნაკატოსა, მარცვლებისა და თმისა- 35 გან. მარცვლის გარეკანს ფერფლი ჰქვიან, შიგნითას — გული, ხოლო იმ ნაწილს, რომლითაც ნაკატოზეა მიმაგრებული — წიწილიანი. ტაროს, რომელსაც ან სულ არა აქვს მარცვალი, ან აქვს ცოტა რაოდენობით, ღინკლას უწოდებენ¹.

როცა თმა დაიყვავილეს, ეს ნიშანია იმისა, რომ მარცვალი მაგრდება.

¹ ს. გავარდა შვილის ცნობით კი ღინკლა ნედლი, წყლიანი მარცვალია. — ნ. რ.

სიმინდს აქვს აგრეთვე ფერსო დაახლოვებით ოცამდე.

სიმინდის თესვა იწყება მარტის მეორე ნახევრიდან ან აპრილში. მიწას ხნავენ გუთნით და ერთდროულათ თესავენ კიდევ. თესლ ხელით აბნევენ. შემდეგ ნათეს გადაფარცხავენ. როცა სიმინდი დასამფოჩებულია, მას გათხ-
5 ნიან.

თუ მიწა თამამია, ერთ მარცვალს შეუძლიან ამოიტანოს რამდენიმე ნამ-
კვრევი. რომელიც ხელს უშლის სიმინდის ამოსვლას, ის უნდა ამოითოხნოს.

მარიანობის თვეში იწყებენ სიმინდის ამომტვრევას. ტაროვაცლილ ლე-
როს ფუჩჩის უწოდებენ, ხოლო ფოთლებისა და ქეჩჩისაგან გაცლილს—კლერტს.
10 ფუჩჩის შეკრავენ კონათ (კონაში ოცი-ოცდაათი ლერია) შალაფით ან წნელით.

სოფ. ოვია

54. ვენახის აშენება

აქ სუ სავენახე ადგილებია. ვენახი ახო ადგილზე უფრო კარგი გამო-
დიოდა, ან დიდი ხნის დაყამირებული ადგილი იქნებოდა. პირჩრდილში ყურ-
ძენი არ იწეოდა, პირმზეში კი კარგა იწეოდა.

15 ვენახი არც სუ ქვევით ქუანტშია კარგი, არც მთაში, ეგრე შუა ადგილიც.
ცოტა ფერდა-ჯობია, იგრე რო წყალი არ უნდა გუბდებოდეს.

როცა ვენახი აშენება გვინდოდა, ჯერ გავკრიდით შარებათ ორი ბარი-
პირზე. სიგანე სამი, ოთხი ბარი ექნებოდა. რქას კიდენა სამ ან ოთხს ერთ ად-
გილას ჩავაგდებდით, ზოგი იხარებდა, ზოგი არა. ერთ არშინ გამოუშვებდით.
20 კიდე სამ ან ოთხს ჩავაგდებდით და აგრე ბოლომდინ. მეორე შარი ორ სა-
ყენს იქით იქნებოდა.

მემრე ის რო იხარებდა, მეორე-მესამე წელიწადს გადავაწვენ-გადმოვა-
წვენდით, გადავწინავდით, დავაყენებდით სიმართლეში, მივაყოლებდით, ის
იქიდან, ეს აქადან ერთმანეთში გაიბმებოდა და აშენდებოდა ვენახი.

25 საცა ვაზი უნდა გადაგვეწვინა, იქ ორი ბარი პირ ამოიღებდით და ვაზ-
ჩავაწვენდით. წვერს იქ ამოუშვებდით, საცა აკლდა. ერთი ვაზი, ვინ იცის,
საიდან სად წავიდოდა. მიწაში გაცმული იყო სუ და ბევრ ღალას იღებდა,
არც გახმებოდა.

რქას ვარჩევდით საშუალოსა და იმ ვაზისას, რომელიც ნაქები იყო და-
30 დაგვარებული.

სამ წელიწად ვატონკებდით და მემრე ვაწვენდით. პირველ წელიწად ხო-
პატარა იქნებოდა, იხარებდა.

მიწის ზევიდან ორი კვირტი ექნებოდა პირველათ. პირველ წელიწადსაც.
- ისევ იქვე დავაყენებდით პატარას. მეორე წელიწადსაც ისევ დავაყენებდით.
35 ორ-სამ კვირტზე. თუ შნო აქონდა, აქათ-იქით გადავაწვენდით. მესამე წელი-
წადს მწკრივში გავასწორებდით და მეოთხე წელიწადს დავიწყებდით ავსებას.
ექვს წლამდინ უნდოდა ამის ავსებას.

თუ კარგათ იხარა და თამამია, შეიძლება დავაკაოთ, თუ დაღალია, მა-
შინ ისევ დავატონკებდით, რო გათამამდეს. მეორე წელიწადს (გავსებიდან).
40 დავაკავებდით, ექვს-შვიდ კვირტ მივცემდით და იქვე მოკლეთ დავაკავებდით.

თუ კაი თამამი ვაზი იქნებოდა შეხედულობით, ზოგს ორ-სამ რქასაც
ვაძლევდით, უფრო კი — ერთს. ნექსაც ვაძლევდით, უნეკოთ არ შეიძლება.

ნეკს ორი ან სამი კვირტი აქვს. ნეკს იმისათვის ვაძლევთ, რო შეიძლება გადაკავებულმა იქვე ახლო არ გამაიტანოს სამამულე. სამამულე ის რქა არი, რომელიც მემრის უნდა დავაყოთ.

ვენახს ჭიგვას უდგამდით, სარსაც უდგამდით. ჭიგვა გასხეპილი წვრილი ხეა, სარი — დახეთქილი მუხის მერქანი, ცილამპალი. 5

სვეს ვეძახით, იმითა ვყელამდით. მხრალსაც ვხმარობდით. მხრალი კაკლის ბაყილოსი და ფურცლის ნაკაფისაა. ვენახში ბაყილოები ყველას გვედგამხრალისთვინ.

თებერვალ-მარტში გავსხლამდით და აპრილში შავყელამდით, ყოტი რო გამოვიდოდა კარგათ. მემრე დავეკეტამდით კარებს, რო შიგ აღარაფინ შასუ-10 ლიყო თიბათვემდის. მემრე გავსხნიდით კარეფს, შავიტანდით სათიბლებს, გაუთიბამდით ვაზები ძირეფს. ბალახ ნაპირზე დავდგამდით ძირებათ. ისევ დავკეტამდით კარეფს. იყო ისევ დაცული ენკენისთვემდინ, სანამ ყურძენი მაიწყოდა კარგათ.

ძველათ ვენახში იშვიათათ ვთესამდით ლებუასა და მაგვარ რანეებს, უფ-15 რო მინდორში ვთესამდით.

რთველი იგეთ დროს ვიცოდით, რო ხან თოვლიც მოგვევიდოდა.

ვკრეფდით საკრეფლებში, გოდრულებში, კასრებში და მემრე გოდრებში ვყრიდით და ვეზიდებოდით მარანში (იშვიათ კაცსა-აქონდა ვენახში მარანი). ნავში ვყრიდით და ვწურამდით ფეხით. ნავი ხისა იყო, იშვიათ შაძლებულ 20 კაც ქვიტკირისა-აქონდა. ქვიტკირისას საწნახელ ვეძახოდით.

სოფ. ვეჯინი

55. ვაზის მოვლა და ურძნის ჯიშები

ვაზის წვენა უფრო მაშინაა კარქი, ვინემდისინ კვირტი გამოა, მემრე კი არა. მემრე მოადევს ჭიგვის ჭრა, ჩასარვა, მემრე, გასხლის შემდგომ, გათოხნა, დაკა-25 ვება, შემდგომ ახვევა, თან სწამლაც (sic). უნა მაიწამლოა ხუთ-ექვსჯერ მაინც, თუ ავდრებმა ხელი არ შაუშაღე. არ არის საჭირო, რო შამოდგომით გაისხლას, რადგან სიცივე შაატანს.

მარტში ამყნობენ და მემრე გააქთ და აშკოლავებენ მიწაში. ჯერ სათ-ბურში გამოჰყავთ. როცა მალდა ამოა, უმქვრევენ თავს. რო ამაიმართება, მემრე წამალ შააყოლებენ. მემრე, თუ გვალვამ შააწუხა, რწყამენ. პატარა რო 30 არის — შკოლკა აქვიან, რო ამაილებენ — ვაზი.

შამოდგომით ამაილებენ და დარგავენ პლანზე. დაისხამს მესამე-მეოთხე წელიწადზე. მეგრე თანდათან მატულოფს.

ქვეით რო ფოთოლ გავაცლით, იმაა ნამქვრევი ჰქვიან. ესაა საფურჩქნის მოცლა. მაგრამ მეორეზე ამააქ ნამქვრევი ისევ. 35

ბალახებიც ძიენ ბევრია, შვილო, ჩვენ ვენახში, მაგრამ ვებძვით ხომე. ბალახეფსა-აქვიან: ლოკლერტა, ლორიქალა, სამყურა, თავთავიანი ბალახი, შალაფა, თათრული ბალახი, ძუძუმაყვალა, მაჩტა ბალახი, ლავარძაღვა.

ტოტები რო გაუხმება ვაზსა. იმასა-აქვიან წალამი ნასხლავი. შთამამავ-ლობის გამგრძელებელსა-აქვიან სამამულე, ნეკი. 40

ვაზი რო ჭიგოს შემეფქდება, იმ წვრილ ღერებსა-აქვიან ვაზის მკაცანა. რითაც ვაზი ჭიგოათანაა დამაგრებული, იმას კიდენ ხარალი აქვიან.

ჩვენ სოფელში, ხოდაშენში, ცხრა ჯურის ვაზი ვიცი. ყველაზე ადრე გაბერნია მწითლდება, მემრე შავი მიჰყვება და შემრე ყველა სხვა: რქაწითელი, მწვანე, საფერავი, ჯანაანურა, თითა, შავი ყურძენი კიდენა საგვიანო, ბალ-ლინჯო ყურძენიცა გვაქვს.

სოფ. ხემო ხოდაშენი

56. მარცვლეულის შენასვა და ვენასისა და ბოსტნეულის მოყვანა ძველათ

ძველათ პურის შესანახი ამბარი და ბელელი არ იყო. ჭრიდნენ მიწაში დაბლა ორმუეფს. იმ ორმუეფს დაბლა ნამჯას უგებდით, გვერდზე კიდენ ფო-თოლს ავაკრამდით ხოლმე. მალლიდან ნამჯაჲ დაეფარებდით და მემრე ფი-ცარ დაეფარებდით და დაეყრიდით მიწაჲ.

10 დააწნამდნენ დიდ გოდორ და იმას გააღესამდნენ კამეჩის ნეხვით, გა-აშრობდნენ და შიგ ჩაყრიდნენ პურს. როცა დაჰკირდებოდათ, წაიღებდნენ და დააფქვამდნენ.

დააწნამდნენ დიდი წნელით სასიმინდეს და სიმინდი ტაროს ჰყრიდნენ შიგ; მალლიდან შალაფა იყო დახურული.

15 მაშინ მაკრატელი არ იყო ვაზისა, იყო სავაზე. რაც ახლა მაკრატლით ერთ დღეჲ გასხლამ, სავაზით იმაჲ ერთ კვირაჲ ვერ გასხლამ.

დავბარამდით გასხლულ ვენახს, შავყელამდით მემრე, დავთესამდით შიგ ლებუჲ. რო შამოილოდა ლებუჲ, დავგლეჯამდით და გამოიტანდით.

20 ვენახს მაშინ არა ეწამვლიდით, არ იყო წამალი. ნაცარი ვენახს აფუ-კებდა.

ბოატანს მაშინ რო დავბარამდით, გავაფწორებდით, ბალახი ხელით უნდა მეგვეწორებინა. მემრე ჯოხით უნდა ეგვემჩვილებინა ძირი ხახვითვინ. მო-ილოდა ხახვი. ხახვ რო ამოიღებდით, გალას დაჭწნამდით. ზოგ კიდენ დავაქ-რიდით თაჲ და იგრე შავინახამდით.

სოფ. ბუშეთი

57. ბოსტნეული და სილეული

ბოატანი, შვილო, ეგრე შამზადება ხომე: ჯერ აიღებენ და იანვარში და-ჰბარამენ საბოატნე მიწასა. მევრე თოვლი რო ჩამოა, მარტში დასთესამენ. პირველათ ითესება ნიორი და მევრე სხვა ბოატნეული.

30 ბოატნეულს ვეტყვით ხოლმე, შვილო, აი რომა გვაქ: ტაფილო, ქარ-ხალი, ხახვი, პამიდორი, კომბოატო, კიტრი, გოგრა, ქინძი, წიწმბატი, ნია-ხური, ოხრახუში, ქონდარი, რიანდი, ბადრიჯანი გჳელი, წიწაკა და მხალი.

ხახვ რო ზამთრითვინ შავინახამენ, დააწნამენ ხომე და ამაჲ გალა-აქვიანი. გალაჲ რო აკეთემენ, შიგ ხარალ ჩაატანენ ხომე (ხარალი ფურცლის ხის კანია).

35 ჩვენთან ათასჯურა მხალი იცის: დანდური, წეწნორი, თათრული მხალი, ნაცარქათამა, ქარხლის მხალი, შელგა და ხეჭეჭურა მხალი.

ჩვენში ეს ხილებია: მარწყვი, ხართუთა (დიდი თუთა), ქართული თუთა, ქროლა (შავი თუთა), მბალი, ალუმბალი, მწარე მბალი, ქერამი, გარგარი

(II გარგალი), ყაისი (კურკიანათ იქმევა, ქერამივით არი), ქლიავი, ღორქლი-ავი, თეთრი ქლიავი, ღოღნოშო, ჭანჭური, მსხალი (გულაბი, თამრო მსხალი, ხეჭეჭურა და პანტა), მაქალო (წვრილი ვაშლი), ბალტყემალა, ლელვი (გულა-ლელვი, რომელიც ადრე იხსმებდა), ატამი (სახრაავი, სახეჩი, საპობი); კომში, ბიაკომში (რომელიც მწარეც არის და ტკბილაც, შიგნით შირიმი აქვს ხოლმე 5. სატკივარსავეთ), ბროწეული (ტკბილი და მწარე), შენიდი და ზიმარტი (ბა-ლური და ტყისა).

სოფ. ზემო ხოლაშენი

58. საზამთროსა და ნესვის მოყვანა

ხამი ადგილი თუ არ მაიხნა, ისე არ ვარგა. ლამებს ვარჩევდით. სადამ-დისინ ტოტს გააბამდა, მანამდისინ ვთოხნიდით. რახან ტოტს გააბამდა, ბალს 10 მერე აღარაფერი უნდოდა.

ყალფუხი ბევრნაირია. შამხო არი თეთრქერქიანი. შასანახათა დიდი ხანი აძლებს ისა. ტკბილია ძალიან, თესლი თეთრი აქ, ხოლოთ მემრე გადა-იფერა. არი კიდენ წვრილი ყალფუხი. ამასა წვრილი თესლი აქ. თათრულიც კრელი ყალფუხია, ხოლოთ დიდი არ არი. კავკასურა ყალფუხი შავი ყალფუ- 15 ზია, გძელი იზდება. ყვითელი ყალფუხი იშვიათათ გამოვა.

ნესვი მალე იზდება და მალე ილევა. მუხანესვი საუკეთესოა და ტკბი-ლია. ოთმიში — ეს ისე ტკბილი არ არი. თეთრი ნესვი საუკეთესოა, მწვანე ნესვი კარქია.

თუ ყალფუხ წვიპურტს დაარტყამ და ბოხი ხმა აქ, ის მოწეულია. კარქი 20 მებალე ფერთაც სცნობს.

სოფ. ნაფარეული

59. დოლი

ცხვარი ზამთრობით შირვანში კვყავს, ზაფხულობით კავკასიის მთეფში ყველთვინ ცალკე იყო მოსაგები ცხვარი და მშრალი. დოლის დროს ღანე შავდივართ ბინაში ფარნით. ზოგი თავითავათ აჩენს, ზოგი ძნელათ არი, თუ 25 არ უშველეთ, ვერ გააჩენს. ზოგი ბატკანი უკულმა მოსულია და ჩვენ თითონ უნდა გავაფწოროთ გვამში და მაშინ გაჩნდება. ბატკანი როცა თავისუფლათ ჩნდება, მალა უნდა ჰქონდეს მალისყენ, მუცელი მუცლისყენ; წინა ფეხები და თავი წინ მოდის ნაშენობისყენ და ჩნდება თავისუფლათ.

ზოგი კი დაბრუნებულია შიგ ბატკანი, მუცლისყენ აქს მალა. იმას თუ 30 არ უშველეთ, არ გაჩნდება. ნაშენობაში ხელს შაუყოფთ და ამუაბრუნეფთ და მაშინ გაჩნდება; ბატკანიც ცოცხლათ რჩება და დედაც. თუ არ უშველეთ, არც ერთი არ გადაარჩება.

დილით მუაწუეფთ და გავრეკავთ ბალახზე დედეფს. საღამოთი მოვრე-კავთ და მუაწუეფთ. მემრე მოვსხლეტავთ წველვი დროს. ერთ თვემდინ ასეა: 35 მოვსხლეტავთ და ისევ შიგ ურევთ მეორე დღეს. ერთი თვის შემდეგ კავკასიის საძოვრებზე რო გავრეკავთ, მთლიანათ მოვსხლეტავთ და აღარ გაურევთ. ბატკანი სუ ცალკეა საძოვარზე და იმათი დედები მუდამ დლიურათ იწველება.

შემოდგომით ცხვარ ჩამოვრეკავთ და აქ გავპარსავთ. ბატკანი ნთაში
. იპარსება.

სოფ. ბუშეთი

60. ცხვრი მოვლა

სიცხეცა წყენულოფს ცხვარსა, სიცეცა წყენულოფს ცხვარსა, წყალიცა
5 (გუბე) წყენულოფს ცხვარსა. სიცეე უჩენს ყიყვ (ყელი უსივდება), სიცხე უფუ-
ქეფს ფილტვს. როცა დააცხება და სისხლზე მუა ცხვარი, თვალი ძირში სისხლ
გამოღუშვეფთ და გადარჩება ცხვარა. გაყინული ბალახიცა წყენულოფს ცხვარსა,
ქყლანტის ბალახიც წყენულოფს ცხვარსა. ქყლანტის ბალახი გააჩიჩრახამს
ცხვარსა.

10 ცხვარსა ძალიან ნელი მოვლა უნდა. კარგი მწყემსი უნდა ცხვარსა, რო
ხელი შაუწყოა, სიცხეში მარილი არ აქამოს. ბატკანს მარილი წყენულოფს.
რაც გაიქარვანფეს, ბატკანს ის უხარია; ბაკში არ უნდა მამწყვიდიონ. მაშინ
ბატკანი თამამოფს, უფრო კარგი გამოდის.

15 ცხვარი უნდა გაიპარსოა პირველათ აპრილში, მეორეთ მარიანობი თვეში,
მთიდან რო ჩამუა. მთაში მარტო ბატკანსა-აპარსამენ.

მთაში რო ცხვარი ავა, დაარჩევენ მაშინ: ბატკან ცალკე იყოლიებენ,
მშრალ ცალკე იყოლიებენ, საწველავი ცხვარი კი ბინაში ჰყავთ. წველის დროს
ბაკში შარეკამენ. დაწველვას რო მორჩება, ცხვარი გაშრება, მაშინ ერთათ
გაურევენ ისევ, ხოლოთ ყოჩები ცალკე-აყავთ. მთიდან რო ჩამოვლენ, და-
20 პარსამენ. მემრე მარილს აქმევენ და ენკენი თვეში ერთათ გაურევენ ყოჩსა
და დედალსაც. გაინერგება მაშინ დედალი ცხვარი (ბატკანი ცალკეა).

ცხვარს რო ავრეკამდით მთაში, მაშინ, რასაკვირველია, დავარჩევდით
და შაუდგებოდით წველვას: ცხვარს შავრეკამდით ბაკში, დავიქერდით, ცურზე
მოუქირეფ ხელსა და გამუა რაქ. ქვეშ ქვაბი უდგა. ქვაფს ბაკიდან მივაწვ-
25 დით ჩვენ უფროს (უფროსი არი სარქალი). ის ისევ გადმოგვაწვდის ქვაფს შიგ
ბაკში. როცა წველვაა გავათავეფთ, გამოუშვეფთ; ისევ ბალახზე წავა ცხვარი.
აძუეფს წყემსი და მეორე დილით ისევ მორეკამს ბაკში.

მთაში ბატკანს არ ვაწუეფთ.

30 მთაში ყველს ვაკეთეფთ. ყველს ეგრე ვაკეთეფთ: პარკი არი შეკერილი,
იმ პარკში რძეს გააწურამს, რო ქუჭყი, რამე არ შაყვეა რძეს. მემრე სადედ
რო უზამს რძეს, იმ პარკ დაარეცხამს. რო ჩადედდება ყველი, იმაა დაურეგს,
გაათქვეფამს. მემრე მაცლის შრატს. ამოიღეფთ, ისევ იმ პარკში გაჭწურამთ
ყველს და დავალაგეფთ მიწაზე; გაუშლით ქვეშ ფოთოლს და მალლიდანაც ფო-
თოლ დავალაგეფთ, ზეთ პატარ-პატარა ქვებ დავადეფთ, რო ყველი არ აფუვ-
35 დეს. მეორე დღეს ჩავალაგეფთ გულაში და დაეყრით მარილს. მოუკრამთ
მემრე გულაა პირს, რო ყველი დადულდეს შიგ.

შრატ მოჭხარამთ, ჩავასხამთ პარკში. როგორც ყველი გავაკეთეთ, იმ-
ჯურათ ვაკეთდება კალტი. წყემსის საჭმელი არის კალტი.

40 მოხარშულ შრატ დაუსხამთ მყეფრეფს. დავასხამთ გეჯაში და შქამენ,
შლაპამენ.

რო დაიკვლება ცხვარი, ფეხებ დავაპრით სახსრეფში და ჩაუტყავეფთ
ბარკლებ და დუმაა. მემრე დაჭკიდეფთ მალლა ხეზეთ. მემრე გავატყავეფთ

ლამაზათ, როგორც წესია. როცა გავატყავეთ, წინ ყელში გაუჭრით, რო სისხლი გამოიდეს, გასუფთავდეს. მემრე გაუჭრით ფალანგს (მუცელს), ამო-
ჭხვეწამთ წვრილ ნაწლევს; მემრე ამუაცლით ფაშეს, ამოიღეთ ჯიგარს. ცხვარს
გაჭკრით შუაზეთ, ფეშხვა-ფეშხვა გამუა. ფეშხვაა გაჭკრით კიდენა შუა-
ზედა; გამუა ფელიკი, ფეშხვის ნახევარი. ახლა კიდენა დაჭკუწოთ და მო- 5
ჭხარშოთ.

სოფ. ქვემო ხოდაშენი

61. ცხერის ჰარსვა

მცხვარს პარსამენ წელიწადში ორჯელ: შამოდგომაზე და გაზაფხულზე.
პარსამენ დუქარდით. ერთ მცხვარს რასაც გაპარსამენ, დააგორგლებენ და
ნაპარსი ძქვიან. ბევრი ნაპარსები ერთათ ბარდანაა. მერე მატყლ აიღებენ, 10
გარეცხავენ. ბატკნის მატყლი კარგია, რბილია. დიდი მცხვარისა გრძელბეწ-
ვია, ფახაცია, ხმელია.

გარეცხილ მატყლ გაფენავენ ლასტებზე, გააშრობენ. მემრე დასწეწავენ,
დაჩეჩავენ საჩეჩლით. საჩეჩელში რჩება ნაგული. დაჩეჩილ ფთილებს ართამენ
ტარზე. ტარს აქ კვირიტავი. მერე ორ ტარს რო გაამსებენ, ერთათ ამოახ- 15
ვევენ გორგლათ.

მერე შეიძლება დაგრჩხონ (დაძახვა-ძქვიან), დახიფონ და მოქსოვონ ჩხი-
რებზე წინდები ან შალეები.

სოფ. შალაური

62. ღორის მოვლა

ზამთრის პერიოდში ღორს ბინიდან გვიან უშოფთ. სალამოს ადრე შა- 20
გვიდის მაინც სიცივის გამოთ. მაისის თვეში გვიან უშეფთ ბინიდან, ბაკიდან
(იციან ძილი). მაგის შემდეგ თვეფში ადრე იშლებიან, ცისკარი რო ამოდის,
მაშინ. სალამოთი შაგვიდის გვიან.

დაგოქიანებაზე ბინა უნდათ თბილი, რო გოქი არ დაგვიცივდეს. ორ
თვეა წოვს გოქი დედას; მერე ფსხლეტამთ, რო ღორებმა მალე იმაკონ. 25

ასხლეტილ გოქეთს ვაქმეეთ ქერს; მის შემდეგ, რო შეეჩვევიან, ვაქმეეთ
სალაფაეს. მერე გოქეთს საერთოთ აღარ შავრეკამთ ღორში, დაგვიდის ცალკე.
რო ღორში შავრეკოთ, უქმენენ გოქეთს და ვერ გამოვკეცებამთ დედებთან კარგათ.
უნდა იყვნენ ცალკე, რო კარგათ გამოვკეცებოთ და მივიღოთ მეტი შენარ-
ჩუმება. 30

ზაფხულის პერიოდში გოქი უნდა ვაძოოთ სიგრილით, წყალზე უნდა მი-
ვიყვანოთ ნახევარი საათის განმამავლობაში. თუ წყალი არ არი ახლოს, მაშინ
უნდა ვნახოთ კარგი გრილო, რო არ დააცხეთ და ამით არ მივიღოთ ზარა-
ლიანობა და ჩვენზე დაყვანილი გეგმა შევასრულოთ პირნათლათ, რომ ჩვენც
ვისარგებლოთ და სახემწიფოც ვასარგებლოთ ჩვენი კარკი მოვლით. გეგმის 35
შასრულების შემდეგ ჩვენც ვიღებთ პრემიას.

ნადირი საერთოთ ეტანება წვრილფეხ საქონელს. ნადირი ხედამს შორს,
თუ არის ვაკე ადგილი, და მიდის დასაზარალებლათ. წყემსი უნდა იყოფ ფხიზ-

ლათ, რო ნადირმა არაფერი არ მოაპპაროს. უნდა ჰყავდეს ძალლი აუცილებ-
 ლათ, იმიტომ რომ, წყემს რო ძილი მოერიოს, დეეძინოს, ძალმა გაიგოს-
 დაიყუფამს ძალლი, წყემსიც გაიგეფს, წამოხტება და დაუყვირეთს ნადირს-
 ამით ძალლიც გათამამდება და ზედმეტათ მიიწევს ნადირზე. თუ კიდენ არ
 5 მუასვენეთს ნადირი, მემრე იხმარეთს წყემსი იარაღს. თუ ჰხედამს, წორათ ესე-
 რის, რო მოკლას. თუ არ ხედამს და ბნელა არი, გაუტლის, რო წავიდეფ და
 მოსცილდეს ამ ფერმას. წყემსი უნდა იძინებდეს რიგრიგობით. იმავე დროს
 დაძინებულმა წყემსმა უნდა იფხიზლოს, თავზე არ უნდა დაიხუროფ ნაბადი-
 იმიტომ, რომ ნაკლები სმენა ექნება მაშინ და მოეპარება ნადირიც და მტე-
 10 რიც. ამიტომ ძილი რო მეერეფა იმას, რომელიც ყარაულოფს, უნდა გააღვი-
 ძოს ის, რომელსაჲ ძინამ. მაშინ იქნება სამწყემსო დაცული მტრისაგან.

სოფ. ბუშეთი

63. კარაქის დამზადება

რძეს ჩავასხამთ ქილაში. იქ ჩაჩუმავდება, ჩაწეება, როგორც მაწონი. ჩა-
 მომბული გვაქ სადღეებელი. მივიტან ქილას იმასთან, დაურევ კოვზს, გა-
 15 ვთქვიფავთ, ჩავასხამთ სადღეებელში, მერე შავდღეებამთ. მერე მოვა კარაქი.
 ნახავენ კოვზით. ჯერ ფეტვი მარცვალივით დაიყრის, იმას ვეტყვით აჩნდაო.
 მემრე, თანდათანობით, ისევ ვდღეებამთ და დამსხვილდება. მემრე, სიმინდი
 მარცვლისტოლა რო მაინც არი, მაშინ ნელა-ნელა ვაწანწარებთ სადღეებელს
 (მორყევას ვეძახით). მოვიტან ბადიას და ამოვიღებ კარაქს. სითხე რო დარ-
 20 ჩება, ეწოდება ჩუმა. ჩუმას ჩამოვასხამთ ქვაბში სადღეებლიდან, დავდგამ ცე-
 ცხლზე და მოვათბობ. პარკში ჩავასხამ, ჩამოვიკიდებ და მალლა გაიწურება,
 გაკეთდება ხაქო.

64. ყველის გამოყვანა

თფილ რძეს უნდა უყოთ ყველის დედა—დერიტა ბატკნისა. იმას დაჰქ-
 25 რიან წვრილათ, ქილაში ჩაყრიან, ზედ დაასხამენ წყალს, ორი დღე უნდა
 იდგეს, შამყავდეს. სამ ხელადა რძეს უნდა უყოს ერთი ღვინის ჭიქა, ჩასხამ
 და ურევ, დაუტდი ნახევარი საათი, ისევ დაურევ. დაურევ ჩაწოლილ დელა-
 მას (საყველეთ რო ჩადედდება). დაურევ კოვზს და დაბლა ჩაწეება ყველი.
 მალლიდან შრატს მაიგდებს, გადაწურამ იმას და ჩაწეება ყველი. ჩავასხამ
 30 პარკში და გავწურამ, გამოვიყვან ყველს.

სოფ. ოკიო

65. მებაბრეშუმეობა

უნდა მათბუნონ ოთახი მარტის ოც-ოცდახუთი რიცხვისათვის ან აბ-
 რილში, იმ დროს, როდესაც ფურცელი უკვე დიდია და შაიტანონ ქიაობა.
 ვიდრე პარკს გაიკეთებდეს, ქიაობა ამოვა ოთხ ასაკში.
 35 პირველ ასაკში მურია და მიღების მესამე დღეს გათეთრდება და გა-
 დავა მეორე ასაკში. როცა პირველათ კანს გაიხდის, მაშინ გამოვა მეორე ასა-

კიდან. მესამეთ, კანის გახდისას, იგი გადავა მეოთხე ასაკში და დაიწყებს პარკისტინ კამას.

ქიას, ვიდრე მესამე ასაკამდე მივიდოდეს, ფურცელ უკუწამენ და ისე უყრიან, ხოლოთ შემდეგ ასაკებში კი კენწერს აკმევენ. ნაძირის გასუფთავება ასაკიდან ასაკამდე ხდება. 5

მესამე ასაკამდე ქია ან მაგიდაზე ან ტახტზეა გაფენილი, მესამე ასაკიდან კი გაზდილ და გამრავლებულ ქიას ლაატებზე გადაფენამენ ისე, რო შალაოთათ იქნებიან.

ოთახში სიგრძივ ამართავენ ოთხ ბოძს. თითოულ წყვილზე მიაკრავენ ჯოხეფს — სიგრძის ლატნებს. ლატნებზე გადებენ რამოდენიმე ჯოხს — ქიგო- 10 ეფს, რომლებზედაც დააგებენ ლაატსა.

ლაატი შემდეგნაირათ კეთდება: მიწაში თითო ცილაზე ჩარქმულია რამდენიმე ჯოხი — მანები, ამ მანებზე კი წნელით სწნამენ ლაატსა.

ლაატზე გაფენენ კულმუხოს ფოთოლს ან ქალაღს და ზედ ქიას გადაფენენ. სართულს (ლატანი, ქიგო და ლაატი ერთათ) ეწოდება გარინგა. მო- 15 წყობილობა ქიის გასაფენათ ჩვეულებრივ სამგარინგიანია.

ქია რაკი საპარკოთ დაიფინება, აღარ შაიძლება მისი დაძვრა, რადგან ბლანდი გაუწყდება და დაკუტდება. როდესაც ნახავენ ნიშანს, ქიაობას გარშემო შემოუდებენ რცხილის, შელგას ან სამყურა ბალახის სანაპიროს. სანაპიროს შეკრავენ ხარალით. შეკვრის შემდეგ შაცახამენ. 20

სამ დღეზე ქია ცახში შაიხუნწლება, გააბამს ფელას და გააკეთებს პარკს. ცახეფში ჩაუწყობენ ფოთოლს, რომ ქიას არ მოშიედეს. ხანდახან ქიას არ ყოფნის ცახი, მაშინ მას სამატს მიაყრიან (მიადგამენ კიდევ ერთ ცახს).

დარჩება ხოლმე პატარა, გაუზღელი ქია მანანა, რომელსაც გამოამანანავენ (გამოაცალკევენ) სხვა ლაატზე და შემდეგ შაცახამენ. 25

მერე, ორი დღის შემდეგ, დაგლეჯენ ცახებსა და პარკს დაასუფთავენ.

სოფ. ოეიო

66. ქიაობა

პირველი მოსავალი ქიაობისა იწყება მაისში.

თესლ გამაიტანს ჩვენი რაიაბრეშუმის გამგე და ლუმელიან კამერაში გა- მაიყვანს ქიას. ძაან წვრილი გამოვია და მური ჰქეიან. მერე მოიტანთ იმაჲ 30 სახში. მერე ქერქი უნდა გაიძროს. მერე სამი დღე უნდა ქამოს ფურცელი და მეორეთ ისევე იცდენს (უყრიათ და არა შქამენ). მეორედან ამოა, შქამს კიდე სამი დღე, მერე მესამეთ და მეოთხეთ რო ამოა, ვეძახით ქერქს (ქერქიდან ამოიდაო!).

ქერქის შემდეგ იწყებს ხუთ დღეზე აბრეშუნის აღებას. 35

ხუთი დღის შემდეგ გავაკეთებთ სანაპიროს (ერთმანეთზე დავაწყოფთ ტოტეფს და დავამაგრებთ ხარალით). მემრე გარინგას უკეთებთ იმიტვინ, რო ზედ დავსხათ თხლათ.

სანაპიროს შემდეგ ჩაუდგამთ ცახეფს, შაკონილია ხომე გონგოლის ცახი- მევრე ის გააკეთებს პარკს. რო დავატყოფთ, რო გამამგრდა პარკი, დანარჩომ 40 ქიებს გამოვსხავთ და იმასა-აქეიან მანანა (ნარჩენი ქია). ქერქიდან გამოსხ- მასა-აქეიან გამომანანება.

მერე ის პარკი იქნება ხუთი დღე იგრე. მერე ცახს ცალკე გადმოიღეფთ, პარკი ზედ ასხია, ნაძირს კი გადმოიღებთ გარეთ.

სოფ. ზემო ხოდაშენი

67. მეფუტკრეობა

ჩვენში ფუტკარი იწყობს გამრავლებას თებერვლის თვიდან. დედა ზძლებს 5 სამი-ოთხი წელიწადი, რომელიც დღე-ღამეში სამიდან ოთხ ათასამდე კვერცხსა ზდებს. კვერცხებს მუშა ფუტკარი ასაზღოებს. არის სამგვარი უჯრა: სამამლე, მუშა ფუტკრისა და სადედლე. მუშა ფუტკრის უჯრა ყველაზე პატარაა, მამლისა მორდილაა და ზეით ამობურცული.

გაზაფხულზე დაბერებული დედა იწყობს კვერცხის დებას, გაძლიერებას, 10 რო ფუტკრების რიცხვი გაზარდოს. მაშინ აკეთებენ სადედო უჯრებს.

ფუტკრები რო ძაან ბევრნი გახდებიან, სკას შეემატება მალაზია. აქ თაფლი შეაქვთ. სკის ქვემოთ კვერცხებს დებენ.

ფუტკრები რომ გამრავლდებიან, იყოფიან ოჯახებათ. როცა ფუტკარი ოჯახებათ გაიყოფა, ჰქვია ნაყარი. ნაყარს იძლევა ერთიდან სამამდე.

სოფ. იყალთო

68. პურის ცხობა

თონეში ჩაყრიან ან ჭიის ნაძირს ან ცახს ან წალამს ან ფიჩხს. ცალკე დამტვრევენ ფიჩხ, დააწყობენ რკინაზე და წაუკიდებენ ცეცხლს. როდესაც მოეკიდება, ჩადებენ თონეში, ზევიდან კიდევ დააყრიან და როცა კარგათ წეკიდება, რკინას ამბაცლიან. თონე გახურდება, გაწითლდება და ფიჩხი ჩა- 20 იფერფლება. მერე მოუჩხრიკნიან დამწვარ ფიჩხს და მოაქუჩებენ შუაგულში. შემდეგ თონეს მოასხურებენ მარილიან წყალს (ეს ხდება ათ დღეში ერთხელ), რაზედაც იტყვიან: — თონეს ვაჭამე მარილიო. ვიდრე ჩააკრამდნენ ცომს, ფიჩხს აყრიან სველ ნაცარს, რო პური არ აილანძოს, არ აბებრდეს. ამის შემდეგ იწყება ცომის ჩაკვრა. ცომი კი წინასწარ არის მზათ.

25 ცომს ზელენ ოთხკუთხედ ხის ჭურჭელში — ვარცლში. გაცრილ ფქვილს გადმოსწევენ ვარცლის ცალ ხაროზე, დაასხავენ წყალ და ჩაედებენ ხაზს. ხაში კარგათ უნდა დაიჭუნოს (დაისრისოს) წყალში, რო ყველგან მეედოს. მერე აკვეთამენ. პურის კარქმა მცხობელმა უნდა ზილოს ნახევარი საათი. მოზელვის შემდეგ ცომს დაატეპნიან, ზედ საფანელს წააყრიან, ხელით ჩაასვამენ 30 ჯვარს და დაახურავენ სუფრას (რაიმე გადასათარებელს). გაფუების შემდეგ ამოიღებენ, გააკეთებენ გუნდეფს, დააწყობენ ორომზე და იწყებენ ჩაკვრას.

ჩაკვრა იწყება თონის ზეიდან. პირველათ ჩააკრამენ ლავაშეფს სიგრძივ, შემდეგ კი პურს ან შოთს (შოთი პურზე გძელია და ცხებება ზღვენისათვის, 35 საერთოთ ვინმეს პატივსაცემათ). პურს განივით აკრავენ.

თუ პური (გამომცხვარი ან გამოუცხობელი) კედელს თავისით ააშორდა, იტყვიან: — პური თაფზე დგაო, თუ ჩავარდა, მაშინ — პურმა ითაფაო. გამო- უცხობელ, ჩავარდნილ პურ კუტს უწოდებენ, ხოლოთ კედელზე დარჩენილ

ქერქს—ქერქეველას. ქერქეველაზე შეიძლება ახალი ცომის დაკვრა. ასეთი პური ქერქეველა იქნება. თუ პურის ზედაპირი ჩაკერისთანავე დაიწვა, იტყვიან: — პური დაბებრდა, აიტკრიცა, აილანძაო.

პურის სქელ გვერდს ყუა ეწოდება, თხელს — ფრჩხილი.

როდესაც პურის ჩაკერას გაათავებენ, ნაცარს მისწვევ-მოსწვევენ, რო თონე 5 არ გაცივდეს; ამას უძახიან: თვალი აართვი, ან თონეს თვალი უყავო!

პურის ცხობის დროს ცომი რომც გათავდეს, დიასახლისი არ იტყვის: „არ-ალი“, იტყვის: „სამსეთ არი“.

პურის აძრობა ხდება შამფურებით. შამფურები ორი სახისაა: კავიანი ან 10 კაუქიანი ასაღებათ და პრტყელი ან პირიანი ან ასტმინი ასაფხეკათ.

გამომცხვარ პურს გასაცივებლათ ისევ ორომზე ან ტომარაზე დააწყობენ, შემდეგ კი შეინახავენ. ზაფხულში ლაატზე გაფენენ, ზამთარში კიღობანში ჩააწყობენ.

სოფ. ოეო

69. თონის პური

ხორბალს ცხრილში გავაკეთებთ. ცხრილი, როგორც საცერი, იგეთია. 15 ირგვლივ ხე აქს. ბადე მავთულის ან თასმისაც არი, თხილის ტოტსაცა-აწნა-შენ (თხილი ტოტ დაათლიან წვრილათა). ცხრილში ხორბალ თავის ფერფლ მოვაცილებთ, ზემოთ მოიგდებს ხომე.

გამოარჩევთ სუფთა ხორბალსა, წაიღებთ წისქვილში, დაფქვამთ იქა. ჩამოიტანთ ფქვილს, გავაკეთებთ ხაშს. ხაში ძველი გვაქვ შანახული პატარა. 20 მერე იმაგ გავახლებთ. ძველ ხაშსა თბილ წყალ დავახამთ, მოვზელამთ, ცოტა ფქვილ დავამატებთ, მერე დავდებთ და გაფუვდება. ზემოდან ეხლა მარტო სუფრას გადავფარებთ, ზამთარში შალს დავხურამთ ხომე, არ გაცივდეს. მერე, რო გაფუვდება, მოვზელამთ გაცრილ ფქვილში.

საცერი ძუისაც არი, ბალახისაც და მავთულისაც (ბალახისაც არი, მაგ, 25 მააწვლი შენა!). გვაქვ ფქვილი (საფანელსაც ეძახიან) და ქატო. ქატოსა ვაქმევთ ღორ, ქათამ, ზოგჯელა აცხობდნენ კიდეც, გაჭირვები დროსა.

ფქვილს ვინახამთ კოდში. კოდი ხისა არი გათლილი, გურგვალა, შიგ გული გამოღებული ააქ და ძირი გაკეთებული. ფქვილსა ზოგჯელა ბოქებში, ყუთში ინახამენ ხომე, რომელიც არი სამკოდნიანი...თექვსმეტკოდნიანი. თექვს- 30 მეტკოდნიანში ხორბალს ვინახამდით.

ცომს მოვზელამთ ვარცლში ბევრსა, თაბახში ცოტასა. ზამთარში ვარცლში ვზელამ, მეტ გამუაცხოფ ხომე, გრილია და პური არ გაფუვდება. თაბახსა უწინდულათ ხონი აქვიან, თაბახსაც ეძახიან. ვარცლი გძელია და თაბახი გურგვალი, აი, როგორც ტაშტები, ეგეთი გურგვალაია. წყალი თბილი უნ- 35 და იყვეს. ზოქს ცხელი წყალი უხდება. ქედის პურები იყო ისეთი, რო ცივ წყალში სუ თონეში მიდიოდა, თონეში კუტებათ ცვივდებოდა. ცხელი წყლით ვზელამდით და მაშინ კარგა დგებოდა. იგრე ცხელი იყო ხომე წყალი, რო ხელს წვავდა. წყალი მარილიანი. როგორც ფლავს უზამთ, ისე წმინდა მარილი უნდა. როცა ხაში მქადისა, მაშინ მარილი მეტი უნდა.

ძველი ხაში რო გვაქ, სიმინდის ფქვილს ავმდულრავთ და შეურევთ ძველ 40 ხაშ, მერე გაფუვდება და ხაშია ფქვილის მოსაზელათ.

მოზელის დროს ხელი რო ისვრება, ასტმით ვიფხეკამთ ხომე. ასტამი რკინისა არი, პირი ააქ. ხან დანით ჩავიფხეკამთ ხომე ხელეფს.

რო მოვზელამთ, გაფუვდება. ამ დროსა წავალ, გავახურეფ თონეს. თონე გურგვალა თიხისა, შიქ შეშასა, ფიჩხს ჩაყრით, ამითი გავახურეფთ. და-
5 იწვება ი ფიჩხი, შეშა, მერე შავაქუჩეფთ, თავს მოუყრით, მერე ნაცარს მო-
აყრით ცეცხლს, რო მონელდეს თონე, ხელი არ დაგვეწვას, პური არ და-
გვეწვას.

თიხის თონეს გარედან აგურები ააქს შემოწყობილი, ან მოლესილი ააქ. მერე შემოწნულია, მიწა ჩაყრილი შიგა და დაძეკილი, დატკეპნილი. თონის
10 სიმაღლე ზოგი მეტრაზე ცოტა მეტია, ზოგი კიდე უფრო დიდია. თონე მა-
ნამ შავია, სანამ აკლია ვახურება, და, რო გაწითლდება, ვახურებულია.

ვარცლს გვერდებზე განივად უგძელდება ფიცარი ზედ ცომის დასა-
დებათ, გუნდის დასადებათ.

ვახურებულ თონეს განსაკუთრებული მოგძო და მომრგვალო ცოცხით
15 ასუფთავებენ. გუნდას აკეთებენ ვარცლის გვერდით გაგძელებულ ფიცარზე. გააკეთებენ შოთს და მიაკრამენ კიდეც თონეზე. ერთს რომ მიაკრამენ, მერე იწყებენ მეორის აგუნდავებას. აცხოვენ მოგძო პურებს, შოთებს.

ერთი მხარე პურისა, შედარებით მეორესთან, მსხვილია. მსხვილი ნა-
წილი — ყუაა, თხელი — ფრჩხილი.

20 მიკვრა თონის ზევითა ნაწილიდან იწყება. ზემოთ მიკრულ პურებს პირი-
პურები ქვია.

გუნდის გაკეთებისთვის საჭირო ფქვილი თონესთან მიაქვთ საფქვილეთი.
საფქვილე ხისაა, აქვს ტარი და ნიჩფის მსგავსი პირი. ნიჩაფს გავს, მაგრა
აქათ-იკიდან ამას ბაგა ააქ. ნიჩაფი სწორი არი, ამი ტარი მოკაუჭებულია ბო-
25 ლოში ჩამოსაკიდებლათ.

პური რო ჩავარდება, იმ პურ კუტს ვეძახით. თონეში ცეცხლ მაშინ
ასწორებენ. პური რო ვარდება, გამომცხობს ეტყვიან: — იმ პურ ხელი მი-
ეციო, მიეშველე, არ ჩამოვარდესო. საშუალო თონეში ოზდახუთამდე შოთი
ეტევა; დითში ერთი ოჯდაათი, ორმოცი მაინ ჩეეტევა, პატარაში ოცი ჩავა.

30 თონე პირლია არ შეიძლება, უნ დაფარებული იყოს. შიგ სითბო უნ და-
ტრიალდეს და იმიტომო.

ხონს ასტმით აფხეკავენ ხოლმე. პური მოსახდელი არი ორნაირი: ასტ-
მიანი და კავიანი შამფური. ასტმიანის პირი ასტამს გავს, კავიანი კი მოკა-
უჭებულია. ორივეს გრძელი ტარი ააქს. ვარცლის ბოლოებზე მიკრულ ცომსაც
35 ასტმით ფხეკენ.

(ზარმაც აღამიანზე იტყვიან: — ასტმით ასაფხეკიაო, ესე იგი ეძნელება
აღგომა, ძალით უნდა ააყენო სამუშაოთ, ისე უნდა აფხიკო, როგორც
ცომი).

თონესთან საგველასაც მიიტანენ ხომე. მინდორში მოდის ჩალა და იმი-
40 სას ვაკეთებთ საგველასა. საგველა პატარა მოცულობის ცოცხია, იმავე მოყ-
ვანილობის, მომრგვალო და მოგრძო, როგორიც თონის კედლების მოსასუფ-
თავებელი ცოცხია. ასტმით აფხეკილს იმ საგველათი მოაგროვებენ, ააგუნ-
დავებენ და შეინახამენ ხაშათ. პური იმ დრომდეა თონეში, სანამ გაწითლდება.
დროს განსაზღვრა არ შეიძლება, ცეცხლზეა დამოკიდებული.

გამომცხვარ პურს ინახამენ კიდობანში, ყუთში. გამომცხვარ პურს თოდან ტაბაქე ამოიღებენ. ტაბაქი ხის არის მრგვალი.

სოფ. ახალსოფელი

70. ლეღვის ჩირი

როცა ლეღვი მწითს, ავალთ, მოვკრეთ, ვედრა იქნება თუ კალათა (წნელის კალათა), ჩავყრით შიგა. მერე დავფრცქვინით, დავალაგებთ ლასტზე (წნელისაა ისაც) ან ხახალზე. მემრე ავაგებთ ჩხირებზე, ავასხამთ ზედა (ჩხირი ტოტებიანია), გახურებულ თონეში ჩავკიდამთ შესაწველათ, მაგრამ ის როდი კმარა! მერე ამოიღებთ იქიდან, დავაწყობთ ისევ ლასტზე წყობისათ (თითო-თითოთი გალაგებული) და მზეზე დავდგამთ. მემრე მზიდან რო ავიღებთ, შავინახამთ ყუთში ან სადმე. ცოტა ჩაიშაქრება ჩალაგებული (იქ ისე ჩავყრით, 10 წყობისათ არ დავალაგებთ). მემრე ამოიღებთ, დავსხდებით და ქვით დავძეკამთ. ქვეიდან უღევ პტყელი ქვა, ზეიდან წვრილი ქვით დავძეკამთ. მემრე ხელით დავაპტყელებთ, ერთიმეორეზე მივატმასნებთ, ავასხამთ ბამბი ძაფზე დიდი, სხვილი ნემსით და ევაა ლეღვი ჩირი.

სოფ. ახაშენი

71. ნიერის წნილი

რო ამოიღეთ ნიორსა, მოაქრით თავსა და ჩავდეფთ ქილაში. დავასხავთ წყალსა და თხუთმეტ დღეა უნდა იდგეს ქილაში და მუდამ დღე წყალი გამოუცვალათ. მერე წამოვყრით და დავარჩევთ. რაცა აქ უხეირო ფოჩი, ნაქუჩი, დავაცლით, აი, რო გავფცქვინით, ისე. მერე სანელეფს დავადეფთ: წვანის, მარის და იქნება თავის დრომდინა. აღარათელიც აღარ უნდა მემრე. 20

სოფ. ახალსოფელი

72. კასური ურემი

რკინის ღერძიან ურემს აქვს ორი ძირითადი ხე — ხელნები. ხელნებში გაყრილია შვიდი ჯოხი — დანდლები. დანდლები რო არ გამოძვრეს, მაში ჩარკობილია ფარეშები და დაფარეშებულია. ხელნეფში კიდევ ჩასმულია ქალები, თითო ხელნაზე — შვიდ-შვიდი. თითო შვიდეულზე ჩამოცმულია გძელი 25 ჯოხი — ზეწარი, წინა ორ ქალაზე კი კოფოა. დანდლებზე გალართხულია ფიცრები. ხელნების უკანა ნაწილზე დაკრულია უკანა კოფო, რომელიც დაბურავებულია წნელის გასაყრელათ (წნელს ბარგის დასამაგრებლათ ხმარობენ). ხელნები წინ ერთმანეთზე გადაქდობილია (ისე ითლება, რომ გადაექდოს) და მას ურმის ყელი ჰქვიან. თუ ის გადატყდა, მას მიაკრავენ. ამას ყელის მოკე- 30 რებას უწოდებენ. ნაწილი, სადაც უღელია გაყრილი, თავთხეა. ის გახვრეტილია და სატაბიკე ეწოდება. სატაბიკეში გაყრილია ხის ჯოხი — თავთხის ტაბიკი — იმისათვის, რომ უღელმა განზე არ გაიწიოს. უღელს აქვს ორი საქედური (ამოზნექილი ნაწილი). თითო საქედურში ჩასმულია ორ-ორი ტაბიკი. ტაბიკის ქვედა ნაწილი დამქდეულია (ჩათლილია) და მაზე გაბმულია სამალდე. ხელნას 35 წინა ნაწილზე ჩამოკიდებულია ბოძი — კონკილა — ხარებგამოშვებული ურმის დასამაგრებლათ.

ურმის თვალი შედგება მორგვისა, სოლებისა და ფერსოებისაგან. მორგვი მრგვალია, მაზე ამოთლილია ოთხი მრგვალი ზოლი ფიგარები. იმისათვის,

- რომ მორგვი არ დასკდეს, ფიგარებს გადააკრამენ რკინის სალტეს. მორგვს აქვს მოგრძო ხერელები (რიცხვით თორმეტი), რომლეფშიაც ჩასმულია სოლები. სოლების მეორე ბოლო ჩასმულია ფერსოში. ურმის თვალს ოთხი ფერსო აქვს, თითო მათგანს რკალის ფორმა აქვს, ერთათ კი ქმნიან წრეს. სოლები რომ ფერსოში მქიდროთ იჯდეს, მას ბრმა სოლეფს უკეთებენ. ამას დაბრმა-სოლავებას უწოდებენ. ფერსოებს ვიდრე რკინას შემოაკრამდნენ, მათ შორის ტოვებენ ადგილს, რომელშიაც სოლებს ჩაურკობენ. ეს იმისათვის კეთდება, რომ რკინის შემოკერის დროს თვალი შემქიდროვდეს. რკინის შემოკერას და რკინვა ჰქვინა.
- 10 ხის ღერძიანი აგებულებით ისეთივეა, მხოლოდ ღერძი მრგვალია და ურემზე წნელით არის მიმაგრებული. ღერძი ხელნეფს საყენებლებით უმაგრდება. იმისათვის, რომ ხელნა არ გაცვდეს, საყენებლეთს შუა ფიცარია, სახელათ წურბელა. ხელნას ის ადგილი, სადაც ღერძი ბრუნამს, გამოთლილია და სადუმე ეწოდება. ღერძი გაყრილია მორგვში. თვალი რომ არ გამოვარ-
- 15 დეს, ღერძში გაყრილია ტაბიკივით ხე — ქინქილაჭი. ვიდრე ქინქილაქს გაყრიდნენ, ღერძს ჩამოაცმევენ რკინის რგოლის ფარს.

სოფ. ოვიო

73. თიხის ჭურჭლის დამზადება

- მოვიტანთ თიხას, გავფენამთ მზეზე და გავახმობთ. შავზიდამთ გომურში იქ პატარა სტოლაა (ამოთხრილია მიწა და ფიცრები აქ შემოხუხულავებული) დავალობთ სტოლაში. რო დალებმა, ამოვიღებთ ნიჩბით, დავხელამთ ფეხით, ზედ უშვრებით ლამს ალაზნისას (პატარა კალოზე ყრია, სუფთა ალაგზე). ჯერ ავზელამთ ერთხელ, ავკრით პატარა ხანჯლით პრტყლათ ფიცრებათ, შემდეგ კი ამას დავხელამთ ხელით, როგორც ცომს. დავარჩევთ, თითო-თითო კენქვილებთ, რო ქვა არ შაყყეს. ისევ ვკუწამთ, ვეტყვით გუნდებს. ამ გუნდას და-
- 25 ვაკრამთ პატარა ჩარხზე (რგვალია, როგორც თვალი, აქ ღერძი). ჩარხზე აბიჯებენ ფეხ და ვატრიალებთ. ზემოდან კიდე პატარა თავი აქ ამ ღერძ. ჩარხზე ზევით გუნდას დავაკრამთ. გვიდგა ჯამი წყლით. ვისველებთ ამ ჯამში ხელ, უჭირებთ ხელის ნებ და ამოგვყამ გუნდა თანათანობით მალლა, უკეთებთ თანათანობით პირს. ორი დღი შემდეგ ვაბამთ ყურ. ავილებთ ლოფ-ლოფს-
- 30 და გადავდგამთ. ჯოხზე მოვაბამთ ძუას, იმით ვაჭრელებთ. მზეზე იჭრება გრილოში ვაშრობთ. ერთ თვეში ვწომთ.
- არის ქურა. ქურაში დაუდებთ ბოლ, ნელ-ნელა უნდა გათბეს. როცა შევატყობთ, რო დაიწო, შეუკეთებთ საალე შეშას. ეკიდება ჭურჭელ ცეცხლი-ფიგურებ აკეთებენ წერნაქით (ის არი სანიორეში და პატარძელში);
- 35 ყვითელია, როგორც კვერცხი გული, მიწიდან იღებენ. გავქნით წყალში დაწაუსობთ. აჭრელებენ აგრეთვე თოგალით. ტყვიას და წმიდა შუშას ფქვამენ, ჯერ წომენ, უნდილათ ამაავლებენ და ხელმეორეთ დაწომენ. გამოდის ქაშანაური. იმას მეტი ღირება აქ. ამათ უნდა ერთი საქენი შეშა.
- როდესაც ჭურჭელს გადის წყალი, ამაგრებენ კოწიწით; გაცრიან კირს-
- 40 და რძესა და ბამბასთან დანაყავენ, დააკრამენ და დაამაგრებენ. ქიქილას უფრო ქაშანაურისგან ამზადებენ.
- ქაშანაურიდამ ჯამებ ამზადებენ თალლაურში, ქვევრებს — ვარდისუბანში.

სოფ. ოვიო

74. დაწნილი ჭურჭელი

ჯინი წნელისაგან დაწნილი მოგრძო კალათა არის. თავსა და ბოლოში აქვს ჩორჩოლები (ყურები). ჩორჩოლეფში გაუყრიან ქიგოს, რომელსაც ხელნები ეწოდება. ჯინი იხმარება პატივის გასატანათ.

გოდორი წკებლისა არის. იხმარება ყურძნისა და ბზისათვის. ყურძნის საწურავი პტყელია, დაწნილია წკებლისაგან და იხმარება ქვევრის თავსახურათ, როდესაც მასში მაქარს ასხავენ, რომ ჩენჩოები არ ჩაცვივდეს.

ჯინურა კალათა წკებლისაგან დაწნილი, დაბალი, ერთყურიანი კალათა არის.

პწკლის კალათა ყვითელი, პრიალა ხარალისაგან დაწნილი კალათა არის.

საბუდარი წკებლისაგან დაწნილი, მრგვალი, დაბალი კალათა არის ქათმებისათვის.

გოდორყური წკებლისაგან დაწნილი, მრგვალი, ძაბრისმაგვარია, ვიწრო ბოლო ამობრუნებული აქვს. იხმარება თევზის საჭერათ.

ფაცური ლაფტისმაგვარია. იხმარება თევზის საჭერათ, როცა წყალს დააწყვეტენ ხოლმე.

სოფ. თეთი

75. წისქვილი

წყალი ღარით ეცემა ბორბალს, ჩალხს და ატრიალფეს. ბორბალს აქვს ფთები (ოზდახუთიდან ოზდათორმეტამდე), რომლებიც მორგვზუა დამაგრებული. აქვს კიდენ ღერძი. ღერძის ერთ ბოლოს აქვს წვეტიანი რკინა — ზედადგარი, რომელიც ფარცხზე, ფორჩხზე დაკრულ რკინის ნაქერში — კიპორჩხში ბრუნამს. კიპორჩხზევეა დამაგრებული ასაწევ-დასაწევი — ლაბაქანი.

დაბლითა ქვის (რომელიც უძრავათ დევ ფიცრებზე) ხერელის დასაფარავათ (რო იქიდან მარცვალი არ გაიპნეს) ჩარკობილია მრგვალი ხე — წისქვილის გული. ამაში კი ამოსულია ღერძი. ღერძის ზედა ნაწილზე მიმაგრებულია რკინის ნაქერი — თოხი, რომელიც მალლითა ქვაშია ჩამჯდარი. მალლითა ქვის ხერელში ჩასმულია რკინა, რომელსაც წისქვილის რკალი ჰქვია.

ფიცრებზე დაკრულია კოქები და მათზე მაგრდება ყუთი მარცვლისათვის — ხემირა. ხემირას ქვევით აქვს პატარა ყუთი — თეფში, კრიქა, საიდანაც ცვივა მარცვალი. ხემირაზე მიმაგრებულია აგრეთვე კრიქის თოკი, ჩამოშაშვები. ის პირობის მისაცემია მარცვლისათვის.

წისქვილის ქვეფს გარშემო აქვს ხის ან რკინის რგალი (გასაგები, კალო), რომ ფქვილი არ დაიპნეს.

კრიქაზე მიმაგრებულია უღელი (ჯოხი), რომელიც ჩაჭრილ ხეში დევს. ამ ხეს სარეკელას ბოძი ჰქვია. უღელში ჩასმულია სარეკელა (ჯოხი). იმ ნაწილს, რომელიც ჩასმულია უღელში, ხიდი ეწოდება. სარეკელა ატოკებს კრიქას და ერეკება მარცვალს.

ხემირაზე ჩამოკიდებულია აგრეთვე ნალების შეკვრა — ელარუნა, რომლის ჩამოვარდნა მანიშნებელია იმისა, რომ ხემირაში მარცვალი გათავდა.

დაფქული ფქვილი საპირობელით ჩადის წინ მიმაგრებულ ყუთში — ალატ-ში, იქიდან კი ნიჩბით ტომრებში იყრება.

ქვების გარშემო დაგროვილ ნაწილობრივ დაფქვილ სიმინდს ან ხორბალს ხრილი ეწოდება. მისგან ხდიან არაყს.

5 თუ წისქვილის ქვა გაცვდა, მას მოკოდავენ საკოდელით.

სოფ. ჩაბინანი

76. სახლის აშენება

ღირეფს გადავამთ ერთმანეთს ოთხივე ყუნქულეფში. ღირებზე ფიცრებ დავადეთ და გადავამთ ღირებზევით. ფიცრები უნდა ავიყვანოთ მალამდინ, ღირებზევით უნდა შაიკრას მალა სარტყლებით. მემრე 10 უნდა საყვავე დავდოთ, საყვავეს აფრები უნდა შაუყენოთ. საყვავეს ორი მარ-წუხიც უნდა შაუყენოთ ქვეშიდან. საყვავებზე დავაკავეთ კავეფს, კავებზე დავადეთ კრამიტს. სიგძის საგვერდულეებზე უნდა დავაწყოთ კოქები. მემრე სხვენი უნდა გაკეთდეს კოქეფს ზევიდან. დაბლა რო გავკოქავთ, იქაც იატაკი უნდა გაკეთდეს. მემრე უნდა დაკეთდეს კარები, ფანჯრები.

15 სახლი რო გაკეთდება, მემრე დაუყენეთ ბალკომს. როცა დაბლა კოქები დეეწყობა, მემრე დაუყენეთ სვეტეფს ღირებზე. ქვეშ ღირია და იმაზე დავადეთ ფიცარს, მემრე იმ ფიცარს უნდა დეეხვრიტოს სვეტებითვინ, მემრე სვეტეფს დავაყენეთ ზეთ. სვეტეფს ზევიდან ქანისე დეედება. ქანისესაც უნდა დეეხვრიტოს სვეტებითვინ. მემრე იმ ქანისეზედა დეეწყობა მანდალიონი. იმ 20 მანდალიონზე კიდე უნდა დეედოს ერთი ფიცარი. ფიცარზე უნდა დეეკრაჲ კავი. ბალკომის (საჩეხის) კავი უნდა გედებას სახლის კავს. როცა დაკავდება, კრამიტი დეეხურება დაკავებულზე.

სახლის აშენებას რო დაამთავრებენ და გადახურავენ, აქეიფეფს ხალხს. ვინც ააშენა, ის იტყვის: — ბედნიერობაში და ქორწილში მოგაჯმაროთო. მემრე 25 სახლი პატრონი დაილოცება: — ჩემი მოცემული ფულიო ქეიფობაში მოგაჯმაროთო.

სოფ. აღმატი

77. ნადირობა

დათვი არის ძალიან მძლავრი. წავიდნენ მონადირეები სამნი, გზა შა-უკრეს დათვს, დეემწკრივენ ცალ-ცალკე. დათვი შაახვდა ერთ მონადირეს, ეს- 30 როლა თოფი და მარტყა. დათვმა ცოტა გაიარა, მონადირე დეედევნა. და-ქრილი დათვი დეემალა და მიიტყუა ახლო მონადირე, წამოუხტა მემრე ეს დათვი და მივარდა მონადირეს. მონადირემ დაიწყო ღრიალი, მეეშველნენ ამხანაგები. ესროლა მეორე ამხანაგმაც, ააცდინა. დათვი ახლა მეორეს ეცა. მემრე შივიდა მესამე ამხანაგიც. კაცი და დათვი ერთათ არიან და მესამე ამხანაგმა 35 ველარ ესროლა. დათვი ახლა მესამე ამხანაგს ეცა. მესამე ამხანაგმა მაჯა პირში მიეცა და ხანჯალი კიდენა გაუყარა კისერში მეორე ჯელით. მოკლეს დათვი და გაანებეს თავი. თითონ წამოიდნენ ვაი-ვაგლახით.

ფშველზე ნადირობა ძნელი არ არის. მალე ატყუეფს მონადირე მაგას. სული ძალიან იცის, მონადირე მაინც ატყუეფს. მონადირე შაურჩევს და ისე შეეპარება. საიდანაც ნიავეი მოდის, მეორე მჭრიდან შეეპარება. იმი მჭრიდან უნდა მოდიოდეს ნიავეი ჩემყენ და ის ვერ გამიგეფს.

კვერნა ზაფხულში კარში დადის, ზამთარში ლამე კარში დადის და დლი- 5 სით კიდენა იმალება. ეგ უნდა დაიჭიროს კაცმა მაშინ, როცა თოვლია. ამა- ლამ რო თოვლი მოვა. მეორე დღეს უნდა წავიდეთ. თუ შავხვდებით იმი კვალს, უნდა გავყვეთ, დევედევნოთ; თუ შავა ხეში, ან უნდა მოვქრათ, ან კიდე ზეთ უნდა ავიდეთ და ჩამუჯდოთ. ჩვენ უნდა კვყვანდეს მაშინ გაგეშილი ძალ- 10 ლები. ძალმა უნდა დაიჭიროს, თუ ტინში შავიდა, უნდა დავანგრიოთ. იქ- ნებ ერთი დღე მოუნდეთ იმის დანგრევას. ზოგჯერ შაუბოლეთ და შიგ ვახჩოთ.

ლორიც ძალიან ფთხილია, მაგრამ მონადირეს ვერა-ჯგობნის. მაგანაც სული იცის. მონადირე ჩაუსაფრდება გეზზე, საცა ლორმა უნდა გაიაროს. მო- 15 ნადირე ესერის, მოაქლავს. კელდაქელ ვერ დაიქერს.

მგელს ძნელათ შეეპარება მონადირე. მაგას უნდა ჩაუსაფრდეს ლეშზე ან გეზზე. როცა მოსარეკიდან აღდება და წავა, მაშინ ვისმეს შეეკჩება, ესერის და მოაქლავს, ან კიდეე ხაფანგით იქერენ. დაუგებენ ხაფანგს, საცა დახშირე- 20 ბით ნატარია, ჩადგამს ფეკს, გეებმება.

ტურასაც ხაფანგით იქერენ უფრო. ხაფანგს დაუგებენ სოროჲ პირზე. 20 კატუნსაც ხაფანგით ვიქერთ. კატუნას ქათმები ძალიან უყვარს.

კატუნა ორნაირია: ერთ მოკლე ბეწვი აქ და დაქრელებულია, მეორე კიდენ ბანჯგვლიანია. ორივე შინაურზე დიდია. შინაურ ვეძახით ციცაჲ, იმაჲ კიდენ კატუნაჲ.

სოფ. ალმატი

78. მგლებთან ბრძოლა

ერთმა კაცმა მამაბარა ძროხა. თითონ შინ წავიდა და მითხრა: — სალა- მოთი მავან ადგილზე გამოვლენო და გამორეკეო. მე სალამოთი წაველი და გამოვრეკე. ბინას რო დაუახლოვდი, თავი დავანებე ძროხას, ვიფიქრე: თი- 5 თონ წამუა-მეთქი. მე შეშა მივიტანე ბინაზე.

არც ერთი ძროხა არ მივიდა ბინაზე, ყველა დაიკარგა. როცა შაბინდ- 30 და, პატრონი მაშინ მოიდა, მითხრა: — არ მოარეკეო?

— ესე იყო, ესე-მეთქი. ახლა უთხარ: — წაყიდეთ, მოვრეკოთ-მეთქი.

თითონ შეეშინდა და არ გამამყვა თან, მითხრა: — მავან ადგილას იქნე- 35 ბიანო.

მე წაველი, გამამყვა ერთი სხვა ბინის ბიქი. მე თოფი ავიღე ხელში და 35 წაველი.

იქ, საცა ის ძროხა წასულიყო, ხევხუი იყო, ბნელოდა. ერთი მგელი გზაზე ჩასაფრებულყო, დანარჩენი კიდე ძროხას შამაახვეოდნენ. წვრილი ძროხა შიგ- 40 ნით შეექცივნათ და ხარობა კიდენ ომობდა მგლეფთან რქებით. მე შავარდი შიგ კიდევ. ის მგლები მემრე იქვე ფერდაში დადგნენ. დაუწყო ძალმა ყეთა. 40 მე თოფი არ ვესროლე, მარტო ერთი გატენა მქონდა და გზაზე დამჭირდე- ბოდა.

საქონელი გამოვრეკე. გზაში დაფთხვა საქონელი და შინისყენ გაიქცა. მუაბრუნე მარტო შვილი სული და მუურეკე ბინაზე.

სოფ. საბუე

79. დათვი

სალამოთი მარილი ვაქამე ღორს წყლის პირას. შუალამე რო მოიდა, გა-
5 დავიხედე ბაკში, ღორი აღარალი არც ერთი. წაველი ისევ იმ წყლი პირას, საცა
მარილი ვაქამე, არც იქ არი არც ერთი. გამოვბრუნდი და წამუელი იქიდან.
დაიწყო ღორმა ყვირილი. დაუწყე კივილი და გავგბივარ და გევები ზი-
მარტყულეფში. გაიქცა ძალლი, ღორი კიდე ჩემყენ გამაიქცა, მოიდა ჩემთან. მე
მოუსვი ხელი და ტყავი ზედა-აკილია ღორს. მოიყვანე ბინაზეთ. დათვმა ღო-
10 რეფში აირბინა, ძალლი თან გაადევს. დაგრიალდა ღორი მაშინ, დაიწყო რუხ-
რუხი და ჩამოიდა ბინაზე.

მე წავაქციე ის ღორი მაშინვე, დაეყარე ცხელი ნაცარი და ტყავი ზეთ
დავკარ. მუარჩინე ის ღორი. მაკე იყო ის ღორი, გოჭები კარგი დაყარა.
გოჭები გავაადევინე, მაგრამ იმ ღორმა აღარ ივარგა: უკანა ნაწილი და მთელი
15 ბარკალი გატყავებული ქონდა.

სოფ. საბუე

80. ნიშნობა და ქორწილი

მამა ისე დაანიშნამდა ქალსა, რომა ბიჭმა ვერც კი იცოდა. მამა ით-
ხოვდა ქალს თავი შვილისთვინ: მოციქულეზ გაუგზავნიდა, თუ ჭკვაში მო-
უფილოდა, შათვისდებოდნენ. ვაჟის პატრონი წაიღებდა სურსათ-სანოვაგეს
20 (ღვინო, პური, ყველი, საკლავი, ქათმები...), დაანიშნამდნენ. რო მივიდოდა
ნეფის წეული ხალხი, დაასაჩუქრამდნენ ქალ. მემრე კარქი ვახშამი იქნებოდა.
ვახშამი რო გათავდებოდა, წავიდოდნენ სახლებში წეული ხალხი. მეორე დღეს
ქალიანი დააპატიებდნენ მოყვრებს (ნეფიანთ).

მოყვრებმა უნდა მაილაპარაკონ, თუ როდის მაახდინონ ქორწილი. ვა-
25 დას დადემდნენ (მავან დროს ქორწილი იქნება). იმ ვადაზე წავიდოდა თავის
მაყრებით ნეფე სიძლერით (წინ-წინ დამვა-ზურნა ძნელათ იყო). დააწერამდ-
ნენ ჯვარს ეკლესიაში, გვირგვინებ დაადგამდნენ. მემრე წავიდოდნენ ქალიან-
თას. იქ ქამდნენ სადილს და მემრე ნეფიანთას მოიდოდნენ.

ნეფე-დედუფალს რო შაიყვანდნენ სახში, დადგამდნენ ზედადგარ, ზე-
30 დადგარზე დადგამდნენ ტაბაკს, ზედ კიდე ტაბაკზე ხილეულია სატკბილო-
ბელი. ტაბაკზე სანთლებ დაანთებდნენ. ნეფე-დედუფალი შამაუვლიდნენ სამ-
ჯერ, მეჯვარე წინ მუუძღვის იმ შამოვლის დროს.

ნეფე-დედუფალს ერთათ დაასხამდნენ (ქალი უნდა იჯდეს მარცხნივ,
მარჯვნივ ნეფე უნდა იჯდეს). როცა დასხდებიან, დაუდგამდნენ ტაატს (სპი-
35 ლენძის ტაატი იცოდნენ). დაასაჩუქრამდნენ ნეფე-დედუფალს. მემრე შააყო-
ლებდნენ სმა-ქამაჟ, თამაშობაჟ, ლხინ. ქორწილი მეორე დღესაც გძელდებო-
და. ვახშამობამდინ ხალხი ქეიფობდა.

პატარძალ წლამდინ ხმა არ უნდა გეცა მამამთილითვინ. პატარძალ უნდა-
ეჩუქებინა მაზლებითვინ წინდები და ხელცახოცი. ჩახსაკრავებსაც აჩუქებდა
პატარძალი მაზლებსა და მეჯვარეს.

სოფ. მატანი

81. ქორწილი ძველათ

მაჰაკალ გაგზანიდნენ ხომე: გამიგე, როგორ-ალიო. მოუათ ქკვაში, 5.
მაილაპარაკებენ, არ მოუათ და არა. ქალს რო დანიშნამდნენ რა, დასანი-
შნათ რო მივილოდნენ, უნა მიეცათ ან ბეჭედი ან ბალდადი ბელგათ. მივილოდა
და ეტყოდა: — აჰა, ქალო, ბეეო. პირველში ლორი უნა მიეტანათ, ხარჯი.

ვაჟი ჩოხით იყო ხომე გამოწყობილი, ქალი ჩვეულებრივით იყო ხომე.
ნიშნამდნენ თორმეტ, ცამეტ, თოთხმეტ წლისას. ხშირი იყო შემთხვევა, 10.
რო ბიჭიც თოთხმეტი წლისა იყო ნიშნობის დროსა. ქალი ცხრა თვე, ერთი
წელი და მეტიც იყო ხომე დანიშნული.

თუ მოახდებოდა და ერთმანეთს დაუკავშირდებოდნენ ჯვარისწერამდე,
უნა ჯვარისწერის დროს აკვანი ჩეღღათ ნეფესა და დედოფალს შუა, შიჯა
ბავშვი იქნებოდა. ი ბავშვიც უნა კურთხეულიყო ეკლესიაშია. 15.

ჯვარისწერას რო დააპირებდნენ, ნეფიანთ უნა ეყიდნათ სამი ხელი
ლოგინის გადასაკრავი, გადასაჩითი. თუ არ ქონდათ, ეგრე რჩებოდნენ ჯვარ-
დაუწერლათა. მერე მიუტანდნენ დიდ ნიშანს: ბეჭედი, ბრასლეტი — ოქრო-
ული, რაც კი აქონდათ, სუყველაფერი, ლეჩაქი, ბალდადები. რო მიიტანდნენ
ამეფუსა, პატარძლიანი გაამზადებდნენ ყველაფერსა: გაჩითულ ლოგინსა, 20.
ტაშტ, ქება, უთოს, კიდობან ხილითვინა, კამოდს, სუფრას და სხეფუსა.

მივილოდნენ ნეფიანი, საძნურს მიიტანდნენ და დაუდებდნენ ამ მზი-
თეფს. ნეფიანი მოიტანდნენ ლორსა, პურსა და ღვინოსა. დაკლული ლორი-
სასა ნასამეთს მიიტანდნენ ქალიანთა. მორიგებაზე იყო რა! მერე გამართამ-
დნენ წვეულობასა. 25.

ურემზე დასვამდნენ კაცსა და, სანამ ერთ წყვილ წინდასა არ მიაცემდ-
ნენ, არ ჩამოილოდა ურმიდანა.

დილიდან საღამომდინ იქა ქეიფობდნენ. იმ დღით იქ იყო ქორწილი.
საღამოს, დაბინდებისას, წამაიყვანდნენ. აქმევედნენ შაქარს. დედმამიანს უნა
ჩეედო პირში შაქარი. მერე გამოუვლიდნენ და ფეხი უნა დეედგა, თეფში უნა 30.
გეეტება პატარძალსა. ხანჯლები ქონდათ ამოღებული. ეგრე მაგიდა იღვა და
შამოუვლიდნენ: მოვდივართ, მოგვიხარიან, მოგვყავს დედალი ხოხობიო.
იმათა ხანჯლის ქვეშ გაატარებდნენ. ორივეს ტარს ჯვარედინათ დაიკერდნენ
და გვირგვინებს მოაცლიდნენ.

ეგ უწინ ყოფილიყო, რო არ ელაპარაკებოდნენ პატარძალსა. 35.

ერთსა გაგზახური ქმარი ჰყვანდა. დავსხედით სადილზედა და პატარძალი
ხელით გვანიშნეფს. მე მგონია, თუ პატარძალს არ უნდა გააცე ხმა, თურმე
იმათან არ უნდა დაილაპარაკოს.

ქორწილითვინა გვირგვინებ ქირაობდნენ და აძლემდნენ ფუთ პურსა.
კიდე კაბასა ქირაობდნენ, თუ არა-აქონდათ იოლობა. თითო ლეჩაქის დაბასმა 40.
ფუთი პური ღირდა. თითო ლეჩაქი ღირდა ერთი კოდი პური. ბალდადიც
კოდი პური ღირდა. თავსაკრავი ათშაური იყო ხომე.

ქეიფის შემდეგ ეკლესიაში წავიდოდნენ ჯვარის დასაწერათა.

ქალიანცა დიდი ქახაპუხით მივიდოდნენ. ქალის მაყრონი უკრამდნენ დუღუქეფს ანა დოლ-გარმონსა ანა სიმლერიტა (ისე დიდ ყბასა აღებდნენ, რომა!). მერე ეკლესიაშიც დიდი ძალი ხალხი დახვდებოდათ. ღვდელ, დიაკ-
35 ვან სანამ ფულს არ მიაცემდნენ მეჯვარეები, მანამ ეკლესიაში არ შეუშ-
ვებდნენ.

ქალის ოჯახი ზოგჯელა პატარძალს დაიმალამდა. მერე უნა მეჯვარეს მიეცათ დიდი ფული, რო მდადესა ქალი გემეჩინა. მეჯვარემ უნა სტაცოს ხელი და გამაარბენოს (ეხლაც ეგრე ხდება. ეხლაცა ათ თუმან ნაკლებ არ ანე-
10 ბებენ. ერთსა ხუთი თუმანი მიეცა წვრილათა, სამანეთიანებათ დეეხურდა-
ებინა, ბევრი გამოჩდესო).

მერე ჩაისვამდნენ ფაიტონითაც და ურმითაც და წაეიდოდნენ ეკლესიაში.

ამ დროს ნეფიანცა მზადდებოდა ძალიან გაძრიელებული სადილი, მო-
15 ელოდნენ მახარობელს. მახარობლისთვის ამზადებდნენ ნეფიანი მაშხალას: ნაქერს დაახვედნენ ჯოხზე, ნავთ დაასხამდნენ, ცეცხლ მოუკიდებდნენ და მალლა დადებდნენ. იმითენ მახარობელს უნა ესროლა ნიშანშია. მახარობელს წითელ ქალაღიას (ერთი კოდი სიმინდი ღირდა) შააბამდნენ (ნე, ნიკალაი რო გადააგდეს, იმ წელს დავიწერე ჯვარი). ამ ქალაღიას ცხენს შააბამდნენ.
20 პატარძალს რო მოიყვანდნენ ფაიტონით, იმათ ცხენფესაც ება ხოლმე ქალა-
ღაი წითელი.

პატარძალს ეცო ძვირფასი კაბა, სარტყელი, გულისპირი. ქალს დედა რთამდა. ნეფეც შააძლებინებდა ხომე, შეეშეელებოდა. დიდი ძალი ხარჯი უნ-
25 დოდა ქალის მომზადებასა. ქალის კაბა ოთხი კოდი პური ჯდებოდა, თუ იყი-
დინენ.

ეკლესიაში რო გაასხნიენეს კარი, ახლა ღვდელს უნა მისცენ ფული. ჯვარისწერის ფულსაც მეჯვარე ხარჯამდა. ღვდელი ჰკითხამდა ნეფესა და პატარძალსა: — ქსურთ თუ არა ერთმანეთით? უამისოთ ჯვარისწერა არ იქ-
30 ნებოდა. სუ იმას ცდილობდნენ, ერთიმეორისთვის ფეხი დეედგათ უწინა, რო ერთიმეორის ნებისანი ყოფილიყენენ. თუ რომელიმედგან უარი იყო, ჯვარ არ დააწერამდა. ისე, ქალი რვა წლისა რო ყოფილიყო, მიინცა აწერამდნენ ჯვარსა.

მერე გარეთ გამოიდოდნენ. მზათ იყო ფაიტონი. წინ მაყარი მიდიოდა. დედოფალთან იყო მეჯვარე და პატრონობდა. ამ დროს მახარობელი და-
35 იძრებოდა და მორბოდა. სახში მოვიდოდნენ დიდი ქუხილით. ვახშამი მზათ იყო. კარეფში ჩაუდებდნენ თეფშსა ან ჯამსა და პატარძალს უნა გეეტეხა ქურ-
ქელი. როგორც კი შავიდოდა, უნა დეეკრა ფეხი. ქალიანი ქალსა სარკეს ჩა-
უდებდნენ გულში, რო ნეფიან ოჯახის წევრეფს კარგი თვალით შეეხედნათ. დაახვედრებდნენ ტკბილეულით სავსე მაგიდას, არაყიც იდგა ხომე. ჯერ ტკბილ
40 ქამდნენ, მერე ჩამოუვლიდნენ სამჯელა თაიგულს.

თელი სოფელი წავიდოდა ხომე პატარძლის სანახავათ. დაცეცქებულები დარბოდნენ ხომე.

დაწოლის წინ მეჯვარეს ხანჯლის წვერით უნა ეეხადნა გვირგვინი. ხე-
ლის შეხება არ შეილებოდა. მერე თამაშობა იმართებოდა.

45 მეორე დღეს კიდე დაიხურამდნენ გვირგვინს, სხვა კაბას ჩააცმევდნენ, ისევე სარტყელ-გულისპირიანს. ისევე ქეიფობდნენ, მესამე დღესაც იგრე.

დედა ფეხს არ მოდგავდა ნეფიანთა, ქორწილი დროა არ შეიღებოდა. ერთი კვირი შემდეგ გადააბატიებდა ნეფე-პატარაძლსა. ქალი რომ თანაშობდა, გადასალოცები გადადიოდა: საკაბეები, ფული, ჩულქები. მერე თანაშის დროსა ერთ ქალსა მიცემდა ხელში. თუ ვინმესთინა რამე გედელოცა ამათა, ყველას უნდა გედნელოცა ეხლა. სესხი და ვალი იყო ესა. ხან იმდენ მააქუ- 5 ჩებდნენ გადასალოცსა, რომ კამოდში არ ეტეოდა.

კამპანიის დროს დიდ წითელ ვაშლს აიღებდა მეჯვარე, გაუკეთებდა ფულსა და ჩამაატარებდა. ყველას ფული უნდა გეეკეთებინა. მერე პატარაძლს მიცენდნენ ამასა. ჩემ დროსა ქესატობა იყო, ფული არ იშუებოდა. ფულით შებორბლილ ვაშლსა მთარმევდნენ. ბოლოსა ნეფიანი მძახლფეს დააპატი- 10 ებდა.

სოფ. ახალსოფელი

82. ქალის თხოვა

ძველათ იყო მაქაკალი. მაქაკალს მუუგზავნიდნენ: მე მაგის ქალი მა- მწონსო, უნდა შევირთოო. მერე იმ ქალი დედ-მამა, თუ მეეწონებოდა, და- ტურს დაეცემდა, რომ მიეცემო. თუ წყალიც ახლო აქსო, ეკლესიაც ახლო 15 აქსო, ქონებაც ბევრი აქო, მიეცემ ჩემ ქალსაო. მერე შეთანახმდებოდნენ: კარქი ვაჟია, ფულიც ბევრი აქს, ცხოვრებაც ბევრი აქო.

სიდედრ-სიმამრი ავალებდა მაქაკალს, რომ სიძეს უნდა მეეცა ქალის დედ- მამითინ სამფუთიანი ღორი, სამი ჩაფი ღვინო, ორი თონე ნამცხვარი. მაშინ მიეცემდა დანიშნის ნებას. 20

სასიძო მითანდა ქალითინ ბეჭედს, ბაღდადს და დანიშნამდა ქალს. მემრე სასიძო ეტყოდა: — თქვენ რაღა უნდა მიეცეთ თქვენ ქალსა ქრთამიო?

სიდედრ-სიმამრი ეტყოდა: — მიეცემთო ერთ ხელ ლოგინს, ფარდაგს, ქვაფს, სკივრსო.

ერთი თვე დანიშნულია ქალი და ვაჟი. ერთი თვის შემდეგ შაუდგებიან 25 ქორწილის საქმეს. სიძემ ისევ უნდა მიეცეს სიმაჰრსა ღორი, პური და ღვინო ქორწილითინ. მერე უნდა წაიყვანოს ხუთმეტამდე კაცი სიმღერით, უნდა წა- იყვანონ ორი ცხენი: ერთზე ნეფე უნდა შაჯდე, ერთზე კიდენ დედუფალი. მივლენ ეკლესიაში. მემრე გამოვლენ საყდრიდანა და წავლენ ჯერ ქალის ოჯახ- ში, სიდედრ-სიმამრმა უნდა დალოცოს სიძე. მერე წავლენ ნეფიანთსა. 30

ნეფიანთსა სამი-ოთხი დღე აქო სიმღერა, ქეიფი. იქ დაეკლამენ ძრო- ხასა, ღორს (დიდ ღორს). იმ ღორისას გააკეთებენ ყალიას, უზამენ შვინდს. ძალიან მიღებულია ქორწილში ეგ ამბავი. მაგეებზე ქეიფობენ მეორე დღემდე. მერე ეგეთანა ჯოხზე [მაჩვენებს ჯოხს] აასხამენ პურსა და ხორცსა, ყველსა. იმ მაყრეფს უქირამთ და დაყამთ მეზობლეფში. ალილოზე დადიან. სალამომდე 35 ეგრე ივლიან. სალამოზე მივლენ ისევ ნეფიანთსა. დაამთავრებენ ქორწილ.

სოფ. ქვემო ხოდაშენი.

83. ჩემი ქორწილი

მე და ჩემი ქმარი მეზობლები ვიყავით და ქორწილებამდინ. მოდიოდა, როგორც მეზობელი, იგრე. მე მაშინ ჩვიდმეტი წლისა ვიყავი. ეგ დიდი იყო, ოზდახუთი წლისა იქნებოდა. 40

იმან მოგვიგზავნა კაცები, მარჯაკლები. მარჯაკლებმა მამაჩემ და დედაჩემ ელაპარაკნენ: — მიეცითო, კაი ბიჭიაო. აღვნენ მემრე და ყმაყოფილები გახდნენ ჰოობაზე. მე დამნიშნეს. ნიშანში მამიტანეს ფული და ბეჭედი ბელგათ. დედამთილმა ხელზე გამიკეთა ბეჭედი. მემრე ვახშამი ჭამეს და წამოიდნენ

5 ესენი, ჩვენ იქ დავრჩით.

ორი კვირის შემდეგ მამიტანეს ნიშანი — ხარჯი და ლოგინის იარაღი, ფარჩა, რამე. იქეიფეს, დრო გაატარეს. მემრე თავიანთ სახლფში წამოიდნენ ისევ, ჩვენ იქ დავრჩით.

10 სამი კვირის შემდეგ მამამადეს ქორწილი. მაიტანეს ღვინო, პური, მთელი ღორი. ჩვენ მოვამზადეთ სადილი, მამაჩემა თხა დაკლა, ქათმები დაკლა. დედაჩემა გამააცხო პური, ქაღები, ნახუქი. აქაღამ მაყარი მოიდა. დედაჩემა დაუძახა კიდე მეზობლობას. დავიწერეთ ჯვარი. ჩვენმა კაცმა თუმანი გადაიხადა ჯვარი დასაწერი. ჯვარი რო დავიწერეთ; წამუელით მამაჩემთან, იქ ისადილეს, იმღერეს.

15 საღამოთი წამუელით სახლში თავის მაყარიონით. ეზოში რო მუელით, მაშხალა ენთო. დაუშინეს თოფები, მაშხალა ჩაქრა. წამუელით ოჯახში, ვახშამი მზათ იყო. ემითანა ტოლი იყო პატარა, შამამატარეს ამ ტოლზე გარშამო. მაყარი მღეროდა: — „ნეტავი ნეფის დედასა, ვარდნი უსხედან კერასა! ვაი დედუფლის დედასა, თავგნი უსხედან კერასა!“ სიმღერა რო გათავდა, მა-

20 შინ დაქვსხეს.

ერთი ბავშვი დააწვინეს მუთაქაზე. ამ ბავშვს ჩვენმა კაცმა აჩუქა აბაზი და მაშინ ადგა ბავშვი. მერე ჩვენ დავსხედით. მერე სხვა ბავშვი ჩაგვისვეს კალთაში, იმასაც ფული ვაჩუქეთ.

მემრე მოგვიტანეს წინ სპილენძის ტატი. ხალხმა გადმოგვილოცა ფული,

25 ვისაც რა ემეტებოდა. იმის შემდეგ გაიმართა ვახშამი.

მეორე დღესაც ისევ ქორწილი იყო. ისევ მოიდა დაპატიეებული ხალხი სადილათ. მანამ სადილი მომზადდებოდა, ნეფე და მაყარი წავიდოდნენ უბანში, ნათესაობაში. ოჯახში მივიდოდნენ, ქვევრს ახდიდნენ, ქათამ დაეკლავდნენ, ღვინომ დააღვედნენ, იმღერებდნენ, დრომ გაატარებდნენ. მემრე მოიდოდნენ

30 სახლში. სადილი მზათ დაახვდებოდა. ვინც ახლოველი ნათესავი იყო, ის მოიდოდა ნიკით, მაიტანდა, რაც ემეტებოდა.

სოფ. ენისელი

84. დობა

როცა დობა უნდათ რო თქონ, აიღებენ და ღვინოში ან წყალში ჩა-
 35 ათლიან ფულ, ვერცხლი ფულ და ამასა-აქვიან ფიცვერცხლი, თან ფიცსაც იტყვიან და იმ დღიდან დები იქნებიან. ხათრი ექნებათ ერთმანეთისა და მისვლამოსვლა. ან და არ ეყოლება და დობაა გაუწევენ და ან ძმა არ ეყოლება და ძმობაა გაუწევენ და ეგრე იქნებიან.

ი ჩაფხეკილი რო იქნება, იმაე შაინახამენ და ერთი რო მოკვდეე, მაგალითათ, ფიცვერცხლ ჩაყოლემენ, რო ვიყრებით მე და შენ დობიდანაო.

სოფ. ქისტაური

85. ახალწლის შესვენარა

ოზდახუთ ქრისტიშობის თვესა ვიტყოდით ალილოს. კორკოტ გავაკეთებდით ხოლმე, ღორს დაჭკლამდით, ზოგ ვხარჩამდით, ზოგ დავამარილებ-

დით. იმის სწორზე იყო ახალწელიწადი. წინა დღით ვაცხოზდით ბედიკვრებსა და საკვლევერის სამზადებს — პურს, ბასილას, ქათმი კლანქს, ქიგოს და რავი... რალაცეებს ვაკეთებდით: ეს ის არიო, ეს ისო... ვამზადებდით ხილს: ჩურჩხელაჲ, ვაშლს, მსხალს, გოზინაყს, ალვას და სხვა მაგითანა ტკბილეულობას. გვექნებოდა კიდე ღორი თავი ან ქათამი. დავაწყობდით ტაბაკზე და 5 ჰქვიოდა საკვლევეარი.

ღამის თორმეტ საათ შემდეგ ავანთებდით სანთელს და უკვლევდა ერთ-ერთი ოჯახის წევრი მთავარი. რო შამოუვლიდა სახლს, თუ იმისანა რამე ჰყვანდა საქონელი ან რამე, იმასაც მიუკვლევდა, შემოიღოდა სახში თავი საკვლევრით (ზღვნით).

10

სოფ. წინანდალი

86. უეინობა ენისელში

სამებობი დღეს ენისელში მოდიოდა შილდური ხალხი, საბური ხალხი, ალმატური ხალხი და გრემული ხალხი. იმ დღისით იწყებოდა თამაშობა და ჰიდაობა. ერთმანეთს ეკიდებოდნენ შილდური და ენისლური, საბური და ალმატური, გრემული და შილდური. რომელიც გააღახავდა, იმას თითო-ოროლა მანეთი საჩუქარი ქონდა. ჰიდაობა რო მოთავედებოდა, მერე სადილებზე წავიდოდნენ სოფლევში. მერე, ვისაც უნდოდა, წავიდოდა თავის სახლში; ზოგი დარჩებოდა მასპინძელთან იმ ღამეს. მეორე დღეს ისაუზმებდნენ და წავიდოდნენ თავ-თავიანთ სახლევში.

15

ჯეილეფს უხაროდათ ჰიდაობა დამევა-ზურნით.

20

თებერვლის თევში ვიცოდით ყეინის ჩამოტარება სოფელში. ყეინს თავზე გაუკეთებდნენ მალალ, გურგვალ ქალალდს. ყეინს დავსომდით კაკაკაზე, გვერდზე ერთი ბიკი ეჯდა. იმასა-ჟქონდა ორ შუშაში წამლები, მითომ ექიმი იყო. შუშევში ქონდა ლაყე კვერცხისა ერთში გული, ერთში ცილა. იმაჲ წაუსომდა ცხვირზე ხალხს. მემრე კაკა ვავიდოდა რიყეზე. ყეინი ტიტველა ჩაწვებოდა წყალში. წყლიდან რო ამოიღოდა, ჩაიცომდა მშრალ ტანისამოს.

25

მემრე ვავიდოდით საქეიფოთ.

სოფ. ენისელი

87. უეინობა იუალთოში

ყველიერს ეტყვიან. მეორე დღეს, ორშაბათს, შეგროვდებოდა ხალხი, ამირჩევდნენ ყეინს, რომელიც წინამძღვრობს. სოფლი შუა ხევი ჩამოდიოდა, ერთ იქით აირჩევდნენ, ერთს — აქეთ და ჩამოუვლიდნენ კომლებს. ყეინი შემკობილი იყო, ბუნბულეები ჟქონდა გარკმული ქუდის ყალამაში, სახეც არ უჩანდა. მიადგებოდნენ კარებს, გამოუძახებდნენ სახლი პატრონს: — რა სინაკლულე ვაქთო, რა ვაკლიაო, ხვალ დილაზედ მობრძანდიო და გექნებაო.

30

ყეინი რალაც ენაზე ლაპარაკობდა: — ესკე, რესკე, დესკე... მეორე თარგმანობდა. — რას მაძლევსო? — იტყოდნენ. თარჯიმანი ეტყოდა: — აი, ამა და ამ თაეადის სახლს ვაძლევსო, დილაზე მობძანდი, ყველაფერი ჩაიბარეო. გამოუტანდნენ საჩუქარს. მხლებლებს ტიკებით, ხურჯინებით დაჟქონდათ ყველაფერი. მემრე კაი კანჰანიას ვადაიხდიდნენ. იქეთ უბანში ეს ორივე ყეინი უნა

35

შეხვედროდნენ. დასკიდებდნენ ამ ყვინეფს ერთმანეთს. წყლის პირას უნდა შეხვედროდნენ სიცივეში. წყალში ჩააგდებდნენ და მემრე შერიგდებოდნენ, მთელი ღამე ქეიფობდნენ.

წინათ მეფეები რო ერთმანეთს ებრძოდნენ და მერე შარიგდებოდნენ, 5 იმის უაიდაზეა.

სოფ. იყალთო

88. ბერეკობა

ბერეკობა მოუგონიათ უწინ. ყველიარი რო მოილოდა, იცოდნენ ბერე-
კობა. შაიყრიდა ჯელი ხალხი თავს და დაყვებოდნენ სოფლეთს. აქადამ და-
იწყობდა ჩვენი ხალხი ბერეკობაჲ, შილდიდამ დაიწყობდა შილდის ხალხი,
10 ყველა თავის სოფლიდამ დაიწყობდა.

აქადამ საბუე წავილოდა, ეგრე დაყვებოდა. ეზიდებოდნენ ხარჯს ცხე-
ნით. იღებდნენ პურსა, კვერცხსა, ღვინოსა და მოჰქონდათ. საცა შაიყრებოდ-
ნენ მთვრალი ხალხი, უჩხუბრათ არ დადგებოდნენ, რომელიც მეერეოდა, ართ-
მევედა ხარჯს. ჩხუბი მოგვივიდა ჩვენ და შილდას. შილდელეთს ვაჯობეთ
15 ჩვენ. მემრე ენისელში შავიყარენით, იქ დავირივენით.

სოფ. საბუე

89. ალილოობა

ქრისტიშობითინ რო გამსხნილდებოდა, ოზდაოთხში სალამოს ჩამა-
ივლიდნენ, დიდი კაცები დადიოდნენ და მორდილი ბიჭები, ხელში ჯოხები ექი-
რათ, თან იტყოდნენ: — მოგახსენოთ თუ არა ალილოო, ვთქოთო? ვისაც გული
20 მხიარული აქონდა, ათქმევენებდნენ. რო დაამთავრებდნენ ალილოს, უნა გე-
მეეტანათ რამე, ღვინოს უფრო უტანდნენ, თითო ჩარეჟა ღვინოსა.

ვისაც მეჰპრიანებოდა, დედაკაცებიც დადიოდნენ.

როცა ალილოს ამობდნენ, ერთი თვლიდა, სხვები — ალილო, ალილოო, —
ეუნებოდნენ.

სოფ. იყალთო

90. ჭიდაობა

ჩემა ბიძამ ნიკამ მითხრა: — ბარბარობას წავიდეთო. არ მიველიოდი, მე
უთხარი: — აქ ქეიფია, ამოტონა ქალი და რძალი აქ არი (დაირა-მუზიკას
გაჰქონდა რადგარუდგი), იქ რა მინდა-მეთქი.

ავდექით და მაინც წავედით რალა. ჩამოვიარეთ აღმატში, შაყრილიყვენ
30 ბიჭები ეკლესიათანა. მიცნეს ბიჭებმა რალა, დამიძახეს: — ლევან, მოდი, ერთი
ბიჭი კვყავს და ექიდეო. ის ჩემი ბიძა მიშლიდა: — წამოდი, ნუ ექიდები, არ
წაგაქციონ, ფუქი არ აგაკრეფინონ და სადილი არ გაიმწაროო. რო დამიძა-
ხეს, გავედი საქიდაოთ. ერთი წავაქციე, ახლა მეორე გამამიყვანეს, ისაც წა-

ვაქციე. ახლა ამობენ: ახ, ნავანი ბიჭი რატო აქ არ არიო! ვნახოთ, რო ის ბიჭიც მოდის და მოუძღვის ბიჭებსა. — მოდი ემასაც ეჭიდო. ისეც დავიხადე. ჩემი ბიძა მეუწება: — წამოდი, ორი ხო წააქციე, ეგეც საკმარი არიო. მესამეც გამამიყვანე და იმ საათშივე გადმოვადიარავე.

როცა მოველი შილდაში, აქ გადმოსულიყო ამბავი, რო ლევანამ სამი 5 წააქცივაო. შილდი ბიჭობა შაყრილიყო ჩელთი ამოსავალში, მითხრეს: — მართლა წააქციეო? მეც უთხარი: — მართლა-მეთქი.

იმი შემდეგ დაიდო დღეობა და ყოველ წელს დადიან იქა და ქიდაობას მართამენ.

ერთხელაც კიდევ გადავედი. ერთი ბიჭი გამოიდა და დაიძახა: — აბა, 10 შილდელებო, რომელიც კაი ბიჭი კყამთ, ის გამამიყვანეთო! გავედი. ი ბიჭ ცოლიც იქა-ყულია, სიდედრიც, ცოლიდებიც. რო დავიჯახენით, დიდხან არ ვატარე, ჩქარა წავაქციე. სიდედრმა დაიძახა: — ეს ლაფიანი წყლით გაადილიო, სუმადამ წელს გადმოდის და ეგრე აქცევს ბიჭებსაო!

ერთი კარდენახიდან წამოსულიყო საჭიდაოთ შილდაში. დილითა მე- 15 იდანზე რო გავიდა, არავინ არ ეჭიდა. შემემეხვიენენ თავადიშვილები: — უნდა ეჭიდოო. მემრე წამოველი შინ, სადილი ვქამე, ღვინო ნაკლები დავლიე და წაველი. წრე დადებულია და არავინ ეჭიდება ამ კარდენახულს. რამწამ ჩა- 20 ველი, თავადიშვილები შამემეხვიენენ: — შენ უნდა ეჭიდოო. მამცვინდნენ ბიჭები: ზოგი ჩოხაა მაცმევს, ზოგი მესტებსა მხდის. გაველი. ამოსავლი თავზე დამდ- 20 გარა ეს მოკიდავე. იქვე ქალები შაყრილიყვნენ. — გამოდი შუა მეიდანში-მეთ- 20 ქი, — დაუძახე. ის იქილამ მიქნევს ხელსა: — აქ მოდიო (უნდა, რო ქალებთან წამაქციოს). მემრე ერთი გავქანდი, დავეცი ხელი და შიგ შუა მეიდანში ჩა- მოვიტანე. მაშინვე შამოვიგდე მხარზე და წავაქციე.

სოფ. შილდა

91. გოთაობა

ძროხას ავრეკამდით ტყეში (ციხე-ნანგრევეფში). გოთები გვქონდა და- მართული. დიდი ტრები ჟქონდა, თავი კიდენ მოკაკული ჟქონდა. ხისას გა- ვთლიდით კუკუურიკსა (პატარა ბურთისოდენა გურგალსა). ერთი პირი აქეთ ვიდექით, მეორე კი — იქით. ამ კუკუურიკ გოთაა შამოკვრამდით და გადიოდა შორს. ალაგი იყო დანიშნული. თუ იქ გავიყვანდით, ჩვენ გავიმარჯვებდით. 30 იმის ბადლათ ეხლა ბურთაობა შამაილდეა.

სოფ. შილდა

92. კორაობა

ორმუებ ამოათხრიან, მემრე ნაპირაა დაესომენ კორას. წავლენ რამთე- ნიმე მეტრზე და ესერიან კორას. ვინც ჩაადებს კორას, ის იქნება მოგებული, ვინც არა და წიარობს.

35

93. კაკლაობა

ჯერ შემოხაზავენ სიგრძივ ან მრგვლათა. შიგ ჩასომენ კაკალს. მერე ესე- რიან კაკლებს. ხაზ იქით თუ გაიტანა, კაკალი იმისია.

სოფ. იყალთო

94. ხუჭმალაობა

ჯერ გავითვლებით ესე:

5 წითელი ვაშლი გაგორდა,
ლიანა სკოლაში გარბოდა,
ხელში წიგნები ეჭირა,
ყველაზე კარგათა სწავლობდა.

ან: დოლ-დოლ ბაია,
ბახჩა-ბახჩა ჩაია,
10 თეფხი მითალ-მოთალა,
გამოიდა ქოთანა,
ქოთან ძირი გაგვარდა,
მახოხი დაიღვარა.
თინამ დაკლა ქათამი,
15 არ მაქამა ბარკალი,
უი, იმას ამოუწყედეს
კრუხ-წიწილა, ქათამი!

მერე, ვინც ბოლოს დარჩება, დაიხუჭება და სთვლის: ერთი, ორი, საში... სადამდეც გვინდა. რო დაამთავრებს დათვლას, იტყვის: დრო, დროო. გაახილებს თვალებს და დაუწყებს ძებნას, ვინ სად იქნება დამალული. სადაც 20 დახუჭული სთვლის, იქ არი ბინა. როცა იპოვნის დამალულს, დაუძახებს, — დაგინახეო, — და გარბის ბინისკენ. ვინც იპოვნა, ისიც გამორბის ბინისკენ, რო ჩაასწროს. რომელიც წინ მივა, დაიძახებს: თფუ, ჩაგასწარიო. როცა რამდენიმეს იპოვის და ჩაასწრებს, ახლა სხვის საძებნელათ მიდის, მისი ამხანაგები იძახიან, აფთხილებენ:

25 როცა ვითხრა ი,
მაშინ გამოდი;
როცა ვითხრა ე,
არ გამოხვიდე.

30 ვისაც ყველაზე ბოლოს ჩაასწრებს, ის იხუჭება.
ვეგთიფვა ძროხუჭაობაც.

სოფ. შალაური

95. ნიშხა-ნიშხაობა

ორი ჯგუფთა ბავშვებისა. ხელებ ჩასკიდებენ, შორ-შორ დადგებიან და ეძახიან: — ნიშხა, ნიშხა, ბალბალუკა!

35 უპასუხებენ: — ქალო, მელო, აქ გახლავართ!
მობძანდით და მზათ გახლავართ.

გაიქცევა ერთ-ერთი ბავში. თუ ჩასკრის ხელებს, ერთ-ერთ ბავშს წამაიყვანს თავის ჯგუფში, თუ არა და თითონ რჩება.

სადაც ბოლოს ყველაზე ბევრნი იქნებიან, ისინი იმარჯვებენ.

სოფ. იყალთო

96. ქერიქამიაობა

დაჯდებიან ბალლები ერთათ, ამაირჩევენ დედას. დედას უნდა ჩაუდოს კალთაში თავი ერთ-ერთმა. ჩაარტყამენ იგრე, რო ვერ დაინახოს. შეეკითხება დედა: — ვინ იყოვო? იმან უნა გამაიცნოს. თუ ვერ გამაიცნო, ისევ თავ ჩასდებს კალთაში, ისევ „ქერსა შკამს“.

სოფ. შალაური

97. დაჭერაობა

გავითვლებით ესე:

ას, ბას, კიტრი ქვას.

ან: ნაირ-ნაირები,
 კიქა-საინები,
 ნემსები, მახათები,
 პაპიროსის ქალაღდები,
 ნარმა, მიტკალი,
 რა გინდა, მითხარი!

10

ვინც დარჩება, ის იქერს. ვისაც დაშვრის, ახლა ის იქერს.

15

სოფ. შალაური

98. კენჭაობა

ხუთი კენჭი უნა ავიღოთ. აქედან ავირჩევთ დედას. უნა ავაგლოთ დედა მალლა, მიწიდან ავიღოთ ერთი კენჭი, სანამ დედა ჩანოარდება, და ორივე ერთათ უნა გვექონდეს ხელში. თუ დედა დეეცა მიწაზე, ვიტყვი, — მიცლაო — და ჩაჭრილები ვართ.

20

როცა ორში ვართ, დედას ავაგდებთ და ვიღებთ ორ კენჭს; სამში როცა ვართ, სამს ვიღებთ, ოთხში — ოთხს.

მერე მოდის ცვლა. დედას აავდებ ჯერ, მერე დედას დადებ, ხელში რომელი კენჭიც გიჭირამ, იმას აავდებ, იცვლი დედებს.

ცუგრია: ხელი უნა მოიხაროს, ცერისა და საჩვენებელ თითებს შორის უნა გაატარო ოთხი კენჭი იგრე, რო არ მოხვდეს ცუგრიას (ცუგრიათ, რომელსაც გინდა, აირჩევ). სხვებზე ცდა შეიძლება, ცუგრია კი ერთი გდებით უნა გაიყვანო.

ჩუმი: უნა აავდო კენჭი და, კენჭ რო აიღებ ხელში, კენჭი კენჭს არ უნა მოხვდეს.

30

ჟღარუნა: კენჭ რო აიღებ ხელში, კენჭი კენჭს უნა მოხვდეს.

სეტყვა: ხუთივე კენჭი უნა აჭყარო და დაიჭირო ერთათ.

კვერციხი დება: ყველა კენჭი ხელში გიჭირამ და სათითაოთ უნა ჩა-მაავდო, თითო ხელის დაკვრაზე თითო კენჭ ავდეთ.

სოფ. შალაური

99. მეწისქვილე და საწყალი კაცის შვილი

- იყო ერთი საწყალი კაცი და დედაკაცი. ჰყვანდათ ერთი შვილი. ამან უთხრა: — წავალო, დედიო, და ვიშოვი, რო პური ლუქმა მოვიტანო სახშიო. წავიდა, იარა და იშოვა იმან სამუშაოზე, ერთი სამი ლიტრა პური იქნებოდა.
- 5 დედამ ი პური გაატანა წისქვილში დასაფქვავეთ. ბიჭმა დააყარა დასაფქვავეთ და დაუცადა, მანამ დაიფქვებოდა. ამ დროე იმ ბაღლსაც ხო პური შიანთ და მეწისქვილესაც. ახლა ი ბერიკაცმა, რომელიც მეწისქვილე იყო, თქვა, რომაო მოდიო და ზიარათ გამოვაცხოთო ერთი ხმიანდიო. ეხლა უთხრა, რომაო ის გირჩევენია, შეილოო, რო საფანელი იყოე შენიო, თუ ცომი მოვზილოთო?
- 10 — საფანელი ჩემი იყოსო, — ბიჭმა უთხრა.
- ადგა და იმ მეწისქვილემ ერთი ჯამი ფქვილი დაჰყარა ხონაზე მოსაზელათ და ერთი ქობი წყალი დაასხა. მერე ურია და, — აბა, შეილო, საფანელიო, და საფანელი იმთენი მოუნდა, რო ერთი გუდა ფქვილი ხმიანდ მოუნდა. გამააცხედა და მიაყუდედა გასაციებლათ. მერე იმ ბერიკაცმა უთხრა, რო
- 15 მოდი, რომელიც საკვირელ ანდაზა ვიტყვითო, ხმიანდი მას დარჩესო. ბაღლმა უთხრა, რომაო, პაპაო, ჯერ შენ დაიწყე ანდაზებო, რაც იციო საკურველიო. შემდეგ დაიწყო ბერიკაცმა ზღაპარი და ანდაზები რა!
- ჩვენ წინათ მდიდრები ვიყავითო, უღელი ბატი გვეყვანდაო და იმითა ვხნავდითო, ვთესავდითო და ქალაქში ქირაზე დავდიოდითო და დიდი ცხოვრება გვექონდაო. დაგვეკარგნენ ი ბატებიო, წასულიყვნენ უღრან ტყეში და დაჰხვევიყოთ მგლი ჯოგოო. ერთი მთელი შეექამნათო და მეორე ნახევარიო. მოიყვანე ი ნახევარი ბატი და გამოაწანი ი გვერდა ლაბტია წკებლითაო. სამი წელიწადი კიდე იმითი ვიცხოვრეთო.
- 20 ეხლა კიდენ დაიწყო ი ბიჭმა ანდაზიე ლაპარაკი: — მამაჩემსა-ჰყვანდაო სამასი ძირი ფუტკარიო. დილით გამაათვლიდა და საღამოთი შაათვლიდაო. ერთ საღამოთი დაგვაკლდა ერთი ფუტკარიო. წავედით იმ ფუტკარი საძებნელათაო. ბევრი ვიარეთ და ცხრა მთაე იქით დავინახეთ, რო ჩენი ფუტკარი ბულა კამეჩ კვალიდან ება უღელშიო. მერე მივედით, გამოაშვებინეთ ის ფუტკარიო და წამოიყვანეთ შინაო. ფუტკარ კისერი დახსივებოყო უღელში, მერე
- 30 ნიგვზი ზეთით დაუპოხეთ კისერიო. ფუტკარი კისერზე ამოიდა მემრე კაკალიო (რადგან კაკლი ზეთით დაუპოხეთ). გაიზარდა ეს კაკალიო, კაკალმა დასხმა დაიწყოო. მერე ვბერტყავდით იმ კაკალ, ჩამოადიოდა ორი-სამი კოდიო. ერ შამოდგომაზე კაკალ შეეჩვია ყვავი და აყრეინებდა დაბლაო. კაკალზე ყვავს მამაჩემა კორახი ესროლაო. კორახი კაკალზე დადგა და გაიზარდა ისე, რო
- 35 ზედა ვხნავდით, ვთესავდითო (ბერიკაც ატყუებს ი ბიჭი). ერთ შამოდგომაზე ფეტვი გვედგაო. როცა შამოიდა მოსამკალათ, წავედით მე და მამაჩემი ი მამულში, ფეტვსა მკიდითო. როცა ვათავებდით, კუდიდან გამოგვივარდა კურდღელიო. მამაჩემა წამოუსო ნამგალიო. კურდღელი დაკოქლდა, ფეხში მოხვდა და დავიჭირეთო. კურდღელი დაკალით, გავქერით შუაზეო. კურდღელში იჯდა
- 40 ხოხობიო. ხოხობი გავქერით და შიგ იყო კოლოფიო. კოლოფი გავსხენით და შიგ იდო დაწერილი ქახალდიო.
- ბერიკაცი შეეკითხა: — შეილო, ქახალდში რა ეწერაო?
- ქახალდში ის ეწერაო, რო ე კვერი ბაღლ ერგოსო.
- ი კვერი ემ ბიჭმა დაინარჩუნა, რადგან აჯობა ტყუილეთშია.
- ახმეტა.

100. გლეხი და მეჭურჭლე

ერთი სოფლელი კაცი მოიდა სახლში, წყალი წყუროდა ძაანა. ორი კოკა იდგა ბალკომში. არც ერთში წყალი არ იყო. აიღო ეს კოკები ემ კაცმა და ორთავე დაამტვრია.

იქ, ახლოს, მეჭურჭლეს ჰქონდა ჭურჭელი გასაყიდი. მეჭურჭლემ გაიგო, 5 რომ იმ კაცმა კოკები გატეხა, და თქო: — ეგეთი კაცი გვიყვარსო. მივიდა ის კაცი მეჭურჭლეთან და აიღო იმისი ორი კოკა და იმისებოც გატეხა. მემრე უთხრა მეჭურჭლე: — გიყვარვარ ეხლაო?

სოფ. მატანი

101. ასირებული კაცი

ერთ ამხანაგსა-ყავე ორი ვირი და წავიდა შეში მოსაქრელათ მთაში და 10 დაუწყო ჭრა. რომელ ტოტსა-აქრის, იმ ტოტზე დგა.

სხვა კაცი შაახვდა და უთხრა: — ჩამაგვარდებო და მოაკვდებო. აღარ ვავიდა ცოტა ხანი და დაიძახა ამ ტოტმა ბუნგუნი და გააცვივდა დაბლა ამ კაც ბლურტუნი.

როგორც იყო, მაიბრუნა სული ამ კაცმა და გემეკიდა იმ კაც, რომ 15 მელმაც უთხრა, რომ ჩამოგვარდებო.

— კაცო, შენ გეცოდინებაო, მე როდის მოგვკვდებო.

— შენი ვირი რომ სამჯერ გაგორდებო, მაშინ მოგვკვდებო.

გაგორდა ეს ვირი. გადაბრუნდა ეს კაცი და კვდება. დაიწყო ამ კაცმა გორვა, მითომ მოგვკვდიო, ჩემი ვირი გაგორდა სამჯერო. 20

ვირები დაადგნენ, ყანასა-აძოვენ. დაიწყო ერთმა კაცმა ყვირილი: — რა-სა-აღუჟამ ამ ყანასაო? ის კაცი ხმას არა-აქემს. მუუბრუნდა ის კაცი და და-აყარა თავსა და პირში: — ვირი რომ გაგორდეს, შენ რა მოგკლამსო?!

სოფ. ბუშეთი

102. ქვა მოწამეთ გამოადგა

ერთმა გლეხმა კაცმა ერთი გლეხი კაცისაგან ფული ისესხა, უთხრა: 25 — მიხოვო, თუ შეიძლება, ერთი ხუთი თუმანი მასესხეო.

— ხეალეო სანადიროთ უნდა წავიდე და წამოგიღებო.

მეორე დილით წაუღო ფული და ეს ნიკა დაუხვდა, რომელ ალაგასაც დანიშნული ადგილი ჰქონდათ. ნიკა ტყეში მიდიოდა ქიგვის მოსაქრელათ. ჯვარდინ გზაზე დიდი ქვა იყო კუთხეში და იმ ქვაზე იჯდა. მიხამ კურდღელი 30 მოკლა, გამაიარა გზაზე და ნიკაც იქ დაუხვდა. — გამარჯობა! — გაგიმარჯოს! ორმოზდათი მანეთი მისცა ნიკას, არაფერი ვექსილი არ ჩამაართვა, მიენდო.

— ერთი წლის განმავლობაში ჩაგაბარებ ფულსაო.

ერთი წელიწადი გავიდა, კიდევ მეტი, რომ ფული არ მისცა ნიკამ მი- 35 ხას. მიხამ უთხრა ნიკას: — კაცო, ფულს რატო არ მაძლევო? ადგა და უარი გამოუცხადა. წამოიდა ის მიხა და გაუსაჩივრა სასამართლოში.

დაიბარა სასამართლომ ნიკა. უთხრა ნიკას სასამართლომ: — ნიკავ, რატო ფულს არ აბარებო?

ნიკამ უარი უთხრა: — მაგაა ფული არ მოუცილო.

ამ დროს სასამართლომ უპასუხა მიხას: — მიხავ, როგორ იყო, სთქვი, 5 სად მიე და როგორ ფული?

— მე მოვდიოდი სანადიროდან და ნიკა შამხვდა ჯვარედინა გზაზე და მეორე დღეს ჩამოუტანე ფული, დიდ ქვაზე იჯდა და მივეცი, მოწამე არაფინ მყავსო, — მიხამ უპასუხა. სასამართლომ უთხრა: — წადი და ის ქვა მაიტანე აქ, სანამდინ მე გავარჩევ სხვითა საქმეებსო. ნიკას კიდე უთხრა სასამართლომ, 10 რო თქვენ დაბძანდით აქ, მოიცადევიტო.

აღმა და მიხა გამოიდა გარეთ და ფიქრობს: როგორ მოიტანო მე იმო-ტოლა ქვა, ურემზე არ შეიძლება დადებო... კარგა ხანი გაიარა ამ დრომ. ყველა ხალხი გაასამართლა ამ მოსამართლემ და დარჩა ეს ნიკა მარტო იქ. ადგა სასამართლო და მიდის და ნიკას ეუგნება: — თქვენ მაითმინეთ აქ, სანამ ის 15 ქვას მაიტანსო.

ამ დროს ნიკამ უპასუხა: — ბატონო უმფროსო, ძალიან დიდი ქვა არი და ურემზე ვერ დაუდებს და ვერც თუ ზურგით მაიტანსო.

— მაშ, წადი, დაუძახევიო.

გამოიდა ნიკა და დაუძახა მიხას.

— აბა, სასწრაფოთ ჩააბარე ფული, თორემ იცოდე, რო დაგსარჯამო! 20 იმ ქვამ უშველა, მოწამეთ გამოადგა ქვა.

სოფ. კუპატანი

103. სარბი აღამიანი

ერთ კაცსა ოზდაცხრამეტი დედაკაცი ჰყვანდა. სხვა კაცს კიდენ სხვა ქვეყანაში ერთი დედაკაცი ჰყვანდა კარგი. მიუტანეს ამბავი იმას, რომელსაც 25 ოზდაცხრამეტი ჰყვანდა, რო იმ ქვეყანაში იმ ბიჭ კარგი დედაკაცი ჰყავსო. უთხრა იმ კაცმა თავის მოსამსახურეფს: — წაართვით ეს დედაკაცი და მე მომიყვანეთო! წავიღნენ, წაართვეს ის დედაკაცი და მოუყვანეს იმას. გაუხდა ორმოცი დედაკაცი. ის დარჩა იგრე უცოლოთ.

მემრე იარა იმ ბიჭმა და მივიდა იმ ხემწიფეთან და უთხრა: — შენთან 30 საჩივარი მაქსო და ძალიან კარგი სამართალიც ქქონია შენო და სწორეთ მა-ცემ სამართალსო!

— დიახ, სწორე სამართალი მაქსო, — უთხრა ხემწიფემ, — აბა, ეხლა იამბე, რასა-აჩივიო?

— მე იმაე ვჩივი, რომ ერთი ცხვარი მყვანდა მე და ერთ კაც კიდენ 35 ოზდაცხრამეტი ცხვარი ჰყვანდა. ის ერთი ცხვარი მე წამართო და იმაე ორ-მოცი ცხვარი გაუხდა, მე აღარც ერთი ცხვარი მყავს. ამის მოქმედს რა სარ-ჯალი ეკადრებო?

— ამის მოქმედი — დედამიწა გასქდე და შიგ ჩავარდესო.

გასქდა დედამიწა და ის კაცი ჩავარდა შიგ, ვისაც ის ორმოცი ცოლი 40 ჰყვანდა.

ხემწიფეს ეგონა სხვაზე ლაპარაკობსო და თავათ კი იყო მოქმედი.

სოფ. მატანი

104. გამოცანა

იყო ერთი მდიდარი კაცი. იმას ჰყავდა ვეზირები ოთხი. ამ უფროსმა უთხრათ: — წავიდეთო, მინდვრათ გავიაროთო.

მაშინ იცოდნენ ფაიტენები. წავიდნენ ფაიტენით და ჩავიდნენ ალაზანზე. ნახეს ერთი მოხუცი მებაღური. ეს მოხუცი ზამთარ-ზაფხულ, ყინვაა თუ ზაფხული, წყალში დგა და თევზაოფს. მოიდნენ, ჩამოიდნენ ფაიტენიდან და შეეკითხა ეს მდიდარი კაცი ამ მოხუცს: — ზამთარ-ზაფხულ რათ თევზაობო? ოთხ სიტყვას გეტყვიო, თუ ეს სიტყვა ამისხენიო, ისევ ითევზავეო, თუ არა და დაგიჟერო.

მისცა შეკითხვა: — ორზე როგორა ხარო? 10

პასუხი მისცა: — დავასამეო.

— ოზდაოთხზე როგორა ხარო?

— დავაცარიელეო.

— სიშორეზე როგორა ხარო?.

— დავიახლოვეო. 15

— ოთხი თხა რო გამოგიგზანო, დაჰპარსამო?

— ერთ ბალანსაც არ შევარჩენო.

აღდა და წამოიდნენ ისინი სახში. იმ ვეზირებს უთხრათ: — თუ იმ სიტყვებს ამისხნით, რაც იმ მეთევზემ ამისხნა, იცოცხლებთო, თუ არა და დაგხოცამეკეო. 20

დაღონდნენ ვეზირები, ვერ უპასუხეს და უთხრეს: — ხუთი დღე გვადროეო. ერთმა ვეზირმა ჩაიდო ასი თუმანი, მეორემ — ორასი, მესამემ — სამასი, მეოთხემ — ოთხასი და წამოიდნენ. იმ მეთევზედთან მივიდნენ და უთხრეს: — აგვიხსენი ის სიტყვები და, რაცა ღირს, მოქცემთო. — ძალიან ძვირი ღირსო. პირველი სიტყვა ასი თუმანი ღირს, მეორე — ორასი, მესამე — სამასი, მე-25 ოთხე — ოთხასი თუმანიო. მერე ათქმევინეს.

— ორზე როგორა ხარო, რო მკითხა, ნიშნავს: მუხში როგორა ხარო, სიარული შეგიძლიან თუ არაო. დასამება ის არი, რო ხელში ჯოხი დავიჟირეო.

— ოზდაოთხზე როგორა ხარო — კბილები კიდე გაქ თუ არაო. კბილები აღარა მაქ და უთხარი, — დავაცარიელეო. 30

მესამე — სიშორეზე როგორა ხარო — კიდენ ის არი, რო თვალეებიდან ხედავ თუ არაო, — დაბრმავებას მიუახლოვდიო, — უთხარი.

მეოთხეო — თხები თქვენა ხართო, დაგპარსეთო, კაპიკიც აღარ მიგღვეთო.

სოფ. შალაური

105. მოლას ოინები

ერთმა მოლამ დაფეკვა კოკის ნატეხარი, წაიღო და თავის წამლის ბარობაზე ყიდის. ერთმა მეპურემ თითქმის ნახევარი ტობრაკი იყიდა. მოლა გემევეშურა გზას. მეპურემ იფიქრა: რანაირათ ვაქამო თავვებსაო? დეეწია მოლასა და ჰკითხამს: — რანაირი ხერხით ვაქამო თავვებსაო?

— დაიჟირე თავგი, კისერში ჩაავლე ხელი და პირში ჩააყარეო, სანამ არ მოკვდეა, ხელი არ გაუშვაო.

მეპურემ უთხრა: — თუ დავიქერ თავესაო, ხო ისეც მოვკლამო! და — ეგ მთლათ უკეთესიო.

* * *

ერთხელ მოლა წავიდა სანადიროთ და წაიღო ხარჯი თან. ერთ კაობიან ადგილად ბატებს ეპარებოდა. რო დაუახლოვდა ბატებს, ბატები სუყველა 5 აფრინდნენ. მოლამ თქვა: ბატები ხო გაფრინდნენ და ე ბატის წვენ მაინცა ვკამ, პური მშინანო.

დაჯდა და პურსა კამს და ატანს ი ბატის წვენ. გამვლელ-გამომვლელსაც ეუბნება: — მობძანდით, ბატის წვენი მაქ და მიირთვითო.

* * *

ერთხელ მოლამ თავისი ბავშვი წყალზე გაგზანა. მისცა კოკა ხელში და 10 ერთი მაგრა-ცემა. ცოლი ეკითხება: — კაცო, რათა-ცემო?

— იმიტომ, რო კოკა არ გატეხოსო.

— ჯერ ხო არ გაუტეხნიაო?

— როცა გაატეხამს, მაშინ სისულელეა ცემაო.

* * *

ერთხელ მოლა წავიდა მეორე მოლაძთან ტყუილების დასაჯობრებლათ. ის 15 მოლა სახში არ დაუხვდა. დაახვდა შაგირდი იმისი.

— სად არის მოლაო? — ეკითხება შაგირდს ის მოლა.

— შვიდი წლის წინათ დაფლერთილი ღრუბლების დასაკერებლათ წავიდაო.

მოლამ თქვა: შაგირდი არი, ეგეთ ტყუილ მეუბნება და ის რაღას მი- 20 ზამს, ტყუილათ ვიქნები აქაო.

სოფ. ჭიკაანი

106. სოლომან ბქენი

სოლომან ბქენთან მივიდნენ ორი ქალი (რძლები), რომელიც რო ერთ დეეხრო ბაშვი აკვანზე და რძლისათვი მიეგდო და ცოცხალი კიდენ თითონ ზიეთვისნა და არ ანებებდა თავი დედას.

25 სოლომან ბქენმა უთხრა: — ბაშვი გაქვრითო, ნახევარი ერთ მიეცით, ნახევარი მეორესაო! მაშინ ნამდვილი დედა რომელიც იყო: — ნუ გააქვრითო, მაგას ჰყვანდესო! ხოლოთ მეორე კი ამობდა: — გააქვრითო. მაშინ მიხვდნენ ყველა, თუ ვინ იყო ნამდვილი დედა და შვილი მიაცეს იმას.

სოფ. ვანთა

107. კოზმანაო, კისკისაო!

30 ერთი დეიდა-აყავ მამაჩემ. იმაჲ ქმარი აყავ და შვილებიცა. ერთი შვილი აყოლიყო თიანეთში გათხოილი. ეს კაცი იქიდან ხალხ გამოაყუა და გზა ეერია.

მემრე ეს კაცი შეერია ტყეში და იმასა-აგონია, რო ესე მოკლენზე გადა-ვივლი და შინ გავალო, მთვრალია თანაც ძიენა და გიტარა უჭირამ ერთი 35 და ბოხჩა ერთი თანა. მოდის ახლა და ერთი ხე გდია და იმაზე უნდა

გადავიდეთ ისა. აქათ-იქით ქალებია სულა. შადგა ამ ხეზე ფეხი და ხის მეორე მხარე ფიჩხია და მიდის ეს კაცი, თან ეძინება, ვერაფერსა-ახედამს.

გადმოდგა ფეხი ახლა და იმ ფიჩხი ქვეშ თურმე დათვი წოლილიყო და, ფეხი რო დაადგა, დაიღრიალა ამ დათვმა. ადგა და შამოახედა ამ კაც, დაინახა, რო კაცია და მივარდა ზედა საკმენათ.

5

ახლა ამ კაცმა იფიქრა და ადგა და მიეცა საკმელი. ამ დათვმა აიღო და გადაადგო. შაიძლება, ისე რო არ გეებრაზებინა, ხმა არ გეეცა ამ დათვ. მემრე, ეს დათვი რო მოუბრუნდა, გიტარალა იხმარა საწინააღმდეგოთა, დაუწყო გიტარით ცემა. წაავლო ამ დათვმა ამ გიტარაჲ პირი და დაამტვრია. წააქცია ეს კაცი, ჩაიდო მარჯვენა ხელი მთლათ პირში და ლეკამს. ისე აცენა მემრე დათვმა ამ კაც, რო სიკვდილი პირაჲ მიიყვანა.

10

მემრე ეს კაცი გაიტურნა და დათვმა რო ყური დაუგდო, იფიქრა, რო ეხლა კვდარიაო და წავიდა ახლა ფიჩხი ჯაგები მისატანათა. მინამ ის დათვი მოიღოდა, ამ კაცმა თავ უშველა, ადგა და წამოიდა.

ახმეტი თავში გამოიდა და შახვდა მანქანა, აკითხა — სადა ვარო — და დასვეა მემრე და წამაიყვანე აქა.

15

მემრე იმ კაც სახელიც გამოუცვალე — შაქრო ერქო და კოზმანა დაარქვეა. ეხლაც ცოცხალია ი კაცი, თანაც ლექსიც გამოუთქვეა მემრე, რო:

კოზმანაო, კისკისაო,
ჩამოჯდება ტყი პირსაო,
ჩამოუვლის დათუნია,
ჩამაამტვრევს ცხვირ-პირსაო.

20

სოფ. ქისტაური

108. კაცი და დათვი

ერთი საწყალი კაცი არი, უღელი ხარი ჰყავ, ერთი ურემი აქ, დადის ტყეში, შეშაჲ მოაქრის და მაიტანს შინ.

25

დამობილდნენ დათვი და კაცი. ის დათვი შეშასა უქუჩედს, ის კაცი კიდენ მიიტანს ურემს, დაუდედს და წამაიღედს. იმით ცხოვროფს ის საწყალი კაცი.

მემრე იმ საწყალმა კაცმა დაჰპატიჟა დათვს, მიიყვანა სახლში. ურემი გამოუშვეს და შავიდნენ სახლში. გაშლილია ფარდაგი. კაცმა მიიპატიჟა: — მობძანდიო, ჩემო ძმობილო დათოო!

შავიდნენ სახლში. ცოლმა დაუწყო ჩხუბი ქმარს: — ეს ცუნგლიანი რითვინ მაიყვანეო?!

ეს ეწყინა დათვს. ადგა და დადგა კარფეში დათვი, უთხრა თავი ძმობილს: — აიღე გალესილი ცული და შუფში დამარტყიო!

35

ითაკილა ამ საწყალმა კაცნა: — არ შაიძლებაო.

დათვი აღარ მეეშვა. ამ კაცმა დაჰკრა ცული თავში დათვს. წავიდა დათვი თავგატეხილი და მივიდა თავი ბინაში. მორჩა ის დათვი, მოურჩა თავი.

ის საწყალი კაცი წავიდა ისევ ტყეში. ნახა დათვმა ისევ ის კაცი. უთხრა კაცმა დათვს: — როგორა ხარო?

40

— კარგათა ვარო. შენ რო ცული დამკარო, მამირჩაო. ცოლი გამამი-
გზავნე ურემზედაო (უნდა შაქამოა რა!).

სოფ. ქვემო ხოდაშენი

109. მონადირის ნამბობი

იყო ერთი მონადირე. ტყეში დაიარება, ნადირობს. შახხვდა ერთი თავი
5 ადამიანისა, ხავსი აქ მოკიდებული. შუბლი დაქდეული ექონდა, ეწერა: გა-
დასახადი გადახდაო, უარესობას მეველიო! მონადირემ იფიქრა: ეს მკვდა-
რია, რაღას მეელის გადასახადსაო? ყაბალახში შახხვია და შინ წამაილო: შავი-
ნახამ, ვნახამ, უარესობას რას მეელისო. ჩამაიტანა შინ კრენჩხა. ეგრე სა-
თონე აქ, თონეს წინ ეგრე ლობე არი, ლობის მანა არი, ზედ გააკეთა, რო ან
10 ყეფარმა ან ბავშვმა არ გადააგდოს. დილა-სალამო შახხვდამს ეს კაცი: ნა-
ხოთ, რა იოჟა ამ თავეს, გადასახადი რა უნა გადაახდესო, — ფიქრობს. ეგრე
ღარჩა რამთენი ხანი ის თავი მარგილზე.

ეს კაცი წავიდა მთაში სანადიროთ. ჟღმურდლიანი დღეა. დედაკაცმა
პური უნა გამააცხოა, თონე უნა გაახუროა. აანთებს ჩალითა და გაუქრება,
15 აანთებს ჩალითა და გაუქრება, ვერ ახურებს თონესა. ემთენი იწვალა ემ ქალმა,
მოახებურდა. მაავლო ი ხავსიან თავ ხელი, ჩააგდო თონეში, გახურდა თონე
და პურიც გამააცხო და ყველაფერი.

მემრე ჩამოიდა მონადირე სალამოთი, შახხვდა, აღარ არი ძვალი. თავის
ცოლს უთხრა: — დედაკაცო, ექ რო ძვალი იყო, რა უქენიო?

20 ეხლა შახხვილა თავი ჯალაბმა: — კაცო, ერთი კონა ნამჯა ჩავაწვი თო-
ნესაო და ვერ მოუკიდეო. ავდექი და ი ხავსი ჩავაგდე თონეშიო. აპრიალდა,
მეეკიდა და ეენტოო.

ი კაცმა თქვა: უარესობა ანგე, ის გადაახდა იმასაო.

სოფ. კისისხევი

110. დივანბეგი

25 ერთმა კაცმა მეზობელს ცხენი ათხოვა: — შაკმაზულობით მამეციო. არ
მიცა, ისე გაატანა. ტყეში წავიდა, მოუბა ერთი სათირი. რო მოიტანა, კა-
რეფში მეედვა შესავალს და კული მოაძგრა. მუყყვანა პატრონს: — კული მო-
აძგრა ცხენსაო.

მეზობელმა უთხრა: — უკულო ცხენი არ მინდაო, დაამწყრალა და უკან
30 გაატანა.

ეს კაცი ბრმასავით იყო, მიდიოდა შინათკენ. ხიდთან რო მივიდა, პა-
ტარა წყალი იყო, ჩავარდა დაბლა, ერთი კაცი დაუხვდა იქა და ზედ დეეცა,
მოკლა ი კაცი.

ცხენი პატრონმა დიანბეგთან იჩივლა: — ცხენი ვათხუეო და უკულო მა-
35 მიყვანაო. ბიქმა კიდენ იჩივლა: — გადავარდა ხიდიდამო და მამა მამიკლაო.

ბრმა კაცმა რა ქნას! ორივე უჩივიან. წავიდა რიყეშია, ხელცახოცი აავსო
ქვიშითა, მივიდა დიანბეგთან. დიანბეგი ი კაც ხელში უყურეფს. ხელცახოცი
რო უჭირამ, თეთრი აგონია დიანბეგსა: ჩემთვინ მოუტანიაო.

დიანბეგმა პირველათ გაასამართლა ცხენი პატრონი. დიანბეგმა უთხრა ცხენი პატრონს: — ეგ ცხენი შინ წაიყვანეო, კუდი ისევ გამოუაო. თუ კიდევ არ გინდა, ამასა-ყვანდედ და, როცა კუდი გამოუა, მაშინ წაიყვანეო. ახლა მეორეს უთხრა: — წამოა ესაო, დაბლა დადგებო, შენ გადავარდი, დეეცი ზედაო და ახლა ეს შენ მოკალიო (ამოობაში უყურეთეს ხელცახოცს).

გამოიღნენ ისინი გარეთ. ეს კაციც გამოაყვა, ქვიშა გადაყარა და თავი სახში წავიდა. დარჩა დიანბეგი ცარიელა.

სოფ. შილდა

111. შურიანი ძმა

ერთ სოფელში ორი ძმაკაცი იყვნენ — ერთი შვილებიანი, ერთი უშვილო. უშვილო კაცმა სიზმარი ნახა: იმისი ძმა დადის და სუ ლაპარაკობს: როდის იქნება ჩემი ძმა მოკვდეს და იმის მამული მე დამჩესო. სიზმარში მოზდის ბრაზი თავი ძმაზე, მაგრამ რა ქნას! სიზმარშია და ძინამს, ვერას აწყობს. სიზმარში ავით გახდა, სასიკვდილოთ მიიწურა და შვილებიანს კი უხარიან. ესე რომ, კიდევ მოკვდა. მოიყვანეს დიამბეგი და ანდერძი აუგეს, გამუასვენეს სახლიდან, მიაქთ დასამარხათ. შვილებიანმა კაცმა უთხრა დიამბეგს: — ხვალ მამულები უნდა ჩამბარდესო. ცოლმა უთხრა: — სახვალიოთ რაღას არჩენ, დღეს ვერ ჩაიბარებო?!

წაიღეს და ჩანსვენეს სამარეში, მიაყარეს მიწა. მივიდა შვილებიანი ძმა და ტკეპნის და ჩაძახის: — ჩაძალდი განაო! მაშინ კი გაბრაზდა და გული ეენტო, მიიწვი-მოიწვივა, სამარე უნდა დაანგრიო და თავი ძმას ცემო! გად- მოარდა ტახტიდან და ძირს დეეცა ფილაქანზე.

სოფ. მატანი

112. ბედნიერი ცოლ-ქმარი

სამი ძმა იყვნენ, თითო ნატერი უფლება აქონდათ: სიცოცხლეს ინატრებდა, აუსრულდებოდა, სიჯეელეს ინატრებდა, აუსრულდებოდა. სამთავ საწყლათ იყვნენ. მაილაპარაკეს: ეგრე საწყლათ რო ვართ, თითო რამე ვინატროთო.

ადგნენ, მიდიან გზათ. ერთ ადგილას დაისვენეს. გაახედა უფროსმა ძმამ, რამდენიმე ექტარი მინდორი არი.

— ძმებო, ამაზე კარგი რაღა ვინატროთო! აეს მინდვრები იქცეს ყანათ, ზოგი მკიდეს, ზოგი ეზიდებოდეს, იმათ პატრონი მე ვიყო!

ემოტოლა მიდამო იქცა ყანებათ, შამაიდო მუხლი მუხლზე და ბძანებას იძლევა: — აეს იქ მიიტა, აეს აქაო!

დარჩნენ ორნი ძმანი. ისინი მიდიან გზათ. ერთ ალაგა ერთი რიყეა და იქ დაისვენეს. შაშუალო ძმამა თქვა: — ნეტა რაც ამ რიყეში ქვა და კენჭი ყრია, სუმთლათ ცხვრათ იქცეს თავის სარქლებით, იმათ პატრონი მე ვიყო!

იქცა მთელი რიყე ცხვრათ თავიანთ სარქლებით.

დარჩა ეხლა პატარა ძმა. ადგა და წავიდა. ერთ ალაგა დეეძინა. სიზმარში ნახა: ერთი კოშკი დგა, იქ არი ჰაბუკი, იმან უნდა ააწავლოს, ქვეყანაზე კარგი რა არი.

გემეღვოდა ამ ბიქსა, ადგა, წავიდა, გადავიდა ერთ მთას, მივიდა, ნახა, ერთი კოშკი არი.

— ჰაბუკო! — გააძახა. გამაინხედა ცოლმა: — რა იყო, რა გვალონებო?

— ჩემო დაო, ცოტახან ჰაბუკი გამოიღე, ერთი სიტყვა უნდა უთხრა და ისევ შავიდესო.

მივიდა ეს ქალი და დაუკვილა: — ვილაცა ოჯერი მოსულა და გეძახისო.

გამაინხედა ი ჰაბუკმა: — რა გინდაო?

— შენ გენაცვალე, ქვეყანაზე რაც კარქია, ისნა მასწავლოო (ძოლათ მო- ჩამიჩებულია ეს ჰაბუკი, ისეა დაბერებული).

10 უთხრა: — აგე, ზემოთა კოშკში დაიძახე, იქ არი ჩემი უმფროსი ძმა და ის გააწავლისო. ამ ბიქმა თქვა: ეს ესე მოხუცებულია და ამაზე უმფროსი ძმა რაღა იქნებაო!

მივიდა, გააძახა იქაც. გამოაძახა ცოლმა, იმანაც შაუკიელა. ბიქმა შა- დაძახა: — ჩემო დაო, ერთი კარში გამოვიდეს ჰაბუკიო.

15 მივიდა, ცოლმა უთხრა: — ვილაცა ოჯერი გეძახის, აბა გაახედე კარშიო. ადგა, გამოახედა: — რა გინდაო?

— ქვეყანაზე რაც კარქია, ისნა მააწავლოო!

— ანგე, ზემოთყენ ჩვენი მესამე, უმფროსი ძმა არი, იმან უნდა გააწა- ვლოსო.

20 ადგა, წავიდა მესამე ძმადთან, დაუძახა იქაც: — ჰაბუკო!

გამოახედა ახალგაზდა ქალმა, უთხრა: — მობძანდი, ჩემო ძმაო!

აიყვანა სახში, რას მაიკითხამ, რო შიგ არ არი! მთარო საკმელ-სას- მელი. უთხრა, რომაო ჰაბუკი მოიდეს, მეჩქარებაო.

— ჰაბუკსა ზძინამს და ვერ გავალვიძებო.

25 ეს ბიქი წუხამს, ეჩქარება, რო წამოვიდეს ჩქარა. მერე უთხრა: — მალალ ქოშებზე შავდგები, გავივლი ბაკაბუკითაო, იქნება თავი გუნებით გემეღვი- ძოსო.

ჩაიცივა ეს ქოშები, გაიარა ბაკაბუკით. წამოხტა, უცეფ გეღვოდა იმ ბა- კაბუკზე: — რა არი, დედაკაცო, რა ამბავიაო?

30 — ბოღიში, კაცო, ერთი ბიქი მოიდა და ერთი-ორი სიტყვა უნდა გი- თხრასო.

ადგა, გამოიდა ჰაბუკი, მუუჯდა ბიქ გვერდზე. შახედა ბიქმა, ახალ- გაზდა ბიქია, იმათზე უმფროსი კი არი. შახედა ცოლმა ჰაბუკს და თმაზე ერთი თეთრი ბეწვი გემეერივა, მოაკიდა ხელი, გამააგლიჯა.

35 ჰაბუკმა უთხრა ბიქს: — რაშია საქმეო?

— შენ გენაცვალე, ჰაბუკო, ქვეყანაზე რა არი კარქი, ისნა მააწავლოო.

გაიციანა. მაგაზე ადვილი რა არი ქვეყანაზეო. აი, ქვეყანაზე რა არი კარქი, — დაჯრა ცოლ ხელი. — თუ კაც ცოლი კარქი ყყავ, იმაზე კარქი ქვეყ- ნიარობაზე არაფერი არ არიო. ნახე, ჩემი ძმები, უგემური ცოლები ყყავთ და

40 იმათ დააბერესო.

— როგორ გავიგო, რო მე კარქი ცოლი შამხვდესო?

— რო წახვალ ეხლა გზაზე, სოფელში შახვალ, დაგიღამდება იქ. ერთი ახალგაზდა ქალი მეგეწონება, იმ ქალ ეტყვი: — ჩემო დაო, ამალამ შამინახე, მგზავრი ვარო. თუ იმ ქალმა გითხრა: — მობძანდი, — ის ქალი არ ვარგაო;

45 თუ გითხრა, — ჩემ ძმაა შევეკითხები, — იცოდე, ის ქალი ძაან კარქიაო.

ბიქი ადგა, წამოიდა, გამაისტუმრეს, ჩამაართვეს ხელი. შორი მანძილი

რო გამოიდა, უთხრა ცოლმა ჰაბუქს: — რატო ცოტაოდენი სახარჯო არ აჩუქე, იქნება დაჰქირდესო.

დაჰკივლა, როგორც ყარამანი, მობრუნდა ბიჭი, უთხრა: — აემას ვენაცვალე, ამან მამაგონა, თორენ მე დარდიზგან მოვეკვდებოდით.

ამაილო ერთი ასი თუმანი და აჩუქა.

5

ადგა, წამოიდა ეს ბიჭი გახარებულად. წამოიდა ერთ სოფელში. ერთი ქალია, როგორც ანგელოზი, ისეთი რამე არი. შახედა ამ ბიჭმა, ძან მე-ეწონა, ხოლოთ საწყლი შვილია. უთხრა: — ქალო, მგზავრი ვარ და ნათესავები არავინ არა მყამს, შეიძლება ამაღამ შამინახო?

— მაითმინეთ, ჩემ ძმა შევეკითხებო.

10

გაიქცა დედ-მამათან, ეუბნება: — ერთი ბიჭი არი, ამაღამ შამინახეთო, რას იტყვითო?

— წადი, შვილო, მაიყვანე, ტუმარი ხეთისა არიო.

ადგა, მივიდა ბიჭი. იმ ღამეს რაცა-ჰქონდათ, ასიამოენეს. დაწვა, დაიძინა. მეორე დღეს ეუბნება დედ-მამაჲ: — ეს ქალი უნდა ნამცეთ მეო!

15

— რას ამობ, შვილო, შენ მდიდრი შვილი ხარ, ჩვენ საწყლები, როგო იკადრებო?

— არა, მე საწყლი შვილი მინდაო.

გამაატანეს ეს ქალი, ამიყვანა სახში. ეს ბიჭი ამოფს: ეს ქალი ძან კარქი მოიყვანეო, რა ყრია ცარელა ქალშიო? ერთ ძმას იმტოლა პური აქ, 20 სახემწიფოა შაინახამსო, მეორეს კიდენაო იმტელა ცხვარი ყყავ, ერთ სახემწიფოა ეყოფა საჭმელათო. მე კიდენ კარქი ცოლი მოიყვანე, მაგრამ ცარელა რა გავაკეთო?

უთხრა ცოლმა: — კაცო, შენ საღმე წადი, მოჯამაგირეთ დაუდექი და მე ვიცი აქაურობისაო.

25

ეს ქალი დაორსულდა, ეს ბიჭი კი წავიდა მოჯამაგირეთ. ეყოლა ვაჟი-შვილი:

რა დროსაც ხუთი წელიწადი შაასრულა, ქმარი რო უნდა მოუიღეს ქალს, ამ დროს ჩამაიარა ჯოხი ბჯენით თხოარამ. იმ ქალი ბავშვმა დაინახა: — დედავ, დედავ, ერთი თხოარა არი იქა, ბალები ეკლამენ ქვი ცემითაო.

30

გაიქცა ეს ქალი ამ დროს, წაჰკიდა ხელი, თხოარა წამაიყვანა სახში. აანთო შუში ღამეა, დახედა ამ თხოარასა, რალაც ახვევია მკლავებზე (მკმენარი). დააძრო სუმთელი ტანისამოსი, დაუმდულრა, დაუბღერტა, თავი ქმრი საცვლები ჩააცო. რო დაუშრო, ისევე ჩააცო.

ჩაიცო თუ არა თხოარამ, ქმარმა დააკაკუნა.

35

— ვინა ხარო? — ქალმა უთხრა.

— შენი ქმარი ვარო.

ეძგერა ქალი ამ კარეფს, გაულო, რა თქმა უნდა, ჩამაართო ხელი დედაკაც.

— ეს ბავშვი ვისიაო?

40

— შენი არიო, ჩვენ გვეყოლაო.

— ეს ვინა არიო? — თხოარაზე ეუბნება.

— კაცო, ესე-ესე იყო, წავკიდე ხელი, მოიყვანე სახში, მკმენარი ეხვია, დავნადე, დაუმდულრე და ისევე ჩავაცვიო.

— ყოჩალო, — ქმარმა უთხრა. მოიტანა მჭადი კვრები, ხახვი და ნიორი, 45 ქათამი, ნიტრით კიდე ღვინო. თხოარას ასვეს, აჭამეს და გაისტუმრეს.

აი, ეგეთი ქალი იშოვნა ამ ბიჭმა. ი ძმები კი ბოლოა მშვივრები დარჩნენ. ცხვარი ისევ რიყეთ იქცა, პურის პატრონს კი მთელი პური დეეწო, დარჩა კაცი მშვიარი. არაფერი აღარ აქო არც ერთ ძმას და არც მეორეს. აღგნენ და მოიდნენ პატარა ძმათან: — შენ გენაცვალე, მშვივრები ვიხოცე-
5 ბით და მოგვეცი რამე საკმელიო.

სოფ. შილდა

113. მამის დარიგება

იყო ერთი მდიდარი კაცი, ძალიან მდიდარი, რო რა გითხრა! აყვანდა ერთი შვილი, ბიჭი. ის კაცი კიდე მუშაომდა და თავი სიმდიდრეა ერთი-
10 არაფერ აკეთებდა, არცა მუშაომდა.

— მე მამაჩემი ქონებაც მეყოფაო, — და მთელი დღე და ღამე სუ ქე-
იფომდა, დროა ატარებდა, ამხანაგებ აკმებდა ფულეზ.

ძალიან სწყინდა იმი მამაა, რო იგეთი შვილი აყვანდა. სუ იმაა ნაღვე-
ლომდა, არიგებდა თავი შვილ, მაგრამ არაფერი გაადიოდა.

15 ერთხელ, რო უკვე დაბერდა ეს კაცი, სიკვდილი წინ დაიბარა ეს თავი
შვილი და უთხრა: — აი, შვილო, მე უნდა მოვკვდე და შენ ხო ჩემი აქამდინ არ
გესმოდა და არ მიგდემდი ყურსაო, ეხლა მაინც გამიგე და ეს ერთი ანდერძი
მაინც შამისრულეო. მე ვიცი, რო მალე მოვკვდები და შენ ჩემ მონაგემ ქო-
20 ნებაა ერთ-ორ თვეში გააქრომო და ისეთ დღეში ჩავარდები ბოლოა, ამხანა-
გებიც დაგტოვებენ და აღარავენ აღარ მოქხედამსო. მაშინ, ვიცი, თავი სიკვ-
დილამდინ მიხვალ და ეს მაინც გამიგონეო. აი, ჩვენ სახლ უკან რო პატარა
ოთახია, იქ შენთვინ სახლობელა მაქ გამართული და თავი მოკვლაა რო გადა-
წყვიტაა, იმ სახლობელაზე მაინც ჩამაიხჩე თავიო.

— კარგო, — ამ ბიჭმა უთხრა და თან გუნებაში კი გეეცინა.

25 მოკვდა ახლა ეს მამა და დარჩა ეს ამტვენი ქონება ამ ბიჭ. დაიწყო ამ
ბიჭმა და ქეიფომს, ყოველდღე სუ თვრალია. სუ ამხანაგებ და ღვინოა შა-
აქამა თავი მამი ქონება და დარჩა ცარიელაზე. ახლა რალა ქნას? აღარც ამ-
ხანაგებ აგონდებათ, აღარც ყურადღებაა აქცემენ, სუ აღარ აცნობენ. იგეთ
დღეშია, რო პური ლუკმა ენატრება ემ ბიჭ. ღამის არი მოკვდეს შიმშილი-
30 საგან. ეხლა კი გაიგო, რაცა ყოფილან იმი ამხანაგები, რო როცა-აქონდა ამაა
და ამხანაგებ აკმებდა, მაშინ კარქი იყო, თუ არა და არავეის უნდოდა. მაგ-
რამ, აბა, ახლა რალა დროსი იყო! იფიქრა, იფიქრა ამ ბიჭმა და რალა ქნას?
უნდა თავი მაიკლას, ისლა დარჩენია, და მააგონდა მამი სიტყვა და იფიქრა:
თურმე მამაჩემი სუყველაფერში მართალი იყო და მე კი ყურ არ უგდემდიო.
35 ეს ანდერძი მაინც შაუსრულო და იმი ვაკეთებულ სახლობელაზე მაინც ჩამო-
ვიხრო თავიო.

მართლაც, შვიდა იმ პატარა ოთახში, ავიდა სახლობელაზე და როგორც
თავი შაყო და ფეხი კრა სკამს, რო უნდა ჩემეეკილოა ზედა, ჩამუარდა ეს სა-
ხლობელა და ჩამუარდა თელი პარკი ოქროთი სამსე.

40 ეხლა კი იფიქრა: რა ჭკვიანი ყოფილა მამაჩემიო. თანაც იცოდა კი-
დეც ეხლა, როგო უნდა მეხმარნა ეს ოქრო, რო რანაირი ამხანაგებიცა-აყვან-
და და დაიწყო იმ დღიდან ჭკვიანათ და ბედნიერათ ცხოვრება და აღარც იმ
ამხანაგებ უყურებდა ზედა.

სოფ. ქისტაური

114. გიჟი და ჭკვიანი

იყო ერთი გიჟი და ერთი ჭკვიანი ძმა. ერთი ხარი აყვანდათ. მემრე იმ ჭკვიანმა უთხრა, რომაო შენ ეს ხარი გააგლე მინდორში და მე ქორწილში წავალო.

ადგა მემრე და გააგდო ემ გიჟმა ეს ხარი. ქარია, ერთი ასკილა თავ იქნემს. — ეს ხარი უნდა შამინახო! — ემ გიჟმა უთხრა ამ ასკილასა და ის კიდენა თავ იქნემს, ატოკემს ქარი. — შამინახამო? — უთხრა ემ გიჟმა და ის რო ტოკამს, ემასა-გონია, რო „ხო“-ს მეუბნებო და ადგა და წამოიდა ეს გიჟი, მოიდა ქორწილში ეს გიჟი: — თუკი ისა ქეიფომს, მე ველა ვიქეიფემო, მე რალა ვაკეთემ აქაო!

მემრე ჭკვიანმა უთხრა: — ხარი რალა უყავ, ბიჭოო?

— ხარი — ბალღები იყენენ მინდორში და იმათ ჩავაბარეო.

— ეს გიჟია და ნამდვილათ თავ გაანებემდა იმ ხარსაო, — ემ ჭკვიანმა თქო.

ეს ხარი მემრე გარეთ დარჩა და მგლებმა შაქამეა.

— აბა, ვის მიაბარეო? — ამ ჭკვიანმა აკითხა და წაიყვანა ეს ძმა. მოიდნენ, ეძებენ, ხარი აღარსად აღარ არი და ხარი მგლებ შაუქამენიათ. წამოიდნენ შინ ორივენი ცარიელები. მემრე ამ გიჟმა ადგა და ბარი წაიღო და მივიდა იმ ასკილაჲთან: — შენ არ მითხარი, რო ხარ შაგინახამ, რა უყავიო? — ემ ასკილაჲ ეუნება.

დაუდო ეს ბარი ამ გიჟმა და ძირიანათ ამააგდო ეს ასკილა. რო ამააგდო, ემ ასკილაჲ ქვეშ იპუა ერთი ქილა ოქრო და ვერცხლი და მოდის, მააქ და თავი გრილო მოადემს. — აჰაო, რაჲ მამდევო? — ეუნება.

იმაჲ კაცი გონია და უყრის ამ თავი გრილოჲ ფულ ეს გიჟი. დაანახევრა ეს ფული რა, მინამ სახში მოიღოდა.

— აბა, რა ქენიო? — ემ ჭკვიანმა უთხრა, — ვერ იპუე ხარიო?

— ხარი ფულზე გავყიდევო.

— აბა, რა უყავი ფულიო?

— აი, ქილაში მაქო, ერთი კაცი მამდევდა და იმაჲ უყრიდი ფულსაო.

ნახა ამ ჭკვიანმა, რო ნახევრობამდინ აქ: — აბა, საით მოგდევდა, წამოდიო, — უთხრა იმ ჭკვიანმა.

მემრე მივიდა ის გიჟი ისევ; საითაც გამაატარა, და ის ქილა აამსეა, როგორც იყო ისეა, აკრიფეა.

ახლა ამ ჭკვიანმა უთხრა: — მოდიო, ეს ფული ეხლა გავიყოთო.

— წადი, კაცები მორეკეო, — ამ გიჟმა უთხრა.

წავიდნენ და მორეკეა კაცები და ეხლა ხო იმ შუაკაცსაც, ვინც უნდა გაუყო, თავი გასამჯელო უნდა არა! ადგნენ და სამათა-ყოფენ იმ ფულ. ადგა, იმ გიჟმა უყურა, უყურა და: — სამათ რათა-ყოფთ, ორნი არა ვართო?

— ჩვენ გასამჯელო არ გვინდაო? — იმ კაცებმა უთხრეა.

ადგა და გარეა ამ გიჟმა ეს კაცები და ახლა სხვები მორეკა. ისინიც აიგრე-ყოფენ, ისინიც დაითხუა იმ გიჟმა. — ზოდი, მაშასახლისი მოიყვანოთო, — მემრე ემ გიჟმა უთხრა.

მოიყვანე მაშასახლისი მემრე და ისიც სამათა-ყოფს. უყურა, უყურა ამ გიჟმა და ჭკვეში არ მოუიდა. აიღო ერთი კეტი და „ათხლი“ და მოკლა ეს მაშასახლისი. მემრე ამ ჭკვიანმა თქო: — ეხლა ეს მაშასახლისი რო მოვკალით, 45

დაგვხოცამენ უეჭველათაო. აღგენ მემრე და წაიღე ეს მამასახლისი და და-
მარხე.

მემრე ამ ჭკვიანმა თქო: ეს ხო გიჟიაო და იტყვის სადმეო და ავიღე
და ბინა გადაუნაცვლე ამ კვდარსაო. ადგა, მართლა, ამ ჭკვიანმა და ამიილო.
5 ის კვდარი იქიდან და სხვაგან დამარხა ი გიჟის ჩუმთ, რომ იმ გიჟმა არ იცის,
და თხა დამარხა იქა, საცა ისა-აყვანდათ დამარხული.

შაიყარა ახლა ხალხი: — მამასახლისი რა იქნა, მამასახლისიო? მაიკითხე.
ეს კაცი. მემრე გიჟმა უთხრა: — თქვენი მამასახლისი მე მოვკალიო.

— კაცო, გიჟია, მაგი სიტყვა გჯერამთო, ტყუილათ გელაპარაკებათო, —
10 იმ ჭკვიანმა უთხრა.

— აბა, წამოდი, წამამყეთო! — მერე ამ გიჟმა უთხრა ხალხ.

ადგენ და წააყვენ ეს ხალხი. ჩავიდა ეს გიჟი. მამასახლისი საცა და-
მარხე, გათხარა და ეუნება ხალხ: — თქვენ მამასახლის თვალეი აქონდაო?
— აქონდაო.

15 — ცხვირი აქონდაო? — აქონდაო.

— ყურეი აქონდაო? — აქონდაო.

— რქეი აქონდაო? — მემრე უთხრა ამ გიჟმა. და გეციინათ ხალხ, და
ამიილო თხა.

მემრე თქვეს, რომ მართლა გიჟი ყოფილაო და ესე გადარჩენ ეს ძმეი.
20 მემრე გაყვე ფული და იცხოვრე თავიანთინ. ეს გიჟი ცალკე წავიდა და ეს
ჭკვიანი ცალკე.

სოფ. ქისტური

115. კოჭლი ლაზარე

ერთი უშვილო კაცი იყო. იმასა-აქონდა ძალიან ბევრი ფული. ერთი დიდი-
სკივრი აქონდა სამსე. იმ ფულსა იგრე უფრთხილდებოდა, რომ არა-ახარჯამ-
25 და. გამაიტანდა და ათვლიდა. მეეწინებოდა იმ ფულის თვლა და ისევე იგრე
ჩაყრიდა იმ სკივრში და დაადემდა კლიტე და ეგრე ინახამდა.

მემრე რამტვენიმე ხანი გავიდა და მოუნდა იმ ფული ნახეა ისევე. მემრე
ველარ გაალო ის ყუთი. ბევრი ურახუნა რამე, ცული ყუა-აქემა და ველარ
გაალო. რაღაცა ხმა შეესმა სახლის ყუნჭულიდან: ამ ფულსაო შენთან გა-
30 უიდა ყავლიაო, შენი აღარ-ალი ეგ ფულიო. ეგ ფული უნდა გადავიდეს კოჭლ-
ლაზარეზეო. ეგ ფული იმან უნდა შეკამოსო.

მემრე თქო იმ კაცმა: ამ ფულ მოიღებ და წავიღებ, ალაზანში გადა-
ვაგდებ, იმაე კი არ შევაქმევო.

მართლაც აიკიდა იმ კაცმა და წაილო და გადაავლო წყალში. მემრე ის
35 სკივრი იქცა შეშათ. წაილო იმ წყალმა ის შეშა.

ქვეით მენარიყეები არიან, წყლიდან ამაქთ შეშა და აყიდინან. ის შეშა
გაიტანეს იმ კაცებმა და დაავდეს შეშეფში. კოჭლ ლაზარეს შინ შეშა გემე-
ელივა და წავიდა მენარიყეეთან შეშითინ და უთხრა: — ერთი შეშა მინდა და
მამყიდეთო!

40 იმათ კიდე უთხრეს: — ენდე, რომელიც მოგეწონება, მოგყიდითო.

მემრე ლაზარემ უთხრა: — აი, ეგ შეშა მამწონს და მამყიდეთო! მემრე უთხ-
რა: — აბა, რაე გამამართმევთ ამ შეშაშიო?

— ორ მანათს გამოგართმევთო, — უთხრეს. აილო და მიეცა ის ორი მანათი. მემრე უთხრა: — ეჲ შეშა აღარ გამიყიდოთო. წავალ, ხარებს მოიყვანო და წავიღებ ამ შეშასაო. მოიდა ლაზარე და წაიყვანა ხარები შეშის წამოსაღებათ. მოუბა იჲ შეშა და წამოილო შინ. რო წამოილო შინა, გზაზე რო ეუაქ, ვინც გადააგდო იჲ ფული, გზაზე შეახვდა. რაღაცა გულმა გაუგო იმ კაცსა. 5
 ის კაციც უკან გაეყვა შორიანლო შეშის წამლებს. რო წიიტანა ლაზარემ იჲ შეშა, იჲ კაციც მიეყვა უკან, დაუძახა ლაზარეს: — ამალამ შამინახეო, უბინაო კაცი ვარო შორი სოფლიდანო.

— მობძანდი, ძტუნაოი ხვთისა არიო, რატო არ შაგინახამო, — უთხრა ლაზარემ. 10

შაიყვანა კაცი შინ სახლში, დასხდნენ სკამებზე. მემრე უთხრა ლაზარემ თავის შვილსა: — წადიო, გაიტანე ცულიო, იმ შეშაჲ მიაქერ რამეო. ბიკმა და-არტყა ცული შეშას. გასქდა იჲ შეშა და ფული გაიშალა იქ. მემრე დაუძახა ბიკმა მამას: — ეჲ შეშა ფულით სამსე ყოფილაო. გამაიტანა ტომარა ლაზარემ და აკრიფეჲ ეჲ ფული. დაუძახა იმ კაცს ლაზარემ: — მოდიო, კაცო, აქაო, შენც 15 ხვთი ძტუმარი ხარო და გავიყოთო.

იმ კაცმა დაუძახა: — არაო, არ მინდაო. ეჲ ფული ჩემთან იყოო, მაგრამ ღმერთს აღბათ ჩემთვინ არ უნდოდაო და იმითვინო გადავაგდეო.

მემრე უთხრა ლაზარემ თავი დედაკაცს: — დილაზე ადრე პური გამააცხეო, პური გუნდაში ჩაატანე ეჲ ფული რამტველიმეო და იგრე მაინც გავა- 20 ტანოთო.

მართლაც იმ დედაკაცმა ადრე ადგა და მოზილა პური და რამტველიმე ფული ჩაყარა პურის გუნდებში და იგრე დააკრა თონეში. მეორე დღეჲ აქამეს პური და ჩაუგდეჲ გუნდაში ფულიანი პურები.

წამოიდა იჲ კაცი, გამაიძტუმრეჲ. იჲ კაცი ეწეოდა თამბაქოს და გა- 25 უთავდა. მიბრუნდა ღუქანში, ის პურები ღუქანში ჩააბარა და თამბაქო მიეცეჲ, წავიდა ცარიელა ის კაცი.

სოფ. მატანი

116. სოვდაგარი და მოხერსებული ცოლ-ქმარი

იყო და არა იყო რა, იყვნენ ერთი ცოლ-ქმარნი. იმათ ედგათ ერთი ღლის ყანა. მემრე, ყამდა ერთი ციცა. შეეჩვივნენ იმ ყანაში ბატები. დადგა 30 ერთი ღიდი საბძელი ყანი პატრონმა, მოუარა და დაამწყყდია სუ მთელი ბატები საბძელში.

ერთ საღამოს ჩამაიარეს ორმა სოვდაგარმა, მემრე უთხრა: — ოჯახიშვილებო, ამალამ შეგვიფარეთო, სასმელი და საკმელი ჩვენა გვაქსო.

მიიღეს. სოვდაგრებმა ვახშამი გაშალეჲ, ცოლ-ქმარმა კი ბატი დაკლეჲ. 35 რასა-ახედამენ ის სოვდაგრები! ეს ბატი გაეჭრეს, ნახევარი ციცაჲ დაუდეს, ნახევარ თითონ დაუწყეს ჭამა: — რასა-ახადინხართო, ციცას მაგოტოლა ხორც აკმევთო?

— ამისი შრომა არი და ამას უნა ვაქამოთო.

კიდენ წავიდნენ იმ ღამეჲ და კიდენ ორი ბატი დაკლეჲ. მოხარშეჲ, ერთი 40 კატაჲ დაუდეს, ერთიც თითონ ჭამეჲ. გათენდა დილა და გულში ჩაუვარდათ ციცა.

— გინდა თუ არა, უნდა მამყიდლოთ!

— მიყვიდლოთ?

— არა, დედაკაცო, პირი გემო დეგვეკარგებაო.

მემრე მაინც მიყვიდა. მიყვიდა და წაიყვანე ი ციცა. დადგეა დიდი 5 საბძელი, მითომ ბატები უნდა მორეკოა. გაუშვეს ციცა და იმედი აქთ: აი, ახლა მოაჩვენებს, აი, ახლაო. არ მორეკა. ემ სოვდაგრებმა მაილაპარაკეს: — ანაო ჩენი ფული უნდა მოქვეცესო, ანდა უნდა მოვკლათო ის კაციო. მივიდნენ და ათხოვეს: — ანაო ფული უნდა მოგვეცეო, ანაო სული ჩვენ მუჭაშიაო!

მერე ადგა და წინააწარ გზა გაიმართა: ერთი კურდღელი შინ დაამ- 10 წყვდია, მეორე კიდენ მინდორში წაიყვანა. დედაკაც ეუბნებიან: — ჩქარა მაიყვანე უნი ქმარიო!

— რა ვქნაო, კურდღელი მყავ დამწყვდეული, ის თუ დაუძახეფს, მე ვერ წავალო, შორ არიო.

გამოუშვა კურდღელი და უთხრა: — საცა იყოს და არ იყოს ჩემი ქმარი, 15 მაიყვანეო!

ერთი საათის შემდეგ კაცმა კურდღელი მაიყვანა ჩოხი კალთაში გახვე- ული. დაუწყო დედაკაცს ჯავრობა: — რაა დალაღე ეს კურდღელიო? დაინახე ამ სოვდაგრებმა და გაუკვირდათ. მემრე ადგა და ის ციცის ყიდვა დაავიწყ- დათ. ახლა იმ კურდღელ შეევაქრნენ, კურდღელ შადგნენ: — უნდა მოგვეყიდოთ

20 აუცილებლივო.

შეეკითხა ცოლს: — მიყვიდოთ თუ არაო?

გაუჯავრდა ცოლი: — ხო იცი, რო უუნცროსოთა ვართო.

მაინც ადგა და მიყვიდა. მიცეს რამდენიმე ფული, დაახარბეს რაღა!

წაიყვანეს ის კურდღელი (დიდი მძვარეულები უნდა ექონდეს). გაუშვა ამ სოვ- 25 დაგარმა კურდღელი: — წადი, ყველას დაჰპატიეო! დიდი შუადღე გადავიდა, რო არავინ არ მოუვიდათ. გამოიდნენ და ჩხუბობენ: — კურდღელი გამოვგზანეთ და არ მოიდა და არ გითხრათო, რატო არ მოადინხართო?

— არავის დაუძახნიაო.

მეორე დღეს ისევ წავიდნენ იმ კაცთან, უთხრეს: — რასა-აჩადინხართო?

30 — არ გამააცხადეთო? იქნებ ის გარეული ეგონათ და მოკლესო. უნდა გამეგეცხადებინათო.

წინააწარ ერთი ინდაური ჩიჩახვი გაამსო სისხლით, დაჰკიდა ცოლსა შიგნიდან. ის სოვდაგრები რო მივიდნენ: — უნდა მოქვლათო, ამოტოლა ზა- რალი ვნახეთო, ან ცოლი უნდა მოვკლათო!

35 — ჩემ ცოლ მე თითონ აქ, თქვენ თვალწინ, ისევ მე დავეკლამო.

მერე ადგა და წამააწვინა ცოლი და დაულირლიტა იმ ჩიჩახვ დანა. ფართ- ხალოფს ი დედაკაცი.

— უჰ, უჰ, ეგ რა ქენიო?!

— რა გინდათ, გენანებათ, გინდათ ახლავე გავაცოცხლებო!

40 — ლიტო-ლიტო-ლიტო! — მითომ გამააცოცხლა, წამაახტუნა, გაუხარდათ. ახლა იმ დანაა შადგნენ. ადგა, გაიმეტა დანა და წავიდნენ სოვდაგრები...

117. ქოსა და სამი ძმა

სამნი ძმანი იყვნენ. ყვანდათ ერთი ცხენი. უფროსმა ძმამ უთხრა: — მე ქორწილში წვევთრევი, შენ კი წიქვილში წაბძანდიო! ახლა პატარა ძმას უთხრა: — შენ კიდენ ცხენ მოუარეო!

ის მართლა წიქვილში წავიდა, ის კიდენ — ქორწილში, პატარა კიდენ 5 ცხენ ედგა. ქურდმა მოაპარა ცხენი პატარას.

გათენდა მეორე დღე. ნახა ბიჭმა, ცხენი აღარ იყო, შალონდა. ეძება, ვერ იპუა. შუადღე რო შეიქნა, ის ძმებიც მოიდნენ, ის — ქორწილიდამ, ის კიდენ — წიქვილიდამ. უთხრა ძმებს: — წუხელ ცხენი დავკარქეო. სამივემ მაილაპარაკეა, წავიდნენ საძებნელათ.

მიდიან გზასა და გაიხედეს, ძალიან შორს მოჩანს ბუზივით ადამიანი. 10 უმფროსმა თქო: — აგეო, ისაო ცხენის ქურდიაო. საშუალომ უთხრა: — თუ ჩვენი ცხენია ქურდია, ქოსა იქნებაო. პატარამ თქო: — თუ ქოსა იქნება, მუსა ერქმევაო.

ეს ბიჭები მიდიან. შაიყარნენ გზაში. შახედეა, რო მართლა ქოსა იყო, 15 არაფერი პირზე ბალანი არა-ქონდა. იფიქრეა გუნებაში: — მართლა ჩვენი ცხენია ქურდი ყოფილაო. ჰკითხეს: — რა ქვიანო? — მუსა მქვიანო. თავიანთ ფიქრათ ჩაიფიქრეა: მოსამართლეათან გავასაჩივროთ, ჩვენი ცხენის ქურდი ეს არიო. უთხრეა: — შენაო ცხენი რათ მოქვპარეო? ეს კილო უარს ამობს. მემრე გააყუათ, მეტი რა გზა იყო! მიიყვანეა მოსამართლეათან და უჩივლეა პირდა- 20 პირ: — ამანაო ცხენი მოქვპარაო. ი მოსამართლემ უთხრა: — ბიჭო, რით აბრალებო, დამნახავი ვინ არიო?

იმათ უამბეს, რატო დააბრალებს. მოსამართლემ თქო: — ხვალ დილით მო- 25 დითო ესეცო, თქვენცო. ერთ სიტყვაა გეტყვით, თუ გამაიცანით, ეს იქნება ქურდი, თუ არა და გამტყუნდებითო.

ადგა და საცა საბძანებელია, იქ სუფთა ნაქერში გაახვია კომში, ქვეშ 25 დაიდო და დაჯდა ზედ. მივიდნენ. მოსამართლემ უთხრა: — აბაო, სადაც მე ვზივარ, ერთი რამე მიდევო, აბა გამაიცანით მაშაო.

უმფროსმა უთხრა: — მრგვალი კი არიო და... საშუალომ უთხრა: — თუ 30 მრგვალი იქნება, ყვითელი იქნებაო. უნცროსმა უთხრა: — თუ ყვითელი იქნება, 30 კომში იქნებაო.

გამოიდა მართლა ქურდი. მოუჩიჩქნეა ი თვალები და აზღვეინეა.

სოფ. თეოია

118. ბეჩავი კაცი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი და დედაკაცი. ისინი იყვნენ ცოტა 35 ბეჩავები. ერთხელ წავიდა ტყეში გუდურაზე. მოაქ გუდურა ტყიდან. იპოვნა ერთი ნემსი, გაუყეთა გუდურაში და მივიდა სახლში. ცოლს ეუბნება: — მიდი, გუდურაში ნემსია, ამამილეო!

მივიდა, ეძება გუდურაში ნემსი, უთხრა ქმარს: — შე ბეჩაო, ქუდიეა ყალბ- 35 ბანლში უნდა გაგეკეთებინაო.

ისევ წავიდა გულურაზე. მოაქ შეშა გულურით. იპოვნა საკვეთელი, გაიკეთა ქულია ყალბანდში. აქეთ ჩაიდებს, ჩამაეხევა, იქეთ ჩაიდებს, ჩამაეხევა. მოვიდა სახში, დედაკაც ჩხუბი დაუწყო: — ე რა მააწავლეო?

მემრე დაარიგა: — ზურგზე უნდა დეგედო.

5 წავიდა ტყეში ე კაცი. მოაქ გულურა ტყიდან. იპუა ერთი ძალი, დაილო ზურგზე. მთელი ბარკლები გამოაქამა ძალმა. მივიდა სახში, დედაკაც ჩხუბი დაუწყო: — ე რა მააწავლეო?

— ქა, უნდა დეგეძახა ტუგუ, ტუგუ და პური გედეგედო.

10 მემრე წავიდა ისევ. დაინახა, ერთი მკედარი მოაქთ. დაუძახა ამ კაცმა: — ტუგავ, ტუგავო! — და თან პური გადაუგდო. დაიჭირე ე კაცი და აცემეს. წავიდა სახში. იმან კიდე ცოლ დაუწყო ცემა: — რათ მააწავლე ეგეთი სიტყვაო?

დაარიგა ცოლმა: — ქული უნდა მოგეხადნა და გეთქო: — ღმერთმა მოიხსენოს, კარგი კაცი იყო.

15 წავიდა ეს კაცი, შეახვდა ქორწილ. მაიხადა ქული და ეუბნებათ: — ღმერთმა შაიწყალო, კაი ადამიანი იყო. კარქა მაგრათ აცემეს: — შე ოხერო, ექ ქორწილიაო.

მივიდა სახში და ცოლ დაუწყო ცემა. ცოლმა თქო: — აურა, ყვირილი უნდა დაგეწყო, — გაუმარჯოს, ბედნიერები იყონ, შააბეროთო!

20 მემრე წავიდა ტყეში, დაინახა დამალული ყაჩაღები. დაიწყო ყვირილი: — გაუმარჯოსო, შააბეროსო! დაიჭირეს ამ ყაჩაღებმა, კარქა-აცემეს. ცოლმა უთხრა: — განაბული უნდა გეგველო.

წავიდა, მიდის ერთ ტყეზე. მოუდით ღორები. ჩუმათ რო მიდის, დაიჭირე მელორეებმა, აცემეს, უთხრე: — ხელისგულზე უნდა დაგედო საკმელი და გეთქო: — ნეი, ნეიო.

25 წავიდა იმათიდან ის კაცი. მივიდა დათვი სორომთან, გააკეთა ისე (ხელს იშვერს): — ნეი, ნეიო. დათვა შათრია და შაქამა.

სოფ. ოეიო

119. ფხიზელმა აჯობა

ერთი საწყალი კაცი და დედაკაცი იყო. იმათა-აყვანდათ ერთი ბიჭი. ეს კაცი მონადირეა და ადგა და წავიდა სანადიროთ. მივიდა ერთ ადგილა და 30 მეცხვარეები არიან და ქეიფ ეწევიან. ერთი ოთხი ფარა ცხვარი აყამთ. მემრე მივიდა ეს კაცი: — გამარჯობათო!

— გაგიმარჯოსო!

და ეს ხალხი იგრე დათვრენ, რო განგება აღარა აქთ. ემ კაცმა კიდენა ცოტა პური და ხორცი ჭამა და ღვინო არ დაუღვენია, ცოტა დალია და 35 ფხიზლათ არი ისევა.

მემრე უვლის გარშემო ეს კაცი ამ ცხვარ და ერთი ბეწვი არ დააკლდა იმ ღამე ამ ფარა და დანარჩენი სამი ფარა კი სუ მგლებმა დაჭამე.

გათენდა მეორე დილა და ცხვარი აღარ არი იმ მეცხვარეებისა. მემრე უთხრე ამ კაც: — ეს ფარა (სამნი ისინი იყვნენ) ოთხათ უნდა გავყოთო. გამო- 40 უყვე და მეოთხე ნაწილი წამაასხა.

მორეკა შინ ეს ცხვარი და უთხრა შვილ: — აი, შვილო, ეხლა შენ მო-
 ჟარე, ინდე, ცხვარი მოგირეკეო.
 მემრე დააქორწილა ი ბიჭი მამამ და ცხოვრობდნენ ერთი კარქა თავი-
 ანთეინ.

სოფ. ქისტაური

120. ზარმაცი კაცი

იყვნენ ერთი კაცი და დედაკაცი. ის კაცი მუშაობით ზარმაცი იყო. მარტო უნდოდა მჯდარიყო და მზათ მიჰსვლოდა ყველაფერი. დედაკაცი კი-
 დევა ძალიან მორბედი იყო, ყოჩალი იყო. ქვეყანა ათესამდნენ, მკიდნენ, ეს
 კაცი კი არაფერსა-მნაღვლობდა. ერთ დღეს დედაკაცმა უთხრა: — ყველა ჰხნამს,
 სთესამს და შენ კი არაფერს არ აკეთემო, რით უნდა შაინახო ცოლ-შვილიო? 10
 ადე, წადი, დათესე და მაიყვანეო!

აღვა ე კაცი, მოხნა და დათესა ყანა. ახლა მომკა დეეზარა და აღარ
 მიდიოდა მოსამკელათ. დაწუხა დედაკაცმა და დაითათბირა, როგორც იყო.
 წავიდა ე კაცი და მკის ნელ-ნელა. დაინახა ცოლმა, რო კმარი მძიმე-მძიმეთ
 მუშაოფს, არა მარდოფს და გაბრაზდა. 15

ამ დედაკაცის მეზობლათ ცხოვრობდა ერთი ჩაფარი. მივიდა ე დედა-
 კაცი, ათხოვა ამ ჩაფარ ტანსაცმელი, ჩაიცო, დაიხურა, დაიჭირა ჯოხი და
 აიარა იქითკენ, საცა თავი ქმარი მუშაობდა. დაუძახა: — გამარჯობა, კაცოო!
 — გაგიმარჯოსო! — უპასუხა.

— ყანასა-ამკიო? 20

— მაშ რა უყო, კაცოო, ხო გაგიგიაო, დედაკაცმა თუ გაიწიაო... ე ჩემა
 დედაკაცმაც გაიწია და ისე მაგრათაო, რო სახლიდან გარეთ გამამიძახაო.

— აბაო, — უთხრა ამან, — მე შუადლისას კიდევ ჩამოივლიო, ანდე, ეგ ყანა
 მინახევრებული იყოსო, თორე ვაი დედიშენის ღმერთსაო!

ე კაცი შაშინდა, გაუტია ძალიანა და მკის. შუადღე რო მოიდა, დედა-
 კაცმა დაუძახა: — წამოდი, პური შკამეო! 25

— არა, შენ გენეო, — უპასუხა კაცმა, — ერთმა კაცმა ესეთი, ესეთი სიტყ-
 ვებით მამართაო.

დედაკაცმა დააძალა. მაშინ კაცი სასწრაფოთ ჩამოიდა, ჩქარა შაშკამა
 და ისევე მკა განაგრძნო. 30

წავიდა დედაკაცი შინა და თან უხაროდა, რო მისმა ხერხნა გაიმარჯვა.
 საღამომ რო მათანა, ისევე ჩაიცო ის ტანსაცმელი და ისევე აიარა: — აბა,
 როგო არი საქმეო, მომკი ეგ ყანაო?

ამ კაცმა, ცოტა არ იყოს, შაშინებულმა დაუძახა: — აი, ცოტალა მაქქს
 და ემასაც გავათავებო. 35

— აბა, მზი ჩასვლამდინ ეგ ყანა აღარ დამანახო, თორე იგეთ დღეა და-
 გაყრი, რაც არ გენახოსო!

ეს-კაცი უფრო ძალიან შეშინდა და მკის. აღვა ე დედაკაცი, გზააქცე-
 ვით დაბრუნდა და უთხრა თავი ქმარს: — კაცო, ე რეერთი მოგიმკიაო!

— მა რაე ვიზამდიო, ესე-ესე დამემუქრაო. 40

— ვინა ყოფილაო, ქა, ნეტა ერთი მე მოვსწრებოდრიო, რალა მაშინ მო-
 დის, რო მე აქ არა ვარო!

ადგა ეს დედაკაცი და წამოიდა სახში. ჩაიცო სწორეთ ის ტანსაცმელი-
ისევა. გაიარა და ნახა, რო ხოლოთ ორი ძნა დარჩომოდა. გაათავა ისიც და
უთხრა ქალმა: — ეხლა დაუარე და შაჰკონეო. ამალამ არ დაისვენო, თორე ვაი
დედიშენის ღმერთსაო!

5 დაბრუნდა ი დედაკაცი და წამოიდა. მემრე დაბრუნდა ისევა და უთხ-
რა: — გაათავეო?

— მაგ რაო, ახლა კიდევ მეუბნევა, რო შაჰკარიო.

— აბა, გიშველი და დავდგათო, მაგ რა ექნათო.

ადგა, უშველა ამ დედაკაცმა და დაღამებული იყო, რო კარქათ ექონ-
10 დათ ნამუშევარი. ძნები დაადგმინა და წამოიდნენ უკანეე.

ძნები დადგმის შემდგომ ამ კაც გაღეწვა გაუქირდა. ცოლმა ისევ და-
უწყო ჩხუბი: — მომკილს გაღეწვა აღარ უნდაო?

ამ კაცმა სხვა რომ ვერაფერი იღონა, ადგა და სიკვდილი მაიგონა.
ცოლმა უთხრა: — თუკი მოკვდები, დაგმარხავ, მა რაგ გიზავო!

15 ადგა, გათხარა ორი ბარის პირზე მიწაი, გაახვია ე კაცი ტომარაში და
ჩადო შიგა, ზეიდან კი ორი პური დაადო. იმ კაცმა შექამა ის ორივე პური.
სამი დღე ისე იყო მშიერი.

ერთ ღამე მივიდა ეს დედაკაცი საფლავზე, დაუბრაგუნა ფეხები და
დაეძახა: — ჰეო, ძველო და ახლო მკვდარო, ახალი ბძანება არისო: ძველმა
20 მკვდარმა მალა ზეცაში სამასი ტონა კირი უნა აიტანოსო, ახალმა კი — შვი-
დასიო. ი კაცმა თქო: ისევ ჩემი ყანიგ გაღეწვა მირჩევენა კირის თრევესაო.

ადგა და შუალამე მივიდა სახლში. უბრაგუნეფს კარეფს და ყვირის:
— დედაკაცო, კარები გამიღეო!

იქილამ კიდე ქალმა გამოეძახა: — მე ჩემი ქმარი დავძარხეო და შენ ვინა
25 გდიხარ ამ შუალამისასაო?

— არაო, — უთხრა, — მე ვარ შენი ქმარიო, გავცოცხლდი და მოველ ჩემი
ყანის გასაღეწათაო. ეხლა ახალი ბძანება ესეთი და ესეთი ყოფილაო.

გაულო ქალმა კარები და შაუშო ი კაცი სახლში. მეორე დღეს კაცმა
მართლა გაღეწა ყანა. დაიმზადე წლის სარჩო. იმი შემდეგ ის კაცი ძინა
30 ყოჩაღობდა, აღარც პური აკლდებოდა და ოჯახი საქმეც კარქა მიჰყავდა.

სოფ. ზემო ხოლაშენი

121. შრომამ გამოასწორა

იყო ერთი კაცი და ერთი ქალი ყამდა იმასა. ე ქალი დიდი უიცი გამო-
იდა, ისე რო არავინა თხოულობდა იმასა. ერთმა გლეხიშვილმა, ობოლ-ოხერმა
უთხრა ამ კაც: — მე გამოვასწორებო. მიჰსცა პირობა და წამიყვანა ქალი.
35 მაიყვანა სახში და გადაიხადა ქორწილი, როგორც წესი და რიგი იყო. ქორ-
წილის მეორე-მესამე დღეს ოჯახს ბევრი სამუშაოები ჰქონდათ. უთხრა დედას
ამ ბიჭმა: — შენ ეს ბოეტანი უნა დამამარგვლინო და ეს ქათამი უნა გააკეთოო;
პატარძალს უთხრა: — შენ სახლი უნა დაალამაზო, მე კიდენ ჩემ სამუშაოზე
წავალო.

40 ეს დავალებანი ყველამ შაასრულეს.

ე ბიჭი რო მოიდა სამუშაოდამ შუადლის ხანს, გაუშალე სუფრა და მი-
ართვე თელი ქათამი. ააჭრა ერთი ბარკალი და პატარძალ მიართო, მემრე
გაჭრა შუაზე ქათამი და ნახევარი დედაე მიართო და ნახევარი თითონ და-
იტოვა. ამ პატარძალმა თქო: — ე როგორი ხალხი ყოფილან, მე აქ თუ ბევრი
არ ვიმუშავე, მშიერ დამტოებენო. 5

ეს დღე დალამდა. მეორე დღე ისევ მიეცა სამუშაო დედაე და უთხრა:
— შენ დღეე სახლი დაგავე და ეს ინდაური გააკეთეო. პატარძალ უთხრა: — ეზო
დაგავეო.

მეორე დღესაც ყველაფერი თავ-თავის რიგზე დაახვედრე ემ ვაჟსა.

დაბრუნდა სალამო დროს ისევ ის ვაჟი, ისევ გაუშალე სუფრა და მო- 10
ართვეე მოხარული ინდაური. ააჭრა, ერთი ბარკალი და ფთა დედაე მიართო,
გაჭრა შუაზე და ნახევარი პატარძალ უბოძეა, ნახევარი თითონ დაიტოვა. პა-
ტარძალმა უჩურჩულა ქმარსა: — სირცხვილია, დედას მივართოთო.

— ეგ თქვენ მოჰშველდითო, — უპასუხა ქმარმა.

გაანაწილა ამ ქალმა: დედამთილ მეტი კერძი მიართო, თითონ კი ნაკ- 15
ლები დაიტოვა.

ეს პატარძალი გამოსწორდა, ისეთი შნოება დაიჯვენა, რო... როცა გა-
მოსწორდა, დაჰპატიუა თავი სიმამრს, კამპანია გადაიხადეს, კარგათ იქეიფეს.
ამ დროს ბრინჯს არჩევენ. უთხრა ქალმა მამას: — მამი, ეს ბრინჯი მაინც და-
არჩიე, თორე ფლავს არ გაქმევენო. 20

— მართალიაო, — უთხრა სიძემაც, — აიღე და დაინახე, ვინ რა საქმე გა-
ვაკეთეთო!

სოფ. ზემო ხოდაშენი

122. შრომა ასწავლა

ერთ სოფელში ერთი კაი წამოსადეგი ახალგაზდა დადის და თხოვა-
რობს. ეუბნევიან: — ბიჭო, რატო არ მუშაოფო? მერე ერთი ქალრძალი იყო. 25
წავიდა, ერთი კუბო გაამართინა და ის კუბო გაამსო ქვიშით, დაიდო წინ და
ტირის: — ნეტა ისეთი კაცი მაჩვენა, ეს დაასაფლაოს, ერთ მანეთ ფულ მი-
ვცემო. ამ კაცმა იფიქრა, წავიღეფო. ამ ბიჭმა წაიღო. სანამდი მოვა, ამ
ქალმა მეორე გამოიტანა, უფრო მორდილი. როგორც მოიდა, უთხრა: — ხო
გითხარი, ისე დამარხე, არ მოიდგესო, ახლა ორ მანეთ ფულ მოქცემო. ადგა 30
და ისევ აიკიდა. წავიდა, გათხარა და მოდის. მოდის და ხედავს მესამეს (ის
უფრო დიდია): — როგო ამოიდაო?! ადგა, მესამეთ რო აიკიდა ეს კუბო, ძაან
ემძიმა. — მოდი ეხლა ამაე მთაზე ავიტანო, — იქიდან უნა დააგოროს ის კუბო.
ხენეშით ავიდა მალლა. ავიდა და რო გამოუშო, როგორც საფანტი, ისე გა-
იშალა. დაბლა ერთ კაც უბანაენია: — ეს რა ამბავია, ქექა-ქუხილით მოდისო 35
და გარბის. გამოუდგა მოსაკლავათ. ადია, ადია და ვერ დაიჭირა. გაანება
თავი და წავიდა. წამოიდა და იკითხა: — მოიდა კიდეო? ქალმა უთხრა, რო ის
ქვიშა იყო. ან ქალმა ხუთი მანეთი ფული მიეცა და გამოსწორდა, აღარა
თხოულობდა. ამ ქალმა შრომა ასწავლა: — თხოვარობაე ჯობია იშრომოე და
იცხოვროსო.

სოფ. ნაფარეული

123. სიმართლემ გაიმარჯვა

ერთი ბებერი დედაკაცი იყო და შვილი ყვანდა იმასა. ის ბიჭი დღეში ორ პურათ მუშაობდა და მიჰქონდა დედათან. მეფეყინა ამ ბიჭ და უთხრა: — დედი, წავალ სადმეო. ერთნაირათ მოგიტან პურსო.

5 ორი პური გამაიკრა ხელცახოცშია და წავიდა. ერთი ცხენიანი კაცი შამახვდა.

— სა მიხვალო?

— არ ვიცი, სა მივალო.

— მოდი, ერთათ ვიაროთო.

10 წავიდნენ. იარეჲ, იარეჲ. იმ ბიჭმა უთხრა: — პური ვკამოთო, მამშივდაო. — შენი პური ვკამოთ ჯერა, მემრე ჩემიო.

მიდიან და ჭკამენ ი პურს. დაღამდა. ცხენოსანმა გააწია ცხენი და დანება თავი ამ ბიქს. დარჩა ეს ბიჭი. ერთი ბილიკა გზა იყო, იმაზე გაბრუნდა. ე ბიჭი მივიდა წიქვილში. არავენაც არა-ლი იქ, არც წყალია. იმ ღამე

15 იქ დარჩა, ხვიმირაში ჩაჯდა. მივიდნენ ერთი მგელი, ერთი დათვი და მელია. მოიტანეჲ შეშა, აანთეჲ ბუხარი. ლაპარაკობენ. მემრე მელიამ თქო: — მოდი ზღაპრები ვთქოთო.

— მოდი, მელია, შენა თქვიო.

— მე ვიტყვიო: — ემ წიქვილიჲ არხ რო დაჰყვეჲ ერთი რიგიანი ბიჭიო,

20 ერთ თავეს ფული აქ გამოქუჩებული იმოდენა, რო ვერ დაჰძრამსო.

მემრე მგელმა თქო: — მავან ადგილაჲ რო ბრუციანი ხემწიფეაო, მავან ადგილაჲ რო წყემსებიაო, უნიშნო ცხვარი ჰყამთ. იმაჲ ტყავი რო გადა-

აფაროჲ, რამტვენ ფულ აჩუქეფსო!

25 ერთ უწყლო ალაგაჲ წყალი ამოვარდებო.

ი ბიჭმა აიღო ჯოხი, ჩაიარა; რას უყურეფს! იმთვენი ფულია, რო... ამ ფულით ჯიბეებიც აიშსო, ხელცახოციც, მაგრამ ნახევარიც ვერ აიღო.

მივიდა უწყლო სოფელში. ერთი ბებერია, იმაჲთან მივიდა: — ბებო, ამა-

ღამა შამინახეო. მემრე უთხრა: — წყალი დამალეინეო.

30 — წყალი არაო და იგრე კი შავინახამო.

წავიდა თელათან, უთხრა: — კაცო, ამ თელაჲ რო მოვჭრი, ერთ საწი-

ქვილე წყალ ამოვიყვანო. სასაცილოთ აიგდეჲ. ადგა ბიჭმა და მოჰჭრა თელა. ამოვარდა წყალი. ეცა ხალხი, მოჯერდნენ.

დაიბარა ხემწიფემ, დაუძახა ვეზირეფს: — ამასაო, შეიდი აქლემი რასაც

35 აიკიდეფს, მიეციოთ და თქვენც გაჰყევიოთ მოსამსახურეთო. წამოიდა და მივიდა ი ბებერთან. ეს გააკეთა ამ ბიჭმა.

მემრე წავიდა მეცხვარეთან: — ბატკანი მამყიდეო! სამი მანეთი იმაში მიღცა. დაკლა და ხორცი იმათ მიღცა. წავიდა ბრუციან ხემწიფეთან, თქო: — მე მოვარჩენო.

40 შაუტანეს ანბავი ხემწიფეჲ. — აბა, შამამყევანეთო! შაიყვანეჲ (ტყავი უბეში უღევ), უთხრა: — მე მოვარჩენო. ი ბიჭი იქ ყავ. დეჲდინა ხემწიფეჲ. ტყავი თვა-

ლემზე დააფარა. როცა ის დროა რალა, რო ეხლა გვეღვიძება, ახადა ტყავი, უბეში ჩაიღო. გვეღვიძა, დააწყებინა ბრავაბრუგი. ხემწიფემ უთხრა ვეზირებს: — ოქროჲ ურემი აუშსეთ, იმით დავასაჩუქრებო. შააბეჲ, დაუჯდა კაცი

და მიიყვანა ი ბებერთან. მემრე ამ ბებერ მიეცა სამი კაცი მოსამსახურეთ და, თაგვ რო ფული წაართო, ისიც. წააბა ოქროვ ურემი, აქლემები და მიდის.

ი ბიჭი, რომელმაც რომა პური შაუქამა, დაახვდა წინ. ახწავლა ის წიქელი. წავიდა და ჩაჯდა იქ. მოიღნენ მელია, შველი და დათვი. მელიამ თქო: — კაცო, მავან ადგილაჲ ფული აღარ არი, აქაო ყურ ხო არაეინ გვი- 5 გდებდაო? მელიამ მიიცუნცულ-მიიცუნცულა, შაახედა და დაიძახა: — აი, ადამიანიო! ამიყვანე და მოკლეჲ. ი ერთ პურ გადაატანა თავი ი ბიჭმა. მეორემ კი წამაილო ქონება, ის ოქროვ ურემი, მოიდა ბებუაჲთან, დედაჲთან და მოიტანა ცხორება.

სოფ. ოყიო

124. კობლია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი და სუ კომბლებსა-ათლიდა. სხვენი სუ სავსე იყო კომბლებითა. იმას სანი ცხვარი ყევანდა: ერთ ცხვარსა-აქონდა ერთი მუცელი, მეორეს — ორი და მესამეს — სამი. დილით წავიდოდნენ, ძოვდნენ და მოდიოდნენ.

ერთ დღეს წავიდა ერთმუცელა ორმუცელაჲთან და უთხრა: — ვერ გა- 15 ძეხიო?

— ერთი მუცელი გავავსე და მეორე ისე მაქო. გასწი და მეგეწევიო.

გაძლა ორმუცელა, ჩამოუარა სამმუცელასა და უთხრა: — ამდენი ხანი ვე- 10 ლარ გასძეხო?

— ორი მუცელი გავავსე და ერთი ისევ ისე მაქო. გასწი და მეგეწევიო. 20 თურმე ერთმუცელა ცხვარიცა და ორმუცელაც გზაში მგელ შაუქამნია.

ახლა გაძლა სამმუცელაცა და მიდის. შამოახვდა წინ მგელი და ეუხნევა: — ვისი ხარ, ცხვარო?

— კობლიასიო.

— რას აკეთემს კობლიაო? 25

— კომბალსა-ათლისო.

აღვა მგელმა და ე სამმუცელა ცხვარიც გადასანსლა.

იმ ღამეჲ უცქირა, უცქირა კობლიამა და ნახა, რო თავი ცხვრები არ მოიღნენ. ადგა, ჩამაილო ერთი კონა კომბალი, აიკიდა და კარი შიგნიდან გაუგდო. შახვდა მგელი. კობლია ეკითხება: — მგელო, ცხვრები არ გინახამსო? 30

— არაო.

— აბა, კბილები დაჰკრიწეო!

დაკრიწა კბილები მგელმა და ცხვრის მატყლი აქონდა კბილეფში გა- 35 ჩხერილი. გეეკიდა კობლია მგელსა და შაუვარდა სოროში.

დგა კობლია სოროჲ კარებთანა და ე მგელი კიდე თავი გუნებაში ღმერთსა- 35 ათხოვს: — ღმერთო, დაუშვი წვიმა. იგრეო, რო კობლია ან დაარჩოს, ან წაილოსო, მე კი კამეჩი ტყავი გადამაფარევიო.

მართლაც, მოიდა იგეთი წვიმა, რო მგელ სოროში შაუვარდა. მგელი ფიქრობს: ე წყალი მე მახრჩოფს აქაო და კობლიაჲ აღბათ აღაზანზე ჩა- 40 იტანდაო.

— ვიხრჩეებიო, — დაიწყო მგელმა ღრიალი.

— ღირსი ხარო, — მოაძახხა გარედამ კობლიამა.

— ოღონ გამიშვიო, — შამოეხვეწა მგელი, — და თუ გინდა, ერთ დიდარს. რო ასი ათასი ცხვარი ყავსო და შიგ რო ერთი ოქროზ ბატკანი ურევიაო, წავალ, დევერევიო და იმ ოქროზ ბატკან მოვიტაცებო. მე იმაჲ ვერ დამაგდე-
5 ბინებენო და შენ კი ცხვრები გამორეკეო.

შაჰკრეს პირობა. წავიდნენ. შავხედოთ, ცხვარში მართლა ურევია ერთი ოქროზ ბატკანი. გაიქცა მგელი და მაიტაცა. ყველაფერი გადააგდეჲ მწყემსებმა და გამოუდგნენ მგელ. ამ კობლიამ მთელი ცხვრები მორეკა თავი სოფელში. უთხრა თავი მეზობლეს: — დამაბინავებინეთ ეს ცხვრებიო და თითოჲ ათ-ათ
10 ცხვარ მოქცემთ ფეშქაშათაო.

მეზობლები შაკითხნენ: — სამი ცხვარი კყვანდაო და ე ამოტოლა ფარავინ მოქცაო?

— თქვე სულელებო, — უთხრა ამანაცა, — ავდეკი, გავრეკე და გავანებე თავიო. საცა ჯაგფეს გამოსდებოდნენ, სუ ბეწვები დარჩომილიყო და ცხვრე-
15 ბათ ქქეულიყვნენო. მეც მოუსვი ხელი და წამოიყვანეო.

წავიდნენ თავი მეზობლებიცა და დასტოვეჲ ცხვრები ბუსუნაში. ერ თვეს უკან ნახეჲ, რო სუ დეელუპათ.

მოიდნენ კობლიაზე გაჯავრებულები და თქვეს: — მოდი კობლიაჲ ერთი ოინი უყოთო, სახლი დაუწოთო. მაიტანეჲ თივები, ნაძჯა და დაუწვეჲ ეს!
20 სახლი.

ადგა კობლიამა, აიღო ნაშხირი, მააკრა პირს, გადააფინა სუფრა და ერთი პირი ვერცხლის ფული დასდო. ნახა ერთი მდიდარი ოჯახი, დაუძახა: — მგზავრი ვარო. თუ შაილევა, ამაღამ გამათევენეთო.

— მობრძანდიო, სტუმარი ღვთისა არიო, — დაუძახეჲ იმათაცა.

25 შავიდა კობლია და შაიტანა თავი ნაშხირით საესე ტომარა.

— რა არიო? — შაკითხნენ.

— ფული არი და იყოჲ მანდ კუთხეშიო.

— სახში შაიტანეო, არავინ მაიპაროსო.

შამაიტანა სახში კობლიამ თავი ტომარა. იმ ღამეჲ კარქი ვახშამი აქა-
30 მეჲ, დააძინეჲ. მეორე დღესაც ასაუზმეჲ და, რო უნა გაისტუმრონ, კობლიამა თქო ხმამალა: — აბა, ერთი ჩემი ტომარა გავსხნაო, რალაც პირი სხვანაირათ მოკრული მეჩვენებაო. ადგა, ყველანი რო იქ იყვნენ, ისე გასხნა, ნახა: მალლა ვერცხლია, დაბლა კი ნაშხირი. დაიწყო ყვირილი: — ეს რა გიქნიათო, მე უბ-
რალო კაცი კი ნუ გონივართ თქვენაო, წავალ და გიჩივლებთო.

35 — ოღონდ ნუ გვიჩივლებ და ფულ მოქცემთ იმტვენს, რო გაგავსეფთ ფულითაო, — შავხვეწნენ ისინი.

მართლაც, შავხედოთ და ე ტომარა გაუმსეჲ ვერცხლი ფულითა. წამა-
იღო, წამოიდა და იგეთი სახლი დაიდგა, რო შენი მოწონებული.

მეზობლებმა უთხრეჲ: — კობლი, რით ააშენე ე სახლიო?

40 — თქვე სულელებო, განა თქვენ მტრობა მიყავით, სიკეთე მიყავითო, რო დამწვითო. ნაშხირი ავარჩიევიო და ფულზე გავსცვალეო.

ადგნენ, მისცეჲ ცეცხლს თავიანთი სახლები და დასწვეჲ. წაილეჲ მეგრე-
ნაშხირი და იძახეს: — ვის გინდათ ფულზე გაგიცვლითო. გამოუდგნენ სოფ-
ლეფშია და ერთი კარქათა-გცემეს. მოიდნენ შალონებულები და აღარ იციან,
45 როგო გადაუხადონ სამაგიერო კობლიას. ახლა თქვეს: — მოდი, ცოლი მო-
უკლათ და იმით შავალონოთო. ეგეთი სარჯელი მივსცეთო.

წავიდა კობლია, თავი კვდარი ცოლი თან წაიღო და მიდის. იცის, რო ერთ ოჯახში ხუთი ქალი ჰყავს ნაწავლები. წაიყვანა ე კვდარი და ისე გააკეთა ჯოხებით, რო არ მაიკაკვოა წელში. მივიდა ემ ოჯახში და დაუძახათ: — მასპინძელო, მგზავრები მიგვიღევო! ი ცოლი იქვე მიაყუდა კედელზე. მასპინძელმა შიგნიდან გამოაძახა: — მობძანდი, სტუმარი ხეთისააო. 5

ადგა კობლია, მივიდა და უთხრა: — ჩემი სახლობა არი აქაო, მაგრა შემოსვლა ეხათრიჯამებო და თქვენი ქალები წავიდნენ და მაიყვანონო.

გაიქცნენ ე ქალები, წაავლეა ხელი, მაგრა დეეცა. მოიდნენ და თქვეა: — ქალი კვდარი დაგვიხვდაო. დაიწყო ემ კობლიამ ყვირილი: — ე რა მიქენით, ხალხნო, ცოლი როგო მამიკალითო, სიმამრ რალა უთხრაო, ეხლავე მივდივარ საჩივლელათაო! 10

— ოლონ ნუ გვიჩივლეფ და აარჩიე ჩვენ ქალებში, რომელიც მაიწონო, წაიყვანეო.

ადგა და წამაიყვანა, სუ უნცროსი რომელიც იყო და ლამაზი. შაჰხედეს სოფელში, რო უკეთესი ცოლი მოჰყამს. 15

— ე როგორაო? — შეეკითხნენ კობლიასა.

— კვდარი ცოცხალზე გადამიცვალესო, — უპასუხა იმანა.

ადგნენ, იმათაც დაჰხოცეს თავანთი ცოლები (რა არი, რო იმათაც ახალგაზდები მაიყვანონ), წაიყვანეა სოფელში და ჰყვირიან: — ვის გინდათ მკვდარი ცოცხალზეო! 20

გამოუფარდნენ და ერთი კარქათა-ეცემეს.

კობლიამა თქო: ეხლა აღბათ მე მამკლავენ ჩემი მეზობლებიო და ცოლს უთხრა, რო ორმო ამოშკერიო. რო მოვლენო, უთხარი, რო მოკვდა და დავმარხეო. რო მოვლენო და წიხლი დამაზილონო, გახურებული შამფური მამაწოდეო. 25

მართლაც მოიდნენ, შეეკითხნენ და დედაკაცმა უთხრა: — მოკვდა და ენდე, ემაგ ორმოში დავმარხევიო.

— მაიტა, ერთი წიხლი ჩავაზილოთო. იყვირეა და მივიდნენ.

დედაკაცმა ამ დროს გახურებული შამფური მიაწოდა. ადგა კობლიამა და უფუჟა შიგ მუცელში. 30

— კაცოო, ცოცხალი როგორი იყოო და კვდარი უარესი ყოფილაო! — თქვეს და წავიდნენ.

იმი შემდეგ ველარავენ უბედამდა შელონებას და კობლია და თავი ცოლი ეხლაც ბედნიერათ ცხოვრობენ.

სოფ. ზემო ხოდაშენი

125. მესბორე

ერთი ხემწიფეა. თითო სოფლიდან ორ კაც იბარებს: — ჩემი სახემწიფეო რა ღირსო? ერთ სოფლიდან ორი კაცი მიდიან (დაბარებული არიან ხემწიფეათან). ერთი პატარა მესბორე შაახვდათ.

— სად მიდიხართო?

— ჩვენ მივდივართ ხემწიფეათანაო.

— თუ ნელა ივლით, დროზე მიხვალთ, თუ ჩქარა წახვალთ, დაგიგვიანდებათო.

ემათ გეეცინათ: — ე რა ამაბობსო? გააქენეა ცხენები, მიეჯახნენ ცხენები ერთმანეთ. ერთ კაც თავი გაუტყდა, მეორე კლავი მოატყდა. იმ პატარა ბიჭმა უთხრა: — აკი გითხარითო, რას ჩქარობდით, რა უნდა გაიგოთო? მემრე უთხრა: — მე თქვენ გააწავლით, ოღონ არ განმცეთო. იქ რო მიხვალთ, ხემწიფე გაქეიფებთ, მემრე კკითხამთ: — ჩემი საცხოვრებელი რა ღირსო? თქვენ უთხარით: — ციდან რო სხვლერტი წვიმა წამუა, იმდენი მილიონი ღირსო.

ეს ბიჭი გუთმისანი იყო.

10 ახში ეგრე უყოთ, როგორც იმ ბიჭმა უთხრა: აქეიფათ, მემრე კოშკზე აიყვანა, გაიხედ-გამაიხედა და უთხრა: — ჩემი საცხოვრებელი რა ღირსო?

— დიდებულო ხემწიფე, ციდან რო სხვლერტი წვიმა წამუა, იმტენი მილიონი ღირსო.

ხემწიფემ სცემათ: — ვინ გითხრათო?

15 მემრე ემათ უთხრე: — ერთმა პატარა მებზორე ბიჭმა გეითხრაო. მაიყვანეს მენახირე ბიჭი, ჩამოლალულია.

— შენ ააწავლეო? — ხემწიფემ უთხრა, — თუ მაგთვენი იცი, მაგეთი ჩამოლალული რათა ხარო?

— კიდე კკუა გკლებიაო, — ბიჭმა უთხრა, — ჰაერში სამი ზარები აკილიაო. 20 ტოკამს ეს ზარები. რა დროსაც ზარი ზარ გააკრამს, მაშენ შენითანა ბედნიერი იბადებაო, რა დროსაც ააცდება, ჩემითანა იბადებაო. განა შენზე ბძენი ვარო!

— თუ ესეა, დაჯექ ჩემ ადგილზეო.

ბიჭი უარზეა.

25 ბოლო დაჯდა ე ბიჭი ხემწიფეთ, დაიწყო სამართლობა.

— მავანი ხემწიფე რგეთი ბძენია, სამართალ ამყარებსო.

მოდინ ხემწიფეთან ხალხი საჩივლელათ. გაიგო ერთმა კაცმა: — წავალ, აბა როგორი სამართალი აქვსო?

30 შაჯდა ვირზე და წავიდა. ვირსა ჩოკინა-აყავ პატარა, მიხდევს. სახემწიფეთო გაღმა ერთი ქალი ფურსა-აწველის. ამ კაცმა შაულოცა რალაცა. ხბო ვირს ეცა, ვირსა-აწოვდა, ჩოკინა კიდე ფურ ეცა. ყვირის ქალი: — მამე ჩემი ხბო!

— აბა შენი როდია, ჩემ ვირსა-აწოვსო! ვერ მორიგდენ.

— წავიდეთ, მავან ხემწიფე კკითხოთ, ის გაიგებსო.

35 მივიდნენ იმათან. ხალხი რიგში დგა. მორიგე უთხრე: — შაიძლებო?

— ნახევარი საათი შემდეგ შაიძლებო.

შევიდნენ ხემწიფეთან: — რა იყო?

ქალმა დაუწყო: — ხბო ჩემია, ჩოკინა იმისიო. ჩემ ხბო არ მაძლევსო. ხემწიფემ უთხრა: — ახლა არა მცალიან, მავან ადგილა მავალ, წყლიდან თე-

40 ზები ამოიდნენ და ხმელეთზე ყანა სუ დაუქამათო.

— შე კაცო, — იმ კაცმა უთხრა, — ეგ როგო შაიძლებო!

— აბა ეგ როგოლა შაიძლება, რო ვირ ხბო აყვანდეს და ფურ ჩოკინაო! ეგრე მართავდა სახემწიფეთო.

126. კატისა და მელიას ამბავი

იყო ერთი კატა. კნუტი გააჩინა. გეყვარა. ერთი პური მიჰცა და ერთი ხურჯინი. იარა, იარა კნუტმა და მელის სოროში შავიდა.

სალამოთი მოვიდა მელა. — ფხუკო, — კატამ. შეეშინდა მელას, მირბის. მგელი შამოახვდა: — დავიფსე, დავიღუპე, ჩემ ქარვასლებში ალები გაჩენილაო. 5.

— წამო, ერთი ისინი დაეკამოთო. იმასაც ისე შეეშინდა კატისაგან. წამოიდა მელია და მგელი. შახვდათ დათვი. მგელმა უთხრა: — ალები გაჩენილა მელი სოროშიო, ერთი ისინი დაეგეგოთო.

წავიდნენ. იმასაც იგრე შეეშინდა. მირბიან სამნი. ღორი შახვდათ: — რა ამბავია, მგელო, მელა, დათო, რა მიგარბენიებთო? უთხრეს: — ესეა საქმეო. 10.

— წამოდით, ეშვებზე დავაგოო.

მივიდნენ ოთხნი. შავიდნენ სოროში. კატა მიინაბა. დააყარე ერთმანეთ, ბეგვავენ. რო მაგრა დაბეგვე ერთმანეთი, გარბიან. დადგნენ ერთ ალაგა. მგელმა თქო: — მე რო უკბინე, სუ ნაგურჯალი ამოვგლიჯეო. როცა იმან დამკრა, ნაბუარი ამომადინაო. 15.

ღორმა თქო: — მე სუ ნაძუარი ვადინეო.

მელამ თქო: — ერთი მუჯტი მამარტყე და კიდემც სული დავლიეო.

დათვმა უთხრათ: — წამო, კაცო, სადილზე დავპატიყოთო.

მგელი გამოგზავნე: — ალებო, წამოდით სადილზეო.

აიკიდა ხურჯინი და გაყვა. 20.

დათვი ხეზე აძვრა, ღორი ფოთლებში დაიმალა, მელია და მგელი — ბარდეფში.

გამოიდა კატა, ხურჯინი გაშალა, დაჯდა. ღორი ტოკამს ფოთლეფში. ამასა ეგონა — თაგვი არიო, გაქანდა და ბჭყალებით ეტაკა. გავარდა დათვი, მირბის მელია, მგელი, ღორი. 25.

ე კატა გამოძლა ხორციო. მგელი გამოგზავნე ისეგ: — წადი, კაცო, ნახევი, რას აკეთებსო? კატა პირს იბანს, ილოკამს სულ. მგელმა ამბავი ჩაუტანათ: — ე წვერები გამცვინდე, თუ ოინი არ. გიყოთო.

გადაცვიდნენ კლდეზე.

ღარჩა კატა, ის ქარვასლებიც იმა დაჩა. 30.

სოფ. ახაშენი

127. გლეხკაცი და მელა

იყო ერთი გლეხკაცი და ამ გლეხკაც უღელი ხარი ჰყამდა. ტყეში ვერ მიდიოდა: ძალიან ეშინოდა დათვისა.

ერთხელაც ნახერხა, როგორღაც წავიდა ტყეში. შიშითა და ვაი-ვაგლახით ნელ-ნელა აიღემს და დადემს ურემზე, რო დათვმა არ გაიგოს და არ მოვიდესო. 35.

მოვიდა მელა და უთხრა ამ კაცსა: — რის გეშინიან, კაცოო? და: — დათვისა მეშინიანო. მერე ამ მელამ უთხრა: — ნუ გეშინიან შენაო, დაშქერი შეშა შენაო, მე ავალ აგერ და, რო ღოვა დათვიო, დაუშტვენო და დაგიძახებო: — ხო არავინ მოიდაო, ან მელა ან დათვი ხე-არაფერიაო? 40.

მელამ დაუშტვინა. დათვი მივიდა კაცთანა. მელამ დანიძახა: — ხო არავინ არისო?

დათვმა უთხრა კაცს: — უთხარი, — არავინ არისო.

მივიდა ეს მელა ამ კაცთანა და დათვთანა და უთხრა: — ეგ ვინ არის 5 მაშაო?

დათვი ეუბნევა კაცსა: — ესე უთხარი, — კუნძიაო. ამ კაცმა უთხრა: — კუნძიაო.

— აბა დროგზე დაუდგო და მოქანჩეიო (თოკი მოუქირეიო)!

დათვმა უთხრა: — ნელ-ნელა მომქანჩეო! მოქანჩა ნელ-ნელა.

— აბა ერთი ცულის ყუა დასცხეო!

დასცხო ამ დათვსა ამ კაცმა ცულის ყუა და იქვე მოკლა. ამ მელას დაპირდა, ექვსი კაი დედალი უნდა მისცეს. მიიყვანა კარეფთან, დაცალა შეშა რამე, აღარც გამოდის, აღარც რა. უცდის ეს მელა: ქათმებ გამომილაღამსო. რო აღარა და აღარ გამოვიდა ეს კაცი, ამ მელამ დაუძახა ამ კაცსა. გაიგეა 15 ძალღებმა და გამოუდგნენ ამ მელასა. გაიქცა ეს მელა, გარბის, გარბის და შეასწრო სოროში შესვლა. მერე თავის თვალეფს ეუბნევა მელა: — თვალე-ბოჯან, რასა ფიქრომდითო, რო ძალღები მომდემდნენო?

— მე იმასა ვფიქრომდიო, რო კარქა დემენახა, რო გავქცეულიყავიო.

ფეხეფს უთხრა: — ფეხებოჯან, თქვენ რალასა ფიქრომდითო?

— მე იმასა ვფიქრომდი, რო კარქა დემედგა და გავქცეულიყავიო.

ყურეფს: — თქვენ რალასა ფიქრომდითო?

— მე იმასა ვფიქრომდი, გემეგო, საიდან მოდიოდა ძალღები და გზა ემექ- 10 ციაო.

— კულოჯან, შენ რალასა ფიქრომდიო?

— მე იმასა ვფიქრომდიო, ფეხეფში წამოგდებიყავიო, წაქცეულიყავი და 25 ძალღებ დეეკამეო!

აზოიშვირა ამ მელამა კუდი, ძალღები ისევ იქა დგანან: — ქსი კუდი, ქსი კუდიო! დაიჭირეა ძალღებმა ე მელა, თუთქვეს, თუთქვეს, შექამეა და წავიდნენ.

სოფ. მატანი

128. მელა, დათვი და მგელი

ერთი მელა, ერთი დათვი, ერთი მგელი დაძმობილდნენ, ერთი სახლი გაიკეთეა და დაიწყეა შიგ ცხოვრება. ერთ ადგილიდამ წამოსულიყო ერთი ირემი, შესულიყო იმათ სახში და დასუნსულემდა. მივიდნენ ეს სამნი: მელა, დათვი და მგელი.

— სული, სულიო! — დაიწყეა ლაპარაკი. დაიჭირეა ეს ირემი, დაკლეა, 35 ჩადეა წნილათა ერთ დიდ ქვევრში, ყაჟრმათ ჩადეს. რო კარქათ დამეავდა ეს ირემი, ამ მელამა სთქვა: — ეხლა მე ამას შევშუქამ და დავაბრაღემ მგელსაო. გავიდა კარში და შემოიტანა ამბავი: — ქორწილში მპატიეომენო და შენ წახვალ თუ მე წავალ, მგელოო? (არც არავინ ეძახდა).

— შენ წადიო, — მგელმა უთხრა. მივიდა. მელა, მოტვლია თავზე, რაც 40 კარქი იყო ამ ირემისა და ქამა. მივიდა გამაძლარი მელა. ამ მგელმა უთხრა: — რა გაკამეს, მელაო?

—ორი ხორცი ჩეგდლოთ ჯამშიო, ერთი არაყი დამალეინესო, ამამკრეს კუკუ და გამამაგდესო.

—პატარძალ მაინც რა დაარქვესო? და:—თავაიო.

მეორე ღამეს კიდე გავიდა და:—ქორწილში გვეძახიანო, შენ წახვალ თუ მე წავალო? — ეხლა დათვეს უთხრა. 5

დათვემა უთხრა:— ჩემი რა საქმეა წასვლაო, შენ წადიო.

წავიდა ეს მელა, შექამა, შუამდინ ჩაიყვანა ამ ქვევრზე, მაგრა გაძლა. მოიდა და კიდე უთხრეს: — რა გაჭამეა, მელიაო?

—ერთი ძვალი ჩეგდლოთო და ერთი არაყი დამალეინეს, ამამკრეს კუკუ და გამამაგდესო. 10

— მაინც რა დაარქვესო პატარძალსაო? და: — შუალოო.

მესამე ღამეა კიდე გავიდა ის მელა და კიდე ამბავი შემოიტანა: — ქორწილში გვაპტიჟომენო, შენ წახვალ თუ მე წავიდეო?

ამ დათვემა უთხრა: — შენ წადიო.

წავიდა, სუ შაქამა, სუ ამოლოკა კარქა მაგრა, ერთი ლუკმაც აღარ გა- 15 უშვა. მოვიდა და უთხრეს: — რა გაჭამეს, მელიაო? და: — ერთი ხორცი ჩეგდლოთო.

— რა დაარქვეს პატარძალსაო?

— ბოლოი დაარქვესო, ისეთი ფინთი პატარძალი ყამდათო.

ახლა მეორე დღეს გავიდა და უთხრა: — მოდი, ის ირემი რო გვაქ შენა- 20 ხული, შევშაპამოთო, — მელამ უთხრა. — ვშაპამოთო, — ამათაც უთხრეს. გადმოაბრუნეს, ნახეს, რო აღარაფერიც აღარ არი!

— ვინ შექამა, ვინ შექამაო? — იძახიან. დააბრალებ დათვესა. ე დათვი ბურტყუნემს: — მე არ შემიჭამიაო.

ამ მელამა თქვა: — ვინც წებოს მოხუშეამსო, იმი შექმული იქნებაო. მო- 25 ხუშეა ამ მელამა წებო, აილო და დათვის კუდის ქვეშ შედო. მივიდა და მგელს ეუბნევა: — მგელო, მგელო, აი, რა უქნიაო? დაკლეს ეს დათვიცა და შექამეა.

წავიდნენ ეს მგელი და მელა. გაიარა ამ მელამა, იპოვა ერთი თხილი და ჩააკნატუნა. მგელმა უთხრა: — რა ჩააკნატუნე, მელიაო? და: — თვალი გა- 30 მოვიგდებინე და ჩავაკნატუნეო. გამოაცალა ერთი თვალი და ჩააკნატუნე- ბინა. კიდე გაიარა მელამ, იპოვა ერთი თხილი. კიდევ უთხრა: — რა ჩააკნატუნე, მელიაო?

— თვალი გამოვიგდებინე და ჩავაკნატუნეო.

— მოდი, მეც გამომაგდებინე და ჩამაკნატუნებინეო!

გამოაგდებინა მეორე თვალიცა და ჩააკნატუნებინა. დარჩა ბრმაი ეს 35 მგელი. მერე დააყენა ერთ დიდ კლდეზე ეს მგელი ამ მელამა და უთხრა: — წავალ მე ამ ქალობაზე, თუ დავინახე კურდღელი, დავიყვირამ და ეგრეთვე გადმოხტიო. ჩავიდა, დაიყვირა: — არიქა, მგელო, ჩქარა, ბევრი კურდღლებიაო!

გადახტა ამ კლდეზე ეს მგელი, მოკვდა. ჩავიდა, ეს მგელიც შექამა ამ მელამა, გაძლა მაგრა, დაწვა და დაიძინა. 40

მივიდა ერთი მონადირე ამ მელასთან და ფიქრომს: მოკვლა თუ ცოცხალი დავიჭირო, მოკვლა თუ ცოცხალი დავიჭიროო?

წამოხტა ეს მელა: — გამარჯობა, მონადირეო! — მელამ უთხრა.

— გაგიმარჯოსო, მელაო! — ამ მონადირემაც უთხრა. — ამას ლაპარაკიც 45 სცოდნიაო! დაეძმობილდეთ მე და შენო! საცა ბევრი მელეები იყო და კურდღლები, ეს მელა უქუჩემდა და ახოცინემდა ამ მონადირესა.

ერთხელაც ხემწიფეს ფეხი მოაჭტეხიყო და იმ მელიას ტყავი მოინდომა... დაიბარა ეს მონადირე და უთხრა: — თუ მომიტან იმ მელის ტყავსა, მომიტან, თუ არა და მოგკლამო. მონადირე წამოვიდა. მიახედა იქით ეს მელა: — აბა მელა, გაიხედე, ხო არაფერიიაო? თხლიშა თოფი და მოკლა, გაატყავა, წაულო ამ ხემწიფესა. ამ ხემწიფემ დააჯილდოვა ეს მონადირე ერთ ოქროს ისემითა, თასითა. უთხრა: — გაამსე წყლითაო, დაღემო და ოქროთი გაიმსებაო, დასცლი, წყალი ჩააყენიო. ისე გამდიდრდა ეს მონადირე, ისე გამდიდრდა, რო...

სოფ. მატანი

129. წიწილა

- იყო ერთი წიწილა. იმ წიწილაე შეერქო ერთი ეკალი ფეხში. მივიდა ერ...
- 10 დედაკაცთან: — გამამილე ეს ეკალიო!
გამოულო ამ დედაკაცმა და ჩააგლო თონეში ეს ეკალი. ახლა უთხრა ამ წიწილამ: — ჩემი ეკალი მამე ჩქარაო! შარი მოულო.
— დავწვიო, — იმ დედაკაცმა უთხრა, — აბა, საიდან მოგიტანოო?!
აილო და სხვა ეკალი მოუტეხა.
- 15 — ეგ არ მინდაო, ჩემი ეკალი მამიტანეო!
ადგა და მოატაცა სამი ლავაში იმ წიწილამ იმ ეკალში. მიადგა ახლა მეცხვარეებ. პური არა აქთ იმათა და რძეში ცურცლ იყრიან ცხვრისაჲ.
— რასა-აჩადით, კაცო, ეს პური თქვენთვინ არ მამაქო?! ჩაიყარეთ ეს პურიო.
- 20 ჩაიყარე ი პური რძეში და აჭამენ. რო გაათავეს, უთხრა ამ წიწილამ: — ჩქარა ჩემი პური მამეცითო!
— შავჭამეთ, აბა, ახლა საიდან მოგიტანოთო?! გვეტყოდი წელან და არ შავჭამდითო.
მემრე ადგა და მოატაცა ერთი კარგი ქედილა ცხვარი იმ ლავაშეფში
- 25 და წაიყვანა. ერთ ხენწიფი ვაჟ ქორწილი აქ, ცხვარი არა-აყავ და ვირსა-აქლამენ ცხვრი ბაღლათა. მემრე უთხრა ამ წიწილამ: — რასა-აჩადით, კაცო, ეს ცხვარი თქვენთვინ არ მამეყავო?!
გაუშვეე იმათაც ის ვირი და ცხვარი დაკლეე. რო შავჭამე, უთხრა ემ წიწილამ: — ჩქარა, ჩემი ცხვარი მამეცითო!
- 30 — აბა, საიდანლა მოგიყვანოთ ეხლა, შავჭამეცითო, წელან რო გეთქო, ხო არ დავკლამდითო?!
მემრე მოატაცა პატარძალი თავი ლოგინიანათ.
ახლა, ერთ მელორეე ღორი ჰყავ და ჩონგურ უკრამს. უთხრა ემ წიწილამ: — ეგ ჩონგური მე მამეო და პატარძალ მოგცემო.
- 35 მიცა ემ მელორემა და გამართო პატარძალი. მემრე წამოწვა ერთ ფურცლი ქვეშ ეს წიწილა და აწკარუნემს, უკრამს ამ ჩონგურ. ჩამუარდა ერთი ფოთოლი, დეეცა წიწილასა და მოკვდა.
მემრე პატარძალიც იმაე დარჩა, იმ მელორეე, და ჩონგურიცა.

სოფ. ქისტაური

130. ნახევარქათამი

- 40 იყო ერთი ნახევარქათამი. ერთ დღეს შახვდა იმასა წინ მელი და მელამა აკითხა: — სად მიდინხარო?

— სადაო, — უთხრა ნახევარქათამან, — და მეფეთან მივდივარ საჩივ-
ლელათაო.

— მეც წამიყვანო, — შეხებეწა მელი.

— კარქიო, — უთხრა ამანაც.

წაიყვანა მელია და ამიჩარა ფთის ქვეშა. მიდიან, მიდიან და შამოჯხე- 5
დათ წინ მგელი. — სად მიდიხართო? — შეეკითხათ.

— სადაო და მეფეთან მივდივართო საჩივლელათაო.

— მეც წამიყვანეთო.

— კარქიო.

ადგა ნახევარქათამა და წაიყვანა მგელიც. შაისვა ბარკალქვეშა და მიჰყამს. 10
მივიდნენ მეფეთან. მოუყენენ თავიანთი მოსვლის გარემოებასა და მეფე
ძინე გაბრაზდა. დაუძახა თავი ფარეშეთს: — მაიყვანო ერთი, ჩავამწყვდიოთ
ქათმები ჯოგშიაო.

ჩაამწყვდიე მავრა. ე ქათამა გამოუშო, ფთის ქვეშ რო მელია ყვანდა,
დეერია ე მელია ქათმები ჯოგსა და სუ ერთიანათ გასწყვიტა. 15

შალონდა ხემწიფე, რო გაიგო თავი ქათმების ამბავი და გადასწყვიტა,
რო ახლა საქონლი ჯოგში შეეყვანათ ე ქათამი.

შაიყვანე საქონლი ჯოგშიაც. ადგა ქათამა და გამოუშო მგელი ბარდა-
ყის ქვემოდანა და სუ დააწყვეტინა მეფის საქონელი.

გაბრაზდება მეფე და იტყვის: — შემიწვიო ე ქათამიო. შეუწვამენ და რო 20
შეშკამს, იქილამ იძახის ნახევარქათამი: — ე რა კაი შარაზე დავდივარო!

— რა ვქნა, რა არი ე ქათამი ეგეთი, რო აქ გამანადგურა და მუცელ-
შიაც აღარ ისვენეფსო?! — თქვა მეფემა.

მევრე დაუძახა ვაზირეფს და ეუბნევა: — მუცელი გამიკერითო. რო გამო-
ვარდება, მაშინ კი მოჰკალითო! 25

გაუტკრე მუცელი მეფესა და გამოფრინდა ნახევარქათამი და უთხრა მე-
ფესა: — შენითანა მეფესა თვალში ნაცარს კი ჩავჰბღერტამო.

სოფ. ზემო ხოდაშენი

131. ფშვლისა და თავი დის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი და დედაკაცი. იმათა-ყყვანდათ
ორი შვილი — ქალ-ვაეი. მოუკვდა ცოლი იმ კაცსა და სხვა ქალი შაირთო ცო- 30
ლათა. ძალიან ეჯავრებოდა ემ დედაკაცს გერები. სუ იმაე ეჩხუბებოდა თავი
ქმარს: — მომაშორე, დაჰკარგე სადმეო! ამ კაც ენანებოდნენ დასაკარგათ თავი
შვილები. ბოლოე, ძალა რო დაატანა ცოლმა, კაც მეტი რა ძალა-ექონდა,
უთხრა თავი ცოლს: — ერთი ისეთი კვერი გამამიციხე, რო ნახევარი მკადი იყოე,
ნახევარი მარილიო. ადგა ე დედაკაცმა და გამოუცხო. 35

წაიყვანა მამამ შვილები ტყეში და თან ე კვერიც წაიღო. ბევრი იარეს
თუ ცოტა, შიადგნენ ერთ უღრან ხევს. ამ კაცმა ეს კვერი ჩააგორა ხევში და
უთხრა შვილებს: — აბა, რომელი უფრო წინ დეეწვიეთო და ამამიტანთ ჩაგო-
რებულ კვერსაო.

გაიქცნენ ორთავე და-ძმანი, ვერც ი კვერს დაეწვივნენ და ხევში კი და- 40
იკარქნენ. დაიწყე ტირილი, უყვირიან თავაანთ მამას, ეგებ რამე გვიშველოო,
მავრამ ე კაცი გამაიპარა სახლში.

7. კახური დიალექტი

უკვე ღამდებოდა. დამ უთხრა თავი ძმასა: — ძმაო, მოდი, ქოხი გააკეთე-
თოთ ანწლისაო, თორე ამაღამ ფშვლები და მგლები შეგვკამენო. გააკეთე
ქოხი და შევიდნენ იმ ღამეა გასათევებლათ. პური მოჭმივდა ძმასა და შე-
ჭჩივლა: — დაო, პური მამშივდა და მოდი ე მამიჩემია დაგორებული კვერი
5 შაკეამოთო.

— არა, ძმაო, — უპასუხა თავი დამ, — არ შეშკამო ეს კვერი, თორე ნა-
ხევარი მარილია, წყალ მოგაშიემს, ფშვლის ნადგამში წყალ დააღვე, ფშვლათ
იქცევი და მეც შაკეამო.

— არაო, — უთხრა ძმამ.

10 ადგა, შეშკამა მარილკვერი. მართლაც მოსწყურდა წყალი, უთხრა თავი
დას: — დაო, წყალი მწყურიაო, მაგრა ნუ გეშინიან, შეკმით კი არ შექკამო.

დას არ უნდოდა გეეშო თავი ძმა წყლი დასალევათ. ძმა მაინც გეეპარა.
ჰნახა, ფშვლი ნადგამში წყალი დაგუბებულა, დაეწაფა და დალია. ე ბიჭი
გადაიქცა ფშვლათ. დას შეეშინდა, ტირილი მორთო და უთხრა: — აკი დამ-
15 პირდი, წყალს არ დაველე და ფშვლათ არ ვიქცევი, ეხლა ხო შაკეამო! ე
ფშველმა კი თავი გადაუქნია: — ნუ გეშინიან, არ შაკეამო.

ცოტა დრომ გაიარა. ე ქალი შაურიგდა თავი ბედსა და დაწვინენ დასა-
ძინებლათ. ამ ქალმა თავი გულში ჩუმად ინატრა: ნეტა ამაღამ ისეთი სახ-
კარი დამედგა ამ ხევში, რო იმითანა არავის არ ედგასო! ამ ნატერაში ემ
20 ქალ დეეძინდა კიდენაც.

დილა რო გათენდა, ემ ქალმა ნახა, რო ნატერა მართლაც შასრულე-
ბიყო: თელი ე კლდე-ხეეები სახლებათ გადაქცეულიყო. სახლები იგეთი ლა-
მაზი იდგა, რო კაცი თვალი უკეთეს ვერა-მნახამდა. გარშემო გალავანი აქონ-
და შამორტყმული, ეზოში ფშველი დასეირნობდა, ხოლოთ ბალკომზე კი თა-
25 ვად ეს ქალი დადიოდა.

ამ დროს გამაიარა ხემწიფი ვაჟმა. რო ნახა ეს სახლები, დიდათ გა-
ოცდა: ამდენი ხანია მე აქ დავედივარ და ამითანა სასახლე არასოდეს არ შამ-
ხვედრიაო. გოცებული ხემწიფი ვაჟი უელის გარშემო სახლს და გალავანს.

ამ დროს დაინახა ე ვაჟი იმ ქალმა და რიხით დაზძახა: — ჰეი, ჰეი, ძმო-
30 ბილო, ეგ ფშველი არ მამიკლა, თორე ჩემ მეტი მტერი ნუვინ გინდაო!

— არა, ქალბატონო, — შამოზძახა ხემწიფის ვაჟმა — ჩვენ შენს ფშველს
არას დაეკლებთ, ოლონთ შენ კარები გაგვიღეო.

ქალმა დიდი უარი უთხრა. ვაჟი დიდხან ეხვეწებოდა. ბოლოე, როგორც
იყო, დაითანხმა ქალი გაღებაზე, მაგრამ ქალმა უთხრა: — კარგი, გაგიღეფ
35 კარს, ოლონთ შენ ძმა და მე დაო.

— არაო, — უპასუხა ვაჟმა, — შენ ცოლი, მე კიდენ ქმარიო.

ახლა ამაზე შაკეყნენ გამორჩევასა და საბოლოათ ისევ ქალი დაჰყაბულ-
და: — იმ ფიცით წამოგყეები, თუ სანამ ცოცხალი ვარ, ამ ფშველს ცოცხალ
დამირჩენო. ეს არი ჩემი ძმა და ფშვლათ იქცაო.

40 ხემწიფი ვაჟმა შეჭთიცა, რო არ დააკლამდა.

როცა ე ფიცი მოისმინა, ქალმა გაულო კარები ემ ვაჟს და მიჰსცა თა-
ვისი ხელიც.

ვაჟმა უთხრა თავი საცოლეს: — აბა, ახლა შეემზადე, ჩემი დედ-მამი სახში
უნა წაგიყვანო და ქორწილი გადავიხადოთო. მართლაც, წავიდნენ და წაიყვა-
45 ნეა ფშველიც. გაიარეს რამდენიმე გზა და, შენობამ რო იქუხა, ისევ იგეთ
კლდეთ იქცა, როგორიც წინ-წინ იყო.

მივიდნენ ვაჟის 'დედ-მამი სახლში. შვილმა გააცნო შობლევს: — აი, ეს შოიყვანე საპატარძლოთ და აპა თქვენ იცით, როგორათაც პატივსა სცემთ და შაინახამთო. თითონ წავიდა სანადიროთ ტყეში და მუახლე დაუბარა, რო წაყვანა ე ქალი აბანოში და ებანავებინა. როცა მუახლემ წაიყვანა საპატარძლო აბანოში, ფშველიც თან გაჰყვათ. მუახლემ აბანავა ე ქალი და დაბრუნდნენ. 5

მეორე დღეს მუახლემ კიდე მაიწადინა ამ ქალის აბანოში წაყვანა დასა-ბანათ. ე ქალი ჯერ არა შერებოდა, მაგრა მერე უარი აღარ გაუვიდა და წა-ჰყვა. ფშველიც უკანდან აედევნათ. მუახლე აგდებდა ფშველს, მაგრამ ველარ გააგდო.

წყალთან რო მივიდნენ, დასაპნა ე ქალი მუახლემ, ჰკრა ხელი და გა- 10 დაუშო წყალში. ემ ქალის ტანისამოსი კი წამაილო და თავი ქალიშვილს ჩააცო ტანზე. მემრე ე ქალიშვილი დასო ტახტზედა, ფშველი კი ჩაამწყვდია გო-მურში.

მოვიდა ხემწიფი ვაჟი ტყიდანა. დაჰხვდა ე თავი პატარძალი მოწყენილი. ჰკითხა: — რათა ხარ დაღონებულიო? 15

— რათაო და ავათ შვეიქმენიო, ეხლა კი არათფერი მიშველის, გარდა ფშველის ხორცისაო. თუ იმ ფშველ დამიკლამთ, ხო მოვრჩები, თუ არა და მოვკვდებიო.

ქმარმა მოაგონა თავისი ფიცი: — ქალო, შენ არ იყა, რო დამაფიციე, ფშველ ხელი არ ვახლო შენ სიცოცხლეში, ეხლა როგორდა უღალატო წმინდა 20 ფიცსაო? დიდხანსა-ქონდათ ლაპარაკი და ბოლოა ვაჟმა გადასწყვიტა, და-ჰყოლოდა ქალის სურვილს და ბძანა შაემზადებინათ ყველაფერი, რო ფშველი დეეკლათ.

ვეზირებმა მაამზადეა ყოველი და შავიდნენ გომურში ფშველი დასაჰერათ, მაგრა ფშველი არა-ანებდებათ. ბევრი ეცადნენ ვეზირებმა, მაგრა ფშველი ვერ 25 დაიკირეა, გამოუარდათ გარეთ და წავიდა იმ წყაროთან, სადაც თავი და დასაპნული გადააგდეა. აქაც გამოუდგნენ ვეზირები ფშველს დასაჰერათ, ეს ფშველი კი ურბენს ამ წყალს გარშემო და ჩასძახის:

„დაო, დაო, დაშლოა,
პირწითელა ვაშლოა, 30
შენ ძმა ირემასაო
დაკვლას უპირებენო,
დანას ულესავენო“.

მემრე ის ქალი ამოზძახებს დაბლიდამა:

„ძმაო, ძმაო, ირემაო, 35
წადი ხემწიფეა უთხარიო,
შენი ცოლი ზღვაში გორავს,
მუახლის ქალი მკლავზე გიგორავსო“.

ე ვეზირები უსმენენ ამათ სიტყვებსა. წავიდნენ და ხემწიფის ვაჟს ყო-ველივე უთხრეა დაუფარავათ. 40

ხემწიფის ვაჟი სააწრათოთ წავიდა, ამაყვანინა ე ქალი წყლიდამა, გა-აბანინა და სახში წამაყვანინა ფშველით. მემრე ი მუახლე და მისი გოგოი ცხენის ძუაზე გამაბა და იმდენი ათრევიანა ცხენსა, მანამ არ დაალურჯასულ ერთიან. თავათ კი ბედნიერათ სცხოვრობდა ამ ქალთანა.

132. ფსვლიკი და ხემწიფის ქალი

- იყვნენ ერთი უშვილო ცოლ-ქმარნი. ძალიან ღარიბათა ცხოვრობდნენ. ერთ მშვენიერ დღეს ეს კაცი წავიდა შეშის მოსატანათ. რო შაჰკრა ერთი ზურგი ფიჩხი, უკან ერთი ფსვლიკი გამოუდგა, ეძახის: — დამიცა, მამო! ემ-
 5 კაცმა მიიხედა და თქო: მითო არავინ მომდევს უკან და ნეტა ვინ მეძახისო! ნახა, ფსვლიკი მიადევს. რო ნივიდა ის ფსვლიკი, ბუხრი კალთაზე დაჯდა. ისე გამდიდრდნენ, რო, რასაც ინატრებდა ის ფსვლიკი, ყველაფერი მრავლათაჰქონდათ. მემრე ეუბნევა ის ფსვლიკი: — მამი, დამაქორწინეო, ხემწიფი ქალი-
 მითხოვეო.
- 10 ჯერ ეხატებოდა იმ კაცს: — ვის უნა ვთხოვოო, რა უნდა უთხრაო, მაგრამ მაინც გაგზანა მარჯაკალი. მივიდა და იმ ხემწიფი ეზოში ერთი სამოციქულო ქვა იდო, იმ ქვაზე დაჯდა. ხემწიფე ერთი მომვლელი ქალი ძყვანდა. დანახა იმ ქალმა და უთხრა: — ხემწიფეო, შენ სამოციქულო ქვაზე ერთი კუტი დევსო.
- 15 — გადი, უთხარ — შემოიდესო, რა უნდაო? — უთხრა ხემწიფემ.
 გავიდა ე ქალი, მივიდა იმ კაცთან და უთხრა: — ხემწიფემ, რიეთინ მოსულხარ, რა გინდაო?
 — რაო და ჩემი შვილითვინ შენი ქალი მინდა ქთხოვოო.
 — მე ჩემ ქალ მაშინ მოგათხოვეთ, თუ ჩემი სახლიდამ თქვენ სახლამდინ.
- 20 ისეთ გზა გააკეთემთ, რო სუ ოქროსავით ყვითლათ ელამდესო.
 წამოიდა ი კაცი სახში დაღონებული. რო მოიდა, უთხრა იმ ფსვლიკმა: — წადიო და საიდამაც მე გამოგყე, ხომ განსომს ის ადგილიო, დაუძახე: — სიდერო და სიმამროო, თქვენმა შვილმა დამაბარაო, რომაო მანდ რო ბაწრის გორგალია, ის გამამიგზანეო.
- 25 მართლა წავიდა ის კაცი და ასე დაუძახა. ადგნენ და ი ბაწრი გორგალი გამაატანეს. როცა დაღამდა და ყველამ დაიძინეს, უთხრა ფსვლიკმა: — ეს ბაწრი წაილეო ჩვენი სახლიდან და მიაბი იმ ხემწიფი სახლსაო. იმ ღამეს მართლა ისეთი გზი გაკეთდა, რო მეორე დღე რო გამოიდნენ, ველარ ახერხებდნენ, საით წასულიყვნენ.
- 30 მეორე დღითაც გაგზანა ფსვლიკმა მამამისი: — აბა, ეხლა წადი და ნახე, რას გეტყვისო.
 ახლა უთხრა იმ ხემწიფემ: — მაშინ გაგატან ჩემ შვილს ცოლათ, თუ შენი სახლიდან ჩემამდინ ისეთ ხეხილ დარგამ გზი პირებზე, რო რიგი მწიფედბოდესო, რიგი ილეოდესო, რიგი ჰყვაოდესო.
- 35 წამოიდა ისევ დაღონებული ის კაცი. უთხრა იმ ფსვლიკმა: — წადი ტყეშიდა, რაც კი ხე ნახო, ყველას თითო ტოტი მოატეხე და წამაილეო. როცა ეს ყველაფერი შაასრულა იმ კაცმა, ზერე უთხრა: — წადი და ათ-ათი მეტრის მანძილზე ჩარგე თითო ტოტო.
- მეორე დღე დაინახეს, რო არაჩვეულებრივი ხეხილის წკარი გაკეთდა.
 40 ისე, რო სუ ერთმანეთს მიჰდევდა ხეხილი. უთხრა იმ ფსვლიკმა: — აბა, წადი ეხლა და ნახე, რა გეტყვის ხემწიფეო. წავიდა ის კაციცა. ხემწიფემ უთხრა: — თუ ისეთ წისქვილებ გააკეთებ, რო ღვინო გადმოდიოდე წყლი მაგივრათ, მოქცემ ქალიშვილს, თუ არა და არაო.
- მოიდა ეს კაცი ისევ დაღონებული თავი სახლში და უთხრა ფსვლიკ ყვე-
 45 ლაფერი. ფსვლიკმა უთხრა: — წადი და ძრმი ხელადა წამამიტანეო. წავიდა ეს

კაცი და მაიტანა ძრმი ხელადა. ფსვლიკმა უთხრა: — პტყელი ქვა დაბლა დადე და დააწვეთე ძმარი, ზეიდან კი სხვა პტყელი ქვა დაათარეო.

მეორე დილით ნახე, რო წყლის მაგივრათ ღვინო მოდიოდა არხებზე.

— აბა, ეხლა წადი და რალას გეტყვის ხემწითეო, — უთხრა ფსვლიკმა. წავიდა ეს კაცი და ხემწითემ უთხრა: — წაიყვანეთ ჩემი ქალი, თანახმა ვარო. 5

გახარებულმა ფსვლიკმა და მისმა მამამ დაჰპატიჟეს ხალხს და მახდინეს ქორწილი. დაადგეო ოქროჲ უნაგირი ცხენსა და შეჯდა ი ფსვლიკი ზედა, რო-გორც მეფეი. მოიღწენ ცოლი მაყრები და იცქირებნიან აქეთ-იქითა: — აბა, მეფე სად არიო? გადმოიდა ის ფსვლიკი და მივიდა სიმამრთან. რალას იქავდნენ! ძიენ შასწუხდა სიმამრი, მაგრამ უარი ველარ უთხრა, უნა გაატანოჲ თავი 10 ქალი.

დაიწყო ქორწილი. დასხდნენ მეფე და დედოფალი ერთათ. დედოფალს ისე ეშინიან თავი საქრმოსგან, რო ზედაც კი აღარ უყურემს. ეს ფსვლიკი ემა-სხარავება, იალერსება, ე ქალი კი თავ არიდემს, შორსა ჯდება.

ჯერ ქორწილი დამთავრებული არც კი იყო, რო მეფე-პატარძალი გა- 15 ჰგზავნეს მეორე ოთახში დასაძინებლათ. იმ ფსვლიკმა გადაიძრო ტყავი და იგეთი ვაშკაცი დადგა, რო იმ ქალზე უკეთესი ის ბიჭი იყო.

მეორე დღეა, დილით რო გამოიღწენ საუზმითვინ, ნახა ემ ქალმა, რო კაი ბიჭი იყო და სუ ზედ ეკვროდა, აღარ ერიდებოდა იმ ბიჭსა.

ქორწილი რო დამთავრდა, ემ ქალმა დაუწყო ვაჟ ხვეწნა: — ეგ ტყავი მა- 20 იძრეო, შვენიერი ბიჭი ხარ და გაუშნოვებსო. ის ვაჟი კი ეუბნევა: — არაო, ჩემი სიცოცხლე ეგ ტყავია, მეც დავიკარქები, ეგ ტყავი რო დავკარქოო.

იმათ ერთი მომვლელი ქალი აყვანდათ და იმ ქალმა უთხრა ამ მომვ- 25 ლელსა: — როცა დაგვეძინებაო, ის ტყავი ან დავკარქოთ, ან რამე უყოთო. მართ- ლაც, რო დაიძინეს, იმ მომვლელმა ქალმა თონეში ჩააგდო ის ტყავი და დაწო. 25 შერე უთხრა იმ ბიჭმა: — ნახე, მეც დავიკარქებიო, ხოლოთაო მჭედელსაო რკინი ქალმები ამაასხმევინეო, რკინი ჯოხი გაამართვინეო, წამოდი და მეძებეო. ჩა- იცვი და, საცა ი რკინი ქალმები გაგიცვდება და ჯოხი გაგიტყდებაო, მეც იქ დაქვხვდებიო.

მართლა წავიდა ის ბიჭი. ის ქალიც ადგა, ჩაიცო რკინი ქალმები, და- 30 აჭირა ხელში რკინი ჯოხი და წავიდა საძებნელათ. არც თავად იცის, სად მი- დის. იარა, იარა, უკვე მოხუცდა ის ქალი და ერთ მინდორზე გადაიარა. ნახა, რო ამ მინდორზე ნახნავია, უკვე უცვდება რალა ის ქალმები. უცბათ, რო ჩაზაყდა, ჯოხი გაუტყდა. იმ ქალმა დაიძახა: — ვაი, დედიო! თურმე ბელტ- ქვეშა ყოფილა ის ვაჟი და დაუძახა: — ნუ გეშინიან, მე აქა ვარო. ის ბიჭი 35 ამოიდა ბელტქვეშიდან. წამოიღწენ ორივენი გახარებული სახში და დაიწყეო ცხოვრება ერთათ სიამოვნებით.

სოფ. ზემო ხოდაშენი

133. როსტომი და ეარაბუღელი

იყო და არა იყო რა, იყვნენ სოფელში ორი ბიჭი — როსტომი და ეარა- 40 ბუღელი. ორივენი ესენი დედისერთები იყვნენ. ამ ბიჭებ ძაან უყვარდათ ერთ- შანეთი და გამაირჩეოდნენ კიდეცა მთელ სოფელში, ხოლოთ ცოლები არა- აყვანდათ.

ერთხელ როსტომი წყაროზე იჯდა და ჩამაიარა ერთმა ბებერმა დედა-
კაცმა და იმან უთხრა როსტომს:—ცხრა მთაჲ იქით ცხრა ძმა დევ ერთი მზით-
უნახავი და ძყავთო. ჩაუვარდა ამ როსტომ ამ ქალი სიყვარული გულში. წა-
მოიდა წყაროდან დაღონებული, მივიდა თავი ძმაკაცთან — ყარაბულელთან —
5 და უთხრა თავი ამბავი. მემრე მოემზადნენ ორივენი და წავიდნენ იმ ქალი
საძებნელათა.

იარეჲ, იარეჲ და მიადგნენ ამ დევები სახლ და ეს დევები სახში არ იყე-
ნენ, სანადიროთ იყვნენ წასულები. დევები დედამ რო დაინახა, უთხრა ამ ბი-
10 ქველასაო და თქვენ რამ მოგიყვანათ აქაო? მოდი, შვილო, აქ დაგმალამთო.
მივიდნენ ეს ბიჭები მართლა და ერთი აქცია ცოცხათ ამ ქალმა და მეორე
პური კუტათ და დამალა იქვე. საღამო ხანი რო მოიდა, მოიდნენ ეს ცხრა
ძმანივე დევები და ზოგ ირემი ეკიდა, ზოგ თელი წიფელი ძირიანათ წამე-
ეკიდებინათ და იგრე მოდიოდნენ. რო მოიდნენ სახში, მოიხსნეს ეს და ნანა-
15 დირევი და შავიდნენ შინ.— დედი, ადამიანი სუნი მოგვდისო! — დედაჲ უთხრეს.

დედამ ჯერ უმალა: — აბა, შვილო, თქვენი შიშითაო ვინ გაბედამს აქ მო-
იდესო. მემრე, როცა არ დაიშალეჲ ამ მდევებმა, უთხრა ამ დედამ, რო გა-
მუაჩენ, თუ მამცემთ პირობაჲ, რო არაფერ დაუშავემთო. მიეცეს პირობა ამ
მდევებმა. დედამ აქცია ეს ცოცხი და კუტი ისევ ადამიანებათ. დევებმა უთხ-
20 რეჲ ამ ბიჭებ: — მოდი, გვიშველევითო ნადირი გატყავება და შეში დაქრაო.
ყარაბულელმა და როსტომაც დაიწყეჲ ნადირი ტყავება. მინამ როსტომი ერთ
ირემ გაატყავებდა, ყარაბულელმა თელი ეს ნადირი სუ დაატყავა და მემრე
როსტომს მიეშველა, ისიც გაატყავა, აკუწ-დაკუწა და ჩაყარა ქვაფში. იმ ქვაბ-
ცხრა დევი ეწეოდა და ამ ყარაბულელმა დაავლო მარტოკანამ იმ ქვაბ ხელი
25 და შადგა ცეცხლზედ. რო მაიხარშა, ისევ იმან გადმაილო (იმ ყარაბულელმა)-
მდევეფს ეხლა კი შეეშინდათ.

ახლა დასხდნენ პური ჭამაზედ და მდევებმა უთხრეჲ: — თქვენა ძვლი კა-
ცები ხართ თუ ხორცისაო?

— ძვალი რა ჩვენი საქმეა, ხორცისაო! — უთხრა ყარაბულელმა.

30 მემრე კიდე შეეკითხნენ: — თქვენა დოქი კაცები ხართ თუ ყანწისაო?

— ყანწი რა ჩვენი საქმეა, დოქისაო! — კიდე უთხრა ყარაბულელმა.

ახლა ეს ყარაბულელი და როსტომი ჭამენ ხორც, ძვლებ კი ესვრიან მდე-
ვებსა და, მანამ ისინი ორ-ორ ნაჭერ გაათავებენ, მანამ ყარაბულელმა ეს თელი
ქვაბი სამსე სუ მოასპო. მანამ ეს მდევები ერთ-ორ ყანწ ღვინოჲ დაღვეენ,
35 მანამ იმათ რამტვენიმე დოქი დალიეჲ.

ახლა პური ჭამეჲ და ყარაბულელ შეეკითხნენ: — თქვენა გომის კაცები
ხართ თუ ლოგინისაო?

— გომი რა ჩვენი საქმეა, ლოგინისაო! — იმან უთხრა. მართლაც, დააძი-
ნეს ისინი ლოგინში და თავათ მდევებმა დაიძინე გომურში.

40 გათენდა მეორე დილა და ყარაბულელმა: უთხრა: — ესეა საქმეო, ჩვენა
ვართ აქ მოსულები იმითვინ, რო თქვენი და უნდა შეერთათ როსტომსაო.
მეტი გზა არა-აქონდათ ემ მდევებ, თუ არა და დახოცამდა. მემრე უთხრეჲ ამ
მდევებმა: — ჩვენ დაჲ ერთი ავსული ემტერებაო და ისე ფთხილათ უნდა მაიქ-
ცეს როსტომი, რო ამ ავსულმა არ წაართოსო.

45 ეს ქალი დაიწყედელი ძყვანდათ ცხრა. ოთახში, ცხრაკლიტურში რაჲ
გააღეჲ და გამაიყვანეჲ და მუუყვანეჲ როსტომ და თითონ ეს ცხრა ძმა და

ყარაბულელი წავიდნენ სანადიროთ. ეს ქალი დაურჩინეა როსტომ და ყარა-
ბულელმა უთხრა: — აბა, შენ იცი, არავინ წაგართოს ეს ქალი ჩემ მოსვლამ-
დინაო.

როსტომი და ეს ქალი ბახში არიან ეხლა. ამ დროე წამოიდა ერთი
ვაისეაგლახით ნაღლიდან რალაცა. ამ როსტომ ერთი კარქა ტყაპანი მაადინა 5
და იქვე გადავარდა როსტომი გულწასული და ეს ქალი გაიტაცა.

მოიდნენ სალამოთი ისინი და ნახეა ბახში გულწასული როსტომი. გა-
იგეა მდევებმა ახლა კი, რო ეს ავსულის ოინებიაო. მოაბრუნეა როსტომი, რო-
გორც იყო, გამოეკითხეს, როგორც იყო საქმე, და იმანაც უამბო: — ესე, ესე
მალლიდან რალაც წამოიდა, გამარტყა სილა, გადამაქცია და თავათ კი გა- 10
იტაცა ქალიო.

მემრე ყარაბულელმა დაუდო სამი წლის ვადა: თუ ამ სამ წელიწადში მოიდა
და მოიყვანა ქალი, ხო კარქი, თუ არა და როსტომი უნდა მდევებ შეექამნათ.

ამ მდევეფსა ძყვანდათ ერთი ცხენი. დაფრინამდა ისა, ხოლოთ კაც
ზურგზე არ დაიყენებდა: ჯერ ცას გააკრამდა, ახლა მიწაე დააჯახებდა და იგრე 15
მოეკლამდა კაცსა, მაგრამ ყარაბულელ ვერა დააკლო რა ამ ცხენმა. ჯერ ქვე-
ითყენ მოექცა ყარაბულელი, ახლა მიწაე რო გეეკრა, მაშინ კი ზეითა. მაშინ
ამ ცხენმა რო ვერაფერი დააკლო ყარაბულელს, უთხრა: — სამი ისეთი მათრახი
დამარტყი, რო ცხრა პირი ტყავი გამძვრესო. მართლაც, ყარაბულელმა და-
არტყა სამი ისეთი მათრახი, რო ცხრა პირი გაძვრა და ეს ცხენი აფრინდა 20
ჯერ მალლა, ახლა ქვეითყენ დეეშო და მიწამ პირი გაალო და ეს ცხენი პირ-
დაპირ ჩეეშო შიგა, ჩავიდა დაბლა ქვეყანაშია.

იარა, იარა ყარაბულელმა იქა და მიაღვა ერთ ბებერ დედაკაც ღამი გა-
სათევათა. იმ დედაკაცმა უთხრა: — შეილო, ესე-ესეა საქმე და იმ ავსულის ში-
შით ამ სოფელში ვერავინ მოღის და ვერ შაგინახამო, რო გამიგოე, მეც მა- 25
მკლამსო. ეს კაცი არ მეეშო მაინცა და იმ ღამეე იმ დედაკაცმა შაინახა ყა-
რაბულელი.

მემრე აკითხა ემ დედაკაცმა: — შეილო, აქ რამ მოგიყვანა, რითვინა ხარ
ჩამოსული აქაო?

— ჩემი ძმი ცოლი გამაიტაცა ავსულმა და იმაე დავეძეფო, — ყარაბუ- 30
ლელმა უთხრა.

— ის ავსული წორეთ ამ სოფელში ცხოვრომსო, — დედაკაცმა უთხრა,
— ეს იმი სახენწიფოაო.

ეს რო გაიგო ყარაბულელმა, დაიწყო სიარული იმ ავსულის ეზოსყენ.
ის ავსული სუ აქათ-იქათ დადიოდა სანადიროთ. შინ არა ჩერდებოდა და, რო 35
დადიოდა ეს ყარაბულელი ემის სახლი წინ, ამ ქალმა შაამჩნია და იცნო, რო
ეს არი ყარაბულელი, დაუძახა და მიიყვანა თავისთან. მოიკითხეა ერთმანეთი,
ჩამაართვეა ხელი და ყარაბულელმა უთხრა: — მე უნდა მოეკლა ის ავსულიო.

— შენ იმ ავსულ ვერ მოეკლამ იმიტომ, რო იმაე არც ხმალი შჭრის და
არც ტყვია უდგებო. იმასა-ძყამს სამი ჭია და იმ ჭიეფშია იმი სულიო. თუ 40
იმ ჭიებ დავხოცამთ, მაშინ მოკვდება, თუ არა და არაო, — ემ ქალმა უთხრა.

— შენ მაე ეცადე გაიგო, სადა-ძყავ ი ჭიეები შანახული და მემრე მე ვი-
ციო, — ყარაბულელმა უთხრა.

მართლაც, მოიდა სალამოთი ის ავსული და ცოლმა უთხრა: — ქაო, მით-
ხარი, სადა გაქ შენახული შენი სული, რო მოუაროო, დავასუფთაო და იგრე 45
შავიყვარო, როგორც შენ მიყვარხარო!

მემრე უთხრა ერთ კუთხეზედა იმ ავსულმა: — აი, მანდ არი ჩემი სული შანახულიო.

მართლაც, იმ ქალმა ის კუთხე დაალაგა, დაასუფთავა, მორთო ისე, რო მეტი აღარ შეიძლებოდა რა! მოიდა ავსული და ძალიან გაუყვირდა, გაგიჟდა პირდაპირა, რო ნახა. მემრე ცოლ უთხრა: — შე ბეჩაო, შენაო, ჩემ სულ მანდ რა უნდაო, ჩემი სული ენდე, მაგ კოჭში არიო.

მეორე დღისით ამ ქალმა ახლა ის კოჭი მორთო ძალიან სუფთათ. მოიდა ისევე ავსული და უთხრა: — შე ბეჩაო, შენაო, ჩემ სულ მანდ რა უნდა, ინდე, ფილთაქვაშია ჩემი სულიო.

10 ახლა ეს ფილთაქვა მორთა ამ ქალმა ისე, რომ სუ ყვაველებში ჩასო და დადო მაგიდაზე შუაში. მოიდა კიდევ ეს ავსული და კიდევ უთხრა: — შე ბეჩაო, ჩემ სულ მანდ რა უნდაო!

— კარქი, მითხარი, სად არი სინამდვილეში შენი სული, რო მოვრთა და გავალამაზო და იყოფ და იყოფ ისეო, — ამ ქალმა უთხრა.

15 მემრე ამ ავსულმა უთხრა: — იმიტო არ გეუნები, რო მიღალატებო. ქალმა დიდი ფიცით შეფიცა, რო არ უღალატებდა და იქით-აქათ დიდი ლაპარაკის მემრე უჩვენა ყუთი და უთხრა: — აი, ემ ყუთშია ჩემი სულიო. აქ არი სამი ჭიაო, ერთი არი მუხლისა, მეორე ღონისა და მესამე კი სულისაო.

ეს ყუთი ამ ქალმა მართლაც მორთო, მორთო ისე, რო საუცხოვოთა და 20 აქონდა ერთი კვირა ესე მორთული ეს ყუთი და უვლიდა კარქათა.

ერთხელ, როცა წავიდა სანადიროთ ეს ავსული, ამ ქალმა დაიბარა ყარაბულელი და უთხრა: — აი, ემ ყუთშია სამი ჭია და ამაშია ერთი ჭია ღონისა, მეორე მუხლისა და მესამე სულისაო. ამ ავსულ იმტვენი სიმდიდრე აქ, იმტვენი, რო რამტენიმე ათასი ჯორ-აქლემი უნდა იმი წალებას.

25 ააქიდა ყარაბულელმა ეს სიმდიდრე სუ ჯორ-აქლემებ. რო აქიდემდა, ამ დროდ ბრუნდება ეს ავსული უკან. აიღო და ამ ყარაბულელმა მოკლა მუხლი ჭია, რო მეესწრო კიდევ, მინამ მოიღოდა. როგორც იყო, ვაისვაგლახით მოლახლახდა ეს ავსული შინ. რო ამოიდა მალლა უკვე, ამ დროდ მოკლა ღონის ჭია ყარაბულელმა. ააქიდეს და მიდიან და ეს ავსული თავი თვალით უყუ-

30 რემს თავი სიმდიდრის წალებამ.

ახლა რო გააცდნენ ამ ეზოდ ეს ქალი და ყარაბულელი, ამ დროდ მოკლა ეს სულის ჭიაც და მოკვდა ეს ავსული.

უკვე გადის სამი წელიწადი და ამოიდნენ მალლა. რო ამოიდნენ, ყარაბულელმა დაეკრა ისარი და ეს ისარი დეერქო ზედ მდევეები სახლი წინ და 35 გაიგე ამ მდევეებმა, რო უკვე ყარაბულელი ცოცხალია და მოყაყეს ქალიო და აღარ შეჰანეგ როსტომი (ისე კი, სამი დღელა ეკლდა სამ წელ).

ახლა ეს ქალი და ყარაბულელი მივიდნენ იმ დიდი სიმდიდრით სახში, გადაიხადე ძალიან კარქი ქორწილი და დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში და ცხოვრობდნენ ბედნიერათ.

40 იგრე არი: ძმა ძმითვინა და შავ დღითვინაო.

სოფ. ქისტაური

134. რქიანი ხემწიფე

ერთი ხემწიფე არი და დალაქებსა-აჰხოცამს. ერთი ლამაზი ბიჭი დაიბარეს სოფლიდამ და უთხრა ხემწიფემ, რომაო თავი უნდა მამპარსოვო და შე-

ეშინდა იმ დალაქს ძაან (დიდი ხალხი ჰყავ დახოცილი იმ ხემწიფეს). უთხრა, რომაო, რო მოეკრიბა თავი რა: — უნა შენც მოქკლაო და მეცოლებიო. კაი ბიქი მჩანხარო და ცოდო ხარო, რო მოქკლაო.

— არაო, ნუ მამკლამო, და რათ უნა მამკლა მაინცაო?

— იმიტვინაო, რო მე რქა მაქო და ამას გაიტან შენ კარშიო. 5

— არაო, — შაძჟიცა; იმ ყმაწვილმა უთხრა: — ნუ მამკლამო და ხელწე-რილ მოქკემო, რო მე არა ვთქვაო. მიძჟცა ხელწერილი, ცოცხალი გაუშვა, წავიდა.

ძაან იდარდა იმ ყმაწვილმა: რატო არ უნდა ვთქვაო ესაო. დაავანტ-ყოფდა ის ყმაწვილი, ვერსადაც ვერა თქვა. ადგა და წავიდა ის ყმაწვილი 10 ულრალ მთაში და იქ უამბო იმ კლდეს, რომაო მავან ხემწიფეს რქა აქო (თორემა ავათ ხდება რა, უნა მოკვდეს ის ყმაწვილი). ის კლდე ლაპარაკოფს, რო მავან ხემწიფეს რქა აქო. მაშინ კარქათ გახთა ის ყმაწვილი, როდესაც იმ კლდეს უამბო.

სოფ. წინანდალი

135. ეშმაკი და რაში

იყო ერთი ხემწიფე. ერთი ქალი მყვანდა იმაჲ გასათხოვარი. ადგა და თქვა ამ ხემწიფემ: — ვინც ჩემ ქალიჲ სახელს გამაიცინობსო, ჩემ ქალ იმაჲ მი-ვეცემ საცოლეთაო.

შაიყარა სოფელი. ერთი კვირა ვერავენ ვერ გამაიცინო. მემრე ერთი ეშ-მაკი იქცა ადამიანათა და მივიდა, უთხრა: — შენი ქალიჲ სახელი რო გამო- 20 იცინო, გამატანო?

— გაგატანო.

ქალი გულთმისანია. რაშები მყავ იმაჲ სამი.

— შენ ქალ. იაჯადუნ ხათუმი მქეიანო.

გამაიცინო. უნდა წაიყვანოს. ამ ქალმა ტირილი დაიწყო. იცის ქალმა, 25 რო ეშმაკია და მამაჲ არ ეუზნევა. შავიდა რაშეფთანა და ტირის იქ. უთხრა თეთრმა რაშმა: — მამაშენ გამადხოვე ჩემი თავიო, სამი კილენ სავარცხელიო, მარილიჲ კვნიტიო, ერთი პატარა შუშა რომიო. მემრეო მოდიო, შამკმაზე და წავიდეთო.

წავიდნენ და ის ეშმაკი იქ დარჩა, პურსა-მქამენ ხემწიფეთან. ეშმაკმა 30 უთხრაოთ: — იარეთ და მეგეწვეითო.

რო გაიარეს ეგრე ერთი დღის სავალი (ერთ დღეჲ რასაც გაივლიდ რადა!), რაშმა უთხრა: — აბა, მიიხედე, ქალო, უქანაო.

მიიხედა ქალმა: — ზოჩანსო.

რაშმა უთხრა: — აილეო და სავარცხელი უქან უკულნა გადააგდეო. 35

გადააგდო. დედამიწაში რაც კი ქვა და კენჭი იყო, ერთმანეთში აირია და ჰაერში მცემს. ამას ეშმაკი გაუვიდა, მოახერხა და გაიქცა.

ისევე გაიარედ ერთი იმტელა გზა, კილენ უთხრა: — აბა, მიიხედეო. გა-იხედა და: — მოჩანს ბუზიბოლაო. კილენ რო გაიარა: — მოჩანს ყვავათაო, მერე კაცათაო. მაშინ მეეწია.

მემრე უთხრა: — აილე და ეგ რომი ცოტა წინ დაღვარე და ბევრი უქანაო. 40

აილო და ეგრე გააკეთა. წინ პატარა ზღვა დადგა და უქან დიდი. ქალი ტირის. რაშმა უთხრა ქალს: — ნუ მტირიხარო, ეგ მათრახი ერთი ისეთი და-

მარტყი ბარძაყზე, რო სამი მე ამძკრედ, ორი კიდენ შენ ხელიგუღზეო. მაგრა დაჯეჟიო, ფაფარზე მტაცე ხელიო.

ერთი დაიწვილა რაშმა, წავიდა და ჰაერიდან მოუარა და გადავიდა. რო მივიდნენ სხვა სახემწიფოში, ეშმაკი აღარ გამოჩნდა. მივიდნენ და ხემწიფი 5 შვილია, ეზირ-ვეზირები ძყავ. იმ ბიქმა შაირთო ი ქალი. დასაწოლია ქალი-ხემწიფე წავიდა სანადიროთ თავი ვეზირებით. დაწერა ქალადი და მიძცა ქალს: — თუ როგორნე გავიჭირდეს, მაცნობეთო.

რაშმა უთხრა: — მე იალალზე წავალო (ძუა გამაიდრო, გამოკვანძა და მი- 10 ძცა). რა დროსაც გავიჭირდეს, გამოხსენ ესაო და აქ დავიბადებო.

გაუჩნდა ოქროქოჩრიანი ვაჟი იმ ქალ. გააგზანეს ეზირ-ვეზირი, და- 15 წერედ და გაატანედ, რო შენ ცოლსა ოქროქოჩრიანი ვაჟი დეებადაო (თაში გაგზანეს). რო წავიდა ის ბიქი, შუა გზაზე დააძინა ეშმაკმა, ამააცალა ის წიგნი, დახია, გადაყარა. დაწერა ეშმაკმა თავის ისემე და: — შენ ცოლსაო გაუჩნდა ძალლი ლეკვიო.

15 გველვიძა ამ ბიქ და წავიდა. რო მივიდა ხემწიფედთან, ამაილო ი წერილი და მიძცა. წაიკითხა და უთხრა იმ ხემწიფემ: — ძალლი ლეკვია თუ ფილთაქვაა, ჩემ მოსელამდე შეინახეთო!

რო გამაატანა იმან ი წერილი, ისევ იქ დააძინა ი ბიქი ეშმაკმა. ის და- 20 ხია, გადააგდო და დაწერა: — სანამ მოვალ, თონე გაახურეთ, დედა და შვილი შიგ დაწვიეთო.

ჩამოიდნენ, ეზირ-ვეზირებმა წაიკითხედ. გაახურედ თონე და მიძყავთ, უნა დაწონ. ენანებათ, რო ამითანა მშვენიერი ქალიცა და ვაჟიც როგო და- 25 ვწოთო. ეშმაკი მოიდა: — თქვენ თუ გენანებათო, მაიტა და მე დავწომო.

მააგონდა ი ქალ ის ძუა, ამაილო და გადახსნა ჯიბეში. იმ წაშში ი რაში 25 იქ დაიბადა. აძწია ამ ეშმაკსა და შიგ ჩააყუდა ი გახურებულ თონეში. აილო და ი ეზირ-ვეზირებიც შიქ ჩაყარა. წაჯკრა თონედ და სუ მინაგრ-მონაგრია, სუ გადაწო. გადაარჩინა ეს ქალი და ბაშვი.

მოიდა ხემწიფე, იმი ქნარი. ნახა და გაუხარდა. გააკეთედ ქეიფი და დრო გაატარედ.

სოფ. შალაური

136. საწყალი დედაკაცი და მისი ვაჟიშვილი

იყო ერთი საწყალი დედაკაცი. იმას ყავდა ერთი ვაჟიშვილი. ქმარი არა- 35 ძყვანდა და ობლათ გამოზარდა ეს ვაჟიშვილი, გამოიდა კარგი ბიქი, მალხაზი, ქკვიანი, მორბედი. გამოძყვა ხარ-გუთნის ნიქი: ხნამდა, თესამდა, მოძრაობდა და წლითავზე არაფერი არ მოედლიოდა. იმ დედაკაცმა ეცადა ან ხელობა ეს- 35 წავლებინა, ან სასწავლებელში მიებარებინა, მაგრამ არსად არ გეესხნა ბედი იმ ბიქსა.

აღგა ამ ვაჟმა, როცა კარგა მაიზარდა, და უთხრა დედას: — აჰა, ეს ხარ- 40 გუთანი, ქონება შენაო, მე უნა წავიდე, გადავარდე, ჩემი თავისა გავიგო რამეო.

აღგა და წავიდა. სამი მჰადი ჩაიდო გუდაში. გადაიარა ერთი მთა, ერთი 40 მჰადი შაქამა, მეორე მთა გადაიარა, მეორე შაქამა. მესამე მთა რო გადაიარა,

ერთ დიდ უჩრდილო მინდორზედ გადაიარა. არაფერი არ მოჩანდა. რო გადაიხედა, მოედნის შუა ალაგას ერთი რჩხა ერქო და იმას თან გვერს ეჯდა ერთი მოხუცი კაცი და წინ ერთი მუგზური ეგდო. იმ ბიჭმა დაინახა და მივიდა ამ კაცთან და უთხრა: — შეიძლებაო, ძიאו, ამაღამ გამათენებინო?

— რატოო, შვილო, სტუმარი ხვთისააო. აი, ერთი ხმელი პური მაქ, 5 მცა და შენცაო.

დასხდნენ მამა-შვილივით, დაიწყეს ლაპარაკი. იმ ბებერმა კაცმა-აკითხა: — რაზე გარჯილხარ, შვილო, რო ეგრე გზაკვალარეული დაადიხარო?

იმანაც უთხრა: — ესე იყო ჩემი გაკირვებაო, ობოლი ვიყავ, დედა მყვანდაო, ვხნამდი, ვთესამდი, არაფერი არ გამოდიოდა და წამუელიო. 10

შეჰამეს ერთი ხმელი პური და რჩხის ძირში მიიძინეს. იმ ლამეს ატყდა ერთი ქექა-ქუხილი, ერთი დიდი ნიაღვარი, რო ყველაფერი დაგლიჯა. ბებერმა კაცმა ის გუდა თითონაც მოიფარა, იმასაც მიაფარა და წყალი იმათ ზევით გადაადიოდა, თითონ არაფერი უშავდებოდათ.

გათენებამ მაატანა. გადაილო ავდარი და ქექა-ქუხილი. მოიდნენ იმ ბებერ კაცთან სამი ქალი და აკითხეს, რომაო წუხელის ამთვენ-ამთვენი ბავშვი გაჩდაო, როგორ დავაწეროთო. იმ კაცმა უთხრა: — როგორც წუხელ მე და ჩემი სტუმარმა დღეში გავიარეთ, იგეთ დღეში იყვენო.

წავიდნენ ის ქალები.

ამ ბიჭმა თქო: — ამ კაც მე თავს აღარ დავანებებო. 20

ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთ სოფელში შევიდნენ, დაულამდათ. მივიდნენ ერთ მეკომურთან. თურმე ქორწილი აქ ამ მეკომურსა, ვაჟს აქორწილებდა. მიიყვანა ის ორივე სტუმრები, დახადა ყველაფერი ძველი და სუ ახლები ჩააცო. წაიყვანა და ნეფე-პატარძალს ზეით-ქვეით დაუსხა ის მთხარა ხალხი. კაი დრო გაატარეს, ძალიან ილხინეს, გამაიყვანეს და სუფთა ოთახში დააძინეს მშვენივრათ. ისევ გათენებისას მოიდნენ სამი ქალი, ისევ იკითხა: — წუხელ ამთვენ-ამთვენი ბავშვი დაიბადა, რა დავაწეროთო?

ბებერმა უთხრა: — რაც კამპანიაში და დროში ჩვენ გავატარეთო წუხელო, იმ კამპანიაში გაატარონო.

ადგნენ და გამოიდნენ იქიდანა. ახლა რამოდენიმე სოფელი გაიარეს. რო დალამდა, ითხოეს: — ამაღამ ერთ მეკომურთან დავაყენეთო. მივიდნენ, შეაქამეს ერთი პატარა მკადი, მიუყარეს ჩულები და დააძინეს. გაიხადეს ტანისამოსი და დაწვნენ იმ ჩულებში.

შუალამე რო შეიქნა, ის ტანისამოსი სუ წმინდათ მოჰპარეს. გამოიდნენ მეორე დილით მარტო პერანგის ამარა. გამოიდნენ გზაზე, საით წავიდნენ ტიტვლები, აღარ იციან. მერე იმ ბებერ კაცმა უთხრა: — აბა, რა ვქნა, შვილო, მე არაფერი მაქ და შენ რითი დეგებმაროო. გაახედა ვაჟი: — აგე, ის ბოლი რო ამოდის შორს, იქ მიდიო, ისინი დიდ დახმარებას მოგცენენო. ერთი გოგრა აქთო ყელიანი, ის გოგრა-მთხოვეო, რო მოგცენო. უარ გეტყვიანო. როცა მოაშვივა და მოაწყემდება იმ გოგრასაო, ისე დაიწყებს ყვირილსა, რო ვერ გაუძლებო. შენი ცხოვრება იმ გოგრაშიაო. 35

მივიდა იქ, ტანისამოსი დაუკერეს იმ ოჯახმა.

— აბა, რა გინდა, რა პატივი ქცეთო?

— აგე, ის გოგრა მაჩუქეთო.

ჯერ უარი უთხრეს, მაგრამ აჩუქეს. აიკიდა ი გოგრა და წამოიდა თავი 45

დედისყენ, მივიდა დედაძთან. ისევ ოჯახი ოჯახათ დახვდა. დედამ უთხრა: — შვილო, ვმიდ გოგრიდ მეტი არაფერი იშოვე რაო?

— იმ გოგრაში ზის ოქრომთმინი ქალი, მზეთუნახავი. რო დაახველებს, ოქროს აგდებს პირიდანაო.

105 ადგნენ მეორე დღეს, ის გოგრა დადგეს და დედა-შვილი სამუშაოთ წავიდნენ. ის ქალი ამოიდა იმ გოგრიდან, მიალაგ-მიალაგა, სადღილი გააკეთა და ისევ გოგრაში ჩაჯდა. სამ დღე-ღამეს ეგრე გააკეთა იმ ქალმა, რა დედა-შვილმა არ იცოდნენ, ვინ აკეთებდა საქმეს იმათ სახში. მეოთხე დღეს დაუყარაულდა ის ვაჟი და ის ქალი ამოსული დაიჭირა, გოგრა დაუმტვრია.

110 — ნუ დამიმტვრევო, თორე ინანებო.

გამდიდრდა ეს ვაჟი ძალიან, გამდიდრდა, რო მეტი აღარ შეიძლებოდა. ცხოვრობდნენ ტკბილათ და ბედნიერათ.

სოფ. იყალთო

137. ახ, რა კაი წყალიაო!

ერთ კაც ერთი შვილი ყვანდა, ბიჭი, და დედინაცვალი ჰყვანდა იმ ბიჭს. 115 დედაკაცი ეუბნება: — წაიყვანეო, მომაშორე ეს შენი შვილიო, ნუ არი აქაო! წაიყვანა ერთ მეჭურჭლესთან, მიაბარა და უთხრეს: — ვაძწავლითო ამასაო ჭურჭლის გაკეთებასაო. ეს ბიჭი დარჩა იქ, მეჭურჭლეძთან. უთხრა მეჭურჭლემ: — რა ჭვიო? და:

— ამტვრიეო.

120 — ჰო, შვილო, ამტვრიეო, ე ჭურჭელი წაილე ბაზარში და გაყიდეო. ემ ბიჭმა მიაყოლა, ე ჭურჭელი სულ დაამტვრია.

— აბაო, მეო, რაც შევიძელი, დავამტვრიეო, და რაც არა და დავანებე თაეო.

— ეჰ, შვილო, წადიო, შენ ამ ჯელობის კაცი არა ხარო.

125 დაითხოვა. ზივიდა ისევ შინ.

ამ დედაკაცმა არ დააყენა ეს ბიჭი. ატარა, ატარა და ერთმა მეფარჩემ მიიღო ეს ბიჭი. — რა ჭვიო? და:

— ზომე და ხივეო. მიაყოლა იმ ბიჭმა და ხივა და ხივა და ყარა.

— რა ქენი, კაცოო? და:

130 — რაც შევიძელ, ვხიეო, და რაც არა, დარჩაო.

— წადი, წადი, შვილო, შენ ამ ჯელობის კაცი არა ყოფილხარო.

დაითხოვა. წავიდა ისევ შინ. ეს მამა ძალიან დალონდა. ადგა და წავიდნენ, წაიყვანა ეს ბიჭი. იარეს, იარეს და ერთ წყალ მიადგნენ. ე კაცს მოაძწურდა წყალი და დალივა და: — ახ, რა კაი წყალიაო!

135 ერთმა კაცმა ამოყო თაეი: — რა იყო, კაცო, რას მეძახდიო?

— მე შენ კი არ გეძახდიო, მე წყალზე ვთქვიო.

და ის კაცი ეუბნება: — ახრაკაი მე ვარო.

მემრე დაიწყეღ ლაბარაკი და ახრაკაიმ უთხრა: — მე მამაბარეო.

მიაბარა და იმ კაცსა-აყვანდა ექვის მოგებული, როგორც ი ბიჭი ჰყვანდა.

140 — მოდი შენ მემრეო და, თუ იცანი შენი შვილი, წაიყვანეო, და თუ არა და ჩემი იქნებო.

იყვნენ და, როცა დრო ენოვიდა იმ ბიჭსა, მივიდა, ნახა, შვიდი ბიჭი დგა. ამ კაცს ჰურს აქმევს ახრაკაი, ეს შვიდი ბიჭი დგა მწკრივზე: ხან ერთი ბიჭი

დაუსხამს ღვინო, ხან მეორე. მემრე თავი შვილი ჯერი რო მოუვიდა, ი კაცო ველარა-დცნობს შვილს, და ი ბიჭმა რო ტაქანი მიაწოდა, ჯელში ჯელი გამო- უსვა, ვერ იცნო. ახში, როცა გაათავეს პურის ქამა:

— კაცო, თუ იცანი შენი შვილი, წაიყვანე, თუ არა და ჩემი იქნებაო. იმ კაცმა რაღაი დაუმალა, აილო და მიცა.

წამოიდნენ. იარეს, იარეს და ქალაში რო გამოიდნენ, შვილმა უთხრა მამას: — იარე და მეგეწვიო. ე ბიჭი იქცა მშველათ. გამოარდა ეს ბიჭი და თავი მამას ხან კანკებში გაურბინა, წააქცივა, ხან იქით გაურბინა, წააქცივა, ხან აქეთ გაურბინა, წააქცივა. შავიდა ტყეში მშველი, იქცა ბიჭათ და გამო- იდა ისევ. ამ კაცმა უთხრა: — შვილო, თავათაც უჯერიო იყავიო და ახლაც უჯერიო ხარო. რაღა ეხლა მოგინდა უკან დარჩენაო, დავიჭერდით ი მშველ- საო და ჩვენი ბატონი უღელ ჯარ გვაჩუქებდაო.

წამოიდნენ და კიდე იმ ბიჭმა უთხრა: — იარე, იარე, მამი, და მოგეწვიო. შავიდა ტყეში, იქცა ახლა კურდღლათ. ისევ გამოარდა და ისევ აწვალებს ამ კაცს ე კურდღელი. ხან აქეთ გახტება, ხან იქეთ. შავიდა ტყეში, იქცა ისევ ბიჭათ და გამოიდა ისევ მამათთან. ამ მამამ უთხრა: — ახ, შვილო, თავათაც უჯერიო იყავი და ახლაც უჯერიო ხარო.

ამ ბიჭმა უთხრა: — ე, მამაო, მაგაზე მეტებ კი ნახაო.

ეხლა წავიდნენ და მიდიან და შეხვდათ ალალი ურბები. შვილმა უთხ- რა: — მე ვიქცევი ჯარათაო და შენ დამაფასეო სამასი თუმანიო, ორას ნაკლებ არ მიმცეო. აღგა, მიცეს ამ კაცს იმ მეურმეებმა ორასი თუმანი. უთხრა თავი მამას: — ეს ფული რო ჩაიღო, წადი და წადიო, შენ უკან აღარ მაიხედოო.

წავიდა ეს კაცი და ჯარი დაიჭირეს, შააბეს უღელში. რო თქვა ჯარმა, რო ახლა გაცილებული იქნებაო, შამამტვრია ტაბიკები, გზაზე ტყე იყო და შავიდა იქ. ნეურმეები სანამ ტაბიკს გააკეთებდნენ, იფიქრებ: ჯარი სად წა- ვაო! გამოვიდა ბიჭი და წავიდა.

— ბიჭო, ჯარი ხო არ გინახაო? და:

— არაო (თვითონ ჯარია ეს ბიჭი).

წავიდა ეს ბიჭი თავი მამათთან და ე მეურმე ცარიელი დარჩა. წავიდ- ნენ, მიდიან გზადაგზა. ე მეურმეები მიეწვივიან და: — ჯარი ხო არ გინახავთო?

— აბა, სად არი ჯარიო?

წამოიდა, მიადგნენ ერთ სოფელს. ი სოფელში ერთ თავშია ქოსაა, მე- ორე ბოლოშია ქოსაა. ამ ბიჭმა უთხრა თავი მამას: — მე ვიქცევი ცხენათაო, ჩამაბი თოკიო და თავში არ მიმცე ქოსასაო და ბოლოში არ მიმცე ქოსასაო. დამაფასეო სამასი თუმანიო.

ეხლა ატარა ამ კაცმა, სხვამ არავინ არ იყიდა და მიყიდა ისევ ქო- საა. ამ ქოსამ გაუკეთა კაი ლაგანი ყბაში. იგეთ ოთახში შაიყვანა, რო ციცი- ნათელა არ გადის. დააყენა ზედ ერთი მოჯამაგირე, უთხრა: — წყალზე რო წა- იყვანო, პირილამ ლაგანი არ გამოარიდო!

ეს ცხენი წაიყვანა წყალზე და არ დალივა. ამ ბიჭმა თქვა: კაცო, სად გემექცევაო, მოდი, ამ ლაგანს გამოვარიდებ პირილამაო. გამოარაიდა ლაგანი და იქცა ე ბიჭი ტრედათ.

წავიდა ეს ტრედი. გაიქცა ი მოჯამაგირე, ნახა თავი პატრონი. იქცა (პატრონი) მიმინოთ და გამოუდგა. რო გაიგო, რო მომდევსო, ირბინა, ირ- ბინა ტრედმა და ერთ ალაგამ ქორწილი აქვს და ეცა ემ სახში ტრედი. შე-

ვარდა სახში და იქცა ვაშლათ და პატარძალს ჩაუვარდა კალთაში. ეს ქოსა იქცა საჯანდრად. უკრავს და უკრავს ეს ქოსა და აძლევენ საჩუქარს.

— არაო, ის ვაშლი მინდაო.

ეს პატარძალი გაქვავდა და აღარ აძლევსყე. რო შააწუხა, — ქალო, რა არი ეგ ერთი ვაშლიო, თუ გინდა, ორ კასრ მოგცემო, — აილო და მიაწოდა ველში და იქცა ის ვაშლი ფეტვათ. ის რო ფეტვათ იქცა და ის კიდე იქცა კრუხ-წიწილათ, დაუწყო კენკვა. მეპრე რო მიატანა და მიატანა და ერთი მარცვალა და რჩა, იქცა ნემსათ ე ფეტვი მარცვალი. ქოსა იქცა ძაფათ. ნემსი ეცა ცეცხლში, ეს ძაფი დაიწვა და ნემსი გავარდა და გაიქცა ბიჭი. ადგა ბიჭი და უთხრა მამაჲ: — შე ასეთ-ისეთოო, რათ ჩამავდე ი ქოსას ველშიო?!

გათავდა.

სოფ. კიკიანი

138. ერთი საწყალი კაცის მგელი

ერთ საწყალ კაცს ჰყვანდა ერთი ვაჟიშვილი. გამოზარდა ერთი ვაჟიშვილი. რო წამოიზარდა, უთხრა: — მამი, სადმე მოჯამაგირეთ დაედგებო, 15 ჯამაგირ ავიღებ და მოვიტან ოჯახშიო.

ადგა მერე ის ბიჭი და სხვა სახენწიფოში გავიდა. ერთ მედუქნეს დაუდგა მოჯამაგირეთ ერთი წლით. ჯამაგირზე მოურიგდა წელიწადში ათ კაპიკათ. მერე იმ მედუქნემ უთხრა: — წელიწადში ორ შაურათ როგორ შეიძლებაო, მეო ზოგი ათ თუმნათ მყვანდა, ზოგი — ოც თუმნათაო!

20 იმ ბიჭმა უპასუხა: — მე მეტი არ მინდაო.

მერე რო შეუთავა წელიწადი, წლის ბოლოს ადგა და ერთი დიდი პილენძის თასი აუვსო სუ ხურდა ფულით. იმთვენი ეძება იმ ჯამში, რო იპოვნა ორშაურთან. ადგა და ის ორი შაური ამილო და უთხრა მედუქნეს: — მეო ბაზარში გავივლი და მოვალო და ისევ შენთან ვიქნებო.

25 ბაზარში ერთი ვაშლი იყიდა ორ შაურათ. ის ვაშლი გაატანა თავი მამათან. წაილო იმ მედუქნემ ის ვაშლი მოჯამაგირის მამათან.

ერთ სახენწიფოში გაიარა იმ კაცმა. იმ ხენწიფეს ყოლია ერთი გაუცინარი ქალი. გზაში ყარაულლებმა დაიპირეს ის კაცი და მიაბრუნეს ხენწიფეთან. იმ ხენწიფემ უთხრა იმ კაცს: — გასათხოვარი ქალი მყავს და თავი დღეში

30 არ გაუცინია და, თუ გააცინეფ, მილიონ გაჩუქეფო.

იმ კაცმა უთხრა იმ ხენწიფეს: — მე ერთი მოჯამაგირე მყავსო, წელიწადი ორ შაურათ მემსახურა, ერთი ჯამი აუმსე ფულით, იმთვენი ეძებაო, რომ ორი შაური იპოვნა და ბაზარში ვაშლი იყიდა და ეხლა თავი მამათან გაატანაო.

მაშინ ჩაიყო ჯიბეში ხელი, დაანახვა ვაშლი და გააცინა ის ქალი (მართლა 35 საიმტერესო ვაშლი იყო). რაც ფული მიეცა იმ ხენწიფემ ამ კაცს, სუ მიუტანა მოჯამაგირის მამაჲ. ეს ფული რო მიუტანა იმი მამაჲ, უთხრა: — შენმა შვილმა დამაბარაო, ამ ფულით კაი სახლები ააშენეფიო, გალავანი შამოარტყიო; იმითანა სახლები ააშენეფიო, რო, ერთი სიტყვით, ამ სოფელში არ მოიპოვებოდეს იგეთიო.

40 ის კაცი წამოიდა თავი ოჯახში.

ი ბიჭი მედუქნესთან მსახურობს ისევ. მეორე წლის ბოლოს ისევ ორ შაურზე მეტი არ გამაართვა იმ კაც. ადგა და ისევ წლი ბოლოს რო შაურთავა, ისევ ორი შაური გამაართვა, ისევ წავიდა ბაზარში და ერთი პატარა ციცო

მოეწონა და ი კატა იყიდა. ეს კატა ისევ თავი მამამთან გაატანა. ეს კაცი ისევ წავიდა და წაიყვანა ე კატა იმი მამამთან.

ერთ სახენწიფოში შეეჩვივნენ თავგები. ისე გაუტილებიათ ის ქალაქის ფული, რო რალაი გითხრა. გაიარა ერთ სახენწიფოში, ის კატა ხელში აქ და ჩხავის ეს კატა. ვეზირი დაეხვდა ერთი, ყარაულათ არი გზაში: — რა 5 არის, რად ჩხავისო?

— ეს არი კატაო.

— რის გამკეთებელია ეს კატაო?

— ესო თავგესაო იჭერსო და ჰკლამსო.

ხენწიფემ — ი კატაი ხაზინაში შააგდეთო. თუ ღართლა მომაცილებს ი თავგებსო, ნახევარი თქვენი იყოფ ფულიო. შააგდეს ი კატა ხაზინაში. ამ კატამ, სადაც გამოარდა თავგი, იმთონი დაიჭირა, გაუქეჭყა თავი და მოკლა. მიუტანეს ხენწიფეს.

— რა მოგცეთ ამაშიო?

— რაც გინდათო.

ადგა და აქლემს აუვისო ხურჯინის თვლები და გაატანა. ადგა იმ კაცმა და ის ფული სულ უკლებრათ მიუტანა იმ ბიჭის მამას. ისევე ეუბნება: — რაც 15 ოჯახში რამე გჭირდებაო, ბუ ხალიჩა-ფარდაგიო, თუ ჰურკელიო, იყიდეთო.

ის კაცი წამოიდა. მამამ კიდე მიაყოლა და იყიდა სუყველაფერი და ისე მოაწყო, რო, ერთი სიტყვით, ხენწიფის სახლ წაასწრო.

იმ ბიჭმა შაუთავა მესამე ყველობა. იმ ბიჭმა ისევ ორი შაური ამიღო, წავიდა ბაზარში, პატარა ძალი მოეწონა, ლეკვი, და იყიდა. დაეთხოვა მე- 20 დუქნეს, უთხრა: — მამაჩემის ნახვა მინდაო, სახში უნა წავიდეთო, თუ შეიძლება, პური მომეცი ცოტაო.

ადგა იმ კაცმა და გაუვისო ხურჯინი პურით, ყველით.

წავიდა, მიდის ეხლა თავი ოჯახში. გზაში, მინდორზე რო გავიდა, გზის პირში ხე დგა და იმ ხეზედ ნატრის თვალი ტოტებში თასით მდგარა. ლეკვი მივიდა და იმ ხეს შეეყმუვლის, აღარ მოადევს. მივიდა იმ ბიჭმა და: აბა ერთი შეეხედო, რას შეეყმუვისო.

რო შაიხედა, დაინახა, ოქროს თასი ბჭყვილებდა. ჩამოიღო და იქვე 30 წყაროზე წყალი დალია. რო გადარჩა, ი წყალი გადაღვარა, სახლში წამაიღო.

ერთ ქალაქში, ხენწიფის ქუჩის წინ წყაროა. ამიღებს წყალს, გადაღვრის: ფულათ იქცევა თუ არაო. ისევ ფულია და ისევ. ხენწიფეს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავ, ის კიდე უყურებს: რას შვრებაო? ადგა მემრე და იმ ქალმა გამოუგზავნა თავიანთი დარაჯი, რომელიცა ჰყვანდა, და უთხრა: — აბა, შე- 35 ეკითხე, გაყიდის თუ არაო?

იმ ბიჭმა უპასუხა: — გავყიდო, მხოლოთაო ერთი საათი მაყურებინოსო თავი სახეზეო.

ჯერ დაფიქრდა, მემრე ვეზირებმა უთხრეს: — რა მოგივაო?

როგორც ი ქალი იყო ლამაზი, ი ბიჭი კიდე უფრო ლამაზი იყო. ის ერთი 40 საათი უყურა სახეზე, მაგრამ ეხლა ი ბიჭმა მოატყუილა, არ მიდცა თასი. ეს ქალი დედედენა ამ ბიჭ. როგორც ეს ბიჭი მივიდა სახლში, ისე ის ქალიც მიდგვა. ეს ბიჭი მეეწონა. ბიჭი ველარა ნიშნულობს თავი სახლს, ჰკითხა სხვას სახლი. — ესააო შენი სახლიო. რაც შენ ფული გამოუგზავნეთო, სუ იმითაა შენაო.

ადგა მამამ და ქორწილი გადაიხადა და ჯვარი დაეწერა იმ ქალზედ. თა- 45 ვისი მამა შამდურდა, რომა დაუკითხავათ რათ გადყციო იმ კაცსაო.

რამდონიშე თვე გავიდა და მერე ახში შაირიგა თავისი ქალიცა და სი-
ძეც. დაძაბატიყა სიძეცა და ისიც წავიდა. გაშალეფ სუფრა. სხვები ჭიქითა.
სვამენ ღვინოს. იმ ბიჭს უბეში აქვს ი თასი. დააღვეს ღვინოს და გადააქ-
ცევს. სუ დააგეყა ხალხი. უთხრეფ ხენწიფეს: — გამოართვიო.

5 — მომყიდევიო! — ხენწიფემ.

არ მიცა. კაი დრო გაატარეს. იმ ხენწიფემ აუწყო თავი შვილს სუყე-
ლაფერი. ფული გაატანა მზითეფში, გაატანა ვეზირები და ამ ბიჭმა მეორე,
ქორწილი იქ გადაიხადა, თავი სახში. მერე ტკბილათ ცხოვრობდნენ.

მეც დილას მოველი იმ ქორწილიდან.

სოფ. კიკიანი

139. მეწისქვილე

ერთი ხემწიფე იყო, იმასა-ყვანდა შვიდი ვეზირი. დაიბარა ისინი და უთხ-
რა: — თქვენ უნდა გამიგოთ შვიდ დღეშია, ზეცაში რამდენი ვარსკვლავიაო,
ქვეყნის შუაგული რომელიაო; მე რასაცა ვფიქროფ, ეგეც უნდა გაიგოთო.
თუ ვერ გაიგებთ, დაქხოცამთო.

15 ვეზირები დაფიქრდნენ: ვარსკვლავები სად დავთვალთ, ან ქვეყნის.
გული როგორ გავიგოთ, ის რასა ფიქროფს, ჩვენ რა ვიციოთ! დადიან და-
ლონებულეები. დაჯთელიან, მაგრამ ერევათ, კაცო, ზომავენ, მაგრამ სათვალავში-
ვერ გამოდის. შამაიარეს და ერთ წისქვილთან დასხდნენ.

— რათა ხართ ეგრე დალონებულო? — მეწისქვილემ აკითხა.

20 — რალა რათა ვართ, ამისათვინაო, რო ხემწიფემ ესე, ესე გვითხრაო, ემაზე.
ვართ დალონებულეზო.

— მაგაზე რასა-ფიქრობთ, მე დაგისხნით სატყეირისგანო.

ვეზირებმა უთხრეს: — თუ გვიშველი, ამაზე მეტი გაჭირება აღარა გვაქო.
მოვიდა დრო, მეშვიდე დღე. მეწისქვილეფთან მივიდნენ ვეზირები. გა-

25 ყვა მეწისქვილე, უთხრათ: — თქვენი ტანისამოსი ჩამაცვითო, ერთ-ერთი უკან
დადექითო. მივიდნენ (მეწისქვილე ვეზირი ტანსაცმელშია), შევიდნენ ხემ-
წიფეფთან.

ხემწიფე ეკითხება: — აბა, გამიგეთ, რამდენი ვარსკვლავიაო? (და თან ხელს.
არახუნეფს). მეწისქვილემ უბასუნა: — მე როგორც დავთვალეო, წორეთ გამო-
30 იდა ასი მილიონიო. თუ თქვენ არ გჯერათ, თქვენ დათვალეთო (აბა, სად და-
ჯთელის ის!).

— ქვეყნის შუა ალაგი რომელიაო, აბა, ეგ ამიწერეო.

დააკრა ფეხი: — აი, აქ არიო, წორეთ შუა ალაგი ეს არიო. თუ არა
გჯერა, გაზომეთო (თავს იქნევს ეს ხემწიფე).

35 მერე უთხრა: — აბა, მე რასა ვფიქრობ, უნდა გამიგოთო.

— შენა გონია, მე შენი ვეზირი ვარო, მე უბრალო მეწისქვილე ვარო.
დააკრა ხელი ხემწიფემ და დაასაჩუქრა: — ყოჩაღო!

სოფ. შილდა

140. ბედი და იღბალი

ერთ ხემწიფეს შვილი ყვანდა დასაქორწილებელი. შვილს უთხრა: — უნდა
40 დაგაქორწილო.

იმან უთხრა, რო მე ვერ დავქორწილდებო.

— რატომო? — მამამ უთხრა.

— იმიტინაო, რო ჩემ ბედ და ილბალ სანამ არ გავიგებ, მანამ არ დავქორწილდებო.

უთხრა მამამ: — როგორ შეიძლება, რო კაცმა თავი ბედი და ილბალი გა- 5
ოგოსო, ეგ არ ყოფილაო!

— მე ვეცდებიო, თუ გავიგე, გავიგეო, თუ არა და მემრე დამაქორწილეო.

ბიქმა სამი აბგა ფული გამაფთხოვა მამას, ადგა და წავიდა. მიდის გზათ-
გაიარა მანძილი. შამოახვდა ერთი კაცი წინ, მიეცა სალამი.

— სად მიხვალ, ბიქოო? 10

იმან უთხრა: — მე მივდივარო ჩემი ბედისა და ილბლი გასაგებათაო.

უთხრა იმ კაცმა, რო წადი, გაიარეო (მანძილი უთხრა), იქ რო გახვალ,
ერთი დიდი შენობა არიო, იქ მიხვალ შენობაფთანაო, ბევრი ქალაღდები, ბა-
რათები ყრია დაწერილიო, წაიკითხამო და იქ ეწერება შენი ბედი და ილ-
ბალიო. 15

ადგა, წავიდა ეს ბიქი. მივიდა იმ შენობაფთან. ბევრი დაწერილი ქა-
ღაღდები ეყარა და დაუწყო კითხვა. მალღა შენობიღამ ქაღმა გამაიხვდა და
უთხრა: — რაღ დეეღებ მანღაო?

— მინღა ჩემი ბედი და ილბალი გავიგოო.

ქაღმა უთხრა: — ნეფეების ქაღაღდები აქ აწყყია, ამოღი და მე გავი- 20
ჩეღო.

ადგა, ავიღა მალღა შენობაში ეს ბიქი. ქაღმა ამოურჩიღა თავისი ბედ-
ილბალი და მიეცა ქაღაღდი.

ღაბრუნღა ეს ბიქი და წამაიღო ეს ქაღაღდი. იფიქრა გზაზეღ: ერთ წა-
ვიკითხამ, რა-ღწერია შიგაო. წაიკითხა ქაღაღდი. შიგ ეწერა: ერთი ქაღი ცხრა 25
წელიწადი ავათ არი და ის უნა შაირთოსო. მემრე ძალიან გეებოროტა ბიქსა:
წავალ, საღაც არი, ინაღ მოვნახამო, მოვკლამო და კარქ შავირთამო.

ღაბრუნღა ეს ბიქი და თან ქაღს კითხუღობს. დაუღამღა ერთ აღაგას.
ტყეებია. უნღა საღმე შეეფაროს სახში. დაინახა ერთ აღაგაღ ლაღფი შუქი,
ღაიღახა სახლი პატრონთან. გამოახვღა სახლი პატრონმა, უთხრა: — ამაღამ შა- 30
მინახევითო, გზავრი ვარო.

სახლი პატრონმა ახვღ-ჩაახვღა, რო კარქი ჩაცმული ჟკონღა: — ტუმარი
ხეთისა არი, ვერ დავირიღებთ, მაგრამ შენი საფერი ქვეშაგები არა გვაქო.

ბიქმა უთხრა: — მე ქვეშაგები არ მინღა, არც სასმელი და არც საკმე-
ლიო, მარტო ვიქნებო. 35

შაიპატიღა ბიქი. ნახა, რო ოროთახიანი სახლია. იმ ლამეს ვახშამ რო
ქამენ, ერთ ოთახში კერძი შეაქთ, იქიღან ცარეღა გამოღიან. უთხრათ ამ
ბიქმა, რო ისეთი ვინა კყავთ ტუმარი, რო პური შაგაქთ, აკმევეთ, მაგრამ აქ
არ გამოკყამთო?

კაცმა უთხრა: — მე ფეიქარი ვარო, ძალიან მდიღარი ვიყავიო. ეხღა ისე 40
ღავღარიბღი, ცხრა წელიწადი ავათა მყამ ქაღიო. ჩემი ცხოვრება იმაზე გა-
ვაქრე, მაგრამ ვერ მოარჩინეო.

ამ ბიქმა იფიქრა გუნებაში: მე მაგას ვეღებღიო. ბიქმა უთხრათ: — დაღ-
ლიღი ვარ, ძიღი მინღაო.

ბიქი მიწვა, ნაბაღი წაიხურა. ოჯახი პატრონი ფიქრობს: ჯერ მაგან და- 45
იღინოღ, მერე ჩვენაო, — ეხათრებათ. ამ ბიქმა ხვრინღა ამოუშო, მითამ ღე-

ეძინა. სახლი პატრონებმა რო დაიძინე, ადგა ეს ბიჭი და იმ ქალი სანახავათ შავიდა. ქალ რო დაეხედა, ნახა, რო ისეა გაყვითლებული, როგორც ნესვი. ჰოდა, ამ ბიჭმა გაიძრო ხანჯალი, დაეკრა გულში და ერთი აბგა ფული დაუდო გვერდზე სამარხათ რა!

5 ადგა ბიჭი, წამოიდა სახში, უთხრა დედ-მამას: — დამაქორწილეთ ეხლაო, გავიგე ჩემი ბედი და იღბალიო.

ადგნენ, მისწერეს ქალაღები აქ-იქა: თუ სადმე კაი ქალი აღმოჩნდეს, ბიჭი უნდა დავაქორწილოთო.

აღმაჩინეს ერთგან ქალი, ძალიან კარქია. წავიდნენ, ნახეს და ქალი მე-
10 ეწონათ (აბა, ხენწიფე იყო, რად დეერიდებოდნენ!). ქალი წამაიყვანეს სახში. ბიჭი და ქალი ერთათ რო დაწვენენ, ბიჭმა ნახა, რო გულზე რაღაც მუწუკით აქ, უთხრა: — ეს რა არი, ქალოო?

ქალმა უთხრა: — ეს დაბადებით მაქო.

მაინც ბიჭმა უთხრა: — რათა გაქო?

15 ქალმა უთხრა: — ცხრა წელიწადი ავით ვიყავიო, ერთი ტუმარი გვეწვივა ჩვენაო, ჩემ სანახავათ შამოიდაო, გაიძრო ხანჯალიო, იგეთ ალაგად დამარტყა, საღაც იარა მქონდაო, ერთი აბგა ფული გვერდზე დამიდოო. დედაჩემა მალამო გააკეთებინა, მიწამლა და მოვრჩიო. ი ბიჭმა უთხრა: — მე ვარ ისიო, ის ხანჯალი მე დაგარტყიო. რაც ბედი მქონია კაცსა, არა-მცდენიაო.

სოფ. შილდა

141. მასკვლავიანი გიორგი

ერთ სახემწიფოში ერთი საწყალი გლეხი ცხოვრობდა. იმი დედაკაც დეებადა ვაჟიშვილი, რომელსაც შუბზე მასკვლავი ქონდა. ამ ბიჭ მასკვლავიანი გიორგი დაარქვედ.

იმ ქვეყნის ხემწიფეს წესათ ქონდა, რო შვიდ წელიწადში ერთხელ უნდა
25 ჩამაიაროს თავი სახემწიფო და გაიგოს, თუ ვინ დაიხოცნენ, ვინ შეემატნენ. იმ დილასაც, როცა ეს ბიჭი იბადებოდა, ხემწიფემ ჩამაიარა და კითხულოდს: აბა, ვინ მოკვდა, ვინ დარჩა, ვინ გაჩდაო. ბოლოს ჩამაიარა იმ ხარზე, საცა მელოგინე ქალია, გიორგის დედა. ერთმა წუწქმა ბებერმა უთხრა, რო აქ მელოგინეაო. შავიდა ქოხში თითონ ხემწიფე და ნახა ბავშვი და მასკვლავმა
30 შუბზე შაანათა. ხემწიფემ იფიქრა, იფიქრა და საბოლოოთ გადაეწყვიტა: ეს ბიჭი მე გამაქროდს, ჩემთვის კარქი არ-ალი და რამე უნდა ვიღონოო. მემრე მშობლეს მიუბრუნდა და უთხრა: — ამას თქვენ რას ზდითო? მომეცით, მე უნა წავიყვანო, თქვენ არ იღარდოთ, ბედნიარი კაცი უნა გამოიყვანოო.

მშობლები რას ეტყოდნენ! ხემწიფემაც გამაართვა ეს ბავშვი და გამა-
35 იყვანა გარეთ და ვეზირეფს ჩააბარა, თან უთხრათ: — გარეთ გაიყვანეთ, დაკალით და ჯიგარი მომიტანეთო!

წაიყვანე ვეზირებმა ძონძეფში შახვეული ბავშვი, ატარე, ატარე, მა-
გან შეეცოდათ და ვერ დაკლეს. ბოლომ შაიყვანეს ერთ დიდ ჭალაში, საცა
დიდ-დიდი ქორთუკები არი, ხეების ნაქერი. ეს ქორთუკები აუყუდეს აქათ-
40 იქიდან, ყუთივით შაკრეს, შიგ ბავშვი ჩააწვინეს, მემრე თავი გაანებე და თქვეს: თუ რომ ნადირმა შაქამო, ჩვენ მაინც ნუ დავიდებთ ცოდოსო. გამოიდნენ მინდორზე აქათ და დაეხვდათ ერთი გოსპარა. ვეზირებმა დაიჭირე

გოსპარა, დაკლემ ისა, ამიილემ ჯიგარი და ხემწიფეს აუტანეა. ხემწიფემ შაწვა შამფურზე და შაკამა. მათყუემ ვეზირებმა ხემწიფე.

იმ სოფელშია ერთი მენახირე იყო (ძროხა რო დაუდის). ზოგისა თხები ყავ, ზოგისა ძროხები ყავ და დაუდის ნახირში. ამ ნახირში ერთი დედაბრი თხა არი, მეწველე.

5

ბავშვ გემეღვიძა და ტირილი დაიწყო. შაკრულ ყუთშია შიგა და ტირის. მენახირეა რო ბებრი თხა ყავ, იმან გაიგო იმ ბალლის ტირილი, მივიდა, გადააბოტა ზედ, ჩაუდო ძუძუ პირში და მიაწუა, ბავშვმა მუცელი მამაგრა და ცოტა ჯანზე მოიდა.

სალამოთ მიიყვანა მენახირემ თხა პატრონთან, მაგრან თხა მოწოვილია, აღარ უდგას რძე. დედაბერი ეჩხუბება მენახირეს: — რათ მოწველე თხაო? ეჩხუბება, მაგრან მენახირე უარზეა, — არაო.

მეორე დღე დედაბერმა თხა ისევ გაატანა. თხამ მიაწუა ამ ბავშვს. სალამოთ მენახირემ თხა მიიყვანა პატრონთან. დედაბერი ისევ ეჩხუბება, მაგრან მენახირე ეფიცება: — არავითინ არ მამიწველინებიაო.

15

მესამე დღე დედაბერმა დააბა თხა, არ გაუშვა ნახირში, შინა-ყავ. დრო რო მოუიდა, თხამ იბლავლა. ამ თხამ იძახა და იბლავლა, მემრე იმთენათ გაიწივა, რო გაუწყვიტა თოკი, გეექცა ამ დედაბერსა. მიყვა ეს ბებერი თხასა და შავიდა იმ ქალაში, იპუნა ის ბალლი, გადააბოტა და პირში ძუძუ ჩაუდო, აწუეფს.

20

იმ თხის პატრონ დედაკაც შვილი არა-ყვანდა. ეს რო დაინახა, აიყვანა ი ბავშვი და თან წამაიყვანა. სახში დაუწყო ი ბავშვს გაზდა იმ თხით და ასე გაზარდა, სუ თხის რძითა.

გავიდა შვილი წელიწადი, ე ბიჭი შვილი წლისა გაზდა, მაგრან იგეთია, რო თითქმის საქორწილოთ მაიყარა. იმ ხემწიფემ ისევ ჩამაიარა თავი სახემწიფო. ი ბიჭი ტოლებში არის მასკვლავით. ამჟღირალებს მასკვლავს და შუქს უშვეფს. ხემწიფემ იმ ქუჩაშიც ჩამაიარა, საცა ეს ბიჭია, და დაინახა მასკვლავიანი ბიჭი. გაიფიქრა ხემწიფემ: ეს ბიჭი ისევ ის იქნება, თუ სხვა არიო? მემრე იკითხა: — ვისი შვილია ესაო?

უთხრეს: — ბებრი შვილიაო.

30

ხემწიფემ გამაიძახა ეს დედაბერი და უთხრა: — პატროსანი შვილი კყოლია შენ. რატო არ გამააცხადე, ეს ბავშვი უფწავლელი რათა გყავ, უნა წავიყვანო მე და უნა ვაფწავლოო.

დედაბერმა ტირილი დაიწყო: — მაგი მეტი არავინა მყავ, ნუ წაიყვანთო.

მაგრან ხემწიფემ უთხრა: — არ შაიძლება ამითანა ბავშვის აქ დათმობაო. რალად იზამდა დედაბერი!

35

ხემწიფემ წაართვა ქალს ის ბიჭი და დაუწერა ამ ბიჭ წერილი, შიგ ჩაუწერა თავი ცოლ-შვილზე: ეს ბიჭი რო მოიდეს, უთხარით ვეზირეფს, გაახურონ თონე, ეს ბიჭი შიგ ჩააგდონ და დაწვანო. მემრე ბიქს უთხრა: — აი, ეს წერილი წაიღე, იკითხე ჩვენი ქალაქი, ჩემი სატახტო სახლი, მიგიყვანენ შინ. ჩემ მოსვლამდე იქ იქნები, მალე მეც. მუალ და შკოლაში უნა გაგზავნოო.

40

დეემშვიდობა ეს ბიჭი თავი გამდელ დედას და წავიდა. ნადედობი გლოვიარე ყავ და მშობლებიც გლოვიარე ყავ.

ბიჭი მიდის და კითხულოფს იმ ქალაქს. აფწავლეს იმ ქალაქის გზაც და იმი სატახტო ალაგიც. ბიჭი მივიდა ალაყაფის კარებთან, ნახა, რო ყარაულელები არიან. რო მივიდა, მასკვლავმა ჟრჟიალი დაიწყო და ყარაულეფს შუქი

45

დაადგათ. ბიკმა უთხრათ ყარაულებს: — თუ შაიძლებოდეს, შაატყობინეთ ხემწიფიე სახლობას, რო ხემწიფისაგან ვარ გამოგზანლილო.

იმ ხემწიფეს გასათხუარი ქალი ყავ. იმ დროს გამიხედა იმ ქალმა და დაინახა ბიკი. ქალს შუქი მიადგა მასკვლავისა. — ეს რა კაი ბედ მივეწიეო, — 5 იფიქრა ქალმა და ყარაულებს უბძანათ: — კარები გაუღეთო!

ყარაულებმა გაუღეს კარები. მივიდა ბიკი შუა ეზომდინ, ამიილო წერილი და მიცა. ხემწიფის შვილმა წაიკითხა, რაც ეწერა, მემრე მიფხრიწ-მოფხრიწა ეს ქალადი და თავისი ხელით ხელახლა დაწერა: — ჩემო ცოლ-შვილო, სანამ მე მუალ, ამ ბიკ ჩემ ქალზე ჯვარი დაწერეთ. მე ეხლა ცოტა საქმეები მაქ, 10 შამაგვიანდება და აბა თქვენ იცითო.

წაიყვანა ბიკი ქალმა და თან ეს თავისი ხელით დაწერილი წერილი მიცა. ავიდნენ მალლა კოშკში ხემწიფის ცოლთან. ბიკი მიესალმა და მემრე წერილი მიაწოდა ხემწიფის ცოლს. ხემწიფის ცოლმა წაიკითხა, რაც ეწერა. — ამ ხემწიფის ცოლმა დაფუცხუნდა, შაატყობინა ღვდელს: — ჩქარათო, ჩემ შვილ 15 თავისი ბედი და ყისმათი მოუიდა და ჯვარი უნა დაეწეროო. ქორწილი მემრე გადაუხადოთო.

მართლაც, ამ ქალს საჩქაროთ ჯვარი დაეწერეს ამ ბიკზედ. დაიწყეს ერთათ ცხოვრება.

მოიდა ხემწიფე თავი სახში. დაინახა, რომ თავი ბალკომზე ბიკი და 20 გოგო ერთათ დგანან. ხემწიფეს გეეჯავრა, იცნო ეს ბიკი, მასკვლავიანი რო იყო, და თქვა: მე მოსაკლავათ გამოგზანენ და ეს კი ჩემ ქალთან არიო!

ავიდა მალლა, ცოლს დაუძახა სახში და უთხრა: — შე ასეთ-ისეთო, მე მოსაკლავათ ბიკი გამოგზანენ, შენ კი ჩემ შვილზედ ჯვარი დაეწერეო?

ცოლმა უპასუხა: — ჩემი რა ბრალია? შენ რაც მამწერე, მეც ის შავას— 25 რულეო.

მემრე ის წერილი აჩვენა, ბიკმა რო მუტანა.

რას გააწყობდა ხემწიფე. იმ ღამეს დაიძინეს, დაწვნენ. ხემწიფე მებალეებთან ჩავიდა და უთხრა: — გაძქერით ერთი დიდი ხარო და ამალამ თუნდა მე ჩამოიდე, თუნდა სხვა ჩამოიდე, კარით ხელი და შიგ გადაადღეთ, მიაყარეთ მიწა და ცოცხალი დამარხეთო! მემრე ამოიდა და ხემწიფეც დაწვა დასაძინებლათ, მაგრან რა დააძინებდა! ხანი რო გავიდა, ერთ ძილს მემრე გააღვიძა თავისი სიძე და უთხრა: — სიძე ბატონო, ადგე, შვილო, მარტო ქალთან კი არ-ალი მუსაიფობა, ჩვენ ბალი გვაქ, წადი მებალეებთან და დახედე, როგორ არი საქმეო. 30

ბიკმა არ იცის, თუ რაშია საქმე. ქალმა კი წინ-წინ გაიგო ხემწიფის აზრი და ქმარი არ გაუშვა. ხემწიფემ კიდე მეორეთ დაუძახა: — წადი, შვილო, დახედე იმ მებალეებს, გააფთხილეო.

ქალმა უთხრა ბიკს: — მესამეთ კიდე დაიძახებს, მაგრან არ გააგონო შენ და მამაჩემი თითონ წავაო.

ხემწიფემ დაუძახა მესამეთ. ქალმა უთხრა: — წავიდაო.

ხემწიფეს მართალი ეგონა და იფიქრა: მაშ ეხლა დამარხულიც იქნებაო. წავიდე, ერთი ვნახოო.

ჩავიდა და მებალეეფ დაუძახა. მებალეებმა ხმა არ გააცეს. ხემწიფე მივიდა ახლოს. მებალეებმა მავლეა ხელი ამ ხემწიფეა და ხაროში ჩაავდე, 45 მემრე მიაზვავე მიწა და ცოცხალი დამარხეა.

გათენდა მეორე დილა. მიიხედ-მოიხედე, ხემწიფე აღარ-ალი. ხემწიფის.

ცოლი ამოფს: ხემწიფე ბახში წავიდა და ნეტა ამტელ ხანს რატონ აღარ ამოიდაო?! მემრე ჩავიდა მებალეებთან და ჯკითხა: — აქ ხემწიფე ხო არ ჩამოსულაო?

მებალეებმა უთხრეს: — რა ვიცი, გუშინ კი აქ მოიდა და გვითხრა: ხარო მოჰქერიტ რამთვენიმე საყენი და, ამაღამ ვინც მოიდეს, კარით ხელი, შიგ გა- 5 დაადღეთ და ცოცხალი დამარხეთო.

შულამისას, მართლაც, ვილაც ჩამოიდა. ჩვენ ენგრე გექონდა გამზადებული, როგორც გვიბძანა ხემწიფემო. ჩვენ ვერ ვიცანით ის კაცი, ვინ იყო და ვინ არა, ვკარით ხელი, გადავაგდეთ ამ ხაროში და ცოცხალი დავმარხეთო. 10

ხემწიფის ცოლმა უბძანათ, რო ხელახლა გვეთხარათ ხარო და ის კაცი ენახნათ, თუ ვინ იყო. გათხარეს, ამაილეს, ნახეს, რო ხემწიფე იყო. ადტყდა ერთი ამბავი, მაგრან რას იზამდნენ! წამაილეს ხემწიფე, როგორც წესი იყო, და შინ დამარხეს, მაიშორეს იმი ვალი. მემრე მიიკითხ-მოიკიხეს, თქვეს: ეხლა აბა ხემწიფეთ ვინ უნდა იყოსო იმი. სამაგიეროო? 15

თქვეს აქათ-იქიღამ: — კაცო, ემაგ კაც უყურეთ, მასკვლავი აქ, ის არი ხემწიფეცა და კაციცო.

მართლაც, ხემწიფეთ მასკვლავიანი გიორგი დააყენე და იმ სიძე დაჩა ხემწიფობა.

ამასობაში გიორგის პირველი მშობლები წამოსულან ქალაქში მთხოვ- 20 რათ. უვლიათ, უვლიათ და ჩამოსულან იმ ქალაქში, საცა რო თავიანთი შვილია. ხალხსა-ათხოვენ, შაგვინახეთო, მაგრან არავინ არ ინახავთ. მემრე უთხრეს: — წადით ხემწიფეთთან, ის შაგინახავთო. თანაც გზა ააწავლეს და უთხრეს: — აგე, სახლები აქა აქო.

მშობლები მივიდნენ ამ ხემწიფის ეზოს ალაყაფის კარებთან და უთხრეს: 25 — ჩვენ მავანი ქვეყნიდამა ვართ, გლეხები ვართ, საწყლები, შაგვინახეთო.

ყარაულებმა ხემწიფეს აცნობეს, რო ვილაკეები არიან და გთხოვენ, რო ამაღამ შაგვინახეთო. ცოლმა უთხრა ყარაულებს: — მაიყვანეთ, გაულეთ კარებიო!

კარები გაულეს. ესენიც შავიდნენ, შახედეს მალლა და დაინახეს, რო ცოლი 30 და ქმარი ერთათა დგანან. უცეფ მალლიდამ მასკვლავმა დაანათათ დაბლა და ამ მოხუცებს შუქი დაადგათ. დედ-მამან ტირილი დაიწყო: — ვაიმე, იქნება ჩვენი შვილი რო გადდილიყო, იქნება ისიც იგეთი იქნებოდაო! რძალმა დაინახა, რომ ამ ბებრებს ცრემლი ჩამადდით და დაუძახა: — რათა-ეტირიხართ, ჩვენო დედაეო? 35

— არაფერს, — უპასუხა მამან.

— მაინც რათ ჩამოგდით ცრემლიო?

— არაფერსო, — ისევ ასე უპასუხა ქალმა.

— აბა მალლა ამოდითო, — დაუძახა რძალმა.

დედ-მამა მალლა ავიდნენ. აქაც უთხრეს: — რათა ტირითო? 40

ესენი კი ისევა ტირიან. მემრე დედამ უთხრათ: — ამას ეტირით, რო ჩვენმა ხემწიფემ შვილი წამართვა, მასკვლავიანი. რო აზდილიყო, ისიც ამითანა შვილი იქნებოდა და კაი კაცი დადგებოდაო.

მაშინ რძალმა უთხრა თავი დედამთილს: — ნიშანი არაფერი ქონდაო?

დედამთილმა უთხრა: — ჩემ შვილს ყური ძირში ხალი ქონდაო.

დაახედა ქალმა თავი ქმარს და ნახა, რო ის ხალი ისევა აქ. 45

- დედავ, — დედამთილს ეუბნება, — აბა, მოდი აქ, ეგეთი ხალი იყოფ? დახედა ამ დედაბერმა თავის შვილს, საცა რო თავის თვალით აქ ნა...
ნახი, მართლაც ეგეთი ხალია.
- გვარი რა აქო? — იკითხა მემრე ქალმა.
- 5 — ბებრიშვილიო, — უთხრა დედაბერმა.
იმანთ კიდე ეხლა სხვა გვარი აქთ და ერთმანეთ არ უდგება. ცოლმა-
უთხრა ხემწიფეს: — შენ ვისი შვილი ხარო?
— ბებრიშვილიო, — უთხრა ხემწიფემ.
— რო აგზარდა, ის რა გვარიაო?
- 10 — რა ვიციო, თხას ეწოებინა ჩემთვინაო.
ვეზირეფს უბძანეს, რო ი ბებერი მოენახათ, ვის თხასაც ხემწიფე წოდდა...
მონახე ეს ბებერი და აქ მაიყუანე. ბებერმა, ვეზირები რო მივიდნენ, შაშინ-
და: — ჩემი ადილი შვილი წამართვა და ეხლა მე უნა მტანჯოსო! მაგრან რას.
იზამს, გამაყუა ახში, წამოეყუანა ბებერი ვეზირებს. ხემწიფე და იმისი ცოლი
15 ბალკომზე დგანან და ელოდებიან, დედ-მამაც იქა-ყავ, არ გაუშვა, ხოლოთ.
აბანოში გააბანა და ახალი ტანისამოსი ჩააცვა.
მოიდა ბებერი ალაყაფის კარებზედ. ყარაულებმა გაუღე კარები. ბებერმა.
ტირილი დაიწყო. ავიდა მალა და რასა-გხედამს? ე თავისი ადილი აქ არი-
გადეეხვივა დედაბერი თავის გაზდილ შვილს: — შვილო, გენაცვალე, როცა კი
20 ცოცხალი გიპოვე და დამხვდი, ეხლა აღარ მოგვეკდები. რაც ხანი მიცოცხლია,
ამთვენ ხან კიდე ვიცოცხლებო, — ლაპარაკობს ეს ბებერი და ის კი არ იცის,
რო დედ-მამა იქა-ყავ. ანასობაში გამოიდა ნამდვილი დედ-მამა, გედეეხვივა ამ
ბებერს, დაეკონა და უთხრა: — მადლობელი ვართ დიდი, რაკი ჩვენი შვილი-
აგიზღიაო. ჩვენც მონაწილეები ვართ, შვილი ჩვენია და აზდილი შენო.
- 25 მაშინ მოგონდა ეს ჩვენი ხემწიფე: — ბიქოს, დედ-მამა აქა მყოლია, ამზ-
დელიც აქა მყოლიაო! — ჩავარდა გონებაში, თითქმის ტირილი დაიწყო.
ცოლმა უთხრა: — შე უბედურო, ხემწიფე ხარ, მაგრან ეხლა რა გატი-
რებსო? დედ-მამაც აქა გყავ, ამდელიც აქა გყავ, ცოლიც აქა გყევარ, სიდელ-
რიც აქა გყავო!
- 30 ხემწიფის სიდედრი ოთახშია. გლოვიარეთ იყო, ქმარსა-გლოობდა. ამათ-
მოსვლაზე რო გაიგო თავი ქრძის ოინები, მაშინ თქვა: — წყეული ყოფილხარ,
შენ, წყეულს ზიეცი შენი სულიო! ამითანა სანატრელ შვილს რათ უქარგავდი-
თავი დედ-მამას ან თავის ამზდელს რალათ წაართვი საბოლოოთო?!
- მემრე გედეეხვივა დედ-მამას სიძისას, გამდელსაც და უთხრათ: — მადლობთ-
35 იმითვინ, რო ამითანა შვილი ჩემი შვილითვინ გაგიჩენიათ, გაგიზღიათ და,
მოგაბატრონებხართო.
ყველამ გაიხარა და ბოლოს კარგი ქეიფი გადაიხადე.

ყვარელი

142. ქოსა და ხემწიფის შვილი

- ერთი ხემწიფე იყო. სამი შვილი ყამდა. ეს ხემწიფე კვდებოდა: — შვილო,
40 მე ვკვდები და ქოსა კაც არამც და არამც არ ენდოთო.
ე ბიჭები ეგრე გაღარიბდნენ, რო განასი აღარა აქეთ. ძმები გაიყარნენ,
თითოე ოქროც ცხრილი შახვდათ.

სამივე დაქორწინებული არიან. დიდ ძმად უთხრა ცოლმა: — წადი ქალაქში, წაიღე ოქროდ ცხრილი და გაყიდეო.

წავიდა და წაიღო ოქროდ ცხრილი. ბაზარში ქოსა დაეხვდა, სუ უკან დაედევს. საცა წავა, ქოსა ისევ წინ დაუხვდება. იმტენი აწვალა, რომ ბოლოდ ველარ გაყიდა და ისევ ქოსად მიდცა. 5

— წამო, შვილო, პურსაც გაქმევ და ფულსაც მოქცემო, — ქოსამ უთხრა. ერთი ხონჩა პური დაუდო. ქოსა ეუნება: — თუ მე გაჯობებ, ჩემი იყოსო ოქროდ ცხრილი, თუ არა და ჩემ ჯორ-აქლემ სუ ოქროთი ავამსებ და მოგცემო.

— კარქიო.

— მამაჩემ ერთი ოქროდ დედალი მყვანდაო, აკაკანდებოდა, კვერცხსა- 10
დღებდა, ჩამოაკაკანდებოდა, კვერცხსა-დღებდაო. ეხლა შენ მითხარო.

— არათფერი ვიციო.

ერთი დიდი წნელი გადააწნა და სუ მოკუზული წამოიდა სახში.

მეორე რძალმა დაინახა და თავი ქმარს უთხრა: — იმტენი ფული მო-
უტანია შენ ძმასო, რო სუ მოკუზული წამოიდაო. გააწი, შენც გაყიდე ოქროდ 15
ცხრილიო.

წავიდა მეორე ძმა. ამასაც ქოსა დაუხვდა. საცა წავა-წამოვა, სუ წინ უხვდება. მემრე ისევ იმას მიდცა. ქოსამ უთხრა: — ერთ შაირ გეტყვი, თუ მე გაჯობებ, ჩემი იქნებაო, თუ არა და შენი იყო ჩემი ჯორ-აქლემიო. 20

— შენ იციო.

ამასაც იგრე უყო: შაირი უთხრა, ამან ვერათფერი უთხრა, გადააწნა ქოსამ და ესეც მოკუზული წამოიდა.

ეხლა ნაბოლარამ წაიღო ოქროდ ცხრილი. სუ ქოსა უდგება ამას წინა, საცა წავა და წამუა. მემრე ისევ ქოსად მიდცა. ქოსამ ერთი ხონჩა პური დაუდგა. 25

— ერთ შაირ გეტყვი, თუ მე გაჯობებ, ჩემი იყო ცხრილიო, თუ არა და ჩემი ჯორ-აქლემი შენი იყოსო, — ქოსამ უთხრა.

— შენ იციო.

ქოსამ დაიწყო: — მამაჩემ ერთი ოქროდ დედალი მყვანდა, აკაკანდებოდა, კვერცხსა-დღებდა, ჩამოაკაკანდებოდა, კვერცხსა-დღებდაო. ეხლა შენა თქვიო. 30

ამ ბიჭმა დაიწყო: — მამაჩემს ორი თვალი ფუტკარი ყვანდა, დილით გამოათვლიდა და სალამოდ შათვლიდაო. ერთი კოქლი ფუტკარი დააკლდა, ბევრი ეძებნა, მემრე ნახა, რო გუთანში შეებათ. მამაჩემი ეჩხუბა: გამოუშვით გუთნიდანაო! მამაჩემი წინ შაჯდა, მე უკანაო. იმ ფუტკარ კისერი დაესიებოდა უღლიდგან. მამაჩემმა კაკლის ზეთი მოუსვა და დიდი კაკალი ამოიდა. სამ-ოთხ 35
წელიწად სამ-ოთხ ურემ ვბლერტამდით. მემრე შეეჩვივნენ ყვავები და სუ ეზიდებოდნენ. გაბრაზდა ჩემი მამა. ზედ ერთი ბელტი მოუსვა და მინდვრები გაჩდა ზედ. იქ რო ვმკიდით, ღორი დაგვიხვდა, ღორს ნამგალი შეერქო. ღორი მკიდა, მამაჩემი ძნასა კრამდა, მე ულოს უკეთებდიო.

— შენ გიჯობნიაო, — ქოსამ უთხრა. 40

ძან გეეჯავრა ქოსას. ჯორ-აქლემს უთხრა: — შენ უნდა წახვიდე, მავან ადგილად ტბა არი, იქ უნა ჩაწვე და მერე უკან გამობრუნდიო. ცუდათ მა-
იქეცი იმათანაო.

აუკიდა ჯორ-აქლემს ოქრო და მიდცა. ბაზარზე ბიჭმა ერთი თარი იყიდა. ჯორ-აქლემი ტბაში შევიდა და დაწვა, დაჯდა ეს ბიჭი წყლი პირსა. არა 45
დგება ჯორ-აქლემი, აილო ბიჭმა თარი და დაეძახის:

„ე კაცო, კაცო,
ან კაცო ან არაო,
ჩემი ცოლი ორსულათ იყო,
ან იყო და ან არაო.

5

ჩენ ცოლ ბიჭი გაუჩრდებოდა,
ან გაუჩრდებოდა ან არაო;
უზარმაც კეტ ჩამაიტანს,
ან ჩამაიტანს ან არაო“.

ემ აქლემმა თქვა: — ე კაცი რაჲ ამბობსო, — ან ჩამაიტანს ან არაო, — მე რო
10 აქ ვიწვე, ხო დავლპიო! ადგა და გადყვა იმ ბიჭ.
იქ აქლემი ცუდათ იქცევა, მაგრამ ის ბიჭი კარგა ინახამს, აქმევეს, ას-
მევეს. აქლემმა თქვა: — რალას წავიდეო, ამაზე კაათ ვინ შამინახამსო?
ადგა, დაყმაყოფილდა და დაუდგა იქა.

სოფ. ახაშენი

143. ოქროსქოჩრიანი

15 იყო ერთი კაცი. ყვანდა ცოლი. კაცსაჲ ერთი ქალი ყვანდა და ქალ-
საც ერთი ქალი ყვანდა. ეს ქალი ერთ დღეჲ თავი შვილ გაატანდა ძროხას
და მეორე დღეს — გერსა. რა დროსაჲ რო თავი შვილ გაატანდა ი ძროხაჲ,
ისე დარბოდა ეს ძროხა, რო ვერც მატყლ დაართამდა და ვერც ისვენებდა.
რა დროსაჲ გერ გაატანდა, ერთ ნაჭერ კუტ-ჩაუდებდა, ერთ კალათა მატყლ
20 გაატანდა და ეტყოდა: — ეს ნაჭერი კუტისა შენცა ქამე, ამლელ-ჩამლელსაც
აქამე და შინაჲ მაიტანეო, მატყლიც დაართი სუო.

ის ძროხა ეტყოდა იმ ქალსა: — შენ ნუ გეშინიანო (არც გარბოდა და არც
არაფერი).

ეს გოგო იჯდა და ართამდა მატყლ. იქვე გამოქვაბულში ბებერი იჯდა.
25 ამ გოგომ დაუძახა: — ერთი მოდი, შვილო, ჩაიხედე ჩემ კიღობანში, პური
ძევისო?

გოგომ ჩაიხედა, არაფერი არ იყო. მაინც უთხრა: — პურით სამსეაო.

ახლა უთხრა: — მოდი, შვილო, ერთი თავზე დამხედე, რამტენი ხანია თავი
არ დამივარცხნია, ხო არაფერი არა მყამო?

30 გოგო მივიდა, დახედა და უთხრა: — არაფერი არა გყავო (თავში კი
ყვანდა).

ბებერმა უთხრა: — რაკი ეგეთი პასუხი მამეცი, წადი, შვილო, შენაო, მა-
ვან წყალზე რო შენ ძროხაჲ გაატარეფო, ემ ფერმა წყალმა რო ჩამაიაროჲ,
თავი არ შაუშვიროო, ყვითელ წყალმა რო ჩამაიაროჲ, შაუშვირე თავი და შენ
35 ბედნიერი იქნებიო.

სწორეთ ეგრე გააკეთა ემ ქალმა: თავი რო შაუშვირა, ნაწნავები ოქროჲ
თმათ გადაიქცა.

სალამოთი რო მივიდა სახში, ის ნაწნავები მოსახვევეში აიკეცა, რო ჩემ
დედინაცვალმა არ დაინახოსო.

40 მეორე დღეჲ იმი შვილი წავიდა. ი ბებერმა ისევე დაუძახა: — მოდი, შვილო,
ერთი ჩემ კიღობანში ჩაიხედეო.

იმან უთხრა: — შენი კიდობანი გველ-ბაყაყით არი სამსეო.

ახლა უთხრა: — მოდი, თავზე დამხედო.

— ღმერთმა შენც დაგწყველო და შენი თავიცო, ყველაფრითა გაქ სამსეო.

მერე ბებერმა უთხრა: — მავანმა და მავანმა წყალმა რო ჩამაიარო, თავი 5 არ შაუშვირო, შაუშვირე თავი შავ წყალსაო.

შაუშვირა თავი და გემეება რალაც უხეირო. აქრის თავი დედა და ისევ ეზღება.

მემრე ეს ძროხა დაკლედ. ძროხამ იცოდა ეს და გერი დაარიგა: — შენ არაფერი შაქამო, არც ერთი ძვალი გადაადლოვო. რო გაიცილო მამაშენი და 10 დედინაცვალი, ჩემი ძვლები მააქუჩე ერთათ და დამარხეო. როცა გაგიქირდეს, მახსენე მეო.

მართლაც, ი გერმა დანარხა ვაშლქვეშ.

დედინაცვალმა თავი ქალი წირვაზე წაიყვანა, ი გერი შაიყვანა სახში და ერთი საცალო ფეტვი დაუყარა: — ეს ფეტვი მთლათ აკრიფეო და ეს ვარცლი 15 ცრემლით აავსეო (ვარცლიც დაუდგა გვერძე). ეს გოგო ტირის. მათგონდა ძროხი ნათქვამი, მივიდა საფლავეზე და დაუძახა. ძროხა ამოიდა. რო დაინახა იმისი გასაქირი, უთხრა: — აავსე ვარცლი წყლით და მარილი ჩააყარეო. ის ფეტვი კიდე მოხვეტე, ჩაყარე საცალოში, რაც დარჩება მარცვლები, შაყარე კრუხ-ქუქულა და ააკენკინეო. მერე მოდი ჩემ საფლავეთან, დაადგი ფეხი ჩემ 20 საფლავ, მე ამოალ, მოგრთავ, წაგიყვან წირვაზე, რო შენმა დედინაცვალმა ვერ გიცნოსო.

ქალი მართლა ეგრე მოიქცა.

ამოიდა ის ძროხა ცხენათ. თან ამოიტანა ერთი ხელი კარგი ტანისამოსი და კაი ქოშები გოგოთვინ. ცხენი საკმანძავიც სუ მოოქრული იყო. მა- 25 ირთა ეს ქალი, 'შაჯდა ამ ცხენზე და წავიდა წირვაზე.

შუა წირვა იყო. შავიდა: ქალმა სანთელი იყიდა და დაანთო.

წირვა რალასა-აქვიოდა, ამ ქალ უყურებენ, ეგრე ჩაცმული და ლამაზი 30 როა. გამოვლენ, ამ ცხენ უყურებენ: ეგრე შაკმანძული ცხენით ეს ვინ შამოიდაო!

რა დროსაა რო თქვა, რო ეხლა გათავებულა წირვაო, გამოიდა, შაჯდა ცხენზე და წამოიდა წინ, რო დედინაცვალ არ ენახნა.

წყალზე უნდა გადაეარა და, ცხენი რო გადახტა, ოქრომ ქოში ერთი ცალი წყალში ჩაუარდა. სახში რო მივიდა, ის ტანისამოსი დაინახა, ცხენი თავი 35 ადგილად ჩავიდა და ყველაფერი ჩაიტანა. ის ერთი ქოში კი დეეკარქა.

ხემწიფი ვეზირები მიმარეკავენ იმ წყალზე ცხენებ, მაგრამ ცხენები წყალ არა-დსვავენ, ფთხვებიან. მერე ხემწიფი შვილი გამოდევათ იმათ, ჩაიხედა წყალში და ოქრომ ქოში ამაილო. მიიტანა ეს ოქრომ ქოში თავი მამათან და უთხ- 40 რა: — თუნდა ღარიბი შვილი იყო, თუნდა მათხოვრისა, ვისაა ეს ქოში გამაადგება, ის უნდა მოიყვანო ცოლათო.

ადგა იმ ხემწიფი შვილმა, გაიყოლა ვეზირები, ყველა ჩააცვა ეს ქოში, მაგრამ არავის არ გამაადგა. ახლა მოიდა იმ გოგოანთ სახში, დედინაცვალ 45 ეუნება: — აბა, ვინა გყავთო ქალი?

იმან უთხრა: — აი, ამი მეტი ქალი არა მყამო, და ის გერი კი გოდრი ქვეშ ამოსვა. შვილ არ გამაადგა. ხემწიფი ბიჭი სწორეთ იმ გოდორზე დაჯდა, 45 საცა ეს გერი იყო დამალული. იმ გერ ნემსი აქონდა და ქვეშიდან უჩხელიტა.

ხემწიფი შვილი წამოდგა, გადააბრუნა ის გოდორი და ნახა ოქროთმიანი ქალი. გააშინჯა ქოში და კარქა მოუღია. ვაჟმა უთხრა: — ცოლათ უნდა წაგიყვანოვო.

ქალმა უთხრა: — არა, მე ღარიბი ვარ და შენ ხემწიფი შვილიო! ღალატო 5 იქნება შენი მხრიდანო.

ხემწიფი შვილმა ფიცი მიეცა: — არ გიღალატებო.

წავიდნენ. ვაჟი მივიდა და მამას უთხრა: — მამავ, არაფერი აღარა გჭირდება რა, რო დაინახო იმი თმა, ისე ბწკინამსო, რო ჩვენ ლამფა აღარც კი დაგვჭირდება სახშიო.

10 ქალმა უთხრა: — მე მყავ ერთი ცხენი და იქ ვერ დავტოვებო.

მივიდა და დადგა იქა. ამოიდა ის ცხენი, ამიტანა ის ტანისამოსი, ხოლოთ აკლდა ერთი ქოში, მეორე კი ხემწიფი შვილ ეჭირა.

ხემწიფი შვილმა დიდი ქორწილი გადაიხადა. იმ ცხენსაც ფუთ ქიშმიშ აკმევედნენ.

15 მერე ემ ხემწიფი ვაჟ სახემწიფო აუჯანყდა: — რათ მაიყვანე სხვა სახელმწიფოდან ცოლიო?

ხემწიფი ვაჟი დაღონდა. ქალმა უთხრა: — ნუ გეშინიან, ხოლოთ მაინც ცოტახან ღალატი მოხდება რამე ჩვენშიო.

მერე ეს ქალი დაორსულდა და ეყოლა თავისავით ოქროაქოჩრიანი ვაჟი შვილი. ხემწიფე ძაან არი გახარებული: — ჩემი ჩამომავლობა ეგეთი კარქი 20 იქნებაო.

ამ ხემწიფეგთან ხალხი მიდის სანახავათ და თითონაც გახარებულა.

რა დროსაჲ რო დედინაცვალმა გაიგო ეს ამბავი, თავისი ქალი წაიყვანა და წავიდა სანახავათ.

25 იმ დედინაცვალმა მაინც უღალატა. ერთ კვირაჲ რო მყვანდათ, რო დეძინა იმ ქალსა, დედინაცვალმა უთხრათ: — მე ვეძინები ამაღამ ყარაულათ ჩემ შვილისასა, რაღათ გინდათ სხვაჲ დაუძახოთო.

მერე იმ ბავშვსა ყელი გამოაქრა და დანა ამოუღო ბალიშქვეშ დედას. რო გათენდა, შაიქნა ქოთქოთი. დედამ იცოდა, რო რამე მოხდებოდა დედა 30 ნაცვლისაგან, იმიტო არ უნდოდა იმისი დაყარაულება.

დედინაცვალმა უთხრათ: — ვის ბალიშქვეშაც ის დანა გამოჩნდება, იმი მამკვლელი ის იქნებაო.

გაშინჯეს და ძაან ეწყინათ, რო იმ ქალი ბალიშქვეშა ნახეს. დედინაცვალმა უთხრათ: — ეს, აღბათ, იმიტო, რო შენი გვარი გამრავლება არ უნდაო.

35 გაიგონეს დედინაცვლი სიტყვა. ცხენი დაიტყუე, ემ ქალ დააქერინეს ეს ყელგამოჭრილი ბავშვი ხელში, გაატანეჲ ვეზირ: — წაიყვანეო და ერთ უღრან ტყეში გაუშვიო. მოსაკლავათ კი ვერ გაიმეტეს.

ეს ქალი თავ რო იბანდა, ტაბტში ოქრო იყინებოდა ხოლმე. ბავშვ რო აბანებდნენ, იმი წყალიც იყინებოდა ხოლმე.

40 მიდის ეს ქალი უღრან ტყეში და ტირის, თან ოქრო იყინება იმი ხელებზე, ცრემლები რო ჩამაღდის. ერთი კაცი შორიდან უყურებს ეგრე, რო თითქმის ნახევარი დღე დააღამა იმი ყურებაში, მაგრამ ვერა-მხედავს მისვლას.

ერთხელ პატარა თავგი წეეტანა ბავშვს, ვერ მაიშორა ქალმა, გააქრა წკეპლა და ის თავგი მოკლა. ახლა დიდი თავგი, იმი დედა, მოიდა, მაიტანა 45 ბალახი, მუუს-მოუსვა და გააცოცხლა. ეს ქალი უყურებს. მერე იფიქრა: იქნება მეც გავაცოცხლო ეს ჩემი შვილიო. აიღო ის ბალახი, მუუს-მოუსვა და

ბაღმა ტოკება დაიწყო და გაცოცხლდა. სამი დღე და ღამე ძუძუ არ მო-
უწოვია ემ ბაღსა და დედა აწუებს ძუძუს.

მერე იარა, იარა ამ ქალმა და მივიდა ერთ სოფელში. ერთ მოხუც დე-
დაკაც უთხრა: — შამიხიზნეო. მოხუცმა შამიხიზნა. ეგრე, რო ორ-სამ კვირას
დევანდა სახში იმ ბებერ და კარში არ უშვებდა, რო ეგეთი ლამაზია და არა-
ვინ არ შამიშინოსო.

ორი-სამი დღი მერე ემ ქალმა მოხუც მოდთხუა წყალი და ტატი: — მე
და ჩემი ბაღლი გავიბანებითო. ქალ თავი დაბანი დარდი არა აქ; იმი დარდი
აქ, რო დასაზღოვდე.

თავი რო დაიბანა, გაბანებულში ოქრო გაიყინა. მოხუცი სიხარულისა- 10
გან გადაირია, თქვა: ეხლა ამ ოქროთი ისე დავსაზღუებ ამათ და ჩემ თავ-
საცო, რო ჩემი სიცოცხლე მე კმაყოფილი ვიქნებო.

ეს ბავშვი გაიზარდა. თითქმი სამი წელიწადი შამიხიზნა ამ ბებერმა იმ
ოქროთი.

ეს ამბავი მივიდა ხემწიფემდი, რო ამდენი ოქრო საიდანა აქო. დაიბარა 15
ის ბებერი და აკითხა. ბებერ არ უნდა, რო თქვას. მერე ხენწიფემ უთხრა:
— თუ არ იტყვი, დაგრჯიო.

მერე ბებერმა უთხრა, რომაო მე ერთი დგმური მყამსო შამიხიზნული, არ
ვიცი, საიდან გადმავდო ღმერთმა, სამი წელიწადი იმითა ვსაზღოობდიო.
იმამ ერთი ოქროქოჩრიანი ვაჟიცა დყავო. 20

ხემწიფემ იფიქრა: ეს ბებერი რას ამბობს, კევაზე ხუ-არ არი შამი-
დარიო!

მერე გადყვა ხენწიფე თავი ვეზირებით იმ ბებერ. რო მივიდნენ, ხენწიფე
შეეკითხა იმ ქალ: — ვინა ხარო?

ქალმა უთხრა: — მე რო ჩემი ამბავი მოგახსენო, ხუთ დღესავე ვერ დავამ- 25
თავრებო, ხოლოთ მე ვარო მავანი ხემწიფი ცოლიო.

მერე ამ ხენწიფემ უთხრა: — თუ არ მენდობი, ეს მოხუცებულიც წამაიყ-
ვანე და თქვენც მობძანდითო. აქ ვინმემ არ შეგაშინოთო.

ქალმა უარი უთხრა. მერე ხენწიფემ ხელწერილი დაუდო, რო არავინ
არ შეგაშინებსო. მე მინდაო გამოვიკვლიო, თუ ხენწიფი ცოლი ხარ, რა გინდა 30
ამ ბებერთანაო?

გადყვა ქალი და ის ბებერიც თან წაიყვანა. ხენწიფემ ვეზირებ უთხრა:
— ჩემ გვერძე რო ოთახია, იქ შამიხიზნეთ, იქ უნდა ვაცხოვროთო.

ხენწიფეს უნდა გაიგოს, ნამდვილათ ვინ არი ეს ქალი. არავინ არ შა-
აკავრა იმი ოთახში, გარდა ბებრისა. 35

მერე ამ ხენწიფემ გაუშვა გაზეთებში. წაიკითხა იმი ქმარმა და შავიდა
მამადთან, დაუდო გაზეთი წინ და უთხრა: — უნა წამამყვე იმ ხენწიფეთანაო.
ძან დაიმტერესდნენ: — როგორ გადარჩაო?!

წავიდნენ და მივიდნენ იმ ხემწიფეთან. შაუგზავნეს კაცი, რო მიგვიღე-
ვითო. ხენწიფემ მიიღო. მერე აკითხა: — რა ამბავზე გარჯილხართო, რო ჩემ- 40
თან მოგსულხართო?

იმათ უპასუხეს: — ჩვენ გავისარჯენით შენ გაზეთზეო. მართალია თუ
არა, რო ჩემი რძალი აქ არი, და, ყელგამოქრილი ბიჭი რო დყვანდა, როგო
გააცოცხლაო.

ამ ქალ არ უთქვამ ამ ხენწიფეთვინ, თუ ყელგამოქრილი შვილი გააცოც- 45

ხლა, არ უთხრა, რო იმი გულითვინ გამაგდესო, მარტო ის უთხრა, — დედი-ნაცვალმა მილალატაო.

შაიყვანა ესენი ემ ხენწიფემ ცალკე ოთახში. მერე გავიდა ქალთან და უთხრა, რო ერთი ხენწიფე და იმი ვაჟი მობძანდა სტუმრათ შენ სანახავათო. 5 ქალმა მაშინვე იგრძნო, ვინც იქნებოდნენ. ამ ქალმა უთხრა: — მე იქ ცხენი მყვანდა და ნეტა თუ კიდე აყავთო, რა უყვესო?

ხენწიფემ უთხრა: — შეიძლება, შვილო, რო შამოვიყვანო ამ ოთახშიო?

ქალმა ნება დართო. შამაიყვანა და ვაჟმა ცოლი იცნო, შვილი კი მარტო თავზე იცნო, ოქროდთმიანი რო იყო.

10 პაპა გედევხვია შვილიშვილ, გადააქოცნა, მამამ კი ვერ გაბედა მისელა (ვერ მიძბედა), ველარ მაიმაგრა გული და ტირილი დაიწყო. ხენწიფე შეეკითხა: — საიდან მოხდა ე ჩემი რძალი შენტანო?

ხენწიფემ უთხრა: — მე ნუ მკითხამ, აიმ მოხუც კითხეო.

მოხუცმა უამბა ყველაფერი. მემრე წავიდნენ სახში. ბებერიც თან წაიყ-

15 ვანა. იმ ხენწიფეს კიდე ბალლი მაანათვლინა. გადაიხადეს კაი ნათლობა. დედინაცვალი და იმი შვილი კი ცხენი კუღზე გამააბეს და დახოცეს.

თითონ კი ცხოვრობდნენ ტბილათ. ის ქალი აჩენდა ოქროდთმიან ვაჟიშვილებ და იმი შემდეგ ეგეთი ჩამომავლობა იყო.

სოფ. ვახისუბანი

144. უსამართლო სამართალი

20 ორი კაცი მიდის გზაზე. ერთი ჩვენი მხრი კაცია, ერთი ზემო მხრი კაცია. შაიყარნენ ესენი ერთათ მგზავრობაში, შევიდნენ ერთ ადგილაჲ სოფელში. იმ ჩვენი მხრი კაცმა უთხრა ზემო მხრი კაც: — მოდიო, თითო აბაზი მივცეთო და თითო ცხენი ვიყიდოთო! ამ თითო ცხენ რო ვიყიდით, უფრო ფენმარდათ წავალთო.

25 ზემო მხრი კაცმა თქო: — თითო აბაზათ ცხენ ვინ მოქცემსო?!

იმანა თქო: — თუ არ მოქცემენ, მაშინ ფეხით წავალთო.

მიდიან ესენი მგზავრობით. ერთ ადგილას ტყეში შავიდნენ.

ჩვენი მხრი კაცმა უთხრა: — ამ ტყეში რო შამუელითო, ორფეხეები შავიდეთო და სამფეხეები გავიდეთო და უფრო ფენმარდათ წავალთო.

30 ისევე ზემოურმა უთხრა უარი: — ეს ორი ფეხი მაქო და მესამე ფეხი როგორ უნდა მოიბათო?! მაშინ ისევე ჩვენი მხრი კაცმა უთხრა: — მაშ, კარგო, როგორც შენ ივლი, იგრე მეცო. მაინც მიდიან ესენი, სიარული გააგძელეს.

იმათ იმგზავრეს იმ დღისით ერთათ. იმ საღამოჲ მიემარჯვენენ ზემო მხრი კაცი სოფელ. იმათი მარჯვე ასავალი სიმაღლის გორია. უთხრა ისევე ჩვენი

35 მხრი კაცმა: — ამ გორს რო შაუდგებითო, ხან შენ ამიკიდე, ხან მე ავიკიდემ და ფენმარდათ ავალთო.

ისევე იმ ზემო მხრი კაცმა უთხრა: — ცარიელები ძლივ მივდივართო და რო ავიკიდო, როგორლა ავალთო?!

მაშინ უთხრა ჩვენებურმა კაცმა: — როგორც შენ ივლიო, იგრე მე

40 ვივლიო.

ავიდნენ, გორ გადაცდნენ. ზემო მხრი კაცი სოფელში შავიდნენ, მივიდნენ ეხლა იმ კაცი ოჯახში. ეხლა უთხრა ზემო მხრი კაც: — ეხლა სა წა-

ვიდეთ, მეგობარი არავინა მყამსო. ნახამ დღე ერთათ ვიმგზავრეთო, ამაღა-
მაა შენ შამინახეო.

მემრე ზემო მხრი კაცმა შინახა. მასპინძელი კარქა დაახვდა. კარქათ
ივანშმე. მეორე ოთახში გაუშალე ლოგინი და უთხრე: — მაისვენეო! ადგა
სტუმარი და გავიდა დასაძინებლათ (წავიდა, დაიძინა). 5

ოჯახში დარჩნენ მასპინძელი და თავისი ქალი. ეხლა ეს ორნი არიან.
მამამ უთხრა თავი შვილ: — გაშალე ლოგინი და ჩვენც დაეძინოთო! დაწვენ
მამა-შვილნი და ლაპარაკობდნენ.

მამამ უთხრა თავი შვილ: — შვილო, ეგ წორე ჰკვაზე არ მინახანსო.

მემრე შეეკითხა შვილი: — რატო, მამიო? ეგ უქკო კაცი არა ჩანსო. იმ 10
ქალ მეწონა ლაპარაკში ია კაცი. მამაა უთხრა: — რითვინა ამომო?

მამამ უთხრა: — იმაზედ ვამომო, რო დღეს ერთ სოფელში შამუელითო,
მითხრაო, რო თითო აბაზათ თითო ცხენი ვიყიდოთო და უფრო ფეხმარდათ
წავალთო. თითო აბაზათ თითო ცხენ როგორ ვიყიდლითო?!

მემრე შვილმა უთხრა მამასა: — მამიო, წორეთ უთქვიაო და შენ ვერ გა- 15
გიგიაო. მაგას უთქვია შენთვინო, რო თითო აბაზათ თითო ხელადა ლენო
ვიყიდოთო და ქეიფით წავალთო. მაგ სიტყვაში გაამტყუნა თავისი მამა ქალმა.

ახლა უთხრა თავი მამამ ქალსა: — თუ მაგ საქმეში ვტყუივარო, მეორე
კიდევაო, ერთ ადგილა ტყეში გამუედითო და თქო კიდევაო: — ორფეხები,
შავიდეო და სამფეხები გავიდეო. მე უთხარიო, ორი ფეხი გვაქო და თითო 20
ფეხ როგორა მოიბამოთ?! ქალმა უთხრა კიდე თავი მამასა: — მაგ კაც წო-
რეთა უთქვიაო და შენ ვერ გაგიგიაო. მაგ კაც უთქვიაო, რო ჯოხები დავქ-
რათო და დავიბჯინოთო და უფრო ფეხმარდათ წავალთო.

მამამ უთხრა: — მესამე სიტყვაშიც ვტყუივარო? ამ ჩვენ სოფლის გორს
რო შამოუდექითო, მაშინ თქო: — ხან მე ამიკიდე და ხან შენ ავიკიდემო და 25
ფეხმარდათ ავალთო! ცარიელა ფეხით ძლივ მოვდიოდი და როგორ უნდა
ემეკიდნაო?!

მაგ სიტყვაშიაც გაამტყუნა ქალმა თავი მამა. — სუყველაფერი წორეთ
უთქვიაო. იმითვინ უთქვიაო, ხან მე ავიკიდემ, ხან შენ ამიკიდეო, — ერთ ან-
დაზაა შენ იტყოდი, ერთ ისაო და ემ ლაპარაკით ისე ამოხვიდოდიო, რო 30
ვერც კი გაიგებდითო.

ამ ლაპარაკითვინ სტუმარ ყური უგდია და იქიდან დაუძახა, — ახო, ახ,
ოხერო ბუხარო! რა კოხტათა ხარ გაკეთებულო, რო საკომლე ბრუნდე არა
ქქონდესო.

მემრე ქალმა დაუძახა: — საკომლე ბრუნდეა, მაგრამ ბოლი წორეთ ადისო. 35
იმ კაც ამ ქალი ქცევა-ყოფა ჰკვაში მოუიდა. იმ კაცმა თქო: ეგ ქალი
ცოტა ელემია, მაგრამ დასაწუნი არ-ალიო.

რო გათენდა, ადგნენ, პირები დაიბანეა, ისაუზმეა და ჩვენი მხრი კაცმა
აუხსნა: — მე ქალი სათხოვნელათ ვარ წამოსულიო, შვილი მყავ დასაქორწი-
ლებელიო, შენი შვილი მომეწონაო, კაი ქცევა-ყოფისა ყოფილაო. 40

იმ ქალსაც ჰკვაში მოუიდა: მამამთილი კარქი მყოლიაო, ალბათ შვი-
ლიც კარქი ეყოლებაო.

იმათ ბევრი ლაპარაკი აღარ დაჰქირდათ და წამაიყვანა ქალი თავი შვი-
ლითვინ. გადაიხადეა ქორწილი. ცხოვრობენ ისე, როგორც გლახკაც შა-
ფენის.

მამაც ხელოსანია და შვილიც. წავიდნენ სადღაც სხვა სოფელში სამუ-

შაოთ. გავიდნენ ერთ უცხო სახემწიფოში, მაილაპარაკე მამა-შვილმა: — როგორ უნდა გაიგონო, რო ჩვენ ხელოსნები ვართო? მოდი ერთი კარქი სანახავი შენობა ავაშენოთო და მაშინ გაიგებენ, რო ჩვენ ხელოსნები ვართო.

გავიდნენ სოფელ გარეთ, მონახე კაი მეიდანის და ააშენე იგეთი შენობა, რო იმ სახემწიფოში არ იყო იგეთი შენობა. დილით საითყენაც ამოდის მზე, იმ მხაროზე აქ კარები; სალამოთი დასავლეთი მხაროზე მექცევა კარები. ეხლა შავიდნენ მამა-შვილი ამ სახლში და ცხოვრობენ.

მერე გაიგო იმ სახემწიფო ხემწიფემ და თქო: — აქ ეგეთი კარგი ხელოსნები ყოფილან და მე არ ვიცოდო. ადგა და დაიჭირა იმ ხემწიფემ ეხელოსნები. ხემწიფემ უთხრა: — ჩემ სახემწიფოში საიდან მოხვედითო? ეს კაცები დააპატიმრა ხემწიფენ. მემრე ღურგლებმა უთხრე ხემწიფეს: — ხო გვიქერო, გვიქერო, ცოტა ხანი გაგვიშვიო, ბარავალ დავამთავრეთო, პატარა ნაწილი აკლიაო და იმასა გაუკეთეთო.

მემრე გაუშვე ყარაულქემ. ემ კაცებმა გაკეთები მაგივრათ ემ შენობა დაანგრე. ხემწიფემ დახერეცა მუუსარჯა.

მამამ უთხრა: — ნუ დაქვხვრეტამო და ისეე ავაშენემო, ოლონთ იარალი სახლში გავიტანეთო და გავგზავნოთ რამტვენიმე კაცი და მუატაინოთო. სახლში რძალი კვყავსო და ის გამაატანსო.

ხემწიფე შეეკითხა: — რამთვენი კაცი დაქირდება იმ იარალი მოტანასო? უთხრა უფროსმა ღურგალმა: — ათასი კაცი დაქირდებაო იმ იარალი მოტანასაო.

მეფემ მიეცა ხალხი იარალი მოსატანათ. ღურგალმა მიუწერა თავი ოჯახში: — ჩემო რძალო, ეს ხალხი რო მოგივა ოჯახში, უსამართლო სამართლი იარალი გამაატანეო!

რძალმა მიიღო წერილი და დაფიქრდა წერილის მიღებაზე. რძალმა უთხრა ხალხსა: — ამალამ აქ მაისვენეთო. უსამართლო სამართლი იარალი ბევრი არისო, დილაზე მზათ იქნებაო.

ეს ქალი დაწვა და დაფიქრდა: როგორ უნდა მოიქცეო? ალბათ ჩემი მამათილი და ჩემი ქმარი უსამართლოთ არიან დაქერილებიო. ამ ხალხ დავაპატიმრემ მეო.

გათენდა დილა. რძალმა გაალო თავლი კარები და ხალხ უთხრა: — ყველანი სუ შიგ შადითო. უკან არი იარალიო. ეს ხალხი სუ მთელი შავიდა თავლაში. ათას კაცში ორი კაცი დაარჩინა გარეთ, სხვებ დაუკეტა კარები მაგრათ. იმ ორ კაც გაატანა წერილი. ქალი ნეფესა წერამდა წერილს: ეგ კაცები გამოუშვი და შენ ხალხ მაშინ გამოუშვემო. მიუტანეს ის წერილი იმ ხემწიფეს. ხემწიფემა თქო: ორი კაცი გულითვინ იმოტელა ხალხ როგორ დაკარქამო? ადგა და გაანთავისუფლა ის ორი კაცი. მოიდნენ სახლში, მაშინ გაულე კარები და გაუშვე.

სოფ. მატანი ,

145. საუბრიდან: ცალკე ფრაზები

სათქვი წასაღებათ არი ეგ ურემი; ავგრე დაღერღეტობს; საკუჭი დანა მამაწოდე! ძლივ ავაქოხეთ ე სახლი; ი ბიკი თურმე უღარიღლებს; გიდელა მეეკიდნა; ინდაურები ბუიან; გაქირი გაფწია, არ წავიდა; ერთი ბეწო ბავშვები

დამჩა; ყველას რადიოები გნიასებს; ჩემი კაცი ლუყურტი იყო; ძალიან აუ-
დავდნენ, რატო გააყიდნენ; წვენან გრილოში სუ ერთავათ; ენდე, მაგას გე-
მეერიდა; დაიც, კაცო, კვიანათ დადექ რა!..

სოფ. კისისხევი

აკი ვამობდი, თალხი ფქვილია-მეთქი; ხელმარტო დედაკაცი ვარ, არავინ
არა მყავ; გაბეჩავდა, გვაანტყოფდა; უბანში დაჩათინებული ყავეთ; ნაკატო 5
ცეცხლ შაუქეთე! იმ სიაში ჩავეწვინე; საქმეები მოვაფოქოლიავო და იგრე
წავალ ქალაქში...

სოფ. შალაური

ინდაურს ჩიჩვირი და ბიბილო აქვს, ჯიჯლიბო არა აქვს; ჰამიდორს
ბუნდა-ბუნდა დაეთესამთ; თუთი ხეს ფურცელ ვეტყვით; ხარალი არის ფურც-
ლის ან თელის ყლორტის ტყავი; წიწილა რო წამაიზრდება, მერე არი ჩრიხვი, 10
ჩრიხვი რო წამაიზრდება, მემრე არი ვარია; ინდაურის კვერცხი რო გაიჩე-
კება, გამოდის პიე; ქილა მაგრა უნდა გაიძეკოს...

სოფ. ქვემო ხოდაშენი

გავიქეცი და შავიხეჩენით; თვალს ვერ ვაქრეინებ; ბოქკა უნა გამოვმსნა;
დაბროწილი კაკლები მქონდა, სუ ლენჯოგაცლილი; ველარა ვპოილობ; ბევრ
ქათმებს არა ვყოილობ ხონე; წადი, გოგო, წკიმაღწკუშალი მოკრიფე, ცეცხლი 15
შევაპრილო! ხუ-არ ითაფა პურმა? გორგომიქელსავით დარგვალეზულა; ძან
დუბელა წყალია შალაურში; ბალლაუქები შავიკრიფენით; მაგრე ლიმცილიმიცი
რო არ წამოგელო ეგ ვედრა, არ შაიძლებოდა? სათვალიოთ კარქია, გო, თქვენი
ვაშლი, გემო კი არ უვარგა; ძან ჩამაიბლერტა; ნაჭრეებს ვეძებდი, სადებეი
იყო, ყვავილიანი მინდოდა; გავშეშმიშდი, გადავხიახდი, ვერაფერი უთხარიკე... 20

სოფ. იყალთო

დილაზედაო ადრე ადექი უმძრახიო; სეტყვამ სუ დაბჯირა სიმინდი; ხე
რო იყო და მწიფდებოდე, ვიტყვით შათვალეზულაო; არ გცხვენიან, რო
დედასა-მსაქმავ?..

სოფ. წინანდალი

მკრამს ხელსა და ჩამფეხვამს; თუ მეეწონებოდათ საპატარძლო, მოთავს-
დებოდნენ, მორიგდებოდნენ; საპატარძლო მუუტანდნენ ხელიდასადებ ნიეთე- 25
ულობას...

სოფ. თალაური

ერთ კუფხალსაც არ შევქამ; ხახესა და ქონს ერთათ დავდალამთ; ერთი
შხებლა დააკრა; შვინდამ მაიქედურა; დაამწყრალია და უკან გაატანა...

სოფ. შილდა

იკლობაკლო ადგილია; რა იკლობაკლოთ შამაქერი თმა! დაათავთავადე
ეგ ცეცხლი! რო დაეცხებათ, მიბეჩავდებიან ხომე; ცუდურები არ ჩააწვინოთ! 30
ერთი თელაური ბიჭი მთხოულობდა ქალსა; იმდღესა დავეთეცე ოცი ფეხი ლო-
ბიო; მსსომიერება ვისაც კარქი აქ, იგრია; გამაგებინევიოთ, რაზედა-მსწერავთ
თქვენა; აგრა, იქა ერთი ცხენია; მინამდი ეს მუგზური დაიწვება; უჩუმრა რა
ლაპარაკობ? ნეტა რა დაეტანტანფუ!..

სოფ. ახალსოფელი

ფიცარზე გააკრეჲ ყადაღებით; ტყრუშული ღობე უნა გავაკეთო; ხელზე. პწკილები დააძვრა; დახეჩილ შეშაჲ პლახს ვეტყვით; კულავითვინ მოკავდება. სამამულე რქა; მკავანით ვაზი შამოეხვევა კიგოს; ლინქყზე ფეხ ვერ იკიდებდა; ლაღეთ მექნება ფეხზე; წუხელ ერ თალია ძაან იწვიმა; განარებული ღორი გა-
5 მოადგომიყო უკან...

სოფ. მატანი

წითელნაკეოანი სიმინდია; ეგ სიმინდი ხომრიელია; ეს მცენარე ბლარ-
ტიანია; ენდე, დიდი ვენახი ზვარია, პატარა კი ვენახია; ქვას აიღებდნენ და
დააწყობდნენ, დახორავდებოდა; ჩვენში კარქა ხეირობს ზღვიპირულა, შამოდ-
გომურა, წრაფა, ბრინჯა ღობიო, მტკაველა ღობიო, ვირა ღობიო, ტყლა-
10 პანა; ჩიტის ხსენიც კი მოიპოებოდა; ბალში ზოგს ნეკერი გამოადღის, ზოგს
ფოთოლი გაზღის; პატარა სადულრით შაქამადი შადგა...

ახმეტა

ორი კოკურა წაიღო წყალზე; წავიდნენ ტყეში ზიმარტლზე; თუ ამუელი,
სუყველაყაჲ დაკვამკეო; დაჲკრა ფეხი და ქვეშენიჲ ჩაადგო; შენი მონათესაობა
ზედ დასხდნენო; ის ხე არი გამოლრუტნილი...

სოფ. ვახისუბანი

გარეკახური ტექსტები

146. ჩენი გვარი

ჩენი გვარი აქ არი ერთი კომლი. ჩენი მამის მამა მოსულა იმერეთიდან, ბატონყმობად გამოდჰპარვია. იმ ბატონ სურათი ჰქონია და ამ სურათით უძებნია. მაგრამ ერთი ნაცვალე ყოფილა აქ და იმათან ყოფილა შა-⁵ფარებული და ვერ უპოვნიათ აქ. იმათან დარჩა დიდხან.

მემრე, როცა დრო მოუიდა, იმავე ოჯახის ქალი შაირთო იმან. როცა დაწვრილშვილდა, მაშინ უთხრეს: — წადი ეხლა შენ შენთვინაო, შენთვინ იცხოვრეო. ისიც წავიდა ცარიელი, არათერი არ მიეცეს. თავითვინ ერთი პატარა წნული სახლი გაიკეთა და შავიდა შიგა. იქა ცხოვრობდა დარბულათ.¹⁰ რო შეეზარდნენ შვილები, მეჯამაგირეთ წავიდნენ შვილები და იმით იკობებოდნენ დედ-მამა. მემრე დედ-მამა დაიჯოცნენ. შვილები დარჩნენ იმ პატარა ქოხში. იმ ქოხში მაიყვანა ცოლი მამაჩემა. მეორე ძმამ თავითვინ გაიკეთა პატარა ქოხი. მამაჩემს ყოლა ორი ბიჭი პირველა ცოლთან. ბიჭიც მოკვდა და დედაც იმისი, დავრჩი მე. მეორე ცოლი მაიყვანა მამაჩემა. იმათან გაუჩნდა¹⁵ შვილი: სამი ბიჭი და ერთი ქალი. ის სამნივე ბიჭები დეეჯოცნენ, დარჩა ერთი ქალიდა და მე. მამაჩემი მოკვდა, ჩემი დედინაცვალე გათხოვდა. ჩემ ბიძას ბიჭი არა-ყოლია, ერთი ქალიდა დარჩა და ზესიძეთ მაიყვანა შინ ერთი ქიზიყური ბიჭი.

სოფ. დარბა

147. ვასტანგ გორგასლანი

თექვსმეტი წლისა ყოფილა ვასტანგ გორგასლანი, როცა უკვე გლეხებთან დაიწყო კავშირი და აჯანყებებს აწარმოებდა თათრების წინააღმდეგ. როცა მადგნენ აქ, ჯვარპატიოსანსა, მაშინ ვასტანგი მანდ იყო. გზა აღარა-ქმონდა, რო გამოსულიყო, გემეყვანა ჯარი. უთხრა თათარს: — ხაზინის გვერდში დაგიხვდებიო და ვიომოთო. თათრები როცა არ დამორჩილდნენ, მაშინ გავიდა ვას-²⁵ტანგ გორგასლანი. გავიდა. გაიყვანა ხალხი, საცა ცხენს წყალს ალევინებდა. გაიყვანა და მაგ ჯვარპატიოსანიდან გარეკა ისევე ხაზინის გვერდში ომითა. როცა გაიყვანა ხაზინის გვერდში და უკვე თათრებს კარქა დააკლდათ ჯარი და არც ვასტანგს დაადგა ნაკლები დღე, მაშინ თათრების სარდალმა უთხრა: — შევაჩეროთ ბძოლაო. სამ-სამი მთავარი, დიდი გოლიათები გამოვიყვანოთო,³⁰ იმ სამში ვინც მთავრის თავებსაო ერთმანეთს, მაშინ ის იქნება გამარჯვებული ჩვენშიო.

ვასტანგ გორგასლანმა უარი არ უთხრა და დაიწყეს ბძოლა. გამოიდა ვასტანგ გორგასლანის ერთი გოლიათი და გამოიდა კიდე თათრების ერთი გო-

ლიათი. როცა დიდი ხანი იბძოლეს, ბოლოს თათრის გოლიათმა მოჰკვეთა თავი ქართველების გოლიათს. როდესაც მივიდა ვახტანგ გორგასლანი ხალხში, ხალხმა ჰკითხეს: — როგო წავიდა ჩვენი საქმე, ან რა გააკეთეთო?

ვახტანგ გორგასლანმა უთხრა: — ცუდათ არი ჩვენი საქმე, მე ეხლა გო-
5 ლიათს ველარ გავგზავნიო, ეხლა უკვე მე უნა წავიდე თითონ სამკრათაო:

გავიდა ვახტანგ გორგასლანი და თითქმის კარგა ხანი იხმალავეს. ვახ-
ტანგ გორგასლანს ცხენი დაუჭრა თათრების გოლიათმა. თავში დაჭრილი ცხენი
იმთენი ხანი გამოიყენა, რო შემდეგ ვახტანგ გორგასლანმა მხარში ჩაართყა
10 ჰქენიო, მოიგეთ, თუ ისევ დამარცხებულეები ჩვენა ვართო?

ვახტანგმა უთხრა: -- მოგებულეები ჩვენა ვართო, მაგრამ მესამეთ ისევ მე
უნა გავიდეო.

ვახტანგ გორგასლანს აღარ უშვებდნენ გლეხები, მაგრამ როცა ვახტანგ
გორგასლანმა უფრო წასვლა მაინდომა, გლეხებმაც გაუშვეს და თან ეუბნე-
15 ბოდნენ: — შენ რო წახვადე, თათრები ზედ შავდგებებიან და სუ ცოცხალ და-
გვმარხამენო. ვახტანგ გორგასლანი გააცილეს გლეხებმა. როდესაც მივიდა
თათრებთან კიდე მესამეთ, თათრებმა ირანიდ. ნ გამოგზავნეს სარდალი სხვა
და სარდალთან დაიწყო ვახტანგ გორგასლანმა ჩხუბი. თითქმის ნახევარ სა-
ათზე მეტი ხანი გავიდა იმათ ხმალაობაში. როდესაც უკვე დიდი ხანი იხმალა-
20 ვეს, ვახტანგმა ხლმია ყუით აიცდინა თათრის გამორტყმული ხმალი და თავი
მოჰკვეთა.

ვახტანგ გორგასლანი აქ, ჯვარპატიოსანში, ისვენებდა, როცა თათრები
ისევ მაადგნენ ვახტანგის კარებას. გამაიწვიეს ჯარი და უთხრეს, რო უნა
ვიბძოლოთო. ვახტანგი იმთენათ ღონიერი იყო, რო შუა ღონის კაც ხმალს
25 რო არტყამდა, ხელიდან ხმალს აგდებინებდა და ორ მეტრზე შორს აგდე-
ბინებდა. მარტოკინას უნდოდა გააულიყო თათრებთან, მაგრამ გლეხები არ
უშვებდნენ. ვახტანგ გორგასლანმა, საცა ცხენს წყალს აღევიებდა, იქი-
დან გაგზავნა კაცი ჩუმათა, რო უნა ჯარი ნაყევანა, სხვა სამასი ჯარისკა-
ციც ჰყავდა. მაშინ დაინახეს თათრებმა ვახტანგ გორგასლანის გაგზავნილი
30 კაცი. თათრები ისე აიბნენ, რო სარდალმა თქო: — ჩემთან წამოდითო. გამო-
უდგა იმ ერთ კაცსა. რო მიზდედა გზაში, ვახტანგ გორგასლანმა ამით ისარ-
გებლა, გაალო კარები ციხისა და გამოუდგა თათრებსა და დაუწყო ჩხუბი
თათრებს და მოიგო ეს ჩხუბი.

სოფ. უჯარმა

148. ძეგლი ყოფა

35 ჩემ ხსომაში აქ იყო სამოცი კომლი. სახლები იყო მიწური, ზოგიერთი
იყო მოწნული წნელით, გაღესილი ტალახით და დახურული ჩალით. ბანიანი
იყო მიწური სახლები, ფანჯრები არა-აქონდა, იატაკი არა-აქონდა დაბლა, მალ-
ლაც წნელით იყო გაწნული წნული სახლები. ცეცხლი შუაზე ენთოთ, აქეთ-
იქიდან ისხდნენ, როგორც მეძროხეები. რკინის საკიდელით ზედ დაკიდებული
40 ქვაბით ხარშავდნენ საქმელს. არ იყო ლამფა, იყო კართოფილის სანთელი.
კართოფილსა და ქონს ერთათ მაადლულებდნენ და შიგ დუბარას ამავლებდ-
ნენ, დაკიდებდნენ. გაცივებოდა და სანთელი იყო. კიდენ მუხისა და თრიმლი
წნელს მოგრეხამდნენ და გაახმობდნენ ბოლზე; ისე ხმარობდნენ, როგორც სან-

თელი. კიდენ იყო კრაქი შავი ნავით. კრაქი იყო რკინისა, ქონდა ძონძის ღუბარა. კრაქი თავლია იყო. ღუბარაა ჯოხით გაუწვევლით წინ ტუჩისაკენ და შოუკიდებდით. ის ქვონდა გომეფში სახმარებლათ, რომ გეგვენათებინა ღამე და დეგვეყარნა ბზე და დეგვესუფთავებინა დაბლა ნიადაგი, რომ საქონელი ნეხეში შიგ არ ჩაწოლილიყო და არ გათხუნულიყო. თანჯრები არა-აქონდა 5
სახლეს. ბოლი რომ დადგებოდა, კარებ გავალბდით და ისე გადიოდა.

ხის გუთანნი იყო, ხის ურემი იყო. რკინა არათფერი ქონდა. მარტო გუ-
თანს ქონდა სახნისი და საკვეთი. ურემი სუ ხისა იყო.

მემრე და მემრე გაჩნდა რკინისლერძიანი ურემი, თვალ გადააკრეს
რკინა ფერსოზე. სახლეს დაუკეთეს თანჯრები. ღამფაც მემრე გაჩნდა, თეთრი 10
ნავით ეანთებდით.

შემდეგ მეეწყო შკოლებიცა და სწავლაც, ხალხი განათლებაში წავიდა.

წინ-წინ (ათას ცხრაას თექვსმეტამდინ) ჩვენში არ იყო შკოლა.

ჩვენ სოფელსა-აქვია მახარაჲ. წინათ ჩვენ უბანს ერქვა გადრეკილი (წელ-
ფერდი აღგილია და იმიტომ დეეძახნათ გადრეკილი, როგორც გადრეკილი 15
რამე იყოს).

ქვეგალმიდან არის სოფელი დარბა, შემოდის ჩვენ საბუკოში. იმაჲ წინა-
თაც დარბა ერქვა. ხალხი რომ გემეეყო გაღმა ჯიმიითიდან და დასახლდა გა-
დრეკილში და დარბაში, ამ ორმა უბანმა გააკეთეს საყდარი, რადგანაც ჯი-
მითში შორს იყო საეღელი. დღეობა დაიჭირეს მაგ საყდრისა აღდგომის მეორე 20
დღეს, ორშაბათს. ამ დღეობას ეძახდნენ დარბაობას. დღეობის სახელი დე-
ერქვა სოფელს.

წინათ ჯიმიითი, გადრეკილი და დარბა იყო ერთი სამამასახლისო. კან-
ცალარია ჯიმიითში იყო, გაღმა. მალაზიაც იქა ქვონდა ჩვენა.

ჯიმიითის სამამასახლისო იყო საბერო. ვიხდიდით საბერო გადასახად. თა- 25
ვისუფალი ქვონდა ჩვენ ტყე და მიხლორი, ჩვენ თავადი არ კეყოლია.

ამი შიმშურნით შამაიკრნენ ჩვენს მთაში, უნდა ჩემეერთმივნათ ტყე თა-
ვადეფს. მაიყვანეს მზომავი და გაატარეს ტყეზე პროცენტი, უნდა დეეჭირნათ
თავიანთვინ და ჩვენ იმათ ყმათ უნდა დეევეჭირეთ. მოქუჩდა ჯიმიითის ხალხი
და ამაარჩივეს კარგი, რომელიც მაგარი ხალხი იყო და ყოჩალი. თორმეტი 30
კაცი გაგზავნეს იქ, სადაც ისინი ტყეში პროცენტს ატარებდნენ. მივიდნენ იმ
თავადეთთან და მზომავთან. თავადებმა უპასუხეს: — ტყეც ჩვენი უნდა იყო და
თქვენც ჩვენი ყმები უნდა იყოთო. მოუვიდათ ჩხუბი, გაიქცნენ თავადები,
დარჩა ტყე ისევ ჯიმიითს საბოლოოთ.

შემდეგ წლეფში კიდევ წამოიღნენ მინდვრათ სოფელი ბოლოდან, დაწყე- 35
ბითი დარჩიეთის ნიჯნიდან, და დაუწყეს მინდორს ზომა, ვიდრე მოიღოდნენ
გადრეკილის ბოლოში. ისევე ის ამორჩეული ხალხი დაუდგნენ წინ მდებარე
საქოლაეზე. მოუვიდათ კიდევ ჩხუბი, არ გაუშვეს ჩვენი მინდვრისაკენ. დააბრუ-
ნეს კაჭრეთის სათავადო აღგილისაკენ.

იმ თავადებმა გაასაჩივრეს გუბერნატორთან ქალაქში. რადგან გუბერ- 40
ნატორიც თითონ თავადი იყო, მხარი დაუჭირათ (დეემხრათ) თავადეფს.
ჩვენი ხალხი გაამტყუნა და გადაასახლა სამი კაცი, აღგილები კი ჩამოგვართ-
ვეს ნაწილობრივ. ქვა ჩააგდეს, ყორღანი, და იმის იქით აღმოსავლეთი მხარე
ამათ დარჩათ და დასავლეთის მხარე ჩვენ დაქვჩა.

იმ თავადებმა ჩვენიდან წართმეულ ადგილში თავიანთი ყმები ჩამორეკეს ზიარიდან და დაასახლეს ჩვენეულ ადგილში და სოფელი აშენდა კაქრეთი.

სოფ. მახარაძე

149. არ ვეყმობიო

მამაჩემი იტყოდაყე: ბატონი ჩვენ წინა მხარში, გურჯაანში კვყვანდაო..
5 — ოცი კოდი პურიო დამიფქვითო და ჩამამიტათო! ერთი კაცი გაკერბდაო და იმან არ ჩაგვატანინაო. მემრეო ჩვენთვინ წავიღეთ წისქვილში ოცი კოდო-მემრე იმაგ გეგგო და წამოსულიყო და იქ ეყარაულნა, წვერთმივნა ის ჯარ-ურმით დარჩიეთში და წეიყვანა გურჯაანისყენ. გეგგო იმ კერპ კაც, ეელო ტალიანი თოფი, გამოადგომოდა, მომსწევოდა გზაზე კოდალისყე, ესროვნა ტალიანი თოფი და გაქცევნოდა ბატონი, გემეებრუნებინა ურემი. მემრე ის სვი-
10 მონა დეებარებინათ სიღნაღში ბეგთან, დეეჭირათ სვიმონა და როზგი დეეკრათ. ეხლა ბეგი ეუბნევა: — ეყმე ბატონსაო! ეხლა იმაგ ჩამოადის სისხლი, ჩამაისევამს ხელს და ჩამოუყვამს სასამართლოგ კარებზე: — არ ვეყმობიო!

სვიმონაგ ძმა სესია ყოფილიყო მამასახლისი. მემრე ის წასულიყო და.
15 შახხეწოდა: — აპატიე ამასაო, ეს გეყიო. მემრე მოსულიყო ჩემი პაპა და წეელო ერთი ურემი ფქვილი ბატონითვინ. სანამ თავი ნება იყო, ის ყეყარი საქონელი იქა-ყყოლოდა. მემრე (სამი კვირის მემრე) გემეეშვათ ყეყარი საქონელი და პაპაჩემი.

სოფ. არაშენდა

150. ჩენი სოფელი ბატონყმობის დროს

20 ჩენი მამის პაპა ზიარიდან გადმოსახლებულა აქ. მანამდი აქ ყოფილა: ძროხის გომები. იქ (ზიარში) სახლები აქონიათ და აქ გომები.

იქ სახნავეები არა-აქონდათ; აქ სახნავეები ბევრი იყო. ეს მინდორი ბატონებისა იყო. ზოგი გურჯაანული თავადისა იყო, ზოგი აქაურისა იყო. თავადეფსეკირათ ეს ადგილები და ღალით აძლევენენ ჩვენ ხალხს. მეოთხედი იმათი-
25 იყო, ნაოთხარს ვეძახოდით.

გალმა წვრიმალი ტყეები იყო. თავადეფს იმ ტყეეფში ყარაულეები ეჭირათ, არავის არ უშვებდენ, ყორული იყო, შანახული აქონდათ.

ერთხელ მე შავიპარე ტყეში, მეველემ მომადწრო და დამიჭირა, მიმიყვანა თავადთან. თავადმა ცულიც წამართვა და საბელიც, გამამიშვა ცარიელი, მერე
30 მიჩივლა ბოქაულთან: — ტყე გამიკაფაო. მერე მამაჩემა ძღვენი გააკეთა: ინდაური, ქათამი, ყველი, ღვინო ერთი ვედრა, გამამცხვარი პური. მუუტანეთ მოურავს და ნოურავის საშუალებით მიიღო თავადმა, მერე არაფერი არ მიოხრა და აღარ დამიჭირეს.

ახალი წელი რო მოიღოდა, თუ ძღვენ არ მუუტანდით, სახრეები მხათა-
35 თა-აქონდა. მამინ გაატიტლიკანებდა და ტიტლიკანა დაადგებდა, ეგრე-აცემდა მამაჩემის პაპა წეიყვანა სანადიროთ, თავადი ცხენზე იჯდა და მამაჩემის პაპა ფეჭით მიდიოდა, მწეყარი ეჭირა ხელში. კურდღელი რო წამოხტა, მწეყარმა ვერ დაინახა. თავადმა მემრე აცემა გაჯავრებული: — რატო არ დაანახვე; მწეყარსაო?

სოფ. ნანიანი

151. იმდროინდელი ხსოვა მაქ

ბატონს თურმე დილით გამდელი გამოუგზავნია: — წადიო, ოთარაშვილს უთხარ, ბანბა გაგვიპენტოსო. მოსულა კალოზედა. ჩემი ბაბო არ წასულა. ბატონი ცხენით წამოსულა კალოზე, მოუტაცნია ბავშვი და თანაც ფინთი სიტყვები უთქვია. სხეებს უთქვიათ: — ასეთ უბედურ სიტყვებ როგო იძახიო?! ჩემი 5 პაპები მოდენილან მინდვრით, მოქონებიათ ძნები. ჩემ პაპად დაუნებებია ურ-მითვინა თავი, მივარდნილა ბატონი კარზე. ჩემა პაპამ ბატონი გაქილა, ყირთა-მალა გადუძახა და ბავშვი წამაიყვანა.

სამი წლისას მამა მამიკვდა, იმდროინდელი ხსოვა მაქ: — ბატონიანთსა არისო მამა, კუტები უნდა მაიტანოსო. 10

დედაჩემი დამიბლანდამდა და მე ვკერამდი. გიჟმაჟი გოგო ვიყავ. ეგენი მაქ მე ხსოვაში.

სოფ. დიდი ლილო

152. იერემია

ჩვენ სოფელში ერთი დროე ერთი კაცი ცხოვრობდა, კარქა შეძლებული კაცი იყო და სახელათ ერქო იერემია. 15

ერთხელ ამ იერემიამ დაავალა ერთ გლეხს: — ძეძვი მამიტანეო! გლეხმა მუუტანა ძეძვი, მაიტანა და გლეხმა ურმი გადატრიალება დააპირა, რო აღვილათ დეეცალა. ე იერემია ჯერ ისე გაბრაზდა, რო ლევორველზე იტაცა ხელი, — უნა მოვკლაო, მაგრამ ამაობაში უკვე ურემი გადააბრუნეს. როდესაც ურემი გადაბრუნდა, იერემიამ ძლიერ მეწონა, რო ძეძვი წყობისათ დეეწყო. 20

სოფ. უჯარმა

153. ქერი

შემოდგომის ქერი ითესება შემოდგომაზე. აპრილ-მაისიდან იწყობა ხენა იენისამდისინ, ამას ჰქვიან ანეულის ხენაი. მოსაველ რო ავილებთ, სექტემბრიდან არი ახალი ხენა. რო მოვა, ჰქვიან შემოდგომის ქერი. შემოდგომით უნა მოვხნათ მზრალათ, სანამ დედამიწა გაიყინება. იქ არაფერ არ დაეთესავთ. 25 უინულისაგან რო გაიწმინდება, ძერე გაზაფხულზე დაეთესამთ. მაშინ დაითესება ახალთესლი, მზისუმზირა, სიმინდი.

ანეულის ნასნავი აპრილში, მაისში, იენისში მზემ უნა დასწოს, ბელტები უნა დაიშალოს და შემოდგომაზე უნა მოვხნათ. აღება ერთათ არი გაზაფხულია და შემოდგომის ქერისა. გამარგვლა სამჯერ-ოთხჯერ არი. ანეულის 30 შემდეგ კულტივაცია ხდება. მორწყვა კარქია, წყალი რო არ არი! ახლა იერი არხი გამოჰყავთ და კარქა იქნება.

პურ რო გავცრით, რაც გავა, ჩვენა ვკამთ, რაც საცერში დარჩება, იმას ქატო ჰქვიან და საქონელს საქმელს უმატებთ.

ვცხრილამთ ცხრილითა. სარეველა ბალახების თესლებს ვაცლით ცხრი- 35. ლითა. ჯერ ცხავით გავაცხავებთ, მემრე ცხრილით გავცხრილამთ, გავასუფთავებთ და მთავრობას ჩავებარებთ.

ცხავის გული ტყავისაგან კეთდება, ცხვრის ტყავისაგან რა, და მართულსაგანაც. ცხრილს რკალიცა აქს, რაზეცა ხელსა ვეიღამთ.

გაცხრილვის შემდეგ ხარჯი რჩება, ნაკმაზსაც ვეძახით. ცხრილ ზევით: რაცა რჩება, ცხრილის მონახადს ვეძახით.

სოფ. პატარა ლილა

154. ცხვრის მოძენება

ფარებს ეძახიან ცხვრის სადგომს. გავრეკამთ დილით, საღამოთ მოვრეკამთ ცხვარსა. საღამოა შევიყრებით, ამოირჩევთ ხაბაზსა, პურიმცხობელ-გამააცხობს პურებს, ფათირებს საჯზედა. ახლა ხორც მოვხარშამთ (მართულთ ჩამოვკიდებთ ან ტაგნითა). ერთმა უნდა შაატყოს, მოხარშულია თუ არა-
10 ის თუ იტყვის, — ეყოფაო, მივექცევით, ვშქამთ.

დოლიანობის დრო არი თებერვლი თვეში, მარტის ოზდახუთში დამთავრდება. დავიწყობთ წველას აპრილის სუთმეტში. გავაკეთებთ ბერასა, ლასტებსა. ლასტებ შემოლობამენ, ცხვრები რო არ გაფთხნენ. ერთ ადგილზე გაკეთებულია პატარა კარები, ბერის ყელ ვეძახით, აქ სხედან მწველავეები, აწვე-
15 ლიან ვედრებში.

მემრე გავრეკამთ ცხვარს და დაურევთ ბატკანს. ყველა ცხვარი თავი ბატკანს იპოვის.

გავაკეთებთ ყველს ორი საათის შემდეგ. ყველის დედაა ჩაურევენ რძეში, გავაკეთებენ ყველს, რომელსაც დელემას ეძახიან. უმარილოა დელემა ჰქვიან,
20 მარილიანსა — ყველი. შრატ ძალღებ აქმევენ. მემცხვარეები თავითვინ მაწონ აკეთებენ.

დაცხება მიისის ოციდან და ცხვარი მიდის დაჩათ ბალდანოვკის რაიონის მთებში. თათრებ იქ დაუდით ცოლ-შვილი. იქ დავრჩებით ოთხი თვე, ვბრუნდებით ოქტომბრის თვეში.

მთაში რო ავალთ, ე ბატკანი თოხლი გახდება, ოთხი თვისაა. წლითავამდი თოხლი ჰქვიან, მერე კიდე მამალს ჰედელას ეტყვიან, დედალ — შაქსა-
ჯიშიან მამალ ცხვარს ყოჩ ეტყვიან, ზოგი ათი წლისაც იქნება. ორი წლის ყოჩ ჰქვიან შაქის ყოჩი, ხუთი წლისას ეძახიან კაპუეტ ყოჩსა. ათი წლის შემდეგ კაპუეტი ყოჩი აღარ ვარგა, ასუქებენ და დაეკლამენ, სახორცეში ჩააბა-
30 რებენ.

სანამ ვაცი არ წავიდეა წინ, ცხვარი ადგილიდან არ წავა. ვაცი მამალი თხაა, რომელსაც თავილდეში არა-აპარსამენ, არა-აეცხელა.

ნამეტარი ქუხილი იცის მთაში, უნა დაიმალო. რო გაიელავს, სუ ანთია ხომე მთა. სეტყვა მოდის დიდი, მეხიც ვარდება ხომე.

35 ცხვარი რო მოკვდება, გუდას ვაკეთებთ: უკან ფეხებ ჩაუტყავებთ, სუ გავზდით ტყავს, ხოლოთ არ გავჭრით, გავრეცხამთ გუდას, დავაყრით მარილს, გადაფენამთ მზეზე, რო გახმეს, და გავრეცხამთ. ჩააწყობენ ყველს და დაახვევენ თოქს.

40 ფარები მიწაშია გათხრილი, ზედ წაფარებულია ფიჩხი, სიგძე აქ ორ-მოცი მეტრა, სიგანე ხუთმეტრი მეტრა. თითო ფარებში ეტევა ოთხასო ცხვარი.

მთაში მგელი ძაან გვაწუხებს, არც კაც ერიდება, არც ძალსა. ძალებსაც აშინებენ ხომე. მთაში მარილიჭერი მგელი იცის, რუხი კიდენა აქ იცის. ცხვარი რო მიდის მთაში, მგელი მიზღვეს. ცხვარი დასაქერათ კომბალი გვაქს. ცხვარ გამოადებენ და დაიქერენ. სოფ. დიდი ლილო

155. აკვანი

აკვანი კეთდება ბლარი გასარდელათ, რომელსაც დააკრამენ არტახე-ბით, რო არ გაინძრეს. გაუკეთებენ შიბაქ (ბიჭითვინ სხვა არი, ქალითვინ — სხვა), დაუდებენ ქურქელსა.

აკვანი მაგარი ხისაგან კეთდება, რომელიც დგა ფიცრის საგოგავებზე. საგოგავი ჰქვიან მოხრილ ხეს, რო აკვანი გადაირხეს იქით-აქეთა. მალლითა 10 რკალზე გაბმულია მართული. ზედ არი ოთხი კაკალი, ხის რგვალები, რო ბავში გაერთოს. რკალები ზემოდან ხილით შეერთდება, მობმულია არტახეები, ჩამოკიდებულია მძივი ბლართივინ.

ქარგი აკვანი კაკლისაგან კეთდება, წითელია. ჩავაგებთ შიგა ჩალახიშსა. მხართბალიში წელზე უდევ, რო წორეთ იდოს. ბუმბულისაგან გაკეთებულ 15 მუხლთბალიშსა მუხლებს ზემოდან ვადებთ, არტახეების ქვემოთ კი — მატყლისაგან გაკეთებულსა. თავზე საკრავი ხილაბანდია. პირთსახურავს პირზე ვადებთ, რო ნიავეი არ ჩაუვიდეა და არ დაიხრჩოა, ან არ გაიბეროა. მხართსახევეით ხელებ უკრამენ, ფეხებ მჩვარითვე უკრამენ.

ახლათ რო გაჩნდება ბალლი, ახვევენ ბარულაში: სამკუთხედი, მატერი- 20 ისაგან შეაკერილი. მემრე ბალლებ ფაფუქებ აცმევენ. მემრე იავნანაა უმღერებთ:

„იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო,
 ნანას გეტყვი, გენაცვალე, დაგეძინებო...
 იასა და ვარდის შუა მე ყაყაჩო მირჩვენია,
 თელი ლილოს გოგოებში ჩემი ნინო მირჩვენია. 25
 მამა გიყიდის კაბასა, დედა აგისხამს ლილებსა,
 ოქროა წყლით დაფერილებსა, იავ ნანინაო“.

სოფ. დიდი ლილო

156. ქალმანი

საქონელი რო დაიკვლება, გააშრობენ ტყავს მზეზე, ჩხირებით გააჭიმა- 30 მენ, მარილ დააყრიან დამზადებითვინ. ორ დღეს დაარჩენენ. დააჭრიან შოლტებათ სიგძეზე. სამი წყვილი ქალმანი გამოდის, თუ მორდილი საქონელია. მემრე იმაჲ დააჭრიან და თავის კობიც ზედა აქს. დაახვრეტამენ ლურსმნით. მემრე ივრახება კობი და დაგრეხილი კობით ამაისხმება ქალმანი.

ქალმის წინა ნაწილს ჰვინტი ჰქვიან, სადაც თასმა ამოეკერის — ყურფი. 35 (ოთხი უნდა თითოულ ქალმანს). ჰვინტის შემდეგ არი ჯვარედინები (გადახლართული თასმებზე).

სოფ. დიდი ლილო

157. მონადირის ნამბობი

მე ძრიან მონადირე ვიყავი.

ბაშვობიდან ვიყავი თავადის ოჯახში ხელზე მოსამსახურეთ, დედაჩემი იმ ოჯახში პურისმცხოვრათ იყო.

5 ის თავადი მონადირე იყო. როცა წავიდოდა სანადიროთ, მე ცხენ და-
უჭერდი, ის ნადირობდა. მეც დევნივე ნადირობას. როცა მოიზარდე, და-
ვიწყე ნადირობა. კარქათ ჭვოცამდი. როცა თავადს ტუმრები ეყოლებოდა,
ან თითონ დაესქირდებოდა, მე მგზავნიდნენ, მომქონდა იმათვინ ნანადირევი.

ესე გემეტქვა მე სახელი. ნერე გადამგზავნე ლაგოდახში. იქ ჩამოდი-
10 ოდნენ საზღვარგარეთიდან მონადირეები, მე წავასხამდიყე ხოლმე ჩამოსუ-
ლევს. საცა სანადირო ადგილები იყო, იქ ვნადირობდით. ვიწყობდით ნადი-
რობას ჯიხვებზე. ვათვარიელებდით დურბინდით. რომელიც დიდრქიანი იყო,
იმ დიდრქიანს ესროდა ჩამოსული მონადირე, რომ იმის სახელი ყოფილიყო.
თუ დაქრდა, მემრე მაძლევდა ნებას მე, რომ მემეკლა. ისე-აქონდა გადაწყვე-
15 ტილი იმას, რომ მე მოვკლამდი და არ გაუშვებდი. სახელი იქნებოდა იმისი,
რომ თავისი მოკლული იყო. როდესაც კარქა ვინადირებდი, დამასაჩუქრემდნენ
ფულით.

ერთი იტალიელი ჩამოდიოდა, მე მითხრა: — წამო, წავიყვან, ჩვენში გა-
რეული კამეჩი არისო და ვინადიროთ ხოლმეო. მე არ წავედი.

20 საზღვარგარეთიდან მოდიოდნენ სანადიროთ ჯიხვზე, ირემზე, დათვზედ,
ლორზე, თუ შავხვდებოდით, ფსიტზე.

იმათ ეინტერესებოდათ ჯიხვის რქები, დათვის ტყავი, ღორის ეშვები.
ხორცი არ ეინტერესებოდათ. აწერდნენ მომკვლელის სახელსა და გვარს,
ილებდნენ სურათეფს, საცა მოვკლამდით, იმ ადგილისას. შავქურდებოდით ყვე-
25 ლანი და გადაგვილებდნენ. სურათზე დააწერდნენ ადგილის სახელს (მაგალი-
თათ, „მაწიმის მთის ყელი“).

ერთხელ ჩვენ ვიყავით სანადიროთ სარეკში. გამოიდა დათვი, ვესროლე
თოფი, მოხვდა, დაგორდა, ხევში ჩავიდა. მე ცოტა გვიან ჩავედი ხევში, ვი-
ფიქრე, არ მომატყუოს-მეთქი. ჩავარდნილიყო ხევში. ხევში ძალიან ბევრი
30 სისხლი იყო. ჰოდა, კვალს გავყევი, ორი კილომეტრი მანძილზე ვჭდე. ჩამა-
ლულიყო იელეფში. რომ გავცდი ბუჩქს, უკნიდან ხმაურობა შემემესმა. მო-
ვბრუნდი და ახლოს იყო, თოფზე მიტაცა თათი და განზე გადააგდო. ჰოდა,
იარალი არა მქონდა და ვიძგერენით. სამი საათი გაატანა ჩვენმა ბძოლამა,
ვიტაკებოდით. პირველათ რომ ვიტაკენით, ხელი პირში ჩაიგდო, მე კიდენ მე-
35 ორე ხელი ყურში ვტაცე, რადგანაც ვაგონილი მქონდა თუშებიდან, რომ ყურში
რომ ხელი წაავლო, საცა გინდა, იქ წაიყვანო. გადაუგრიხე, გამიშვა პირი.
მემრე თავი განზე ეჭირა, თათსა მცემდა და არ მავლებინებდა ყურზე ხელს;
კბილითაც აღარა მუშაობდა. ძიძგილაობის დროს ორივენი დავილაღენით.
ახლოს კლდე იყო პატარა. მე ზეით ვეწეოდი, რომ კლდეში არ გედევგდე-
40 ძიძგილაობის დროს უცვათ მიმავიწყდა, გადამაგდო კლდეში და თითონ გაქ-
ცეულიყო.

სალამომაც მუატანა. მე დაბეგვილი ვიყავი და გავცივდი, სიარული აღარ
შამეძლო, ნეკნები ჩამტვრეული მქონდა, წარბი გატეხილი, ცხვირი გადატე-
ხილი, ღელი ნაკმენი. მემრე ამხანაგები მოიდნენ და წამიყვანეს ლაგოდახში.
45 იქ ჯარები იყო და იმათ საავანტყოფოში მოვრჩი.

ერთხელა მოვდივარ ხეობაზე. გამუედი პატარა ველზე და დავჯექი. ვნახე იქა, ნავალი იყო, ნატარი სამი-ოთხი ერთ ადგილას იყრებოდა. დავინტერესდი, თუ რასა ქუჩდებოდა ის ნატარი. ავდექი, მიველი სანახავათ, დავინახე, სორო იყო. შავიხედე სოროში, იქვე ახლო დათვი მჯდარიყო, მტაცა თათი საყელოზე და ჩემეხია. მე კიდენ წიფელზე ხელი მქონდა მაგრა მოვლებული და ვერ ჩა- 5 მითრია. მემრე ვესროლე თოფი და ხევეში ჩაეარდა, ეგდო გადაჟღლართული. მე ამხანაგმა დამიძახა: — არ მიხვიდე ახლო, არ მაჯტყუედო! მაშინ ქვა დავარტყი და წამოხტა. ჰოდა, მეორეთ ისევ თოფი მოარტყი და მოკვდა. ჩვენ ტყავი შამოაძრეთ და წამოიღეთ. ხორცი დავტოვეთ იქა, შორი მანძილი იყო, წაღება არ შაიძლებოდა. 10

ერთხელა ვიყავ მარტოკა სანადიროთ მგელზე. შამხვედა მგელი, ვესროლე თოფი, დაიჭრა მაგრათი. მივეყ კვალს, შესულიყო ძეძვეფში, გადაჟღლართული ეგდო, როგორ კვდარი. მე ხელი უნდა წემეველო, გემემეთრია აქეთ და გემეტყეებინა. რო დავიხარე, ფეხზე წამოღგა. გადმოვხტი მე აქეთ, ჯაგი იყო და იმაზე გადმოვხტი. ის შაფეხდა ნაშინ. მე თოფი მოიხმარე და მოკვალი. 15 მემრე გავატყავე და ტყავი წამოიღე.

ერთხელა სანადიროთ გვემზადე, მივდივარ გორეფში. ერთი ქოფაკი ძალი მყვანდა დაგეშილი, ძალი ვერ მოიშორე. მინდოდა სახში დემემყოფინა, ჰოდა, მაინც ვერ მოიშორე. მემრე გავედი გორეფში. ერთი დიდი ხევი ჩადის, ღრმა ხევის ეძახიან, გრაკლები იცის იქა, გადავაგდე ქვა, ადგა მგელი. 20 ჩავიბრინე მოკლე გეზზე. აქ ჩამოიდა მგელი, ვესროლე თოფი, წაიქცა. გადახტა ძალი და ეცა მგელს ყელში. მგელი წამოღდა უკანა ფეხებიდან. ახლა მეც ჩავედი. მაშინ მქონდა ფისტონიანი თოფი და მალე ვერა ვტენამდი. ძალი და მგელი ქიდილობდნენ. მემრე ისევ ავაესე თოფი; მივარტყი და მოკვალი. ძალი შაშინებული იყო და მგელ კბილ აღარ უშვებდა. მგელს გავწევდი 25 განზე, ძალი თან მაადევდა. ძალს რო წავავლებდი ფეხში და გავწევდი, მგელს გააცურებდა, არ უშვებდა. ნემრე თოფის ღულა ჩაუდე პირში და ისე გავაშობინე. მემრე გაიქცა განზე და იქიდან უცქეროდა, რო შაშინებული იყო. მემრე გავატყავე მგელი და ტყავი წამოიღე.

ერთხელა მწვანე მინდორში ვიყავ მინდვრის მცველათ. ღამითი მწყემ- 30 სები აპარებდნენ ძროხას და აძუებდნენ ბალახ. ორი დეკეული მეეკლა მგელს. შამოუარე მე მინდორს, ვნახე მგლისაგან ორი ძროხა მოკლული. დავთალე პალუები, წნელები დავგრახე, იმ პალუებზე დავაბი დახოცილი ძროხები, დაუყარაულე მგლეფს იქ. ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, შაჯყმუელა ერთმა მგელმა. ნახევარი საათი განმავლობაში მოდის ისე, როგორც ჯოგი. 35 რო მოახლოვდნენ, შადგნენ. განაიქცა ერთი და ეძგერა იმ ლეშ, ვერ დაეძრა, რო დაბმული იყო. მე ვესროლე თოფი და წაიქცა ისა. მემრე მეორეს ვესროლე. ორი მოკვალი, დავატყავე და ტყავი წამოიღე.

სოფ. ნანიანი

158. ბერიკო და ტასი

ძველათ ვიცოდით ყველიარი. ყველიარი მოდიოდა თებერვალში. მიწაში 40 ვინახამდით ერბოჯ და დოჯ ქილეფს. ყველიარში ამოიღებდით იმ ქილებ და ეკამდით, მანამ დიდმარხეა დადგებოდა.

ყველიარში სამუშაოზე არ გავიდოდით, ვთამაშობდით. ვიცოდით გო-
თაობა, ჩილიკაობა, ქალობა, ბერიკაობა, ტახი, სიმლერა და ჭიდაობა.

ყველიარი რო მოიდოდა, საქანელას ჩამუაბამდით და იმაზე ქანაობდა
ხალხი.

- 5 ვიცოდით ბერიკოსა და ტახის თამაში. ვინც ძალიან მასხარა იყო, ისა-
ჯდებოდა ბერიკოში. სამი ბერიკო და ერთი ტახი ვიცოდით. ძველი ნაბდისას
შაჯეკრამდნენ თავზე ჩამოსაცმელ: პირი და თვალები გამოქრილი ექონდა, კბი-
ლები ეკერა გოგრი თესლისა, წვერი ქონდა თხი ბანლისა. ტანზე ცხვრი ტყავი-
ეცვა ბერიკოს, ბეწვი გარედანა-ექონდა, ხმალი ექონდა ხისა, ქამარში ჩარქ-
10 მული. ხის ტანსა-ექონდა ორი ღორი ტყავი შამოკრული წნელებით, თავი — ხისა,
გათლილი იყო, როგორც ღორის თავი; ყურებიცა-ექონდა ხისა გაკეთებული.
დაბლითა ყბაჲ ქონდა ჩამობმული, შიგ ეშვები ექონდა ჩაყრილი, დაჯვრეტილი-
იყო და შიგა-ექონდა ჩარქმული ორი გძელი კბილი. ქვედა ყბა გამართული-
იყო ბაწრით. ტახს ერთ ხელში ბაწარი ეჭირა, მეორე ხელში კიდენ ის ჯოხი,
15 რომელზედაც ხის გათლილი ღორის თავი იყო დამაგრებული. ტახი ბაწრებს
განაჲწევდა და აკაპუნებდა ქვეშითა ყბას, როგორც ღორი, ბერიკოს ემუქრე-
ბოდა. ბერიკო მიეპარებოდა. ერთი უკნიდან ჩაუჯდებოდა, მეორე ბერიკო
კიდენ ხელსა-ექრამდა და ზედ გადააქცევდა. ტახი გაინაბებოდა, ვითომ მოკე-
და. ისინი კიდენ მოვიდოდნენ და ვითომ გაატყავეს. მერე კოკი ნატეხებ მო-
20 იტანდნენ და ვითომ ქონს იღებდნენ. ტახი გატოკდებოდა. ისინი კიდენ გაიქ-
ცოდნენ, — ცოცხალი ყოფილათ, არ შაგვქამოსო. ხალხი კიდენ იცინოდა.

სოფ. მახარაძე

159. წრელასტი

- შიეძლება ათნი თამაშობდნენ. სუყველანი თავიანთ ქამრებს უდგანან-
ათნი წრეში არიან და ათნი კარში. ისინი, კარში ვინც არიან, ფიქრობენ, რო
25 იზათ ქამარი გამოაცალონ. თუ ქამრის გამოცლის დროსა შიგნითამ ფეხში
მარტყა, გაქრილი არიან. ისინი, ვინც კარში არიან, შავლენ. საბოლოათ,
ვინც ყველა ქამარს გამააცლის, წრის გარეთ ვინც არიან, შიგნითა ხალხს
დაუვლიან და, საცა მოხვდებათ, სცემენ.

- წრელასტი იმიტომა-ექვიან, რო წრეში დგანან. თუ სუქანია, დომპლეა,
30 ვერ გაიზარჯვებს. მე სუმბუქი რო ვარ, ხელათ გამოვაცლი ხომე- ვაკე ადგი-
ლას ვთამაშობთ.

სოფ. დიდი ლილო

160. ზეით არი, ქვეით არი

- ერთ კენჭ ან ჯოხ აიღებენ. ორნი დედები არიან. ერთი გათლილნიშ-
ნიანი ჯოხი ან ქვა აქთ. პირველი დედის ბიჭები მეორე დედის ბიჭებსა თვა-
35 ლებს დაუხუჭებენ, რო არ დაინახონ. ერთი ვინმე დედა გადაადგებს ჯოხს
შორს და დაიძახებს: ზეით არი, ქვეით არი. გაახელენ თვალებსა და იმ
ჩხირის საძებნელათ დადიან. თუ ერთი დედის ბიჭმა რომელიმემ იპუა და

მეორე დედისაშა დაინახა, გამოუდგება და ამ ჩხირს წაართმევს. თუ ვერ წაართო, მიუტანს თავი დედას ჯოხსა და ისენი გახდებიან ერთსა.

სოფ. დიდი ლილო

161. ხემწიფე და თარხანი

ხემწიფემ შამოუთვალა ხემწიფეს: რა ჯურა ხალხი კყავს, ერთი მაჩვენეო. ხემწიფემ ილონა, ილონა, ვერავინ იგონა იქ გასაგზავნათ, თარხანს უთხრა: 5. — ეგრე მწერანს ხემწიფეო და ვერავინ მიშოვნია იქ გასაგზავნათო. მე მგონია, რო შენ იოლას წახვალო და შენ უნდა გაგზავნოო.

თარხანმა უთხრა: — უფალო ხემწიფეო, მე მაგაზე არ დაგზარდებიო, რაც შემეძლებაო, მოიხმარო.

ადგა, გაგზავნა თარხანი. მივიდა თარხანი ხემწიფესთან, მიართვა სალამი 10. ისე, როგორც ხემწიფეს მოუხდებოდა. ხემწიფემ რო დახედა, რო უღვაშები დიდი აქონდა, სიცილი დაიწყო. ვეზირეფს უთხრათ: — მაწონი მოუტანეთ ამასო, უღვაშები დეეთხუნება და ვიცინოთო. მოუტანეს მაწონი. თარხანმა უთხრათ: — ჯერ თაფლი მომიტანეთო. მოუტანეს თაფლი. თარხანმა უღვაშები დაიწკიპა თაფლით, შემრე კამა მაწონი. ისე შეკამა მაწონი, რო ცრემლი არსად არ 15. მოხვდა. ხემწიფეს გაუკვირდა: ეს რა პოლიტიკა იხმარაო! ხემწიფემ უთხრა: — თარხანო, თქვენ ხემწიფეს თქვენ მეტი კაცი არა-აყვანდაო, რო სხვა გემეგზავნაო? რალა შენ გამოგზავნაო?

თარხანმა უთხრა: — კაციო კაცთან გაგზავნაო და მე კიდე შენტან გამომგზავნაო. 20.

ხემწიფემ უთხრათ ვეზირეფს: — შასვით ვირზე და ისე გააცილეთო! ვეზირებმა რო თარხანი ვირზე შესვეს, თარხანმა პირი უკანა ქნა. ხემწიფემ დაუძახათ: — აქ ნაბრუნეთო! მიიყვანეს ხემწიფესთან თარხანი, ხემწიფემ უთხრა: — თარხან, პირს უკან რათა-აშერებიო, როგორც წესია, იგრე რატო არა 25. ჯდებიო?

თარხანმა უთხრა: — რასა-აბძანეფ, ხემწიფეო, მანამ თქვენ ტაძარს არ გავცდებიო, პირს წინ ვერ ვიზამო: რაში გეკადრებათ, ზურგი შემოგაქციოთო!

სოფ. მახარაძე

162. საწყალი კაცი

ერთი საწყალი კაცი იყო. ქვეყანაზე არაფერი აქონდა რა, მარტო ერთი დღის ყანა აქონდა. დედაკაცმა სიზმარი ნახა: ერთი მუხა არი, იმი ძირში 30. ერთი ქოცო ოქრო-ვერცხლით სამსე იყო სულა. დედაკაცმა უთხრა: — მოდი, კაცო, წავიდეთ და მოიტანოთ შინაო.

კაცი ეუბნევა: — თუ ბედი გვაქს, თითონ მაიტანსო. შენ წყალი მინახე, სალესავი და ნიორიო, ჩაენაყო და ნიორი ვკამოო (მეტი არა-აქონდა). მოუშადა და გაატანა მინდორში, თითონ კი წავიდა იმ დღისით და ნახა, რო 35. ოქროთი სამსე იყო ქოცოები. სალამოთი რო მივიდა, კაც უთხრა: — კაცო, ეხლა ჩემი თვალით ვნახე, სამსე იყო ქოცოებიო.

— თუ ბედი გვაქს, აქ მაიტანსო.

იმ საწყალ კაც ერთი ვირი ჰყვანდა. სხვა კაცსაც უნახნია ის ოქროები. წამოიდა და იჭირივა იმ საწყალი კაცის ვირი. ამოიღო ოქრო, აჯიდა ვირსა. კლდე მოზოვდა და დააწვა ზედა იმ კაცსა, აკიდებული ვირი კი წამოიდა შინა ლამე, მოიდა და მოუტანა შინ. ცოლი შვიდა და ეუბნევა კაც: — კაცო, აღე-
ქიო, აკიდებული ვირი მოიდა ოქროთიო.

— რა მეჩქარება, ჩვენი არ არიო!

გათენდა დილა. ჩამაიღეს და გაიხმარეს იმ ხალხმა.

სოფ. ხაშმი

163. რასაც დასთეს, იმას მომკიო

- 10 იყო ერთი საწყალი კაცი, იმასა ჰყვანდა ერთი ვაჭიშვილი. დრო რო მო-
იდა დანიშნისა, უთხრა, რომა ეს ბიჭი დაენიშნოთო.
მემრე დედაკაცმა უთხრა: — რა ვქნათ, რო არა გვაქ ქონებაო, რით და-
ენიშნოთო?
— ერთი ხარი რო გვყავ, ის გავყიდოთო და მაგითი დაენიშნოთ ბიჭიო.
- 15 ადგა და იმ კაცმა წაიყვანა ხარი ქალაქში. ნათლუხთან რო მივიდა, და-
ლალები დაარიგა უსტაბაშმა: — თხაზე მეტი არ შააძლიოთო. ერთი მოიდა,
გზაში დახვდა.
— ძმობილო, ეგ თხა სად მიგყავო?
ეწყინა იმ გლეხ ძალიან: ხარია და თხას რათ ეძახიანო! ერთი, ორი,
20 სამი — სუყველაყამ თხები უთხრეს. მემრე იმ კაცმა იფიქრა: იქნება მართლა
თხა არისო და ადგა და იმ ფასით მიჰყიდა: — ეს თხა ღირს ოთხი და ათი
შაურით, ხოლოთ უთხრათ: თქვენი ჭირიმეთ, კულდ მანც მამეციოთ.
ხარი პატრონს მიცეს ოთხი და ათი შაური და ხარი კულდი.
მოიდა შინა და დედაკაცმა უთხრა: — რა-აჰქენი, ხარი გაყიდეო?
25 — ხარი კი არა და თხა იყოო.
ამ დედაკაც ძალიან: — ეწყინა: — მართლა ხარი იყო და თხის ფასათ რო-
გორ გაჰყიდეო?!
ადგა, დაბრუნდა ის კაცი უკანვე ქალაქში. უსტაბაში გამხდარა ავათ და
დალალები ღვინოსა-გსომენ.
- 30 საწყალმა კაცმა უთხრა: — ეგრე რო ღონობთო, მე მოვარჩენო.
— ოღონთ მომირჩინეო, — წილიც მისცეს, თითო მანეთიც აჩუქეს, წაიყვა-
ნეს ეს გლეხი, მიიყვანეს. ნახა, თქვა: — გაცივებულია ძალიანაო და მე მოარ-
ჩენო. ცოლსა და შვილებს უთხრა: — არ მეეშველნეთო, რო დავზილავო, ყვი-
რაღ დაიწყებსო, ჩივნიდან კარებს ჩავეტამო. ჩაუკეტა კარები. შუალამე რო
35 შაიქნა, უთხრა: — ე რის კულდიაო?
— ხარისაო.
— ზედ რო ებმებოდა, უფრო კარგა არ იცნობდიო! სადაც მაარტყა,
სუ ტყავი გააძრო. ძალიანა-გცემა. გამალო შუალამეს კარები, წამოიღო
ფული.
40 გათენდა დილა. მოიდნენ დალალები, ნამდვილი ექიმები მოიყვანეს და
მეარჩინეს. ექიმა გამოუწერა აბანო.

ი ხარის პატრონი წავიდა და მექისეთ დადგა.

გაუღეს აბანოს კარები. რო გაატიტვლა, დაასხა წყალი.

— ეს რის კუდიანო?

— ხარისაო.

— ზედ რო ებმებოდა, უფრო კარგათ არ იცნობდიო! დააყარა და და-
აყარა, კინალამ არ მოკლა ცემითა. გაალო კარები და წამოიდა.

დადგა დიდმარხვა. მორჩა ეს კაცი, უნდა ეზიაროს. ი ხარის პატრონი
ადგა და ანაფორები იყიდა. მივიდა იქაურ ღვდელთანა: — გამარჯობა, მამაო,
მანგლისელი ღვდელი ვარო. კაი სადილი გაუმართა ქალაქურმა ღვდელმა. ი
ხარის პატრონი ეუბნევა: — მამაო, მე წავალო და ახსარებას ვათქმევინებო. 15.

— ძალიან მადლობელი ვიქნებო.

მესამე იმი რიგი იყო, უსტაბაშისა. უთხრა: — აბა, ცოდლობა მითხარი,
რა გაქო?

— ერთ საწყალ კაც ხარი მოჰყვანდა და თხის ფასათ ვაყიდინე ჩემ და-
ლალებსაო, მაგრამ იმ კაცმა იმაზე მეტი დღე დამაყენაო. 15.

— ეს რის კუდიანო? — ეხლა იმაე დააყარა ღვდელმა.

ადგა, წამოიდა, თავი სოფელში წავიდა.

უსტაბაშმა თქო: მე ამ სოფლიდამ თუ არ წაველი, მამკლამს ცემითაო.

ეხლა უნდა აქლემები იქირავოს. ი ხარის პატრონმა წაიყვანა აქლემები,
გაიარა იმისკენ. 20.

— ძმობილო, ქირას არ წაიღებო? ამ ქვეყნიდან უნდა დავიკარქოო-

— როგორ არაო.

მორიგდნენ ქირაზე. ადგა და ოქრო-ვერცხლი წაიღეს. ერთ მდინარის.
პირას ჩამოსხდნენ და პურსა-ჰკამდნენ (მტკვრიტოლა წყალი იყო). მერე,
უთხრა: — ძმობილო, ე კუდსა ცნობო? კარგათ დაშვლიპა, ის კაცი წყალში 25.
ჩააგდო და ოქრო-ვერცხლი თითონ წამაიღო.

სოფ. ხაში.

164. ბრმა კაცი და მისი უმცროსი ვაჟიშვილი

ერთ სახემწიფოშია ერთი ბრმა იყო. იმასა-ჰჰყვანდა სამი შვილი. მამამ
უთხრა შვილებსა, რო, შვილებო, ისეთი რამე მამიტათ ამბავიო, რო არც
მენახოსო და არც გემეგონოსო. 30.

ადგა დიდმა შვილმა, შაკმაზა რაში, შაჯდა და წავიდა. ნახა, რო ერთ
ადგილას ხევი ყარს. იფიქრა ამ ბიჭმა: მამაჩემი ამაე სადა-მნახამდაო, ადგა
და მოიდა სახში, უთხრა მამასა, რო ესეო, ხევი ყარსო.

— ეე, შვილო, აბა, ეგ რა გასაკვირველიაო, რო ჩემი რაშებისაგან არი
ეგრეო. 35.

ადგა მეორე შვილმა, შაკმაზა რაში, შაჯდა და წავიდა. გასცდა იმ ხევსა
და ნახა, რო ერთ ტრიალ მინდორზე ერთი გამხმარი ხე დგა. დაბრუნდა და
უთხრა მამას, რაცა ნახა.

— ეე, შვილო, ეგეც ჩემი ეზირ-ვეზირების ნასროლი შვილდ-ისრებისგან
არი ეგრეო.

ადგა მესამე შვილმა, შაკმაზა რაში. შამოჰხვდა ერთი გამხმარე თავი,
შაეკითხა: — სად მიდინარო? 40.

— ასეო, — უთხრა ბიკმა.

მერე თავმა უთხრა: — წადიო და მამაშენ უთხარიო, კლდეში რო საში რაში ჰყავო, ერთ-ერთი მოგცესო და მაშინ მუუტან იმ ამბავ, რაც არ უნახამო.

55 მიტრიალდა ეს ბიკი და მივიდა ისევ სახში, უთხრა თავი მამამ: — არ წავსულვარო იმიტო, რო ერთი რაში მინდაო.

— აიმ აძალღებულმაო, იმან დაგარიგაო, გამხმარი თავი რო გლიაო? წადი და წაიყვანეო!

30 წავიდა და, რო არჩევს რაშებს, ერთმა კოკლმა რაშმა უთხრა: — მე წა-მიყვანეო. წამაიყვანა, იარა, იარა და კარგა გზა რო გაიარა, ნახა, ერთი ვაშლი გლია.

რაშმა უთხრა: — აიღებ — ინანებო, არ აიღებ — ინანებო.

მაშინ ბიკმა თქო: — მოდი, ისევ ავიღებო.

აიღო და ჯიბეში ჩაიღო. კიდე რო გაიარა, ერთი ბუმბული კიდე იპოა. 35 რაშმა კიდე უთხრა: — აიღებ — ინანებო, არ აღებ — ინანებო.

აიღო ეს ბუმბულიც და წამოიდა.

გავიდა ერთ სახელმწიფოში. უთხრა ამ რაშმა: — მე გამიშვი, მთაში წავალ, შენი ტანისამოსი, რამე სუ ზედ დამაკარი და, როცა გაგიკირდება, მოვალო.

20 გამაიძრო ძუა, მისცა გამოკვანძილი და უთხრა: — საცა გამხსნი, მე იქა ვარო.

ეს რაში გავიდა ერთ დიდ მთაზე საძოვნელათ. ეს ბიკიც წავიდა და ერთ ხემწიფეს ვეზირათ დაუდგა. ეს ბიკი ისე შაუყვარდა ამ ხემწიფეს, რო 25 რამის ამაიღოს სული და იმ ბიკ ჩაუდგას. ამ ძველ ნაზირ-ვეზირებსა ძაანა სწყინთ, იძახიან: ეს ბიკი როგორ უნა შავადულოთ, რო აიძულოსო.

აღგნენ ეს ნაზირ-ვეზირები, წავიდნენ, ერთი მოხუცი დედაკაცი ნახეს და ჰკითხეს: — როგორ მოვიქცეთო?

დედაკაცმა უთხრათ: — ნუ გეშინიანთო, წადით და უთხარით ხემწიფესაო: ეგ ვეზირი რო ეგრე გიყვარსო, მაგად რო ერთი ვაშლი უღევ ჯი- 30 ბეში, რატო არ ამაიღებს და შენ მაგიდაზე არ დადებსო.

წავიდნენ და აუტანეს ეს ამბავი ხემწიფეს: — თუ კი შენ გაქ მაგის სიამოვნობაო, რატო მაგად არ უნა აქონდესო? რატო ეგ ვაშლსა შენ მაგიდაზე არ დებსო?

დაიბარა ხემწიფემ ეს ბიკი და ამან უთხრა: — რა ვიციოდი, დიდებულო 35 ხემწიფეო, თუ შენ გესიამოვნებოდაო. მემრე ამაიღო ვაშლი და დაღო. ეს ვაშლი ისეთია, რო მთლათ ერთი ოთახი სუ გაანათა, ისე პწყინავს. უფრო შაუყვარდა ხემწიფეს ეს ბიკი.

წავიდნენ ისევ ვეზირები ბებერ დედაკაცთანა და იმან უთხრა: — უთხარითო, რო ჯიბეში რო ბუმბული აქო ისეთიო, რო ერთ სახემწიფოთა ღირსო, 40 რატო შენ ოთახში არ დადებს იმასაო?

მივიდნენ ვეზირები და მუუტანეს ხემწიფეს ეს ამბავი.

დაიბარა ხემწიფემ ეს ბიკი. ამაიღო ამ ბიკმა ბუმბული, დადღო ტოლზე და ისეთია, რო სუ პრიალებს იქაურობა, როგორც ელექტრონი. უფრო ძაან მიიღო ხემწიფემ ეს ვეზირი.

45 მივიდნენ ვეზირები იმ ბებერ კუდიან დედაკაცთან და უთხრეს: — შე აღ-რინებულო, ე რა გვიქენიო, რო უფრო ძაან შააყვარე ი კაციო!

ბებერმა უთხრა: — ნუ გეშინიანთო, ჯერ დიდრონები უკან არიო. წადით და უთხარი: ეგ ვაშლი რო ეგეთია, მაგი ძირი რო შენ სახში იყოს, უფრო კარგი არ იქნებაო?! თუ გეტყვითო, რო ვინ მაიტანსო, უთხარით, რო ვინც ერთი მაიტანა, ის ყველას მოტანაჲ შედძლებსო.

დაიბარა ამ ხემწიფემ ეს ბიჭი, უთხრა: — ბიჭო, ამი ძირი უნა მაიტანო 5 და ჩემ ბალში დარგო!

ადგა, გამოიდა დაღონებული ე ბიჭი, გამოსხნა ცხენი ძუა და მოარდა ცხენი და ჰკითხა: — რა გაგკირებიაო?

უამბო ბიჭმა, რაც რო ხემწიფემ დააეალა.

რაშმა უთხრა: — მე ხო გითხარო, აიღებ თუ არ აიღებ, ინანებო. ახლა 10 წადი და უთხარი ხემწიფესაო, რო ორივეთვინ საგძალი მაამზადებინოსო და ისეთი ცულიო, რო ერთ დაკვრაზე ის ვაშლი ძირიანათ ამაილოსო.

ადგა, წავიდა, გამაართო ამ ბიჭმა ხემწიფეს ცხენის და თავის ხორაგი და ცული. მივიდნენ ერთ ბალის გვერდში. გარეშემო სუ გველეშაპი აკრამ და მარგილებათ კიდე გველიჲ ტლოკები აქ ამოსული. ამ რაშმა უთხრა: — ერთი 15 ისეთი უნა განარტყაო, რო ერთი შოლტი საქალნე მე ამძვრეჲ მუცლი ტყავზეო და ერთი იმი საყოფი კიდე ხელისგულზე შენ უნდა აგძკრესო.

ადგა, გაარტყა ამ ბიჭმა და გადავიდნენ. რო გადავიდნენ, ცული ამაილო ამ ბიჭმა და დაიჭირა ხელში და, რო გადმოდიოდნენ, ამოთხარა ი ვაშლი და წამაილო. მემრე აღმასებ მაარტყა ფეხი და გაჰკრა ამ ბიჭმა. რო გადმოდიდნენ, 20 ამოთხარა ამ ცხენმა მიწა და შიგ ჩაფლა ბიჭიცა და ვაშლიც. გამეკვიდნენ გველეშაპები, მაგრამ ვერ დაინახეს და უკან დაბრუნდნენ.

მაიტანა ამ ბიჭმა ეს ვაშლი, ღამე დარგო და დილაჲ ნახეს მებაღეებმა, რო რალაც ბრჭკვიალებს და შიშით ვერ მიდიან. შაატყობინეს ხემწიფეს. იმან თქო: — ნახეთ და თუ ჩემი საყვარელი ვეზირი სახშია, მაშინ მისი მოტანილი 25 ვაშლი იქნებაო.

მივიდნენ და ნახეს, რო მართლაც ეგრეა. უფრო შაიყვარა ხემწიფემ ეს ბიჭი.

კიდეჲ მივიდნენ ეზირ-ვეზირები და უთხრეს დედაკაცს: — გვიშველე, თორე ჩვენი ხემწიფე კიდეჲ უფრო და უფრო იყვარებს ჩვენ მტერსაო. 30

უთხრათ ამ დედაკაცმა: — წადით და უთხარით ჩვენ ხემწიფესაო: ერთი ბუმბული რო გაქო და ერთ სახემწიფოთა ღირსო, მაგ ბუმბული პატრონი რო შენ გალიაში იჯდესო, მაშინ რომელი სახემწიფო გემჯობინებაო! თუ იტყვის, რო ვინ მამიყვანსო, უთხარით, ვინც ეგ ბუმბული მაიტანაო.

მივიდნენ ეს ეზირ-ვეზირები და უთხრეს ეს ყველაფერი ხემწიფეს. მერე 35 ხემწიფე შაეკითხა: — ვინ მყავ ისეთი, რო მახერხოჲ იმ ფრინვლი დაჭერაო?

ამათ უპასუხეს: — ეგეთი შენი საყვარელი ვეზირია სწორეთაო. თუ ეგ ერთი ბუმბული იშოვა, ის მთელ ჩიტსაც მამიყვანსო.

დაიბარა ხემწიფემ ეს ბიჭი და უთხრა: — ამ ბულბულის პატრონი უნა მამგვარო! 40

გამოიდა ეს ბიჭი დაღონებული ერთ ტრიალ მინდორზე და გამოსხნა ცხენი ძუა, მოარდა რაში: — რა გაგკირებიაო?

— ესეა, ესეა ჩემი საქმეო.

— კარგიო, — უთხრა რაშმა, — ხო გეუნეოდო, რო ინანებ, თუ აიღეო, და ინანებ, რო არ აიღეო. ახლა გვიან არიო. წადი, უთხარ ხემწიფესაო, ასი 45

ურემი პური აამსებინოსო, მათანინოსო და ამა და ამ ზღვი პირზედ დაჰყაროსო, იქ უნა დაეიქიროთ ის ჩიტიცაო.

მივიდა ბიკი, უთხრა ხემწიფემ და ყველაფერი კარგა შეენიერათ მამა-ზადებინა. რაშმა დაარიგა ეს ბიკი: — ზღვი პირაჲ რო მივალთო, იქაო ყველა 5 ფრინველი მოვაო, იქ გაძღებიაწო. ბოლოს მოა სამი ფრინველიო, ერთი ფრთა-მოვარდნილი და ორი კარგიო. იმთენი ჰქენიო, რო ის ფრთამოვარდნილი დაიქიროო.

მერე რო მივიდნენ ზღვი პირზე, რაშმა უთხრა ამ ბიქსა, რო შენაო შიგ ჩაჯექიო და, როგორც დაგარიგე, ისე მაიქეციო.

10 რაში კიდე წავიდა იქედამა.

ზის ეს ბიკი ამ პურშია და მოდის ფრინველი, ძღება და მიდის. ბოლოს სამი ფრინველი მოიდა, ერთს ფრთა აქვს ჩამოვარდნილი. დაიქირა ამ ბიქმა. ეს ფრინველი, დანარჩენ თაეი გაანება და წამოიდა. მაიყვანა ეს ფრინველი-და ახლა უფრო ძრიელ შაიყვარა ამ ხემწიფემ.

15 ბოლოს, რო მივიდნენ ეზირ-ვეზირები, დედაბერმა უთხრათ: — დიდებულ ხემწიფემ უთხარითო, რო მაგ ფრინველი და ვაშლი პატრონი ქალი მათყვანინოსო.

მივიდნენ ესენიცა და ეუბნებიან: — დიდებულო ხემწიფეო, ეგ ვაშლი და ეგ ფრინველი რო ეგეთი კარგები არიანო, მაგათი პატრონი ქალი რო შენ. 20 ცოლათა გყვანდეჲ, რომელი ხემწიფე გემჯობინება მაშინაო?

ხემწიფემა ჰკითხა: — მერე ვინ მამიყვანსო და

— ისეჲ ეგ ბიკიო, — უპასუხეს.

დაიბარა ხემწიფემ ეს ბიკი და უთხრა: — ამათი პატრონი ქალი უნა მა-მგვაროო!

25 შაწუხდა ეს ბიკი. გამოიდა ველზე, გამოსხნა ძუა და უთხრა რაშმა: — ესე, ესეა ჩემი საქმეო.

რაშმა უთხრა: — ნუ გეშინიანო, წადი, უთხარი ხემწიფესა, რო ერთი ჩადრი მოგცეს და ორიც გუდა ერბოო და წავიდეთო.

მისცა ხემწიფემ და გაუდგნენ გზასა.

30 იარეს, იარეს და მივიდნენ ერთ კოშკში. ნახეს, რო კარები იღება და ისიგ იკეტება.

რაშმა უთხრა: — ერთი გუდა ერთ კარებ დაუდეო, მეორე — მეორესაო. რო შახვალო, ერთი ბებერი დედაკაცი იქნება და ჩადრი გადააფარეო. მემრე მალლა ბალკონში რო ახვალო, სამი ქალი მოვლენ შენთანაო, სალამ მოგცე- 35 მენო და გეტყვიანო, რო სტუმარი გვეწვიაო. ორნი გახარებულნი იქნებიანო და ერთი დაღონებული დაჯდება შენ გვერდზეო. მინამ ის ორნი სადილ მაიტანენო, მინამ დაძტაცე იმ ერთ ხელიო და ჩამამიყვანეო.

ადგა ეს ბიკიც, შავიდა შიგა და გადააფარა ამ ბებერ ჩადრი. ბალკონში რო ავიდა, გამრიდნენ ორი გახარებული ქალები, ერთი კიდე დაღულული უყუ- 40 რებს. ადგნენ ეს ორი, წავიდნენ სადილი მოსამზადებლათ. ადგა ამ ბიქმა, დაძტაცა ამ ქალ ხელი და გამააქცია კიბებზე. ეხლა უყვირიან ბებერს: — ბებერო, ქალი წაიყვანეს, ქალი წაიყვანესო!

და ამ ბებერმა თქო: — თვალი თქვენ დაგიდგათ, მაგათი ყარაულობით თვალიჩინი დანაკლდაო, მაგი წაყვანამ კიდე ერთი ჩადრი მაინც მამიტანაო.. 45 წაიყვა, შვილო, ღმერთსაც შენთენი მოუცია და კაცსაცაო.

წაიყვანა ამ ბიჭმა და მორბის. ეხლა ქალები უყვირიან კარებს:— ქალი წაიყვანეს, კარებო, ქალიო!

ამ კარებმა კიდე თქო: — თვალი თქვენ დაგიდგათო, მაგათი ყარაულობით პირები მამიცვდაო და ეხლა ერთი გუდა ერბო მაინც ვიშოვეო, წაიყვანოსო რა!

ჩამაიყვანა რაშთან ე ქალი და წავიდნენ. გზაში რო მიდიან, ამ ქალმა ჰკითხა ბიჭსა: — შენთვინა-მსწვალობო თუ სხვითვინაო?

— არაო, — უთხრა ბიჭმა, — მე შენ ხემწიფითვინ მიმყავხარო.

მიიყვანა ამ ბიჭმა ეს ქალი და ჩააბარა ხემწიფეს. იმ ლანეს ქალმა უთხრა ხემწიფეს: — ამა და ამ ზღვაშიო ერთი რაში არიო, მანამ იმი რძეს არ მათანო, არ ვიბანავებ შიგაო.

დაიბარა ეს ბიჭი ხემწიფემა და უთხრა: — ამა და ან ზღვაში რო რაშიაო, ის უნა მოსწველოო და იმთენი რძე მამიტანოო, რო ავადულოთ და შიგ ვიბანაოთ მე და ჩემმა ცოლმაო.

ბიჭმა თქო: ე რა ხათაჲ გადავეკიდეო, ეხლა რა უნა ვქნაო? 15

მაინც წავიდა ძრიელ მოწყენილი, ერთ ტრიალ მინდორზე გამოსხნა ძუა. მოარდა რაში და ჰკითხა: — რა გაგკირებიაო?

— ესე, ესეაო, — უთხრა ბიჭმა, — ჩვენი მოყვანილი დედოფალი რაში რძესა თხოულობსო.

რაშმა უთხრა: — ხემწიფეჲ უთხარიო, რო ასი კამეჩის ტყავი მოგცეს და ასი ფუთი ფისიო. 20

მივიდა ეს ბიჭი ხემწიფეთან და უთხრა: — ასი ფუთი ფისი მამეცი, ასი კამეჩის ტყავიო, ორიც საპალნიანი ქვევრიო და მოიტან რძესაო.

მისცა ხემწიფემ ეს ყველაფერი და ბიჭი წამოიდა, მოიტანა რაშთან. თითო ფუთი ფისი დაასხა და თითო კამეჩის ტყავი გადაათარა და წავიდნენ, გააღწიეს იმ ზღვი პირისაკენ. 25

მივიდნენ და იქ ერთი მწვანეა ისეთი, რო ისეთი მწვანე არსად არ არი. რაშმა უთხრა: — შენ აქ დაიმალო და მე წავალო. თუ ის რაში დავიმორჩილეო, მე დაგიძახებო, რო მოდი, მოსწველეო, თუ არა და წადი, აქ არ მოხვიდო. 30

ზღვიდან დაინახა იმ რაშმა, რო თავი საძოვენელზე სხვა რაში სძოვს. დაიჭიხვინა და გამოიდა კარში, მემრე დაუყვირა: — შენ რა ხარ, რა სურიელი ხარო? ჩემი შიშით მალლა ჩიტი ვერ დაფრინამს, ძირ კიანჭველაო და შენ აქ მოხველი, მაინცადაძაინც ჩემ საძოვარზედაო!

წამოიდა ე რაში ზღვიდან, შეეკიდნენ და დაიწყეჲ ჩხუბი. ეს ხორცებ აგლეჯამს, ის კიდე ტყავსა. ისე, რო დაიმორჩილა ე ზღვის რაში და მერე იმანმა ჰკითხა: — რა გაგკირებია ისეთიო, რო ჩემ საძოვარზე მე მიმონავებ და მკლამ კიდეცაო?! 35

— არაფერი ისეთიო, — უთხრა ამანაც, — რძე მინდა შენიო, რო ხემწიფი ცოლმა იბანაოსო. 40

მერე იმ ზღვის რაშმა უთხრა: — წადი, დაუძახე, ვინც გინდა იყოს, მოიღეს და მამწველოსო.

წავიდა, მოუტანეს ხემწიფეს ორი ქვევრი სავსე. აადულა დედოფალმა ეს რძე, იმ ადულეებულში ჩავიდა, იბანავა და ამოიდა, მემრე უთხრა ხემწიფეს: — ახლა შენ უნა ჩახვიდო. ჩავიდა ეს ხემწიფე და დაიფუტქა. მემრე იმ ქალმა უთხრა ამ ბიჭსა: — შენ ჩადიო. 45

10. კახური დიალექტი

რო უნა ჩავიდეს ის ბიჭი, აბა, ისიც დაიფუფქებოდა, და ამ დროს რაშმა დაუშვა მთიდან ერთი დიდი თოვლი და ჩაუშო იმ რძეში და ეს ბიჭი აღარ დაიფუფქა. ჩავიდა და სალსალამათათ ამოიდა.

აღვა ამ ქალმა და თქო: — აიო, ჩემი ქმარი ვინ უნა იყოსო! დარჩა ის 5 სახემწიფო იმ ბიჭსა. ის ქალიც შაირთო, დაქორწილდა და სახემწიფოც იმაღ დარჩა. კაი ხემწიფობას ატარებდა, მაგრამ დარდი მქონდა, რო მამაჩემი ბრმა დავტოვეო და არ ვიცი, როგო არი ეხლაო.

მემრე თქო: — ჩემი ამბავი მამაჩემ უნა უამბოო, სად გაეგონება იმასაო.

აღგნენ, დროებით სხვაჲ ჩააბარეს სახემწიფო და წამოიდნენ ის ბიჭი და 10 თავი ცოლი. მოდიან მამი სანახავათ. რო დეეხმაურა მამასა, ის შეაკითხა: — მოხვედი, შვილოო?

— მოველიო.

მემრე აღვა ამ ქალმა, ამოილო ბაღდადი და როგორი თვალებიცა-მქონდა, ისივ ისეთი აუხილა. მამაჲ ძრეელ გეეხარდა. აღვა, იქაც კაი ქორწილი გა- 15 დაუხადა და დააბრუნა ისევე თავი სახემწიფოში. მემრე მოიდნენ და ცხოვრობდ- ნენ ისე, როგორც ხემწიფე და თავისი დედოფალი.

სოუ. უჯარმა

165. სოვდაგარი და საწყალი კაცი

ერთი წვრილშვილი კაცი ცხოვრობდა კარგათ თავითვინ. მემრე ჩამორჩა და გასაწყლდა და ველარა ცხოვრობდა. გალობდასავით და სუ შინ იჯდა და 20 დუღუნებდა. მემრე იმი დედაკაცი წავიდა წყალზე. იქ სოვდაგარი მოსულა და კაცსა კითხულოფს: — ერთი კაცი მინდაო, გზაში საქმელი გამიკეთოსო.

იმი დედაკაცი მოიდა და ეუბნევა ქმარს: — აღე, მიხა, წადიო! საქმელი გაუკეთე, შენი თავი ღაინც დაარჩინეო, გაჰყეო!

აღვა მიხა და წავიდა და მივიდა იმ სოვდაგართან, უთხრა: — მე გამო- 25 გყვებო.

აღვა და გაძევა. სოვდაგარმა უთხრა: — რა მოქცეო?

— არაფერი არ მინდაო, ნუ დამკარგამო, ისევე აქ მამიყვაო.

აღვა, გაჰყვა. წავიდნენ.

ბევრი იარეს და მივიდნენ ზღვი პირზე. მემრე პატრონი გავიდა გაღმა 30 გემით სავაქროთ, ჯორ-აქლემი და ბიჭები ზღვი პირზე დარჩნენ. ის კაცი იქ არი და ზღვას აუვლის და ჩაუვლის. მემრე ნახა, რო ერთ ალაგაჲ წყალს თვალ-მარგალიტი გამააქს და ფენამს მინდორზე. ის მიხა კრეფამს ყველდღე და მაჲქ ბინაზე. იქა საქონლის საყარია და ნეხესა კრეფამს, შიგ ნეხეში ინა- ხამს. კარგა ბევრი შააქუჩა, ექვსი ტომარა შააქუჩა.

ერთი თვის მემრე გამოიდა პატრონი და გამოიტანა ბევრი სავაქრო. 35 მემრე ეუბნევა იმ მიხასა: — შენ რა მოქცეო? რატო არ მეტყვიო? თუ გინდა ფარჩაჲ გიყიდიო.

— არაფერი არ მინდა შენო, ეს წივა წამილეო.

ეხლა იმან გაიცინა: — შინ შეშაჲ გიყიდიო, ფულ მოქცემო.

— არა, შენი კირიმე, მე ეს მინდა, ეს წამილეო. მაშინ პატრონმა უთხ- 40 რათ მოჯამაგირეფს: — საწყალი კაცი ნატერაშიც საწყალიაო, წაუღეთო! აუშ- სეს ექვსი ტომარა და წამოუღეს ის, წამოიდნენ.

ბევრი იარეს. ერთ ღამეს ცივი ღამე იყო, შუშა ვერსად ვერ იშოვნეს. შემრე უთხრა: — მიხაო, წივა დავწოთო და, რაცა ღირს, მოქცემთო! დაწვეს ჟრთი ტომარა. ცეცხლი სუ წითლათა ლულუნეფს. მეორე ღამეს მეორე ტომარა დაწვეს კიდე.

ეხლა ეუბნევა სოვდაგარი: — მიხაო, ამ ორ ტომარაში რა მოქცეო? 5

ეხლა ის ეუბნევა: — ოთხი ტომარა ხო კიდე მაქო, კაც ვაჩვენოთო და, როგორც ამ ტომარეფს შააფასებენო, ის მამეო!

სოვდაგარს გაუხარდასავეით: — ნეხვსაო რას შააფასებენო!

გათენდა ნ.ხა სოვდაგარმა ერთი ცალი წივა, დაადგა ფევი და გაიშალა თვალ-მარგალიტი. აიღო ამ კაცმა და გაძინჯა, თქვა: ამი ფასი მე რა მაქო? 10
ღარღში ჩაეარდა.

სოფ. არაშენდა

166. მზის ქალი

ერთი კაცი და დედაკაცი იყო. იმათა-ჟყვანდათ სამი ბიჭი. ის ბიჭები როცა დაიზარდნენ, ცოლები მაიყვანეს, ერთათ ველარ მოშველდნენ და გაიყარნენ. 15

იმათში ერთ ძმას ყისმათი არა-ჟქონდა. ერთი დესეტინა ვენაწი გაყვევ სამათ. რომელსაც ყისმათი არა-ჟქონდა, იმაე შუა ადგილში შაეხვდა. მოიდა სეტყვა და დაისეტყვა შუაში. აქათ-იქილამ ორთავესი გადარჩა. შემრე იმ ბიჭმა თქვა: მე ხო ყისმათი არა მაქო და ავდგები და წავალ აქაღამო.

წავიდა იქილამ. იარა, ბევრი იყო თუ ცოტა, შაეხვდა ერთ მდიღარ 20 კაცსა. იმ მდიღარ კაცსა აქ ასი დესეტინა ყანა შოსამკელი. იმ კაცმა უთხრა: — მოდი, მიშველეო, ყანა მომიმეო და ფას მოქცემო.

იმ ბიჭმა უთხრა: — მოდი, ნარდათ მამევი და მოემევი!

იმანაც უთხრა: — რაე გამომართმევეო, სუ რო მოემეკო?

მეგრე იმ ბიჭმა უთხრა: — თუ სუ ეს დღეე მოერჩიო, სანახვერო იყოსო! 25 იმანაც ჰოობა უთხრა. დაუწყო იმ ბიჭმა, მზე რო ამოიდა, მკა. უნა მზის ჩასვლამდინ მომკოს. ნზი ჩასვლისას სამი ძნალა აქ მოსამკელი. დაუძახა მზეს: — მზეე, მომიცაო, ანდენი შრომა გაფწიე და სამი ძნალა მაქ მოსამკელიო.

იმ მზემ უთხრა: — მე შენი დარდი არა მაქო! დედაგთან მიმიხარიანო.

მზეც მეფეარა გორას. დაანება ბიჭმა თავი იმ მოსამკელსამ ძნასა და 30 წამოიდა პატრონთან, უთხრა: — ვერ შავასრულე პირობაო. პატრონი მაინც ეუბნევა: — ის არაფერია, მაინც გეკუთნისო.

იმ ბიჭმა არ ინდომა, გაანება თავი და წავიდა.

მივიდა ერთ მდიღარე მეცხვარეგთან. იმ მეცხვარეს მოურიგდა: — ხუთ წელიწადს შენთან ვიქნებიო. ხუთ წელიწადში თუ ერთი ბატკანი დამაკლდაო, 35 არაფერი არ მიწდაო, თუ არა და შუაზე გავიყოთო!

იმანაც ჰოობა უთხრა. ადგა და უფლის იმ ცხვარს. ხუთი წელიწადი მოუარა, არაფერი დაეკლებია. ხუთი წლი შემდექ მირეკეე სახში ცხვარი, უნა გაიყონ. იმ გაყოფი ღროსა ჩამაირბინა ერთმა მგელმა, წაიღო ერთი ბატკანი. დაანება თავი იმ ცხვარსაც და წავიდა: აღარ მეკუთნისო. 40

წავიდა, ბევრი იარა თუ ცოტა; ერთ წყლი პირზე მივიდა. იმ წყალში ბანაოფს ორი მზი ქალი. დაიშალა ის ბიჭი იქ და ტანისამოსი მოაპარა ერთ

- ქალს. ის ქალები რო ამოიდნენ, ტანისამოსი უნდა ჩაიცვან. ერთმა ჩაიცვა-
მეორეს აღარ აქ, რო ჩაიცვას. ერთი ქალი ადგა, წავიდა. იმ ერთს ტანისამოსი
არა-აქონდა და ვერ წავიდა. ბევრი ეძება, მაგრამ რაღას იპოვნინდა! იძახის ის
ქალი: — ვინა ხართ, გამომიჩინეთო, შენ ძმა და მე დამო ან მე შეილი და შენ
5 მამაო! მაინც არ გამოუჩინა. მემრე დაუძახა: — მე ცოლი და შენ ქმარიო, ვინა
ხარ, გამოდიო! მაშინ გამოჩნდა ბიჭი და მოუტანა ტანისამოსი. ჩაიცვა იმ ქალმა.
აკი უთხრა, ხო ველარ გადაუხვევდა! შაირთო იმ ქალმა ის ბიჭი და წავიდ-
ნენ იმ ქალის დედათან. კარქათ მიიღო იმ ქალის დედამ, როგორც სიძე, და
კაი პატივსაცა-აქემს.
- 10 ერთდროზე მზეს არ ეცალა და სიძე გაგზავნა თავი მაგივრათ. მიეცა ერთი
კელცატოცი და უთხრა: — ჩვენი ბალი პირდაპირ რო მიხვიდგო, კელცატოცი-
დაბლა ჩამოაწიო, ბალს გრილო დაადგებო და აღარ გაფუქებო. რო გა-
აქლები, ისევე ააწეე მალლაო.
- ის ბიჭი ბალი პირდაპირ რო მივიდა, უფრო მალლა ააწია. ეხლა ის ბალი
15 მთლათ დაიწვა.
- ის ბიჭი რო იქილამ წავიდა, შაახვდა მგელი, ერთი კარქათა-აქემა. ბიჭი-
ეუბნევა: — ხუთი წელიწადი რო ცხვარს უარეო, გაყოფი დროჲ რათ მამტაცეო?
წავიდა ის მგელი ნაცემი მზეთან საჩივლელათ.
- იქილამ რო წავიდა ბიჭი, შაახვდა ელია. უთხრა იმ ელიას: — ჩვენაო, სამ:
20 ძმასაო რო ერთათა ქვონდა ბალიო, ჩემი რო გააფუქეო, მე რა დავაშავეო,
რო იმათები არ გააფუქეო?
- იმ ელიას ერთი კარქათა-აქემა. ისიც წამოიდა მზეთან საჩივლელათ,
უთხრა მზეს: — შენმა სიძემა მცემაო.
- ის ბიჭიც მივიდა თავი ადგილაჲ, მივიდა სიდედრთან. იმ სიდედრმა
25 უთხრა: — შენაო ელიას რათა-აქემეო და თვალი რათ გამოთხარეო?
— იმიტვინა ვცემეო, რო სამ ძმაჲ ბალი ერთათა ქვონდაო, ჩემი დასეტ-
ყვაო და იმათები არაო და მე რა დაუშავეო?!
- ახლა მზე ეუბნევა: — მგელს რალათა-აქემეო?
- ბიჭი ეუბნევა: — მე იმიტვინა ვცემეო, რო ხუთი წელიწადი ცხვარ უარეო
30 და გაყოფი დროს მამტაცა ბატანიო და ცარიელი დამანარჩუნაო.
- ეხლა მზე ეუბნევა: — ჩემი ბალი რალათ გააფუქეო?
- შენი ბალი იმიტვინ გააფუქეო, რომ ასი დესეტინა ყანა რო მო-
ვმეო, დაგიძახეო: ცოტა ხანი მამიცაო! სამი ძნალა მქონდა მოსამკელიო. შე-
ნა-ათქეო: მე დედათან მიმიხარიანო და შენი ჯავარი არა მაქო. მე იმი-
35 ტვინ გააფუქეო.
- გაჯავრდა მზე, მაგრამ სიძე იყო, რას უზამდა!
ადგა ის ბიჭი და წაიყვანა მზი ქალი თავი სახლში.

სოფ. კაქრეთი

167. უარამანი და ნაფცქვენა

- იყო ერთი კაცი და დედაკაცი. ისინი იყვნენ უშიღლეები და შვილი არ
40 უჩნდებოდათ. ეხლა უნდოდათ იმათ, რომ შვილი გააჩენოდათ და წამალ ვერა-
შოუნობდნენ, რო შვილი გააჩენოდათ.

ეხლა გაგზავნენ მოჯამაგირე სხვა სოფლებში: — იქნება იშოვნო ან გა-
აწაველონ ვინმეო.

ადგა და წავიდა მოჯამაგირე. იარა სხვა სოფლებში. დაღამდა და ერთ
შებერთან მივიდა. იმ ბებერს უთხრა: — ბები, ამაღამ აქ შამინახეო, მგზავრი
კაცი ვარო. იმ ბებერმაც შაინახა, უთხრა: — იყავ, შეილოო! 5

დარჩა იმ ღამეე იქ, ბებერთან. ეხლა იმ ღამეე პური რო ჰამეს იმ ბე-
ბერმა და იმ ბიჭმა, შეეკითხა ის ბებერი: — შეილო, რაე დახვალ, სადაური
ხარო?

ეხლა ბიჭი ეუბნევა: — მე მავან სოფლიდამა ვარ. უშვილო კაცმა გამამ-
გზავნა, რო წამალი ვიშოვნო ეგეთი, რო შვილი გაუჩდესო. 10

იმ ბებერმა უთხრა: — შეილო, რაე დახვალ აქ? თქვენ რუვი პირზე რო
ვაშლი დგა, იმ ვაშლ აბია სამი ვაშლი. იმას ესროლე ჯოხი და ჩამოყარე,
წყალში არ ჩაცვივდე. წაილე, მუჟტა, შაეჰამს და დაორსულდებო.

წამოიდა ი ბიჭი, მართლაც მივიდა იმ რუვთან, შაეხედა იმ ვაშლსა, რო
აბია სამი ვაშლი. ესროლა ჯოხი და ჩამოყარა. ერთი ვაშლი ჩაუვარდა წყალში 15
და ორი კი ჩამუარდა მიწდორზე. ის ორი ვაშლი წაილო და მუჟტანა პატ-
რონს. იმან კიდე მიაცა თავის მუახლეს: — გაფცქვენი და მაიტაო!

იმ მუახლემ გაფცქენა ის ვაშლები, ქერქი თითონ შაჰამა, გული მუჟტანა
იმას. შაჰამა ის გული. დაორსულდენ ორნი — მუახლეცა და პატრონიც, და-
უჩდათ ორთავეს ბიჭები. 20

ის ბიჭები დიხარდენ. ვინც წლით იზრდება, ის დლით იზრდება. და-
ქდენ კაცები. ოც დღეში ოცი წლისა ქდება.

დაიწყეს იმ ბიჭებმა ნადირობა, ტყეში ტარება. ძალიან ყოჩალი ბიჭები
არიან.

ეხლა იმ ბიჭებმა თქვეს: ჩვენ როდემდინ ვიაროთ ეგრე, ჩვენ დანიშვნა 25
ვვინდაო.

ის ბიჭები ერთმანეთ ძანა-გვანან. ცალ-ცალკე რო ნახონ, თითქმის
ერთი გონიათ.

ადგნენ ის ბიჭები და წავიდნენ ერთი ჩასაველეთისყენ, ერთი ამოსავ-
ლეთისყენ. თქვეს იმ ბიჭებმა: ჩვენა ეს თქმა ქვონდეს: რომელიც ცოცხალი 30
ვიქნებით, დილით რო პირ დავიბანთ, გელზე რო წყალ დავისხამთ, გელში რო
წყალი გაგვიწითლდება, ვიცოდეთ, რო ის აღარ იქნებაო.

ერთი ჩასაველეთისყენ წავიდა, ერთი ამოსავლეთისყენ.

რომელიც ქალბატონისა არი შეილი, იმაე ყარამანი ქვიან, მეორე —
წაფცქენა. 35

ყარამანი გადავიდა სხვა საგნწითფოში, მიადგა ერთ დიდ წყალს. გაღ-
შიდამ კემწითფი ქალი არი კოშქში, გამოღმიდამ ბევრი ხალხი ირევა. ის ქალი
ამოფს: — რომელიც ამ წყალზე გადმოხტებით, იმაე შავირთამო.

ჯეილი ბიჭები მიდიან, ხტებიან, ხოლოთ იქით ვერც ერთი ვერ გადა-
დის და წყალი ახჩოფს. ამ ყარამანმა კელი გაუქნია ხალხს: — განი დამიგდეთო. 40
იმათ კიდე გალანდეს: — შენითანა ბიჭები ბევრი დაიღუპა და შენც დაიღუ-
პებით. მაგრამ ყარამანმა მაინც არ გაიგონა, გაიქცა და გადახტა იმ წყალზე,
დევცა ბალკონზე. იმ ხალხმა გაიკვირა: როგორ გადახტაო?!

ქალი რაღას იტყოდა, როცა პირობა ნათქვამი ჰქონდა. შაირთო ის ბიჭი
და ქეიფობენ სამი-ოთხი დღე.

ნეოთხე ღამეს კითხა ყარამანმა: — მამიშენის სანადირო საით არიო? 45

იმ ქალმა უთხრა: — სამ ჯარზე რო წახვალ, მოხვალ, მეოთხე ჯარზეც ვეღარ მოხვალ.

ადგა დილით ის ბიჭი. საითაც უთხრა — ვეღარ მოხვალ, იმ ჯარზე წავიდა. ინადირა იმ დღისით, ზოგი მშველი მოკლა, ზოგი ყურდღელი. ერთ 5 ტყეში დაუღამდა, დარჩა იმ ღამეს იქ. ჩამოაქიდა იმ ბიჭმა ნადირები ხეზე. დაანთო ერთი კაი ცეცხლი, გააკეთა მწვადები და აწვამს.

მივიდა ერთი ქაჯი ბებერი, დაუთახა: — შვილო, მიმიყვანე, მგზავრი ვარ, ამალამ ერთათ ვილაპარაკოთო!

ბიჭი ეთახის: — მოდი, ბებო, მოდიო! მეც ნარტოკა ვარო.

10 ბებერი ეუბნევა: — ვერ მუალ, შვილო, შენი მწვერები შიშითა, მიკმენენო.. მოდი, ეს ბეწვი წაილე, შენ მწვერეფს დაადე და შენ ჭმალსაცა და მაშინ მუალო.

წავიდა ის ბიჭი, გამაართვა ის ბეწვი, მაიტანა და დაადო მწვერეფსაცა და ჭმალსაცა. დაქვადენენ მწვერებიცა და ჭმალიც. მოიდა ის ბებერი, აილო 15 ის მწვადები, ბიჭი რო-აწვამდა, და შაქამა ბებერმა. ბიჭმა უთხრა: — რაა შევები.. ბებო?

ბებერმა უთხრა: — მაიცა, შვილოო!

მიბრუნდა მემრე ბებერი, ის ჯორცი, რაცა-აქონდა დაჯოცილი, სუ შაკამა. მოუბრუნდა ახლა იმ ბიჭსა და ბიჭი უნდა შაკამოს. იმ ბიჭმა დააეცა 20 კელი ჭმალს და ვეღარ აილო. მწვერეფს დააქვივლა იმ ბიჭმა, მაგრამ ვეღარ უშველეს: დაქვადებულყვენენ. ადგა ის ბებერი და შაკამა ბიჭიცა და მწვერებიც.

ნაფცქვენამ დილით რო პირი დაიბანა, კელში წყალი გაუწითლდა. თქვა: ჩემი ძმა აღარ იქნებო! ადგა და გამობრუნდა უკან, წავიდა იმ გზაზე. საითაც ყარამანი წავიდა.

25 იარა, ბევრი იყო თუ ცოტა, მივიდა იმ წყალთან, საცა ის კენწიფი ქალია. გამოღმა ხალხნი ისევე ბევრნი. არიან და ლაპარაკობენ: ის ბიჭი ამ წყალზე როგორ გადახტაო! ნაფცქვენამ გაიგო, რო ის ჩემი ძმა იქნებოდაო. გაიქცა ის ნაფცქვენა, გადახტა იმ წყალზე და ბალკონზე დეცა. იმ ქალს გაუნარდა: ქმარი მოიდაო!

30 არ ეხუმრება ნაფცქვენა. ის ქალი ეუბნევა: — კაცო, რა მოგივიდა, რა-ანახეო?

ნაფცქვენა ეუბნევა: — მე სიზმარი ვნახე ეგეთი, რო არც კელი წავლება შაიძლება და არც ხუმრობაო..

ის ქალი დაღონდა მაინც. იმ ღამეს ეახშამი რო ჭამეს, ქალმა ლოგინი 35 გაშალა და დაწვენენ. ნაფცქვენამ შუაში ჭმალი ჩაიდო, რო ქალი ახლო არ მისულიყო. ეხლა ქალი ეუბნევა: — კაცო, რა-ანახეო?

ის ბიჭი ეუბნევა: — ამალამ ეგრე უნდა ვიყო, მე სიზმარი ეგეთი მაქო.

შუალამის მემრე კითხა ბიჭმა: — მამაშენის სანადირო საით არიო? იმ ქალმა უთხრა: — აქი გითხარ იმ დღეს, საითაც იყოო.

40 ბიჭი ეუბნევა: — დამავიწყდაო.

ქალმა უთხრა: — სამ ჯარზე რო წახვალ, მოხვალ, მეოთხე ჯარზეც ვეღარ მოხვალ. საითაც უთხრა — ვეღარ მოხვალ, იმ ჯარზე წავიდა.

წავიდა ნაფცქვენა. ბევრი იარა თუ ცოტა, მოკლა სხვადასხვა ნადირო და დაუღამდა იმასაც ტყეში. მიაღდა თავი მძი ნაცეცხლურს, თქვა: სადღა 45 უნდა ვიაროვო, ამალამ აქ ვიქნებო, დილაზე ავდგები და წავალო. თუ ვი-

პოენე ჩემი ძმა, ვიპოენე, თუ არა და რა ვქნაო! იმანაც დაანთო ცეცხლი, დარჩა იმ ღამეს იქა. ჩამოკიდა ნადირი ხეებზე, თუ ყვანდა რამე მკვდარი-ააგო მწვადები ნაფცქვენამაცა და აწვამს. მივიდა ის ბებერი ისევ და დაუძახა:

— შვილო, მეც მგზავრი ვარ, ამაღამ ერთათ ვილაპარაკოთო!

დაუძახა ნაფცქვენამ: — მოდი, ბები, მოდიო! იმ ბებერმა უთხრა: — შვი- 5
ლო, შენი მწვერების შიშით ვერ მუალ. მოდი, ეს ბეწვი წაილე, მწვერეფს დაადე და ჯმალსაცა და მაშინ მუალო.

ბიჭი წავიდა, გამაართვა ის ბეწვი, მაიტანა და ჩაყარა ცეცხლში. მოიდა ის ბებერი და ხრუკი სული მუუვიდა იმ ბებერს და უთხრა ნაფცქვენას: — შვილო, ე რა ხრუკი სული მოდისო? 10

ნაფცქვენა ეუბნევა: — ე მწვადები რო იწვება, ამაჲ სული არ ექნებაო?!

იმ ბებერმაც დაიჯერა. აილო ჩვეულებრივ ის მწვადები და გაუსვა. ეხლა ნაფცქვენა ეუბნევა: — რაჲ შერებოო?

ის ბებერი ეუბნევა: — ზაიცა, შვილო, რაჲ შერებოო?

იმ ბიჭმა დაეცა ჯმალ ჯელი და დაეკივლა მწვერეფს და „ბას, ბას!“ და- 15
უძახა, წამოხტნენ ის მწვერები, მიახტნენ იმ ბებერსა და სუ ზედ დაახიეს კაბა.

იმ ბიჭმა უთხრა ი ბებერს: — თუ ჩემ იმაჲ გააცოცხლეფ, აღარ მოგკლამ, თუ არა და მოგკლამო.

იმ ბებერმა უთხრა: — აი, ნეკი თითი დამაქერ და შენი ძმაც გაცოცხლ-
დება და მწვერებიცაო. ჯაჲკრა ნეკი თითი და გაცოცხლდნენ ბიჭიცა და მწვე- 20
რებიც. შამოჲკრა იმ ბებერს ჯმალი და მაჲკრა თავი.

ადგნენ ნაფცქვენა და ყარამანი და წამოიდნენ სახლში. შუაგზაზე რო
გამოიდნენ, ყარამანმა შარი ზოულო ნაფცქვენას, რადგანაც ერთმანეთსა-
ჯგვანდნენ: — შენ ჩემ ცოლთან იქნებოდიო.

ნაფცქვენა ეფიცება: — ჯელიც არ მიხლიაო. მაგრამ მაინც ყარამანი 25
არ იჯერეფს.

მემრე ნაფცქვენამ თქვა: — აკი არ გეჯერებაო, შეინდ-ისარს შაჲკრამ
შაღლაო და მე წორეთ დაედგებიო. რო ჩამუარდება, რაშიაჲ დემეცემაო,
იცოდე, რო იმაჲ მუახვედრებდიო. შაჲკრა შეინდ-ისარი და დადგა თითონ
წორეთ. ჩამუარდა შეინდ-ისარი, დეეცა ფეჲი თითში და მოკვდა ის ნაფცქვენა 30

ახლა დაიწყო ყარამანმა ტირილი, თქვა: — ძალათ რათ მოჲკალიო?! მე
კვდარი გამაცოცხლაო, რაღათა ვკლამდიო?!

ადგა ის ყარამანი და მაიკლა თავი თავიც.

დარჩნენ ის მწვერები უჲატრონოთ. დგანან და ყმუიან და ყმუიან. ცაში
გაიგო იმათი ყმუილი მტრედმა. ჩამოიდა ის მტრედი და ნახა, რო ის ბიჭები 35
დაჲოცილები არიან. მუუს-მოუსვა ჯელცაჲოცი ორთავეს და დაცოცხლდნენ ის
ბიჭები.

ის ბაჲები ადგნენ და წამოიდნენ, საცა ჯემწიფი ქალი იყო. გადაიჲადეჲ
მეორეთ ქორწილი და კარქათ იქეიფეჲ.

სოფ. კაჲრეთი

168. ღურგალი, ოქრომჲედელი და დერჩიკი

სამი კაცი იყო ხელოსანი: ერთი ღურგალი იყო, მეორე ოქრომჲედელი
და მესამე დერჩიკი. ამათ სამთავეს მოუიდათ ჩხუბი. ერთმანეთს ეუბნებოდ-
ნენ: მე გჯობივარ ხელობითო!

ხემწიფემ გაიგონა იმათი ჩხუბი და ვეზირს უთხრა: — აბა, ერთი და-
უძახე, რასა ჩხუბობენო?

ვეზირმა ჰკითხა: — რათა-აჩხუბოფთო?

იმათ უთხრეს თავიანთი ვინაობა. მივიდა ვეზირი და ხემწიფეს მუახსენა,
5 თუ რაზედ ჩხუბობდნენ. ხემწიფემ გაგზავნა ისევ ვეზირი, მუაყვანინა სამი კაცი
თავისთან. ხემწიფემ ჰკითხათ: — რათა-აჩხუბოფთო?

იმათ უთხრეს ხემწიფეს: — ხელობითაო ერთიმეორეს არა მე გჯობივარ,
არა მეო და ამაზე მოგვივიდა ჩხუბიო.

ხემწიფემ უთხრათ: — თითოულმა გააკეთეთ თითო ნაჭერი თქვენი ხე-
10 ლობისა და მოჩიტანეთ მეო და მაშინ მე გაგასამართლეთყეო.

ოქრომქედელმა გააკეთა ოქროს სინი, ზედ გამოიყვანა ოქროს კრუხ-ქუ-
ქულა, დაუყარა წინ ოქროს ფეტვი. გამოიყვანა ისე, როგორც ნამდვილი სურიელი
კრუხ-ქუქულა. დერჩიკმა შეკერა პერანგი, იგრე შეკერა, რო არც გაქრილი
ეტყობოდა და არც ძაფი ეტყობოდა. ღურგალმა გააკეთა ხის ცხენი. მიიტანა

15 ოქრომქედელმა ეს ოქროს სინი ხემწიფესთან. ნახა ხემწიფემ და ძალიან მო-
იწონა, უთხრა: — მართლა კაი ხელოსანი ყოფილხარო! დერჩიკმა მიიტანა პე-
რანგი და დადო მაგიდაზე. უვლის ხემწიფე გარეშემო, ვერც გაქრილი უპოვ-
ნია და ვერც ძაფი. ღურგალმა ხის ცხენი შააგორა, რო დაინახა ხემწიფემ,
რო ღურგალი ცხენ მიაგორებდა, ხემწიფემ უკვილა: — ცხენს მაკვირებო?!

20 მაშინ ღურგალმა მიაბრუნა ცხენი, გადაჯდა ზედ, დაატრიალა ჩარხი და გა-
ფრინდა. ხემწიფეს გაუკვირდა, რო ხის ცხენი გაფრინდა. ხალხი დაადევნა და
მოაბრუნა ისევ. ხემწიფემ უთხრა: — შენ უნდა იყო ჩემთან და აკეთო ხის ცხე-
ნებიო! ღურგალი დარჩა ხემწიფესთან, სხვები წავიდნენ.

ხემწიფე იყო თავის ცოლით სხვასთან დაპატივებული. ღურგალი სარა-
25 იაში მუშაობდა, ხის ცხენებს აკეთებდა.

ხემწიფეს ერთი პატარა ბიჭი ჰყვანდა. ის ღურგლის გაკეთებულ ხის
ცხენზე იჯდა და აწვალებდა. ის ჩარხი აატრიალა, რომლითაც ამოძრავდებო-
და ხის ცხენი. ცხენი გაფრინდა და წაიყვანა პატარა ბიჭი. ღურგალმა ვერ
დაინახა, რო ცხენი აფრინდა და წაიყვანა პატარა ბიჭი. ბეყრი იწვალა პა-
30 ტარა ბიჭმა და ახში იპოვნა ის ჩარხი, რომლითაც ძირს ჩამოსვლა შეიძლე-
ბოდა. აატრიალა ის ჩარხი, რომლითაც ძირს ჩამოიძოდა. ჩამოიდა სხვათა
სახემწიფოში, მივიდა ერთ ბებერთან, უთხრა: — შენ დედა და მე შვილიო!

უთხრა ბებერმა: — კეთილი, შვილოო, არც მე მყავ ვინმეო!

დაიწყო ამ ბებერთან მოძრაობა ამ ბიჭმა. რამდენიმე დღეების შემდეგ
35 ეს ბიჭი ღამე გამოიდა კარში, დაინახა, რო ზღვაში ერთი კოშკი არი და იმ
კოშკიდან შუქი ამოდის მაღლა. შევიდა და ბებერს ჰკითხა: — დედიო, ის შუქი
რისა ამოდის კოშკიდანო?

ბებერმა უთხრა: — ეგაო ჩენი ხემწიფის ქალიაო. რო დაბადებულაო,
უთქვამ, რო შე ისე უნდა დაებერდეო, რო ქმარი არ შავირთოო.

40 ამ ბიჭმა თქვა: საქმე საჩემოთ არისო. იქ ჩემს მეტი ვერავინ ვერ მი-
ვაო. მე კი ჩემი ხის ცხენით ყველთვის შემოძლიან მივიდეო.

ერთ ღამეს შაჯდა ხის ცხენზე და მივიდა იმ ქალთან, უთხრა: — შენ
ცოლი და მე ქმარიო!

ქალმა უთხრა: — მე ხვთის ფიცი მაქ მიცემულიო, მე, მინამ ცოცხალი
45 ვარო, ქმარს არ შევირთამო.

იმდენი უყო იმ ბიჭმა, რო გაატეხინა ფიცი, ახში შაყუბულდა ქალი-ქალის მშობლეს ვადა მოუიდათ, რო შეილი უნდა ნახონ შეიდ წელიწადში ერთხელ და უნდა მიუტანონ შეიდი წლის სახდო. ქალის დედა წინ მიდის შეილთან. რო დახედა შეილს, მუცელი შამოსიებული ჰქონდა, მიაფურთხა შეილს და დაბრუნდა, მიდის სახში.

ხემწიფემ უთხრა: — შენ რო ნახე შენი შეილიო და მიდიხარო, მე რატო არ მიცდიო, მე არ მინდა ჩემი შეილის ნახეაო?!

ცოლმა უთხრა: — რა უნდა ნახოო? შენ გონია, წმინდანი გყავ იქ შეილიო, ფეხმძიმეთ არიო.

ხემწიფემ უთხრა: — თუ მაგრია საქმეო და ხვთის ფიცი გაუტეხნიაო, 10 მუაბრუნეფ გემსაო, ყუმბარეფს დაუშენო.

გემი რო გააჩერეს, ქალმა ივინო, რო მოკელას მიპირობენ ჩემი გშობ-ლებიო, ბიქს უთხრა: — წადი, შენ თავს შენ მაინც უშველე რამეო!

ბიჭმა უთხრა: — თუ მაგრია საქმეო, შაჯე ხის ცხენზეო და წავიყვანო.

შესხდნენ ხის ცხენზე. ბიჭმა ხის ცხენი ააფრინა და წავიდნენ. ხემწიფემ 15 დაუშინა ყუმბარები ამ ცხეს, მაგრამ ბიჭმა გაასწრო, წაიყვანა ქალი.

ბევრი იარა, ცოტა იარა, ქალს მოუიდა ლოგინობის დრო, უთხრა ქმარსა: — წამიყვა სადმე ძირსო, ეხლა დრო მაქო, უნდა მოილოგინოო. ჩავიდნენ ერთ უადგილო ტყეში, თოვლი გაუხვეტ გამოუხვეტა, ფოთოლი დაუფინა. ქალს უთხრა: — წავალ მეო და ცეცხლ ვიშოვნი და დაგინთეფო. წავიდა ეს 20 ბიჭი ცეცხლის საშოვნელათ. შორს სადღაც ერთი მეძროხე ნახა, ცეცხლი ვნთო, გამუართვა ცეცხლი და წამოიღო. ჩაუარდა ცეცხლი ხის ცხენი ყურში და დეეწვა ცხენი.

ამ ბიჭმა თქვა: ნახა მე იმ ქალსაო ფიცი გავატეხინეო, მე აღარ მინდა სიცოცხლეო. თავი ხელით ვერ გაიმეტა თავი სასიკვდილოთ, თქვა: ისეთ 25 რამეს გავიკეთეფ, რო სხვამ მომკლასო.

ბევრი იარა, ცოტა იარა, ერთ ოქროს სახლს მიადგა. ის სახლი იყო გაკეთებული იმისთვინ, ვინც ინაზე რამეს გააკეთებდა, ის უნდა ყოფილიყო მეთორმეტე ხემწიფე. არჩეული იყო თერთმეტი ხემწიფე. მივიდა ის ბიჭი სახლთან ახლოს, ლაფი იყო იქ. ბიჭმა აიღო ლაფი, გაიქცა იმ ოქროს სახლში და 30 უსვანდა ლაფს. იმას ეგონა, რო აგრე რო ვიზამ, ყარაულები მომკლამენო. მაგრამ ყარაულები მივიდნენ სიცილით, წაავლეს ხელი და წაიყვანეს. მანძილზე რო წაიყვანეს, უთხრათ ამ ბიჭმა: — სადღა მიგყვეარყეო, რატო არ მომკლამთო?!

ყარაულებმა უთხრეს: — კი არ მოგკლამთო, უნდა შენ იყო მეთორმეტე 35 ხემწიფეო!

მიიყვანეს ეს ბიჭი და დასვეს მეთორმეტე ხემწიფეთ. დაიწყო მუშაობა.

ქალი რო დარჩა იქ ტყეში, ამ ქალმა მაილოგინა უპატრონოთ. ეყოლა ტყეში ვაეიშვილი. დაიწყო მუშაობა იმ ქალმა. როგორც ტყეში ნადირი, ხან ფოთოლსა-ქვამს და ასე-ახდის ამ ბაჭუშეფს. ერთ ადგილას, გზის პირას, ერთი 40 სორო ნახა, იქ დააბინავა ეს ბაჭუშეები.

ერთ დროზე მყუდროიანი დღეა და გარეთ გამოსულან ბაჭუშეები და იქ თამაშობდნენ. სოვდაგარი მოდიოდა გზაზე, დაინახა ბაჭუშეები, რო გარეთ თამაშობდნენ. ბაჭუშეებმა რო გაიგეს იმი ფეხი ხმა, გაიქცნენ და სოროში შეცვიდნენ დედასთან. სოვდაგარმა დაინახა, ეს ბაჭუშეები რო სოროში შეცვიდნენ, ბიჭეფს უთხრათ: — ისინი ადამიანები იყვნენო. 45

- ბიჭებმაც უთხრეს: — ისინი ნამდვილათ ადამიანები იყვნენო.
 უთხრათ სოვდაგარმა: — უნდა მოვთხაროთ ეს სოროო.
 მოახადეს ჯორ-აქლემს, დააყენეს და დაუწყვე თხრა. ამოიყვანე ორო
 ბაჭეში და იმათი დედა. სოვდაგარმა უთხრა: — შენ ცოლი და მე კმარიო!
- 5 ქალმა უთხრა: — მე მეორე ფიც ველარ გაჭტეხაზო.
 მაშინ სოვდაგარმა უთხრა ბიჭებს: — წაასხით ეგ ბაჭეშები და იქით და-
 უხოცეთ სადმეო!
- ბიჭებმა წაასხე ბაჭეშები, სოვდაგარს მუათარეს და არ დახოცეს, გა-
 უშვეს იგრე. სოვდაგარმა ეს დედაკაცი ჩასო ყუთში, დააკრა ჯორ-აქლემზე:
 10 და წამაიყვანა შინ, უთხრა: — თუ ცოლქრობაზე არ შემთანახმდებიო, ეგრე:
 მეყოლები სუ დატყვევებულიო.
- ეს ბაჭეშები იპოვნა ერთმა ხემწიფემ და დაზარდა იმან. ასწავლათ შკო-
 ლაში. რო კარგათ დანაშაკცდნენ, იმ ღროს იმ ხემწიფეს სხვა ხემწიფემ ჩხუბი-
 გამოუცხადა. ხემწიფე არ შეეთანახმდა ჩხუბზე. ამ ბიჭეთს ეწყინათ, რო თავი-
 15 მოუხარა, უთხრეს: — გამოიღნენ. ვიჩხუბოთო!
- ხემწიფემ უთხრა: — ის ხემწიფე იაან ძრიელი ხემწიფია და ჩვენ იმასთან
 ჩხუფს ვერ შევსლეთო.
- ბიჭებმა მაინც უთხრეს: — უნდა ვიჩხუბოთო!
 გამოუცხადა ხემწიფემ იმ ხემწიფეს: — თანახმა ვარ ჩხუბზეო.
- 20 დაიწყეს ჩხუბი. ბიჭებმა უთხრეს ხემწიფეს: — შენ ჯორი იქონიე მარტო
 ტვირთების პატრონობაშიო და ჩვენ მასალა მოგვიმარაგოსო.
- იმ ბიჭებმა ის სახემწიფო დაამარცხეს ერ თვის გამამავლობაში, წამო-
 იღნენ გამარჯვებულები ბოლოს. ხემწიფე გახარებული იყო, რადგან ის სა-
 ხემწიფო დაამარცხა. ამიტომ დიდი სადილი გამართა.
- 25 სოვდაგარი ამ ხემწიფის კარგი მეგობარი იყო. ამ სადილზე დაჯპატიყა
 სოვდაგარს. სოვდაგარმა უთხრა: — მე ისეთი ყუთი მაქო, რო იმას თავს ვერ-
 დაეანებებო. მადლობა შემოუთვალა ხემწიფეს. ხემწიფემ მაინც უთხრა ბი-
 ქეთს: — თქვენ დარჩით იქ ყარაულათო და ის წამოვიდესო სადილზეო.
- ბიჭებმა უთხრეს სოვდაგარს: — სახემწიფო ავიღეთო და იმდენი შნო არა-
 30 გვაქო, რო ერთი ყუთი შევინახოთ, ვიდრე შენ მოხვალო?!
- სოვდაგარი წავიდა, ბიჭები დარჩნენ ყარაულათ. რო დაღამდა, ერთმა
 უთხრა მეორეს: — შენ დაიძინეო და მე ვიყარაულებო, მემრე შენ იყარაულეო
 და მე დავიძინებო!
- იმან უთხრა: — მე არ მეძინებაო, შენ დაიძინეო.
- 35 იმან კიდე უთხრა: — არც მე მეძინებაო.
 — მაშინ მოდიო და თითო ზღაპარი წთქვათო.
- დაიწყო ერთმა თავი თავგადასავალი, მეორემ დავა დაუწყო: — აგრე მე
 ვიყაო. ყუთიდან დედამ დაუყახა: — შვილო, თქვენ რათა-აჩხუბოფთო?! თქვენ
 ძმები ხართო.
- 40 ამ ბიჭებმა გაიგონეს, თქვეს: — აქ ადამიანი ყოფილაო.
 აგლიჯეს ყუთს თავი, ამოიყვანეს თავიანთი მშობელი დედა, უთხრათ: —
 — თქვენ ძმები ხართო, ორნივ ჩემი შვილები ხართო, ორნივ ერთათ გაგაჩინე-
 ყეო. მე სოვდაგარმა დამიჭირაო, თქვენი თავი ბიჭეთს გაატანა დასახოცათო.
 იმათ აღარ დაუხოცნიათ თქვენი თავიო და დღეს ცოცხლები ხართო.

ბიჭებმა დედა მიიყვანეს თავიანთ გამდელ ხემწიფესთან. სოვდაგარმა რო დაინახა, მაშინვე გული შაულონდა, ხემწიფეს უთხრა: — ჩემი დაპატიჟება გინდოდა, თუ სახლის გატეხვა გინდოდა? ახლა მე გიჩივლებო.

წავიდა და იჩივლა მთავარ მეთორმეტე ხემწიფესთან. დაიბარა ხემწიფემ ის ხემწიფეც და სოვდაგარიც. მეთორმეტე ხემწიფემ ჰკითხა ბიჭების გამდელ ხემწიფეს: — სოვდაგარს სახლი რათ გაუტეხეო?

ხემწიფეს პასუხის მიცემა აღარ დააცალა ბიჭების დედამ: — თუ შეიძლება, მე სალაპარაკო მაქ, მადროეთო!

ქალმა უთხრა თავი თავგადასავალი. ამ ხემწიფემ ყველაფერი სუ გაიგო, ქალმა რო ილაპარაკა. გაუშვა სანღში იმ დღისით სოვდაგარი და ხემწიფე, 10. უთხრათ: — ხვალ მოხვალთ და გაგასამართლეთო.

ქალი და ბიჭები იქ დაიტოვა. ქალს ჰკითხა იმ ხემწიფემ: — ვერ მიცნოვ მეო? მე ვარო შენი ქმარიო, ხის ცხენით რო წამოგიყვანეო. ის დემეწვაო და ველარ გიპოვნეო. რადგანაც ველარ გიპოვნეო, ჩემი თავი სასიკვდილოთ გავწირეო, მაგრამ ჩენი ხელით ვერ გავიმეტე ჩემი თავი სასიკვდილოთო და 15. ასეთ საქმეში ჩამაბესო.

იმ ხემწიფემ თავი თავგადასავალი რო ქალს უამბა, დარწმუნდა ქალი, რო ის იყო მისი ქმარი. გადაეხვია და დაკოცნა ცოლიცა და შვილებიც.

მეორე დღეს მოიდნენ ხემწიფეცა და სოვდაგარიც. ხემწიფემ უთხრა ხემწიფეს: — ესენი ჩემი ცოლი და შვილები არიანო. შენაო ჩემი შვილების გასამდლო მიიღეო, რასაცა მთხოვ, მოქცემო. 20.

ხემწიფე ძალიან დალონდა, რო თავი გადღილ ართმევედა. მაგრამ უთხრა ხემწიფემ: — მადლობას გიხდით და შენი გასამრჯელო მიიღეო.

მეტი რალა გაეწყობოდა! დათანხმდა. დიდი ჯილდო გადაუხადა ხემწიფეს. ეხლა სოვდაგარს უთხრა: — რადგან შენი მხრიდანაო აობით ცოლ-შვილი 25. ვიპოვნეო, სიკვდილს გაპატიებო. ხემწიფემ დაითხოვა სოვდაგარი.
სოფ. მახარაძე

169. ორი ძმა

ორი ძმა იყვნენ, ცხოვრობდნენ ერთათ. ერთი ძმა, რომელიც უფროსი იყო, აღრე დაქორწილდა, შვილი არ ეყოლა, უშვილო დარჩა. მერე მეორე ძმაც დაქორწილდა თავი დროზე. იმის ცოლი მალე დაორსულდა. უშვილო 30. რძალმა შურიძიება აართვა, რადგან ის დაორსულდა და მას არა-აყავ არათერი. ქმარს უთხრა თავისას: — ეს ეხლავე დაორსულდა, ამაზე ბევრი შვილები გაუჩნდებაო, ჩვენ არა კვყავ არავინაო და შესანახათ ეგენი გაგვიხდებო. გავეყაროთო და ჩვენთვინ ვიცხოვროთო.

ძმები გაიყარნენ და თავ-თავიანთვინ დაიწყეს ცხოვრება. დიდი ძმა ავარა 35. იყო, არა მუშაობდა სახლში, პატარა კი ყოჩალი იყო და მუშაობდა თავის სახლში. დიდმა ძმამ უთხრა: — წავიდეთ სხვა სოფელშიო, ფული ვიშოვნოთო. ის პატარა ძმაც გააყვა. რამდენიმე ადგილას გაიარეს, ერთ ჯვარედინა გზაზე მივიდნენ, იქ დასხდნენ და შეისვენეს, მოილაპარაკეს: — ერთათ ხო ვერ წავალთო, სხვადასხვა მხარეზე წავიდეთო და მოჯამაგირეთ დაუდგეთ ვისნეო. 40. წლის ბოლოს ისევე აქ მოიდეთ და ერთმანეთ მოუცადოთო.

ის პატარა ერთ კაცთან მივიდა და მოჯამაგირეთ დაუდგა. ის დიდი ძმა სხვა სოფელში წავიდა და დაიწყო მუშაობა დღითერთათ. ერთ დღე რო იმუშავებდა, მეორე დღე ქამდა იქვე, ფულ არ ინახამდა. წელიწადი რო

- გავიდა, პატარა ძმამ ჯამაგირი სუ მთლათ წამოიღო შინ და იმ დანიშნულ ადგილზე მოიდნენ. უთხრეს ერთმანეთს თავიანთი ამბავი. პატარამ უთხრა: — მე ფული ამთენი ვიშოვნეო. პურიცა და ტანსაცმელიც სხვისა იყოეო. შამინახა სოვდაგარმაო.
- 5 დიდმა ძმამ უთხრა: — ერ დღეა რო ვიმუშავებდი, მეორე დღეა ეკამდიო, მე ფული არა მაქო.
წამოიდნენ სახლისკენ.
- ერთ ადგილაჲ ხევში დაუდგა წინ დიდი ძმა პატარას: — უნდა ფული მამცეო, თორე მოკლამო.
- 10 პატარა ძმამ უთხრა: — რატო არ იმუშავე, რათა-მკანდიო, მე რათ უნდა მოქცეო?! არ აძლევდა. — ნახევარს მოქცემ, თუ გინდაო.
— არა, სულ უნდა მამცეო.
ამაილო ხანჯალი და კლამდა. მერე უთხრა ამ პატარა ძმამ: — კარგი, ნახამ მკლამო, ორ სიტყვას დაგაბარეფ და ჩემ ცოლ უთხარიო. ჩემ ცოლსაო
- 15 ორი შვილი, ორივე ვაჟები ეყოლებაო. ერთ დაუძახოს „ახ, ღმერთო“ და მეორეს — „სადა ხარ, სამართალო“.
- მოკლა ეს პატარა ძმა დიდმა ძმამ და ის ფული სუ ამაილო და წამაილო სახლში. რო სახლში მოიდა, რძალი მივიდა და კითხა:
— ჩემი ქმარი რა იქნაო?
- 20 — არ ვიციო. ერთ ადგილიდან გავიყარენითო, ის სხვა გზაზე წავიდაო და მე სხვა გზაზეო. ამის მეტი აღარ ვიცი იმის ამბავიო, ხოლოთ ის დამაბარაო: შვილები რო გაგიჩნდეს, ერთს „ახ, ღმერთო“ დაუძახეო, მეორეს — „სადა ხარ, სამართალო“.
- რო მაილოგინა, ეყოლა ორი შვილი — ვაჟები. ერთ დაუძახა „ახ, ღმერთო“, მეორეს — „სადა ხარ, სამართალო“. ეს ბავშვები რო დაიზარდნენ, მაიკითხეს მამა. დედამ უთხრა: — წავიდა სამუშაოთ და აღარ მოიდაო.
- ე ბავშვები რო მოიზარდნენ, დაიწყე ტყეში ტარება. სალამოთ მოქონდათ შეშის გუდურები. ამ დროს ერთი კაცი მოდიოდა გზაზე და ჰკითხათ ამ ბავშვეფს: — ვისები ხართო?
- 30 ბავშვებმა მიუგეს: — ჩვენ მამა აღარა კყაო, სადღაც წავიდა სამუშაოთ და ვილაკამ მოკლაო. სახელები ჰკითხათ კაცმა ამ ბავშვეფს. დიდმა უთხრა: — „ახ, ღმერთო“ მქვიანო, პატარამ — „სადა ხარ, სამართალო“ მქვიანო. ე კაცი დაფიქრდა: ე სახელები რანაირიაო?! ბავშვეფს უთხრათ: — იმადთან სხვა ვილა იყო სამუშაოზეო?
- 35 ბავშვმა უთხრა: — ბიძა იყო ჩემიო.
კითხა: — ფული მოიტანა თუ არაო?
ბავშვმა უთხრა: — ფული მოიტანა იმან ბევრიო.
ეს კაცი დაფიქრდა და გაიგო, რო ძმიზგან იყო მოკლული.
- კაცმა ბავშვები წამაახსა სასამართლოში, უთხრა სასამართლოს: — ამათი მამა მოუკლამ ბიძასო, ფული ამოუტლია და თითონ წამოუტლიაო. დაიბარეთ ამათი ბიძა, კითხეთ, რო ის კაცი რა იქნაო?
- დაიბარეს და კითხეს. — არ ვიციო. წასვლით ერთათ წაველით, მეგრე გავიყარენით და აღარ ვიციო.
- ე ბიძა დაიჭირეს, ცემეს და ახში ათქმევინეს. ფული წაართვეს, იმ ბავშვეფს მისცეს, ის კიდევ ციხეში ჩასვეს.
- 45

170. ზანზარა

უშვილო იყო ერთი კაცი მკედელი. ნახა სიზმარი. სიზმარში მივიდა ერთი კაცი და უთხრა: — მოიმზადე ყოველაფერი, უნდა მოგკვდეთ!

ამ კაცმა დედაკაც უთხრა: — დედაკაცო, ეგეთი სიზმარი ვნახეო.

— კაცო, სიზმარ რას უჯერეფ, ეგ სიზმარი ტყუილი იქნებაო. 5.

კიდევ მოიდა მეორე ლამეს და უთხრა: — უნდა მოგკვდე! შენი ცოლი ფეხმძიმეთ არი ეხლა. იმას ეყოლება ვაჟიშვილი, იმას უნდა დაუძახოთ ზანზარაო!

ამ კაცმა მაიმზადა ყოველაფერი. მაინც მოკვდა ეს კაცი. დედაკაც გაუჩნდა ვაჟიშვილი ზანზარა. ამ ბიჭ ეძახიან მკედელიშვილს (მკედელი იყო მამამისი). ეს ბიჭი მივიდა თავი მამის სამკედურში და იქა ნახა რკინები ბევრი. მერე უთხრა დედას: — დედავ, მშვილდ-ისარი უნდა გავაკეთებინო ამ რკინე-ბისაო. წაიღო და გააკეთებინა მკედელს მშვილდ-ისარი. მივიდა მერე მკედელთან ზანზარა, მშვილდ-ისარ მოაწვია და მოხარა, უთხრა: — ხელს არ მამცემს ესო. 10.

უთხრა მკედელმა: — მიშველე და გავაკეთოთ, მე ვერა ვძრამ მეტსო.

უშველა და გააკეთეს. მაშინ თქვა: — ეს კარგია, იოლათ წავაო.

მერე ადგა ამ ბიჭმა და დაიწყო ნადირობა. ამ ნადირობაში მიადგა ერთ დევების სოფელს. დაუწყო ან დევეფს ხოცა. ეს სოფელი სუ ამოწყვიტა. მერე დაბრუნდა სახლში, მოიდა დედასთან, უთხრა დედას: — წავიდეთ დევების სოფელშიო, სახლები იქ არი და ყველაფერი ცხოვრებაო. 15.

წავიდნენ მემრე და იქ იცხოვრეს მათ.

ერთი დაქრილი დევი სარდაფში დამალულიყო. მემრე ამ ბიჭმა ნადირობა დაიწყო ტყეში, დედა მარტოკა სახლში დარჩა. დედა დადიოდა იქ, სახლეთში, ყველა სახში შადიოდა, ნახა, რო იქ დევი არი. ამ დევს უთხრა: 25.
— ამოდი აქაო.

დევა უთხრა: — ვერ ამუალო, მამკლამს შენი შვილიო.

ახში ის დევი შეირთო დედაკაცმა ჩუმათ და ის დედაკაცი ინახამდა იმ დევ სარდაფში, იქ უზიდამდა საკმელს, სასმელს. მაილაპარაკეს მემრე (ბიჭის სიკვდილი უნდოდათ). უთხრა დევმა: — მაიავანტყოფე თავიო და მაითხოვეო უკდავების მწვანილიო. იმ მწვანილთან ცხრათავიანი დევია და ის მოაძკლამსო. 30.

დედაკაცმა მაიავანტყოფა თავი და უთხრა შვილს: — უკდავების მწვანილს თუ მამიტან, მოვრჩებო, თუ არა და მოვკვდებო.

ადგა, წავიდა ეს ბიჭი, მიაგნო იმ უკდავების ბაღს და შევიდა, კრეფა დაუწყო მწვანილს. დევმა დაუძახა: — ვინ შამოსულხარ მაგ ბაღში? მალლა ფრინველს ვერ გაუვლია ჩემი შიშით და ძირ კიდე მიწაზე ვერავისო! 35.

ზანზარამ დაუძახა: — შორსა ხარ, ხმას ვერ გაგცემ, ახლო მოხვალ, პასუხ მოქცემო!

წამოიდა დევი გაჯავრებული, ცეცხლი ამოადიოდა პირიდან. სანამ ახლო მოიღოდა, მშვილდ-ისარი ესროლა და მოკლა. დაქრიფა მწვანილი და წამაიღო, მოუტანა დედას. დედამ ქამა და კარგათ გახდა ტყუილი ავანტყოფი. 40.

მერე გავიდა ერთი კვირა, კიდევ მაიავანტყოფა თავი (მემრე მეელაპარაკა დევი კიდევ). დედამ უთხრა: — მთაშია ერთი ორბი, ერთი დიდი ხე დგა იქ და ზეთ ბინა აქ იმორბს. ისა-დღის წელიწადში სამ შვილ და ყველ წე- 45.

ლიწადში სამ შვილს და ყველ წელიწად გველაშაპი უქამს. იქ წადი და ორბი შვილის ღვიძლი მამიტანე და მოვრჩებო.

შვილი ადგა და წავიდა. კითხვა-კითხვით მივიდა ხეთან. ის ბუდე ზეთ არი ხეზე, ბლარტები ბუდეში არიან. მივიდა ეს ბიჭი და ხეს ქვეშ გრილოში დაჯდა. ორბი წასულა. გველაშაპს გაუგია, რომ ორბი არ-ალი ბლარტებთან (ზანზარას დეეძინა გრილოში). ამ ორბის ბლარტებმა ქყვილი დაიწყეს, გველაშაპი მოდის ჰაერიდან. ამ ქყვილზე ზანზარას გველვიდა. რომ წამაიხედა, დიდი ქარბუქი მოდის ჰაერიდან. გაარჩივა, რომ საზარელი მოდის რალაცა. ესროლა შვილდ-ისარი და გაწყვიტა გველაშაპი შუაზე. ნახევარი ისევ ცო-
10 ცხალია და გაუქანდა ზანზარას. ზანზარამ მშვილდ-ისარი მიეცა ყბაში და გა-
იდრო ხანჯალი. ცალი ხელით პირში მშვილდ-ისარი ეკირა, ცალი ხელით კი კუწამდა გველაშაპს. მოკლა გველაშაპი, სუ გააძთავისუფლა ორბის ბლარტები.

გაუგია ორბს, რომ გველაშაპი წავიდა შენი შვილების დასაქმელათო, მო-
15 დიოდა ორბი ძალიან გაჯავრებული, უნდა დაეცემოდა ზანზარას. მიეშველა
ბლარტი გზაში: — გადაგვარჩინა ერთმა კაცმა და მოკლა გველაშაპიო.

დეეძინა ზანზარას. მიადგა მზე. ორბმა გაშალა თავი ფთები და ზანზა-
რას მიაყენა გრილო. რომ გემეღვიდა ზანზარას, დიდი მადლობა გადაუხადა
ორბმა. მემრე ჰკითხა ორბმა: — თუ არა გიქირდეს რა, შენ აქ არ მოხვიდოდო!
უთხრა ზანზარამ: — დედა მყავს ავათ და შენი შვილის ღვიძლი მააწავ-
20 ლეს წამლათო.

ორბმა უთხრა: — ერთი შვილი შენ და ორი კიდენ მეო! შვილეთს უთხ-
რათ: — რომელი წახვალთ მაგასთანაო?

უარი თქვეს, რომელიც დიდები იყვნენ, პატარამ კიდე თქვა: — მე გა-
ფყვებო. ბიჭი წამოიდა და წამაიყვანა პატარა. რომ მაიყვანა სახლში, დედამ
25 აღარ დააკვლევინა: — იყოსო, მარტოკა ვარ და ამას მაინც უყურებო.

დედაკაცმა კიდევ მაიავანტყოფა თავი. მემრე უთხრა დედამ (დევი ააწავ-
ლის): — ერთ ალაგას ტყეში ციხე არიო, ყოველი სულდგმური იქ დამწყვდე-
ული არიო, შიგ უკვდავების რძეო, ორი კაცია შიგაო, ერთი პური აქთო.
თუ იმ რძეს მამიტან, მოვრჩებო, თუ არა და მოვკვდებო. ზანზარა წავიდა
30 გაჯავრებული. მიდის გზაზე, ეძფეს იმ ციხეს. ერთი კაცი შაფედა იმას გზაზე-
იმ კაცმა-გკითხა: — საით მიდიხარ შენო? ზანზარამ მაიხედა და მოგლიჯა ერთი
ხე და გაისროლა. ცოტა იქით რომ გავიდა ზანზარა, მან იფიქრა და თქვა:
რათ მკითხა იმ კაცმა, სად მიდიხარო? დაუძახა, ეს კაცი ისევ მააბრუნა და
უთხრა: — რათა მკითხე, სად მიდიხარო?

35 კაცმა უთხრა: — კიდე იმას გეტყვი, მითხარ, სად მიდიხარ და გეტყვი
მაშინო.

ზანზარამ უთხრა: — ციხესთან მივდივარო.

კაცმა უთხრა: — ეხლა გეტყვიო: იქ ერთი ბოძია დარქმული ციხეს აქა-
დან. როგორც გადახვალ იმ ბოძის იქით, მაშინვე გაგქანეფს და ზედ შაგი-
40 ნარცხეფს და მიგიკრამს. თუ რამე რკინა გაქ ზედ, ყველაფერი აიყარე და იქ
დააწყე, იმ ბოძთან და ისე მიდიო!

დააწყო იქ იარალი და მივიდა იგრე. შამოუარა გარშამო და ბევრი ხალხი
ჰყავდა გაქვავებული და ზედ მიკრული. იმან იფიქრა: რა უყო ახლაო? ამის
გატეხა არ იქნებო.

45 გამობრუნდა იქიდან ეს ბიჭი და გამოზომა ლაჯით ეს ალაგი. მემრე
ჩაშკრა მიწა და დაუწყო მიწას ქვეშ თხრა. ამოდოდა ხოლმე მალა მიწიდან

და უპირდაპირდებოდა იმ ციხეს. კაი ხანი გავიდა იმ მიწის თხრაში. ავიდა მიწიდან იმ ციხეში. იმ იატაკქვეშ რო მივიდა, აჰკრიფა და შაიტანა მაშინ თავისი მშვილდ-ისარი და დაანგრია იატაკი. შიგა ზის ორი კაცი, ერთი პური აქო, ერთი ჯამი რძე. იმ პურსა-ჟამენ, ისევ მთელია, რთეც ულეველია. ძალიან ეწყინათ იმათ იმისი აქ შესვლა. ყოველი ფრინველი და ერთი ქალი იქ დამწყვდეულია. თხოვნითი თხოვა ამ კაცეფს: — მომეცით ეგ რძე და ეგ პურიო!

— ჩვენ რო ეგ რძე და პური მოქცეთ, ჩვენ რითლა ვისაზროლოთო?

ბიჭმა ეს ციხე შიგნიდან დაანგრია. ყველა გეეშვა დამწყვდეულები. ეს მტრედები რო გაფრინდნენ, მტრედმა მტრედს უთხრა: — ეგ კარგათ თვალ-ქვეშ შავინახოთ, უნდა ვიცნოთო! ზანზარა წამოიდა და წამაიყვანა ქალი, რძე და პურიც წამაიღო. იმ კაცეფს ორიოდე პანლური უქირა და უთხრა: — წადით თქვენ თქვენ გზაზეო!

ქალმა გზაზე ღონება დაიწყო: — საით წავიდე მეო? მავან სოფლისა ვარო. 15

ზანზარამ უთხრა: — წადი აი ამ გზაზეო, შენ ნუ გეშინიანო! თუ ვინმე შეგხედეს და ცუდი სიტყვა გითხრას, უთხარი, — მე ზანზარას და ვარო, მაშინ შენ ხმას ვერავინ გაგცემსო.

გეემშვიდობნენ ერთიმეორეს დაძმურათ და წავიდნენ თავ თავიანთ გზაზე. მოიდა ზანზარა და მოიტანა რძეცა და პურიც თავი დედაძთან. დედამ ქამა რძეცა და პურიც, მემრე უთხრა შვილს: — შვილო, ბევრი გაწვალე, მაშვიკვდეს თავიო.

ზანზარამ დაისვენა ერთი კვირა. მემრე დეემა ბანგი იშოვნა სადღაც, შაატყუა დედამ ღვინის მაგივრათ და დეეძინა. გააჭურეს ცეცხლში რკინის შამფურები და მძინარეს დაათხარეს ორივე თვალეში. რო გემეეღვიძა, თვალები აღარა-აქონდა.

ზანზარამ ორბს უთხრა: — წამიყვანე და გზაზე გამიყვანეო!

გაიყვანა ერთ შარაგზაზე (შოშია გზაზე), იქ დასხდნენ გზი პირზე, იქ თხოულობდნენ პურს.

ზანზარამ რო ქალი გაუშვა ციხიდან, ის ქალი იყო მდიდრისა. იმ ქალმა გააკეთა იმ გზაზე სამადლო ღუქანი. ვინც მიდიოდა და მოდიოდა, ის ქალი უფასოთ აქმევდათ ზანზარას სადღეგებლოს. მემრე გამაიარა ლეკის ურმებმა, ზანზარამ უთხრათ: — ჩამიყვანთ ერთი ქალაქამდინო!

ამ ურმებმა რო გაიარეს იმ სამადლო ღუქანთან, იმ ქალმა დააყენა ურმები, უთხრათ: — მოდით აქაო! ლეკებმა ღვინო არ დალიეს, იმათ ხილი მუშტანათ. დაასხა ჭიქაში ღვინო იმ ქალმა, ქალს ჭელიდან გეეშვა ჭიქა და გაუტყდა, უთხრათ: — კიდე გეყოლებათ ვინმეო, თორე მე ჭიქა არ უნდა გამტეხოდანო!

უთხრა ერთმა ლეკმა: — აქ ერთი ბრუციანი კაცი კვყავსო.

მაიყვანეს ზანზარა, გედეეხვია და დაკოცნა: — ძმაო, ეს რა მოქსელიაო?! ქალმა ის ღუქანი მოშალა და ზანზარა წამაიყვანა შინ თავიანთას. გზაზე რო გადიოდნენ, ერთ გრილოში დაისვენეს. იმ გრილოში ქალსაც დეეძინა და ორბსაც. მოიდა ორი მტრედი: ერთი დედალი, ერთი მამალი. მტრედი მტრედს გეეხუმრა:

— მაგის დრო არ-აღიო, — მტრედმა უთხრა მტრედს, — მე პწყრიალ და- 45

ვიწყებო და ერთი თთა გამუარდებო, ის მისვას თვალებზე მაგ ჩვენმა გამშვებმაო და თვალები, როგორიც ჰქონდა, ისევ ისეთი გაუჭდებო.

ზანზარამ უთხრათ ორბსაცა და თავი დასაც: — თთა ჩამუარდა აქა და მიპოვნეთო!

5 ადგნენ, იპოვნეს. თავი დას უთხრა: — შენ იქით იყურე ეხლო, მე თვალები ანიხილდებო და არ შეგეშინდესო!

თთა რო მოისვა თვალებზე, აუხილდა თვალები.

წამოიდნენ ახლა გახარებულები თავი დის ოჯახში.

გავიდა წელიწადი. მემრე თქვა ზანზარამ: — სამთხოვრო ტანისამოსი მა-
10 მეციო! ჩაიცვა სამთხოვრო ტანისამოსი და ადგა, წავიდა იმ დევების სოფელში, საცა თავი დედა იყო. იმ დროს მივიდა, რო ქეიჯობა აქთ. რო მოილა, დევებმა სასაცილოთ აიგდეს ეს მთხოვარა. თავის მშვილდ-ისარი კარეფში გდია. დევებს ვერ გადაუგდიათ. მივიდა და ზედ მშვილდ-ისარზე დაჯდა ზანზარა. დევები სასაცილოთ იგდებენ და ლვინოსა-აღევენ ყველანი კას-

15 რით. მთხოვარას დაუსხეს და მათწოდეს. ზანზარამ გადაჰკრა ლვინო. იქ ერთი კოკლი დევი იყო, ის ლვინოს ვერა-აღევედა. თავი წილი ლვინო მთხოვარას მათწოდა. ზანზარამ დალივა. მერე ადგა ზანზარა ფეხზე. უთხრათ: — ერთი კიდე დამალევინეთო! — გეყოფა ეგაო. არ დაალევინეს. ზანზარა ადგა და თან აიყოლა მშვილდ-ისარი. სუ დაჯოცა, ვინც იყვნენ იქ, თავი დედა გადაანარ-
20 ზუნა და იმისი საყვარელი. კოკლი დევი არ მოკლა, გადააგდო ფერდაში-
უთხრა დედას: — შენ მოგკლა თუ შენი შაყვარებულიო?

დედა ვერ გაიმეტა, მოკლა იმისი შაყვარებული. უთხრა დედას: — დედავ, რათ მიყავ ეს ოინი, რა დაგიშავე მეო? თუ მე ვტყუოდე შენთანა, მე, ვიქცე ნაცრი გორათა, თუ შენა ტყუოდე, შენ იქცე ნაცრი გორათაო! მე,
25 სიკვდილით ვერ გაგიმეტეფ, რო ჩემი ხელით მოგკლაო.

დედა იქცა ნაცრი გორათ. წამუუბერა, წაილო ქარბუქათა.

ზანზარა წამოიდა თავი დასთანა და იქ იცხოვრა თავის სიცოცხლემდინ-

ქირი იქა, ლხინი ჩვენთან.

სოფ. დარბა.

ქისიუური ტექსტები

171. ფერმის ერთგული

მე ვიყავ საქონელში აზდილი, იქ გავატარე ჩემი სიჯვილე, არ მიყვებ წერა-კითხვას. ვიმყოფებოდი კამერობაში რვა წელიწადი ფერმის ერთგულათ. უველიდით ზაქეფს, ვდიდით ას პატარა ზაქს. ზეთ კყვანდა ექვსი ძალი. 5

ერთ დროს შემეგვესივა აფთარი, მოგვიკლა ოთხი ახალგაზდა ზაქი. გადუდექით წინ, მაგრამ გაჯავრებულმა აფთარმა ჩვენ შემოგვიბრუნა თათები. შევექიდედით დასაქერათ, მაგრამ აფთარმა იქმარა თავისი ძალა, იგდო ერთი ამხანაგი ქვეშ. დევესივენით ორნი სხვები იმ აფთარსა, რომენსაც ჯელი ვტაცევით და დავიქირეთ ცოცხალი ნადირი, მოიყვანეთ ბინაში. 10

სოფ. ჯაფარიძე

172. ეგრე ვატარებდი დროს

პატარა რო ავიზარდე, წავედი მოჯამაგირეთ. წელიწადში მქონდა თუმანი. ერთ კაცთან ათი წელიწადი ვიყავი. ხუთი წელიწადი მზარეულათა ვყვანდი. მემრე მინდორში დავდიოდი. მემრე გამუელ იმიდამ, ეხლა სხვაგან წაველ, შეკალუეთ დავდექი. მაძლევენენ ისინი კიდენე ჯამაგირ — ათ კოდ, ხუთმეტ კოდ. ეგრე ვატარებდი დროს. 15

მემრე ცოლ-შვილი ვიქონე. ჩემთვინ ურემიც შავაბი, გავიმართე, გუთანიც შავაბი. ჰოდა, ეხლა კიდენე კოლმეურნეობაში შეველეთ ვარ.

სოფ. ტიბანი

173. სხვითა მოჯამაგირე

ორმოზდაშვიდი წელიწადი სუ სხვითა მოჯამაგირე ვიყავ. ერთი ღამე 20 თავისუფლათ არა მძინებია. ეს დრო რო მოიდა, მოჯამაგირობაჲ დევეხწივე და გამიხარდა. ჩემი შვილები სწავლაზე წავიდნენ და ისწავლეს. შვილებმა რო დაწერიან, მე მიხაროდა: ეხლა კი კარგათ არი ჩემი საქმე-მეთქი.

სოფ. ბოდბისხევი

174. პეელი სახლი

მე დავიბადე ჩალურ სახში. ძველათ სახლი იყო წნურისა, ზემოდან და-ხურული ჩალით. დაბლა მიწა იყო, შუაზე — დიდი ცეცხლი. საცა ცეცხლი

11. კახური დიალექტი

ენტო, იქ იღვა კერა. იმაზე მოიტანდით ხონჩით და დავდგამდით პურ. ყველა მივაწვდებოდით და ავიღებდით პურს და ჭკამდით. კარები ღია იყო, ფანჯრები არა-აქონდა. კომლი ვადიოდა კარებიდამ. მოიტანდით დიდ შეშას კარებამდინ ჯარებით, დაუღებდით ცეცხლ. მუგზური ჩაუქრობლათ იწვებოდა. 5 მემრე ჩემა ძმებმა გააკეთეს სახლი, ფანჯრები დაატანეს და ბუხარი დადგეს, მაიყვანეს ცოლები და შიგა ცხოვრობდნენ.

სოფ. ტიბანი

175. ძველი ჩვეულება

ქიზიყში წინათ ეგეთი ჩვეულება ყოფილა: ქალს რო ითხოვდნენ, თურმე მამამთილ არ უნდა დეელაპარაკოა.

10 ჩემი პაპა მოსულყო ბაზრიდამ, რძლისთვი ეთქვა: დილით ადრე გამალვიძეო. რძალი თურმე ხმას ვერ ძრახამს, ვერ გააღვიძა. მეორე დღეს შუადღემდინ ეძინა კაცსა. წამოიხედა შუადღისაჲ და გეეჯავრა, უთხრა: რა დაგიშავე დღეჲ იგეთი, რო ქერი მოსამკელი დამჩაო. მე ხო შენთვინ უხე-
ირო არ გამიკეთებიაო, რატო არ დამელაპარაკებო?

15 მერე, მასკვან დეელაპარაკა.

დაბა წნორი

176. ნეფე და პატარძალი

ქალი რო დანიშნიან, ბიჭმა არ იცოდა. მემრე წლამდინ ეგრე იყვიან. ქორწილი რო ქნიან, მაშინ გაიცნიან ერთმანეთი. სამი დღე და ღამე ქორწილი ქვონდის ხოლმე.

20 ქილა დავკიდით მალლა კოჭზე, შიგ კაკალი იყვის, მაყარი შამოჲკრამდა ხანჯალს და დაიფანტებოდა კაკალი.

ნეფე და პატარძალი რო შამოიდოდა კარეფში, ერთი თეფში იდო. რომელიც ფეჭ წინ დაეცემდა, იმის ნებისა გამოიდოდა ის. მემრე გაშლიდნენ სუფრას, დასხდებოდნენ ძირს და ძიხვებით დაიწყებდნენ ღვინის სმას. სამი დღე 25 და ღამე ქეიფობდნენ.

სოფ. ქვემო ბოდბე

177. საკვლეველი

მე რო დანიშნული ვიყავ, დიდ სინზე გამაიტანა მამაჩემა საკვლეველი, თონეზე დადგა. მობრუნდა უკან და ორნივე კარები გასხნა, უნდა შამაიმღეროა და შამაიტანოა. იმ დროჲ ძალლი შაახტა, დაავლო პირი ინდაურს და 30 გაიტაცა. მამაჩემა მაინც შამაიმღერა და შაითამაშა. იმან არაფრათ ჩაიკმარა ის, თქვა: არ ღეგედარდოთო.

სოფ. ბოდბისხევი

178. აშხარობა

ერთ კაც მიეცემდით ქამარ ჯელში. ის გაიქცეოდა, გაუდგებოდნენ სხვები. თუ მარდი იყო, დანიშნულ ადგილამდინ მივიდოდა, თუ არა და დაიჭირავდნენ. ეხლა სხვაა მიეცემდნენ იმ ქამარ, ეხლა იმაა გააქცევდნენ. თუ ბინამდინ მივიდა, მოგებულა.

5

სოფ. ქვემო მაჩხაანი

179. ბატონი და პაპაჩემი

პაპაჩემი იყო ყმა. სამი დღე უნდა იმუშაოს ბატონთან, სამი დღე — თავისთინ კვირაში. ამ სამ დღეშიაც მონაწილოფს ბატონი.

პაპაჩემს ყვანდა ხუთი შვილი ვაჟები, ოთხი ბატონთან, ერთი ყვანდა მოპარული შვილი. თავისი შვილი ბატონ მოაქპარა და მიეცა ოჯახი შვილს 10 კერძოთ. იმან სამი წლის გამამაელობაში მიეცა ორი ჯარი. ამ დროს დააბიზღეს ყმა: შენ შეგიძინია უჩემოთ ორი ჯარიო. პაპაჩემს არა-აქონდა გომი. საცა თითონ ცხოვრობდა მიწურში, უკან გააკეთა გვირაფი, გამოთხარა და შიგ დამალა თავისი ორი ჯარი. გაიგო ბატონმა.

პაპაჩემი თავისი ცოლ-შვილით შქამდა ღოლოს შექამანდს (შიგ ჩანტე-15 რეული არი ფეტვის მქადი). ამ დროს მივიდა ბატონი ყმის გომურში თავისი დიდი ყავარჯნით, შიარახუნა კარები და უყვირა: უჩემოთ ჯარები რო იშოვნენ რა უყავიო?

თურმე გამოილალა უღელი ჯარი ბატონმა თავისი ყმებით.

სოფ. ტიბაანი

180. ფოშტი ფული

ჩენი ყოფა-ცხოვრება ეგეთი იყო თავიდანვე: ცხრა ძმანი რო ვყოფილიყავით, ერთი ჯელი ტანისამოსი ქვონდა, სუყველა იმაში უნდა დაეკორწილებულყავით. ერთი სახლი ქვონდა იმოტოლა მეოჯახეს. სახლსა ჩალა გვეხურა.

ღამე და დღე მინდორში ვეყარენით საქონელში.

ვენაჭი რო ქვონოდა, სარსაც ვერ მოვკრიდით, რო შეგვედგა. მიწაზე 25 ეყარა ვაზი და ყურძენ ეგრე ვკრეფამდით. მინდორში რო გეგებენა, აქა-იქი იყო ნაწნავი. იმთენი შნო არა-აქონდათ, რო ბევრი ეწნათ და შეეყვანათ მოსავალი სამყოფისი. ეხლა სიმიინდი ეგეთ ადგილაჲ მოკვეყავ, რო ჩვენ იქ საქონელსაც არ ვაძუებდით. მაინც მშნობა ეგეთი ყოფილა.

ტრაქენიკები რო მოიდიან ფოშტი ფულზე, ახალ წლამდინ სუ ოჯახში 30 იდგნენ, აღონებდნენ ოჯახსაცა და ხალხსაცა. იმთენი ფული არ იყო, რო ფოშტი ფული შეგვეშორებინა. ახალწელიწადი რო შასრულდის, დარჩომილი ფულეები ვალათ გადაადღიან. მეორე წელიწად ფოშტი ფული ჯელმეორეთ გაგვაწერის.

სოფ. ქვემო ბოდბე

181. შირაქის მინდორში

- გუთნითა ჭანამდით. მამაჩემ ტალიანი თოფი ზედ ეკიდა, ჭმალი და დამბაჩა წელში ქონდა. გუთნით რო ჭანამდით, წინ აგვიდგის გველი და წამოიდის ჩვენყე. დაეყენით გუთანი, გამოიდიან ჩემი ძმები და გაიქცნიან. მა-
- 5 მაჩემმა დაძახის: ნუ გაშინეფთო! მამაჩემი მივიდის გვერდიდამ ტლმით და დააჭკრის კისერში და გადახტის უკან, რო ბოლო არ მაიქნივოს და შიგ არ მამატანოსო. გამაიქცის მემრე კიდე და დააჭკრის ჭმალი შუაწელში და გაიქცის უკან კიდე. მემრე გაძაიქცის კიდე და დააჭკრის ბოლოსაყე. მემრე მუჟუნდის თავში, დააყარის თავში ჭმალი.
- 10 ისა ჯოცამდა გველებ, ჩვენ ვერა ვებდამდით, დიდები იყვენენ გველები, გვაშინებდნენ.
- იმ შირაქი მინდორში გველები და ყაჩაღები იყენიან, ხალხი არ იყო. ჯოგი და ჯოგი ნადირი იყო მგელი. ძროხაჲ გაიჭლებდნენ, მაშინვე შაჰამიან. სუ ქუჩათ უნდა გვევლო კაცებ, ძროხებ, ძაღლებ.

სოფ. ბოდბისხევი .

182. გუთნით ჭვან

- გუთნი თავი ჯარებათ არჩევდნენ კარგ, ჭკვიან ჯარეფს, რო კარგა იარონ და კვალი წორეთ გაატარონ. აქ უდგა გუთნი თავი მეჭრე.
- წინა ჯარებსაც კარგებს ურჩევდით, რო წინ სიარული დცოდნოდათ (ყველა ვერ დადის). საქცევში რო გავიდოდნენ, თითონ უნდა მობრუნებულ იყვენენ..
- 20 საგლეჯი ჯარები, ყველაზე უფრო გიყი ჯარები, ანდა გამოუქნელი მოზერები იქნებიან, რო იქ უნდა გამოიჯეკოს. კამეჩებსაც აბამდნენ გუთნი თავში. საგლეჯ შემდეგ მოდის სადგომი ჯარები, საცა შუალა მეჭრე უდგა. სადგომი ჯარები ჭკვიანები უნდა ყოფილიყვენენ. წიხლი არა-დცოდნოდათ, რადგან მეჭრე ამაჲ ჩაუდგებოდა.
- 25 სადგომის წინ წასაკრავი ჯარებია. ამათაც შუალა მეჭრე ერეკებოდა. თუ ხუთუდელაა, მაშინ ერთი პატარა ბიჭი დასკირდება უღელი ჯარის სარეკავათ. თუ არა ჰყავ, უმეჭროდაც ივლის, თუ კაი ფიცხი ჯარებია, რომელთაც წინ სიარული იციან.
- თუ ექვსუდელაა, მაშინ დღისი მეჭრე სადგომი ჯარებს უდგას და წინა
- 30 ჯარებსაც ერეკება გძელი საჯრით. თუ საკმარისი საქონელი არა ჰყავს ერთს, მაშინ გადაუბამს სხვას. ასეთ შემთხვევაში ამათ მოდგამები ჭკვიანთ.
- ვის მიწასაც ჭნავდნენ, იმისი იქნებოდა ჯერიც.
- ჭვნის ჯერი შემდეგნაირათ იყო: ჯერ ჭნავს გუთნიდელა, მემრე მიყო-
- 35 ლებით ბევრის პატრონი, ბოლოს დღისი მეჭრე. მაგრამ ერთმანეთ უთმობენ კიდევაც, თუ მიწა მიწის გვერდზეა.
- გუთან რო მიაქვს, იმას კვალი ჭკვიან, გადაბრუნებულ მიწასაც. ბელტო ერთ მოგლეჯილ მიწას ჭკვიან. შუაზე რო მოუჭნავი დარჩება პატარა, იმას ხარვეზი, წიწილი ჭკვიან.
- 40 მარიანობითვე რო განახევრდის, მაშინ გაიტანდნენ გუთან, ღვინობითვე გასვლამდი დარჩებოდნენ. დაფარცხვას ავდარს უყურებდნენ.

სოფ. ოხანანი

183. მკა

დღიურს მოამკის სამი კაცო. ნამგლით იმკვებოდა. მარცხენა ნეკზე ხის სათითე აქონდათ, რო თითი არ მეეკრათ ნამგლით. გულზე სამკვდილი აქვს ტყავისა, დაბახის გაკეთებული (კაი პირი შიგნით იყო, სიცხეს იჭერდა). შუბლზე დაბამბული შუბსაფენი ეკრათ, რო მეტი ოფლი შეეშრო და თვალებში ოფლი 5 არ ჩაახლოდა და არ დააწოდა. სვედ ზო გაიტანდა და მობრუნდებოდა, მაშინ გააწურამდა. მკლავებზე სამაჯურებ იხვევდა. ტყავის სამკლავე მარჯვენაზე აქონდა, ზედ ხელეურს იცემდა.

როცა მკის ყანას, ნამგლის მარაგით ააბღერტამს, ვიასწორებს, ფეხზე აიყენებს, მემრე მოუსვამს, შეაქუჩებს, მოუსვამს მუქას. ორ-სამ მოსმაზე, თუ 10 თხელია, აივსებს მუქას. ჯერ ცერსა და სალოკ დააქვრინებს. ეს რო აიძვება, მემრე დააქვრინებს სალოკსა და დიდ თით შუა. ყველა თითებ აიძვებს. მემრე ზევიდან გადმაახვევს წკლიპურტს და, საიდანაც წაილო, იქვე ჩაამაგრებს.

ხუთი მუჭეული ერთი ჯელეურია. ორი-სამი ჯელეური ერთი ძნა გამოდის. თუ სამი მომკალია, სამი ხელეურისას გააკეთებენ ძნას. ულოს მეორე 15 ამხანაგი აკეთებს. გამოაგლეჯამს ყანას, ორად გააყოფს, თავთავები ძირში ორჯერ ზევიდან გადააგრეხამს, ამააბრუნებს და დაადებს მიწაზე. მოიტანენ და ჩააწყობენ ჯელეურს. მობრუნდება მეძნეურე მუშა და დაიწყობს შეკვრას. ამააგრებს მარცხნიდან მარჯვნივ, შამაახვევს ულოს უკულმა და ამაატარებს ძნასა და ულოს შუა და მუშით, რომელიც კისერში აქ გაბნეული, ამააძვრენს. 20 ძნას თავთავები ზევით აქ, რო, ვინიცობაა ნედლი დარჩა, სალამომდი გაშრეს. თუ ვინიცობაა შამოსულია, გადააქევს. სალამოთ დაათეულებს: ორი აქადან, ორი იქიდან, რვა ძნას წყვილათ დააწყობენ, მეცხრეს და მეთეს შუაზე ჩაუდებენ, ერთსაც ზემოდან გვერდივ დაადებენ.

ათეულებს დგამენ ერთ ხაზე იმიოვინ, რო ურემზე დადებაში მეტი წვა- 25 ლება არ მოუნდეთ.

კალოში თაიათ ვდგამთ: რგვალიც არი და გქელიც. თუ ბევრია, ფთამოქცეულათ დაიდგმება. თაია გადარჩეული ძნისაა, სათესლე, ფთამოქცეული კი საქმელია.

სოფ. ნუკრიანი

184. ცხერის მოვლა

დავიწყოთ ყოჩი გაშვებიდან. ადგილს უნდა შაურჩიოთ ყოჩიცა და ცხვარიც. ვისაც ხამი საძოვარი, ყორულები, აქონდა, ის თებერვლისათვის გაუშვებდა (საიანვრეთ; ტყუილია, არ ივარგებს). ვისაც არა-აქონდა ყორული, ის სამარტეთ გაუშვებდა.

ქრიეტიშობითიდან შვიდ თიბათვემდი ყოჩი დამდგარია.

35

წინათ ყოჩ არ არჩევდნენ და ზოგი ბატკანს მთაში იგებდა. კარგა ხანია, რაც ჩვენ რვა აპრილი მემრე ბატკან აღარ ვაგებინებთ.

გიორგობითვე რო ჩამოვა, დავარჩევთ ყოჩ. მანამ ინერბება, ცხვარს არა უქირს რა.

მთიდან რო ჩამოვლალამდით, წინა მჭარში მლაშე მოახვედრებდით 40 საჯუგანოზე, საქვემაჩხანოზე, აყულებულ ქვაზე (მლაშე ადგილებია). მემრე

შირაქში ავიყვანდით. ეგრე ორ-ორი, სამ-სამი დღე ვდგებოდით. მემრე ჩავდიოდით იორზე. საზანთრო ბინები იქა გვქონდა. გიორგობითვი პირველში ჩავიდოდით ბინაში.

ხუთასიოდე ცხვარზე ორ-სამ ურემ თივას იქონიებს. როცა თოვლი მოა, ერთ ორ-სამ დღეს თუ გაძლო, მაშინ მიუყრის. თივა არ უნდა. რათ უნდა, ძძოვს ცხვარი. თივამ თოხლი ჯოცვა იცის, ჭიას უჩენს, გველძუას ვეძახით, ყანყრატოში გაუჩნდება, აქლამს.

ვისაც პატა ბევრი აყვანდა თოხლი და მშრალი ცხვარი, ცალკე დუდიოდა, მოსაგები კიდენა — ცალკე, ვისაც — ცოტა, იმას შიგ ერივა. მშრალი ცხვარი შორ მიდიოდა.

სადოლესათვინ ინახამდა ბინის უკან ყორულ. როცა დოლი დაიძრებოდა, მაშინ ცოტა-ცოტა მიუშვებდა და მიაქმევდა. ზოგი რო გაიგებდა, წინა მქარში ლურჯი მოიდაო, აყრინდა, წამაიყვანდა და იქ დაადოლებდა.

დოლ როგორც ავიღებდით, ერთ თვეს ვრჩებოდით, ავიყრებოდით და ჰაიდა შირაქისაყენ!

თუ ცხვარი დამძრალი მოიდა, მაშინ ბინაჲ მოუთბუნებთ. ზევიდან ბანს ნაბად დავხურამთ, კარებ გემრად მივაყრით. ცხვარ ოფლი მოუა. ოშხივარი უნდა ამოიდეს მალლა. მაშინ კარგი მეცხვარე ავა, ბან ცოტა იშიღ უზამს, რო აერი შავიდეს.

თუ თბილი დილაა, მაშინ მზე რო კარგა ამოიდოდა, მაშინ გამოუშვებდით, თუ არა, მაშინ კარგა რო მოსადილდებოდა, გამოუშვებდით. თუ ძრიან ცივი იქნებოდა, მაშინ სუ არ გამოუშვებდით, ბინაში იქნებოდა. თუ თბილი იქნებოდა, შუალამედიანაც ვაძუებდით.

მეცხვარე ფარას არ ანდობდა იგეთ მწყემს, რომელიც ერთ ხუთ-ექვს წელიწად ნამყოფი არ იყო ცხვარში, რო ვარაოდი აცოდნოდა, არ დაძძრომოდა ცხვარი. ყველაზე საწუხისი ის იყო, რო არ დაძძრომოდა ცხვარი.

. სოფ. ზემო მაჩხანანი

185. დოლი და წველვა

დოლის დროს ას ცხვარზე ერთი კაცია საქირო და ერთიც დამხმარე. შიგ ფარებში წევს მწყემსი. აანთებს ლამფას და ათვარიელებს: მოიგო თუ არაო. ან თუ მუცელი ატკივა, დაულოდინებს და მიაგებინებს. მოგების მემრე, მეორე დღეს, ცალკე გადაყავს.

რო მაიგებს ცხვარი ბატკანს, დედა გაალოკამს, მემრე მიაწუებს. თუ არ მიაწუა, მწყემსი მიაწუებინებს. ღამე რო მაიგებს ცხვარი, თითონ გამწვავებულა, მიეძინება. ბატკანი წავა და დაიწყებს სიარულს, გაითხუნება. მეორე დღეს რო გამოუშვებთ ცხვარს, დედა დაიძულებს ბატკანს, რადგან გაითხუნულია, თავისი სული აღარ ადღის. ამას დაძულება აქვიან. საქიროა მცნობი, რო დედა შვილს მიუყვანოს. ზოგი თუ აძულობს, ზოგი აყურობს. როცა რამდენიმეა დაძულებული, მაშინ ვარაოდით მიუყვანს.

ერთ დღე-ღამეს გვერდზე აყავ დედას, მემრე აესხლეტამთ და გადავიყვანთ საბატკანეში, მანამდისინ დილა-სალამოს ვაწუებთ.

დოლი იწყობა თებერვლის ნახევრიდან, მარტის ნახევრამდინ გათავდება.

დოლის გათავებიდან ერთი თვის მემრე დავიწყებთ წველვას. პირველ ხანებში, სანამ ბატკანი ნახევრათ მაინც თავს აინაბრებდეს, სალამოთ ავაშორებთ და დილითა ვწველით. მემრე თან ვაყოლებთ. მემრე კი, როცა თავს აინაბრებს, სუ ავაშორებთ.

მთაზე რო ავალთ, ერთ თვეს დავასვენებთ. მთაში შუადღი ხანსა ვწვე- 5 ლით ბაკში ან ბერაში. ბაკში ბევრი იწველება, ბერაში კი ცხვარსა და მწყემს აქვს შალაოთი.

მთაში ცხვარი ორ თვეს იწველება. საშუალო წველვით ერთი ცხვარი ექვს გირვანქა ყველს აკეთებს, თუშები კი წველვით შვიდ-რვა გირვანქას აკეთებენ.

წველვას რო გავათავებთ, ბერაში რძეს მივაწუწებთ ცხვარსა და ვიტყ- 10 ვით: ბარაქა ცხვარსაო.

სოფ. მელაანი

186. სამოვარზე

წინ-წინ ძრიან ღრიმე თოვლი მოვიდის ხოლმე. საქონელი ვეღარ გაუშვით ხოლმე ბინილამ. ორი-სამი ღამე ბინაში დაქეჩის ხოლმე საქონელი, მემრე გამოუშვით ხოლმე. ოთხას-ხუთასი ცხვარი კყვანდის ერთ ბინაში. რომელსაც 15 აუჭრელდის თვალეები, მოკედის ხოლმე (ყარაოს ვეძახოდით თვალეები აჭრელებას შიმშილიზგან).

რომელიც ჯანიანი ცხვარი იყვის, გადაამტკრივის თოვლი და გადავიდის.

ბატკნები საბატკნეში კყვანდის ხოლმე. ორი თვე დაქეჩის ხოლმე. მემრე დედებთან გაუშვით ხოლმე, წავიდნიან, შეეჩვევიან ბალახსა და ძოვდნენ. 20

სოფ. ქვემო ბოდბე

187. საქონლის მოვლა

საქონლის მომლელი ვიყავი. საქონელი რო დაიბდავლებდა, მაშინ მე გავიგებდი, უჭირდა, თუ იგრე თავისუფლათა ბლადა. მემრე მივიდოდი, საქონელს რო დავხედავდი, ფერზე შავაცნევიდი, რა უნდოდა, მოშიებული იყო თუ წყურვალი იყო, ფერი მიჩვენის ხოლმე. თუ წყურვალი იყვის, მა- 25 შინვე წყლისაყე გაუჯავრდებოდი. წყალი რო დალივის, დავხედი და კაი ფერზე დავინახამდი. თუ მშიერი იყო, ჩავშლიდი ბალახზე. ვიცოდი, როდემდინა ძოვდნენ. როცა მოჯერდის, თითონ წამოიდის მალლა საყარზე...

სოფ. ბოდბისხევი

188. მეღორეობა

ღორითვინ უნდა იყო მოცლილი ალაგი, ქალიანი და წყლიანი, საკმე- 30 ლათ კარქია კურკა, წითელი.

თუ ჯანათ არი, შაიძლება, რო იანვარშიც გაიკეშოს; თუ თამამია, რვა თვისაც გაიკეშება. ოთხ თვეზე დაყრის. ხამი შაქი სამ-რვა გოკ დაავდებს.

მანამ გოკ ჰამაა შავჩვევთ, მანამ დედა ღორ ვაქმევთ, რო აფწივოს გოკი. ერთ თვემდე გოკი შეეჩვევა ნაწილს, ჰამას დაიწყებს. ორი თვისას ააშორებ, არა უშავ რა. თვისა—არ იქნება, არ-ააშორდება, თამამი ვერ გაიზდება, დანალიტავდება. რო ააშორებ, დედა გაშრება და აღარ მუშუშებს.

- 5 თუ კაი საქმოშია, მეორე თვეში გაიკეშება. წელიწადში სამჯერ მასწრობს, თუ ქოსმენათ არი, თუ ფარაშია — ორჯერ.

კაი ღორი თერთმეტ-თორმეტ გოკ აგდებს.

ფარაში ბურვაკ დავარჩევით ცალკე, გამოვყოფდით სხვა მწყემს. მსხვილი ღორი ივლიდა ერთათ. იმათ ბინა ცალკე აქთ, წვრილს კი — ცალკე.

- 10 ორ თვემდე, ვიდრე ნაწილ შეეჩვევა, გოკია, მემრე ბურვაკი დევრქმევა. ექვს-შვიდ თვემდე ბურვაკი იქნება. მემრე დედალს ვეტყვით შაქს, მამალი იქნება დასაყვერი კერატი, დაუყვრელი — ქედლა, მეორე წელიწადს — ტახი. ხუთ-ექვს წლამდინ იზდება ღორი და მემრე კი აღარ. დედა ღორი ექვს წლამდინ იმუშეებს, კერატი უფრო მალე ტყდება.

- 15 ზაფხულში არაფერს ვაქმევთ, ჰალაშია, მინდორში, გოკ კი დოღფარში ქერს ვაქმევთ, გოკზე ნახევ გირვანქას მაინც. დილა-სალამო ვაქმევთ. ბურვაკ უფრო კარგ საქმელზე უშვებთ, რადგან ის შორ ვერ მიდის და საშიშიც არი, ნადირი წაიღებს, დიდი კი პოვნობს, არც საშიშია, ნადირი ძნელათ დაიქერს.

- 20 ქრიფტიშობითვი დაწყებიდან მარტი გასვლამდე ქმევა უნდა დილა-სალამო, ბურვაკ ჯერზე გირვანქა მაინც.

დიდ ღორ ატყებდნენ ქალმათ, პატარა კი ფფუფქამდნენ და ფტუსამდნენ კიდევ.

კარგ ალაგ, თუ საქმო ბევრია, ერთი კაცი ორმოც ღორ მოუვლის.

- 25 ღორის სატკივარია: ღოკი — დანდობილა ფერდებ დაუწყებს ცემა, აწველებს. ორ დღე არც კი შაყყება. ყვავილი — უჩნდება მსხვილ ღორს და დედიდან გადადევს გოქს. მე ეგრე შავაცნიე, რო ყვავილიან ღორ რო გოქები დაუჩნდეს, წითელია, უსუფთაობამ იცის. თუ ყვავილი იჭადა, მემრე მე აღარ მინახამ, რო დეეყარნოს. ხუხუნაკი — ყელი უსივდება და აჯრჩობს. წელ-

- 30 კავი — გვერდ-გვერდ მაიწინხება, წავა-წავა და იგრეე გასწორდება.

სოფ. ქვემო მალარო

189. ქვევრის გაკეთება

ქვევრი მიწა წაბლისფერიც არი და მოწითლოც. მიწას მოვთხრით წერაქვით, მოვზიდამთ ურმით ან რითმე, ტახტებზე დავყრით, საბეგვლით დაბეგვამთ. თუ რბილია, ხელით ვფშხვნით, კენქ ხელით ვარჩევთ.

- 35 ალაზნის ლამს მესამედ დავაყრით, ორი წილი მიწა იქნება. ნიჩბით გადავქმნით-გადმოვქმნით, ავრევთ. მემრე წყალ მოვაწკაპწკაპებთ. ნიჩბით ავრევთ, გავაბამთ, გავქნით. ლაფივით რო გახდება, ისეე ნიჩბით დავკეპამთ. მემრე გავშლით ტახტზე. მემრე დავვწალავთ. ტახტი, როგორც მუჭლი მიადგება, იგრეა.

- 40 ორი კაცი აქათ-იქიდამ დგა და ფვმალავს. მემრე გავქუსლავთ ფეკით. მემრე დავქრით იმას და გადმოაბრუნებთ. მემრე ისეე დავქუსლავთ, ისეე დავვწალავთ. ერთ დაზელას ორი კაი ბიჭი შუადღემდინ უნდა. სამი წმალა

რო გაუთავდება, დაიქუსლება და აიღება. პირველს ჯმალათ არ ვთვლით, აჩეხვას ვეძახით, იმითვეა სამი.

თიჯას დავკრით ნაქერ-ნაქერ, თითო ფუთიტოლა გამოა. შავიტანთ გრილ ადგილას, ერთ ხორუმათ დავდგამთ, წყალ გადუსვამთ ზევიდან, გადაელესამთ, რო არ გაშრეს. წყალი თუ გაუშრა კიდე დავასხამთ და ჯელ 5 გადაუსვამთ, რო არ გაშრეს. მემრე იმას მოვკრით, იმ ლაფს, თიჯას. სკამი გვაქ პატარა გაკეთებული. იმ სკამზე გავაკეთებთ სროსალს. იმ სროსალს ავიღებთ, მჭარზე გადავიგდებთ, წინ კიდე ჯელით ვაქნით.

ქვევრი ძირს ჩარხზე ვკრით. ჩარხ ჯელით ვაბრუნებთ მარჯვენით და თან მარჯვენა ჯელითვე ვკრით. მარცხენა ჯელ გარედან ვაღუსვავებთ. ერთი 10 დიდი ჯამფილიტოლა უნდა ჩარხზე მოვკრაოთ. ჩარხიდან ვადმოიღებთ, დავდგამთ ფაქიზ ალაგას, დავაფარებთ ზევიდან ფოთოლს, რო პირი არ გაუშრეს.

სკამი გვაქ, გული ამოკრილი აქ. შიგ ჩავდებთ. ძირი მიწას არ ენდობა. ერთი ექვსი გოჯიტოლას გაუზნით სკამში, მემრე ვადმოიღებთ სკამიდან და 1 დავდგამთ დაბლა დედამიწაზე. როცა გაშრება, ახალმოქნილ კიდე იგრევე სკამში ჩავდგამთ, მივაქნით კიდე მეორეთ. ჩამოიღებთ, ისევე მიწაზე დავდგამთ. კიდევ მესამეთ ავიღებთ, სკამში ჩავდგამთ, კიდევ მივაქნით ექვს გოჯ. მემრე ბინაში იგრე დავდგამთ, როგორც უნდა აშენდეს. იქ უნდა იყოს, მანამ თავი არ მეებმება.

ქვევრი სუ მთელი გარედამ კეთდება. დიდ ქვევრ გარეშამო ხარაჩო უკეთდება.

ერთ დღეს თუ ათ-ხუთმეტ ნაქერ მივაქნი, ხვალ სხვა გამზადდება, ზეგ სხვა. დღეს რო მივაქნი, იმასთან ორი-სამი დღის მემრე უნდა მივიდე, იგრე თავი თავ არ დაიქერს. რო დავამთავრებთ, გაშრობალა უნდა. ერთ-ორ კვი- 25 რას თუ არ გათეთრდა, გაფუქდება.

სოფ. ანავა

190. კოდისა და ჩარხის წისქვილი

წისქვილს უნდა წყალი და ადგილი. წყალმა უნდა დააბრუნოს, მაგრამ წყალ მიყენება უნდა. ამისათვის იგეთი ადგილი უნდა ამირჩიონ, საცა წყალი ზევიდან დაუწყებს ცემას. დაბლა წისქვილი აშენდება. წყალი ზევიდან ერთ 30 საფენზე მაინც ექნება. მიწა სასახლესავით გაძოსწორდება, საცა დაიდგმება წისქვილი შენობა. გვერდზე საჩარხე ადგილი ჩაიქრება.

წისქვილი ორნაირია: კოდისა და ჩარხისა. არის ღარი წისქვილები გაღმა და იორზე. ღარი წისქვილი და კოდი წისქვილი ერთნაირია. განსხვავება ის არი, რო კოდი დახურულია და თავ-ბოლოს არი ღია. თავიდან რუვზე მონა- 35 დენი წყალი ჩადის და ბოლოდან ბრობალსა-აცემს. ღარი ღიაა ცალი მხრივ, სამი კედელი აქვს. ღარის წყალიც ბოლოს ისრუტება და ბრობალსა-აცემს წყალი.

ძველათ ბუქულა (პატარა) წისქვილები იყო, კოდიანი. კოდი გარეშამო დახურული იყო. კოდიანი პატარა წყალზე გამოდგება. საცა დიდი წყალია, 40 იქ ღია ღარიანი წისქვილებია. კოდსაცა და ღარსაც ლულა-აქონდა, საცა წყალი გადიოდა. ბრობალს მორგვი და ფთები აქონდა. ღერძი აქონდა და

ის კიდე ქვას აბრუნებდა. ისა-მფქვამდა დღე-ღამეში ათ-ხუთმეტ ფუთს. ეხლა-
აღარსად მეგულება.

ჩარხი წისკვილი ეგეთია: რუხზე მოდის წყალი, მემრე ღარზე (ეს ღარი-
ვაკეთ არი). მოა, ჩარხზე ჩამაასხამს წყალ და დააბრუნებს.

- 5 ღარი წყვილ-წყვილ ბოძებზეა შედგმული და ჩარხის შუამდინ მოდის.
სოფ. პრასიანი

191. გოდრის დაწვნა

ჯერ მანები უნდა ჩაურქვით ყალიბის ზომაზე. მანებათ უფრო მოსხო და
სწორე წნელს ვარჩევთ. გოდრის დაწყობაა ყველაზე ძნელი. დაწყობისას ჯერ
წნელებს წამოვდებთ თითო მანაჲთან თითოჲ, შიგნიდან გარეთ გამოუტარებთ
10 და დავაგდებთ. მემრე სუ რო შამოვატარებთ, მაშინ ცერებს ავაყენებთ და
ზანაზე ავაყოლებთ. მემრე წვერებს ვამუშავებთ იგრე, რო ისინი შიგ დეეტა-
ნოს. წნელი წნელს უნდა ეგრიხოს ისე, რო გადაიბას. ამ წნელებს ჰაპნი წნელი
აქვიან. ჰაპნი წნელი რო გათავდება, მემრე მანაჲთან წნელ ცერ შაუყოფთ
წნელშივე და გადავაგრებთ ერთს, მერე მეორე წნელსაც მეორე მანაჲთან ჩაურქ-
15 ვამთ და გადავაგრებთ. ამ ორ წნელ ვამუშავებთ ისე, რო ხან ერთი წნელია
ქვეშ, ხან მეორე, ეგრიხება ერთმანეთს. წნელს ვაბოტებთ მანიდან მანაზე. ეს
ორი წნელი რო გათავდება, კიდე ორს ისევ იგრე ჩავაგრებამთ და ვწნამთ.
გოდორი იწვენება ორი წნელით. წვნის ღროს თან კეტს ან წალდი ყუასა
ცცემთ, რო გოდორი თხელი არ მოიდეს და კარგა მიიჯიფთოს.

20 მემრე, როცა სუ გათავდება და ძირი გამოწვნა გვინდა, მანის ყველა
წვერებ გადავაკამარავებთ და ერთი მეორეში ჩაუდებთ.

გოდორი ცოტა მოპტყოა, რო აკიდებაში ბეჭებზე კარგა დადგეს.

პტყელი მხარეებიდან ვაკამარავებთ. ნაპირებზე ორ-ორი წნელი დაგრჩება,
რომლებსაც თავი-თავ მიუტანთ და რამეს მოუქირებთ, სანამ გადავაკამარავებთ.
25 მემრე იმეებსაც ერთიმეორეში ჩაუყრით. მემრე ძირ გამოაწვნამთ. ნაპირებზე
რო წყვილ-წყვილი მანა გვქონდა, იმათ შუა არ გამოვწვნამთ, თუ ყურძნი გო-
დორია, რო ჰელი წასავლები აქონდეს; თუ სულადის არი, იმაჲ სუ გამოვწ-
ნამთ.

30 ყურძნი გოდორ ზოგ ყურს უკეთებთ, რო აკიდების ღროს მწარზე გა-
დაიცვას.

გოდორს სუ რო დაწვნამთ და ძირსაც გამოაწვნამთ, მანას მწვეტა თავებ
დავაქრით ხერხით და ეგ არი.

ყურძნისათვის პატარა გოდრულეები და გოგროხეებიც იწვენება. გოდრულა
ნახევარ გოდრიანზე ნაკლებია, გოგროხა ისე პატარაა, რო კრეფის ღროს
35 ხელში უქირამთ და იმაში კრეფამენ. აავსებენ და ზურგზე იკიდებენ და მიაქთ,
გოდორში აყრიან. გოგროხას საკრეფელსაც ეძახიან.

სოფ. კოტორი

192. დიდარი და პატრა ბიჭი

დიდარმა მოჯამაგირე დაიქირა პატრა ბიჭი. ამ პატრა ბიჭ უთხრა:
— ოთხი წელიწადი ჩემთან უნდა იყოო და მოქცემ სამ თოხლ წელიწადშიო.

ოთხი წელიწადი გაათავა. წლი თავზე აძღვედა სამ თოხლსა, სამნივე ევოცებოდნენ. კარგი წყემსი გამოიდა ეს პატრა ბიჭი. ბოლო დროე უთხრა პატრონს: — მე წავალ, შენთან ხეირი ვერა ვნახეო.

იმან უთხრა: — ნუ წახვალ და, რასაცა მთხოვ, მოქცემო.

პატრა ბიჭმა უთხრა: — რაც კრელი ბატკანი მაიგოდ ცხვარმა, სუ ჩემი 5 იყოდო.

ცხერი განერბი დროე პატრა ბიჭმა კაქკაქ ტვინი გამააცალა და წყალში გაურივა და იგრე დააღვეინა ცხვარსა. ცხვარმა დაიგო სუ კრელი ბატკნები. ცხერის პატრონმა უდროთ მოუსხლიტა ბატკანი: — წადი და შენი იყოდო. იმაე ეგონა, რო მითამ დეეწოცებო, მაგრამ პატრა ბიჭმა არეკა ერთ დიდ 10 ქუდურზე. ღამე და დღე უვლიდა ძალიან კარქათ. ნახევარი იქითა ქუდურ მათუარის, ნახევარი აქათა ქუდურ, მემრე დაურივის და ბატკნები ერთმანეთში ბღავილით დედის სურვილ იკლამდნენ.

ამ მოწერებით გადარჩნენ სიკვდილ ბატკნები.

სოფ. ქვემო ბოდბე

193. მოლა და მეზობელი

მოლაძეთინ ქვაბი უთხუბიათ. მოლას ერთი პატრა ქვაბი შიგ ჩაუდგამ და მუუტანია. მეზობელ უთქვამ: — ეს პატრა ქვაბი რალაო?

მოლამ უთხრა: — თქვენმა ქვაბმა მაიგოო.

ეხლა კიდე მეორეთ თხუა მოლამ ქვაბი... აღარ მუუტანა. ეხლა მეზობელმა უთხრა მოლას: — რატო აღარ მამიტანე ქვაბიო? 20

მოლამ უთხრა: — თქვენი ქვაბი მოკვდაო, იმიტო ველარ მოგიტანეო.

მეზობელმა უთხრა: — ქვაბის მოკდომა როგო შაიძლებოა?

მოლამ უთხრა: — თუ ქვაბმა ქვაბი მაიგო, რო მოკედეს, ის კი არ შაიძლებოა? 25

მოლას თოკი თხოვეს: — თოკი მათხუეო.

მოლამ არ ათხუა: — არა-დცალიანო, დღეს უნდა ფეტვი გავფინოო.

სათხუებლათ არ უნდოდა, თორემ ფეტვიე გაფენა თოკზე როგო შაიძლება!

სოფ. ქვემო მალარო

194. ძროხის პატრონი და ბერიკაცი

იყო ერთი ბერიკაცი თავი ცოლით. ამ დედაკაცმა უთხრა: — წადი საითმე, 30 იმუშავე, მოიტა რამეო!

წავიდა ეს კაცი სამუშაოზე. აქეთ-იქით დადის, ვერ იშოვა სამუშაო. მივიდა ერთ სოფელში: — მოჯამაგირე ხო არ გპირდებათო?

— მოჯამაგირე არა გვპირდება, ხოლოთაო ჩვენ ერთი ფური კვყაო, მოქცემ სანახევროთ ათი წლითო. ათ წელიწადში მუაშენეო. ათი წლის მემრე 35 მუალ და ერთ სიტყვაე გეტყვიო. თუ ის სიტყვა გამოიცანიო, ის ძროხა შენ დაქეებაო, თუ არა და ძროხას მე წავიყვანო.

იგეთი ძროხა იყო ისა, რო თითო ჩაფ რძეე იწველიდა თითო ხელათ დილითა და საღამოთ. ყოველთვიურათ ხბოს იგებდა. ამ კაცმა მუაშენა ათ

წლამდინ ათასი სული ძროხა. გამოიდა ერთი ბერწი ძროხა. დედაკაცმა უთხრა: — ეხლა ხო ათი წლითავი გვისრულდებოა, ეს ბერწი ძროხა დავეკლათ და შევეკამოთო.

ადგა და დაკლეს ის ძროხა.

5 მოიდა იმ ლამეს ძროხი პატრონი, დაუძახა: — სახლი პატრონოო! ერთი და ერთიო.

ბერიკაცმა უთხრა: — გაგიწყრემ ქრიდტე ღმერთიო.

— ორი და ორიო.

10 — ორთვალა ურემი მქონდაო, დავჯდებოდი ხოლმე ზედა და ხან ზევით და ხან ქვევით დავარბენინებდიო.

— სამი და სამიო.

— სამნაყოლი ცოლი მეც მაშოროდ და სხვასაცაო.

— ოთხი და ოთხიო.

15 — ოთხასი სული ცხვარი მყვანდაო გაღმივავ, წყალში ფეხდაფეხ გამა-მყვანდაო.

— პატრა წყალი იქნებოდაო.

— როგორი პატრა წყალი იქნებოდაო, გაღმიდამ რო ფრინველი გამო-ფრინდებოდაო, შუაზე ფაშკუნძი ეგდო, ზედ ისვენებდა და იგრე გამოდიოდაო.

— პატრა ფრინველი იქნებოდაო.

20 — როგორი პატრა ფრინველი იქნებოდაო, ცალი ფთე რო გაშალის ხოლმე, სოფელ გრილოს აყენებდაო.

— პატრა სოფელი იქნებოდაო.

— როგორი პატრა სოფელი იქნებოდაო, თავში რო ვირ დეეყვირნა, ბოლოში არ ეყურებოდაო.

25 — ყრუვი იქნებოდაო.

— როგორი ყრუვი იქნებოდაო, ცხრა მთას იქით რო ირემს ეცოხნა, იმას იქ ეყურებოდაო.

— პატრა ვირი იქნებოდაო.

30 — როგორი პატრა ვირი იქნებოდაო, მამაჩემი რო ქვამარილზე წავი-დოდა, რვა ფუთ ქვამარილ აკიდებდაო, თითონაც ზედ იჯდაო, ფეხდაფეხ კურდღელ იჭირავდაო.

მერე უთხრა ძროხის პატრონმა: — აღარ ვიციო.

დილა რო გათენდა, ადგენ ცოლ-ქმარნი, ბაკში დაუხვდათ ისევ ძროხა მთლიანათ.

35 ზღაპარი მორჩა.

პირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

სამი ვაშლი მქონდა,

ერთი — მთქმელ და ორი — გამგონემ.

სოფ. ქვემო მაჩხანია

შექსიკონი

ა

- აბაღბა 39,15 კალოზე ნალეწის ორ-
თითით აჩეჩა, აწეწვა, აქცევა.
- აბამბლვლა ზანტად, მძიმედ აღგომა
(კამეჩისა).
- აბებრება 50,23 თორნეში ჩაკერისთა-
ნავე პურის პირის აბურცება მეტი
სიმხურვალისაგან.
- აბლაყო აყლაყუდა და უქკუო ადამიანი.
- აბოლავება (ურმისა) აყირავება (ურ-
მისა).
- აბუება გაბუტვა, გაწყრომა.
- აგრა 127,33 აგერ, აი აქ.
- ადალა ჩერჩეტი, ყეყეჩი, შტერი.
- აკვეთა 50,28 საფუარის მიცემა: (ცო-
მისათვის), ცომის მოხაშება.
- აკურება 21,25 ზურგზე წამოკიდება.
- ამდლუღრა 51,41 მდლულარე წყლით
სიმინდის ფქვილის მოზელა.
- ამოზლარტვა 40,21 მცენარის ფესვი-
დან ბლარტების ამოყრა.
- ამონიშენა შერჩევით დანიშენა, — ამო-
რჩევა.
- ამოხვეწა 47,3 ნაწლაეების ამოცლა.
- ამჟღრიალებ-ს 115,26 კაშკაშა შუქს
ფენს.
- ამფოინი 30,9 მიცვალბულის გასა-
სვენებელი ჩარდახიანი ეტლი, — ბალ-
დახინი.
- ამშეული 41,19 პურეულის უგულო
მარცვალი.
- ანაგული ნიერის შუაგული კბილების
გარეშე.
- ანდე 85,23 აგერ.
- არიელათ: არიელათ ანათებს ოდ-
ნავ ანათებს, ბეუტავს.
- ანხლეტა 166,39 ბატენის მოშორება
დედისაგან, ძუძუს წოვის შეწყვე-
ტინება.

- ატკრეცა 51,3 ცხელ თორნეში ჩაკერის-
თანავე პურის პირის აწვა, — აღან-
ძვა.
- ატლაოშა უსაქციელო ადამიანი.
- აურა 84,17 შორისდ. გამოხატავს აღ-
ტაცებას.
- აფესკვა საკლავის ასო-ასო აქრა, აქნა.
აქოხება 27,40 ქოხის აგება.
- აღვღავება 9,9 ხმამალლა და გაუგებ-
რად აღაპარაკება.
- აყოტება მწვანლის ყლორტის გამო-
ტანა.
- აყოშა ჩოხა 12,15 მუქი შინდისფერი
ჩოხა.
- აჩენა: აჩნდა 48,16 იტყვიან, როცა
დღეებისას კარაქი ფეტვის მარცვ-
ლებივით დაგროვდება.
- აჩება 169,1 საჭურჭლე თიხის აკეპვა.
- აჩუბაბა 40,4 ივიევა, რაც პოშოლა.
- აჯილღა გადატ. ქალაბიჭა.

ბ

- ბაგა 52,24 წისქვილის ზედა ქვის გარ-
შემო ხის ან რკინის რკალი, რომ
ფქვილი არ გაიზნეს.
- ბაღია 48,19 დიდი საწვნე ჯამი.
- ბალტყემალა 45,3 ტკბილი ტყემლ
ჯიშია.
- ბალლაუქი 127,17 ბალღი, ბავშვი.
- ბარავალი 126,12 ბალავარი.
- ბარულა 135,20 ახალდაბადებული ბავ-
შვის შესახვევი.
- ბარძიმი მოვარაყებული ფეხმალალი
ღვინის სასმისი.
- ბას-ბას! 151,15 ძაღლის დაძახება
დასატყვებლად, — დასისიანება.
- ბალი ნესვი და საზამთრო.
- ბალღინჯო 44,4 შავი ყურძნის ჯიში,
წვრილი მარცვლები იცის.

ბაყატი ბაყაყი.
ბერეკობა 64,7 ბერიკაობა.
ბიაკომში 45,5 გარეული წვრილი კომში.
ბლანდი 49,18 აბრეშუმის ქიის მიერ პარკის გაკეთებანდე გაბმული ძაფი, ქსელი.
ბობლა ვაზის უნაყოფო ტოტი ძირიდან სამამულე რქამდე, — ბჯლლა.
ბოყვი აბრეშუმის მსხვილი პარკი.
ბრიალა თუნუქის პატარა ხელის ლამპა.
ბრინჯა ლობიო წვრილმარცვლიანი თეთრი ლობიო.
ბრმაყრუობა გადატ. გაუნათლებლობა, შეუსმენრობა.
ბუდარაობა ბავშვის თავისთვის თამაში, ჩუმად გართობა.
ბუდე 41,22 მარცვლის კილი.
ბუდნა-ბუდნა 127,9 ჯგუფ-ჯგუფად.
ბუდრუგანა 25,2 ერთოთახიანი პატარა სახლი, სადგომი.
ბუილი 126,42 გაბერვა, აფხორვა (მამალი ინდაურისა).
ბუკაკი ქინქლა.
ბულაყი ქა.
ბუსუნა (ბუსნო) 39,38; 90,16 ახალ-მოსული ბალახი.
ბლარტი 40,20 მცენარის ძირის ამონაყარი.
ბლარტიანი 128,6 მრავალამონაყარიანი (მცენარე).
ბლერტვა გადატ. მაგრად ცემა, ტყეპა.
ბლურტუნ 69,14 დავარდნისას გამოცემული ხმა, — ბარტყანი.

3

გაბეჩავება 127,5 მცენარის ნახევრად განხობა, გაფუჭება მოუელელობით.
გაბეჩნრება მიწის გამოფიტვა, გამწვინრება.
გაბწევა 38,41 განიავება (ნალექისა).
გაბმა 168,37 ერთმანეთში გაქნა, შეჩევა.
გადაკამარავება 170,21 გოდრის მანების წვერთა ერთიმეორეში ჩადება, — მორკალვა.

გადაულლართული 137,6 გულალმა-დაცემული, გულალმა გათხლარშული.
გადასალოცი 61,3 საჩუქარი, რომელსაც პატარძალს მთარმევენ ქორწილის დროს.
გადასაჩითი 59,17 საბნის ზედაპირი.
გადაძვევა გადაკარგვა, ოჯახს მოცილება.
გადახიახება გონის დაკარგვა (რაიმე მოულოდნელობის გამო), დაბნევა, სახტად დარჩენა, გაშტერება.
გაღმოყირავება 65,4 ყირაზე დაგდება, წაქცევა.
გადრეცილი 131,15 გადრეკილი, გალუნული, მოხრილი.
გათანთახებული ჩასუქებული.
გაკვეთილი დაწესებული, დადგენილი.
გაკოჭვა 56,13 სახურავზე კოჭების დაწყობა.
გაკრიკინებული კრიკინასავით დაწვრილებული, გამხდარი.
გალა საქონლის ნაკვალევი ბილიკიტყეში ან მინდორში.
გალართხული 53,26 დაგებული, გაწყობილი.
გალასტული გადატ. გამხდარი.
გამანძილება საკმაო მანძილის ვავლა.
გამობრუცვა გამობრუყევა, გაღეშევა, ძალზე დათრობა.
გამოსადეგარი გამოსადეგი.
განგება 84,33 ვაგება, აზრიანობა.
განერბვა 165,38 ცხერის დამაკება.
განერგვა 46,21 ნ. განერგვა.
განიჟება 21,9 დაჟინება.
განიღვრა ფასის ან გადასახადის დაწესება, დადგენა, — განიხვრა.
გაჟღვრვა რისამე დაფლეთა რქებით.
გარეშე მაწლი 5,39 ქმრის გვარისა და ამასთანავე ქმრის ტოლი კაცი.
გარინგა 49,15 ლასტებისაგან გაკეთებული სართული აბრეშუმის ქიისათვის.
გატევა 85,25 შეუჩერებელი საქმიანობა, გამალეებული მოქმედება, — შეტევა.

გატურნა 73,12 გატრუნვა, გატვრენა.
 გაქარვანება 46,12 განავარდება.
 გაქონძლავება ფეხით გასრესა, გათელ-
 ვა, გაქელვა; გაღატ. შეურაცხყოფის
 მიყენება, დამცირება.
 გაქირის გაწევა 126,42 გაჯიუტება,
 გაკერება.
 გაქლეთა ოდნავ კანის აძრობა, აყვ-
 ლეფა.
 გაქუსვლა 168,40 ფეხით, ქუსლით და-
 ზელა საქურტლე ტალახისა.
 გაჩინჩახვა 46,8 ცხვრის დაავადება
 ფაღარათით.
 გაცმული 42,27 მიწაში ძირებგადგ-
 მული (მცენარე).
 გაცქნაფვა სულის განაბვა, გატვრენა.
 გაჭაკნული დამაკებული (ვირი, ცხენი).
 გაჭახჭახებული ძალიან განათებული
 გაჩირალდნებული, გაჩახჩახებული.
 გაჭენება: გაჭენდა საქმე სწრაფად
 გაკეთდა საქმე.
 გაჭელება 164,13 ხელში მოგდება, მო-
 ხელობა.
 გაჯავრდნა 20,31 გარეკვა, გალაღვა
 პირუტყვისა.
 გეზი 57,14 ტყეში ბილიკის მიმარ-
 თულება.
 გენე 85,27 შემოკლ. გენაცვალე.
 გზაქცევით 84,38 სხვა მიმართულე-
 ბით, სხვა გზით, — გზახვევით.
 გოდელა 1. 126,41 ტყავის გრძელი
 გულა ზურგზე მოსაკიდებელი. 2. პა-
 ტარა ნამჯის კალათი. უყურო, შიგ
 მატყლის ფთილებს დებენ.
 გოთაობა 65,25; 138,1 თამაშობაა. პა-
 ტარა მრგვალ ხეს (კუჭურიკს) და-
 სვამენ, შემოკრავენ გოთს, ვინც
 მას დანიშნულ ადგილას გაიყვანს,
 გამარჯვებულია.
 გოხპარა 114,42 პატარა ძაღლი.
 გოქის აწევა 168,1 გოქის გაზრდა,
 შემატება.
 გულა ლელვი 45,3 მსხვილი თეთრი
 ლელვი, ადრე მწიფდება.
 გურგვალი 51,28 მრგვალი.
 12 კახური დიალექტი

დ

დაბებრება 51,2 ნ. აბებრება.
 დაბეფრა 127,21 დაბეჭვა, დაქეჭვა, და-
 ბეგვა.
 დაბრმასოღავება 54,4 ბრმას სოლის
 მიცემა.
 დაბროწილი 127,14 წენგოშემოცლი-
 ლი, გაკროცილი, გაკროლილი (კა-
 კალი).
 დაბურღობა 39,16 ბურღოდ ქცევა.
 დადარიელება 20,1 დადარაჯება, ჩა-
 საფრება, თვალ-თვალი.
 დათავთავადება 127,29 ერთიმეორის
 დაცილება, დაცალკეევა.
 დაკეპვა 168,32 ნიჩბის ცემით დაქრა,
 დაკეპვა (საქურტლე ტალახისა).
 დაკუტება 49,18 იტყვიან, როცა აბ-
 რეშუმის ქია ბლანდის (ძაფის) გაკე-
 თების უნარს დაკარგავს.
 დალუნგებული 31,11 გასაწყლებული,
 დაბეჩავებული.
 დამჭდეული 53,35 დაქდეული.
 დანალიტავება 168,4 გახდომა, დამქლე-
 ევა, გაღევა.
 დამოხვა 68,30 ცხიმის წასმა.
 დარბობა 131,31 დღეობა სოფ. დარ-
 ბაში. იმართებოდა აღდგომის მეორე
 დღეს, ორშაბათს.
 დარევა 46,31 ჩადელებული რძის არევა
 ყველის ამოსაყვანად.
 დასაზღობება 123,9 საზრდოს მიღება,
 თავის დაკმაყოფილება.
 დასამფორჩებული 42,4 სამ ფოჩად,
 სამ ყურად ამოსული (სიმინდი).
 დასტამბული დასტამბო (ნესვის სახე-
 სხვაობა).
 დატოშვა 24,28 მაგრად ცემა, გალახვა,
 დაბეგვა.
 დაუნცროსება 25,1 უნცროსად გა-
 ხდომა, უნცროსივით მსახურება.
 დაფარეშებული 53,24 ფარეშით და-
 მაგრებული.
 დაფუცხუნება 116,14 აჩქარება.
 დაქარიანებული 21,19 ქარებით და-
 ავადებული.

დაღალი 42,38 დაბალი, არათამამი (ვაზი).

დაღირლიტება 82,36 დანის გასმა-გამოსმა (ყელში).

დაშვლება 141,25 წკეპლით ან სახრით ცემა.

დაჩათინებული 127,5 აბუჩად აგდებული, დაჩაგრული, დაბრწყეებული.

დაცეცქებული 60,41 თვალბდაცეცებული.

დაძეკვა 53,11 მძიმე საგნის დაწოლით ან დარტყმით რისამე გაბრტყელება. აქედან: **დაძეკილი** 52,9 დატყპნილი.

დახიფვა 47,17 ძაფის დახვევა რამეზე ბრგვლად, ხიფად ამოხვევა, — დაშულოება.

დახიჩავებული 24,25 დასახიჩრებული, დაშავებული.

დახნიერება ხანში შესვლა, მოხუცება. **დახშირებით** 57,18 ხშირად.

დაჯევენა 87,17 შნოს, ლაზათის გამოჩენა.

დეღემა 134,19 დელამა.

დერჩიკი 151,42 დერციკი, თერძი.

დიდი შუადღე 82,25 შუადღე, როცა მზე ზენიტზე დგას (ზაფხულში).

დინგი 41,4 კევრის თავი, წაწვეტილი და ახრილი ნაწილი.

დირბალი ალუბალი.

დომპლე 138,29 დუნე, მოშვებული, მოუხერხებელი, დონდლო.

დღვრიე მღვრიე.

ვ

ვეგთანა 61,34 მაგისთანა.

ვეღემცერად აღმაცერად, მრუდედ.

ემწიკვიანება-ა გულში ეკალსავით ხვდება.

ემხრობა-ა 27,25 ეხმარება, შველის.

ენაკაჭალობა ენის, ამბის მიტანა, — ენატანაობა.

ენღე 80,40 ეგერ, აი მანდ.

ექვსოცი 19,3ნ ასოცი.

ექშერება-ა ემეტება.

ეხათრიჯამება-ა 91,7 ეხათრება, ერიდება, რცხენია, ხათრი აქვს

ზ

ვაზი პატრიარქობა-ს ვაზი სწრაფად და თამამად იზრდება.

ვაზი ხრიალშია ვაზი დაყვავილების პერიოდშია.

ვალის დაღება 12,4 პატივის დაღება.

წ

წედაღვარი 55,22 წისქვილის ბორბლის ღერძის ბოლოზე მიმაგრებული წვეტიანი რკინა, რომელიც კიპორჩხში ბრუნავს.

წედმოსრული 19,7 მომდევნო, მოყოლი.

წღვისპირულა ფიჩხის, სარის ლობიო.

თ

თავციცერცველა 40,27 (*Vicia panonica*) სარველა ბალახია, პურეულის მცენარესა ჰგავს, მაგრამ დაბალია.

თავნაკარად უნაკლოდ, მთლიანად; წმინდად, შეურევენელად, პირველხარისხოვნად.

თავთიკონა 38,37 მკის შემდეგ მოგროვილი ნარჩენი თავთავების შეკვრა, კონა.

თავთოხი 39,41 თავთუხი.

თავის ანაბრება 167,2 თავის თავის დაკმაყოფილება.

თავის დარჩენა 146,23 თავის რჩენა, შენახვა, საზრდოება, თავის დაკმაყოფილება.

თალხი (ფქვილი) 127,4 მოშავო ფერის ფქვილი.

თამრო მსხალი 45,2 კალოს მსხალი, თიბათვის მსხალი, იენისში მწიფდება.

თანგირა (ქვაბი) 9,30 უყურო, მოზრდილი სპილენძის ქვაბი, არასანიაღვროდ სახმარი.

თაფზე დგომა 50,36 ცხარე თორნეში პური რომ ერთბაშად შეცხვება, აილანდება, ასეთი პური თავისით შორდება და თორნეში ვარდება, — ამაზე იტყვიან: პური თაფზე დგაო.

თაღლაშა 34,14 საფიცრე მასალა.
 თეფში 55,30 წისქვილის ხეიმირის ქვეშ მიკრული პატარა ღარი მარცვლის სადენად, — კრიჟა.
 თვალის ართმევა: თორნეს თვალი აართვი! 61,6 იგივეა, რაც თორნეს თვალი უყავ!
 თვალსადგამი 16,33 სასიამოვნო შესახედავი, ღამაზი, მიმზიდველი.
 თვალსაფრისათ თვალთმაქცურად.
 თოგალი 54,36 თიხის ქურქლის მოსაქიქავი მასალა (ტყვიისა და წმინდა შუშის ფხენილისაგან მზადდება).
 თორმეტოცი 19,35 ორას ორმოცი.
 თორნეს თვალი უყავ! 51,6 ნაკვერცხალი მოხხრიკე! (ასე იტყვიან, პურის ჩაკვრას რომ მოათაყებენ).
 თუთქვა 94,28 გადაბ. იალიან ცემა, დაბეჭვა, დაბეგვა.

ი

ითაფებ-ს 50,36; 127,16 ცხელ თორნეში მიკრული პური თავისით მოეხდება და ჩავარდება, — ამაზე იტყვიან: პურმა ითაფაო.
 იკლობაკლო 127,29 უსწორმასწორო, მიხვეულ-მოხვეული, ზიგზაგებიანი.
 იმაზედ 125,12 იმიტომ, იმისთვის.
 იოლობა 59,40 საშუალება, შეძლებინება, გამოსავალი.
 ისვრიმი მკუხე, დაუმწიფებელი ყურძნის წვენი ნივრითა და მწვანელით შენელებული.
 იქავ-ს 101,9 იზამს.
 იქეს 31,16 იქით.
 იშილ უზამ-ს 165,18 სათვალეს (ერდოს) ახდის, რომ ბინაში სინათლე, ჰაერი შევიდეს.
 იშტვენ-ს იფერებს, შეიფერებს, იშვენებს.

კ

კავკასურა საჯამთრო 45,15 შავი ფერის მოგრძო საზანთრო.
 კალანჩხა საშუალო ზომის გოდორი ბზისათვის.

კაპუეტი (ყოჩი) 134,28 დასრულებული ასაკის (ხუთი წლის) ყოჩი.
 კარის გადგება 82,29 კარის დაკეტვა კეტით.
 კატუნა 57,21 გარეული კატა.
 კაუჭიანი 51,10 ბოლოში მოხრილი, მოკაყული, — კავიანი.
 კვრინჩხი (Prunus spinosa) გარეული ქლიავი, მურაკი.
 კვირტის მიცემა 42,40 ამა თუ იმ რაოდენობის კვირტის დატოვება ვაზის გასხვლისას.
 კიპორჩხი 55,22 წისქვილის ფორჩხზე დაკრული რკინა, რომელზედაც დამაგრებულია ასაწევ-დასაწევი სახელური.
 კლანჭი 62,2 ბარკალი (შინაური ფრინველისა).
 კოკლიწია წივა.
 კორა 65,33 მრგვალი პატარა ქვა, რომესაც კორაობის (წ.) დროს იყენებენ.
 კორაობა 65,32 თამაშობაა. პატარა ორმოს ამოთხრიან, მის ნაპირზე კორას (წ.) დასვამენ და რამდენიმე მეტრიდან ესვრიან მას სალას (ბრტყელ ქვას), რომ ორმოში ჩააგდონ.
 კორიანტელი 9,28 ჰაერში ავარდნილი ხშირი, სქელი კვამლი.
 კორწოხი ციცაბო, კორტოხი.
 კრენჩხა 74,8 თავის ქალა.
 კუკურიკი 65,28 პატარა ბურთისოდენა მრგვალი ხე, გოთაობის დროს იყენებენ.
 კულავ 128,2 ვაისად, მერმის.
 კუნწუნა ფიჩხი, წყიმალი.

ლ

ლაბაქანი 55,23 წისქვილის კიპორჩხზე დამაგრებული ასაწევ-დასაწევი სახელური.
 ლენჯოგაცლილი 127,14 წენგოშემოცლილი, გაკროცილი, გაკროლილი (კაკალი).
 ლექლებ-ა სიცხისა და სიმწყურეალისაგან ბრუვდება (საქონელი).

ლინჯი 128,3 ატალახებული მიწა.
 ლონტახი შესაწირავი ტახი ნეკრესის
 ეკლესიისათვის.
 ლოქათა პირღია.
 ლურჯი 166,13 მუქი მწვანე ბალახი,
 მოლი.

ა

მარილკვერი 98,10 ძალიან მარილიანი
 (მლაშე) კვერი, — ვეძიკვერა.
 მარჯაკალი 13,28 მაქანკალი.
 მარჯვე 124,34 მოხერხებული, აღ-
 ვილი.
 მალაზია 50,11 სკის ფიქიანი ჩარჩო.
 მაჩტა 43,38 (*Campanula rapunculo-*
ides) მაჩიტა, ძირთეთრა ბალახი.
 მაჯანჯულა მაჯლაჯუნა.
 მღადე 60,8 პატარძლის დობილი.
 მეკომური 32,19 მეკონლე, მოსახლე.
 მეკუდური 38,33 მკის დროს ბოლოს
 მომდევნო მუშა (მესვეური კი წინ
 მიუძღვის).
 მენარიყე 80,36 ნარიყი (გამორიყული)
 შეშის შემგროვებელი.
 მიბეჩავება 127,30 მისუსტება.
 მიწვავება 116,45 ბლომაღ, ზევადად მი-
 ყრა (მიწისა).
 მიიწინებ-ა 168,30 გვერდ-გვერდ, წელ-
 მოწყვეტილივით მიდის.
 მილდო ვაზის ავადმყოფობა, ჯერ ნაც-
 რისფერს გახდის ფოთლებს, შემდეგ
 კი ახმობს, გადადის ყლორტებზე და
 წვერებს უხმობს.
 მინაბრება^ა მიბარება, მინდობა.
 მიტმასნება 53,13 მკიდროდ მიწყობა,
 ერთიმეორეზე მიკვრა.
 მიშველება 158,14 მიგებება, დახ-
 ვედრა.
 მიწუწება 167,10 მისხურება.
 მობასრული 24,23 გასვრილი (სისხლში).
 მოვანკლა დანაგვიანება, მოსვრა.
 მოვირავენე 13,1 გლუხკაცის მამულის
 დამგირავებელი, რომელიც ვალში
 კირნახულს იღებდა.
 მოგონდებ-ა 118,25 გონზე მოვა,

მოთავსდებიან 127, 25 შეთანხმდებიან,
 მორიგდებიან.
 მოკვანტილი მოხრილი, ნოკაკული.
 მოკუჭული მომუჭული.
 მონახადი 134,4 ცხრილში ზემოთ მო-
 გებული ბეირი და ჩეხი, — ანაკაში.
 მორბელი 85,8; 106,33 საქმიანობაში
 ყოჩალი, მალი, ჩქარი, მარდი, მუ-
 ყათი.
 მოსადევარი ადგილ-სამყოფელი, მა-
 მული და საბლ-კარი.
 მოსადილება 166,21 სადილობის დროის
 დადგომა, სადილობის დრო.
 მოსარეკი 57,17 ადგილი, საიდანაც მო-
 ნადირენი ნადირს ერეკებიან.
 მოსახკარობა 18,22 ოჯახს მოკიდება,
 დაბინავება, დასახლება.
 მოსხლეთა 45,36 ნ. ა ს ი ლ ე ტ ა.
 მოტანტვლა მოსვრა (ტალახში).
 მოფორჩხვა 39,14 ფორჩხით შეგრო-
 ვება, მოხვეტა (ნათიბისა).
 მოქანჩვა 94,8 ქანჩით (მოკლე ჯო-
 ხით) თოკის მოკირება.
 მოქედურება 127,28 ქედის მოხრევი-
 ნება, დამარცხება.
 მოქირავენე 20,39 ქირაზე მოსიარულე-
 მოქონება 8,9 შეძენა.
 მოჩამიჩებული 76,9 ვადატ. დაჩაჩანა-
 კებული, დაბერებული (ადამიანი).
 მოჩორკნა ზერელედ, აქა-იქ მოთოხნა.
 მოცადი საქონელი 10,14 არამუშა,
 მოზარდი საქონელი, აგრეთვე ფუ-
 რობა.
 მოწყაპწყაპება 178,36 წვეთ-წვეთ წყლის
 მოსხურება.
 მოხანხლული ცუდად მოხალული (სი-
 მინდი).
 მოხელვა დაზელა (კომისა).
 მოჯერება 88,33; 167,28 დაკმაყოფი-
 ლება, გაძღომა.
 მსუბუქი კალო 41,1 კალო, რომელ-
 შიც თხლად ცოტა ძნა არის ჩაფე-
 ნილი.
 მუქა ჯოხი ხელის პატარა ჯოხი.
 მუხლი: ნათესი მუხლში შედის
 40,25 ნათესი მუხლს იკეთებს.

მუხლთბალიში 135,16 ბავშვის მუხ-
ლებზე არტახქვეშ დადებული პატარა
ბალიში.
მქვრევა 43,29 აბალამოსული ვაზის
გარშემო ფხვიერი მიწის აკოკოლა-
ვება, შემოყრა.
მყეფარი 46,38 ძალი.
მძიპე კალო 41,1 კალო, რომელშიც
სქლად ბევრი ძნა არის ჩაფენილი.
მწვიტინი 16,43 მოსვენების არმი-
ცემა.
მხართბალიში 135,15 ბავშვის ბეჭე-
ბებზე დადებული პატარა ბალიში აკ-
ვანში.
მხნეობა 8,12 გამრჯელობა, მუყა-
ითობა.

6

ნაბოლარა 119,23 ბოლოს დაბადებუ-
ლი, ყველაზე უმცროსი შვილი.
ნაბოლოვარა 41,19 გვიან შემოსული
პურეულის მარცვალი, საკენკად იყე-
ნებენ.
ნადედობი 115,42 გამხრდელი, არა-
მშობელი დედა.
ნათავთი 37,6 მომკის შემდეგ ყანაში
ნარჩენი მოგროვილი თავთაეების
მარცვლეული.
ნაკატო 39,24; 41,35; 127,5 მარცვალ-
გაცილი, გაფშენილი სიმინდის ტა-
რო, — ნაქუჩი, ნაგული.
ნაკაფი 43,7 ხეს აქრილი ტოტები.
ნაკაქო 128,6 ნ. ნაკატო.
ნაკმაწი 39,5; 134,5 გაცხრილვისას
თავზე მოგდებული ხორბლის ან ქერის
ამშეული მარცვლები და ბალახის
თესლი (ქათმების საკვებად იყენებენ).
ეწოდება აგრეთვე წუნდებულა.
ნამკვრევი 42,6 სიმინდის ძირში ამო-
ნაყარი, ბარტყი, ნაბარტყი.
ნამქვრევი 43,34 ვაზის ღეროსა და
ფოთოლს შორის ამონაყარი ყლორ-
ტი, აცილილი მომქვრევის ღროს.
ნათხალი 34,5, ნათხარი 132,25
მეთხედი.

ნაოში 39,34 შემოდგომაზე მოხნული
ანეული, ხელმეორედ მოხნული ანე-
ული.
ნარცეცხლა 40,29 (*Centaurea iberica*)
გრძელფოთლიანი და ეკლიანი ბა-
ლახია.
ნასიჰინდარი 39,27 მიწა, ადგილი,
სადაც სიმინდი ეთესა.
ნაფკვი ფქვილი.
ნაქუჩი 53,19 ნივრის ან ხახვის გარე-
კანი, ფოჩი.
ნაყარი 50,14 ცალკე ოჯახად გამოყო-
ფილი ფუტკარი.
ნაშენობა 45,29 შიგნეული.
ნახამ 125,1; 156,14 რადგან, რახან.
ნებივრათ ნელა, მძიმედ.
ნეი-ნეი! 34,24 ღორების დაძახება
დასაპურებლად.
ნელახანათ ახლახან, ეს-ეს არის.
ნიშხა-ნიშხაობა 66,31 საბავშვო თამა-
შობაა.
ნიჭი 62,31 პატარძლისათვის მირთმე-
ული საჩუქარი.

ო

ორომი 50,31 პურის გუნდების და-
საწყობი ფიცარი.
ორსულობა 40,32 თავთავის ჩასახვა.
ოჯახი 50,13 სკა, ძირი ფუტკარი.

პ

პანლურს უპირებ-ს 159,12 პანლურს
ამოჭკრავს.
პაპა 20,11; 68,16; 124,10 მამის მამა, —
ბაბუა.
პიე, პიო 127,12 ინდაურის ქუჩი.
პირთხახურავი 135,17 აკვანში ბავ-
შვის პირზე გადასაფარებელი.
პირჩილი 42,13 ჩრდილოეთისაკენ
პირმიქეული მიწა, ჩრდილიანი ად-
გილი (შდრ. პირმზე 42,13).
პლახი 128,2 ნაპობი შეშა.
პოლორჭიკა გადატ. მატრაკვეცა, მე-
ტიჩარა.
პოშოლა გადატ. პატარა, წითლად შე-
ბრაწული მრგვალი პური.
პწკრიალი 159,45 ფრთხიალი.

ჟ

ჟრფიალი 115,46 ბრქყვიალი.
 ჟღარუნა 55,39 ნალეზის ჟეკერა, ჩა-
 მოკიდებულა წისქვილის ხვიმირზე,
 რომ მარცვლეულის გათავებისას აე-
 ღარუნდეს.
 ჟღმურდლიანი 74,13 ჯანლიანი, მოქუ-
 შული.

რ

რადგარუდგი 64,28 დოლის დაკვრი-
 სას გამოცემული ხმა.
 რამის 22,26 ლამის.
 რგალი 55,33 ნ. კალ ო.
 რიანდი 43,31 რეჰანი.
 რქის მაცემა 42,41 გრძელი საკავებელი
 რქის დატოვება ვაზზე.
 რჩხა 107,2 კაპებიანი ხის ტოტი.

ს

საალე ჟეშა 54,33 ადვილად ასანთები,
 ალიანი ჟეშა.
 საბეგველი 168,33 კეტი, რითაც ბეგვა-
 ვენ მიწას საქვევრედ.
 სადელი 46,30 რძის ჩასადეღებელი.
 ყველის დედა, სახსნე, კვეთი.
 სადელდე 50,7 დედალი ფუტკრისა-
 თვის განკუთვნილი უჯრა სკაში.
 სადელდო 50,10 დედა ფუტკრისათვის
 განკუთვნილი უჯრა სკაში.
 სადლისმეზრეო (ბიჭი) 37,33 (ბიჭი)
 13 — 15 წლისა.
 სათავადო 9,18 თავადის სახლ-კარ-
 მამული.
 სათვალიო 127,18 კარგი შესახედა-
 ობისა, თვალად მოსაწონი.
 სათირი 74,26 დიდი მორი, რომელიც
 ურემზე ვერ დაიდება, ხარებს მო-
 უბამენ და ისე მიათრევენ.
 საკიდელი 130,39 შუაცეცხლზე ქვა-
 ბის ჩამოსაკიდი.
 საკრფელი 43,18; 170,36 პატარა გო-
 დორი, გოგროხა, რომელშიც ყურ-
 ძენს კრფენ.

სამალდე 53,35 ხარის (კამეჩის) უღელ-
 ში შებმისას ტაბიკების საბმური.
 სამამლე 50,6 მამალი ფუტკრისათვის.
 განკუთვნილი უჯრა სკაში.
 სამატი 49,23 დამატებითი ცახი აბრე-
 შუმის ქიისათვის.
 სამაჯური 165,7 სამკლავე, მკლავა-
 იკი, მომკელს მარჯვენა მკლავზე
 აქვს ამოცმული.
 სანაპირო 49,19; 49,36 აბრეშუმის ქიის
 ლასტის გარშემო შემოლაგებული
 ცახი.
 საპირობელი 56,1 ფქვილის ჩამოსა-
 დენი ალატში.
 სართული 49,15 აბრეშუმის ქიის გასა-
 ფენი ერთი წყება, ერთი რიგი ლა-
 სტი, — გარინგა.
 სატკბილობელი 58,30 ტკბილეული.
 საფქვი 126,40 დასაფქვავე ხორბლე-
 ული, საფქვავე მარცვლეული.
 საფქვილე 52,22 ფქვილის ამოსაღები,
 ხისა, ტარიანი, — ყოში.
 საქედური 53,33 ტაბიკებს შუა ამოწე-
 ული, ამოზნექილი ნაწილი უღლისა.
 საყენებელი 54,11 ლერძის საბრუნ
 ადგილას ურმის ხელნაში ჩაყრილი
 ქინქილაქი, რომ ლერძი წინ ან უკან
 არ წავგორდეს.
 საჩალე 20,24 ჩალის წასაღები ურემი.
 საცეხველა 1. 29,42 ადგილი, სადაც ცე-
 ხევენ. 2. 39,30 ჯოხი, რის ცემითაც
 სიმინდს, ფეტვს და მისთ. მარცვლებს
 აყრევენებენ.
 საცხოვრისი 20,14 სარჩო-საბადებელი,
 ქონება-დოვლათი, საცხოვრებელი.
 საძნური (საძნური) 59,22 ძნისა და თი-
 ვის საზიდი მალალქალებიანი დიდი
 ურემი.
 საწუხისი 166,26 სადარდებელი, შესა-
 წუხებელი.
 სინაბარა ანაბარა.
 სიხიმსი სიმსუქნე.
 სხვლერტი წვიმა 92,8 წვრილი წვიმა,
 თქორი.

ბ

ბაგანი 134,9 ნ.საკიდელი.
 ბარტაბუცა შტერი, ჩერჩეტი.
 ბახი 138,2 ძველი ხალხური თამაშობა-
 წარმოდგენა, ყველიერის კვირაში
 იმართებოდა.
 ბროჟია დიდი და ძალიან მსუქანი,
 უმნო ქცევისა და შესახედაობის ადა-
 მიანი.
 ბუგუ-ბუგუ! 84,8 ძალის დაძახება.
 ბულაპანა ლობიოს ჯიშია, დიდი, მუ-
 ქი წითელი ფერის მარცვლები იცის,
 უგემურია.
 ბულეშა 21,31 თხლეშა.

უ

უარს სტიციებ-ს 13,28 უარს ეტყვის.
 უგემური 76,39 გადატ. უხასიათო, უვარ-
 გისი.
 უდარიელებ-ს თვალი უქირავს, უთვალ-
 თვალებს, უდარაჯებს.
 უზარმაცი 120,7 აზარმაცი.
 უსართებ-ს მაგრად მიარტყამს, შემო-
 ჰკრავს.
 უფუყებ-ს 91,30 გაუყრის (გახურებულ
 შამფურს).
 უფხო 38,21; 40,1 ხორბლის ჯიშია,
 ფხა არა აქვს, მსხვილი მარცვალი
 იცის. 4-5 წელს ერთსა და იმავე
 ადგილას თუ დაითესა, გადაჯიშდე-
 ბა: თავთავს გაიკეთებს, მაგრამ მარ-
 ცვალი არ ექნება.
 უქცევს 38,40 ნალეწ ძნას აბრუნებს,
 აჩენს და ასწორებს.
 ულრალი 105,11 უგზო და უკაცრიელი
 (მთა).
 უჩუმრა ჩუმად.

ფ

ფლანგი 47,2 შიგნეული, ფაშვი.
 ფარსაგი ვარგისი, ხეირიანი.
 ფაფუქი 135,21 ძუძუმწოვარა ბავშვის
 ფეხსაცმელი, — ფაჩუჩი.
 ფაფხაქელა თორნის პურის თხელი
 გამხმარი გვერდი, — ფაფხაქა, ფრჩხი-
 ლი.

ფაცაცათ 13,40 სწრაფად, სახელდა-
 ხელოდ, ფაციფუციით.
 ფაცერი 55,16 ღარის ფორმის ლასტი
 თევზის საჭერად.
 ფერდა 57,40 დაქანებული ადგილი.
 ფეხის მოსავალი 27,27 ნაბარში მო-
 ყვანილი ქირნახული, — ბოსტნეული.
 ფეხმარდათ 124,23 სწრაფად, მარდად.
 ფილაქანი 75,21 აგურიით დაგებულ
 იატაკი.
 ფირფიტელა თხელი თლილი ქვა ქვევ-
 რის დასაფარებლად.
 ფიცხი ადგილი ქვიშიანი, კირნარევი,
 ქვიანი ადგილი.
 ფოლორცი ლაქუცა.
 ფორჩხი 39,14; 55,22 ფარცხი.
 ფრიათი შფოთი, წივილ-ქივილი, ერთი
 ამბავი.
 ფრჩხილი 51,4; 52,19 თორნის პურის
 თხელი გვერდი.
 ფუინა 8,25 წვრილი მწერი, ქინქლა.
 ფუფუნა ხშირი ქია რამეზე დახვეული.
 ფუქი 13,9; 64,32 ბუქი, მტვერი.
 ფშვრიო 39,10 შვრია.
 ფხორთვა 17,21 ქანაობით, რამეზე
 ხელწავლებით სიარული.

ძ

ძალაღა 60,18 ბალდადი.
 ძანხე 56,18 სვეტების დასაყრდენი
 დირე.
 ძაშანაური 54,37 ქაშანური.
 ძერიჭამიაობა 67,1 საბავშვო თამაშობაა.
 ძერქქელა 51,1 თორნის კედელზე შე-
 მხმარი პურის თხელი ქერქი.
 ძერქიდან ამოსვლა 49,33 აბრეშუმის
 ქია მეოთხედ რომ კანს გაიძრობს,
 იტყვიან: ქერქიდან ამოიდაო.
 ძინძლარა 39,9; 40,27 (Bifora radians)
 მინდვრის ქინძი, ქინძმანძუქი.
 ძირქა (← რქის რქა) ვაზის კვირტსა
 და ტოტს შუა ამოსული ყლორტი.
 ძორთუკი 114,39 კუნძი.
 ძრთამი 8,7; 61,22 მზითვეს გარდა ფუ-
 ლად მიცემული.

ლ

ლეღლო საყელოგახსნილი, გულგაღე-
ლილი.

ლინკლა 41,38 პატარა, უნაყოფო ან
თითო-ორთა მარცვლიანი სიმინდის
ტარო.

ლოკლერტა 43,37 სარეველა მცენა-
რეა, ვენახში იცის.

ლრიკინა პატარა, დაბალქალებიანი ურე-
მი შეშა-ფიჩხის ან საფქვეავის წასა-
ლებად. კახეთში არსებობს ასეთი
თქმა: შ ა ლ ა უ რ უ ლ ლ რ ი კ ი ნ ა ს ა
ე ძ ა ხ ო ლ ნ ე ნ ა რ ა ბ ა ს ა .

ყ

ყადალი 127,1 მკედლის ლურსმანი
(დიდი).

ყაღაბანდი 83,38 ნაბდის ქუდის შე-
მოკეცილი ნაწილი, — ყალბა.

ყაპყატო თბილის ჯოხის ანატკეჩი.

ყარაო 167,16 ცხერის ავადმყოფობა:
შიწილისაგან თვალები უჭრელდება.
ყეფარი 74,10 ნ. მყეფარი.

ყირთამალა 133,7 ყირამალა, თავდაყი-
რა.

ყურფი 135,35 ყულფი.

ყურყუტი ბეჩავი, გადაყრუებული.

ყურშატი ხელან მოსავლება, ყური, სა-
ხელური.

შ

შათვალეხული 127, 22 სინწიფეში ახალ
შესული (ნაყოფი).

შალაფი 39,28 ნ. შალაფა.

შალაფა 43,38 (*Sorghum halepense*
Pers) მაღალი ბალახი, ნოტიო, კაობი-
ან ადგილას იზრდება. ამით სიპინდის
ფუჩჩის კონებად კრავენ.

შამხო 55,12 საზამთროს ჯიშია, თეთ-
რი თესლი და თეთრა. ქვრქი აქვს,
დიდხანს ძლებს.

შაფხლება 137,15 უკანა ფეხებზე
შედგება.

შაქის ყოჩი 134,23 ორი წლის ყოჩი.

შაღონება 83,7 შეღონება, შეწუხება.
შაღლებინება 60, 23 დახმარება, შეშვე-
ლება.

შახუნწვლა 49,21 შეხუნძვლა (აბრე-
შუმის ქიისა ცახზე).

შელგა 40,27; 49,18 სარეველა მცე-
ნარეა.

შემობლაჯუნება ტალახიანი ფეხსაც-
მლით შემოსვლა.

შემოყორღა 34,11 ყორღის ჩაყრა,
შემომიჯვნა.

შეყელთება მეტად გულის მოსვლა.

შეტენვა 167,24 შემჩნევა, შეტყობა.

შეხეჩება 57,17; 127,13 მოულოდნე-
ლად შეხვედრა, შეფეთება, — შეჩე-
ხება.

შიშამქრალა ძალიან გზიშარა.

შლაპვა 45,40 სლაპვა.

ჩ

ჩაწლაყუნება ჩაწანყება (ურმის თელის
ჩაყარდა ჩაღრმავებულ ადგილში).
ჩამობლერტვა 127,19 გაჯატ. გახდომა,
მიღევა.

ჩამოფხავება ძალიან გახდომა, გაღევა.
ჩამოღალული 92,16 დაგლეჯილ-და-
ფლეთილტანისამოსიანი, — ჩამოგლე-
ჯილი.

ჩამხობა დასხმა, დაღება (საკმელ-სა-
სმლისა).

ჩასარვა 43,24 სარების ჩასმა ვაზები-
სათვის.

ჩასწრება 66,23 დასწრება.

ჩაფეხვა 127,24 თხრილში, ორმოში
ჩაყარდა.

ჩაშაქრება 53,10 სიტკობში შესვლა, —
დაშაქრება.

ჩაჩუმავება (რძისა) 48,13 აუღულარი
რძის ჩაწოლა, მაწონსავით გახდომა.

ჩაწოლა (რძისა) 48,13 ნ. ჩაჩუმავება
(რძისა).

ჩეჩქი მარცვლეულის შემოცლილი პარ-
კი, ფუჩჩი, ჩენჩო და მისთ.

ჩინური (ხელადა, ჯამი...) მოქიქული
(ხელადა, ჯამი და მისთ).

ჩინჩხალი (ჩინჩხილი) ტოტებიანი ნარიყი ხე.

ჩინჩინი 9,28 მუგუზლების ჩხრეკა, ჩუჩხური ცეცხლის გასაღვივებლად.

ჩონჩისი 50,10 თავთავის ნაწილი, რომელშიც მარცვლებია.

ჩორჩოლა 55,3 მოგრძო კალათის (ჯინის) ყური, სახელური.

ც

ცუნგლიანი 73,32 ცინგლიანი.

ცხვირი 41,5 კეკრის წინა, წაწვეტილი და ასრილი ნაწილი, — დინგვი.

ძ

ძირის ოთახი დაბლა (პირველი) სართულის ოთახი.

ძროსუქაობა 66,30 საბავშვო თამაშობაა.

ძუძუქალა ვაშლის ჯიშია, მოგრძო, წითელი ნაყოფი იცის, მწიფდება სექტემბერში და ინახება მაისამდე.

წ

წანწარი 48,18 ნელ-ნელა ტოკება, რყევა. რხევა.

წენწორი 44,35 ერთგვარი მხალია.

წიარი 65,35 აქეთ-იქით სირბილი, — წრიალი.

წივანა 40, 28 (Festuca) სარეველა ბალახია.

წითელი სახლი 28,15 აგურით აშენებული სახლი.

წინავაც 12,6 ადრევე, უწინაც, წინათაც.

წინა კაცი 12,32 შეძლებული კაცი.

წინწალი წვეთი.

წისკვილის გული 55,25 წისკვილის დაბლითა ქვაში ჩასმული მრგვალი ხე, რომელშიც ბორბლის ღერძია გაყრილი.

წიწილიანი 41,37 სიმინდის მარცვლის წაწვეტილი ნაწილი, რომლითაც მარცვლი ნაკატოში ზის.

წკარი 100, 39 ერთმანეთზე მიყოლებით, მწყრივად ჩარგული ხეხილი.

წკომალწკუმალი 127,15 გამხმარი წვრილი ტოტები.

წნული სახლი 130,38 წნელით მოწნული, ტალახით გაღესილი და ჩალით დახურული სახლი.

წოწკი წვრილი ტოტი.

წრაფა ლობიოს ჯიშია, კუჭნავა (პირშავა) და თეთრია.

წრის დადება 65,18 წრის გაკეთება, წრის შემოვლება.

წყობისათ 53,8; 133,20 ერთმანეთზე მიყოლებით, მწყობრად.

ჭ

ჭვინტი 135,35 ქალამნის ცხვირი.

ჭირკოდილაობით 26,13 გაჭირვებით, ავადმყოფობით, ვაი-ვაგლახით.

ჭიუხვი შიშველ-ტიტველი კლდე.

ჭროლა თუთა 44,38 ქრელი თუთა.

ჭუკული ბატის ჭუკი.

ხ

ხადილობა შექცევით დროს გატარება.

ხამი ადვილი 45,9 ყამირი ადვილი.

ხამი საძოვარი 165,32 საქონელს რომ ჯერ არ უძოვია, ისეთი საძოვარი, — ყორული.

ხარალი 43,42; 49,20; 127,9 მხრალი.

ხარჯი 59,8; 72,3 სასმელ-საქმელი, საწოვავე.

ხებრეკია უხეში, ბრიყვი.

ხელდასადგები 127,25 სასიძოსაგან საპატარძლოსათვის მირთმეული ნივთი (ბეჭედი ან სხვა რამე) დასანიშნად, — საწინდარი.

ხელის მიცემა 52,27 ახალჩაკრული პური რომ ვარდნას დაიწყებს, ხელს მიაშველებენ და ისევ მიაკრავენ, — ამაზე იტყვიან: პურს ხელი მიეციო.

ხელისხელათ 30,8 ხელში აყვანილი, ხელით აწეული.

ხელკვერი პატარა კვერი, ჩაქუჩი.

ხელჩაფა 12,2 ღვინის საწყაო, ცხრა ლიტრი ჩადის.

ხელცულა 22,5 მოკლეთარიანი პატარა ცული, ნაჯახი.

ბეჭეჭურა მსხალი მსხლის ჯიშია, რომლის ნაყოფი ყვითელია და მაგარი კანი აქვს.

ბეჭეჭურა მხალი 44,36 იგივეა, რაც ხაკიჭორა მხალი.

ხველა დიდი ხის ჩაქუჩი, სცემენ პურელის თავთავს და მარცვალს აყრევენებენ.

ხომარიელი 128,6 ხვეიანი, ბარაქიანი. ხონა 68,11 ხონი (თაბახი, გობი).

ხრუკი სული 151,9 ბეწვეულის დაწვის სუნი.

ხუფხუფი ხაფხაფი, ხმაურით დენა წყლისა.

ხუქმალაობა 66,1 ხუქმალაობა.

ჯ

ჯანანურა 44,2 ვაზის ჯიშია.

ჯანდაგი ალაგი მწირი ადგილი.

ჯვარის ჩასმა 50,30 პურის ცომზე ხელით ჯვრის გამოსახვა.

ჯიათი გაუხდებ-ა ჯიბრს გაუწევს, გაკერპდება.

ჯინი 55,2 დაწნული მოგრძო კალათი: თავსა და ბოლოში ყურები აქვს, პატივის გასატანად ხმარობენ.

სამცხემელი

1. პირები

(გვარები, სახელები)

ბბესაძე ნ. II
ალავეიძე მ. 45, 50
არაგვისპირელი შ. 22
არჩილი 20, 21
ასლანიკაშვილი ლ. II
აფციაური ე. IO
ახვლედიანი გ. 30, 37, 40, 41, 42, 46, 47, 52, 53

ბერიძე გრ. 9, II
ბერძენიშვილი ნ. 15
ბილანიშვილი ზ. IO
ბოქოლიშვილი მ. IO

ბაბუდავა გრ. 14
გაჩეჩილაძე პ. 133
გვენცაძე ალ. II, 14
გვერდწითელი მ. IO
გიგაური ნ. II, 23, 120
გიგინეიშვილი ივ. 5, II
გოგებაშვილი იაკ. 22
გოგობერიძე რ. IO
გოგინაიშვილი მ. II
გოგუაძე ნ. 9
გუგუშვილი მ. II, 130
გურამიშვილი დაე. 21.

ღათუკიშვილი გ. IO

მბრალიძე ს. IO
ევდოშვილი იროდ. 20, 22, 23
ერისთავი რაფ. 20, 22, 23, 24, 27

ვაკა-ფშაველა 13
ვაკირელი ქალი IO

ჯურაბიშვილი თ. II, 73

თეიმურაზ პირველი 20, 21
თეიმურაზ მეორე 20, 21
თოფურია ვ. 8, IO, II, 28, 32, 38, 40, 42, 43, 47, 50, 51, 54, 62, 63, 72, 86, 94, 95, 99, 100, 102, 105, 108, 110, 131, 135

იმნაიშვილი გრ. II, 12, 46, 47
იმნაიშვილი ივ. 5
ინასარიძე ნ. II

ქალაძე ც. II, 28, 108
კარტოხია გ. II
კახაძე ოტ. 36, 40, 61
კიხირია ანტ. 82, 131
კიკნაძე გულნ. IO, II
კოშორიძე ელ. II

ლეკიაშვილი ალ. 32
ლეონიძე გ. 20, 23
ლომაძე თ. II
ლომთათიძე ქეთ. 46, 66
ლომთური ნ. 22

შაისურაძე ილ. 60
მარტიროსოვი არ. II, 20, 21, 30, 31, 36,

79, 95, 134

მაჩხანელი (ნადირაშვილი) დ. 23
მაკაეარიანი გ. 9
მახაროლიშვილი ე. 9, II
მელანია (ნათაძე) ნ. 23
მენტეშაშვილი სტეფ. 8, II, 12, 136
მიქელაშვილი ც. IO
მრეველიშვილი მიხ. 20, 23, 24
მკედლიშვილი ივ. II

ნოზაძე ლ. II, III
ნოლაიდელი ჯ. 46, 50, 60

ოკრბელიანი ს.-ს. 80

პოლოლიკაშვილი ე. II

შლენტი ს. 31, 47, 50, 52, 56, 59, 64, 65.

ჩამიშვილი ნათ. 9, II
რახიკაშვილი თ. IO
როგავა გ. 94

საამიშვილი ნ. IO
საყვარელიძე ნ. IO

ფანჩიძე ელ. 127

ქავთარაძე ივ. 51, 100, 103, 107

ლლანტი ალ. 45, 48
ლლანტი შ. IO

ქიფშიძე ი. 40

ჭაიშვილაშვილი მ. 10

შალაბერიძე გ. 9, 11, 94, 116

შანიძე ა. 6, 7, 22, 28, 29, 34, 39, 40, 50, 51, 52, 61, 62, 65, 81, 83, 85, 86, 90, 92, 93, 95, 100, 101, 102, 108, 111, 112, 116, 118, 132, 134

შანშიაშვილი ს. 20, 23, 24

შარაშენიძე ქ. 11

შარაძენიძე თ. 74

შუხარდტი ჰ. 127

ჩიტაია გ. 4

ჩიქობავა არნ. 5, 7, 8, 13, 22, 30, 31, 32, 33, 34, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 50, 51, 52, 55, 56, 57, 58, 59, 66, 68, 70, 75, 76, 78, 81, 83, 84, 94, 97, 98, 99, 101, 106, 108, 109, 114, 124, 126, 127, 129, 150, 131, 135

ჩხენკელი სტეფ. 124

ჩხუბიანიშვილი დ. 10, 11

ცერცვაძე ილ. 87, 99

ძიძიგური შ. 31, 43, 47, 48, 50, 56, 94

ძიძიშვილი მ. 11

ძოწენიძე ქეთ. 23, 47, 50, 59, 66, 94

წერეთელი აკ. 22

ჭაუჭავაძე აღ. 20

ჭაუჭავაძე ი. 20, 22, 23, 26, 27, 28

ჭანტურია დავ. 9, 67

ჭეიშვილი ლ. 11

ხუბუა მ. 46, 47, 60

ხუბუტია პ. 9, 11

ჯავახიშვილი ივ. 15, 41

ჯანაშვილი მ. 43, 44, 46, 48, 51, 53, 59, 60, 61, 62, 65

ჯანაშია ს. 15

ჯაჯანიძე პ. 48, 66

ჯოხაძე ნ. 9.

2. ტექსტების ჩამწერ-შემკრებნი¹

აბესაძე ნინო — 70, 125, 126, 142

ასლანიკაშვილი ლიანა — 63, 64, 73, 117, 118, 123, 151, 156

ბარამიძე ლილი — 102, 105, 137, 138

გიგინეიშვილი ივანე — 127, 128

გოგიჩაიშვილი მერი — 69, 71, 81

ზურაბიშვილი თამარ — 6, 31, 36, 37, 51, 84, 107, 113, 114, 119, 129, 133

იმნაიშვილი გრიგოლ — 1, 2, 9, 15, 16, 17, 18, 19, 20, 22, 23, 24, 26, 35, 40, 42, 43, 44, 56, 59, 60, 62, 76, 77, 78, 79, 80, 82, 83, 86, 88, 100, 101, 103, 108, 111, 115, 144, 146, 148, 149, 150, 157, 158, 161, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 179, 180, 181, 186, 187, 192, 193, 194

ინასარიძე ნათელა — 106

კალაძე ცირა — 7, 21, 45, 55, 57, 66, 120, 121, 124, 130, 131, 132, 147, 152, 164

კიკნაძე გულნახი — 14, 32, 34, 61, 67, 87, 89, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 136

მარტიროსოვი არამ — 4, 5, 8, 10, 12, 13, 25, 27, 28, 29, 30, 38, 39, 41, 46, 47, 48, 49, 50, 90, 91, 99, 104, 109, 110, 112, 135, 139, 140

მახარობლიშვილი ეთერ — 143

მენთეშაშვილი სტეფანე — 54, 178, 182, 183, 184, 185, 188, 189, 190, 191

ნოზაძე ლამარა — 162, 163

რამიშვილი ნათელა — 52, 53, 65, 68, 72, 74, 75, 116

შალაბერიძე გიორგი — 141

შარაშენიძე ქეთევან — 153, 154, 155, 159, 160

ძიძიშვილი მერი — 3, 33, 58, 122

ჯიშიაშვილი ალექსანდრე — 11, 85, 134.

3. მოქმედები²

აზნიაშვილი მიხა — 28. 1952.

არჯუენიშვილი პართენ — 9. 19, 35. 1952.

ბაინდურაშვილი ალექსი — 193. 1947.

ბასაძიშვილი ალექსი — 23. 1949.

ბატიაშვილი მაკა — 134. 1940.

ბაჩიაშვილი სანდრო — 14. 1953.

ბაჩიაშვილი სიკო — 32. 1953.

ბაწილაშვილი ივანე — 18. 1952.

ბელიაშვილი მარო — 143. 1953.

ბერუაშვილი სოსია — 80. 1949.

ბერძენაშვილი ფირუზ — 118. 1949.

ბზუკაშვილი იტო — 194. 1947.

ბიძინაშვილი მოსე — 178. 1947.

ბოტკოველი ლიანა — 95. 1953.

ბოჭოშვილი მელანო — 151. 1953.

ბურჯანაძე ალექსანდრე — 152. 1950.

ბუწაშვილი იასე — 180, 192. 1947.

ბუჟყიაშვილი შაქრო — 173. 1947.

ბიძინაშვილი — 178. 1947.

¹ რიცხვით აღნიშნულია ტექსტების ნომერი.

² პირველი რიცხვი აღნიშნავს ტექსტის ნომერს, მეორე — ჩაწერის თარიღს.

- გავარდაშვილი სიდო — 53. 1949.
 გავარდაშვილი შიო — 72. 1949.
 გამილადიშვილი ნინო — 117. 1949.
 გარსენიშვილი მართა — 89. 1953.
 გელაშვილი ლამარა — 96. 1953.
 გელაშვილი ლეილა — 94, 97, 98. 1953.
 გელაშვილი მოსე — 181, 187. 1947.
 გელაშვილი სონა — 177. 1947.
 გველიკოშვილი თედო — 54. 1935.
 გიორგანაშვილი გიო — 56. 1952.
 გიორგაძე ვანო — 63. 1952.
 გიორგილი ნინო — 10. 1952.
 გოგილაშვილი მთოვარ — 171. 1947.
 გოგოლაშვილი შაქრო — 166, 167. 1951.
 გოგილაშვილი იაკობ — 164. 1950.
 გოდერძიშვილი თედო — 15. 1949.
 გოდერძიშვილი იოსებ — 22. 1949.
 გრიგოლაშვილი როსებ — 172, 174. 1947.
 გურაშვილი დათა — 190. 1935.
 გძელიშვილი ნუსო — 39, 46. 1952.
- ღალაქიშვილი ივანე — 102. 1953.
 დაუდიშვილი ილარიონ — 137. 1953.
- მსიტაშვილი თებრო I. 1952.
- ჯაალიშვილი ილია — 88. 1952.
 ზირაქაშვილი ნიკა — 157. 1951.
 ზურაბაშვილი მარიამ — 11, 85. 1940.
- თაგვაშვილი მაია — 81. 1953.
 თათრიშვილი თამარ — 70. 1951.
 თანდაშვილი ლევან — 189. 1935.
 თვალაშვილი ბაბე — 116. 1949.
 თვალაშვილი დარო — 63, 64, 65, 68, 74. 1949.
 თიგიშვილი მიხეილ — 156. 1953.
 თინაშვილი თამარ — 153. 1953.
- იმედაშვილი იოსებ — 55, 66, 121. 1949.
 იმედაშვილი მარიამ — 21. 1949.
- კახაშვილი ილია — 40, 43. 1952.
 კახაშვილი რუსუდან — 122. 1953.
 კიკოლაძე ფირუზ — 31. 1949.
 კირვალიძე შაქრო — 106. 1951.
 კობიაშვილი შაქრო — 142. 1951.
 კოსტანოვი სანდრო — 33. 1953.
- ლეკიშვილი ლევან — 90, 91. 1952.
 ლილუაშვილი ლახარე — 101. 1952.
 ლომიძე მიხეილ — 146, 170. 1951.
- მახიაშვილი ქარუმ — 191. 1935.
 მათიაშვილი გიორგი — 59. 1952.
 მათურიშვილი ბესო — 103. 1949.
 მაილაშვილი ილო — 36, 37, 51, 84. 1949.
- მაილაშვილი მაცვალა — 107. 1949.
 მამუკელაშვილი შაქრო — 144. 1949.
 მამულაშვილი მარიამ — 83. 1952.
 მამუჩაშვილი თ. — 162, 163. 1950.
 მარუქაშვილი ზაქრო — 100, 111, 1949.
 მარჯანიშვილი ილია — 29. 1952.
 მარჯურიშვილი გიგო — 99. 1949.
 მაქარაშვილი გიორგი — 186. 1947.
 მეხერიშვილი გიო — 123. 1949.
 მესაბლიშვილი ადამ — 60, 108. 1952.
 მესაბლიშვილი ვანო — 2. 1952.
 მეტხვარიშვილი ბაბუცა — 147. 1950.
 მეურიშვილი ნიკა — 182. 1955.
 მოლაშვილი ალექსანდრე — 175. 1947.
 მოსაშვილი მართა — 133. 1949.
 მრეკლაშვილი ბაბე — 156. 1953.
 მჭედლიშვილი სანდრო — 44. 1952.
- ნადირაძე ევა — 69, 71. 1953.
 ნარუსლიშვილი სოსია — 24. 1949.
 ნასყიდაშვილი გიო — 86. 1952.
 ნატროშვილი იოველ — 184. 1935.
 ნახუცრიშვილი ნუცა — 52. 1949.
- პაპუნაშვილი სანდრო — 148, 169. 1951.
 პეტრიაშვილი სანდრო — 124. 1949.
- როსტომაშვილი მათე — 140. 1952.
- სვიმონიშვილი ლიზა — 5, 8, 30, 41, 49. 1952.
 სიმონიშვილი ნიკო — 138. 1953.
 სიხარულაშვილი გიო — 112. 1952.
- ტურაშვილი ნიკოლოზ — 77. 1952.
 ტურაშვილი სანდრო — 76. 1952.
- უსუფაშვილი ფირან — 188. 1935.
- ფარასტაშვილი ელდარ — 159, 160. 1950.
 ფიცხელაური ა. — 7. 1949.
 ფლიონაშვილი იოსებ — 155. 1950.
- ძვაკრელიშვილი პავლე — 105. 1953.
 ქიტაშვილი შაქრო — 78, 79. 1952.
- ღვინიაშვილი გიორგი — 161, 168. 1951.
 ღვინიაშვილი ლევან — 125. 1951.
- ძვარეულაშვილი ნინო — 3. 1953.
 ყურაშვილი აბესალომ — 92, 93. 1953.
 ყურაშვილი ანდრია — 87. 1953.
 ყუშიტაშვილი ბაბე — 67. 1953.
- შათირიშვილი იოსებ — 12, 110, 139. 1952.
 შათირიშვილი მარიამ — 4. 1952.
 შაიშველაშვილი ივანე — 183. 1935.
 შალვაშვილი ალექსი — 38. 1952.
 შაშვიაშვილი დათია — 34. 1953.

შინჯიკაშვილი რამაზ — 185. 1935.
 შიოშვილი ილია — 158. 1951.
 შიოშვილი ლიზა — 131. 1949.
 შიუკაშვილი თამარ — 17. 1952.
 ჩანგაშვილი კეთევან — 120. 1949.
 ჩალმაველი ე. — 57. 130. 1949.
 ჩალმაველი რ. — 132. 1949.
 ჩუკურიშვილი ალექსი — 25. 1949.
 ცხოვრებაშვილი ლავრენტი — 154. 1953.
 ძილხანიშვილი აბრია — 114, 119, 129. 1949.
 ძილხანიშვილი კატო — 6, 113. 1949.
 წივილაშვილი ნინო — 82. 1952.
 წითელაური ლევან — 75. 1949.
 ჭიბალაშვილი აბრია — 73. 1949.
 კიბოშვილი სანდრო — 141. 1950.
 კიკიაშვილი ანა — 47. 1952.

კუკულაშვილი გიორგი — 178. 1935.
 სარაშვილი გაიოზ — 150. 1951.
 სეთისიაშვილი ლევან — 42. 1952.
 ხიზანაშვილი ბაბაღე — 16. 1952.
 ხმაღაძე ვეკ — 48. 1952.
 ხმაღაძე იასე — 13, 50, 109. 1952.
 ხომეზური გიორგი — 58. 1953.
 ხუნაშვილი ილიკო — 176. 1947.
 ხუციშვილი კატო — 8, 27. 1952.

ჯავახიშვილი დათია — 104. 1952.
 ჯავახიშვილი ვარა — 61. 1953.
 ჯავახიშვილი კოტე — 45. 1949.
 ჯაფარიძე სანდრო — 20. 1952.
 ჯაშიაშვილი ილია — 149, 165. 1951.
 ჯოხარიძე როსტომ — 135. 1952.
 ჯუგაშვილი მარო — 26. 1949.
 ჯუგაშვილი სოსო — 115. 1949.

4. ხოფლები

ალმატი 17, 56, 57
 ანგა 169
 არაშენდა 132, 147
 ახალსოფელი 53, 61, 127
 ახაშენი 53, 93, 120
 ახმეტა 23, 68, 128
 ბოდბისხევი 161, 162, 164, 167
 ბუშეთი 15, 44, 46, 48
 გრემი 18, 33, 35
 დარბა 129, 160
 დიდი ლილო 133, 135, 138, 139
 ენისელი 10, 18, 32, 62, 63
 ვახისუბანი 124, 128
 ვანთა 72
 ვეჯინი 43
 ზემო მაჩხვანი 166
 ზემო ხოდაშენი 9, 19, 36, 44, 45, 50, 86,
 87, 91, 97, 99, 101
 თალღაური 14, 30, 127
 იყალთო 31, 50, 64, 65, 66, 108, 127
 კაჭრეთი 148, 151
 კისისხევი 8, 9, 13, 27, 28, 29, 33, 34, 36,
 37, 38, 74, 127
 კუჭატანი 70
 მატანი 14, 19, 20, 26, 59, 69, 70, 75, 81,
 94, 96, 126, 128
 მახარაძე 132, 138, 139, 153, 156
 მელანი 167

ნანიანი 132, 137, 165
 ნაფარეული 7, 31, 45, 87
 ოხვანი 164
 ოყიო 41, 42, 48, 49, 51, 54, 55, 82, 83,
 84, 89
 პატარა ლილო 134
 პრასიანი 170
 საბუე 35, 58, 64
 ტიბაანი 161, 163
 უჯარმა 130, 133, 146
 ქვემო ბოდბე 162, 163, 167, 171
 ქვემო მალარო 168, 171
 ქვემო მაჩხვანი 163, 172
 ქვემო ხოდაშენი 6, 7, 16, 34, 47, 61, 74, 127
 ქისტაური 8, 30, 32, 39, 62, 73, 78, 80, 85,
 96, 104
 ყვარელი 118
 შალაური 37, 47, 66, 67, 71, 106, 127
 შილდა 7, 10, 11, 29, 33, 65, 75, 78, 112,
 114, 127
 ჩაბინიანი 56
 ჩუმლაყი 92
 წინანდალი 11, 63, 105, 127
 წნორი 162
 კიკიანი 72, 110, 112
 კოტორი 170
 ხაშმი 140, 141
 ჯაფარიძე 161.

- Саквареладзе Н., Лексика повести Ильи Чавчавадзе «Отрапорт кириви» (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი 1954.
- შაიშმელაშვილი მ., სასბელ-საჭმლის ლექსიკა კახურში (თეზისები): საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა VI სამეცნიერო კონფერენცია, თელავი 1954.
- შალამბერიძე გ., კახური დიალექტის თავისებურებანი ყვარლის მეტყველების მიხედვით: იბერიულ-კავკასიურა ენათმეცნიერება, VII, თბილისი 1955.
- შანიძე ა., სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ხმნებში, თბილისი 1920.
- ჩიქობავა არნ., გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად (უშუალო დაკვირვებანი): კრებული „არილი“, მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილისადმი, ტფილისი 1925.
- ჩიქობავა არნ., -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული, I—II, ტფილისი 1925.
- ჩიქობავა არნ., ბ-ბგერის დასუსტება ქიზიურში: ენიმკის მოამბე, I, ტფილისი 1937.
- ჩხუბიანი შვილი დ., კახურის მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი თელავის რაიონის მეტყველების მიხედვით (თეზისები): სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა XVI სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი 1954.
- ძიძიგური შ., ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი 1954.
- ძოწენიძე ქეთ., ქართლურ-კახური ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი ილია ჭავჭავაძის ენაში: ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, ქუთაისი 1955.
- ჭანტურია დავ., სიტყვათა და წინადადებათა შემოკლების შემთხვევები გარეკახურში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, თბილისი 1941.
- ხუბუტია პ., მოკლე ანგარიში თელავის რაიონში ჩატარებული სალექსიკოლოგიო მუშაობის შესახებ: ენიმკის მოამბე, IV, ტფილისი 1939.
- ჯოხაძე ნ., მევენახეობის ტერმინები შიგნი კახეთში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, III, თბილისი 1948.

გამოკვეყნებული კახური ტექსტები

- ბილანი შვილი ზ., 1883 — 1887 წლებში კახეთის სოფ. პატარძელში ჩაწერილი ხალხური ლექსები და ანდაზები: ძველი საქართველო, II, ტფილისი 1911—1913.
- გბრალიძე ს., ლლონტი შ., ქიზიყის პოეტური ფოლკლორი, თბილისი 1940.
- ვაქარელი ქალი, სოფ. ჭაქირში შეკრებილი ზღაპრები: ძველი საქართველო, IV, ტფილისი 1914—1915.
- რაზიკაშვილი თ., ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავეში შეკრებილი, ტფილისი 1909.
- რაზიკაშვილი თ., კახეთში შეკრებილი ხალხური ლექსები: ძველი საქართველო, III, ტფილისი 1913—1914.
- ჩიქობავა არნ., გარეკახური მეტყველების ნიმუშები: არილი, ტფილისი 1925.
- ჩიქობავა არნ., ქიზიყური მეტყველების ნიმუშები: ენიმკის მოამბე, I, ტფილისი 1937.
- ხუბუტია პ., შიგნიკახური მეტყველების ნიმუშები: ენიმკის მოამბე, IV, ტფილისი 1939.

შემოკლებათა განმარტება

- არჩ.=არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, არჩილიანი, პირველი ტომი; ტფილისი 1936, ტომი მეორე, ტფილისი 1937.
- გუჯ.=გუჯრები, ა. ხახანაშვილის რედაქციით (ჯერ ეურნ. „მწყემსში“ იბეჭდებოდა და შემდეგ, 1891 წელს, ცალკე წიგნად გამოვიდა).
- დოკ.=დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიიდან. I. ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი 1940.
- ევდ.=ი. ევლოშვილი, თხზულებანი, ტ. I—IV, შ. რადიანის რედაქციით, ტფილისი 1935—1938.
- რ. ერისთ.=რ. ერისთავი, თხზულებანი, ტ. I—IV, შ. რადიანის რედაქციით, ტფილისი 1935—1938.
- თეიმ. I=თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფილისი 1934.
- თეიმ. II=თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გიორგი ჯაკობიას წინასიტყვაობით, ლექსიკონითა და შენიშვნებით, თბილისი 1939.
- ფლია=ილია ქაქავაძე, ნაწერების სრული კრებული, შედარებული პირველ წყაროებთან და შევსებული ახალი ტექსტებით პავლე ინგოროყვას და ალექსანდრე აბაშელის რედაქციით, II—X, ტფილისი 1926—1929; თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, I, თბილისი 1951.
- მასალ.=მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი 1. მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, თბილისი 1938.
- დ. მაჩხ.=დ. მაჩხანელი, ძმური სიტყვა, გამოცემული ალექსანდრე როინაშვილის აგან, ტფილისი 1891.
- მელ.=ნ. მელანია, ბნელო, მეორე გამოცემა, ტფილისი 1920.
- მიხ. მრევლ.=მ. მრველიშვილი, ხარატანთ კერა, თბილისი 1948.
- საბუთ.=ისტორიული საბუთები, IV, V. გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, 1913.
- საეკლ. საბუთ.=ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი და გამოცემული თ. უორდანიას მიერ, ტფილისი 1903.
- სიძე.=საქართველოს სიძველენი, ტ. II, III, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი 1909, 1910.
- ქრონიკ.=ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წიგნი II, შეკრებილი, ახსნილი და გამოცემული თ. უორდანიას მიერ, ტფილისი 1897.
- ს. შანშ.=ს. შანშიაშვილი, ამბ.=ამბოყარი, ტფილისი 1924, შ. ბ.=შოთას ბექელი, ტფილისი 1927.
- ა. ქაქვ.=ა. ქაქვაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბილისი 1940.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც.საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ა. ნ ა თ ი შ ვ ი ლ ი
ტექრედაქტორი ა. თ ო დ უ ა
კორექტორი ც. თ ა ვ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 8.5.1956; ანაწყოების ზომა 7×12 ; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 26.12.1956; ქალაქის ზომა $70 \times 108\frac{1}{16}$;
ქალაქის ფურცელი 10,56; საბეჭდი ფურცელი 28,93; სააგტორო
ფურცელი 25,34; საადრიცხო-საგამომცემლო ფურც. 25,98.
შეკვეთა 835; უე 07944; ტირაჟი 1000

ფასი 12 მან. 75 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5